

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

---

ილ. ხარხვაძე

# ანალიზი ენა

(გრამატიკული ანალიზი ტექსტებით)

4 C (Dar)  
491 . 612 . 5 — 5  
C 442

ნაშრომში მდებარეული ანდიური ენის სტრუქტურის (ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ძირითად სინტაქსურ მოვლენათა) ანალიზის ნისი თქმების ჩვენებათა გათვალისწინებით. ნაშრომს ერთვის ტექსტები.

В работе дается анализ структуры (фонетики, морфологии и основных синтаксических явлений) андийского языка по данным его говоров. К работе приложены тексты.

## რელატივისტური წინასიტყვაობა

ანდიური ენა უმწერლო ენაა ხუნძურ-ანდიურ-დიდოური წრისა. მასში რამდენიმე კილოკავი თუ თქმა გაირჩევა. რიკვანის თქმა იყო საგანი დალესტნელი მკვლევრის იაყ. სულეიმანოვის საკანდიდატო დისერტაციისა (1961 წ.). აღრე, 1906 წ., გამოვიდა ად. დირის მონოგრაფია „ანდიური ენის მოკლე გრამატიკული მიმოხილვა“ („Краткий грамматический очерк андийского языка“), რომელსაც საანალიზო მასალად აულ ანდის მეტყველება დასდებია (ერთგვარად აულ დალათლის მეტყველებასაც ითვალისწინებს).

მთის იბერიულ-კავკასიური უმწერლო ენების მკვლევრები ჩვეულებრივ ერთი პუნქტის მეტყველების შესწავლას სჯერდებოდნენ. კვლევის დაწყებისათვის ეს ბუნებრივია. მაგრამ უმწერლო ენის ყველა კილო (კილოკავი და თქმა) — საენათმეცნიერო თვალსაზრისით — თანაბრად ფასეულ მასალას შეუძლებელია შეიცავდეს. ზოგის ჩვენება უფრო საგულისხმოდ იქნება (მოვლენათა ახსნის, ფაქტის ისტორიის თვალსაზრისით). ამიტომ ყველა კილო (კილოკავი და თქმა) უნდა შევისწავლოთ.

უმწერლო ენის შესწავლის ამ პრინციპს უპასუხებს ილია ცერცვაძის წინამდებარე მონოგრაფია. მასში ანდიური ენის ყველა თქმა ორ კილოდ არის გაერთიანებული (ერთია ზემოანდიური, მეორე — ქვემოანდიური), ნაჩვენებია სათანადო აულები, გათვალისწინებულია ამ აულთა (ანდი, დალათლი, რიკვანი, აშალი, ჩანხო, ზილო, მუნიბი, ქვანხიდათლი) მეტყველების ნიმუშები და დამახასიათებელი თავისებურებები — ფონეტიკური თუ მორფოლოგიური. აღწერილი სისტემატური ანალიზი ავტორისათვის კვლევის პირველი საფეხურია; კილოკავ-თქმათა თავისებურებებს ავტორი უდარებს ერთმანეთს, რომ შინაგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე დაადგინოს, რაა უწინარესი და რაა — შემდგომი; მოვლენათა აღწერას მათი ისტორიული ინტერპრეტაცია მოსდევს. აქ არა ერთს შემთხვევაში გამოყენებულია სხვა ანდიურ ენა-კილოთა მონაცემებიც; ამავე მიზნით ხუნძურის მასალაც არის მოხმობილი.

ანდიურ ენაზე ცხრა ათასამდე კაცი ლაპარაკობს. ანდიური, როგორც ითქვა, უმწერლო ენაა. მის კილოკავ-თქმათა გამოწველილვით შესწავლის საენათმეცნიერო მნიშვნელობა ცხადი გახდება,

თუ მოვიგონებთ, რა „ლინგვისტური ექსპერიმენტებიც“ უწარმოებია ანდიურ მეტყველებას. საკმარისია აღვნიშნოთ შემდეგი.

1. მეხუთე ლატერალური თანხმოვანი ტ' მხოლოდ ზოგ ქვემოანდიურ თქმას (აულები: მუნიბი, ქვანხიდათლი) მოეპოვება. ზემოანდიურ თქმებში იგი შეცვლილია რეფლექსებით: ლც, ლ, ც და ტა. ამათგან რეფლექსი ტა(←ტ') დასტურდება თანხმოვნის წინ (ავტორი ამ ცვლას ზოგად კანონზომიერებას უქვემდებარებს: მომდევნო ხმოვნის დაკარგვის შედეგად ყველა არამავარი თანხმოვანი მავარი თანხმოვნით იცვლება — § 24). ფონემის პოზიციური შეპირობებულობა გარკვეულ საკითხს ბადებს ახალ ფონემათა წარმოქმნის თვალსაზრისით იბერიულ-კავკასიურ ენებში (და საინტერესოა ფონემის რაობის თვალსაზრისითაც, საერთოდ).

2. ანდიურ ენაში ნათესაობით ბრუნვას ორი ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს (ეს ჯერ კიდევ ერკერტის შრომაშია აღნიშნული). ერთი მათგანი გრამატიკულ კლასებს განასხვავებს: ნათესაობითი მსაზღვრელი აღნიშნავს საზღვრულის კლასს (იმუ-ვ ვოცაი „მამის ძმა“, იმუ-ჯ ხოცაი „მამის და“...). არსებითად ეს იგივე პრინციპია, რასაც აფხაზური იყენებს, ოღონდ აფხაზურში სათანადო ფორმანტი საზღვრულს პრეფიქსად მოულის (ინალ ი-ფა „ინალი მის-შვილი“). ბრუნვის ზოგადი (გრამატიკული კლასებისაგან განყენებული) ფორმის წარმოქმნის ისტორიაში ანდიური ნათესაობითის ეს ტიპი ახალ, გარდაამავალ საფეხურს წარმოადგენს (ძველი საფეხური აფხაზურში გვაქვს).

3. ანდიური თავისებურად ექცევა გრამატიკულ კლას-კატეგორიათა ექსპონენტებს მრავლობითში (იმა ვ-ულონ „მამა წავიდა“ — მრ. რ.: იმობილ ვ-ოლონ „მამები წავიდნენ“): მრავლობითში სხვა დალესტნურ ენებს ვ- I კლ. ფორმანტი არა აქვთ, მას ნივთის კლას-კატეგორიის ნიშანი ენაცვლება, — ადგილი აქვს დეპორსონალიზაციას. ანდიურში დეპორსონალიზაცია არ ხდება.

4. ანდიური ენის ანდის თქმაში ყურადღებას იქცევს „ქალთა ენა“ (შდრ. მამაკაცთა მეტყველების: დინ „მე“, მინ „შენ“... ჰეკა -კაცი — ქალთა მეტყველების: დენ „მე“, მენ „შენ“... ჰეკვა „ცაცი... — მოვლენა ანდიურზე მუშაობისას შეუნიშნავს ა. ღირსაც). „ქალთა ენა“ ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც საყურადღებოა. ირკვევა, რომ „ქალთა მეტყველება ხშირად შემოგვინახავს ვარიანტებს, რაც სხვა თქმებში შესაძლოა ორივე სქესის წარ-

მომადგენელთა მეტყველებისათვის საერთო იყოს“ (§ 6, გვ. 5): დენ „მე“, მენ „შენ“, ანდის თქმაში რომ მხოლოდ ქალები ხმარობენ, სხვა თქმებში საყოველთაო ხმარებაშია, ასევე ჰეკვა „კაცი“ აულ ზილოშია ჩეულებრივი... სხვადასხვა კილოკავ-თქმათა ვითარების გათვალისწინებამ შუქი მოჰქვინა „ქალთა ენის“ საიდუმლოებას: თავისებურება დიალექტური წარმოშობისა აღმოჩნდა. სასურველი იყო ამ მხრივ კილოკავ-თქმათა ჩვენება უფრო სრულად გაგვეთვალისწინებინა. ეს საშუალებას მოგვცემდა აგვეხსნა, რატომ ინარჩუნებენ ქალები მეტყველების თავისებურებას, — კერძოდ, ხომ არ უდევს წილი ამ მოვლენის წარმოშობაში ეგზოგამიას.

უმწერლო ანდიურის გამოწვევილივით შესწავლა ემსახურება არა მხოლოდ ხარვეზის შევსებას ანდიურ ენათა შესწავლაში, მას აქტუალური მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული ფონეტიკისა და მორფოლოგიის რიგი საკითხის გარკვევისათვის, და—ერთგვარად—ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც.

არნ. ჩიქობავა

19. III. 1965.

## ПРЕДИСЛОВИЕ РЕДАКТОРА

Предлежащее исследование И. И. Церцвадзе посвящено анализу андийского языка, одного из бесписьменных языков аварско-андийско-дидойской группы Дагестана.

В андийском языке автор различает семь говоров, объединяемых в два поднаречия. Из андийских говоров в монографии А. Дирра („Краткий грамматический очерк андийского языка“, 1906 г.) изучен собственно-андийский говор, — речь аула Анди (частично используются данные гагальского говора). Говор аула Риквани явился предметом кандидатской диссертации Я. Г. Сулейманова (1961 г.).

В монографии И. И. Церцвадзе привлекаются данные всех говоров андийского языка, ибо только при таком подходе возможно отличить первичное от вторичного, существенное от случайного. С учетом этих данных проводится исчерпывающий анализ фонемного состава и фонетических процессов, морфологии имени и глагола андийского языка. Андийская речь иллюстрируется текстами по всем аулам. За систематическим описательным анализом следует историческая интерпретация наблюдаемых расхождений средствами внутренней реконструкции. При этом часто привлекаются данные других языков андийской группы, а также аварского языка.

На андийском языке говорит около 9 тыс. человек; андийский язык — бесписьменный. Однако, научная значимость его данных, актуальность подробного изучения особенности андийской речи по говорам становится очевидной, если принять во внимание те „лингвистические эксперименты“, которые обнаруживаются в андийском языке. Отметим некоторые из них.

1. В речи нижеандийских аулов Мунцб и Кванхидатль засвидетельствовано наличие пятого латерального согласного t'. В верхнеандийских говорах он замещается рефлексами l, l', и tɔ. Из

них рефлекс  $t^*$  ( $\leftarrow t'$ ) налицо в позиции перед согласным (автор подводит это явление под общую закономерность: в результате утраты последующего гласного все нетвердые согласные замещаются твердыми — § 24). Позиционная обусловленность фонем ставит вопрос об условиях и процессах зарождения новых фонем в ибер.-кавказских языках (и не лишен интереса с точки зрения вопроса о сущности фонемы вообще).

2. Еще в работе Эркerta („Die Sprachen des kaukasischen Stammes“, 1895) было отмечено наличие двух вариантов родительного падежа в андийском языке. Один из них различает грамматические классы определяемого имени ( $i\mu i$   $v$   $vo\sigma i$  „отца брат“,  $i\mu i$ - $j$   $jo\sigma i$  „отца сестра“...). Такой родительный строится по сути дела как и абхазская синтагма аналогичного содержания ( $i\eta a l$   $i$ - $ra$  „сын Инала“, букв. „Инал его-сын“) с той разницей, что классный экспонент относится к определению и ставится перед определяемым. В абхазском еще не имеем падежной формы; в андийском форма родительного падежа представлена конкретными классными вариантами, демонстрируя переходную ступень к образованию общей, отвлеченной, формы родительного падежа.

3. Свообразно отношение к обозначению множ. числа при помощи классных экспонентов ( $i\eta a$   $v$ - $u\eta o\eta$  „отец упел“ — мн. ч.  $i\eta o\eta i l$   $v$ - $o\eta o\eta$  „отцы упли“); в дагестанских языках классный экспонент  $v$  (I грам. кл.) во множ. числе не сохраняется: его место занимает экспонент одного из классов вещей ( $b$ -,  $d$ -,  $g$ -,  $j$ -). Иными словами, наблюдается деперсонализация (имен I грам. кл.). В андийском деперсонализация не имеет места.

4. Общепсихологический интерес связан с особым „языком женщин“ в собственно-андийском говоре: срв.: в речи мужчин:  $d\dot{i}n$  „я“,  $m\dot{i}n$  „ты“...  $he\dot{q}a$  „человек“... — в речи женщин:  $de\dot{n}$  „я“,  $me\dot{n}$  „ты“...  $he\dot{q}va$  „человек“... Варианты строго различаются (факт отмечен еще А. Дирром). Варианты, представленные в женской речи аула Авди, являются единственными вариантами в речи других аулов:  $de\dot{n}$ ,  $me\dot{n}$  — характерно для всех других говоров,  $he\dot{q}va$  — обычно для речи аула Зило (§ 6). Тайна „женского языка“ разъяснилась: женский вариант андийской речи оказался диалектным по происхождению. Не связана ли обособленная

„женская речь“ по происхождению с экзогамией? Вопрос заслуживает того, чтобы стать предметом специального исследования.

Тщательно проведенный анализ данных бесписьменного языка, представленный в монографии Е. И. Церцвадзе, не только восполняет пробел, имевшийся в данном случае в изучении андийских языков и наречий, он имеет актуальное значение для выяснения ряда вопросов исторической фонетики и морфологии памиро-индийско-кавказских языков, а частично и в плане общелингвистическом.

Арн. Чикобава

19. III. 1965.



## ავტორისაგან

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ანდიური ენის სტრუქტურის (ფონეტიკის, მორფოლოგიის, ძირითად სინტაქსურ მოვლენათა) ანალიზს მისი თქმების ჩვენებათა გათვალისწინებით. იგი ემყარება ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებებსა და ჩაწერილ ტექსტებს ამ ენაზე სამუშაოდ მივლინებათა დროს (1946, 1949—1951, 1953 წწ. ზაფხული; მივლინებები მოწყობილი იყო უნივერსიტეტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ). ნაშრომის ცალკეული ნაწილები (ძირითადი საკითხები) სხვადასხვა დროს იყო დამუშავებული და მოხსენებული ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებისა და უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის სხდომებზე, ხოლო ზოგი დაკვირვება გამოქვეყნებულიცაა (მთლიანი სახით ნაშრომი ძირითადად მზად იყო 1956 წ., რის შემდეგაც იგი დროდადრო ივსებოდა ახალი მასალით და მზადდებოდა დასაბეჭდად).

ავტორი მადლობელია ყველა იმ პირისა, ვინც მას ეხმარებოდა ადგილობრივ ანდიურზე მუშაობაში, — განსაკუთრებით კი ინფორმატორებისა, რომლებიც იყვნენ: მიზაკუ ჩოფიევი, ზალალავ გაირბეკოვი (აულ ანდიდან), იმამ-შაფი შაბანოვი, ახმედ-ნაბი მაჰომედოვი, ხალიმ მაჰომედოვი (აულ ქვანხიდათლიდან), ქადირ ზაბიქულაევი (აულ მუნიბიდან), ხან-ალი (აულ ლალათლიდან), ბაჰაუდინ ელდაროვი (აულ რიკვანიდან), რასულ მაჰომედოვი (აულ ზილოდან) და სხვ. (იმ პირთა სია, რომელთაგანაც ჩაწერილია აქ წარმოდგენილი ტექსტები იხ. 310 გვ.).

## ОТ АВТОРА

Предлежащая работа ставит целью дать анализ структуры (фонетики, морфологии и основных синтаксических явлений) андийского языка по данным его говоров. Она основывается на материалах, собранных автором в процессе непосредственного наблюдения над живой речью во время неоднократного пребывания на месте (летом 1946, 1949—1951, 1953 гг.; командировки были организованы Институтом языкознания АН Груз. ССР и Тбилиским университетом). Отдельные части работы в разное время были разработаны и доложены на заседаниях Отдела горских иберийско-кавказских языков Института языкознания и кафедры кавказских языков университета, а некоторые наблюдения — опубликованы. (Работа в основном была завершена в 1956 г., а после этого она пополнялась и подготавливалась к печати).

Автор глубоко признателен всем лицам, оказавшим ему содействие в работе на месте по изучению андийского языка, — особенно же информаторам и учителям, которыми были: Мизаку Чоциев, Загалав Гайрбеков (из аула Анди), Имам-Шафи Шабанов, Ахмед-Наби Магомедов, Халим Магомедов (из аула Кванхидатль), Кадир Забикулаев (из аула Муниб), Хан-Али (из аула Гагатль), Багаудин Эльдаров (из аула Риквани), Расул Магомедов (из аула Зило) и др. (Список лиц, от которых записаны публикуемые здесь тексты, см. на стр. 310).

15. II. 1965.

# სატრანსკრიფციო ნიშნები — ТРАНСКРИПЦИОННЫЕ ЗНАКИ<sup>1</sup>

1	2	3	1	2	3	1	2	3
ა	a	a	წ	ç	ц	ს	s	с
ე	e	e,ə	ც <sup>ა</sup>	co	цц	სა	so	cc
ი	i	и	წ <sup>ბ</sup>	co	ц ц	შ	ž	ж
ო	o	о	ჩ	č	[дж]	შა	š	ш
უ	u	у	ჩ <sup>ა</sup>	č	ч	შა <sup>ბ</sup>	šo	ш
რ	r	р	კ	ç	ч	რ	ç	хь
ლ	l	л	ჩ <sup>ბ</sup>	č	чч	რ <sup>ა</sup>	ç	гь
მ	m	м	ქ	ç	ч'q	რ <sup>ბ</sup>	x	х
ნ	n	н	გ	g	г	რ <sup>გ</sup>	xç	хх
ვ	v	в	ქ	k	к	ჟ	ə	г
ჟ	j	й	კ	k	к	ჟ <sup>ა</sup>	hç	х
ბ	b	б	ქ <sup>ა</sup>	k <sup>ა</sup>	кк	ჟ <sup>ბ</sup>	h	гь
ფ	p	п	ქ <sup>ბ</sup>	k <sup>ბ</sup>	к к	ქ	l'	.л'
კ	p	[u]] <sup>2</sup>	ქ <sup>გ</sup>	k <sup>გ</sup>	к'к'	ქ <sup>ა</sup>	l' <sup>ა</sup>	.л'л'
ღ	d	д	ყ	q	хь	ქ <sup>ბ</sup>	l' <sup>ბ</sup>	.л'
თ	t	т	ყ <sup>ა</sup>	q'	[кь']	ქ <sup>გ</sup>	l'	.л'
ც	t	т	ყ <sup>ბ</sup>	q <sup>ბ</sup>	кь	ჭ	ç	кь
ძ	ç	[дз]	ც	,	ь	ჭ <sup>ა</sup>	ç'	[т']
	ç	ц	ზ	z	з	ჭ <sup>ბ</sup>	*d <sup>ა</sup>	*[д']

<sup>1</sup> მოგვეყავს სქემა: 1. ქართული სატრანსკრიფციო ნიშნებისა, რომლებიც წინამდებარე ნაშრომის ძირითად (ქართულ) ტექსტში გამოიყენება, 2. შესაბამისი ლათინური სატრანსკრიფციო ნიშნებისა, რომელთაც „რეზიუმეში“ ვიყენებთ და 3. შესაბამისი ნიშნებისა ანუ აქედან მოქმედ ხუნძურ ანბანში (რუსული გრაფიკის საფუძველზე). — Приводится схема: 1. Транскрипционных знаков (на грузинской графической основе), использованных в основном тексте подлежащей работы, 2. Соответствующих латинских транскрипционных знаков, использованных в резюме данной работы, 3. Соответствующих знаков аварской действующей ныне практической азбуки (на русской графической основе).

<sup>2</sup> ფრჩხილებში ჩასმული — ტრანსლიტერირებული — ნიშნები ხუნძურ პრაქტიკულ ანბანში არ იხმარება. — Заключенные в скобки — транслитерированные — знаки в практической аварской азбуке не употребляются.

— (ხაზი) ასოს თავზე აღნიშნავს გრძელ ხმოვანს (ა და ა. შ.) ან გემინირებულ (ნა-ზევარ-აბრუპტივ ანუ პრერუპტივ) თანხმოვანს (დ და ა. შ.). — (черточка) над гласной обозначает долгий гласный (ა ა და ი. დ.), или же геминированный (полуабруптивный) согласный (დ ა და ი. დ.).

გ აღნიშნავს ხმოვნის ნაზალიზაციას (ან და ა. შ.)—გ " обозначает пазализацию предшествующего гласного (ან — ა" და ი. დ.).

// ან / ორ ელემენტს შორის აღნიშნავს პარალელურად შესაძლო ვარიანტებს. // или / между двумя элементами обозначает параллельно употребляемые возможные варианты.

(-) გამოიყენება ზოგჯერ სათანადო ფორმათა ცვალებადი კლას-ნიშნის აღსანიშნავად. (-) употребляется иногда для обозначения переменного классного показателя соответствующих форм.

### უმთავრეს შემოკლებათა სია

#### 1. ენები, დიალექტები, კილოკავ-თქმები

ანდ.—ანდიური ენა ან ანდიური ენის აულ ანდის თქმა (კონტექსტის მიხედვით).

ანწუხ.—ანწუხური.

არაბ.—არაბული.

არჩიბ.—არჩიბული.

აფხაზ.—აფხაზური.

აღულ.—აღულური.

აშ.—აულ აშალის თქმა.

ახვაზ.—ახვაზური.

ბაგვალ.—ბაგვალალური.

ბაცბ.—ბაცბური.

ბოთლიხ.—ბოთლიხური.

დარგ.—დარგული.

დიდ.—დიდოური.

ზილ.—აულ ზილოს თქმა.

კარატ.—კარატული.

კიურ.—კიურული (ლეზგიური).

ლაკ.—ლაკური.

მუნ.—აულ მუნიზის თქმა.

რიკვ.—აულ რიკვანის თქმა.

სომხ.—სომხური.

სპარს.—სპარსული.

ტაბას.—ტაბასარანული.

ტინდ.—ტინდიური.

უდ.—უდური.

ქვანხ.—აულ ქვანხიდათლის თქმა.

ღად.—აულ ღადათლის თქმა.

ღოდ., ღოდობ.—ღოდობერიული.

ჩანხ.—აულ ჩანხოს თქმა.

ჭამალ.—ჭამალალური.

ხვარშ.—ხვარშიული.

ხუნძ.—ხუნძური.

ხუნძახ.—ხუნძახური.

## 2. გრამატიკული ტერმინები

აბს., აბსოლუტ. — აბსოლუტივი.	მიც. — მიცემითი.
ადგ., ადგილ. — ადგილობითი ბრ.	მრ. «რ.» — მრავლობითი «რი- ცხვი» <sup>1</sup> .
აფ., აფექტ. — აფექტივი.	მყოფ. — მყოფადი.
აწმ. — აწმყო.	მხ. «რ.» — მხოლოლობითი «რიცხვი» <sup>1</sup> .
აწმ. ზოგ. — აწმყო ზოგადი.	ნათ. — ნათესაობითი.
აწმ. კონკრ., აწმ. კონკრეტ. — აწმყო კონკრეტული.	ნამ. — ნამყო.
ბრ. — ბრუნვა.	ნამ. სრ. — ნამყო სრული.
ბრძან. — ბრძანებითი.	ნამ. ძირ., ნამ. ძირით. — ნამყო ძირითადი.
განზრახვ. — განზრახვითი.	ნატურ. — ნატურითი.
გრამ. — გრამატიკული.	პირ., პირობ. — პირობითი.
გრდმ. — გარდამავალი.	პირობ.-ნატურ. — პირობით-ნა- ტურითი.
გრდუვ. — გარდაუვალი.	პირობ.-შედევ. — პირობით-შე- დევობითი.
დად., დადებ. — დადებითი.	სახ. — სახელობითი.
დათმობ. — დათმობითი.	სრ. — სრული.
დაშორ. — დაშორებითი.	უარყ. — უარყოფითი.
ერგ. — ერგატივი.	უსრ. — უსრული.
ერთგზ. — ერთგზითი.	ულვლ. — უღვლილება.
ინფ. — ინფინიტივი.	შედევ. — შედევობითი.
კაუზატ. — კაუზატივი.	წყ. — წყება.
კლ. — კლასი (კლას-კატეგორია).	
მასდ. — მასდარი.	
მიმართ. — მიმართულებითი.	
მიმღ. — მიმღეობა.	

## 3. გამოცემები

УЗИИЯ.1 Даг. фил. АН СССР — Ученые записки Инсти-  
тута истории, языка и литературы им. Г. Цадашы (Дагестанский  
филиал АН СССР. Махачкала).

[დანარჩენ შემთხვევებში ნახმარია ცნობილი (ან სპეციალისტე-  
ბისათვის ადვილად მისახვედრი) შემოკლებანი].



## შ ე ს ა ვ ა რ ი

§ 1. ანდიური, როგორც დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ძველჯგუფის ენა. ამ ძველჯგუფის უმჯობესი წარმომადგენელია ანდიური იბერიულ-კავკასიური ენა დაღესტნური ჯგუფის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფისა.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქვეჯგუფში საში ძირითადი განშტოებაა: A) ხუნძური ენა დიალექტთა ორი ჯგუფით: ჩრდილოური (ხუნძახური) და სამხრული (პიდურ-ანდალალურ-ყარახული, ანწუხური, ჰარული)<sup>1</sup>; B) ანდიური ენები (ენა-კილოები): ანდიური. ბოთლიხური, ლოდობერიული, ტინდიური, ბაგვალალური, ჰამალალური, კარატული, ახვახური; C) დიდოური ენები (ენა-კილოები): დიდოური, პინუხური, ხვარშიული, კაპუქურ (ბეეტიურ)-ჰუნზიხური.

ხუნძური ენა (A) და ანდიური ენა-კილოები (B) უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვინემ თითოეულ მათგანთან დიდოური ენა-კილოები (C); დასაშვებია ხუნძურ-ანდიურ (AB) ენა-კილოთა ერთობა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, როცა დიდოური (C) ენა-კილოები უკვე წარმოადგენდა ხუნძ.-ანდ.-დიდ. (ABC) საერთო ენის ცალკე განშტოებას<sup>2</sup>.

§ 2. ხუნძური, როგორც ანდიელთა სამხარლო და სა-ტომთაშორისო ენა. ანდიური უმწერლო ენაა (ისევე. როგორც ყველა სხვა ანდიურ-დიდოური ენა). ანდიელთა (და სხვა ანდიურ-დიდოურ ენებზე მოლაპარაკე ტომთა) სამწერლო ენა ხუნძურია (ხუნძური ახალი სამწერლო ენა). ეგვე ენა ტრადიციულად გამოიყენება ზემოთ საერთო ენად მეზობელ ტომებთან ურთიერთობისას. ამიტომ ხუნძური ანდიელთა მეორე ენაა, რომელსაც ბავშვობიდანვე ითვისებენ.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციით. სხვაგვარ სწემას იძლევა შ. შიქაილოვი (შდრ. Ш. И. Микаилов. Очерки аварской диалектологии. М.-Л., 1959).

<sup>2</sup> იხ.: N. Trubetzkoy. Die „kurzen“ und „geminirten“ Konsonanten der awaro-andischen Sprachen. Caucasica, Fasc. 3. Leipzig, 1926; ტ. გუდავა, დ. იმნაიშვილი. ე. ლომთაძე. ნ. შააომედიეკოვა, ილ. ცერცვაძე. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ბენეაოზესატყვისობასათვის (ენათ. რესტ. III (IX) სანტენ. სეზა. თბილისი, 1952. თემატები, გვ. 32-35); Е. А. Бокарев. Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков. Материал к курсу. Махачкала, 1961, გვ. 40.

§ 3. ტერმინების სისტემა: „ანდიელი“, „ანდიური“. ტერმინები „ანდიელი“, „ანდიური“ მომდინარეობს ანდიელებით დასახლებული ერთ-ერთი მთავარი აულის ხუნძური სახელწოდებიდან: ჭანდ-ი-‘ბ’<sup>1</sup> „ანდი“.

თვითონ ანდიელი კი თავის თავს თავის ენაზე უწოდებს: ყვანან-ავ „ანდიელი (მამაკაცი)“, ყვანან-აჟ „ანდიელი (ქალი)“, შრ. რ.: ყვანან-ალ „ანდიელები“. ხოლო თავის ენას ყვანან-აბ მიწვი „ანდიური ენა“.

აქ საერთო ფუძეა ყვანან-, რომელსაც დაერთვის გრამატიკულას-ნიშნის სუფიქსები (-ავ, -აჟ- აბ) და მრავლობითი რიცხვის ფორმანტი (-ალ). ეგვე ყვანან- ფუძე გამოიყოფა აულის სახელშიც: ყვანან-უ „ანდი“.

ანდ. ყვანან- (ყვანან-უ „ანდი“, ყვანან-ალ „ანდიელები“...) და ხუნძ. ჭანდ- (ჭანდ-ი-‘ბ’ „ანდი“, ჭანდ-ალ „ანდიელები“...) ფუძეთა და აგრეთვე სხვა ანდიური ენების შესაბამის ფუძეთა (იხ. ქვ.) ეროვნულთან შედარება ალგვადგენინებს ამოსავალ \*ყვანდ- ვარიანტს, რომლისაგანაც მიღებულია, როგორც ანდ. ყვანან- ვარიანტი (ნდ → ნს ასიმილაციით—§ 42), ისე ხუნძ. ჭანდ- ვარიანტიც (ყ → ჭ — § 30).

დანარჩენ ანდიურ ენებშიც ამავე ფუძის ვარიანტები დასტურდება; შდრ.: ბოთლობ. ღვანდ-ი, ლოდობ. ცანდ-ი, კარატ. ყვანდ-ი. ტინდ. ცანდ-ი. ბაკვალ. ჭანდ-ი. ახვახ. ჭანდ-ი, ჭამალ. ცანნ-ე „ანდი“.

ჭანდ- ფუძე (უნდა ვითქროთ, ხუნძურიდან ნასესხები) მოიპოვება ჩანურ ენაშიც (ჭანდა „ანდი“, ჭანდ-ჟო „ანდიელი“)<sup>2</sup> და, აგრეთვე, ლაკურ ენაში (ჭანდიმი „ანდი“, ჭანდირიჩჟ „ანდიელი“)<sup>3</sup>.

„ანდი“-საგან ნაწარმოები ტერმინები დამკვიდრებულია ოფიციალურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დალესტნის ერთ-ერთი მდინარისა და ქედის სახელწოდებადაც: ანდიის ყოისუ; ანდიის ქედი. „ანდიური“ სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. გარდა იმისა, რომ აღნიშნავს კონკრეტულ ენას („ანდიური ენა“), იხმა-

<sup>1</sup> ხუნძ. ჭანდ-ი-‘ბ’ „ანდი“ წარმოების მიხედვით წარმოადგენს ადგილობრივი ბრუნვის ფორმას. კლას-ნიშნით (-ბ) ნაწარმოებს. და წინაშეწოდებით უდრის ქართ. „ში“ თანდებულიან ფორმას (შდრ. ხურ-ი-‘ბ’ „ყანაში“). ადგილის სახელთა ანგვარი წარმოება ხუნძურში იშვიათი არ არის (შდრ. ღუნ-ი-‘ბ’, ყანა-ი-‘ბ’, ტინდი-‘ბ’ და ა. შ.).

<sup>2</sup> დ. იხნაიშვილის ცნობით.

<sup>3</sup> П. К. Усаяр, Лакский яз., გვ. 353.



რება ფართო გაგებითაც: აღნიშნავს ენა-კილოთა წყებას („ანდიური ენა-კილოები“ — § 1).

**§ 4. ანდიური ენის გავრცელების არე.** ანდიური ენა ვრცელდება დაღესტნის ჩრდილო-დასავლეთ ზოლში — მდინარე ანდიის ყოისუს ხეობის შუაწელში (მდინარის მარცხენა მხარეს).

ანდიელებით დასახლებული აულები ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით განეკუთვნება ბოთლიხის რაიონს. ეს აულებია (ჯერ მოგვეყავს ანდიური სახელწოდებები, მერე — ფრაზილებში — მათი ხუნძური შესატყვისობები): 1. ყ ვ ა ნ ნ უ (ხუნდ. ჭანდი-‘ბ’) „ანდი“, 2. ღ უ ნ ხ ა (ხუნდ. ღუნხო) „ღუნხო“, 3. ღ ა ღ უ ლ’ (ხუნდ. ღაღალ’) „ღაღათლი“, 4. ა შ ო ლ ლ უ (ხუნდ. აშალი) „აშალი“, 5. რ ი კ ა უ ნ ა (ხუნდ. რიკევანი-‘ბ’) „რიკვანი“, 6. ჩ ო ვ უ რ (ხუნდ. ჩანვო) „ჩანხო“, 7. ზ ი ლ უ რ (ხუნდ. ზილო) „ზილო“, 8. ბ ე ნ ნ უ რ (ხუნდ. მუნი-‘ბ’) „მუნიბი“, „მუნი“, 9. ქ ო ხ ა ი დ ო ლ’ (ხუნდ. ქვანხიდალ’) „ქვანხიდათლი“<sup>1</sup>. ოფიციალური სახელწოდებები ხუნძური ენიდან მოდის.

ზოგი აულიდან გამოყოფილია მცირე დასახლებანი (ხუტორები), რომელთაგან ყველაზე დიდია წ ა ი ბ ი ლ ლ ა (ხუნდ. წაიბილტა) „წიბილტა“ (20-ოდე კომლით; გამოყოფილია აულ ანდიდან).

აულები მუნიბი და ქვანხიდათლი ახლოსაა მდ. ანდიის ყოისუს ნაპირთან. დანარჩენი აულები ჩრდილოეთით თანდათან შორდებიან მდინარის ნაპირს და უჭირავთ მთა ადგილები. ყველაზე მაღალ ადგილასაა აულები ანდი, ღუნხო და ღაღათლი, რომლებიც, ამავე დროს დაღესტნის დასავლეთში ერთ-ერთი ყველაზე განაპირა დასახლებული პუნქტებია. მათ აქეთ (ქედს გადმოღმა) იწყება ჩაჩნებით დასახლებული ტერიტორია.

ანდიელებს ჩაჩნურ აულებშიც შეეხვდებით აქა-იქ ჩასახლებულთ. ანდიელთა რიცხვი დაახლოებით 8—10 ათასია<sup>2</sup>. ანდიელები შეადგენენ ყველაზე მსხვილ ტომს ანდიურ-დიდოურ ენა-კილოებზე მოლაპარაკე ტომთა შორის.

**§ 5. ანდიური ენის თქმები.** ანდიურ ენა მდიდარია თქმებით. გასარჩევია თქმათა ორი ძირითადი ჯგუფი: საკუთრივ ანდიური ანუ ზემოანდიური და მუნიბ-ქვანხიდათლური ანუ ქვემოანდიური

<sup>1</sup> შტრ. Е. И. Козубский, Памятная книжка Дагестанской области. Темир-Хан-Шура, 1895; А. Дирр, Анд. яз., გვ. I.

<sup>2</sup> 1926 წ. აღწერის მონაცემებით—7.953 (იხ.: БСЭ<sup>1</sup>, т. 2, გვ. 426; Е. А. Божарев. Краткие сведения о языках Дагестана. Махачкала, 1949). 1959 წ. აღწერით ცალკე არ გამოიყოფიან (ხუნძებს მიათვლიან).

(შესაბამის აულთა ტერიტორიული განლაგება გარკვეულ საფუძველს იძლევა პირობითი ტერმინებისათვის: „ზემოანდიური“ და „ქვემოანდიური“)<sup>1</sup>.

საკუთრივ ანდიურ ანუ ზემოანდიურ ჯგუფში ძირითადია თქმები: ანდისა (რომელსაც განეკუთვნება აულ ღუნხოს მეტყველება(ც), ღალათლისა (რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ — მიუხედავად ზოგი თავისებურებისა— აულ აშალის მეტყველება(ც), რიკვანისა, ჩანხოსი და ზილოსი. მუნიბ-ქვანხიდათლურ ანუ ქვემოანდიურ ჯგუფში ორი თქმა გვაქვს: მუნიბისა და ქვანხიდათლისა<sup>2</sup>.

სქემატურად:

აულები	თქმები	ჯგუფები	
ანდი	} ანდისა	} ა) საკუთრივ ანდიური ანუ ზემოანდიური	
ღუნხო			
ღალათლი	} ღალათლისა		
აშალი			
რიკვანი	რიკვანისა		
ჩანხო	ჩანხოსი		
ზილო	ზილოსი		
მუნიბი	მუნიბისა		} ბ) მუნიბ-ქვანხიდათლური ანუ ქვემოანდიური
ქვანხიდათლი	ქვანხიდათლისა		

ქვემოანდიური თქმები უფრო ახლოსაა ერთმანეთთან, ვინემ ზემოანდიური თქმები (თქმებითაც ზემოანდიური უფრო მდიდარია — იხ. ზემოთ). ზემოანდიურ თქმებში ყველაზე მეტია განსხვავება ანდისა და ზილოს თქმებს შორის, შემდეგ ანდისა და რიკვანის თქმებს შორის. შედარებით მცირეა განსხვავება ანდისა და ღალათლის თქმებს შორის. საერთოდ კი განსხვავება ზემოანდიურ და ქვემოანდიურ თქმებს შორის უფრო ძლიერია, ვინემ თითოეულ ამ ჯგუფში შემავალ თქმებს შორის.

მთავარ საკლასიფიკაციო ნიშნებად, რომელთა მიხედვით ანდიური თქმები ორ ჯგუფად იყოფა, შეიძლება გამოვლევს: 1. არამაგარი აბრუპტივი ლატერალური თანხმოვნის („მეხუთე ლატერალუ-თანხმოვნის“) ქონა-არქონა (ორივე ქვემოანდიური თქმა განარჩევს

<sup>1</sup> შტრ.: ა. დირი ანდიური ენის დიალექტური დიფერენციაციის შესახებ შექმნილ ალბინაჟს: „Как меня уверили мои помощники. Говор каждого из андийских селений имеет некоторые особенности, причем не все аулы Муши значительно отступают от общего типа, так что другие андийцы почти не понимают его“ (А. Ди р р, Апд. яз., გვ. 1).

<sup>2</sup> თქმათა ორ ჯგუფს განარჩევს ი. სულეიმანოვიც.

მას მაშინ, როდესაც არც ერთ ზემოანდიურ თქმაში არა გვაქვს იგი): 2. გრამატიკული კლასების სხვადასხვა რაოდენობა (ოთხი |მხ. და მრ. რიცხვის ფორმათა შეპირისპირებით ხუთი ან ექვსი) გრამატიკული კლასი — ზემოანდიურ თქმებში, სამი — ქვემოანდიურ თქმებში).

აულ ანდის თქმა თვით ანდიელებს „წმინდა ანდიურად“ მიაჩნიათ (ისევე, როგორც ხუნძებს ხუნძახური დიალექტი — „წმინდა ხუნძურად“).

**§ 6. ქალთა მატყველების თავისებურებათა შესახებ.** ჯერ კიდევ ა. დირს აქვს აღნიშნული ზოგი თავისებურება, რაც აულ ანდის თქმაში ახასიათებს ქალთა მეტყველებას განსხვავებით მამაკაცთა მეტყველებისაგან<sup>1</sup>. თუმცა ამის მაგალითები არც ისე ხშირია, მაგრამ ყველა სათანადო შემთხვევაში, როცა კი განსხვავება იჩენს თავს, ქალთა მეტყველების ნორმები („სტილი“) მტკიცედაა დაცული და აღრევა დაუშვებელია. ასე: მაგალ.: დენ „მე“, მენ „შენ“, ბეატრიკე „რვა“; კვაბდუ „დარტყმა“, „მოკვლა“; ჰეკვა „კაცი“... ნორმა ქალთა მეტყველებისათვის (შდრ. მამაკაცთა მეტყველ.: დინ „მე“, მინ „შენ“, ბიეტრიკე „რვა“, ჯაბუ „დარტყმა“, „მოკვლა“, ჰეკა „კაცი“...).

ასეთ შემთხვევებში ქალთა მეტყველება ხშირად შემოგვინახავს ვარიანტებს, რაც სხვა თქმებში შესაძლოა ორივე სქესის წარმომადგენელთა მეტყველებისათვის საერთო იყოს. ასე, დენ „მე“, მენ „შენ“, ბეატრიკე „რვა“... რაც აულ ანდის თქმაში ნიშანდობლივია მხოლოდ ქალთა მეტყველებისათვის (იხ. ზემოთ), მეზობელი აულის, კერძოდ, ლალათლის, თქმაში საერთო ნორმაა, როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა მეტყველებისათვის; ასევე, ჰეკვა „კაცი“, რომელიც აულ ანდის თქმაში მხოლოდ ქალთა მეტყველებაშია დაცული, აულ ზილოს თქმაში უცხო არ არის მამაკაცთა მეტყველებისათვისაც<sup>2</sup>.

**§ 7. ანდიური ენის შესწავლის ისტორია.** ი. გიულდენ-შტედტის ლექსიკურ მასალებში კავკასიურ ენათა შესახებ, რომელიც, როგორც ცნობილია, ჩაწერილია მე-18 საუკ. 70-იან წლებში (1771—1772 წ.წ.), მოგვეპოვება ანდიური ენის ლექსიკური მასალაც

<sup>1</sup> А. Дирр. Анд. шв. гл. 32. 138. აგრეთვე: Я. Г. Сулейманов, Местонахождение в андийском языке. УЗНИИЯЛ Даг. фил. АН СССР, т. XI, 1962, გვ. 69.

<sup>2</sup> ამაზე აულ ანდის მკვიდრი მამაკაცები ხუმრობით შენიშნავენ, რომ მათნ თქმაში მამაკაცებიც „ქალის ენაზე“ ლაპარაკობენ.

(270-მდე სიტყვის თარგმანი ანდის თქმაზე)<sup>1</sup>. ესაა ანდიური ენის უძველესი დოკუმენტაცია.

ი. გიულდენშტედტის მასალა გამოყენებულია პალასის ცნობილ ლექსიკონში<sup>2</sup>.

ი. კლაპროთის შრომაში კავკასიური ენების შესახებ<sup>3</sup> ანდიურ ენაზე გარდა ლექსიკური მასალისა წარმოდგენილია ფრაზებიც (იმავე შინაარსისა, რაც იქვე მოცემულია ხუნძურსა და სხვ. ენებზე) — თარგმანითა და კომენტარიებით. ესაა გაბმული ტექსტის (ფრაზების) უძველესი ნიმუში ანდიური ენისა. მაგრამ, როგორც ამჟამად გამორკვეულია, ეს ფრაზები ი. კლაპროთის ჩაწერილი არ არის. იგი ხელთ ჰქონია ჯერ კიდევ ი. გიულდენშტედტს 1775 წელს<sup>4</sup>.

პ. უსლარს ა. შიფერისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში (6. I. 1864) მოჰყავს ხუნძურ (ხუნძახურ, ანწუხურ), ჰამალალურ, ახვახურ, ბოთლიხურ, დიდოურ და ბეეიტურ რიცხვით სახელებთან ერთად ანდიური რიცხვითი სახელებიც<sup>5</sup>.

რ. ერკერტის წიგნში<sup>6</sup> ანდიური ენის შესახებ მოიპოვება ა) ლექსიკური მასალა (ნაწ. I, გვ. 23—203, სადაც მოცემულია 545 სიტყვის თარგმანი სხვადასხვა კავკასიურ ენებზე და მათ შორის ანდიურ ენაზეც), ბ) ფრაზები (ნაწ. II, გვ. 178—183) და გ) „გრამატიკული შენიშვნები“ (ნაწ. II, გვ. 183—185); გარდა ამისა, მოცემულია ანდიურ ენათა მოკლე დახასიათებაც ერთმანეთთან და დალესტნურ სხვა ენებთან შეპირისპირებით (ნაწ.

<sup>1</sup> Johann Anton G ü l d e n s t ü d t, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge. II. St.-Petersburg, 1791, გვ. 520—527. ანდიური მასალა წარმოდგენილია ლაკურ (დაზილუმუხურ) და დარგულ მასალებთან ერთად (პარალელურად).

<sup>2</sup> Сравнительные словари всех языков и наречий, собранные десни-пею Всевысочайшей особы... II, 1789, СПб.

<sup>3</sup> Julius von Klaproth, Kaukasische Sprachen. Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien. Halle und Berlin, 1814.

<sup>4</sup> ამის შესახებ იხ. А. С. Чикована, К вопросу о первых текстовых записях по горским иберийско-кавказским языкам. ВП, № 4, 1962.

<sup>5</sup> П. К. Услар, Лакский язык (დანართი: Письма П. К. Услара к А. А. Шифнеру, გვ. 19—20). ამავე წერილში პ. უსლარი ჩამოთვლის ენებს, რომელთა შესწავლაც („составить грамматические очерки“) მას განზრახული ჰქონია. აქ მოხსენებულია ანდიური ენაც.

<sup>6</sup> R. Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes. I Theil. Wörterverzeichnis. II Theil. Sprachproben und grammatische Skizzen. Wien, 1895.

II, გვ. 197—203), რაც ანდიურ ენათა შედარებითი (შეპირისპირებითი) შესწავლის პირველ ცდად შეიძლება მივიჩნიოთ. რ. ერკერტი ანდიურ ენებს, რომელთაც იგი უწოდებს „ანდიურ დიალექტებს“ („Andi Dialecte“), ორ ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფში აერთიანებს საკუთრივ ანდიურს, ბოთლიხურს, კამალალურს (ჰიპათლურს) და ტინდიურს, მეორე ჯგუფში — კარატულს. ლოდობერიულსა და კვანადურს (ბაგვალალურს). ესაა ანდიურ ენათა დაჯგუფების პირველი ცდა. დაჯგუფების პრინციპი ნათელი არ არის. მასთან, აქ გამორჩენილია ახვახური ენა, რომელიც შეცდომით ხუნძური ენის „დასავლურ კილოდ“ არის მიჩნეული.

რ. ერკერტისეული მასალა (არა მხოლოდ ანდიური). როგორც ცნობილია, შეკრებილია ანკეტური მეთოდით და ჩაწერილია სხვადასხვა პირთა (არასპეციალისტთა) მიერ. ტრანსკრიფცია არათანმიმდევრულია. ერთი და იმავე თანხმოვნისათვის ნახშირია ხან ასოთა კომბინაციები, ხან მხოლოდ ერთი ნიშანი. საკუთრივ ანდიურ მასალაში თავს იჩენს, როგორც ანდის თქმისათვის სპეციფიკური მოვლენები, ისე ისეთი მოვლენებიც, რომლებიც უცხოა ამ თქმისათვის და დამახასიათებელია სხვა თქმებისათვის: ეტყობა, მასალის მიმწოდებელი პირები იყვნენ წარმომადგენლები სხვადასხვა თქმებისა (თუმცა, როგორც ირკვევა, მხოლოდ ზემოანდიური თქმებისა. ქვემოანდიური თქმებისათვის სპეციფიკური მოვლენები მასალაში თავს არ იჩენს). „გრამატიკული შენიშვნები“, რომლებიც ანდიურ ენას (და საერთოდ ანდიურ ენებს) შეეხება, მოკლებული არ არის ზოგ საყურადღებო დაკვირვებასა და განზოგადებას (მასალის ანალიზში რ. ერკერტს სხვა პირი შევლოდა, როგორც ამის შესახებ „წინასიტყვაობაში“ ვკითხულობთ).

პირველი მონოგრაფია ანდიური ენის შესახებ ეკუთვნის ა. დირს<sup>1</sup>. იგი შეიცავს: წინასიტყვაობას (გვ. I—VII). ფონეტიკას („ანდიური ენის ბგერათა შესახებ“ — გვ. 1—4), მორფოლოგიას (გვ. 4—77), ტექსტებს რუსული თარგმანით (გვ. 78—112) და ლექსიკონს (ანდიურ-რუსულს [გვ. 113—169] რუსულ-ანდიური ინდექსით [გვ. 180—200]). ნაშრომს ერთვის „რამდენიმე ანდიური სიტყვის [სულ 127 სიტყვ.] შედარება ანდიურ-დიდოური ჯგუფის შესაბამის სიტყვებთან“ (გვ. 170—179). ამრიგად, ნაშრომი შე-

<sup>1</sup> А. Дирр, Краткий грамматический очерк андийского языка с текстами, сборником слов. Тифлис, 1906. ჯერ დაიბეჭდა СМОШК-ში (Вып. XXXVI, отд. IV. Тифлис, 1906, გვ. 1—200), შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნადაც.

დგება 200 გვ. + VIII გვ. (აქედან ანდიურის ფონეტიკასა და მორფოლოგიას უჭირავს 77 გვ.).

ა. დირის ნაშრომი ემყარება ანდიური ენის ან დის თქმის მასალის ანალიზს. ნაშრომს ერთვის რამდენიმე ნიმუში (ტექსტების სახით) ლალათლის თქმისაც.

მიუხედავად ზოგი ნაკლისა მასალის სიზუსტისა და მასში გარკვევის მხრივ (იხ. ქვ. § 21), ა. დირის ეს შრომა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ანდიური ენის (მისი ერთ-ერთი თქმის) ფონეტიკური სისტემისა და მორფოლოგიური სტრუქტურის შესახებ. თვითონ ა. დირი უჩივის დამხმარე პირებს: სრულიად მოუმზადებელი იყვნენ მუშაობისათვის, რის გამოცო, წერს იგი, იძულებული ვიყავი არაერთი საკითხი ანდიური გრამატიკისა გაურკვეველი დამეტოვებინა, მაგრამ იმედი მაქვს, კვლავ მომეცემა საშუალება დავუბრუნდე ამ ენასაო<sup>1</sup>. ა. დირი კვლავ აღარ დაბრუნებია ანდიური ენის შესწავლას, მაგრამ უფრო გვიან მან მოგვცა თავისი შრომის მოკლე გადმოცემა გერმანულ ენაზე<sup>2</sup>.

ბ. ტრუბეტკოის გამოკვლევაში „აღმოსავლურ-კავკასიურ ენათა თანხმოვანთისტიკა“<sup>3</sup> მოცემულია „აღმოსავლურ-კავკასიურ“ (resp. ნახურ და დაღესტნურ) სხვა ენებთან ერთად ანდიური ენის თანხმოვანთა სისტემის ფონოლოგიური დახასიათებაც ტაბულითურთ (გვ. 40—42). ბ. ტრუბეტკოის ეს გამოკვლევა (ისევე, როგორც მისივე სხვა საყურადღებო გამოკვლევები ისტორიულ-შედარებითი ხასიათისა<sup>4</sup>) ანდიურის შესახებ ფაქტობრივი მასალის მხრივ ა. დირის ზემოხსენებულ შრომას ემყარება.

<sup>1</sup> „По этой причине я был принужден оставить невыясненными немало сторон андийск. грамматики, надеюсь, что мне удастся еще раз заняться этим языком“ (გვ. VI).

<sup>2</sup> A. Dirr, Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen. Leipzig, 1928 (ანდ. ენის მიმოხილვა გვ. 50—60).

N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkaukasischen Sprachen (იხ. უნდ. „Caucasica“, Fasc. 8, Leipzig, 1931).

<sup>4</sup> კერძოდ: 1) Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der nord-kaukasischen Sprachen. I. Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der awaro-andischen Sprachen (უნდ. „Caucasica“, Fasc. 3, Leipzig, 1926); 2) Les consonnes latérales des langues caucasiennes septentrionales („Bull. de la Société de Linguist. de Paris, t. XXIII, fasc. 3, № 70, Paris, 1922); 3) Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéthéono-lesghiennes (Caucasiennes-orientales) („Bull. de la Société de Linguist. de Paris, t. 20, fasc. 3, № 85, Paris, 1929).

ანდიური ენის რიკვანის თქმა შეისწავლა ი. სულეიმანოვმა. სათანადო შრომა, რომელიც წარმოადგენს ავტორის საკანდიდატო დისერტაციას, იძლევა ხსენებული თქმის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ მოვლენათა სისტემატურ ანალიზს. ნაშრომს ერთვის რამდენიმე ნიმუში რიკვანის თქმისა თარგმანითა და კომენტარებით<sup>1</sup>. ამ შრომისთვის დამახასიათებელია მდიდარი საილუსტრაციო მასალა და რიგი ფაქიზი დაკვირვება. აღსანიშნავია აგრეთვე ტ. გუდავას, დ. იმნაიშვილის, ელ. ლომთაძის, ზ. შაპოშვილის და ილ. ცერცვაძის კოლექტ. შრომა „ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ბგერათშესატყვისობისათვის“<sup>2</sup> და ტ. გუდავას შრომა „ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ხუნძურსა და ანდიურ ენებში“<sup>3</sup>. რომლებშიც გათვალისწინებულია ანდიური ენის მონაცემებიც<sup>4</sup>.

ანდიური ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხთა კვლევისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ცალკეული სხვა შრომები ახლო მონათესავე (პირველ ყოვლისა, დანარჩენ ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ) ენათა შესახებ. ეს და გამოყენებული სხვა შრომები მოხსენებული იქნება თავ-თავის ადგილას სათანადო საკითხთა შესახებ მსჯელობისას.

<sup>1</sup> დისერტაცია ავტორმა დაიცვა 1961 წ. VI-ს თბილისში — საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტიტუტში. იხ.: И. Г. Сулейманов, Грамматический очерк андийского языка. (По данным говора с. Риквани). Автореферат диссертации на соискание уч. степ. канд. филолог. наук. Научн. руковод. — доктор филолог. наук проф. Е. А. Божарев. Махачкала, 1960. ძირითადი წინაარსი დისერტაციისა გამოქვეყნებულია ავტორის შემდეგ წერილებში: 1) „Некоторые фонетические особенности рикванинского говора андийского языка“ (УЗНИИЯЛ Даг. фил. АН СССР. т. III. Махачкала, 1957); 2) „Ихэнное экзониме в андийском языке. (По данным говора с. Риквани)“ (იქვე, ტ. V, 1958); 3) „Некоторые вопросы андийского языка. (По данным с. Риквани)“ (იქვე, ტ. VI, 1959); 4) „Местопимение в андийском языке. (По данным говора с. Риквани)“ (იქვე, ტ. XI, 1962); 5) „Звуковой строй слога и слоговой строй слова в говорах андийского языка“ (იქვე).

<sup>2</sup> იხ. საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტ. III (IX) სამეცნ. სესიის თეზისები, თბილისი, 1952.

<sup>3</sup> Т. Е. Гудавя. Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках. Махачкала, 1959.

<sup>4</sup> ანდიური ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებს ეხება რამდენიმე ჩვენი — გამოქვეყნებული — წერაღიცი: 1) „ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის“ (იქვე, V, 1953); 2) „გრანტიკული კლასები ანდიური ენის კილოკავებში“ (იქვე, VI, 1954); 3) „მრავლობითი რიცხვის აღნიშვნის საშუალებანი ანდიურ ზმნაში“ (იქვე); 4) „ერთი ლატერალური თანხმოვანი და მისი შესატყვისი რეფლექსები დალესტნის ხუნძ.-ანდ.-დიდოურ ენებში“ (ზმნა. ტ. XIII, №7, 1952); 5) „ანდიური ენის კილოკავები“ (თხუ შრომები. ტ. 65, 1954); 6) „ბგერათცვლილებისათვის ხუნძ.-ანდ. ენებში. I. ა ხმოვნის ცვლილების შესახებ ხუნძ.-ანდ. ენებში“ (იქვე, IX—X, 1958); 7) „ბოლოკიდურ ხმოვანთა რედუქციისათვის ანდიურ ენებში“ (ზმნა, ტ. XXIII, № 2, 1959).

## ფ რ ნ ე ტ ი კ ა

### ხ მო ვ ა ნ თ ა ს ი ს ჯ ე მ ა

§ 8. ხ მო ვ ა ნ თ ა ს ი ს ჯ ე მ ი ს და ხ ა ს ი ა თ ე მ ა. ანდიურში, ისევე როგორც ხუნძურში, გარჩეულია ხუთი სადა ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ.

კლასიფიკაცია: 1: ა) წინა რიგის ი, ე; ბ) შუა რიგის ა; ც) უკანა რიგის უ, ო; 2: ა) ყველაზე ფართო (ლია) ა; ბ) საშუალო ლიაობის ე, ო; ც) ვიწრო (დახურული) ი, უ; 3: ა) ბაგისმიერი ო, უ; ბ) არაბაგისმიერი ა, ე, ი.

ხუთივე ხმოვანი შეიძლება გვეკონდეს სიტყვის თავშიც (ანზი „თოვლი“... ელლო „საქმელი“... იმა „მამა“... ორსი „ვერცხლი“, „ფული“... უნსო „ხარი“... — § 9), ბოლოშიც (რელა „ხელი“... წაე „სტუმარი“... ოხი „ბალი“... ბოწო „მგელი“... კოთუ „ცხენი“...) და შიგნითაც (ღანნი „ყვავი“... ლაენ „წყალი“... ჰინკაუ „თავი“... სოა „მელა“... წაუნ „არწივი“...). ე ხმოვანი სიტყვის ბოლოში იშვიათია (დასტურდება მხოლოდ ერთმარცვლიან სიტყვებში).

ხმოვნის თანხმოვანთან კომბინაციებიდან არც ერთ თქმაში არ გვხვდება ვ-ს მომდევნოდ ი, ხოლო თქმათა უმეტესობაში არც ე. (მოსალოდნელ შემთხვევებში: ვი → 'ვ'უ, ვე → 'ვ'ო — ასიმილაციის შედეგად — § 16). ზედიზედ ორი სრული ხმოვანი დასაშვებია, თუ მომდევნო მაგარ (ძლიერ) შემართვიანია (§ 9). ვიწრო ხმოვნები რედუქციის ტენდენციას იჩენენ (შეიძლება მოეკვეცოს სიტყვის ბოლოში და ამოღებულ იქნეს სიტყვის შიგნით --- §§ 12, 14). შედარებით ფართო ხმოვნები მეტ გამძლეობას იჩენენ ამ მხრივ. შეიმჩნევა გარკვეული მორფოლოგიური ფუნქციით ხმოვანთმონაცვლეობის ზოგი შემთხვევა (იხ. მორფოლოგია).

§ 9. ხ მო ვ ნ ი ს მ ა გ ა რ ი შ ე მ ა რ თ ე მ ა. ყოველი ხმოვანი სიტყვის თავში და აგრეთვე ხმოვნის მომდევნო პოზიციაში წარმოითქმის მაგარი (ძლიერი) შემართვით, ე. ი. მაგარი შემართვა აქვს ხმოვანს ყოველთვის, როცა მის წინ თანხმოვანი არ არის. ეს — ზოგადი — წესი მოქმედებს ხმოვნის წარმოთქმისას სიტყვის გარეშეც: ცალკე წარმოთქმული ხმოვანიც მაგარ შემართვიანია ('ა 'ე 'ი 'ო 'უ).



მაგარი შემართვის დროს ხმოვნის წინ შეიგრძნობა ლარინგალური თანხმოვანი: ანზი=ცანზი „თოვლი“, ელლო=ცელლო „საკმელი“, იმა=ციმა „მამა“, ორსი=ცორსი „ვერცხლი“, ფული, უნსო=ცუნსო „ხარი“... ბე'იდა=ბეციდა „მამაცი“; ბი'უნნუ=ბიყუნნუ „გადნობა“ (ბიყუნ „გადნა“)... თუ თავიიდურ ხმოვანს ისევ ხმოვანი მოსდევს, ორივე მაგარ შემართვიანი იქნება: უ'ე'ეაუ=ყუყყე'ეაუ „ქათამი“... მაგარი შემართვა ხმოვნის მომდევნო ხმოვნისა უფრო მკვეთრადაა გამოხატული (ასეთ პოზიციაში გვევლინება, როგორც დამოუკიდებელი თანხმოვანი — ხმოვანთგასაყარის როლში).

რაკი მაგარ შემართვიანი ხმოვანი სრულიად გარკვეულ პოზიციებში იჩენს თავს (იხ. ზემოთ) და ფონემას არ წარმოადგენს (ერთსა და იმავე პოზიციაში მაგარ შემართვიანი ხმოვანი არასდროს არ უპირისპირდება არამაგარ ანუ რბილ შემართვიან ხმოვანს), ამიტომ მისთვის სპეციალური განმასხვავებელი ნიშანი შეიძლება არც ვიხმაროთ<sup>1</sup>.

§ 10. **ზრძელი ხმოვნები.** გრძელი ხმოვნები ზოგ თქმაში შეიძლება მივიღოთ ორი ერთნაირი ხმოვნის შერწყმით (როცა მათ შორის თანხმოვანია დაკარგული და მომდევნო ხმოვანს არა აქვს მაგარი შემართვა). ასეთი წარმოშობის გრძელ ხმოვნებს ვხვდებით რიკვანის თქმაში<sup>2</sup>, უფრო იშვიათად — სხვა თქმებშიც: მაგალითები:

<sup>1</sup> ა. დ. ი. ხმოვნის მაგარ შენართვას სიტყვის თავში არასდროს არ აღნიშნავენ (ანზი=ანზი „თოვლი“, იმა=ინა „მამა“...), მაგრამ აღნიშნავენ ზოგჯერ სიტყვის შიგნით (ბე'ი'ი'ა=ბეციდა „მამაცი“...), ი. ს. უ. ლ. ე. მ. ა. ხმოვნის მაგარ შემართვას აღნიშნავენ ყველა პოზიციაში (ზ ნიშნით): ზ. ლ. მ. ა. = ცინა „მამა“... ბი. უ. უ. უ. = ბიყუნნუ „გადნობა“...

ი. ს. უ. ლ. ე. მ. ა. ხმოვნის მაგარ შემართვას ანდიურში (და ხუნძურში) უდგება მარცვლის აგებულების თვალსაზრისით და იძლევა შემდეგს განხორგადებას: „Все гласные звуки, составляющие начало и среднего и среднего слогов, как исконных, так и заимствованных слов авдийского языка (как и анарского), произносятся с твердым приступом“ (Автореферат, გვ. 5. ხაზი ჩვენა. — ი. ც.). შეიძლება შევნიშნოთ, რომ მაგარი შემართვა აქვს არა მხოლოდ სიტყვის თავიიდურ და შუა მარცვლების დასაწყის ხმოვანს (როგორც ამას ი. ს. უ. ლ. ე. მ. ა. ფიქრობს), არამედ სიტყვის ბოლოკიდური მარცვლის დასაწყის ხმოვანსაც (ანდ. ბი-ყუნ „გადნა“... ხუნძ. რი-ყი „ზაფხული“...), ე. ი. მარცვლის აგებულების თვალსაზრისით ფაქტობრივ ზუსტი იქნებოდა შემდეგი განხორგადება: მაგარი შემართვა აქვს ყოველ ხმოვანს. რ. ო. მ. ე. ლ. ი. ც. მ. ა. რ. ც. ვ. ა. ლ. ს. ი. წ. ყ. ე. ბ. (მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიციაშია მარცვალი: სიტყვის თავში, შუაში თუ ბოლოში).

<sup>2</sup> Я. С. Улейманов, Автореферат, გვ. 5.

რიკვ. ლ'ნ (შდრ.: ანდ., ლალ. ლ'იბი, მუნ. ლ'ივი) „გადახტა“, კნრ (შდრ. ხუნძ. კაბარ) „იატაკი“ (მიწური)... ლალ., ქვანხ. ჯრ ← ჯიპი<sup>1</sup>. რიკვ. ენ<sup>1</sup> ← ეიპი (შდრ. ანდ. იპი) „გააკეთა“...

გრძელი ხმოვანი ზოგჯერ მიიღება ორი სხვადასხვა ხმოვნისაგანაც (აო → ა ო ო): აფექტიური ბრუნვის ო დაბოლოება წინამდებულ ა ხმოვანთან უშუალო შეხვედრისას (მათ შორის თანხმოვნის დაკარგვის შედეგად) რიკვანისა და მუნების თქმებში იძლევა გრძელ ა-ს, ქვანხიდათლის თქმაში — გრძელ ო-ს: რიკვ. აოცაბჰ ← აოცაბაო (შდრ. ანდ. აოცაბაბო) „ღებსა“... მუნ. აეშიეჰ ← აეშიეაო (შდრ. ანდ. აოშიბაბო) „ქალიშვილებსა“... ქვანხ. იმადო ← იმადაო (შდრ. ანდ. იმობაბო) „მამებსა“...

§ 11. ხმოვანთა ნაზალიზაცია. ხმოვანთა ნაზალიზაცია ანდიურ თქმებში არ არის თანაბრად გავრცელებული: არაიშვიათია შემთხვევა, როცა სათანადო თქმის (თუ თქმების) ნაზალიზებული ხმოვნის ნაცვლად სხვა თქმაში (თუ თქმებში) გვაქვს არანაზალიზებული (ორალური) ხმოვანი, რომელსაც, თავის მხრივ, შეიძლება დამატებით ახლდეს (უშუალოდ მოსდევდეს) ნაზალური თანხმოვანი (ანდა შეიძლება არც ახლდეს ასეთი თანხმოვანი). ამრიგად, თქმათა შორის დასტურდება ფარდობები: ა) აე ო ა + ნ, ბ) აე ო ა<sup>2</sup> (აქ ა აღნიშნავს ნებისმიერ არანაზალიზებულ ხმოვანს, აე — ნებისმიერ ნაზალიზებულ ხმოვანს, ა + ნ — არანაზალიზებულ ხმოვანს მომდევნო ნაზალური თანხმოვნით). მაგალითები:

ა) აე ო ა + ნ: ლალ. იეცვი — ანდ. ინციი „წყარო“; ლალ. უესა — ანდ. ონსა, მუნ. უნსა „თბილი“; რიკვ. წაოე — ანდ., ლალ. წაონ „მარილი“; მუნ., ზილ. ქუე — ანდ., ლალ. ქუნ, ქვანხ. ქუმი „ქედილა“; მუნ. წაუე — ანდ. ლალ. წაუნ, ქვანხ. წაუმი „არწივი“ და სხვ.

მონაცვლეობა აე ო ა + ნ სათანადო თქმებში დასტურდება ზოგჯერ სიტყვის ფორმაციების დროსაც; შდრ., მაგალ.: ლალ., რიკვ. ზილ., მუნ. ზიე „ძროხა“ — ზინ-ოლ „ძროხები“... მუნ. ქუე „ქედილა“ — ქუნ-დული „ქედილები“... ქვანხ. დან „რამე“, „ნიეთი“ — და-ილ „ნიეთები“, „რამეები“ და სხვ.

ბ) აე ო ა: ლალ., რიკვ., მუნ., ქვანხ. და ა. შ. წიდეა — ანდ. წიდეა „თხა“; ლალ., მუნ., ქვანხ. და ა. შ. სეე — ანდ. სეე<sup>2</sup> „დათვი“; ლალ.,

<sup>1</sup> შდრ.: ქვანხ., ლალ. ჯი. რიკვ. ეი (მოკლე ო ხმოვნით) „არის“.

<sup>2</sup> შდრ.: ლალ. და ა. შ. სეე „დათვი“ — სე-ე „ერთი“ (აქ ნაზალიზებული ხმოვნის დაპირისპირება არანაზალიზებულთან განასხვავებს სიტყვებს), ხოლო ანდის თქმაში ეს სიტყვები გარეგნულად ერთმანეთს ემთხვევა: სეე „დათვი“ — სე-ე „ერთი“.

რიკვ., ზილ. და ა. შ. ზივ'უ' — ანდ. ზივ'უ', ქვანხ. ზიმუ „ძროხა“; ლალ., ზილ., ქვანხ. და ა. შ. ჰიჰიჰი — ანდ. ჰიჰი „მსხალი“; მუნ. ხეჰ — ანდ., ლალ. ხ'ვ'ოჰ, ზილ. ხეჰ „ძაღლი“; მუნ. მიჰჰარი — ანდ., ლალ. ზილ. და ა. შ. მიჰარ „თავი“ და სხვ. (მონაცვლეობა ან || ა სიტყვის ფორმაცვალებისას არ შეიმჩნევა).

ნაზალიზებული ხმოვნის უშუალო მომდევნოდ არც ერთ თქმაში (და სიტყვის არც ერთ ფორმაში) ნაზალური თანხმოვანი არ გვხვდება (ე. ი. არ დასტურდება: ან + ნ)<sup>1</sup>. ამის მიზეზი თვით ნაზალიზებული ხმოვნის წარმომავლობაში უნდა ვეძიოთ (იხ. ქვ.).

ყველა შემთხვევაში, როცა სხვადასხვა თქმებში (და სიტყვის სხვადასხვა ფორმებში) ერთმანეთს ენაცვლება ნაზალიზებული ხმოვანი (ან) და შესაბამისი არანაზალიზებული ხმოვანი მომდევნო ნაზალური თანხმოვნით (ან + ნ), ნაზალიზებული ხმოვანი მიღებულია არანაზალიზებულ ხმოვანში მომდევნო ნაზალური თანხმოვნის შერწყმით (ამ უკანასკნელის დასუსტების შედეგად)<sup>2</sup>: ე. ი. ან ← ა + ნ: ლალ. იეცაი ← ინცაი (შღრ. ანდ. ინცაი) „წყარო“, რიკვ. წაონ ← წაონ (შღრ.: ანდ., ლალ. წაონ) „მარილი“ და ა. შ. (იხ. ზემოთ 1) ფარდობის საილუსტრაციო მაგალითები).

შენიშვნა. ხმოვანთა შორის ნაზალური თანხმოვნის დასუსტების შედეგად შეიძლება მივიღოთ ნაზალიზებული დიფთონგები: უჰე, იჰე და ა. შ.; მაგალ.: მუნ., ზილ. ქუჰე (← ქუჰი ←

<sup>1</sup> სამკრისპირო განჯაგება (ნ-ჩან) არ აქვს განმარტებული.

<sup>2</sup> როგორც ეს ივარაუდება სხვა ინტრიუტო-კავკასიურ ენებშიც; იხ.: K. B. Ломтадзе, А. С. Чикобава, Пберийско-кавказские языки (БСЭ<sup>1</sup>, ტ. 17, გვ. 251); N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkaukasischen Sprachen. ცალკეულ ანდოურ-დიდოურ ენებში: ტ. გუდაეა, ერთი რიგის თანხმოვანთა ცვლილებებისათვის აენძურ-ანდიურ ენებში (ბმპ. ტ. XXII, № 1, 1959); З. М. Магомедбекова, Вопросы фонетики ахвазского яз. (იკვ. VII, გვ. 291); Э. А. Ломтадзе, Анализ кануч-гувзиб. яз. (იკვ. VIII, გვ. 33); ნახური ჯგუფის ენებში: А. Schiefner, Versuch über die Thuseh.-Sprache...; Ю. Д. Дешериев, Балтийский язык. Москва, 1953, გვ. 45; რ. გაგუა, ზოგიერთი ფონეტიკ. პროცესი ბაცხური ენის ხმოვნებში (იკვ. VIII, გვ. 475—476); დ. იმნაიშვილი, ხმოვანთა ასიმილაციის ზოგი სახე ნახური (ჩახური) ჯგუფის ენებში (იკვ. XIII, გვ. 238).

ზოგ ავტორს დასაშვებად ჰიჩნია ნაზალიზებული ხმოვნის არსებობა პრადალენტურ ენაში: Е. А. Бокарев, Введение в срэвнит.-историческое изучение дагестанских языков. Махачкала, 1961, გვ. 82; შღრ. ან შრომის შესახებ ი. სულეიმანოვის რეცენზია (ВЯ. 1962, № 3, გვ. 141); რეცენზენტი არ ეთანხმება ასეთ დაწვებას მისაღები არგუმენტებით.

ქუნი) „ქედლა“... რიკვ., ლაღ., მუნ. ზივე (← ზიჲუ ← ზინუ) „ძროხა“... ნაზალიზებულ დიფთონგებში ნაზალური ტემბრით წარმოითქმის არა მარტო სრული ხმოვნები, არამედ მომდევნო ნახევარხმოვნებიც.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა თქმათა მიხედვით ერთ-მანეთს ენაცვლება ნაზალიზებული ხმოვანი (აე) და შესაბამისი არა-ნაზალიზებული ხმოვანი მომდევნო ნაზალური თანხმოვნის გარეშე (ა): არანაზალიზებულ ხმოვანს სათანადო თქმებში შესაძლებელია გავლილი ჰქონდეს ნაზალიზაციის საფეხური; ე. ი.: ა ← აე (← ა + ე): ანდ. სეჲ ← სეჲე (← სენი) „დათვი“ და მისთ. (იხ. ზემოთ ს) ფარდობის საილუსტრაციო მაგალითები). ასეთ შემთხვევებში ნაზალური თანხმოვანი დაკარგულია უკვალოდ.

ნაზალიზებული ხმოვნები ყველაზე ხშირად გვხვდება აულ რიკვანის თქმაში. აქ ხმოვნის ნაზალიზაციას შეიძლება იწვევდეს ორივე ნაზალური თანხმოვნის (ნ, მ) დასუსტება<sup>1</sup> მაშინ, როდესაც სხვა თქმებისათვის დამახასიათებელია უმთავრესად ნ-ს დასუსტებით გამოწვეული ნაზალიზაცია.

ბაგისმიერი ნაზალური მ-ს დასუსტებასა და მით გამოწვეულ ხმოვნის ნაზალიზაციას აულ რიკვანის თქმაში სისტემატური ხასიათი აქვს ინტერვოკალურ პოზიციაში; მაგალ.: გაჲჲჲ (← გაჲჲჲ) ← გაჲჲჲჲ (შდრ. ანდ., ლაღ. და ა. შ. გაჲჲჲჲ) „კამეჩი“; ბეჲოჲჲჲჲ ← ბეჲოჲჲჲჲ (შდრ.: ანდ. ბეჲოჲჲჲჲ, ლაღ. ბეჲოჲჲჲჲ) „ლოგინები“ და სხვ. როცა ნაზალური მ სუსტდება ორ ერთნაირ ხმოვანს შორის (ან კიდევ ა და ა ხმოვანთა შორის), ვიღებთ გ რ ძ ე ლ ნ ა ზ ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ხ მო ვ ა ნ ს: ბახოჲჲ (← ბახოჲო) ← ბახოჲო (შდრ.: ანდ., ლაღ. ბახოჲო) „თუ შეკერავს“: თაჲქო (← თაჲაქო) ← თაჲაქო „თამბაქო“... ჰაჲროხა (← ჰაჲაროხა) ← ჰაჲოროხა (შდრ.: ანდ., ლაღ. ჰაჲოროხი) „ვირი“... (შდრ. § 10).

დასუსტებული ნაზალური მ თანხმოვანი სიტყვის ფორმაცვალებისას არაინტერვოკალურ პოზიციაში აღდგება და მაშინ ხმოვნის ნაზალობაც მოიშლება: სოჲჲ (← სოჲილ) ← სოჲ-ილ „მანეთები“, „მანეთიანები“ --- მაგრამ: სოჲ „მანეთი“ (თურქ. სოჲ)...

მ-ს დასუსტება აულ რიკვანის თქმაში ერთ-ერთი იმ რიგის მოვლენაა, რაც ამ თქმაში დაკავშირებულია ბაგისმიერ თანხმოვანთა არტიკულაციის დასუსტებასთან (§ 33).

ნაზალიზებულ ხმოვნებს ყველაზე იშვიათად ვხვდებით აულ ანდის თქმაში: ნაზალური თანხმოვანი, რომლის დასუსტებით

<sup>1</sup> Я. Г. Сулейманов, Автореферат, გვ. 8.

სხვა თქმებში ნაზალიზებულ ხმოვნებს ვიღებთ, აულ ანდის თქმაში უმეტეს შემთხვევაში ან დაცულია უცვლელად ან დაკარგულია უკვალოდ (მაგალითები იხ. ზემოთ).

ნაზალიზებული ხმოვნები აულ ანდის თქმაში შეიძლება გვეკონდეს ზოგ ხმაბაძვითს სიტყვასა და შორისდებულში (ისევე. როგორც სხვა თქმებშიც): ჰოპოედუ „ჰიხვინი“; ჰოინედუ „ჰროყინი“, უეედუ „ჰვილი“ (→ უეე-ცაუ „ჰათამი“)... ჰუე „ჰო!“, „დიახ!“ (შორისდ. დადასტურებ.)<sup>1</sup>...

§ 12. სრულხმოვნობა სიტყვის ბოლოში და მისი ვაზღუდვანი. ანდიურში (და სხვა ანდიურ ენებში) სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვნები საერთოდ უკეთაა დაცული, ვინემ ხუნძურში: ხშირია შემთხვევა. როცა ხუნძურში სიტყვის ბოლოში თანხმოვანია. ხოლო ანდიურში — თანხმოვანი პლუს ესა თუ ის ხმოვანი<sup>2</sup>. რამდენიმე მაგალითი:

ანდ. ბოწო (ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., კარატ., ჭამალ., ბაგვალ. ბაწა. ახვახ. ბაქა)<sup>3</sup> — ხუნდ. ბაწ „მგელი“:

ანდ. ვოშო (ბოთლიხ., ღოდობ., ბაგვალ., ახვახ., კარატ. ვაშა. ტინდ.. ჭამალ. ვაა) — ხუნდ. ვას „ვაეიშვილი“:

ანდ. როკვა (ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., ბაგვალ., კარატ. რაკვა, ჭამალ. ხაკვა) — ხუნდ. რაკ „გული“:

ანდ. უნსო (ბოთლიხ., ღოდობ., კარატ. უნსა, ტინდ., ჭამალ. მუსა, ახვახ. მუსა) — ხუნდ. ოც „ხარი“:

ანდ. ლეკუ (ბოთლიხ. ცეკუ. ღოდობ. ლეკუ) — ხუნდ. ტოკ- „მეტი“, „ზედმეტი“:

ანდ. ზებუ (ღოდობ. ზიბუ. ტინდ. ზებუ) „დღე“ ხუნდ. ზობ „ცა“:

ანდ. მიგაჟუ (ბოთლიხ. მიგვაჟუ. ღოდობ. მიგაჟუ, კარატ. მინგვაჟუ) — ხუნდ. მეგეტ „წვერი“ (сирια):

<sup>1</sup> შდრ. А. Дурр. Анл. яз. გვ. 2. ნაზალიზებული ხმოვნები ხმაბაძვითს სიტყვებსა და შორისდებულებში გვევდება ხუნძურშიც (კროოდ. ჩრდილო-ხუნძურში). რომელსაც სხვა სიტყვებში ასეთი ხმოვნები არ ახასიათებს (И. Усеп, Анар. яз. გვ. 9—10). ხუნძურის ნაზალად ჰიდურ კილოკავში დასტურდება ნაზალური თანხმოვნის დასუსტების შედეგად მიღებული ნაზალიზებული ხმოვნები (И. Миканлов. Сравнит.-ист. фонетика авар. диалектов, გვ. 146: არნ. ჩიკობავა. ჰიდური კილოკავის თავისებურებანი. 1942 (ხელნაწ.); „ხუნდ. ენა“ გვ. 23. 283).

<sup>2</sup> იხ. „ხუნდ. ენა“. § 21. ბოლოკიდურ ხმოვანთა მოკვეცის მიზეზის შესახებ ხუნძურში იხ. იქვე.

<sup>3</sup> ფრჩხილებში შესაძარებლად მოგვეყავს შესატყვისი ფუძეები სხვა ანდიური ენებიდანაც, რომელთაც აგრეთვე დაცული აქვთ ბოლოკიდური ხმოვნები.

- ანდ. მულ'ა (ახვან. მილ'ო, კარატ. მულ'უ) — ხუნდ. მალ' „ფრჩხილი“;  
 ანდ. ლორა (ბოთლიხ. ცალა, ღოდობ. ლალა, ტინდ. ბაგვალ. ცარა, ახვან. ტ'არა) — ხუნდ. ტორ „თავთავი“;  
 ანდ. კორა (ტინდ. ბაგვალ. კარა) — ხუნდ. გაქარ „დეკეული“;  
 ანდ. ტენტა (კარატ. ტუნტა, ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ. ტუნტუ) — ხუნდ. ტუტ „ბუზი“;  
 ანდ. მოკვო „სკამი“ (ბოთლიხ., ჭამალ. მაკვა) — ხუნდ. ბაკ „სკამი“; „ადგილი“;  
 ანდ. რუტო (ბოთლიხ., ღოდობ. რუტაი, ტინდ. რუტა, ახვან., კარატ. რუტე) — ხუნდ. რუტა „უღელი“, „ხელკავი“;  
 ანდ. ჰაყაუ (ბოთლიხ. ჰანყუ) — ხუნდ. რუყ „სახლი“;  
 ანდ. ჰინკაუ (ბოთლიხ. ჰინკავა, კარატ. ჰეკავა, ღოდობ. ჰიქავა) — ხუნდ. გუნკა „თავი“;  
 ანდ. ლაჟუ (ახვან. ლაჟა, ტინდ., კარატ. ლაჟუ, ბოთლიხ., ღოდობ. ლაჟი) — ხუნდ. ლეჟ „მკლავი“;  
 ანდ. რეშუ (ბოთლიხ. რუნ'უ, ღოდობ. რუშა, ტინდ. როჰა, ჭამალ. ვონ'ა, ახვან. რუშა, კარატ. როხ'ო) — ხუნდ. როხ' „ტყე“;  
 ანდ. რეკაუ — ხუნდ. ნაკა „ფიჭვი“;  
 ანდ. რელუ (ბოთლიხ. რეყუ, ღოდობ. ლელუ, ტინდ. რელუ, ახვან. რეტ'უ, კარატ. რელყუ) — ხუნდ. ნატ „წყრთა“;  
 ანდ. ბორწოი (ახვან. ბოწო, კარატ. ბოწაუ, ბოთლიხ. ფუწაუ, ღოდობ. ფუცაუ, ტინდ. ბოცაუ) — ხუნდ. მოწა „მთვარე“, „თვე“;  
 ანდ. მიწოი (ბოთლიხ., ახვან. მიწოი, კარატ. მაწოი, ღოდობ. მიცოი) — ხუნდ. მაწა „ენა“<sup>1</sup>...

ამავე დროს თვით ანდიური ენის თქმათა მონაცემები გარკვეულ სხვაობასაც ამტკიცებენ ამ მხრივ: ყველა ანდიური თქმა ხუნდურთან შედარებით უფრო სრულხმოვანია, მაგრამ ერთმანეთთან შეპირისპირებით — მეტ-ნაკლებად სრულხმოვანი.

ა) ზემოანდიურ თქმათა უმეტესობაში (კერძოდ: ანდის, ლალათლისა და აგრეთვე ჩანხოს, ზილოს თქმებში) სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში შეიძლება გვექონდეს მხოლოდ შემდეგი თანხმოვნები: რ, ლ, შ, ნ და ბ, — ე. ი. სონანტები და ერთიც ჩქამიერი. (სიტყვის ბოლოში გვხვდება ნახევარხმოვნებიც [ჟ და ვ], მაგრამ ყოველთვის როგორც დიფთონგთა სუსტი კომპონენტები — § 16).

<sup>1</sup> არაინვიათად ხანვანი სიტყვის ბოლოში შეიძლება გვექონდეს. როგორც ანდიურში. ისე ხუნდურშიც: ანდ. ჰინწო — ხუნდ. ჰეწო „ქვე“. ანდ. მოყო — ხუნდ. მაჭო „კრწილი“, ანდ. ისო — ხუნდ. ნისო „ყველი“, ანდ. გედუ — ხუნდ. კეთო (ანწუხა. გეთუ) „კატა“, ანდ. რაჟი — ხუნდ. რაჟი „ნიღრი“ და სხვ.

რამდენიმე მაგალითი აღნიშნულ თანხმოვნებზე გათავებული სიტყვებისა (აულ ან დის თქმიდან).

რ: სორ „მელა“; ხურ „ყანა“, წერ „სახელი“, ზარ „ყინული“, ყაირ „ხორბალი“, შაირ „ფისი“, კორ „ქერშველი“, იპურ „ტბა“, ლაღორ „ღელე“, ლენშაურ „ფქელი“, ბელირ „ირემი“, მაჰარ „ცხვირი“...

ლ: კოლ „პირი“, სოლ „კბილი“, ლ'ოლ „ნალი“, „ძირი ფეხსაცმლისა“, „კვალი“, ქვოლ „სახელო“, ბილ „მთა“, ძალ „ფაფარი“, ჩილ „ნეხვი“, რელილ „ფეხი“, მილულ „ზურგი“, როლალ „ტანსაცმელი“, გუნგულ „ქვაბი“, დუნგილ „ორმო“, ლერჩოლ „ღრუბელი“...

შ: სიმ „ბაგე“, „ტუჩი“, სიმ „ნალველი“, ლომ „სახურავი“, იხუმ „მკედელი“, ბელიმ „კვერი“, ჰიტაიმ „ძირი“, „ფესვი“...

ნ: ლ'ენ „წყალი“, ლ'ინ „თმა“, ლან „პური“, წაონ „მარილი“, წაუნ „არწივი“, შენ „თესლი“, ჩონ „ნადირი“, ყენ „კედელი“, ჰონ „აული“, ქუნ „კედილა“, ყ'ონ „რქა“, ლუნ „ზვინი“, ბეჟუნ „ნემსი“, ბესუნ „დანა“, რეშინ „ცა“, „წელიწადი“, კორკონ „კვერციხი“...

ბ: ქაუბ „რკინა“, ყაებ „სახნისი“, შუბ „საფლავი“, შაიბ „ცვარი“, იხვობ „წისქვილი“, ლ'ახიბ „ფოთოლი“, შექიბ „ჩიტი“...

შეუძლებელი არ არის სიტყვის ბოლოში ხმოვანი მოსდევდეს რ, ლ, მ, ნ, ბ თანხმოვნებსაც (ფერა „ფუტკარი“, ტაირუ „ხიდი“, ტაური „კლდე“... ილა „დედა“, ჰოლი „ლობიო“, „ცერცივი“, ტულუ „ცული“... იმა „მამა“, ხვამი „თევზი“, წაუმუ „ნიავი“... ჟუნა „ნიკაპი“, ვარანი „აქლემი“... ზუბუ „ღლე“, ჰაბუ „ნახშირი“...), მაგრამ სხვა თანხმოვნებისაგან განსხვავებით აღნიშნულ პოზიციაში მხოლოდ ეს თანხმოვნები დასტურდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ს რ უ ლ ხ მ ო ვ ნ ო ბ ი ს (ღია მარცვლის) კ ა ნ ო ნ ი ს მ ო კ მ ე დ ე ბ ა ს ს ი ტ ყ ვ ი ს ბ ო ლ ო შ ი მ ხ ო ლ ო დ ე ს თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი შე ი ძ ლ ე ბ ა ზ ლ უ დ ა ვ დ ე ს.

ბ) ქვემოანდიურ თქმებში კი ხმოვანი სიტყვის ბოლოში შესაძლოა მაშინაც გვექონდეს, როცა იგი არა გვაქვს არც ერთ ზემოანდიურ თქმაში: ისეთ შემთხვევებშიც, როცა ზემოანდიურ თქმებში სიტყვათა ბოლოკიდურად რ, ლ, მ, ნ, ბ თანხმოვნებია, ქვემოანდიურ თქმებში, უფრო ხშირად მუნიბის თქმაში, ამ თანხმოვნებს შესაბამის სიტყვებში შეიძლება მოსდევდეს ხმოვანიც, — ჩვეულებრივ ვიწრო ი ხმოვანი; მაგალითები (აულ მუნიბის თქმიდან): სორი (შდრ. ანდ. სორ) „მელა“, ხური (ანდ. ხურ) „ყანა“ „ტენშაური

(ანდ. ლენშეურ) „ფქვილი“... კოლი (ანდ. კოლ) „პირი“, სოლი (ანდ. სოლ) „კბილი“; ბაკოლი (ანდ. ბაკოლ) -კუჭი“. ილ'ილი (ანდ. ილ'ილ) „ჩვენ“ (ინკლუზ.)... სინი (ანდ. სიმ) „ტუჩი“, „ბაგე“, ჩირონი (ანდ. ჩირონ) „ფოლადი“... შექივი ← შექიბი (§ 33) (ანდ. შექიბ) „ჩიტი“, სევი ← სები (§ 33) (ანდ. სებ) „ერთი“...

ქვემოანდიურ თქმათა ჩვენება გვაგვარაუდებინებს, რომ ზემოანდიურ თქმებში რ, ლ, შ, ნ, ბ თანხმოვნებზე გათავებულ ცალკეულ სიტყვებს მოკვეცილი უნდა ჰქონდეს ბოლოკიდური — ვ ი წ რ ო — ხმოვანი.

ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს სხვა ანდიური ენებიც, რომელთაც სათანადო სიტყვებში აგრეთვე ვოკალური დაბოლოება აქვთ (ჩვეულებრივ ვიწრო ხმოვნით)<sup>1</sup>. ჩამდენიმე მაგალითი; შდრ.:

ანდ. სორ — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ. სარი; კარატ. სარე<sup>2</sup>, ახვან. შარი „მელა“;

ანდ. ხარ — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ. ხარი, ახვან. ყარი „ყინული“;

ანდ. წაერ — ახვან., კარატ. წაერი, ღოდობ. ცაერი „სახელი“;

ანდ. ხურ — ბოთლიხ., ღოდობ. ხური. ახვან. ჭური „ყანა“;

ანდ. წულ — ღოდობ. წული, ახვან. ქული „ჯობი“;

ანდ. ლ'ოლ — ღოდობ.; ახვან. ლ'ალი; კარატ. ლ'ალე. ბოთლიხ.

პალი „ნალი“: „საძირე (ფეხსაცმ.)“;

ანდ. ლომ — ახვან. ტ'ამი; ტინდ. ყამი, კარატ. ყამე „საბურავი“;

ანდ. საიმ — ბოთლიხ., ღოდობ.; ტინდ., ახვან. საიმი; კარატ. საიმე „ნალღელი“; „ბოღმა“;

ანდ. სიმ — ბოთლიხ. სიმი; ტინდ. სიმუ, ახვან. შემე „ბაგე“, „ტუჩი“;

ანდ. პონ — ბოთლიხ., ახვან., ღოდობ. პანი, კარატ. პანე „სოფელი“; „აული“;

ანდ. ლან — ბოთლიხ. ლანი „პური“;

ანდ. წაონ — ახვან. წაანი, ბოთლიხ. წაანე ← წაანი „მარილი“;

ანდ. ჩონ — ბოთლიხ., ახვან. ჩანი „ნადირი“;

ანდ. ისეობ — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., კარატ. ხვაბუ (ახვან. ხვაბა) „წისქვილი“;

ანდ. ყაებ — ღოდობ. ყუბუ „სახნისი“;

ანდ. ქაუბ — ბოთლიხ., ღოდობ. ქაობი „რკინა“ და სხვ.

<sup>1</sup> ილ. ცერცვაძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა; რედუქციისათვის ანდიურ ენებში. ხმაშ, ტ. XXIII, № 2, 1959.

<sup>2</sup> სხვა ანდიურ ენათა • ხმოვანს სიტყვის ბოლოში კარატულში ზოგჯერ ენაცვლება, რაც შენიშნული აქვს ჯერ კიდევ რ. ერკერტს (Die Sprachen des Kaukas. Stam., გვ. 200). კარატულ ენასთან ანდიურის შეპირისპირებისას რ. ერკერტს შენიშნული აქვს ისიც, რომ „ანდიურს ხშირად კონსონანტური დაბოლოება აქვს კარატულის ვოკალური დაბოლოების ნაცვლად“-ო (იხ. იქვე).



გ) ერთ-ერთ ზემოანდიურ თქმაში. სახელდობრ, რიკვანის თქმაში, სიტყვათა ბოლოკიდურად შეიძლება გვექონდეს არა მხოლოდ რ, ლ, მ, ნ, ზ თანხმოვნები (და ნახევართანხმოვნები), არამედ სხვა თანხმოვნებიც, რომელთაც ზემოანდიურ დანარჩენ თქმებში (და ქვემოანდიურ თქმებშიც) ხმოვანი მოსდევთ<sup>1</sup>.

შედარება არკვევს, რომ ასეთ განსხვავებას სიტყვათა დაბოლოების მხრივ უმთავრესად ქმნის ბოლოკიდური ვიწრო ო ხმოვნის არქონა (ივარაუდება მოკვეცა) რიკვანის თქმაში და მისი ქონა (შემონახვა) დანარჩენ თქმებში; მაგალითები: ვოცა (შდრ.: ანდ., ლალ. და ა. შ. ვოცაი) „ძმა“, ჯოცა (ანდ. ჯოცაი) „და“, ინცა (ანდ. ინცაი) „წყარო“, მიწა (ანდ. მიწაი) „ენა“, ნოწა (ანდ. ნოწაი) „ტილი“, კუნწა (ანდ. კუნწაი) „ლექვი“, ფორწა (ანდ. ბორწაი) „მთვარე“, ლ'ანწა (ანდ. ლ'ანწაი) „ქიანჭველა“, მიჭა (ანდ. მიჭაი) „ქინქარი“, ბურჩა (ანდ. ფურ'ჩაი) „პილპილი“, რიტა (ანდ. რიტაი) „ხორცი“, ბეტა (ანდ. ბეტაი) „ბოსელი“, რელცილ' (ანდ. რელილ'ი) „ღვიძლი“, რესა (ანდ. რესაი) „საყლაპავი მილი“, თოკიშა (ანდ. თოკიშაი) „ჩოჩორო“, წირუა (ანდ. წირუაი) „ფოცხვერი“, მიყა (ანდ. მიყაი) „გზა“, მიჯ (ანდ. მიჯი) „ულვაში“, აჯ (ანდ. აჯი) „კერა“... -დ (ანდ. -დი) — ერგ. ბრ. დაბოლ.: იმუ-დ (ანდ. იმუ-დი) „მამამ“, -ლ' (ანდ. -ლ'ი) — ნათ. ბრ. დაბოლ.: ილუ-ლ' (ანდ. ილუ-ლ'ი) „ღეღისა“...

ამრიგად, სიტყვათა დაბოლოების მხრივ (კერძოდ, ვოკალურია დაბოლოება თუ კონსონანტური) ანდიურ თქმებს შორის თვალსაჩინო განსხვავებას აქვს ადგილი. როგორც შედარება არკვევს, ასეთი განსხვავება შეპირობებულია უმთავრესად ბოლოკიდური ვიწრო ო ხმოვნის მეტ-ნაკლები გამძლეობით სხვადასხვა თქმებში<sup>2</sup> (დანარჩენი ხმოვნები ამ მხრივ სტაბილურობით ხასიათდებიან და იშვიათად თუ ქმნიან ანალოგიურ განსხვავებას).

<sup>1</sup> И. Г. Сулейманов, Звуковой строй слога и слоговой строй слова в говорах адыгского языка. УЗИИЯЛ Даг. фил. АН СССР, т. XI, Махачкала, 1962, გვ. 156.

<sup>2</sup> ბოლოკიდური ვიწრო ხმოვნის რედუქციის ტენდენცია მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ახასიათებს სხვა ანდიურ ენა-კილოებსაც: შდრ.: А. Бокарев, Чамал. яз., გვ. 16—17, 20, 34—36; ტ. გუდავა, ერთი რიგის თანხმოვანთა ცვლილებებისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში (სმამ, ტ. XXII, № 1, 1959, გვ. 113); З. Магомедбекова, О фонетических особенностях южного диалекта ахвахского яз. (იქტ. XIII, გვ. 283); ილ. ცერცვაძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა რედუქციისათვის ანდიურ ენებში (სმამ, ტ. XXIII, № 2, 1959).

შევევ ტენდენცია ცნობილია ქართულ ენებშიც (სვანურში. ქართული ენის მთის კილოებში. ინგილოურში).

§ 13. ზიწრო ი ხმოვნის ღატვა ნასესხებ სიტყვათა გო-  
ლოში. ანდიური ენის სრულხმოვნობას (ღია მარცვლის კანონის  
მოქმედებას) აუსლაუტში — შესაბამისი შეზღუდვებით სხვადასხვა  
თქმებში — ამჟღავნებს ნასესხები სიტყვებიც.

თანხმოვნით გათავებულ (ან ასეთად აღქმულ) ნასესხებ სიტ-  
ყვებს ანდიურში შეიძლება დაერთოს ვიწრო ხმოვანი *ი*. მისი ფუნქ-  
ცია ფონეტიკურია; ღია მარცვლის წარმოქმნა აუსლაუტში<sup>1</sup>.

ბუნებრივია, თუ, ამ მხრივ, ნასესხები სიტყვები სათანადო თქმებ-  
ში იმავე წესს ემორჩილება, რასაც — საკუთარი მარაგის სიტყვები.  
(§ 12); ასე:

ანდის, ღალათლისა და სხვა ზემოანდიურ თქმებში რიკ-  
ვანის თქმის გამოკლებით (იხ. ქვ.) ნასესხები სიტყვები დაირთავენ *ი*  
ხმოვანს, თუ სიტყვათა ბოლოკიდურად არა გვაქვს *რ, ლ, მ, ნ, ზ*  
თანხმოვნები; შდრ.: ა) ხმოვანი არ დაერთვის (*რ, ლ, მ, ნ, ზ*  
თანხმოვნებით გათავებულ სიტყვებს): ჩაქარ „შაქარი“, ჰუნარ „უნა-  
რი“, ბაზარ „ბაზარი“... უშქოლ „სკოლა“... სომ „მანეთი“..., ხაან  
„ქსოვილი“... ზაქონ „კანონი“, მაშინ „მანქანა“, ზიჯან „ზიანი“...  
ქულუბ „კლუბი“... ბ) ხმოვანი დაერთვის (ყველა დანარჩენი-  
თანხმოვნით გათავებულ სიტყვებს): ადათი „ადათი“, საყათი „სა-  
ათი“, მუნუთი „წუთი“, ალლაჰი „ღმერთი“, ქერფეჩი „აგური“,  
ქაზიჯათი „გაზეთი“, ქოლხოზი „კოლმეურნეობა“, ქუფეცაი „ვაქა-  
რი“, ქეფექი „კაპიკი“, ღალბაწი (← ხუნძ. ღალბაწ) „ლომი“, გა-  
მუში „კამეჩი“ და ა. შ.

ქვემოანდიურ თქმებში (მეტადრე კი მუნიბის თქმაში) ნა-  
სესხებ სიტყვებს ღიაობის *ი* ხმოვანი შეიძლება დაერთოს შეუზღუ-  
დავად ყოველგვარი თანხმოვნის შემდეგ (ე. ი. *რ, ლ, მ, ნ, ზ* თან-  
ხმოვნების შემდეგაც, რომელთაც არც ერთ სხვა თქმაში არ და-  
ერთვის ასეთი ხმოვანი).

ხოლო რიკვანის თქმაში ღიაობის *ი* ხმოვანი არ დაერთვის  
არც *რ, ლ, მ, ნ, ზ* თანხმოვნებითა და არც სხვა თანხმოვნებით  
გათავებულ ნასესხებ სიტყვებს — ისევე, როგორც ხუნძურში — იხ. ქვ.)-

ხუნძურში თანხმოვნით გათავებულ ნასესხები სიტყვები, რო-  
გორც წესი, არ დაირთავენ ღიაობის *ი* ხმოვანს (ქირფიჩი „აგური“,  
ქოლხოზი „კოლმეურნეობა“, უშქულ „სკოლა“, ალლაჰი „ღმერთი“.

<sup>1</sup> თანხმოვნით გათავებულ ნასესხებ სიტყვებს, როგორც ცნობილია, ქართულ-  
შიც დაერთვის *ი* ხმოვანი, რომლის ფუნქცია მორფოლოგიურია:  
სახელობითი ბრუნვის ნიშანია (ტრაქტორ-ი).

ჭადათ „ადათი“, საჭათ „საათი“, ქულუბ „კლუბი“ და ა. შ): ხუნძურ ენაში (და ანდიურის რიკვანის თქმაში), ჩანს, არ მოქმედებს ღია მარცვლის კანონი აუსლაუტში.

§ 14. ხმოვნის ამოღება სიტყვის შიგნით. ანდიურისათვის უცხოა ფუძეში ხმოვნის ამოღების ისეთი შემთხვევები, რაც ახასიათებს ხუნძურს სიტყვის ფორმაცვალებისას, კერძოდ, არსებით სახელთა ერთფუძიანი („არქაული“) ტიპის ბრუნებისას და მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოებისას (ქალათ „ქალალდი“, „წერილი“ — ნათ. ბრ. ქალთ-რღ ← ქალათ-ილ — მრ. სახ. ქალთ-ალ ← ქალათ-ალ... ტიპისა. — შეიძლება ამოღებულ იქნეს ხუთივე ხმოვანი, ხმოვნის ამოღების მიზეზი მახვილია)<sup>1</sup>.

ანდიურში ცალკეულ სიტყვებსა და სიტყვის ფორმებში შეიძლება ამოღებულ იქნეს უმთავრესად ვიწრო ხმოვანი (უფრო ხშირად ი, ზოგჯერ უ-ც). შედარებით ფართო ხმოვნები გამძლეობას იჩენენ სიტყვის შიგნითაც (ისევე, როგორც სიტყვის ბოლოში — § 12).

ამოიღება თანხმოვნის მომდევნო ხმოვანი თავიდან მეორე ან მესამე და ა. შ. მარცვლისა თანხმოვნით დაწყებული მომდევნო მარცვლის წინ: ...*cvcr*(*c*) → ...*[v]cr*(*c*)<sup>2</sup>. ხმოვანი არასდროს ამოიღება თავიდან პირველ მარცვალში: ეს გამოიწვევდა სიტყვის თავში თანხმოვანთა შეყრას, რაც ამ ენისთვის უცხოა.

ხმოვნის ამოღების მაგალითებს ადასტურებს, როგორც ცალკეული სიტყვები (ფუძეები), ისე სიტყვის ფორმებიც.

სიტყვის ფორმებში ხმოვანი შეიძლება ამოღებულ იქნეს თანხმოვნით დაწყებული მარცვლის შემცველი ამა თუ იმ მორფემის წინ [როგორცაა, მაგალ., სუფიქსები: -დი (ერგ. ბრ.), -ლ'ი (ნათ. ბრ.)... -ბოლ (მრ. რ.)... -ღუ (ინფინიტ.) და ა. შ.]. რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი: ჰეკა „კაცი“ — ერგ. ჰეკაშაღი ← ჰეკაშა-უ-დი (შდრ.: მიც. ჰეკაშა-უ-ჲ, ნათ. ჰეკაშა-უ-ბ); აქ ერგატიულ ბრუნვაში -დი სუფიქსის წინ ამოღებულია უ ხმოვანი, რომელიც დაცულია მიცემითსა და ნათესაობითში ოდენ თანხმოვნის შემცველი სუფიქსების წინ... ადამ „ხალხი“ — ერგ. ადამ-დი ← ადამ-ი-დი,

<sup>1</sup> ილ. ცერცვაძე. მახვილი და ფუძეში ხმოვნის ამოღება ხუნძურში. თსუ ფილოლოგ. ფაკ. VI სამეცნ. სესიის თეზისები, თბილისი, 1960 წ.; „ხუნძ. ენა“, § 19, გვ. 26—27.

<sup>2</sup> *c* — თანხმოვანი, *v* — ხმოვანი: წერტილები(...) აღნიშნავს წინამდებარე მარცვალს (ან მარცვლებს), [v] — სინკაპირებულ ხმოვანს. (*c*) — თანხმოვანს. რომელიც მარცვლის ბოლოში შეიძლება იყოს ან არ იყოს (ე. ი. მომდევნო მარცვალი, რომლის წინ ამოიღება ხმოვანი, შეიძლება იყოს ღია ან დახურული).

ნათ. ადამ-ლ'ი ← ადამ-ი-ლ'ი (შდრ. მიც. ადამ-ი-ჟ): აქ ერგატისა და ნათესაობითში -ლი და -ლ'ი სუფიქსების წინ ამოღებულია ი ხმოვანი...

ცალკეულ სიტყვებში (ფუძეებში) ხმოვნის ამოღების მაგალითებს სათანადო თქმაში ამჟღავნებს შედარება; შდრ.: ანდ. ჟოშკა ← ჟოშკა (მუნ. ჟეშკა) „ქალი“, „ცოლი“; ინშადლე ← ინშაჟლე (ჭამალ. ისაჟდა, ხუნძ. შაჟგო) „ხუთი“; ანდ. სიბ'ი'რუ, რიკვ. სირბუ ← სიბრუ ← სიბორუ „შემოდგომა“ [შდრ. მუნ. სიბირუ „შემოდგომა“, ქვანხ. ციბირუ „ზამთარი“ (sic!)]]; ანდ. ბეხუმლულ ← ბეხუმულულ (შდრ. ზილ. ბეხუმულულ) „კული“...

ხმოვნის (კერძოდ, ვიწრო ი ხმოვნის) ამოღების მაგალითებს ანდიურ თქმებში ყველაზე ხშირად ვხვდებით აულ რიკვანის თქმაში: ხშირია შემთხვევა, როცა ცალკეულ სიტყვებს ხმოვანი დაკარგული აქვთ რიკვანის თქმაში და შემონახული — სხვა თქმებში: ანჟდი ← ანჟიდი (შდრ.: ანდ., ლაღ. და ა. შ. ანჟიდი)<sup>1</sup> „ნაჯახი“, ჰანკა ← ჰანტკა ← ჰანტიკა (შდრ.: ანდ., ლაღ. ჰანტიკა, ზილ. ანტიკა) „ყური“, ისიბოლ ← ისიბოლ (შდრ.: ანდ., ლაღ. ისიბოლ) „გვერდები“ (← ისიბ „გვერდი“)... ბეტადლე ← ბეტაიდლე (შდრ.: ანდ., ლაღ. ბეტაიდლე) „ხენა“, ბუყადლე ← ბუყაიდლე (შდრ.: ანდ., ლაღ. ბუყაიდლე) „ჭრა“ და<sup>2</sup> სხვ<sup>2</sup>.

ანდის, ლალათლის და სხვ. ზემოანდიურ თქმებში ვიწრო ი ხმოვნის ამოღებისათვის, ეტყობა, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ხმოვნის წინამავალი თანხმოვნის რაობასაც: ხმოვნის ამოღების მაგალითები აქ დასტურდება სონორი (რ, ლ, მ, ნ) თანხმოვნებისა და ზოგი ჩქამიერი თანხმოვნის (ბ, შ, ლ'ი) მომდევნოდ. ხოლო რიკვანის თქმაში ხმოვანი შეიძლება ამოღებულ იქნეს ყოველგვარი თანხმოვნის მომდევნოდ (რამიშე შეზღუდვა ამ მხრივ არ შეიმჩნევა)<sup>2</sup>. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოდგეს ზმნის ფორმებში თემატური ი ხმოვნის ამოღების მაგალითები — ანდისა და ლალათლის თქმებში მხოლოდ ზემოანდიური თანხმოვნების მომდევნოდ, ხოლო რიკვანის თქმაში — სხვა თანხმოვნების მომდევნოდაც (იხ. ზმნის უღვლილებასთან დაკავშირებით).

ხმოვნის ამოღების შემთხვევები იშვიათია მუნების თქმაში. ეს თქმა ყველაზე სრულხმოვანია ანდიური ენის თქმებში არა მხოლოდ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში (§ 12), არამედ სიტყვის შიგნითაც.

<sup>1</sup> ამ სიტყვაში ხმოვანი ამოღებულია ხუნძურშიც: შდრ.: ხუნძახ. ჭ ა შ ტ ი ← ჭ ა შ ი ტ ი, ანწუხ. ჭ ი ჟ დ ი ← ჭ ი ჟ ი დ ი (← ჭ ა ჟ ი დ ი) „ნაჯახი“.

<sup>2</sup> შდრ. Я. Г. Сухейманов, Звуковой строй слога и слоговой строй слова в говорах авт. яз., გვ. 154.

ჩანს, სათანადო თქმაში, რომელშიც ხმოვნის მოკვეცის შემთხვევები უფრო ხშირია, ხმოვნის ამოღების შემთხვევებიც შესაბამისად უფრო ხშირად დასტურდება და პირიქით.

თვით პროცესის ხასიათითაც ეს ორი ფონეტიკური მოვლენა (ხმოვნის სინკოპირება სიტყვის შიგნით და აპოკოპირება სიტყვის ბოლოში) არსებითად ერთი ზოგადი ტენდენციის შედეგი ჩანს: თანხმოვნის მომდევნო — ვიწრო — ხმოვნის გაუჩინარება (აბსორფცია).

§ 15. **ხმოვანთა ასიმილაციის შეხახვა.** ხმოვანთა ასიმილაცია, რასაც, როგორც ცნობილია, ინტენსიური ხასიათი აქვს ხუნძურში<sup>1</sup>, ანდიურში არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს. ანდიურისათვის უცხოა ხმოვანთა ასიმილაციის შემთხვევები სიტყვის ფორმაცვალებისას (ამა თუ იმ ხმოვნის შემცველ ფუძეს ისე შეიძლება დაერთოს სხვადასხვა ხმოვნის შემცველი მორფემები, რომ ხმოვნები ერთმანეთს არ დაემსგავსონ).

ხმოვანთა ასიმილაციის ცალკეულ მაგალითებს ანდიურში (ისტორიული ხანისათვის) ამჟღავნებს სხვა ენებთან შედარება:

მიწიი ← მაწიი (შდრ.: კარატ. მაწიი, ხუნძ. მაწი, ლაკ. მაწ და შ.) „ენა“;

მიხიი ← მახიი „ბორკილი“; „რკინის სამთეხა“: „სამაჯური“ და რკინის სხე. ნაკეთობა (შდრ.: კარატ. მახე, ხუნძ. მახხ, ლაკ. მახ ← მახხ „რკინა“);

რიტიი ← რატიი (შდრ.: არჩიბ. ატი, ტაბას., ლეზგ. აქ) „ხორცი“: მილიი ← მალიი (შდრ. ჩაჩნ. მალხ) „შე“ და ზოგი სხე.

აქ მოყვანილ მაგალითებში ასიმილატორ ხმოვნად გვევლინება ვიწრო ხმოვანი ი, რომელიც იმსგავსებს წინა მარცვლის მაქსიმალურად ფართო ა ხმოვანს.

ასიმილაციის აღნიშნული მაგალითებით ანდიური ენა --- რამდენადმე — ეხმაურება ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებს, რომლებშიც ვიწრო ხმოვნის მიერ ფართო ხმოვნის დამსგავსების შემთხვევები, როგორც ცნობილია, ხშირია<sup>2</sup>.

<sup>1</sup> A. Schiefner. Versuch über das Awarische, §§ 45—57: არხ. ჩიქობავა. საანგარიშო მოცხენება ხუნძური ენის ჰარულ კლასზე მუშაობის... (ენაშის მონაწილე, VI, 1939); Я. Г. Сулейманов. Явление обратного сингармонизма в аварском языке (ВЯ, № 2, 1960): „აუხდ. ენა“. § 23.

<sup>2</sup> არხ. ჩიქობავა. დასახ. წრ.: III. Н. Микаилов. Сравнит.-истор. фонетика авар. диалектов. Махачкала. 1958. გვ. 132. § 35: З. Джапридзе. Некоторые особенности речи с. Манас-аул и Аркас (ВЗННЯ. I. Даг, фил. АН СССР, т. III, Махачкала, 1957, გვ. 253); ილ. ცერცვაძე. შენიშვნები იუნძური ენის ფონეტიკიდან. I. ხმოვანთა ასიმილაციის თავისებურების შესახებ ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში (•კე, XI. გვ. 250—252): „აუხდ. ენა“. § 24, გვ. 23—35.

§ 16. დიფთონგები და მათი ცვლა. დიფთონგებს ვიღებთ ნახევარხმოვნების (ა. ვ [=ჟ]) შეერთებით სრულხმოვნებთან. ორივე ნახევარხმოვანი შეიძლება მოსდევდეს ან წინ უძლოდეს სრულ ხმოვანს.

დიფთონგები ხშირია სიტყვის ფორმებში, როცა ფუძისეულ ამა თუ იმ ხმოვანს დართული აქვს ნახევარხმოვნის შემცველი ესა თუ ის აფიქსი (მაგალ.: კლას-ნიშნები ვ, ა — პრეფიქსად ან სუფიქსად, მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ა — სუფიქსად და სხვ.).

ასეთ შემთხვევებში ზოგი მოსალოდნელი შეხამება ნახევარხმოვნისა სრულ ხმოვანთან შეიძლება შეიცვალოს სხვა შეხამებით: სუსტი კომპონენტი (ნახევარხმოვანი) ზოგჯერ იმგავსებს სრულ ხმოვანს. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ლ მ ა ვ ა ლ დიფთონგებში (დამავალ დიფთონგებში ასიმილაცია არ ხდება); მაგალითები (სანიშნოდ მოგვყავს ვ და ა კლასნიშნების შემცველ დიფთონგთა ცვლილებები):

ვი → 'ვ'უ: ვულიდუ ← ვილიდუ „დგომა“, ვუჭიდუ ← ვიჭიდუ „მოკვდომა“ (ზღრ. ბ კლასნიშნიანი ფორმები, რომლებშიც მომდევნო ი ხმოვანი დაკუთვნილია: ბილიდუ „დგომა“, ბიჭიდუ „მოკვდომა“)... — ასეთი ცვლილება ხდება ყველა თქმაში და, მასთან, სათანადო თქმაში უგამონაკლისოდ. ასე, რომ ვი დიფთონგი უცხოა ანდიურისათვის.

ვე → 'ვ'ო: ვეხაულა ← ვეხაულა „გრძელი“, ვეთა ← ვეთა „დატოვა“ (ზღრ. ბ კლასნიშნით: ბეხაულა „გრძელი“, ბეთა „დატოვა“)... — ასეთი ცვლილება თქმათა უმეტესობაში (კერძოდ, ანდის, ლალათლის, რიკვანის... თქმებში) ხდება უგამონაკლისოდ. მხოლოდ მუნიბისა და ზილოს თქმებში შესაძლებელია გვექონდეს ვე დიფთონგი: ვეხაულა „გრძელი“...

შენიშვნა. ნახევარხმოვანი ვ ბაგისმიერი სრული უ და ო ხმოვნების წინ ჩვეულებრივ უჩინარდება (თუ მისი შემონახვა აუცილებელი არ არის მორფოლოგიური საჭიროებით). ანდის თქმაში ვ მეტ გამძლეობას იჩენს ო-ს წინ, ვინემ უ-ს წინ (დანარჩენ თქმებში ვ-ს. პოზიცია თანაბრად სუსტია ორივე ბაგისმიერი ხმოვნის წინ).

აუ → აი: აილინუ ← აულინუ „წასვლა“, აიჭიინუ ← აუჭიინუ „გაქცევა“ (ზღრ. ბ კლასნიშნით: ბულინუ „წასვლა“, ბუჭიინუ „გაქცევა“)... — ცალკეული მაგალითები ასეთი ცვლილებისა ყველა თქმაში დასტურდება. სისტემატური ხასიათი კი მას არც ერთ

თქმაში არა აქვს: ზოგ სიტყვაში შეუძლებელი არ არის გვექონდეს აუ დითონგიც (აუხიილუ „გამოჩენა“...)¹.

ა ← აე. ამის მაგალითები სპორადულია: ღაღ., ქვანხ., მუნ. აეცოი ← ააცოი „ღა“, აეში ← ააში „ქალიშვილი“ (შდრ.; ხუნძ. ააცო „ღა“, აას „ქალიშვილი“; ანდიური ენის ანდისა და ზილოს თქმებში: აოცოი ← ააცოი „ღა“, აოში ← ააში „ქალიშვილი“; რომლებშიც ა → ა ცვლილება აიხსნება არა წინამავალი ა ნახევარხმოვნის გავლენით, არამედ წარმოადგენს უფრო ზოგადი ხასიათის მოვლენას — § 18)².

ზემოაღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით აქვე მოგვყავს ორივე ნახევარხმოვნის (ა, ვ) ხუთივე სრულ ხმოვანთან (ა, ე, ი, ო, უ) ყველა შეხამება, რაც სიტყვის სხვადასხვა ფორმებში შეიძლება დასტურდებოდეს:

ა) აღმავალი დითონგები:

ა) ა — ნახევარხმოვნიანი:

აა (→ || აე)

აე

აი

აო

აუ (→ || აი)

ბ) ვ — ნახევარხმოვნიანი:

ვა

ვე → 'ვ'ო

\*ვი → 'ვ'უ

'ვ'ო

'ვ'უ

ბ) დამავალი დითონგები:

ა) ა — ნახევარხმოვნიანი:

აა

ეა

ია

ოა

უა

ბ) ვ — ნახევარხმოვნიანი:

ავ

ევ

ივ

ოვ

უვ

დითონგები იშვიათად გვხვდება სიტყვათა ძირებშიც (ყველა შესაძლო ვარიანტი, რასაც სიტყვის ფორმაცვალება იძლევა, სიტყვათა ძირებში არ დასტურდება): თაა „კვიცი“, ჰაამან „ცხვარი“, ღაჟა „ხბო“ (1—2 წლ.)... რეა „ეზო“, რეაბუ (ღაღ. რიბუ) „გაზაფხული“... აააა „ბებია“, „ბებიკო“...

¹ შდრ. ხუნძურში: ააკანა ← აუკანა „იყო“, აისანა ← აუსანა „დაბრუნდა“ (აუ → აი ცვლილებას სისტემატური ხასიათი არც ხუნძურში აქვს).

² შდრ. რიკვანის თქმაში: აეში ← ააში „ქალიშვილი“ (ისევე როგორც ღაღათლისა და სხვ. თქმებში), მაგრამ: ააცო „ღა“: ასინილატია არ ხდება (ისევე, როგორც ანდისა და ზილოს თქმებში).

დიფთონგები მიიღება ორი სხვადასხვა ხმოვნის უშუალოდ შეხვედრისას (როცა მათ შორის თანხმოვანია დაკარგული) შედარებით ვიწრო ხმოვნის დასუსტების შედეგად: რიკვ. წაეკოაღლ (← წაეკოილ) ← წაეკობილ (შდრ. ანდ. წაეკობილ) „თითები“... მუნ., ქვანხ. ლ'უა (← ლ'უი) ← ლ'უდი (შდრ. ანდ. ლ'უდი) „შეშა“... რიკვ. ჯვოლ (← ჯუოლ) ← ჯუბოლ (შდრ. ანდ. ჯუბოლ) „ჭუჭყიანები“, გაეშე (← გაეშე) ← გამუშე (შდრ. ანდ. გამუშეი) „კამეჩი“...

§ 17. მახვილი. ანდიურში გვაქვს სუსტი დინამიკური მახვილი (უფრო სუსტი, ვინემ ხუნძურში). სხვაობა მახვილიან და უმახვილო მარცვლებს შორის ოდნავ შესამჩნევია, რის გამოც სიტყვის მახვილი ხშირად ინთქმება სხვადასხვა ინტონაციებით (ფრაზის მახვილით)<sup>1</sup>.

მახვილის ადგილი სიტყვაში არ არის ფიქსირებული ერთ რომელიმე მარცვალზე და სიტყვათა ფორმებში შეიძლება იყოს მოძრაობა.

შეიმჩნევა ტენდენცია მახვილის ადგილის ფიქსირებისა და ხურულ მარცვალზე, როცა ასეთი მარცვალი სიტყვაში გვაქვს (დახურულ მარცვალზე მახვილი უფრო ინტენსიურიცაა; ხმის ამალღება უფრო საგრძნობია): იხვობ „წისქვილი“, ლადორ „ლეღე“, „ხევი“, ადამ „ხალხი“, ჰამან „ცხვარი“, ბელირ „ირემი“... ჰარკუ „თვალი“, ჰინწაუ „კარი“, ჰინკაუ „თავი“, ბორწი „მთვარე“, „თვე“, ტანკალა „კურდღელი“... თუ სიტყვაში დახურული მარცვალი ერთზე მეტია, მახვილი ჩვეულებრივ მომდევნო (ბოლო) დახურულ მარცვალზეა: გუნგულ „ქვაბი“, ლენსაბ „წარბი“, არკვრმ „კოვზი“, ლენშაურ „ფქვილი“... ამიტომ არის, რომ თანხმოვნით გათავებულ სიტყვებში მახვილი ყოველთვის ბოლოდან პირველ მარცვალზეა (მაგალითები იხ. ზემოთ); ასევე სიტყვის ფორმებში, რომელთა აბსოლუტურ ბოლოში თანხმოვნით გათავებული ესა თუ ის სუფიქსია, მახვილი ჩვეულებრივ ბოლო მარცვალზე ეცემა: კოთრლ „ცხენები“ (შდრ. კრთუ „ცხენი“), გედობრლ „კატები“ (შდრ. გედლ „კატა“)... ვულრნ „წავიდა“ (შდრ. ვულრნსაუ „არ წავიდა“), გირდრბ „დაწექ!“ გირდრბულ „დაწექით!“ (შდრ. გირდლ „დაწოლა“) და ა. შ.

<sup>1</sup> ამ მხრივ ანდიურა მახვილი მოგვაგონებს თანამედროვე ქართულის მახვილს. შდრ.: არნ. ჩიკობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში. ხმაშ, ტ. III, № 2, 3 (1942); ს. ფონეტიკ. ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები, ივე, V. 1953.



ოდენ ღია მარცვლების შემცველ სიტყვებსა და მათ ფორმებში მახვილის ადგილი თავისუფალია; ჰეკა „კაცი“, ვოზრ „ვაჭიშვილი“, მიჟარ „გზა“... მაგრამ: ბოწო „მგელი“ (ბოწუჲ „მგელსა“). მატუ „სარკე“, რხი „ბალი“, კეკუ „ორი“, ბოყოგუ „ოთხი“, კოთუ „ცხენი“ (ზოგჯერ რყევასაც შეიძლება ჰქონდეს ადგილი)<sup>1</sup>.

ეს ცნობები მახვილის შესახებ ეხება აულ ანდის თქმას. დანარჩენ ანდიურ თქმებშიც სუსტი დინამიკური მახვილი გვაქვს. განსხვავება ცალკეულ სიტყვებში შეიძლება შექმნას მახვილის ადგილ-მა (უფრო მეტად ღია მარცვლების შემცველ სიტყვებში). აულ მუნი-ბის თქმაში დომინანტობს ტონური მახვილი: აქ მახვილიანი ხმოვანი გამოიყოფა უფრო სიმაღლის მიხედვით, ვინემ სიძლიერის მიხედვით.

მახვილი ანდიურში არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ხმოვანთა ცვლილებებში: მახვილით გამოწვეული ცვლილებები ხმოვნებისა (თვისობრივი თუ რაოდენობრივი) არ შეიმჩნევა<sup>2</sup>.

**§ 18. ხმოვანთა შესატყვისობა.** ანდიური ენის შედარება დანარჩენ ხუნძურ-ანდიურ ენებთან ამფლავნებს ანდიური ენის ხმოვნის შესატყვისობას დანარჩენ ხუნძურ-ანდიურ ენათა ხმოვანთან; შდრ.:<sup>3</sup>

<sup>1</sup> შდრ.: „Ударение падает в большинстве случаев на первый слог. даже когда слово принимает суффиксы“ (А. Д и р р, Анд. яз., გვ. 2, § 2). თუ ვივარაუდებთ, რომ „პირველი მარცვალი“ აქ გულისხმობს ბოლო მარცვალს (ტრადიციული გაგებით). მაშინ ა. დირის ეს დებულება შეიძლება გამართლებული იყოს ნხოლოდ ბოლოთანხმევიან სიტყვათა (და ღრწათა) ჩვენებით (იხ. ზემოთ).

მახვილის შესახებ ანდიური ენის რიკვანის თქმაში ი. სულეინაშვილი აღნიშნავს: „В произношении риквантинцев мышечное напряжение в слогах слова распределяется равномерно, поэтому закрепленное место ударения в слове определить трудно“ (Я. Сулейманов, Автореферат, გვ. 5). ჩვენი დაკვირვებით, მახვილის მხრივ აულ რიკვანის თქმაში იგივე ვითარება უნდა გვეჩვენდეს, რაც აულ ანდის თქმაში (იხ. ზემოთ).

<sup>2</sup> შდრ. ხუნძურში მახვილიანმა ხმოვანმა შეიძლება განორწვიოს რიგი ცვლილება, კერძოდ: ასიმილაცია წინა ნარცვლის ხმოვნისა. ფუძეში ხმოვნის ანო-ლება (სინკოპირება). უმახვილო ბოლოკიდური ხმოვნის დაციწროება... (იხ.: „ხუნძ. ენა“. §§ 19, 22, 23: ილ. ცერცვაძე, მახვილი და ფუძეში ხმოვნის ამოღება ხუნძურ ენაში. თსუ ფილოლოგ. ფაკ. VI სანეცნ. სესიის თეზისები. თბილისი, 1960).

<sup>3</sup> ტ. გულდავა, დ. იმნაიშვილი, ე. ლონთაძე, ხ. მაჭომეძე-კოვა, ილ. ცერცვაძე, ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენალა ბგერათმეცნიერ-

ხუნდ. ვას — ბოთლიხ., ღოდობ., ბაგვალ., ახვას., კარატ. ვაშა, ტინდ., ჭამალ. ვაპა — ანდ. ვოშო „ვეთიშვილი“;

ხუნდ. ვაცა — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., კარატ., ახვას. ვაციი, ჭამალ. ვაცა, ბაგვალ. ვასა — ანდ. ვოციი „ძმა“;

ხუნდ. მაცა — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., კარატ., ახვას. მაციი, ჭამალ. მაცა, ბაგვალ. მასა — ანდ. მოციი (ღალ., მუნიბ., ქვანხ. მეციი ← მაციი)<sup>1</sup> „და“;

ხუნდ. მას — ბოთლიხ. მეში (← მაში), ღოდობ. მაში, ახვას. მაშე, ბაგვალ. მაშ, ტინდ. მაპა, ჭამალ. მაპ, კარატ. მახო — ანდ. მოში (რიკვ., ღალ., მუნიბ., ქვანხ. მეში ← მაში)<sup>1</sup> „ქალიშვილი“;

ხუნდ. ბასი „მოზვერი“ — ახვას. ბაშა — ანდ. ბოში „ნაშიერი“ (ცხოველის შვილი);

ხუნდ. ლ'აბ- — ბოთლიხ. პაბუ-, ბაგვალ. პაბ-, ღოდობ. ლ'აბუ-, ტინდ., კარატ., ახვას. ლ'აბ-, ჭამალ. ლ'აღა- — ანდ., ლ'ობ „სამი“;

ხუნდ. ანლ'- — ბოთლიხ. ინლ'ი (← ანლ'ი) და ა. შ., ჭამალ. ანლ'ი-, კარატ. ანლ'ი- — ანდ. ონლ'ი- „ექვსი“;

ხუნდ. ანტა- — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., ბაგვალ., კარატ. პატაუ-, ჭამალ., ახვას. ატაუ — ანდ. პოტაუ „შვიდი“;

[ხუნდ. იჟ- ← აჟ-?] — ბოთლიხ., ღოდობ. პაჟა, ჭამალ. აჟა, ტინდ., ბაგვალ., კარატ. პაჟა-, — ანდ. პოჟო „ცხრა“;

ხუნდ. ანწ- — ბოთლიხ., ღოდობ. ტინდ., ბაგვალ., კარატ. პაწა-, ჭამალ. აწა, ახვას. აჟა- — ანდ. პოწო- „ათი“;

ხუნდ. ბაწ — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., ჭამალ., ბაგვალ., კარატ. ბაწა, ახვას. ბაჟა — ანდ. ბოწო „მგელი“;

ხუნდ. რაკ — ბოთლიხ., ღოდობ., ტინდ., ბაგვალ., ახვას. რაკვა, ჭამალ. მაკვა — ანდ. როკო „გული“;

სობისათვის (ენათმეცნ. ინსტ. III (IX) სამეცნ. სესიის თეზისები, თბილისი, 1952, გვ. 32); ილ. ცერცვაძე. ბგერათცვლილებისათვის ხუნდურ-ანდიურ ენებში (იკვ. IX—X, 1959); Я. Г. Сулейманов. Некоторые фонетические особенности рикванинского говора андийского языка (УЗИИЯЛ Даг. фило. АН СССР. т. III. Махачкала, 1957, გვ. 269—270). უფრო ადრე რ. ერკერტს შენიშნული აქვს საკუთრივ ანდიური ენის ო სმოვნის შესატყვისობა ერთ-ერთი ანდიური ენის. კარატული ს, ა სმოვანთან — „როგორც სიტყვის თავში, ისე ბოლოსა და შიგნით“ (R. Erckert, Die Sprachen des Kaukas. Stam., II, გვ. 200).

<sup>1</sup> მეციი ← მაციი „და“, მეში ← მაში „ქალიშვილი“ (ასიმილაციის შედეგად) ანდიური ენის სათანადო თქმებში. ეტყობა, უფრო ადრეა მომხდარი, ვინემ სხვა თქმებში მოციი ← მაციი „და“, მოში ← მაში „ქალიშვილი“ (სპონტანური ცვლილება).

ხუნდ. რატა — ბოთლიხ. რატილ, ჟამალ. ჟატილ, ტინდ. ბაგვალ. რატა, ახვას. რატი — ანდ. რატი „ძელი“;

ხუნდ. ცა — ბოთლიხ., ტინდ. სალუ, ჟამალ. სალუ, ბაგვალ. სალ — ანდ. სოლ „ქბილი“;

ხუნდ. ჟარაც — ბოთლიხ. არცი, ღოდობ. არსი, ტინდ. ასი, ჟამალ. ას, ახვას. აჩი კარატ. არცე — ანდ. ორსი „ვერცხლი“, „ფული“;

ხუნდ. ჩან — ბოთლიხ., ტინდ., ახვას. ჩანი, კარატ. ჩანე; ბაგვალ., ჟამალ. ჩან — ანდ. ჩონ „ნადირი“;

ხუნდ. ჩან (სამხრ.-ხუნდ. ჩამ) — ანდ. ჩომ „რამდენი“;

ხუნდ. წან — ბოთლიხ. წაჲ, ღოდობ. ცაჲ, ტინდ. წაჲ, ჟამალ. წანი, ახვას. წანი, კარატ წაჲ (← წაჲ) — ანდ. წონ „მარილი“;

ხუნდ. ნაწა — ბოთლიხ., ახვას. ნაწი, ღოდობ., ტინდ. ნაცი, ბაგვალ., ჟამალ. ნაწა, კარატ. ნაწე — ანდ. ნოწი „ტილი“;

ხუნდ. მაჭო — ბოთლიხ., კარატ. მალა, ღოდობ. მაჭა, ახვას. მაყა, ჟამალ. მა — ანდ. მოყო „ცრემლი“;

ხუნდ. ჟაქარ — ტინდ., ბაგვალ. ქარა, ჟამალ. ქა — ანდ. ქორა „დეკეული“;

ხუნდ. რალ'ად „ზღვა“ — ბოთლიხ. რეჰა, ღოდობ. რელ'ა, ჟამალ. რელ'ა, ბაგვალ. რელჰა, ახვას. რალ'ა, კარატ. რელ'ა — ანდ. რელ'ო „ტბა“;

ხუნდ. რაჯ — ანდ. რაჯი „ორმო“;

ხუნდ. ლალ — ანდ. ლოლი „კალო“;

ხუნდ. ქათ — ანდ. ქათა „თათი“;

ხუნდ. ჰად — ანდ. ხ'ვ'ო (← \*ხ'ვ'ოდ) „ცაცხვი“;

ხუნდ. ქა — ანდ. ქონო „ყურძნის წვენი“, „სიროფი“;

ხუნდ. ჩირან — ანდ. ჩირონ „ფოლადი“;

ხუნდ. ახ — ბოთლიხ. ახი, ჟამალ. ახ, ბაგვალ. აჰ, ახვას. აჯი — ანდ. ოხი „ბალი“;

ხუნდ. ბაკ „ადგილი“, სკამი — ბოთლიხ., ჟამალ. მაკვა — ანდ. მოკვა „სკამი“;

ხუნდ. ჰა — ბოთლიხ., ღოდობ., ახვას., კარატ., ბაგვალ. ჰა — ანდ. ჰო „ეს“;

ხუნდ. ჰარ-იზე — ბოთლიხ. ხად-ი — ანდ. ხოდ-უ „თხოვნა“;

ხუნდ. მალ'ი-იზე — ბოთლიხ. მალ'ი... — ანდ. მოლ'ი-ი-დუ „სწავლება“;

ბოთლიხ., ღოდობ., ახვას. ჰანი, ტინდ. ჰანა, ჟამალ. ჰაჲ, ბაგვალ. ჰან — ანდ. ჰონ „აული“, „სოფელი“;

ბოთლიხ. კათუ; ტინდ. ქათუ; ბაგვალ. ქათჲ, ჟამალ. ჰათ — ანდ. კოთუ „ცხენი“;

ბოთლიხ., ლოდობ. მაკი, ტინდ. მ<sup>ა</sup>კა, ჭამალ. მაჭ, კარატ. მაკე — ანდ მოჭი „ბაეშვი“;

ბოთლიხ., ლოდობ. უნსა, ტინდ., ჭამალ. მუსა, ახვას. უსა [ხუნძ. ოც] — ანდ. უნსო „ხარი“;

ბოთლიხ. კარკანუ. კარატ. კარკან. ბაგვალ. კ<sup>ა</sup>კ<sup>ა</sup>ნ, ჭამალ. ჭა-  
კან — ანდ. კორკონ „კვერციხი“;

ბოთლიხ. ჰაქოუ. ლოდობ., ტინდ. ლ<sup>ა</sup>ჩოუ, კარატ. ლ<sup>ა</sup>ჭოუ, ახვას. ლ<sup>ა</sup>წო. ჭამალ. ლ<sup>ა</sup>წო; ბაგვალ. ჰაქოე — ანდ. ლ<sup>ა</sup>ჭოუ „ხმა“;

ლოდობ. ქვაწირ, ახვას. ქვაჭი — ანდ. ქოწი „ცოცხი“;

ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ. ჰანი — ანდ. ჰონუ „ტვინი“;

ტინდ. კ<sup>ა</sup>ნჩაი, ბაგვალ. კ<sup>ა</sup>ნშოე, ახვას. კანცოარა — ანდ. კონჩაუ „ხელიკი“;

ლოდობ. ლაბლა. ტინდ., ჭამალ., ბაგვალ. ლლა; კარატ. ლაბლა — ანდ. ლ<sup>ა</sup>ვ<sup>ა</sup>ობლ<sup>ა</sup>ვ<sup>ა</sup> „ტყის ქათამი“;

ბოთლიხ., ლოდობ., ჭამალ., კარატ., ახვას. ხვაჯ<sup>ა</sup>, ბაგვალ. ჰვაჯ — ანდ. ხ<sup>ა</sup>ვ<sup>ა</sup> „ძალი“;

ბოთლიხ., ლოდობ. ხარა-ში — ანდ. ხორა-შა „მეცხვარე“ (ანდ. ხოროლ [კრებ.] „ცხვარი“);

ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ., ჭამალ., ბაგვალ., კარატ. ჰანკვა — ანდ. ჰანკვა „ღურსმანი“;

ტინდ., ჭამალ. ბაკვალ — ანდ. ბაკვალ „ტყავი (საქონლისა)“;

ლოდობ. ლ<sup>ა</sup>ინსა; ტინდ., ჭამალ., კარატ. ლ<sup>ა</sup>ესა — ანდ. ლ<sup>ა</sup>ინსა „მდინარე“;

ბოთლიხ. რეჰა; ლოდობ., კარატ. რელ<sup>ა</sup>; ბაგვალ. რელჰა, ჭამალ. რელ<sup>ა</sup> — ანდ. რელ<sup>ა</sup> „ღამე“...

ცალკე აღსანიშნავია ისეთი მაგალითები, როცა ანდ. ო-ს შესატყვისად ა ხმოვანი ხუნძურში გვაქვს სიტყვათა გარკვეულ ფორმებში (კერძოდ. „ირიბ ბრუნეებში“, რომელთაგან ქვემოთ მოგვყავს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა; სახელობით ბრუნვაში კი სხვა ხმოვანია: ე ან ო)<sup>1</sup>:

ხუნძ. ცერ (ნათ. ცარ-ალ) — ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ. სარი, ჭამალ. ს<sup>ა</sup> (← სარ), ბაგვალ. სარ, კარატ. სარე, ახვას. შარი — ანდ. სორ „მელა“;

ხუნძ. რეტელ (ნათ. რატლ-ილ) — ბოთლიხ. რაყალ<sup>ა</sup>, კარატ. რალყარ — ანდ. როლალ „ტანსაცმელი“;

<sup>1</sup> ასეთ კონტექსტში ბენებრივია ვივარაუდოთ, რომ ხუნძურს სათანადო სიტყვათა ფუძისეული ხმოვანი პირველადი სახით დაცული აქვს სწორედ ირიბ ბრუნეებში (და არა სახელობით ბრუნვაში

ხუნდ. ჰოლო (ნათ. ჰალ-ილ) — მოთლიხ., ტინდ. ჰალი. ჰამალ.,  
ბაგვალ. ჰალ — ანდ. ჰოლი „ლობიო“; „ცერცი“;

ხუნდ. ჰობო (ნათ. ჰაბ-ილ) — მოთლიხ., ტინდ., ლოდობ კარატ.  
ხვაბუ. ჰამალ. ხვაბ, ბაგვალ. ჰვაბ — ანდ. იხეობ „წისკეილი“...

### შესატყვისობა ფორმანტებში:

ხუნდ. -ალ — ანდ. ოლ (მრ. რ. სუფ.): ხუნდ განშა-ალ — ანდ. გა-  
მუშა-ოლ „კამეჭები“;

ხუნდ. -ა — მოთლიხ., ლოდობ., ბაგვალ. -ა — ანდ. -ო (ბრძანებ.  
სუფიქსი): ხუნდ. ვაჰ-ა „მოდლი“ — მოთლიხ., ლოდობ., ბაგვალ. „ტინდ.,  
ჰამალ. იჰ-ა, კარატ. გაჰ-ა „გააკეთე!“ — ანდ. იჰ-ო „გააკეთე!“

ხუნდ. -ა — მოთლიხ., ლოდობ., ჰამალ., ბაგვალ., ახვან., კარატ.  
-ა — ანდ. -ო (ნამყოს თემატური ხმოვანი): ხუნდ. ბუჰ-ა-ნა — მოთ-  
ლიხ., ჰამალ. ბუჰ-ა, ლოდობ. ბუჰე-ა, კარატ. ბიჰე-ა, ახვან. ბიჰე-ა-  
რი — ანდ. ბიჰე-ო „იყო“.

ლოდობ., ტინდ., ბაგვალ. -ალ — ანდ. -ოლ (კაუზატივის სუფიქსი);

ტინდ., ბაგვალ., ლოდობ. -ა — ანდ. ო (აფექტიური ბრ. დამო-  
ლოება) და სხვ.

აღნიშნული შესატყვისობისათვის ამოსავალი უნდა იყოს ა ხმო-  
ვანი. ამას გვაფიქრებინებს, როგორც ხუნძურ-ანდიურ ენათა საერ-  
თო კონტექსტი (რომელშიც მხოლოდ ანდიური იძლევა გადახრას).  
ისე ზოგჯერ სხვა — არა ხუნძურ-ანდიურ — ენათა მონაცემებიც  
(რომლებიც სათანადო სიტყვებში ა ხმოვანს უჭერენ მხარს): შდრ.:

ხუნდ. ახ — მოთლიხ., ლოდობ. ახი. ახვან. აჯი და ა. შ. — ლაკ.  
აჯ<sup>1</sup>. დარგ. ანჯ — ანდ. ოხი ← ახი „ბალი“;

ხუნდ. ლ'აბ — მოთლიხ. ჰაბუ — ლოდობ. ლ'აბუ და ა. შ. —  
ლაკ. შან-<sup>2</sup>, დარგ. ჰაბ — ანდ. ლ'ობ ← ლ'აბ — „სამი“;

ხუნდ. ნაწა — მოთლიხ., ახვან. ნაწი და ა. შ. — ლაკ. ნაწ, არჩიბ.  
ნაწ. ბაკბ. მაწ... — ანდ. ნოწი ← ნაწი „ტილი“;

ხუნდ. ბაწ — მოთლიხ., ლოდობ., ტინდ., ბაგვალ. და ა. შ. ბაწა —  
ლაკ. ბარწ, ბაკბ. ბჰარწ... — ანდ. ბოწო ← ბაწა „მგელი“;

ხუნდ. მაჰო (← მაჰა) — მოთლიხ. მალა, ახვან. მაყა და ა. შ. — ლაკ.  
მაყ — ანდ. მოყო ← მაყო (← მაყა) „ცრემლი“;

<sup>1</sup> ამავე ფუნქს უნდა შეიცავდეს ქართ. ვენ-აჯ-ი (არნ. ჩიქობავა).

<sup>2</sup> შდრ. აგრეთვე ქართ. სამ-ი (Н. Я. Марр. Непечатный источник истории Кавказского мира, ИАН, VI серия. № 5. Петроград. 1917, გვ. 326).

ხუნდ. ჰა-|| ა- — ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ. და ა. შ. ჰა- — უდ., აღულ., ტაბას. ჰა- „ეს“ — აფხაზ. ა- (განმსაზღვრ. ნაწევ.)<sup>1</sup> — ანდ. ჰო-|| ო- ← ჰა-|| ა- „ეს“ და სხვ.

ა → ო ანდიურში შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ხმოვნის ველარიზაცია და ლაბიალიზაცია.

შესატყვისობა ანდ. ო ხმოვნისა დანარჩენ ხუნდ.-ანდ. ა ხმოვანთან. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, დასტურდება სიტყვის ყველა პოზიციაში (რაიმე შეზღუდვა ამ მხრივ არა ჩანს). მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს შესატყვისობა მაინც არ არის უგამონაკლისო. არის შემთხვევები, მასთან, არც თუ იშვიათი, როცა ა ხმოვანი სათანადო სიტყვებში უცვლელად მეორდება ანდიურ ენაშიც; შდრ., მაგალ.:

ხუნდ. წა — ბოთლიხ., ლოდობ., ბაკვალ. წაჲ, ტინდ. წა, ჰამალ. წა (← წარ), ახვახ. ჰარი, კარატ. წეჲ (← წაჲ) — ანდ. წა „ცეცხლი“; ხუნდ. წაჲ — ბოთლიხ. წაჲჲ, ლოდობ. ცაჲჲ, ახვახ. წაარი და ა. შ. — ანდ. წაჲ (ქვანხ. წაადარა) „წვიმა“;

ხუნდ. წაჲ — ბოთლიხ. წაჲჲ, ლოდობ. ცაჲჲ, ტინდ. ცაარუ, ახვახ. წაჲარი და ა. შ. — ანდ. წაჲ (ზილ. წაჲა, ქვანხ. წაალი) „ვარსკვლავი“;

ხუნდ. ჳაზო — ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ. ანზი, ჰამალ. ანზ და ა. შ. — ანდ. ანზი „თოვლი“;

ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ., ჰამალ., ბაკვალ., კარატ., ახვახ. ილა „დედა“, იმა „მამა“ — ანდ. ილა „დედა“, იმა „მამა“;

ხუნდ. რაჲი — ბოთლიხ., ლოდობ., ტინდ. და ა. შ. რაჲი — ანდ. რაჲი „ნიორი“;

ხუნდ. ლედო (ნათ. ლად-ი-ლ)<sup>2</sup> — ლოდობ. ლანდი, ბაკვალ. ლანდჲ — ანდ. ლანნი „ყვავი“;

ხუნდ. ლეჲ (ნათ. ლაჲ-ა-ლ)<sup>1</sup> — ბოთლიხ., ლოდობ. ლაჲი, ახვახ. ლაჲა, ჰამალ. ლაზ, ტინდ., კარატ. ლაჲუ, ბაკვალ. ლაჲჲ — ანდ. ლაჲუ „მკლავი“ და სხვ.

ჩანს, დანარჩენ ხუნდურ-ანდიურ ენათა ყოველი ა ხმოვანი არ იძლევა შესატყვისად ო ხმოვანს ანდიურში. თუ რით აიხსნება ეს, ცხადი არაა.

<sup>1</sup> N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, 15.

<sup>2</sup> ა ხმოვანი ამ სიტყვებში ხუნდურს, დასული უნდა ჰქონდეს ირიბ ბრუნვებში (საელობით ბრუნვაში ე ← ა).

**თანხმოვანთა სისტემა**

§ 19. ანდიური ენის თანხმოვნები და მათი კლასიფიკაცია. თანხმოვანთა რიცხვი ანდიურ თქმებში თანაბარი არ არის. თუ მხედველობაში გვექნება ყველა თქმის ჩვენება, გასარჩევი იქნება სულ 47 ძირითადი — თანხმოვანი.

**თანხმოვანთა ტაბულა<sup>1</sup>**

წარმოდების ადგილი		წარმოდების გვარობა										სონორები					
		ჩქაშიერი															
		ნშული				აორიკაცი				სპირანტი							
		ჭ რ უ		აბრუქ-ტივი		ჭ რ უ		ფშინ-ვიერი		აბრუქ-ტივი				შეღრა	ჭ რ უ		
მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	მუღრა	
ბაგისნიერი	ბ	ფ															
წინაენისნიერი:																	
ა) კბილისმიერი	ღ	ფ	ტ												რ	ნ	
ბ) სისინა						ჯ	ჩ	ჩა	ჭ	ჭა	შ	შა	ს	სა			
გ) შიშინა								ჩ	ჩა	ჭ	ჭა	შ	შა	ს	სა		
დ) ლატერალური								ლ	ლა	ლ'	ლა'	ლ	ლა	ლ'	ლა'	ლ	
წინაველარული	მ	ქ	ქა	კ	კა									რ			
უკანაველარული												ლ	ლ'	ლა	ლა'		
ფარინგალური								ქ	ქა	ყ	ყა	ჭ	ჭა				
ლარინგალური				ხ										ჰ			

§ 20. განსხვავება თანხმოვანთა მხრივ ანდიურ თქმებს შორის. ტაბულაში შეტანილი 47 თანხმოვნიდან ყველა ანდიურ თქმაში მეორდება 42 თანხმოვანი (სონორები: რ, ლ, მ, ნ; ვ, მ;

<sup>1</sup> ამ ტაბულაში ანდიური ენის თანხმოვნები ძირითადად ისევე დაჯგუფებული, როგორც შესაბამისი თანხმოვნები ხუნძური ენისა — „ხუნდ. ენაში“ (გვ. 38). შტრ. აგრეთვე: N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkaukasischen Sprachen, გვ. 41.

ჩქამიერები: ა) ხშულები: ბ, ფ; ღ, თ, ტ; გ, ქ, კჳ, კ, კჳ; ც; ს) აფრიკატები: ცა, წ, წჳ; ჯ, ჩ, ჩა, ჭ, ჭჳ; ლ', ლჳ; ჯ, ჯჳ; ც) სპირანტები: ზ, ს, სჳ; ყ, შ, შჳ; ლ', ლჳ; ხ', ხ, ხჳ; შ.

განსხვავებას თქმათა მიხედვით იძლევა 5 თანხმოვანი; ესენია: ტ', ც, ყ', ჯ, ჭ. ამათგან: ტ' (არამაგარი ლატერალური აბრუპტივი აფრიკატი) გვაქვს მხოლოდ ქვემოანდიურ თქმებში, ც (არამაგარი წინაენისმიერი სისინა რიგის ფშვინვიერი აფრიკატი) — ქვემოანდიურ თქმებში და ზოგ ზემოანდიურ თქმაშიც, ყ' (არამაგარი ფარინგალური აბრუპტივი აფრიკატი) — თქმათა უმეტესობაში (უცხოა იგი მხოლოდ ზილოსა თქმისათვის), ხოლო ჯ (ფარინგალური მჟღერი სპირანტი) და ჭ (ფარინგალური ყრუ სპირანტი) — სარადულად — გვხვდება ქვემოანდიურ თქმებსა და ზოგ ზემოანდიურ თქმაშიც (ზილოს, ჩანხოს თქმებში). ძველად ეს თანხმოვნებიც საერთო უნდა ყოფილიყო ყველა თქმისათვის. ამ თანხმოვანთა რეფლექსების შესახებ სათანადო თქმებში, რომელთათვის ისინი ამჟამად უცხოა, იხ. ქვ. (§§ 28, 30, 32, 35).

როგორც ჩანს, ქვემოანდიური თქმები თანხმოვნებით უფრო მდიდარია. ვინემ ზემოანდიური თქმები: ქვემოანდიურ თქმებში მოგვეპოვება ყველა ის თანხმოვანი, რომელიც ზემოანდიურ ამა თუ იმ თქმაშია, და, გარდა ამისა, ლატერალური ტ', რომელიც არა გვაქვს არც ერთ ზემოანდიურ თქმაში. ამიტომ ეს თანხმოვანი შეიძლება გამოდგეს ერთ-ერთ სადემარკაციო ფონეტიკურ ნიშნად ანდიურ თქმათა დაჯგუფებისათვის ზემოანდიურ და ქვემოანდიურ თქმებად (§ 5).

§ 21. ანდიური ენის თანხმოვანთა სისტემის ზოგადი დახასიათება. როგორც ტაბულიდან (§ 19) ჩანს, ანდიური ენის (იხევე, როგორც ხუნძური ენის<sup>1</sup>) ჩქამიერ თანხმოვანთა სისტემაში მთავარია დაპირისპირებები ცხრა საარტიკულაციო ადგილისა და სამი საარტიკულაციო რაგვარობის მიხედვით<sup>2</sup>.

საარტიკულაციო ადგილის მიხედვით გარჩეულია შემდეგი ლოკალიზებული რიგები: 1. ბაგისმიერთა, 2. კბილისმიერთა, 3. სისინათა, 4. შიშინათა, 5. ლატერალურთა, 6. წინაველარულთა, 7. უკანაველარულთა, 8. ფარინგალურთა,<sup>3</sup> 9. ლარინგალურთა.

<sup>1</sup> შდრ. „ხუნდ. ენა“, გვ. 38—39.

<sup>2</sup> დაპირისპირებათა შესახებ საარტიკულაციო ადგილისა და რაგვარობი მიხედვით იხ.: N. Trubetzkoy, Die Konsonantensysteme der ostkaukasischen Sprachen.

<sup>3</sup> ფარინგალურთა რიგში მეტი სიზუსტისათვის შეიძლება გამოვყოთ ორი წყება: ა) შედარებით წინა წარმოებისა: ჯ, ყ', ჯჳ და ბ) შედარებით უკანა (ღრვა) წარმოებისა: ჯ და ჭ (შ. გ ა ფ რ ი ნ და შ ვ ი ლ ი ს ექსპერიმენტული გამოკვლევის მონაცემებით).



საარტიკულაციო რაგვარობის მიხედვით არსებობს დაპირისპირებები: ა) მელერსა და ყრუს შორის, ბ) აბრუპტივსა და ფშვინვიერს შორის და გ) მაგარსა და არამაგარს შორის.

დაპირისპირება მელერებსა და ყრუებს შორის გატარებულია ხშულებშიც, აფრიკატებშიც და სპირანტებშიც, მაგრამ უფრო თანმიმდევრულად — ხშულებში: ყველა ყრუ ხშულს მოეპოვება შესაბამისი მელერი კორელატი (ბ, ჟ, გ) მაშინ, როდესაც არახშულებში (სპირანტებსა და მეტადრე აფრიკატებში) მელერი კორელატები ხშირად გვაკლია (იხ. ტაბულა).

დაპირისპირება აბრუპტივებსა და ფშვინვიერებს შორის გატარებულია მხოლოდ ყრუ ხშულებსა, და აფრიკატებში (სპირანტებში — არა: სპირანტები აბრუპტივებს არ განარჩევენ; ყველა ყრუ სპირანტი ფშვინვიერია<sup>1</sup>). მასთან, ეს დაპირისპირება უფრო თანმიმდევრულია აფრიკატებში, რამდენადაც ყველა ყრუ აფრიკატი განარჩევს შესაბამის ფშვინვიერ და აბრუპტივ კორელატებს მაშინ, როდესაც ხშულთა ზოგი ლოკალიზებული რიგი ამ მხრივ ხარვეზიანია (გვაკლია, კერძოდ, ბაგისმიერთა რიგის აბრუპტივი კ — იხ. ტაბულა).

დაპირისპირება მაგრებისა არამაგრებთან (რიგითთან) შეიძლება გვეკონდეს გარკვეული (და არა ყველა) ლოკალიზებული რიგის ყრუ თანხმოვნებში. მასთან, ხშულებშიც, აფრიკატებშიცა და სპირანტებშიც (პირველ ორში კი, როგორც ფშვინვიერებში, ისე აბრუპტივებში) (იხ. ტაბულა).

ზემოაღნიშნული სამი დაპირისპირებიდან ძირითადად მიიჩნევა პირველი ორი დაპირისპირება (მელერებსა და ყრუებს შორის და ფშვინვიერებსა და აბრუპტივებს შორის), რომელთა მიხედვით ხშულებსა და აფრიკატებში გაირჩევა სამი — ძირითადი — ტიპის თანხმოვანი: მელერი — ყრუ ფშვინვიერი — ყრუ აბრუპტივი (სამეულე ბ რ ი ვ ი სისტემა), ხოლო სპირანტებში — ორი — ძირითადი — ტიპის თანხმოვანი: მელერი — ყრუ 'ფშვინვიერი'<sup>1</sup> (წყვილეულე ბ რ ი ვ ი სისტემა).

შესამე დაპირისპირება (მაგრებისა არამაგრებთან) პირველ ორთან შედარებით არაძირითადია: იგი დამატებითი საკორელაციო ნიშნეულობის (კერძოდ, არტიკულაციის მეტ-ნაკლები ინტენ-

<sup>1</sup> ისევე, როგორც კართველურ ენებში (შდრ. ადიღურ ენებში სპირანტი აბრუპტივები).

სიურობის) მიხედვით გვახასიათებინებს ძირითადი ტიპის სათანადო თანხმოვნებს (მაგარი — არამაგარი ანუ რიგითი)<sup>1</sup>.

ამრიგად, თუ მიხედვლობაში გვექნება რავგარობის მიხედვით ყველა ზემოაღნიშნული დაპირისპირება (მათ შორის ძირითადიც და არაძირითადიც ანუ დამატებითი), სათანადო ლოკალიზებულ რიგში ოპტიმალურ შემთხვევაში შეიძლება გარჩეული გვექონდეს: ა) ხშულებსა და აფრიკატებში ხ თ ი ტიპის თანხმოვანი: მჟღერი (გ) — ყრუ ფშვინვიერი არამაგარი (ქ) || ყრუ ფშვინვიერი მაგარი (ქა) — ყრუ ამრუპტივი არამაგარი (ქ) || ყრუ ამრუპტივი მაგარი (ქა); ბ) სპირანტებში ს ა მ ი ტიპის თანხმოვანი: მჟღერი (ღ) — ყრუ 'ფშვინვიერი' არამაგარი (ხ) || ყრუ 'ფშვინვიერი' მაგარი (ხა).

მაგრამ ფაქტობრივ შედარებით იშვიათია შემთხვევა, რომ ყველა ეს კორელატი სათანადო ლოკალიზებულ რიგში სრულად იყოს წარმოდგენილი: „ცარიელი უჯრედებიც“, როგორც ტაბულიდან ჩანს, საკმაოდ ხშირია. ამისდა მიუხედავად, ანდიური ენის თანხმოვანთა სისტემა, რეკონსტრუირებული თვით ამ ენის თქმათა მონაცემებით (§ 19). მეტად ახლოსაა საერთო ხუნძურ-ანდიურ (და საერთო ხუნძურ-ანდიურ-დილოურ) თანხმოვანთა სისტემასთან, რომელსაც ამ ქვეჯგუფის ენა-კილოთა მონაცემები ალგვადგენინებს. ამ მხრივ ანდიური ენა, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე არქაული ენაა ხუნძურანდიურ(-დილოურ) ქვეჯგუფში.

შენიშვნები ა. დირის ტრანსკრიფციის შესახებ. ანდიური ენის თანხმოვანთა აღსანიშნავად ა. დირმა პირველმა იხმარა ერთიანი ტრანსკრიფცია (ი. გიულდენშტედტს, ი. კლაპროტს, რ. ერკერტს არათანმიმდევრულად აქვთ აღნიშნული ბგერები ცალკეულ სიტყვებში). ამისდა მიუხედავად ა. დირის შრომა, ამ მხრივ, არ არის დაზღვეული შეცდომებისა და გაუგებრობებისაგან. არის შემთხვევები, როცა ორი სხვადასხვა თანხმოვანი ფონემა სისტემატურად ერთი და იმავე ნიშნითაა აღნიშნული (ე. ი. განსხვავება თანხმოვანთა შორის არ არის შემჩნეული). ასე, მაგალ., ა. დირი ვერ ამჩნევს განსხვავებას მაგარ წა-სა და მაგარ ცა-ს შორის (ორივეს აღნიშნავს ღ ნიშნით)<sup>2</sup>, მაგარ ჭა-სა და მაგარ ჩა-ს შორის (ორივეს აღნიშნავს

<sup>1</sup> ძირითად (პირველად) და არაძირითად (მეორად) საკორელაციო დაპირისპირებათა შესახებ დაღესტნურ და ნახურ ენებში იხ. N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkaukasischen Sprachen.

<sup>2</sup> შდრ., მაგალ.: ღერ (= წ ბ ე რ) „სახელი“ (გვ. 160) და ნოღი (= ვ ო ც ბ ი) „მა“ (გვ. 113).

რ ნიშნით) <sup>1</sup>, არამაგარ ლ'-სა და მაგარ ლ'ა-ს შორის (ორივეს აღნიშნავს η ნიშნით <sup>2</sup>) <sup>3</sup>. მეორე მხრივ, სინამდვილეში არსებული ორი „ხ“-სათვის (არამაგარი ხ და მაგარი ხა) ა. ღირი სხვადასხვა სიტყვებში სამ სხვადასხვა ნიშანს ხმარობს (C, C', C'')<sup>4</sup>; ასევე ერთსა და იმავე არამაგარი კ-ს სხვადასხვა სიტყვებში აღნიშნავს ორი სხვადასხვა ნიშნით (κ და κ'), ერთი და იმავე ვ ფონემისათვის ხმარობს სამ სხვადასხვა ნიშანს (§ 34)<sup>5</sup>.

§ 22. ანდიური ენის თანხმოვანთა სისტემის უპიკისპირება ხუნძურისათვის. თანხმოვანთა სისტემა ანდიურსა და ხუნძურში ერთსა და იმავე პრინციპებს ემყარება<sup>6</sup>. განსხვავება თავს იჩენს „ცალკეულ დეტალებში“, რაც შეიძლება შექმნას ამა თუ იმ თანხმოვნის ქონა-არქონამ ერთ-ერთ ენაში. მასთან, თუ მხედველობაში გვექნება ორივე ენის კილო-ტექნათა ჩვენება, ასეთი განსხვავებაც მცირეოდენი აღმოჩნდება.

ქვემოთ მოგვყავს ანდიურისა, ხუნძურისა და ქართულის თანხმოვანთა სინოპტიკური ცაბულა.

<sup>1</sup> შდრ., მაგალ.: [si]-hi ( = [bi] - ჩ ბ ი დ უ ) „დაქრა“ (გვ. 164) და [cy]-chi (= [by] - კ ბ ი ნ უ ) „გაქვე“ (იქვე). ა. ღირის ეს შეცდომა შეიძლება იმით აიხსნას, რომ განსხვავება მაგარ ფენიფიერებას (ცა, ჩა) და მაგარ აბრუპტივებს (წა, ჰა) შორის გაცილებით ნაკლებია. ვინემ შესაბამის არამაგარ ფენიფიერებას (ც, ჩ) და აბრუპტივებს (წ, ჰ) შორის: იხ. N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten...

<sup>2</sup> შდრ., მაგალ.: hi (= ღინ ) „თმა“ (გვ. 167) და hi (= ლ'ენ ) „წყალი“ (გვ. 166).

<sup>3</sup> ა. ღირის ტრანსკრიფციის ზეზოსხემაზე შეცდომათა შესახებ ნ. ტრუბეტკოვი შენიშნავს, რომ „შეზოლოდ შედარებითი ფონეტიკის მემფეობით“ თუ შეიძლება ასეთ არე-დარეულობაში (Wirrarr) გარკვევა და ფონოლოგიურ მიმართებათა დადგენა“-ო: იხ. მისი. Die Konsonantsysteme der ostkavkas. Sprachen, გვ. 41). უნდა ითქვას, რომ ნ. ტრუბეტკოვი, რომელსაც ანდიური ენა უშუალოდ არ შეუწავლია, ამას ხშირ შემთხვევაში. მართლაც, ახერხებს (სწორად შედარების კითხი!).

<sup>4</sup> რომელთაგან პირველი მათგანი ნახმარია ყოველთვის არამაგარი ხ-სათვის, ხოლო ორი უკანასკნელი — ხან არამაგარი ხ-სათვის, ხან მაგარი ხა-სათვის.

<sup>5</sup> შდრ., მაგალ.: ko (= კოლ ) „მარხვა“ (გვ. 135). და ko (= კოლ ) „პირი“ (გვ. 136). ა. ღირის ტრანსკრიფციის ამ უზუსტობას ემყარება ნ. ტრუბეტკოვის ფაქტობრივი თვალსაზრისით მცდარი განზოგადება, რომ, თითქმის, ანდიურში კ ფონემის ორი ფონეტიკური ვარიანტი გვექნდეს (უკანაველარული კ და პალატალური კ'): შდრ.: N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme... გვ. 41.

<sup>6</sup> ამას აღნიშნავენ ა. ღირიცა და ნ. ტრუბეტკოვიც: A. Дирр, Анд. аз., გვ. II; N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkavkasischen Sprachen, გვ. 40—42; მისივე, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten, § 3.



ქართულთან შედარებით ხუნძურისა და ანდიურისათვის სპეციფიკურია — ქართულისათვის უცხო — ლატერალური (ლ', ლ<sup>ჰ</sup>; ლ', ტ', ტ<sup>ჰ</sup>), ფარინგალური (ჰ, ჰ<sup>ჰ</sup>) თანხმოვნებისა და წინაველარული (პალატალური) ზ<sup>ჰ</sup> თანხმოვნის ქონა. გარდა ამისა, ხუნძურისა და ანდიურის თანხმოვანთსისტემაში არსებობს დაპირისპირება მაგარი თანხმოვნებისა არაზღვრებთან, რაც<sup>1</sup> შეაპირობებს — ქართულისათვის უცხო — მაგარი თანხმოვნების (წა, ჰა და ა. შ.) ქონას ხუნძურსა და ანდიურში.

ისეთ შემთხვევებში, როცა ხუნძურ-ანდიურში ერთმანეთს უპირისპირდება სათანადო თანხმოვნის არანაგარი (რიგითი, ჩვეულებრივი) და ნაგარი ვარიანტები (წ — წა, ჰ — ჰა და ა. შ.) ქართულის შესაბამის თანხმოვანთან უფრო ახლოსა არამაგარი ვარიანტი (წ, ჰ და ა. შ.), ვინემ მაგარი ვარიანტი (წა, ჰა და ა. შ.), თუმცა ზუსტი ფარდობა არც ამ შემთხვევაში გვაქვს: ხუნძ.-ანდ. არანაგარი (რიგითი) წ, დაპირისპირებული მაგარ წა-სთან. არც შეიძლება სავსებით უდრიდეს ქართ. წ-ს, რომელსაც არ მოეპოვება შესაბამისი მაგარი ვარიანტი<sup>1</sup>.

ხოლო ხუნძ.-ანდ. ისეთი თანხმოვნები, რომლებიც მოკლებული არიან სიმავრის მიხედვით დაპირისპირებულ ვარიანტებს, შეუძლებელი არ არის გავუთანბროთ ქართულის შესაბამის თანხმოვნებს (ხუნძ.-ანდ. ბ. ფ. დ. თ. ტ. ზ და ა. შ. = ქართ. ბ. ფ. დ. თ. ტ. ზ და ა. შ.)<sup>2</sup>.

**§ 23. მაგარი თანხმოვნები.** მაგარ თანხმოვანთა არტიკულაციური თავისებურებები, რითაც ასეთ ითანხმოვნები განსხვავდებიან არამაგარი (რიგითი) თანხმოვნებისაგან, საერთოა ხუნძურსა და ანდიურში. მთავარი თავისებურება, როგორც ცნობილია, მდგომარეობს წარმოთქმის ინტენსიურობაში: მაგარი თანხმოვანი წარმოთქმის სამეტყველო ორგანოების უფრო ძლიერი (ენერგიული) დაძაბულობით, ვინემ საპირისპირო არამაგარი თანხმოვანი. ამას აღნიშნავდნენ ცალკეულ მაგარ თანხმოვანთა დახასიათებისას ხუნ-

ბურებანი. 1940 (ხელნაწ.). მისიკე. აულ კობის მეტყველების თავისებურებანი. 1943 (ხელნაწ.): ილ. ცერცეაძე. ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, *ეკე. II*. 1948, გვ. 130—132; III. Микьянлов, Сравнит.-историческая фонетика авар. диалектов. Махачкала, 1958, გვ. 27—28; З. Джапаридзе, некоторые особенности речи с. Манас-аул и Аркас. УЗИИЯЛ Даг. фил. АН СССР, т. III. Махачкала, 1957, გვ. 245; Э. Микьянлов. Говор аула Чуни. УЗИИЯЛ Даг. фил. АН СССР, т. VII. Махачкала. 1960, გვ. 315: „ხუნძ. ენა“, §§ 34, 35, 38.

<sup>1</sup> როგორც ცნობილია, სათანადო ზგერის თავისებურებას განსაზღვრავს ამა თუ იმ სისტემაში მისი მონაწილეობა (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 173).

<sup>2</sup> შდრ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი. 1949, გვ. 399.

ძურსა და ანდიურში ჯერ კიდევ პ. უსლარი და ა. დირი<sup>1</sup>. ამასვე ხაზს უსვამენ სხვა ავტორებიც (ნ. ტრუბეტკოი, რ. შორი, გ. ახვლედიანი...)<sup>2</sup>

ინტენსიური არტიკულაცია შეაპირობებს — მასზე დაქვემდებარებულ — სხვა თავისებურებებს. როგორცაა: თანხმოვნის — რამდენადმე — დაგრძელება, ნაპრაღის დავიწროება (ხახუნისათვის), ასპირაციის შემცირება (არააბრუპტივთათვის), სკდომის შესუსტება (რაც მაგარ ხშულებს [ქა, კა] აფრიკატებთან აახლოებს) და სხვ<sup>3</sup>.

ანდიურში, როგორც ეს თანხმოვანთა ტაბულიდან (§ 19) ჩანს, გარჩეულია მაგარ და არამაგარ თანხმოვანთა შემდეგი წყვილები:

ა) ხშულები: ქ — ქა, კ — კა;

ბ) აფრიკატები: ც — ცა, წ — წა, ჩ — ჩა, ჳ — ჳა, ტ — ტა, უ — უა;

გ) სპირანტები: ს — სა, შ — შა, ხ — ხა, ლ — ლა.

ხუნძურთან შედარებით აქ მეტია წყვილი უ — უა. ამ წყვილის ერთეულებიდან ხუნძურში გვაკლია არამაგარი უ', დატულია მაგარი უა.

საპირისპირო არამაგარ კორელატს მოკლებული ზოგი მაგარი თანხმოვანი ანდიურშიც გვაქვს; ესენია: ფარინგალურს ჳ. ლატერალური ლ' და წინაველარული ხ' ეგვევ თანხმოვნები ხუნძურშიც

<sup>1</sup> მაგალ: „ქა произносится с особенно сильным напряжением“ (П. Услар, Авар. яз., გვ. 13)... „უა есть у', произносимое со значительным большим напряжением“ (А. Дирр, Анд. яз., გვ. 2).

<sup>2</sup> N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der awaro-andischen Sprachen; P. O. Шор, К вопросу о т. н. „геминатах“ (усиленных смычных) в афетических языках Дагестана. (Из экспериментально-фонетических занятий). ИСЛД. 1935: გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949. გვ. 399: მისივე. Звуковые возможности кавказских языков. I. Принципы классификации согласных абхазского языка. Сообщ. Груз. Фил. АН СССР, т. I, № 1, 1940.

<sup>3</sup> დაწვრილებით: N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der awaro-andischen Sprachen; P. O. Шор, К вопросу о т. н. „геминатах“ (усиленных смычных) в афетических языках Дагестана: აგრეთვე: В. Н. Панчвидзе, К вопросу о взаимоотношении диалектов удинского яз. (სსრ. მეცნ. აკად. საქ. ფილ. მთამბე, ტ. I, № 9, 1940, გვ. 706); Ш. Г. Гаурипдашвили. Фонетические особенности цудахарского диалекта даргинского яз. (Языки Дагестана, I, Махачкала, 1948, გვ. 116); ტ. გუდაეა, ტინდიური ენის ფონეტიკური მიმოხილვა (ეკვ, V, გვ. 342); „ხუნძ. ენა“, § 40, გვ. 49—52.

მაგრებად მიიჩნევა; თუმცა საპირისპირო არამავარი კორელატები მათ არც ამ ენაში მოეპოვებათ<sup>1</sup>.

დაპირისპირება მაგარ და არამავარ თანხმოვანთა შორის ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) შეიძლება ასხვავებდეს სიტყვებს; მაგალ. (აულ ანდის მეტყვე.): წა „ცეცხლი“ — წა „წვიმა“: „ვარსკვლავი“, ჰინწობილ „ქვეები“ — ჰინწობილ „კარები“: მიჭი „პატარა — მიჭიი „ქინჰარი“; ვუჭილუ „მოკედომა“ — ვუჭილუ „ადგომა“, რეჩინ „ხვიმირი“ (წისქვე.) — რეჩინ „ძნელი“, სიმ „ტუჩი“, „ბაგე“ — სიმ „ნალველი“, მიხი „მატყლი“ — მიხი „ბორკილი“: „სამფეხა (ქვაბის შესადგ.)“. ხვარლუ „თხრა“ — ხვარლუ „ხვეწა“, ვოხონ „ავილა“ — ვოხონ „მოწოვა“, მილ'ი „მზე“ — მილ'ი „კალთა“...

§ 24. **მაგარ და არამავარ თანხმოვანთა პროზოციური მონაცვლეობა.** ა) მაგარი თანხმოვნის შესუსტება. მაგარი თანხმოვნის აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები თვალსაჩინოდაა გამოხატული ხმოვნის წინ; თანხმოვნის წინ მოქცეული მაგარი თანხმოვანი კი რამდენადმე სუსტდება და უახლოვდება არამავარ თანხმოვანს: შდრ.. მაგალ.: ბეში „მოქსოვა“ (ნამ.) და ბეშილუ „ქსოვა“ (ინფ.)... — პირველ ფორმაში შა-ს სიმაგრე თვალსაჩინოდაა გამოხატული, მეორეში თვალსაჩინოდ შესუსტებული. ასეა, კერძოდ. ანდის, ლალათლის და სხვ. თქმებში.

აღნიშნული ფაქტი ანდიური ენისა გვაგონებს ცნობილ ფაქტს დალესტნის სხვა ენებიდან (ლაკური. დარგული...), რომლებშიც ყოველი მაგარი („გემინირებული“) თანხმოვანი შეიძლება ხმოვნის წინ გვექონდეს. ხოლო თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოში ასეთი თანხმოვანი კარგავს სიმაგრეს და შესაბამისი არამავარი თანხმოვნით იცვლება (ლაკ.: მუხალ „რკინისა“ — მაგრამ: მახრუ ← მახარუ „რკინები“, მახ ← მახა „რკინა“...)<sup>2</sup>.

მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ მაგარი („გემინირებული“) თანხმოვნის ერთ-ერთ იმ თავისებურებაში. რაც თანხმოვნის დაგრძელებაში მდგომარეობს (§ 23): თანხმოვნის დაგრძელებისათვის ხმოვნის წინ, ცხადია, მეტი შესაძლებლობაა, ვინემ თანხმოვნის წინ ან სიტყვის ბოლოში.

<sup>1</sup> Л. Жирков, Аварско-русский словарь [დანართი: Краткая грамматика аварского языка. Москва, 1936 გვ. 148; Ш. Михайлов. Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов, გვ. 26: „ხუნძ. ენა“, გვ. 38—39.

<sup>2</sup> П. К. Усхар, Лакский язык, გვ. 8; N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme der ostkaukasischen Sprachen, გვ. 32; Л. И. Жирков, Лакский язык. Москва, 1955, § 13, გვ. 13. (ხენებულ შრომებში აღნიშნული ფაქტი, მაგრამ ახსნილი არ არის.—იხ. კვ.).

ბ) არამაგარი თანხმოვნის გამაგრება. ერთ-ერთ ანდიურ თქმაში, რიკვანის თქმაში, დასტურდება შემთხვევები პირველადი არამაგარი თანხმოვნის გამაგრებისა (საწინააღმდეგო პროცესი იმასთან შედარებით, რაც ზემოთ გვქონდა აღნიშნული). ეს ფონეტიკური პროცესი აქ დაკავშირებულია თანხმოვნის მომდევნო ხმოვნის რედუქციასთან. როგორც ვიცით (§§ 12, 14), რიკვანის თქმას — განსხვავებით სხვა თქმებისაგან — ახასიათებს ხმოვნის (ვიწრო ხმოვნის) რედუქციის (სიტყვის შიგნით ამოღებისა და სიტყვის ბოლოში მოკვეციის) ძლიერი ტენდენცია. ყველა შემთხვევაში, როცა ხმოვანი იკარგვის და დაკარგული ხმოვნის წინამავალი თანხმოვანი, მოქცეული თანხმოვნის წინ ან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, არამაგარია, ეს უკანასკნელი იცვლება შესაბამისი მაგარი თანხმოვნით (თუ ასეთი თანხმოვანი საერთოდ მოიპოვება თქმაში):  
 ბ → ბა და ა. შ.

სათანადო მაგალითებს ამტკიცებს, როგორც სხვა თქმებთან შედარება. ისე თვით რიკვანის თქმაში სიტყვის ფორმაცვალება:

ბიხი (შდრ.: ანდ., ლალ. ბიხი) „აილო“, „იყიდა“, ბიხო (შდრ.: ანდ., ლალ. ბიხო) „აილე!“ „იყიდე!“ — მაგრამ: ბიხაღუ ← ბიხიღუ (შდრ.: ანდ., ლალ. ბიხიღუ) „აღება“, „ყიღვა“;

ბახო (შდრ. ანდ. ბახო) „დაიყუფა“... — მაგრამ: ბახაღუ ← ბახიღუ (შდრ. ანდ. ბახიღუ) „ყუფა“; ბახაღო ← ბახიღო (შდრ. ანდ. ბახიღო) „ყუფეს“;

ჰაყო (შდრ. ანდ. ჰაყო) „დაინახა“... — მაგრამ: ჰაყოღუ ← ჰაყოღუ (შდრ. ანდ. ჰაყოღუ) „დანახვა“; ჰაყოღო ← ჰაყოღო (შდრ. ანდ. ჰაყოღო) „ხედავს“;

ვუყო (შდრ. ანდ. ვუყო) „მოვიდა“... — მაგრამ: ვუყოღუ ← ვუყოღუ (შდრ. ანდ. ვუყოღუ) „მოსვლა“;

ანლი (შდრ. ანდ. ანლი) „გაიგონა“... — მაგრამ: ანლიღუ ← ანლიღუ (შდრ. ანდ. ანლიღუ) „გაგონება“;

ბალცი ← ბატი (შდრ.: ანდ. ბალი ← ბატი, ლალ. ბალცი ← ბატი, მუნ., ქვანხ. ბატი) „წაიკითხა“... — მაგრამ: ბატიღუ ← ბატიღუ (შდრ.: ანდ. ბალიღუ ← ბატიღუ, ლალ. ბალციღუ ← ბატიღუ, მუნ., ქვანხ. ბატიუ) „წაიკითხვა“ (ამ შემთხვევაში რიკვანის თქმაში საქმე გვაქვს მონაცვლეობასთან: არამაგარი \*ტი (→ლყ) → || მაგარი ტი. — იხ. § 28)...

ლალბაწოლ (შდრ. ანდ. ლალბაწოლ) „ლომები“, ლალბაწული (შდრ. ანდ. ლალბაწული) „ლომმა“... — მაგრამ: ლალბაწა ← ლალბაწი (შდრ.: ანდ. ლალბაწი, ხუნძ. ლალბაწ) „ლომი“;



ქეპოლ (შდრ. ანდ. ქეპოლ) „სიმღერები“, „ლექსები“... — მაგრამ: ქეჰო ← ქეჰი (შდრ.: ანდ. ქეჰი, ხუნძ. ქეჰ) „სიმღერა“; „ლექსი“; ჰანროხილ (შდრ. ანდ. ჰამროხილ) „ვირები“... — მაგრამ: ჰანროხა ← ჰანროხი (შდრ. ანდ. ჰამროხი) „ვირი“...

არამაგარი თანხმოვნის გამაგრება ზემოაღნიშნულ შემთხვევებში (როგორც ინლაუტში — თანხმოვნის წინ, ისე უსლაუტში), ჩანს, თანხმოვნის მომდევნო რედუცირებული ხმოვნის ერთგვარ კომპენსაციას ეწევა.

თანხმოვნის გამაგრება აქ არსებითად მის დაგრძელებაში მდგომარეობს: იმ დროის ხარჯზე, რასაც იძლევა ხმოვნის დაკარგვა, შესაძლებელი ხდება წინამავალი თანხმოვნის არტიკულაციის გახანგრძლივება (სათანადო მდგომარეობაში სამეტყველო ორგანოები უფრო დიდხანს რჩება), რაც მაგარ თანხმოვანთა ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს (§ 23)<sup>1</sup>.

ამრიგად, მაგარ თანხმოვანთა იმ — ერთ-ერთი — თავისებურებიდან ამოსვლით, რაც თანხმოვნის სიგრძეში მდგომარეობს, შეიძლება აიხსნას შესაბამის პოზიციებში ასეთ თანხმოვნებთან დაკავშირებული ორივე ზემოხსენებული პროცესი, — როგორც პირველადი

<sup>1</sup> არამაგარ და მაგარ თანხმოვანთა პოზიციური მონაცვლეობის შემთხვევებს აულ რიკვანის თქმაში — პირველად სპეციალურ ლიტერატურაში — აღნიშნავს ი. სულეიმანოვი (იხ. Я. Г. Сулейманов, Некоторые фонетические особенности рикваннского говора андийского аэ. УЗНИИЯЛ Даг. Фил. АН СССР, т. III, 1957, გვ. 262—265). მისი აზრით, ასეთი მონაცვლეობა იმას ემყარება, რომ სათანადო თანხმოვანი გარკვეულ პოზიციებში (კერძოდ, აუსლაუტში და ინლაუტში — თანხმოვნის წინ და, აგრეთვე, „მაღალი აწეულობის“ • და უ ხმოვანთა წინ) მაგრდება, ხოლო სხვა პოზიციებში (კერძოდ, ა, ა, ე ხმოვანთა წინ) — სუსტდება. ჩვენი აზრით კი ყველა ასეთ შემთხვევაში რიკვანის თქმაში საქმე გვაქვს ერთ მაგისტრალურ ბაზთან: პირველადი არამაგარი თანხმოვნის გამაგრებასთან (ბ→ჰ და ა. შ.). ი. სულეიმანოვი მართებულად მიუთითებს, რომ სათანადო არამაგარი თანხმოვანი მაგრდება აუსლაუტში და ინლაუტში — თანხმოვნის წინ, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველა ასეთ შემთხვევაში თანხმოვნის გამაგრება დაკავშირებულია მომდევნო ხმოვნის დაკარგვასთან.

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ, თითქოს, „მაღალი აწეულობის“ • და უ ხმოვნების წინ თანხმოვანი მაგრდება ოდეს, ხოლო ა. ა, ე ხმოვნების წინ სუსტდება ოდეს. ეს, ჩვენი დაკვირვებით, არ დასტურდება. ჩვენი მასალებით შეუძლებელი არ არის არამაგარი თანხმოვანი გვეტანდეს „მაღალი აწეულობის“ • და უ ხმოვანთა წინაც (მიხიდი „ოქრო“, აოში „ქალიშვილი“, წულ „ჯოხი“, ზურ „ყანა“, ზუხუჟე „საცერი“...), ხოლო მაგარი თანხმოვანი — ა, ა, ე ხმოვანთა წინაც (ბაანუ „თიბვა“, წა „წვიმა“, წაონ „მარილი“ წაე „სტუმარი“, ლ'ენ „წყალი“ და ა. შ.).

მაგარი თანხმოვნის შესუსტება (გამარტივება), ისე პირველადი არამაგარი თანხმოვნის გამაგრება (გაძლიერება): პირველ შემთხვევაში თანხმოვანი კარგავს სიგრძეს. მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, იძენს მას.

§ 25. ლატერალური თანხმოვნები (ზოგადი ზენიზენები). ლატერალური თანხმოვნები, როგორც ცნობილია, ყველა ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენაში გვაქვს<sup>1</sup> (დალესტნის სხვა ენებიდან ასეთი თანხმოვნები გარჩეულია მხოლოდ არჩიბულსა და ხინალულურში<sup>2</sup>, დანარჩენი იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ — ბაცბურსა, ადიღურსა, ყაბარდოულსა და უბიხურში)<sup>3</sup>.

ამავე დროს ლატერალურ თანხმოვანთა მხრივ — ამ თანხმოვნების მქონე — ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა შორის თვალსაჩინო განსხვავებაც დასტურდება. ლატერალურ თანხმოვანთა რაოდენობა ამ ენებში არ არის თანაბარი. განსხვავება, ამ მხრივ, არაიშვიათად შეიძლება გვეკონდეს ერთი და იმავე ენის კილო-თქმებს შორის. ასეთი განსხვავება ცნობილია, მაგალითად, ხუნძური ენის კილო-თქმათა შორის. მსგავს განსხვავებას ადასტურებს ანდიური ენის თქმებიც (იხ. ქვ.).

§ 26. ოთხი ლატერალური თანხმოვანი ზემოდანიუხ ტყმეზში. ზემოდანიურ თქმებში (აულეების: ანდის ლუნხოს, ლალათლის, აშალის, რიკვანის, ჩანხოს, ზილოს მეტყვე.) გარჩეულია ოთხი ლატერალური თანხმოვანი (ე. ი. იმდენი, რამდენიც ხუნძური ენის ჩრდილოურ დიალექტში):

1. ლ — არამაგარი ფშენივიერი სპირანტი (ლ'ობგუ „სამი“, მილი „მზე“, მულა „ფრჩხილი“, რელა „ტბა“, ლ'უდი „შეშა“, ლ'ინ „თმა“, ლ'უნა „რბილი“, ბილინნუ „ხარშვა“, ლ'იბდუ „გადახტომა“. ლ'ორლიდუ „გამოღვიძება...“);

<sup>1</sup> ერთადერთ გამონაკლისს ამ ქვეჯგუფის ენა-კილოებში შეადგენს ხუნძური ენის კარული კილო, რომელსაც ანჟამად არც ერთი ლატერალი არ გააჩნია (არნ. ჩიქობავა, საანგარიშო მოხსენება ხუნძური ენის კარულ კილოზე მუშაობისა...).

<sup>2</sup> ბოლო ხანებში ხინალულურის შესწავლამ დაადასტურა ამ ენაში ერთადერთი ლატერალური თანხმოვნის არსებობა (Ю. Д. Дешериев, Грамматика хиналургского языка, Москва, 1959, გვ. 13).

<sup>3</sup> N. Trubetzkoy, Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales. Bull. de la Société de Ling. de Paris, t. XXIII, fasc. 2 (№ 70), 1922; Arn. Tschikobawa, Die ibero-kaukasische Gebirgssprachen und der heutige Stand ihrer Erforschung in Georgien. Acta Orient. Hung., t. IX, Fasc. 2, 1959, გვ. 151—152.

2. ლ' მავარი ფშვინვიერი სპირანტი (ლ'ენ „წყალი“, მილ'ი „კალთა“, ლ'ე-დი „ვინ“ [ერგატ. ბრ.], მოლ'იდი „სწავლება“, ლ'იბდუ „ხერება“, რელ'ირ „სიცილი“. პოლ'უ „აქ“...);

3. ლ' მავარი ფშვინვიერი აფრიკატი (ონლ'იუ „ექვსი“, ილ'ილ „ჩვენ“ [ინკლუზ.], ბელ'იდი „სვლა“. ლ'ურლ'ა „ერბო“. ლ'ერუ „ახლოს“, „-თან“, ილუ-ლ'ი „დღისა“...);

4. ტა -- მავარი აბრუპტივი აფრიკატი (პოტაუგუ „შეიდი“, ბე-ტვიგუ „რვა“, ტინუ „ზამთარი“. როტვი „ძვალი“, ტირუ „ხიდი“, ტანკალა „კურდღელი“, ბეტვიდი „ხენა“. ტირა „ძველი“, ტერ-ტილ „უნაგირი“, ტურუ „კლდე“...)<sup>1</sup>.

ოთხივე ზემოხსენებული ლატერალური თანხმოვანი უცვლელად მეორდება ხუნძურ (ჩრდ.-ხუნძ.) და ანდიურ ენათა საერთო სიტყვებში; შდრ.. მავალ. (ჯერ მოგვეყავს ხუნძური სიტყვა, შემდეგ შესაბამისი ანდიური სიტყვა --- აულ ან დის მეტყველებიდან):

ლაბგო -- ლ'ობგუ „სამი“, მალ' მულა „ფრჩხილი“. ბელ'ინე -- ბილ'ინუ „ხარშვა“. ლ'ეზე --- ბილ'უ (ქვანხ.) „დადება“, რა-ლ'ად „ზღვა“ რელ'ო „ტბა“, ბოლ'იკ ბულ'იხა „ბოთლიბი“ (დაბის სახ.). ლ'ორ- ინლ'ირ „უბე“, ლ'ო-ბ კუნ-ლო-ბ „ის“ (მალა მყოფი)...

ლ'ინ ლ'ენ „წყალი“. ლ'ი-ცა (სამხრ.-ხუნძ. ლ'ი-დი) -- ლ'ე-დი „ვინ“ (ერგატ. ბრ.), მალ'იზე მოლ'იდი „სწავლება“, პა-ლ'ი-ე პო-ლ-ლ'ი-ი-ე „ამასა“...

ანლ'გო -- ონლ'იუ „ექვსი“, ნილ' ილ'ილ „ჩვენ“ (ინკლუზ.), 'ბ'ილ'ინე --- ბელ'იდი „სვლა“. ლ'უპინე -- ბულ'იდი „შესვლა“. -ლ' -- -ლ'ი -- „ში“ (ადვილობ. ბრ. სუფიქსი)...

ანტავო -- პოტაუგო „შეიდი“, მიტავო -- ბიეტვიგუ „რვა“, ტინ -- ტინუ „ზამთარი“, რატა -- როტვი „ძვალი“, ტო -- ტირუ „ხიდი“, ბეტვიზე -- ბეტვიდი „ხენა“, ტიბილ ჰიტიმი „ფესვი“, ტურუ -- ტური „კლდე“...

§ 27. მესამე ლატერალური თანხმოვანი ძველანდიურ თქმებში. გარდა ზემოაღნიშნული ოთხი ლატერალური თანხმოვნისა, ქვემოანდიურ თქმებში (აულების მუნიბისა და ქვანხიდათლის მეტყვე.) გარჩეულია კიდევ ერთი ლატერალური თანხმოვანი:

<sup>1</sup> ა. დირი აღნიშნავს ანდის თქმაში სამ ლატერალურ თანხმოვანს: ორ ფშვინვიერსა (ნაცვლად სამისა) და ერთ აბრუპტივს. მისთვის შევნიშნავი დარჩა განსხვავება ლ'-სა (არამავარი) და ლ'-ს (მავარი) შორის (ორივესთვის ერთ ნიშანს ხმარობს: η. — § 21, გვ. 37).

5. ტ—არამაგარი აბრუპტივი აფრიკატი; მაგალითები<sup>1</sup>:

მუნიბის მეტყვე.: რეტა „ხელი“, ტომი „სახურავი“, როტოლი „ტანსაცმელი“, რეტ'ილ'ი „ლვიძლი“, ტ'ენსაილი —წარბი“, ბეტ'ერა „წვრილი“, რეტ'უ „წყრთა“ (ძვ. სიგრძის ზომა: 1/2 მ.), ბეტ'ირი „ირემი“, ტოლი „ფოთოლი“, ტ'ენშაური „ფქვილი“. ტ'ალა „თავსახურავი“, „სარქველი“, პიტა „ზედ“, „ზემოთ“, ტ'ელა „შორს“, ტ'ეკუ „მეტი“, „ზედმეტი“ (ტ'ეკუ საუ „მეტი არ არის“), რეტ'ო „გარეთ“, „ქუჩაში“, ტ'იტა „ხონჩა“, „ტაბაკი“, პოტ'ო „მკერდი საქონლისა“, ბიტ'უ „მოკვდომა“, ბატ'უ „წაკითხვა“, „სწავლა“...

ქვანხიდათლის მეტყვე.: რეტა „ხელი“, ტ'ონ „სახურავი“, ბეტ'ირ „ირემი“, ტ'ენსაი „წარბი“, რეტ'ილ'ი „ლვიძლი“, ტ'ენშაური „ფქვილი“, ტ'ორა „თავთავი“, პიტა „ზედ“, „ზემოთ“, ტ'უშაელ „ხორბალი“. ჰანტ'ო „ოფლი“, პინტ'უ „ფსკერი“, რეტ'უ „წყრთა“ (ძვ. სიგრძის ზომა: 1/2 მ.), ტ'ალა „თავსახურავი“, „სარქველი“, ბეტ'ერა „წვრილი“, ტ'ეკუ „მეტი“, „ზედმეტი“, ტ'ა-„ზე“ (თანდ.), ბატ'უ „წაკითხვა“, „სწავლა“, ბოტ'უ „ჩაცმა“, ტ'ელლუ „დაძინება“. ჯიტ'ე „უყვარს“...

შენიშვნა. აულ ქვანხიდათლის თქმაში ტ-ს ადგილას კვ-ს ფაქულტატიური ხმარებაც შეიმჩნევა (ზოგი პირის, უმთავრესად,

<sup>1</sup> ეს ლატერალური თანხმოვანი ანდიური ენის ზემოხსენებულ თქმებში პირველად დადასტურებულ იყო ჩვენ მიერ 1946 წ. საზღვებზე მივლინების დროს (უფრო ადრე მისი არსებობა რომელიმე ენაში საერთოდ არ იყო ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან). მის შესახებ აღვნიშნავდით საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იყო (1946 წ. X) თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის სხდომაზე. ხოლო შემდეგ (1947 წ. VI-ს) — სპეციალურ მოხსენებაში („ერთი დღეის უცნობი ლატერალური თანხმოვანი“), რომელიც წაკითხული იყო კათედრის საჯარო სხდომაზე. ამავე ლატერალურ თანხმოვანსა და მის რეფლექსებს ვებზოდით მოხსენებაში („ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსები ხენძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში“; წაკითხული იყო საქ. მეცნ. აკადემიის ენის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1948 წ. IX: იხ. აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტის V სამეცნ. სესიის თეზისები. თბილისი, 1948, გვ. 13—14. ამ მოხსენების ნაწილი, რომელიც „მეხუთე ლატერალურ თანხმოვანს“ ეხებოდა, გამოქვეყნდა უფრო გვიან — სათაურით: „ერთი ლატერალური თანხმოვანი და მისი შესატყვისი რეფლექსები დალესტნის ხენძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში“. ხმამ, XIII, № 7, 1952).

1949 წლიდან ცნობებს ხსენებული ლატერალური თანხმოვნის არსებობის შესახებ ზოგ სხვა ხუნძ.-ანდ. ენასა და დიალექტში ვპოვებთ სხვა ავტორთა შრომებშიც (იხ. ქვ. — § 28).

შედარებით ახალგაზრდა თაობის, მეტყველებაში). აქ შეიძლება მოგვაგონდეს ტ'-ს რეფლექსად კჷ ხუნძური ენის ქარულ კილოში. მაგრამ ქარულისაგან განსხვავებით ქვანხიდათლურში კჷ არ წარმოადგენს დამდგარ რეფლექსს (ჩაკიბხვისას ტ'-ს აძლევენ უპირატესობას).

§ 28. მეხუთე ლატიალური თანხმოვნის რეფლექსები ზემოანდიურ თემებში. მეხუთე ლატერალური თანხმოვანი — ამ თანხმოვნის არმქონე — ზემოანდიურ თემებში შეცვლილია სხვადასხვა რეფლექსებით; ესენია: ლ (ანდი), ლც (ღალათლი; აშალი, რიკვანი), ც (ზილო, ჩანხო); შდრ.:

ანდი	ღალათლი	ზილო	
რელა	რელცა	რეცა	„ხელი“
ლომ	ლცომ	ცომ	„სახურავი“
როლალ	როლცალ	როცოლ	„ტანსაცმელი“
ბელორა	ბელცორა	ბეცორა	„წვრილი“
პილა	პილცა	პიცა	„ზემოთ“; „ზედ“
ლორა	ლცორა	ცორა	„თავთავი“
რელილ'ი	რელილ'ი	რენილ'ი	„ღვიძლი“
ლბურ	ლცბურ	ცბურ	„მკერდი“
ლენსაიბ	ლცენსაიბ	ცენსაიბ	„წარბი“
ლენშაურ	ლცენშაურ	ცენშაურ	„ფქვილი“
რელუ	რელცუ	რეცუ	„წყრთა“
ჰამლუ	ჰამლცუ	ჰანცო	„ოფლი“
ლექუ	ლცექუ	ცექუ	„ზედმეტი“
ბალიდუ	ბალციდუ	ბაცერი	„წაქითბვა“; „სწავლა“
ბულონ	ბულცონ	ბუცონ	„წავიდა“...

შენიშვნა. ღალათლში ლც რეფლექსი დასტურდება ამ აულის შედარებით ზემო ნაწილში მცხოვრებთა მეტყველებაში. აულის შედარებით ქვემო ნაწილში მცხოვრებთა მეტყველებაში ლც-ს ადგილას ლ გვაქვს (რელა „ხელი“, ლომ „სახურავი“, ბელორა „წვრილი“ და ა. შ. — ე. ი. ისევე; როგორც ანდისა და ლუნხოს მეტყველებაში. — იხ. ზემოთ). ლ რეფლექსის არეალის გავრცელება ხსენებული აულის ქვემო ნაწილში მეზობელი აულების (ანდის, ლუნხოს) მეტყველების გავლენის შედეგი ჩანს (აულ ანდიდან მიმავალ გზას ლუნხოში გავლით აულ ღალათლის ქვემო-ნაწილში შეეყავართ)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სანტერესია აღინიშნოს. რომ აულ ღალათლის ზემო და ქვემო ნაწილები ერთმანეთზე გადაბმული (მათ საზღვარს მხოლოდ აღნიშნული ენობრივი ფაქტი თუ ქმნის).

რა შიშართებაშია ეს რეფლექსები ამოსავალ ლატერალურ თანხმოვანთან (ტ'-სთან)?

ლ, ლჷ და ჸ რეფლექსებიდან ძირითადია რთული ლჷ რეფლექსი: ეს რთული რეფლექსი უშუალოდ მიღებულია ტ' ლატერალური თანხმოვნისაგან მისი — შემადგენელ ელემენტებად — დამლის შედგვად.

რთულ ლჷ რეფლექსში ცალკე ფონემებად უნდა გვექონდეს ჩამოყალიბებული ის კომპონენტები, რაც ამოსავალ ლატერალში შენაზავის სახითაა (ლ ასახავს ტ'-ს ლატერალობას, ხოლო ჸ მკვეთრობას).

განვითარების შენდგომი საფეხურია ლჷ რთული რეფლექსის გამარტივება: ლჷ → ლ, ერთის მხრივ. და ლჷ → ჸ, მეორე მხრივ.

ამრიგად: ტ' → ლჷ → ლ || ჸ. განვითარების ყველა ეს საფეხური (ამოსავალი ვარიანტით), როგორც ვნახეთ, დასტურდება თვით ანდიურ ენაში, მის სხვადასხვა თქმებში<sup>1</sup>.

შენიშვნა 1. ტ' ლატერალის ლჷ რთულ რეფლექსს რიკვანის თქმაში თანხმოვნის წინ ენაცვლება ტა (მაგარი აბრუპტივი ლატერალური თანხმოვანი ანუ მეოთხე ლატერალური თანხმოვანი): ბაღჷი (← ბატ'ი) „წაიკითხა“, ბაღჷო (← ბატ'ო) „წაიკითხე!“ — მაგრამ: ბატადუ (← ბატ'ადუ) „წაიკითხა“; ჟიღჷი (← ჟიტ'ი) „შეყვარდა“; „მოუნდა“... — მაგრამ: ჟიტადუ (← ჟიტ'ადუ) „შეყვარება“; „ნდომა“; „მოსურვება“ და სხვ.

ეს აიხსნება ამ თქმისათვის დამახასიათებელი უფრო ზოგადი კანონზომიერებით, რაც მდგომარეობს — მომდევნო ხმოვნის დაკარგვის შედეგად --- თანხმოვნის წინ მოქცეული ყველა არამაგარი თანხმოვნის შესაბამისი მაგარი თანხმოვნით შეცვლაში (§ 24).

<sup>1</sup> მსგავს ცვლილებას ბუნძურ-ანდიურ ენებში ადასტურებს სხვა ლატერალური თანხმოვანიც, კერძოდ, ლატერალური სპირანტი ლ': შდრ., მაგალ., ხუნძური ენის კილო-თქმებში (ანდალალურსა და ყარახულში): ლ' → ლჷ → ლ || ჷ. რაც ამოსავალი ლ' ლატერალის დაშლის შედეგია (ლ ასახავს ლ'-ს ლატერალობას, ლ — ფშინიერობას resp. სპირანტობას. — ასე აქვს ეს ახსნილი არნ. ჩიქობაევს: იხ. მისი: ყარახულის თავისებურებანი (1939 წ.); აულ კოხის ნეტყველების თავისებურებანი (1943 წ.); იხ. აგრეთვე: „ხუნძ. ენა“, გვ. 61; ანალოგიურად ვხვდებით ჩვენ ტ'-ს — შესაბამისად განსხვავებულ — რეფლექსებს ანდიურსა და ხუნძ.-ანდ. სხვა ენებსა და კილოთქმებში: ილ. ცერცვაძე, ერთი ლატერალური თანხმოვანი და მისი შესატყვისი რეფლექსები დალესტნის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში, ხმაშ. ტ. XIII. № 7, 1952; აგრეთვე: „ხუნძ. ენა“, გვ. 64.

ჩანს, თავის დროზე არამაგარი ლატერალური თანხმოვანი ტ' (ისევე, როგორც ყველა სხვა არამაგარი თანხმოვანი: ხ, ყ' და ა. შ.), როცა — მომდევნო ხმოვნის დაკარგვის შედეგად — აღმოჩნდებოდა თანხმოვნის წინ, იცვლებოდა შესაბამისი მაგარი ლატერალური თანხმოვნით (ტ'), ხოლო ხმოვნის წინ უცვლელი რჩებოდა (\*ბატ'ი „წაიკითხა“ — მაგრამ: ბატ'დუ ← \*ბატ'დუ ← \*ბატ'იდუ „წაიკითხვა“... ისევე, როგორც: ბიხი „აილა“, „ყილა“ — მაგრამ: ბიხ'დუ ← ბიხ'დუ ← ბიხ'იდუ „აღება“, „ყიღვა“... — § 24).

ხოლო ამჟამად, როცა ტ' აღარა გვაქვს, ბუნებრივია, თუ მის ადგილას ლჯ რეფლექსს ვპოვებთ მხოლოდ ხმოვნის წინ, სადაც ტ' თავის დროზე არ შეუცვლია ტ'-ს (თანხმოვნის წინ კი ტ'-ს ნაცვლად ტ' შემოგვრჩა).

შენიშვნა 2. ლჯ რთული რეფლექსის პირველი კომპონენტი ლ შეიძლება დაემსგავსოს წინამაველ ნ თანხმოვანს და მივიღოთ ნჯ (ნ + ლჯ → ნ + ნჯ): დან-ნჯა ← დან-ლჯა „რამეზე“ (ეს მაგალითი დადასტურებულია აულ აშალის მეტყვე.). აქ მოქმედებს ზოგადი კანონი ლ-ს ასიმილაციისა წინამაველ ნ-სთან (§ 42).

არამაგარი აბრუპტივი ლატერალური აფრიკატი ტ' ხუნძურ-ანდიურ ენებში — გარდა ანდიური ენისა — გარჩეულია, აგრეთვე, კარატულსა (აულ რაციოლის მეტყვე.), ახვახურსა და ხუნძური ენის ზოგ თქმაში (კერძოდ, ჰიდურში)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ახვახურში ეს თანხმოვანი დადასტურებულია ლ. ყიოკვისა და ხ. მაჭომედიბეოვას მიერ (Л. И. Цирков, Ахвахские сказки. ИСБД, II М.-Л., 1949, გვ. 112; З. М. Магомедбекова, Основные морфологические категории ахвахского языка. Автореферат канд. диссерт., Тбилиси, 1949; მისივე, Вопросы фонетики ахвахского языка. ОЖ, VII, 1955, გვ. 295), კარატულში — ჩვენ მიერ (ილ. ცერცვაძე, ლატერალურ თანხმოვანთა რეფლექსები ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. საქ. მეცნ. აკადემიის აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტ. ყ საშეცნ. სესიის თეზისები, თბილისი, 1948, გვ. 13), ხოლო ჰიდურში — შ. მიქაილოვის მიერ (Ш. И. Микаилов, О некоторых особенностях южноаварских диалектов. Труды II-ой научн. сессии Дагест. базы АН СССР, Махачкала, 1949, გვ. 163). არნ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ჰიდურ ტექსტებში (ჩაწერილია 1939 წ., ქ. ბუნიაკსკში, ნაბი მუჰამადოვის თქმით) ლატერალური თანხმოვანი ტ' სათანადო სიტყვებში ყველგან აღნიშნულია სპეციალური განმასხვავებელი ნიშნით (ტჯ): ბეტჯერ „თავი“, ტჯად „ზედ“ და ა. შ.

დანარჩენ ენებსა და კილო-თქმებში ტ' შეცვლილია სხვადასხვა რეფლექსებით<sup>1</sup>. ეს რეფლექსები მოწმობენ, რომ ლატერალური თანხმოვანი ტ' ძველად ხუნძურ-ანდიურ და აგრეთვე დიდოურ<sup>2</sup> ენათა საერთო კუთვნილება იყო. მასთან, კანონზომიერი შესატყვისები მოეპოვება მას (ისევე, როგორც სხვა ლატერალურ თანხმოვნებს) დადესტნის სივსა ენებშიც (ლაკურ-დარგულსა და ლეზგიურ ენებში)<sup>3</sup>.

§ 29. შანიშვიანი ლატერალურ თანხმოვანთა სისტემის შესახებ ხუნძურ-ანდიურ ენებში. ჩვენ ვნახეთ, რომ ანდიური ენის თქმათა ჩვენება ადასტურებს ამ ენაში ხუთ ლატერალურ თანხმოვანს: 1. ლ' (არამაგარი სპირანტი), 2. ლ'ა (მაგარი სპირანტი), 3. ლ' (მაგარი ფშვინვიერი აფრიკატი), 4. ტა (მაგარი აბრუპტივი აფრიკატი) და 5. ტ' (არამაგარი აბრუპტივი აფრიკატი). ამდენივე ლატერალურ თანხმოვანს ადასტურებს ხუნძური ენის კილო-თქმათა ჩვენებაც (ეს კია, ოლონდ, რომ ხუნძურ ენაში ხუთივე ლატერალურ თანხმოვანს ერთად ამჟამად არც ერთი კილო-თქმა არ განარჩევს, თუმცა თითოეული მათგანი რეალურ დადასტურებას პოვებს თვით ამ ენის ამა თუ იმ კილო-თქმაში<sup>4</sup>. ანდიურ ენაში

<sup>1</sup> იხ.: ილ. ცერცვაძე. ერთი ლატერალური თანხმოვანი და მისი შესატყვისი რეფლექსები დადესტნის ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ჯგუფის ენებში. სმპ, XIII, № 7. 1952.

<sup>2</sup> ხუნძ.-ანდ. მაგარ აბრუპტივ ლატერალურ აფრიკატ ტა-ს დიდოურ ენებში. როგორც ცნობილია. შესატყვისება ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი ლ': ხუნძ. მიტაჟ. ანდ. ბიჟტაჟ. ბოთლიხ. ბიტაჟი-და ა. შ.—დიდ. ბილ'. „რვა“ და სხვ. (N. Troubetzkoy, Les consonnes latérales...; ელ. ლომთაძე. თანახოვანთა შესატყვისობანი დიდოურ ენებსა და ხუნძურს შორის. იკვ. XIII, § 1ბ). ამავე დროს, ხუნძ.-ანდ. არამაგარ აბრუპტივ ლატერალურ აფრიკატ ტ-ს დიდოურ ენებში შესატყვისება ტა (ქვანხ.. მუნ.. ახვანხ.. კარატ. რეტა—დიდ. რეტა. ხვარშ. ლეტა „ხელი“ და სხვ.). აქედან ჩანს. რომ დიდოურ ენათა ტა ხუნძ.-ანდ. ენათა ტ-ს ფარდია. სხვანაირად რომ ვთქვათ. დიდოურ ენებს დაკარგული აქვთ ისტორიული ტა (მეოთხე ლატერალი) და შემონახული აქვთ ისტორიული ტ' (მეხუთე ლატერალი). (შდრ. ელ. ლომთაძე, დასახ. შრ', გვ. 298—299).

<sup>3</sup> იხ.: E. A. Бокарев, Смычвогортанные аффрикаты прадагестанского языка. (Опыт реконструкции). РЯ, VII, № 4. 1958; ილ. ცერცვაძე. ხუნძური ლატერალების ლაკურ შესატყვისობათა შესახებ. იკვ. XII, 1960 (წყობილი იყო მოხსენებად ენათმეცნ. ინსტ. XVI საზეცნ. სესიაზე 1957 წ. 12. VI.— იხ. სესიის თეზისები); მისივე, მეხუთე ლატერალური თანხმოვნის შესატყვისობისათვის უდურ ენაში. იკვ. XIV. (იბეჭდება).

<sup>4</sup> „ხუნძ. ენა“. § 44. გვ. 59.



კი სუთივე ლატერალი ერთად. როგორც ვნახეთ, გარჩეულია მუნობისა და ქვენბიდათლის თქმებში).

თუ განვიხილავთ ლატერალურ თანხმობანთა სისტემას ხუნძურ-ანდიურ ენებში ამ ენათა თანხმობანთა ზოგად სასტემასთან მიმართებით (იხ. ქვე. ტაბულა), ვნახავთ, რომ:

**! ხუნძურ-ანდიურ ლატერალურ თანხმობანთა ტაბულა ამ ენების თანხმობანთა ზოგად სისტემასთან მიმართებით!**

ლატერალური აფრიკატები					ლატერალური სპირანტი					
								ყ რ უ		
					ფშვინვიერი			ფშვინვიერი		
					აჩუბტრვი					
საქული	არამაგარი	მაგარი	არამაგარი	მაგარი	მქლერი	არამაგარი	მაგარი			
—	—	ლ'	ტ'	ტ <sup>ჲ</sup>	—	ლ'	ლ <sup>ჲ</sup>			

ამ სისტემაში გვაკლია არამაგარი ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი, მქლერი ლატერალური აფრიკატი და სპირანტი (ე. ი. სულ სამი ლატერალური თანხმობანი). ამათგან არამაგარი ფშვინვიერი ლატერალური აფრიკატი მის მაგარ ვარიანტთან ერთად ცნობილია ახვახურ ენაში<sup>2</sup>. რაც შეეხება მქლერ ლატერალურ თანხმობენებს, ისინი ხუნძურ-ანდიურ-დიდორ ენებსა და დაღესტნის სხვა ენებში, რომელთაც ლატერალური თანხმობენები, საერთოდ, მოეპოვებათ, არსად ჩანან<sup>3</sup>.

რა შეიძლება ვივარაუდოთ: გვქონდა თუ არა ძველად ეს ლატერალური თანხმობენებიც?

<sup>1</sup> ხუნძ. ენა<sup>4</sup>, გვ. 49.

<sup>2</sup> З. М. Магомедсекова. Вопросы фонетики ахвахского языка. *იკე*, VII, 1955, გვ. 296.

<sup>3</sup> ნ. ტრუბეტკოვის მიაჩნდა, რომ მქლერი ლატერალური სპირანტი დაღესტნური ენებიდან არჩიბულში გვაქვს (N. Troubetzkoy, *Les consonnes latérales...*), ფაქტობრივი ვითარება ამას არ ადასტურებს (შდრ.: ი. კახაძე, ლატერალური თანხმობენები არჩიბულში. *იკე*, IX—X, 1958).

მქლერი ლატერალური სპირანტი ცნობილია იბერიულ-კავკასიური ენებიდან მხოლოდ ადიღურ ენებში.

მეღერი ლატერალური სპირანტის რაიმე კვალი ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში არ შეიმჩნევა. ასევე ითქმის არამაგარი ფშინი-ერი ლატერალური აფრიკატის შესახებაც (თუმცა იგი, როგორც ზემოთ ითქვა, გარჩეულია ამავე ქვეჯგუფის ერთ-ერთ ენაში, ახვა-ხურში, მაგრამ მისი ისტორიული არსებობა სხვა ენებში ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი). ეს არ ითქმის მეღერი ლატერალური აფრიკატის შესახებ (იხ. ქვ.).

**მეღერი ლატერალური აფრიკატის რეფლექსისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში.** იმ შესატყვისობიდან ამოსვლით, რაც ხუნძ-ანდ. მაგარ აბრუპტივ ლატერალურ აფრიკატ ტჱ-ს მოეპოვება დალესტნის სხვა ენებში (იხ. ქვ.), ნ. ტრუბეცკოი ვარაუდობს, რომ მეღერი ლატერალური აფრიკატი ხუნძ.-ანდ. ენებში შეცვლილია ტჱ რეფლექსით (დილოურ ენებში ტჱ → ლ'); შდრ.:

ა) ხუნძ.-ანდ. ტჱ — ლაკ. კ და ა. შ.:

ხუნძ. ტჱინ, ანდ. ტჱინუ — ლაკ. კი (ნათ. კინ-ილ), „ზამთარი“;

ხუნძ. ტჱილი, ანდ. ტჱერ-ტჱილ — ლაკ. კილი „უნაგირი“;

ანდ. რიტჱი — ლაკ. დიკ, დარგ. დიჟ, კიურ. ძაქ (ნათ. ძაკუნ)... უდ. ეჟ „ხორცი“...

ბ) ხუნძ.-ანდ. ტჱ — ლაკ. ლ და ა. შ.

ხუნძ. ანტჱ-, ანდ. ჰოტჱჟ- — ლაკ. არულ (← \*არლ), ტაბას. ურგ'უ... უდ. ვულ „შვიდი“;

ხუნძ. ტჱო, ანდ. ტჱირუ — ლაკ. ლამუ, დარგ. გ'უმი „ხიდი“;

ხუნძ. ბოტჱ — ლაკ. ფაალ „თავლა“, დარგ. ბიგ' „ცხენების ან ძროხების ჯოგი“...

ისეთ შემთხვევებში, როცა ხუნძ.-ანდ. ტჱ-ს დალესტნის სხვა ენებში შესატყვისად მეღერი თანხმოვნები აქვს (ლაკ. ლ, დარგ. გ', უდ. ლ და ა. შ. — იხ. ზემოთ შესატყვისობათა ბ) ფორმულა), ნ. ტრუბეცკოის ვარაუდით, ტჱ ხუნძ.-ანდიურისა მიღებულია მეღერი ლატერალური აფრიკატისაგან<sup>1</sup>.

მეღერი ლატერალური აფრიკატის (ღჱ) კვალი ლ რეფლექსის სახით (შდრ. ზემოთ ლაკ. ლ ხუნძ.-ანდ. ტჱ ← \*ღჱ ლატერალის შესატყვისად), ნ. ტრუბეცკოის აზრით, შეიმჩნევა ხუნძ.-ანდ. ენებშიც. ნ. ტრუბეცკოი მიუთითებს რამდენიმე მაგალითზე, რომელშიც ანდიურ ენაში (ამ ენის ანდის თქმაში) ლ რეფლექსი ვეაქვს, როცა, მისი აზრით, ამოსავალია მეღერი ლატერალური თანხმოვანი (შდრ.: ანდ. ლენსაიბ — ხუნძ. ტჱენსაერ „წარბი“ და სხვ.).

<sup>1</sup> N. Troubetzkoy, Les consonnes latérales...

სინამდვილეში კი ასეთ შემთხვევებში ანდ. ლ რეფლექსისათვის ამოსავალია არამაგარი აბრუპტივი|ლატერალური აფრიკატი ანუ მეხუთე ლატერალური თანხმოვანი (შდრ.: ანდ. ლენსაიბ, ლაღ. ლენსაიბ, ზილ. ენსაიბ — ქვანხ. ტ'ენციი, მუნ. ტ'ენსილი „წარბი“ — § 28). ამ ლატერალურ თანხმოვანს ნ. ტრუბეცკოი არ იცნობს.

მეღერი ლატერალური აფრიკატის კვალს ხუნძ.-ანდ. ენებში შეიძლება ამჟღავნებდეს ტა-სა და გ-ს (ვარიანტებით: გ' → || ჯ, გ' → || ჯ) მონაცვლეობის — სპორადული — ფაქტები<sup>1</sup>; შდრ.: ხუნძ. ტაბ-ი-ზე — ანდ. ჯაბ-უ (← ლაღ. გ'აბ-უ) „დარტყმა“, „მოკვლა“ (გ'-სა და მისგან მიღებული ჯ-ს გემინაცია შეიძლება აიხსნას თვით ამ სიტყვის მნიშვნელობით — § 44); ანდ. ტან-ნუ (← ტან-დუ — § 42) — ბოთლიხ. გან-დი, კარატ. გან-და, ლოლობ. გ'ან-ი, ბაგვალ. გ'ენ-ა, ჰამალ. ჯან-ა „წვეა“.

მოყვანილ მაგალითებში ტა-ს მიღება გ-საგან (ან პირიქით) გამორიცხული ჩანს, ხოლო ორივე მათგანის მიღება მეღერი ლატერალისაგან — დასაშვები.

**30. შაკინგბალური აშრიკატები.** ფარინგალური აფრიკატების რიგში ანდიური სამ წევრს განარჩევს: ფშინივიერ მაგარ ჳ-ს (=ჳა), აბრუპტივ არამაგარ ყ'-სა და აბრუპტივ მაგარ ყა-ს.

ხუნძურთან შედარებით აქ მეტია აბრუპტივი არამაგარი ყ', რომელიც ხუნძურში დაკარგულია (შეცვლილია სულ სხვა თანხმოვნით — იხ. ქვ.). თვით ანდიურშიც არამაგარი ყ'-ს პოზიციები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკმაოდ შერყეულია.

ხუნძურშიცა და ანდიურშიც ხსენებულ რიგში გვაკლია არამაგარი ფშინივიერი ჳ (=ჳ') და, გარდა ამისა, შესაბამისი მეღერი კორელატიც.

**არამაგარი ყ' და მისი რეფლექსები.** არამაგარი ყ' მაგარ ყა-სთან ერთად ანდიური ენის ანდის თქმაში ა. დირს აქვს და-

<sup>1</sup> ქვემოთ მოყვანილი მაგალითები აღნიშნულია ჩვენ წერილში „ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის“. იკვ. V, 1953, გვ. 277, 293. შდრ. სხვაგვარი ინტერპრეტაცია ამავე ფაქტებისა: Т. Г у д а в а, Сравнительный анализ глатольных основ в аварском и андийских языках, Махачкала, 1950, გვ. 80—81, 194; ელ. ლომთაძე, თანხმოვანთა შესატყვისობანი დილოურ ენებსა და ზუნძურს შორის. იკვ, XIII, 1962, გვ. 305.

დასტურებული. ა. დირი არამაგარ ყ'-ს<sup>1</sup> აღნიშნავს q ნიშნით, ხოლო მაგარ ყ-ს — q̄ ნიშნით და მიუთითებს მათ შორის შემდეგს განსხვავებაზე: „ყ არის მნიშვნელოვნად უფრო დიდი და ძაბვით წარმოთქმული ყ'“-<sup>2</sup>.

ა. დირის მასალას ემყარება ნ. ტრუბეცკოი, რომელმაც არამაგარი ყ' მაგარ ყ-სთან ერთად ხუნძურ-ანდიურ ენათა საერთო — ისტორიულ — კუთვნილებად დასახა და დაადგინა მისი რეფლექსები ამ თანხმოვნის არმქონე ხუნძ.-ანდ ენებში (იხ. ქვ.).

მაგრამ ა. დირი და ნ. ტრუბეცკოი არ იცნობენ იმ ცვლილებებს, რასაც არამაგარი ყ' განიცდის თვით ანდიური ენის თქმებში. ცვლილებები კი ნაირგვარია.

ა) ანდის, ლალათლის (და აშალის), რიკვანისა და ჩანხოს თქმებში არამაგარი ყ' გამჟღერების ტენდენციას ამჟღავნებს. მჟღერობის ჩანასახი (სახმო სიმების ვიბრაციის სახით) მას ყველა ზემოხსენებულ თქმაში აქვს. განსხვავება შეიძლება გვექნოდეს მჟღერობის მეტ-ნაკლები ხარისხის მიხედვით. ანდის, ლალათლისა და რიკვანის თქმებში მჟღერობა იმდენად თვალსაჩინოდაა გამოხატული, რომ აქ ეს თანხმოვანი შეიძლება ჩვეულებრივი ტიპის მჟღერადაც მივიჩნიოთ<sup>3</sup>. მასთან, საექვო არ უნდა

<sup>1</sup> შეიძლებოდა ამ თანხმოვნისათვის გვეხმარა ძირითადი ნიშანი ყ დამატებითი განმასხვავებელი ნიშნის (') გარეშე (შდრ.; სხვა შემთხვევებში დამატებითი განმასხვავებელი ნიშანი არამაგარი თანხმოვნისათვის ჩვეულებრივ არ იმარება: წ — წ', კ — კ' და ა. შ.), მაგრამ ამ შემთხვევაში დამატებითი ნიშანი გახაზავს იმ განსხვავებას, რაც გვაქვს ანდ. ყ'-სა და ხუნძ. ყ-ს შორის (ამის გარეშე ანდ. ყ' შეიძლება აგვერიოს ხუნძ. ყ-ში, რომელიც მაგარი თანხმოვანია, მოკლებული არამაგარ კორელატს და ამიტომ განმასხვავებელი ნიშანი სიმაგარისა მას არ ეწერება). გარდა ამისა, არამაგარი ყ'-ს ასეთი აღნიშვნა ბოლოდროს მიღებულია სპეც. ლიტერატურაში.

<sup>2</sup> „q̄ есть q. произносимое со значительным большим напряжением“ (А. Дирр. АИД. №3, გვ. 2).

არამაგარ ყ (q)-სა და მაგარ ყო (q̄)-ს ა. დირი სათანადო სიტყვებში თითქმის ყოველთვის სწორად განარჩევს; იხ. მაგალ., მისი შრომის 145—147 გვ., სადაც მოყვანილია ამ თანხმოვნებით დაწყებული სიტყვები. აქ ერთადერთი შეცდომა შევნიშნეთ (არის: ყ ა უ რ წ ი მ „ჯორი“, უნდა იყოს: ყ' უ რ წ ი მ). ორი-ოდე შენთხვევაში არამაგარი ყ' არეულია კ-ში (ყ'-სათვის ნაზმარია იგივე ნიშანი, რაც კ-სათვის): **кади** (გვ. 135) = კ ა ს ი (უნდა იყოს: ყ' ა ს ი), **кадиа** (იქვე) = კ ა ბ ი ლ (უნდა იყოს: ყ' ა ბ ი ლ).

<sup>3</sup> მჟღერად მიიჩნევს მას (აულ რიკვანის თქმის მონაცემების მიხედვით) ი. სულეიმანოვიც.

ა. დირი კი არაუფროს ამბობს ყ'-ს მჟღერობაზე ანდიურში (აულ ანდის თქმაში, რომელიც მან შეისწავლა). ძნელი დასაშვებია (თუმცა გამორიცხული არ არის) ყ'-ს გამჟღერება ასე ახალი მოვლენა იყოს.

იყოს ფონეტიკურად მისი იდენტიფიკაციაც იმ — პირველად — მელერ თანხმოვანთან ამავე რიგისა, რომლის არსებობა განვითარების ადრინდელ საფეხურზე დალესტნურ და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში დასაშვებად მიიჩნევა, ხოლო ამჟამად არ შენახულა არც ერთ ხუნდ.-ანდ.-დიდ. ენაში (ისევე, როგორც არც სხვა იბერ.-კავკასიურ ენათა უმეტესობაში).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ფარინგალური რიგის — პირველადი — მელერი აფრიკატი ხუნძურ-ანდიურ ენებში შეცვლილი ჩანს ამავე რიგის მაგარი აბრუპტივი თანხმოვნით (ყა)<sup>1</sup>.

ამრიგად. ანდიურის ზემოხსენებულ თქმებში გვაქვს მეორეული წარმოშობის მელერი თანხმოვანი ფარინგალური რიგისა. ძველად კი იგი წარმოადგენდა ყრუ აბრუპტივს, რომელიც უპირისპირდებოდა ყა-ს სიმაგრის მიხედვით (ყ' — არამაგარი, ყა — მაგარი). ამჟამად ეს დაპირისპირება მოხსნილია (რამდენადაც ყ' გამჟღერებულია და მელერი ვერ დაუპირისპირდება ყრუს სიმაგრის მიხედვით) და შეცვლილია სულ სხვა დაპირისპირებით (ყ' — მელერი. ჯ — ყრუ ფშვინვიერი. ყა — ყრუ აბრუპტივი).

ყ'-ს გამჟღერება ანდიურ ზემოხსენებულ თქმებში ეხმაურება ამავე თანხმოვნის მელერ რეფლექსებს ხუნძურ-ანდიურ სხვა ენებსა და კილო-თქმებში (შდრ. ყ'-ს რეფლექსებად: ლ — ბოთლიხურში, ჯ — ხუნძურში და სხვ. — იხ. ქვ.). ოღონდ ანდიურ თქმებში არამაგარ ყ'-საგან მივიღეთ წარმოების ადგილის მიხედვით იმავე რიგის მელერი, ხოლო სხვა ენებში — სულ სხვა რიგის მელერები (ღ, ჯ).

ყ'-ს შემცველ სიტყვათა მაგალითები (აულ ანდის თქმ.): ყ'ვანნუ „ანდი“ (ყ'ვანნ-ალ „ანდიელები“), ბოყ'ოგუ „ოთხი“, ყ'აბ „ფართო“ (ყ'აბ მიყაი „ფართო გზა“), ყ'ვონ „რქა“, მოყ'ო „ტრემლი“, ყ'უდი „ღრმა“, ჰოყ'უ „ძირს“, „დაბლა“, გვოყ'ი „ყრუ“, რეყ'ირ „საქონლის საკვები“ (корм), როყ'ო „ქოკა“, ყ'ულ „ქორდი“, ყ'ურწიმ „ჯორი“, ჰაყ'ვარა „მწყერი“, ყ'ვაყ'ვალ „ნიგოზი“, ლაყ'ვარა „ფაფახი“, ყ'ობდუ „შეხება“, ყ'ოშალუ „მიღწევა“, ჰაყ'იდუ „დანახვა“, ბიყ'იდუ „მოსვლა“, ბიყ'ულუ „ზრდა“...

აქვე მოგვყავს მაგარ ყა-ს შემცველ სიტყვათა მაგალითებიც (აულ ანდის თქმ.): ჰაყ'ულ „სახლი“, მიყაი „გზა“, ყაირ „ხორბალი“, ყაენ „კედელი“, ყაორო „საქმე“, ყაელ'ინ „ტომარა“, ბეყ'აუბ

<sup>1</sup> როგორც ეს დადგენილი აქვს ნ. ტრუბეტკოის (იხ.: მისი. Nordkaukas. Wortgleichungen.).

„გაშშრალი“, „გამხმარი“, „ხმელი“, ყურრუ „ბაყაყი“, ბუყაიღუ „ქრა“, ყაამმუ „კბენა“...

ბ) ქვემოანდიურ თქმებში ყ', როგორც ფარინგალური რიგის არამაგარი ყრუ აბრუპტივი, დატულია პირველადი სახით (ე. ი. გაუმღერებლად). მაგრამ არა ყველა პოზიციაში.

ორივე ქვემოანდიურ თქმაში (მუნიბისა და ქვანხიდათლის<sup>1</sup> თქმ.) ყ' ინტერვოკალურ პოზიციაში ტენდენციას იჩენს ე-ში გადავიდეს; მაგალითები: ქვანხ., მუნ. ბიჯუ ← ბიყ'უ, (შდრ.: ანდ. ბიყ'იდუ) „მოსვლა“; ქვანხ. ბოჯოგუ ← ბოყ'ოგუ; მუნ. ბოჯო ← || ბოყ'ო — ორივე ვარიანტი შესაძლებელია (ანდ. ბოყ'ოგუ) „ოთხი“; ქვანხ. მოჯო ← მოყ'ო (ანდ. მოყ'ო) „ცრემლი“; მუნ. ჰაჯუ ← ჰაყ'უ (ანდ. ჰაყ'იდუ, ქვანხ. ჰანყ'უ) „დანახვა“; მუნ. ტ'აყ'არა ← ტ'აყ'არა (ანდ. ლაყ'ვარა) „ფაფახი“...

არაინტერვოკალურ პოზიციაში კი ყ' დატულია: ქვანხ. ყ'აბი, მუნ. ყ'აეი „გზა“ (ქვანხ. ყ'აბი მიყაი, მუნ. ყ'აეი მიყაი „ფართო გზა“), ქვანხ. ყ'ვანნუ, მუნ. ყ'ვანნი „ანდი“ (ქვანხ. ყ'ვანდერალ, მუნ. ყ'ვანდირალ „ანდიელები“), მუნ. ყ'ოშაუ „მიღწევა“, ქვანხ. ყ'ონა „რქა“, ქვანხ. ყ'ვაჯალ ← ყ'ვაყ'ალ (ამ სიტყვაში ყ' დატულია თავში, მაგრამ ხმოვანთა შორის ყ' → ე; შდრ.: ანდ. ყ'ვაყ'ვალ) „ნიგოზი“...

გ) ერთ-ერთ ზემოანდიურ თქმაში, ზილოს თქმაში, ყ' სულაც არა გვაქვს. აქ იგი ყველა პოზიციაში ე-შია გადასული (შდრ.: ქვემოანდიურ თქმებში ყ' → ე მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში); მაგალითები: ბოჯოგუ ← ბოყ'ოგუ „ოთხი“, ჰოჯუ ← ჰოყ'უ „ცირს“, „დაბლა“, ევენ ← ყ'ვენ „რქა“, ჰაყერი ← ჰაყ'ერი „დანახვა“, ევანნუ ← ყ'ვანნუ „ანდი“, ვუჯორ ← ვუყ'ორ „მოსვლა“, ეუდი ← ყ'უდი „ღრმა“, მოჯო ← მოყ'ო „ცრემლი“ და ა. შ.<sup>2</sup>

ამრიგად: ა) ანდის, ლალათლის (და აშალის), რიკვანისა და ჩანხოს თქმებში ყ' გამღერების გზას ადგას, ბ) მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში ყ' → ე — ინტერვოკალურ პოზიციაში, გ) ზილოს თქმაში ყ' → ე — ყველა პოზიციაში.

ხუნძურში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ყ' არა გვაქვს (ამ ენაში ყ-ს ერთად-ერთი ვარიანტია: მაგარი ყ). არც ანდიურ

<sup>1</sup> შდრ.: ილ. ცერცვაძე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის (იკვ. V, გვ. 266).

<sup>2</sup> ყ' → ე ანდიურ თქმებში ჩვენ ყურადღებას წარმართავს ყ-ს ანალოგიური რეფლექსისაკენ ზანურში (იხ. არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, გვ. 15—16).

ენა-კილოთა უმეტესობაში ჩანს ეს თანხმოვანი. ხუნძურ-ანდიური ენებიდან არამაგარი ყ' ცნობილია — გარდა ანდიური ენისა — მხოლოდ ახვახურ ენაში<sup>1</sup>.

ყ'-ს რეფლექსად ხუნძურში უფრო ხშირად თავს იჩენს ფარინგალური მყდერი სპირანტი ჭ; შდრ., მაგალ.: ანდ. მოყ'ო, ახვახ. მაყ'ა — ხუნდ. მაჭო „ცრემლი“; ანდ. ყ'აბ, ახვახ. ყ'აბე — ხუნდ. ჭებ „ფართო“; ანდ. რეყ'ირ — ხუნდ. რაჭი „საქონლის საკვები“ და ა. შ.

იშვიათად ყ'-ს რეფლექსად ხუნძურში ყ (=ყა)-ც დასტურდება; შდრ.: ანდ. ბოყ'ოგუ, ახვახ. ბოყ'ოლა- — ხუნდ. უნყგო (მაგრამ: ანწუხ. უნჭგო)<sup>2</sup> „ოთხი“; ანდ. ყ'ვარ-ტყუ — ხუნდ. ყვალ-ა-ტყ „ილია“; ხუნძურში სიტყვაწარმოებითი -ჭალ სუფიქსი (რომელიც -ყ'ალ-ისაგან უნდა მოდიოდეს) ზოგ ფუძესთან -ყ'ალ ვარიანტითაც დასტურდება: ვაცა-ჭალ „ბიძაშვილი“, იმ-ჭალ „ბიძა“ — მაგრამ: უნ-ყალ „ბიცოლა“; ეტყობა, ხუნძურს პირველადი არამაგარი ყ' ზოგ სიტყვაში შემოუნახავს ჭ-ში გადაუსვლელად. მაგრამ ასეთი ყ' შემდეგ მაგარ ყა-ში არეულა.

ერთ სიტყვაში ყ'-ს რეფლექსად ხუნძურში ღ-საც ვპოვებთ; შდრ.: ანდ. ლაყ'ვარა — ხუნდ. ტაღურ „ფაფახი“ (შდრ.: ბოთლიხურში ყ' → ღ — რეგულარულად — იხ. ქვ.).

ყ'-ს რეფლექსებად ამ თანხმოვნის არმქონე ანდიურ ენებში დასტურდება თანხმოვნები: ღ (ბოთლიხურში), ც (კარატულსა, ლოდობერაულსა, ჭამალალურსა და ტინდიურში), ჭ; ც → || 0 (ნოლი) (ბაგვალალურში); შდრ.:

ანდ. ბოყ'ო- (ქვანხ., შილ. ბოცო-, მუნ. ბოცო), ახვახ. ბოყ'ო- — ბოთლიხ. ბულუ-, ლოდობ. ბუცუ. ტინდ., კარატ. ბოცო-, ჭამალ. ბოცუ-, ბაგვალ. ბურა ← || ბუცუ-რა „ოთხი“;

ანდ. ყ'აბ, ახვახ. ყ'აბე — ბოთლიხ. ლაბი; კარატ. ცაბუ; ბაგვალ. ჭაბუ „განიერი“, „ფართო“ და სხვ.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ახვახურში (ისევე, როგორც ანდიურში) ა. დირი არამაგარი ყ'-სათვის ხმარობს q ნიშანს (᠒᠐᠒᠒᠕-w-e = ბოყ'ოლა-ე-ე „ოთხი“). მაგარი ყა-სათვის — q̄ ნიშანს (q̄ino = ყინო „ზაფხული“). არამაგარი ყ' ახვახურში აღნიშნული აქვს ხ. მაჰომედბეკოვასაც (იხ. მისი, Вопросы фонетики ахвахского языка. Спб. VII. გვ. 295).

<sup>2</sup> ეს მაგალითი აღნიშნული აქვს ნ. ტრუბეცკოის (იხ. ქვ. დასახ. შრ.). დანარჩენი მაგალითები ჩვენ გვეკუთვნის.

<sup>3</sup> ყ'-ს რეფლექსები ხუნძურ-ანდიურ ენებში დადგენილი აქვს ნ. ტრუბეცკოის. — იხ. მისი: Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten..., § 24; იხ. აგრეთვე: ილ. ცერცვაძე. ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის (იკვ. V, 1953, გვ. 267); З. Магомедбекова. Вопросы фонетики ахвах-

არამაგარი ჯ-ს რეფლექსი. არამაგარი ჯ' ხუნძურ-ანდიურ ენე-ბიდან ცნობილია მხოლოდ ახვახურ ენაში (დალესტნის სხვა ენე-ბიდან ლაკურში, დარგულში...), როგორც შედარება არკვევს, ამ თანხმოვნის რეფლექსად ანდიურში (მის ყველა თქმაში) გვაქვს ხ. ხუნძურში — ხ (ჩრდ.-ხუნდ.) და ჰ (სამხრ.-ხუნდ.), შდრ., მაგალ.<sup>1</sup>: ახვახ. აჯ'ი — ანდ. ოზი, ჩრდ.-ხუნდ. ახ, სამხრ.-ხუნდ. აჰ „ბალი“; ახვახ. ჯ'ური — ანდ. ხურ, ჩრდ.-ხუნდ. ხურ, სამხრ.-ხუნდ. ჰური „უანა“;

ახვახ. ჯ'ედუ — ანდ. ბეხედუ, ჩრდ.-ხუნდ. ხადუ-, სამხრ.-ხუნდ. ჰადუ- „უკან“ და სხვ.

§ 31. წინამდებარე სპირანტი ხ'. ანდიურში (ისევე: როგორც ხუნძურსა და დალესტნის სხვა ენებშიც) უკანაველარულ ხ-სთან (=ქართ. ხ) ერთად გვაქვს წინაველარული ხ'-ც (რომელიც უცხოა ქართულისათვის).

ხ' ანდიურსა და ხუნძურში ცალეული თანხმოვანია: აკლია მკლერი კორელატი (შდრ.: დალესტნის ზოგ სხვა ენაში, კერძოდ: ლეზგიურში, ტაბასარანულში..., მას მკლერი კორელატიც მოეპოვება). იგი ორსავე ენაში მაგარი თანხმოვანია (აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებებით), თუმცა მოკლებულია შესაბამის არამაგარ სახეობას (ლაკურში, დარგულში, ტაბასარანულში და დალესტნის ზოგ სხვა ენაში ამ თანხმოვნის სიმაგრის მიხედვით დაპირისპირებული ორხვე ვარიანტია გარჩეული).

ლექსიკური ნიმუშები: ხ'ვადუნუ (შდრ.: ხუნდ. ხ'ვადიზე) „სიარული“; ხ'ულ (ხუნდ. ხ'ულ) „სურვილი“; „იმედი“, ხ'ვაპუნუ (ხუნდ. ხ'ვაჭიზე) „ქნევა“; ახ'ალ (ხუნდ. ახ'ალ) „ნახევარი“; დად. ხ'აგი (ხუნდ. ხ'აგ) „ქვაბი“...

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ანდიურში ხ' ხუნძურთან საერთო სიტყვებშია (მეტი წილი ასეთი სიტყვებისა შეიძლება ნასესხებიც იყოს ხუნძურიდან).

ხუნძურში კი გაცილებით მეტია ხ'-ს შემცველი სიტყვები (ფუძეები).

1. *Словосочетания* (იქვ, VII, 1955, გვ. 307): ტ. გუდავა. ფარინგალურ თანხმოვანთა საკითხისათვის ხუნძურ-ანდიურ ენებში (იქვ, IX—X, გვ. 261): „ხუნდ. ენა“, § 42.

<sup>1</sup> არამაგარი ჯ-ს რეფლექსები ხუნდ. ანდ. ენებში დადგენილი აქვს ნ. ტრუბეტკოის (იხ. მისი, *Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten...* § 14. A). ხუნძურ ენაში დიალექტურად განსხვავებული ორი სხვადასხვა რეფლექსი — ხ-სა და ჰ-ს — იმპარატივის შესახებ ერთმანეთთან და ამოსავალ ჯ' თანხმოვანთან იხ. „აუნდ. ენა“, § 42.



შედარება არკვევს, რომ სათანადო სიტყვებში ხუნძ. ხ-ს შესატყვისად ანდიურში ხშირად შ გვაქვს: ტუში (შდრ. ხუნძ. ტოხნი) „ტყვია“ (свищи), შენ (ხუნძ. ხონ) „თესლი“. რომან (ხუნძ. როხენ) „თოკი“, რეშუ (ხუნძ. როხ) „ტყე“, მიში (ხუნძ. მუხ) „ქირა“, ბოშინუ (ხუნძ. ბუხინე) „მიბმა“, „დაბმა“. ბუში-დუ (ხუნძ. ბოხინე) „წაცხება“<sup>1</sup>...

იშვიათად ანდიურ თქმებში ხ შეიძლება შეცვალოს ხ-ნაც: ღალ. ხაგი (ხუნძ. ხაგ) — შილ. ხაგი, ქვანხ., მუნ. ხოვი „ქვაბი“<sup>2</sup>.

§ 32. სისინა ჩივის აზრიკატში. გვაკლია მეღერი კორელა-ტი (ძ). არამაგარი აფრიკატი ც ანდიური ენის მხოლოდ ზოგ თქმა-შია შემონახული და ისიც თითო-ორთა სიტყვებში: ქვანხ., ჩანხ. ცე-ბ „ერთი“; მუნ.: უნცო „ხარი“, ყაეცი „ჯიბრი“, ხარიცელი „ნამგალი“, ქიცინ „ანდაზა“ (სამი უკანასკნელი სიტყვა ნასესხებო უნდა იყოს ხუნძური ენიდან)<sup>3</sup>. ზოგ თქმაში (კერძოდ: ანდისა, ლათლისა) კი ეს თანხმოვანი სულაც არ ჩანს (ისევე, როგორც ზოგ სხვა ხუნძ.-ანდიურ ენასა და კილო-თქმაშიც)<sup>4</sup>.

მოსალოდნელ შემთხვევებში ც-ს ნაცვლად სპირანტ ხ-ს ვპოვებთ: ხე-ბ (შდრ.: ხუნძ. ცო, ლაკ. ცა<sup>5</sup>) „ერთი“ (ამ სიტყვაში არამაგარი ც დაცული აქვს ანდიურში ქვანხიდათლისა და ჩანხოს თქმებს — იხ. ზემოთ), უნსო (ხუნძ. ოც, ლაკ. ნიც)<sup>6</sup> „ხარი“ (ამ სიტყვაში ც ანდიურში დაცული აქვს მუნიბის თქმას — იხ. ზემოთ), ხეჲ || ხეჲ (ხუნძ. ცი, ლაკ. ცუშა) „დათვი“, ხორ (ხუნძ. ცერ, ლაკ.

<sup>1</sup> შდრ. N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminirten“ Konsonanten, § 7, B.

<sup>2</sup> ხ ხ-ს ანდიურში აღნიშნავს ნ. ტრუბეტკოი ც. მაგრამ მაგალითი, რომელიც მას მოჰყავს, არ არის სწორი: ხუნძ. ხვა დიხე — ანდ. ხვა დუნნუ „სიარული“ (დასახ. შრ., § 7. A). სინაღდეღეში კი ანდიურში გვაქვს: ხვა-დუნნუ (და არა: ხვა დუნნუ) „სიარული“ (ნეცდომის წყაროა ა. დირის ლექსიკონი: იხ. A. Дирр. Анд. яз., გვ. 158). ჩვენ მიერ ზემოთ დანოქმებულ მაგალითს ნ. ტრუბეტკოი არ იცნობს.

<sup>3</sup> ი. სულეიმანოვს მოჰყავს არამაგარი ც-ს შემცველი რანდენინე სიტყვა რიკვანის თქმიდან: უნეცუ „ქათანი“, ალქეცი „მამალი“. ნეცდო „შურთიხ“ ბუტურ — ადგილის (მთის) სახელია. გოცუ „მოკლე ყურებიანი ცხვარი“ (И. Г. Сулейманов, Автореферат, გვ. 6).

<sup>4</sup> მაგალ. ქანძლალურში (იხ. А. Бокареви, Чамал. яз., გვ. 54), ახვანურში... ხუნძური ენის აწუხურ დიალექტში და სხვ.

<sup>5</sup> ამავე ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს ქართ. ცალ-ი (ივ. ჯავახიშვილი).

<sup>6</sup> შდრ.: აფხაზ. აცო ძვ. სომხ. ცულ „ხარი“ (И. Я. Марр, Непочатый источник: истории Кавказского мира, ИАН, გვ. 3:5).

ცულა) „მელა“; ხოლ (ხუნდ. ცა) „კბილი“, ორსი (ხუნდ. ფარაც, ლაკ. არცუ) „ვერცხლი“; „ფული“, ბოსინნუ (ხუნდ. ბიციწე) „თხრობა“, „მბობა“ და სხვ.<sup>1</sup>

მაგარი ცა კი გარჩეულია ყველა ანდიურ თქმაში (ვოცაი „მმა“, ღოცაი „და“, ცაულა „ხახა“, თაფცაუ „ბალლინჯო“...), თუმცა იშვიათად ცა-ს ხა-თი შეცვლის შემთხვევებიც შეიმჩნევა: საედუ (ხუნდ. ცაე-ბ-ე) „წინ“, ხაიმ (ხუნდ. ცაინ || ცაიმ) „ნალველი“. „ბოლმა“<sup>2</sup>.

§ 33. წყვილბაგისმიერთა რეზლემსები. წყვილბაგისმიერთა რიგი ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) წარმოდგენილია ორი ხწული თანხმოვნით: მელერი ზ და ყრუ ფშეინვიერი ფ. ამავე რიგს განეკუთვნება ორი სონანტიც: შ (რომელიც ცხვირისმიერიცაა) და ჯ (ნახევარხმოვანი).

ჯერ კიდევ პ. უსლარი მიუთითებდა წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტებაზე ხუნძურ ენაში (კერძოდ, ხუნძახურ დიალექტში)<sup>3</sup>. ამ ნიადაგზე პოეებს ახსნას ხსენებულ ენაში წყვილბაგისმიერ თანხმოვნებთან დაკავშირებული რიგი მოვლენა (სა-

<sup>1</sup> ასევე ხუნდ.-ანდ. სხვა ენებსა და კილო-თქმებში. რომლებშიც ც არა გვაქვს (ან სპორადულად თუ გვხვდება). ეს თანხმოვანი ს სპირანტით არის შეცვლილი (ან: ც — ხ → შ — ხუნძური ენის კალოკოლოფურ თქმაში, ახვახურ ენაში): იხ.: П. Услар, Авар. яз., გვ. 13; N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten, § 14, В: არნ. ჩიქობავა, ხუნძური ენის ჰიდური კილოკავის თავისებურებანი, 1942 (ხელნაწ.); ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი, იკე. II, 1948, § 17, გვ. 136—137; ტ. გუდავა, აფრიკატები ანდიურ ენებში, იკე. XI, 1958, გვ. 269; Ш. И. Микаилов, Очерки аварской диалектологии, М.-Л., 1959, გვ. 58. 301: „ხუნდ. ენა“, გვ. 77.

<sup>2</sup> ცა-ს შეცვლას ხა-თი რეგულარული ხასიათი აქვს ბაგვალალურ ენაში (ვა ხ ა ← ვ ა ც ა „მმა“ და ა. შ.), ხუნძური ენის ჰიდურ კილოკავში (ვა ხ ა ← ვ ა ც ა და ა. შ.): არნ. ჩიქობავა, ხუნძური ენის ჰიდური კილოკავის თავისებურებანი, 1942 (ხელნაწ.). ტ. გუდავა, აფრიკატები ანდიურ ენები, იკე. XI, 1958, § 37, გვ. 276; Ш. И. Микаилов, Очерки аварской диалектологии, გვ. 301, მისივე. Сравнительно-историческая фонология авар. диалектов, გვ. 69; „ხუნდ. ენა“. § 51, გვ. 75; შდრ. N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten, § 11, В; § 12, В (6. ტრუბეტკოვის ვარაუდით ცა ხა მონაცვლეობის ცალკეულ მაგალითებში ამოსავალია ხა).

<sup>3</sup> „При произношении губных согласных аварцы вообще не сжимают крепко губ... Это свойство у хунзахцев переходит в крайность“ (П. Услар, Авар. яз., გვ. 9).

ხელდობრ: ბ-ს დაკარგვის შემთხვევები, მ → ნ — აუსლაუტსა და ინლაუტში თანხმონათის წინ, ფ → ჰ) <sup>1</sup>.

ამავე მიზეზით უნდა აიხსნას წყვილბაგისმიერებთან დაკავშირებული მოვლენები ანდიურ ენაშიც; სახელდობრ:

ა) ბ → ვ. აულ მუნ ი ბ ის თქმაში ბ ინტერვოკალურ პოზიციაში სისტემატურად ვ-ს იძლევა; მაგალითები: ხაჯარი ← ხაბარი (შდრ.: ანდ., ლაღ. ხაბარ) „ამბავი“, ჰ, ხაბარი, რივუ ← რიბუ (ანდ. რეფუ, ლაღ. რიბუ) „გაზაფხული“, სივირუ ← სიბირუ, „შემოდგომა“ (ანდ., ლაღ. სიბირუ „შემოდგომა“, ქვანხ. ციბირუ „ზამთარი“), ლივუ ← ლიბუ (ანდ., ლაღ. ლიბდუ) „გადახტომა“... აღნიშნულ პოზიციაში არსებით სახელთა მრავლ. რიცხვის სუფიქსისეული ბ და, აგრეთვე, III გრამატიკ. კლასის ნიშანი ბ იცვლება ყოველთვის ვ-თი: ილოვილი ← ილობილი (შდრ.: ანდ., ლაღ. ილობილ) „დედები“, ტენსაივოლი ← ტენსაიბოლი (ანდ. ლენსაიბოლ, ლაღ. ლყენსაიბოლ) „წარბები“, გედოვილი ← გედობილი (ანდ., ლაღ. გედობილ) „კატები“... სევი ← სები (შდრ.: ანდ., ლაღ. სე-ბ) „ერთი“: სევი (← სები) კოთუ „ერთი ცხენი“... დივი ← დიბი (ანდ., ლაღ. დი-ბ) „ჩემი“: დივი (← დიბი) კოთუ „ჩემი ცხენი“... არაინტერვოკალურ პოზიციაში ბ დაცულია: ბოწო „მგელი“, ბალუ „ლამაზი“, ბისაილ(ი) „თქვენ“... ბიწივი ← ბიწიბი „სავსე“ (უკანასკნელ მაგალითში ბ სიტყვის თავში დაცულია, მაგრამ სიტყვის შიგნით, ხმონათა შორის ვ-შია გადასული [შდრ.: ანდ., ლაღ. ბიწიბ „სავსე“])...

სხვა ანდიური თქმებისათვის ბ → ვ უცხოა. არც ხუნძურ-ანდიურ სხვა ენებსა და კილო-თქმებში ბ არ იძლევა ვ-ს; ასე, რომ ბ → ვ ხუნძ.-ანდიურ ენებსა და კილო-თქმებში შეიძლება მივიჩნიოთ სპეციფიკურ მოვლენად აულ მუნების თქმისათვის <sup>2</sup>.

ბ) ბ-ს დაკარგვა. აულ რ ი კ ვ ა ნ ის თქმაში ბ ინტერვოკალურ პოზიციაში სულ იკარგება (შდრ.: ამავე პოზიციაში ბ → ვ მუნების თქმაში—

<sup>1</sup> იხ. A. Schiefner, Versuch über das Awarische, §§ 32. 34; П. Услар, Авар. яз., გვ. 9. § 7. Н. Я. Марр, Непечатный источник..., გვ. 323—324: „ხუნძ. ენა“. § 43. გვ. 56—59.

<sup>2</sup> დალესტინის სხვა ენებიდან ბ → ვ ცნობილია ლაკურ ენაში (П. Услар, Лакский язык, გვ. 6: ვ. თოფურია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში. ენაშკის მოამბე. XI, 1942, გვ. 176, 178; Л. Жирков, Лакский язык, Москва, 1955. გვ. 14).

ამავე პროცესის (ბ → ვ) კვალი ისტორიული ხანისათვის შეიმჩნევა ქართული ენის დიალექტებშიც (ა. შანიძე. ვე კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში, ხმაშ. ტ. II, № 8, 1941).

იხ. ზემოთ); მაგალითები: ზუ || ზუე (← ზუუ) ← ზუბუ (შდრ.: ანდ., ლაღ. და ა. შ. ზუბუ) „ღღე“; ლყავრ (← ლყაურ) ← ლყაბურ (ანდ. ლაბუო. ლაღ. ლყაბურ. შილ. ცაბურ) „მკერდი“, ჯაე (← ჯაი) ← ჯაბი (ანდ. ჯაბი) „დაარტყა“... რელყოღ (← რელყოიღ) ← რელყობიღ (შდრ.: ანდ. რელობიღ, ლაღ. რელყობიღ) „ხელები“, ჰარკოღ (← ჰარკოიღ) ← ჰარკობიღ (შდრ.: ანდ., ლაღ. ჰარკობიღ, მუნ. ჰარკოვიღი ← ჰარკობიღი) „თვალეები“ და ა. შ. როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ბ-ს დაკარგვის შედეგად ორი ხმოვნის უშუალო შეხვედრისას ვიღებთ ერთ გრძელ ხმოვანს (ორი ერთნაირი ხმოვნისაგან) ან დიფთონგს (ორი სხვადასხვა ხმოვნისაგან) (§§ 10, 16).

არაინტერვოკალურ აოზიციამი ბ რიკვანის თქმაშიც შენახულია: ბოწო „გელი“; სიბრუ „შემოდგომა“; ბალყიბ „წაკითხული“ (მაგრამ: ბალყაორ ← ბალყიორ ← ბალყიბ-ორ „რომ წაეკითხა“...), დი-ბ „ჩემი“ (მაგრამ: დივლ ← დიულ ← დიბ-ულ „ჩემები“) და სხვ.

გ) მ-ს დასუსტება. აულ რიკვანის თქმას ახასიათებს ინტერვოკალურ პოზიციამი ბ-ს დაკარგვასთან ერთად (იხ. ზემოთ) მ-ს დასუსტებაც<sup>1</sup>. ბ, როგორც ვნახეთ, უკვალოდ იკარგვის, მ-ს კვალი კი წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციაში დაჩნდება. აღნიშნული განსხვავება ბ-სა და მ-ს რეფლექსთა შორის მარტივად აიხსნება: ბ ოდენ წყვილბაგისმიერი ბგერაა, ხოლო მ ცხვირისმიერიცაა; ამიტომ წყვილბაგისმიერი არტიკულაციის მოშლით ბ-საგან აღარაფერი რჩება. ხოლო მ-საგან რჩება ნაზალობის მომენტი, რომელიც წინამავალ ხმოვანს გადაეცემა და ნაზალურ ტემბრს ანიჭებს (აცხვირისმიერებს) მას (§ 11); მაგალითები: გაფეშა (← გაფეშა) ← გამეშა (შდრ.: ანდ., ლაღ. გამეშაი) „ქამეჩი“; ბახვაფლო ← || ბახოფლო ← ბახომაფლო (შდრ.: ანდ. ბახომაფლო) „კერავს“, ქანო (← ქანარ) ← ქამარ (ანდ. ქამარ) „ნაწილი“... არაინტერვოკალურ პოზიციამი მ-ც (ისევე, როგორც ბ) დაკულია: მენ „შენ“, მიყა „გზა“, ვულყომ „წასული“ (მაგრამ: ვულყონო ← ვულყონორ ← ვულყომ-ორ „რომ წასულიყო“...), იხუმ „შეკედელი“ (მაგრამ: იხვაფდულ ← || იხუფდულ ← იხუმფდულ „შეკედლები“)...

ორი (გაორმაგებული) მ (მმ) ხმოვანთა შორის გამძლეა (არ სუსტდება): შამშუ „დაგდება“; „თესვა“...

დ) მ → ნ. ეს ფონეტიკური პროცესი აულ ქვანხიდათლის თქმაში შემჩნევა სიტყვის ბოლოში: სინ (შდრ.: ანდ., ლაღ. და ა. შ. სინი) „ნალველი“; „ბოღმა“; სინ (ანდ. სინ) „ტუჩი“; ბაგე“; ტონ (ანდ.

<sup>1</sup> И. Сулейманов, Автореферат, გვ. 5.

ლომ; ღალ. ლყომ; ზილ. ყომ. მუნ. ტ'ომ'ი) „სახურავი“. იხუნ (ანდ., ღალ. იხუმ) „მჭედელი“...

ე) ზ → ჰ. ორიოდე მაგალითი ადასტურებს ანდიურში (და სხვა ანდიურ ენებში) ზ-ს გადასვლას ჰ-ში: ჰარ-კუ (ბოთლიბ., ღოდომ. ჰად ← ჰარ, კარატ. ჰარ-კა და ა. შ.) (შდრ.: ხუნდ. ბერ) „თვალი“: ჰინ (ბოთლიბ., ღოდომ. ჰირი) (შდრ.: ხუნდ. ბი, ნათ. ბიდ-ულ) „სისხლი“; ჰადი (შდრ.: ხუნდ. ბადი-) „სახეში“: ჰადი ჰარჰინნუ „სახეში შეხედვა“; ჰოკორო (ტინდ. ჰაკუბ-) (ხუნდ. ბაკაბ) „მძიმე“. ზ → ჰ პროცესის ეს სპორადული მაგალითები მოგვაგონებს ხუნდური ენის ხუნ-იახურ კილოში ფ → ჰ-ს, რასაც აქ რეგულარული ხასიათი აქვს (ფერ → ჰერ „ხახვი“; ფირი → ჰირი „ელვა“ და ა. შ.)<sup>1</sup>.

ვ) ზ → მ. სპორადულად ზ-ს მ-დ შეცვლის მაგალითებიც შეიმჩნევა (არა ასიმილაციის ნიშანდგზე — შდრ. § 37): პუმა (შდრ.: ხუნდ. პუმი) „სვეტი“. პიმუ (ხუნდ. გეზო || გეზუ) „სადგისი“, პიტამი (ხუნდ. ტამბილ) „ძირი“, „ფესვი“.

ზ) ჰ-ს არქონა. წყვილბაგისმიერთა შორის გვაკლია აბრუპტივი ჰ. ეს თანხმოვანი ანდიურ თქმებში არსად შეიმჩნევა. ხუნდურის ზოგ კილო-თქმაში (კერძოდ, ანწუხურში. ქარულში. ჰიდურში...) იგი, მართალია, თითო-ოროლა მაგალითებში მაინც დასტურდება. მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველგან მეორეული წარმოშობისაა: მიღებულია უმათერესად ზ-საგან ამ უკანასკნელის აბრუპტივ თანხმოვანთან ასიმილაციით (ანწუხ.: ტაჰი ← ტაბი [შდრ.: ხუნდახ. ტაბე] „დაარტყი!“ წაჰურ ← წაბურ [შდრ.: ქართ. წაბლი] „წაბლი“ და სხვ.).

ანდიურ თქმებში ზ-ს ასიმილაციამ აბრუპტივ თანხმოვანთან სათანადო შემთხვევებში შეიძლება მოგვეცეს მხოლოდ ფშვინვიერი ფ (და არა აბრუპტივი ჰ): ზილ.. მუნ. ფორწიი ← ბორწიი, რიკვ. ფორწი (შდრ.: ანდ., ღალ. ბორწიი: ახეახ. ბოწიო, ბაკვალ. ბოწი..., ლაკ. ბარზ) „მთვარე“: „თეე“; ზილ. ფურჰინა ← ბურჰინა (შდრ.: ანდ., ღალ. ბურჰინა: ბოთლიბ., ღოდომ.. ჰაჰალ., ბაკვალ. და ა. შ. ბეჰინ) „ქერი“...

ჰ იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი თანხმოვანია. ხუნდურ-ანდიურ ენებში მისი არქონა შეიძლება აიხსნას წყვილბაგისმიერ თანხმოვანთა თავისებურებებით ამ ენებში: წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუსტების შედეგად ყველაზე მეტი ზიანი, ჩანს, ჰ-ს განუცლია (არნ. ჩიქობავა).

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Непочатый источник, гл. 323—324: „ხუნდ. ენა“. გვ. 57—58.

§ 34. **შენიშვნები წყვილბაგისმიერი ვ სონანტის შესახებ.**  
 წყვილბაგისმიერ სონანტს, რომელიც ხუნძურ-ანდიურ ენებში ნა-  
 ხევარხმოვანიცაა (ისევე, როგორც წინაველარული **ჟ**), აღნიშნავენ  
 ზოგჯერ **ჟ** (**W**) ნიშნით, რათა ამით იგი გარჩეულ იქნეს კბილ-  
 ბაგისმიერი **ვ** (**V**)-ისაგან. მაგრამ რაკი ხუნძურ-ანდიურში არა  
 გვაქვს კბილბაგისმიერი **ვ** (ისევე, როგორც არც მისი ყრუ ვარიანტი  
**ჟ**). ამიტომ ტრანსკრიფციაში **ვ**-სა და **ჟ**-ს გარჩევის საჭიროებაც  
 აღარ არის (და **ვ**, როგორც უფრო მარტივი ნიშანი, შეიძლება  
 გამოყენებულ იქნეს წყვილბაგისმიერი სონანტისათვის)<sup>1</sup>.

**ვ** შეიძლება მოსდევდეს ან წინ უძლოდეს ამა თუ იმ ხმოვანს  
 (შეზღუდვათა შესახებ იხ. §§ 10, 16, 43) და მასთან ერთად იძლეო-  
 დეს დიფთონგებს აღმავალს ან დამავალს (§ 16) ან კიდევ შეიძ-  
 ლება უერთდებოდეს წინამავალ თანხმოვანს და მასთან ერთად იძლე-  
 ოდეს ლაბიალიზებულ კომპლექსებს (§ 43). თანხმოვნის წინ კი **ვ**  
 ჩვეულებრივ არ გვხვდება (ასეთ პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს  
 მხოლოდ უ ხმოვნისაგან მიღებული **ვ**: რიკვ. გავეშა || ← გაეშა ←  
 გამუშა „კამეჩი... — § 33).

ისეთ შემთხვევებში, როცა გვაქვს კომბინაცია: თანხმ. + **ვ** + ხმო-  
 ვანი (ინქვა „ურემი“, როკვო „გული“...), წყვილბაგისმიერი **ვ**  
 წინამავალ თანხმოვანს ეკედლება და მასთან ერთად იძლევა ლაბია-  
 ლიზებულ კომპლექსს და არა მომდევნო ხმოვანთან ერთად — აღ-  
 მავალ — დიფთონგს (ინქვ-ა და არა ინქ-ვა — § 43). მომდევნო  
 ხმოვანთან ერთად აღმავალ დიფთონგს **ვ** მაშინ იძლევა, თუ მის  
 წინ თანხმოვანი არ არის. (ე. ი. თუ სიტყვის დასაწყისშია ან  
 ხმოვანს მოსდევს).

როგორც ლაბიალიზებულ კომპლექსებში, ისე დიფთონგებში **ვ**  
 შეიძლება გავლენას ახდენდეს მომდევნო ხმოვანზე და, ამავე  
 დროს, თვითონაც ექვემდებარებოდეს მომდევნო ხმოვნის გავლე-  
 ნას (§§ 16, 43).

ა. დირი წყვილბაგისმიერი **ვ** ფონემისათვის სხვადასხვა ნიშნებს  
 ხმარობს. როცა **ვ** დიფთონგთა შემადგენელი ელემენტია, ა. დირი  
 მას ორი სხვადასხვა ნიშნით აღნიშნავს: **ვ**-ით (სიტყვის თავსა და  
 ხმოვანთა შორის) და **W**-ით (სიტყვის ბოლოში):  $i\gamma-W$  (= ილუგ)  
 „დედისა“ (ნათ. ბრ.) — მაგრამ:  $i\gamma-ვ$ -ით (= ილუგ-ვ) „დედასა“ (აფექტ.  
 ბრ.)...  $ვ-ი\gamma$  (= ვ-ოშო) „ვაჟიშვილი“... (აქ მოყვანილ მაგალითებში **ვ**  
 ფონემა, რომელსაც ა. დირი აღნიშნავს **ვ** და **W** ნიშნებით, ყველ-

<sup>1</sup> იხ.: „ხუნძ. ენა“, § 31, გვ. 41—42; ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა, გვ. 12.

გან I გრამატიკ. კლასის ექსპონენტია). ისეთ შემთხვევებში, როცა ვ წინამავალ თანხმოვანთან ერთად ლაბიალიზებულ კომპლექსში მონაწილეობს. ა. ღირი მისთვის მესამე ნიშანსაც ხმარობს:  $\bar{y}$  ( $x\bar{y}ami$  = ხვამი „თევზი“;  $i\bar{u}k\bar{y}a$  = ინკვა „ურემი“ და ა. შ.)<sup>1</sup>. შესაძლოა ვ სიტყვის ყველა პოზიციაში ერთნაირად არც წარმოითქმოდეს (ლაბიალიზებულ კომპლექსში იგი, მართლაც, შერწყმულია წინამავალ თანხმოვანთან, ხმოვანთა შორის კბილბაგის-მიერობისაკენ იხრება და სხვ.), მაგრამ მისი ფონემატური ღირებულება ამით არ იცვლება.

§ 35. ფარინგალურ სპირანტთა რეზლემცები. ფარინგალური სპირანტები ჭ (მტლერი) და ჭრ (ყრუ ფშვინვიერი); რომლებიც კარგადაა გარჩეული ხუნძური ენის ყველა კილო-თქმაში<sup>2</sup>; ანდიურ თქმებში იშვიათად თუ გვხვდება. ორივე ეს თანხმოვანი, მართალია, დასტურდება ქვემოანდიურ თქმებში (აგრეთვე ზემოანდიურ ზილოსა და ჩანხოს თქმებში)<sup>3</sup>; მაგრამ აქაც სათანადო მაგალითები თითზე ჩამოსათვლელია და, მასთან. მათ უმეტესობას შეადგენს ნასესხები სიტყვები (არაბულიდან. ხუნძურიდან). აულ მუნიბის მეტყვე.: ჭ: ჭამალი „ხასიათი“, ჭანქი „მარდი“; „ცელქი“, ტაჭან „გემო“... ჭრ: ჭილტუნუ „მუშაობა“, ჭილ „მდგომარეობა“, -ჭილა: ბალუ-ჭილა „ლამაზად“, ხეხი-ჭილა „სწრაფად“...; აულ ქვანხი დათლის მეტყვე.: ჭ: საჭათი „საათი“, ვაცაჭალ „ბიძაშვილი (ვაფი)“, ძაცაჭალ „ბიძაშვილი (ქალი)“... ერთ-ერთ ტექსტში, რომელიც ხსენებულ აულშია ჩაწერილი, ჭ თანხმოვნის ჩართვა სიტყვას ექსპრესიულ მნიშვნელობას ანიჭებს (გამოხატავს მოკმედების ინტენსიურობას): ტაჭრარი „გაიქცა (სწრაფად)“, „მოუსვა“ (შდრ.: ტარი „გაიქცა“ — არაინტენს. მნიშვნელობით). ჭრ: ჭიჯათი „საკიროება“, ჭიქმუ „დადგენილება“, ბაჭარავ „ახალდაქორწინებული“, ჭიანყოლი „წყურვილი“...

სრულიად უცხოა ეს თანხმოვნები ანდის. ლალათლისა და რიკვანის თქმებისათვის<sup>3</sup>. ხსენებულ თქმებში (და, აგრეთვე, დანარჩენ

<sup>1</sup> შდრ.: პ. უსლარი ხუნძურში ვ ფონემას სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში აღნიშნავს ორი სხვადასხვა ნიშნით:  $\bar{v}$  და  $\bar{y}$  ( $\bar{v}-\bar{y}re-\bar{y}$  = ვ-უგე-ვ „მყოფი“...); ამის თაობაზე: „ხუნძ. ენა“. § 31, გვ. 41.

<sup>2</sup> ხსენებულ თქმებში ფარინგალურ სპირანტთა არსებობაზე მიუთითებს სულემიანოვიც.

<sup>3</sup> აღნიშნულ თქმათა წარმომადგენლებს ხუნძურ ენაზე (ბოლ მაწუ) მეტყველებისასაც კი უკირთ შესაბამის სიტყვებში ჭ და ჭრ თანხმოვნების წარმოთქმა (ჭ-ს ცვლიან  $\bar{c}$ -თი, ჭრ-ს — ჭთი). რაც ზოგჯერ გაუგებრობასაც ბადებს; იხ.: ამას-

თქმებშიც; — როგორც ნახსენებ. ისე საკუთარი მარაგის უმეტეს სიტყვებში) ჳ და ჴ თანხმოვნები შეცვლილია სხვადასხვა რეფლექსებით, რომელთა სრულად გათვალისწინება ხუნძურთან შედარებით ხერხდება.

ა) ჳ-ს რეფლექსები. ა) ჳ → ჴ: ჴინკაუ (შდრ.: ხუნდ. ჳუნკა) „თავი“; ჴატი (ხუნდ. ჳატი) „ცომი“; „თიხა“; რაჴალ (ხუნდ. რაჴალ) „ნაბირი“; მაჴარ „ცხვირი“ (ხუნდ. მეჴერ „მთა“; „ცხვირი“). ჴიმუ (ხუნდ. ჳებო, ჳებუ) „სადგისი“; თორჴო (ხუნდ. თორჴო) „ბურთი“; ჴორჴინ (ხუნდ. ჳორჴენ) „1 წლის თოხლი ცხვარი“... ბ) ჳ → ც, ჳ-ს ადგილას სიტყვის თავში ხმოვნის წინ ზოგჯერ ისმის ც-ც: ცანზი (შდრ.: ხუნდ. ჳანო) „თოვლი“; ცორსი (ხუნდ. ჳარაც) „ვერცხლი“; „ფული“; ცანჴიდი (ხუნდ. ჳაჴტი; ანწუხ. ჳიჴდი) „ნაჯახი“; ცინჩი (ხუნდ. ჳეჩ) „ვაშლი“... არაბულიდან ნასესებ სიტყვებში: ცადათი (ხუნდ. ჳადათ) „ჩვეულება“; „ადათი“; ცურუს (ხუნდ. ჳურუს) „რუსი“; ცუმრუ (ხუნდ. ჳუმრუ) „სიცოცხლე“... ასეთ შემთხვევებში ძნელი გასარკვევია ც უშუალოდ ჳ-საგან არის მიღებული. თუ იგი ჳ-საგან დამოუკიდებლადაც ხმოვნის მაგარ შემართვას წარმოადგენს (§ 9). მაგრამ ზოგჯერ ც-ს ანდიურში ეპოვებთ ხუნძურიდან ნასესებ ისეთ სიტყვებშიც, რომლებშიც ჳ-საგან მისი მიღება ექვს არ იწვევს: ვაცაჴალ (ხუნდ. ვაცაჴალ) „ბიძაშვილი (ვაჟი)“; მაცაჴალ (ხუნდ. მაცაჴალ) „ბიძაშვილი (ქალი)“; რიკვ. ბეც (ხუნდ. ბეჴ) „სახე“; „ხედი“... — ც აქ არ შეიძლება ხმოვნის მაგარი შემართვის ნიადაგზე იყოს განვითარებული (შდრ.: § 9), იგი ჳ-ს რეფლექსია.

შენიშვნა. ზოგჯერ ხუნდ. ჳ-ს შესატყვისად ანდიურში გვაქვს ყ (არამაგარი ყ), მაგრამ ასეთ შემთხვევებში ჳ ხუნძურისა მიღებულია ყ-საგან (ე. ი. ამოსავალი ვარიანტი ანდიურს აქვს დაცული — § 30).

ს) ჴ-ს რეფლექსი. ჴ → ჴ: იჴურ (შდრ. ხუნდ. ჴორ || ჴურ) „ტბა“; „გუბე“; ჴუმა (ხუნდ. ჴუბი) „სვეტი“; ჴალტუნუ (ხუნდ. ჴალტიზე) „მუშაობა“; ჴამოროხი (ხუნდ. ჴამა) „ვირი“... არაბულიდან ნასესებ სიტყვებში ხუნძურს ჴ და ცული აქვს, ანდიურს კი ჴ-თი აქვს შეცვლილი: ჴალ (ხუნდ. ჴალ) „მდგომარეობა“; ჴამმან „ცხვარი“ (ხუნდ. ჴამმან<sup>1</sup> „ცხოველი“)...

თან დაკავშირებული ანგლოტი, რომელშიც მოთხრობილია ანდიელის მიერ ხუნდ. ბ უ ჴ უნ („ცხელია“) და ბ უ ჴ უნ („ცივია“) სიტყვათა აღრევით გამოწვეულ გაუგებრობაზე (ჩაწერილი აქვს პ. უსლარს: Арап. аз., II, გვ. 8—9).

<sup>1</sup> ამ ნასესებ სიტყვის მნიშვნელობა ანდიურში დავიწროებულია: „ცხოველი“ → „ცხვარი“ (ზინაურ ცხოველებში ანდიელებს ძირითადად ცხვარი ჰყავთ); შდრ.: აღულ., ტაბას. ჴამმან „ცხენი“ (აქ „ცხოველი“ → „ცხენი“).



ჭ-სა და ჰ-ს რეფლექსებიდან ყურადღებას იქცევს ჰ. რომელიც როგორც ვნახეთ, შეიძლება ცვლიდეს ორივე ფარინგალურ სპირანტს (ჭ → ჰ: რაჭალ → რაჰალ „ნაპირი“... და ასევე: ჰ → ჰ: იჰურ → იჰურ „გუბე“... — იხ. ზემოთ)<sup>1</sup>. ჰ → ჰ არტიკულაციის გამარტივების შედეგია; ასევე ითქმის ჭ → ჭ-ს შესახებაც, მაგრამ რით უნდა აიხსნას სათანადო შემთხვევებში მქლერი ჭ-ს შეცვლა ჰ-თრ: ე. ი. იმავე რეფლექსით, რითაც ჰ-ც იცვლება?

საფიქრებელია, ჰ რეფლექსი ამოსავალ ჭ-ს უკავშირდება არა უშუალოდ, არამედ. ჰ-ს მეშვეობით: ე. ი.: ჭ → ჰ → ჰ. თუ ეს ასეა. მაშინ ფარინგალური სპირანტები ჭ და ჰ ანდიურის სათანადო თქმებს დაუპარგავს არა ერთსა და იმავე დროს. არამედ სხვადასხვა დროს: უფრო ადრე ჭ. უფრო გვიან კი ჰ<sup>2</sup>.

§ 36. უპანაენისმიერ ხშულთა აფრიკატიზაცია. უპანაენის-ნიერი ხშულები ანდიურში ზოგჯერ შეცვლილია შესაბამისი აფრიკატებით. ამას ხუნძურ-ანდიურ სხვა ენებთან შედარება ამჟღავნებს.

გ → ჯ: ჯინჯი ← გინგი (შდრ.: კარატ. გიგინ. მოთლიხ. გიგინა. ბაგვალ. გინგინ) „ყვავილი“; ღალ., მუნბ., ქვანხ., შილ. ჯი ← გი (შდრ.: კარატ. გი-რა, ახვახ. გი-დი || გუ-დი) „არის“ (ანდის თქმაში ამ სიტყვას დაკარგული აქვს ძირეული თანხმოვანი: ი „არის-“); ღალ. ჯიდუ ← გიდუ, შილ. ჯიდერი ← გიდერი (შდრ., კარატ. გაპა, ახვახ. გურულა) „კეთება“ (ანდის თქმაში ამ სიტყვას დაკარგული აქვს თავიადური ძირეული თანხმოვანი: იდუ „კეთება“); ჯაბუ ← გაბუ (შდრ.: ღალ. გაბუ) „დარტყმა“.

რიკვანის თქმაში ჯ (← გ) სპირანტიზაციის შედეგად ზოგჯერ უ-ს იძლევა: უი (← ჯი) ← გი „არის“, უიდუ (← ჯიდუ) ← გიდუ „კეთება“.

ქ → ჩ: ქა → ჩა: ბერჩა ← ბერქა (შდრ.: ღალ., შილ., ქვანხ., მუნ. ბერქა; მოთლიხ., კარატ., ღოღობ. ბერქა. ახვახ. ბექა. ბაგვალ., ტინდ. ბექა, ჭამალ. ბეჩა ← ბექა) „გველი“; ბიჩაიდუ ← ბიქაიდუ (შდრ.: მოთლიხ. ბ-იქაი, ხუნძ. ქივეზე) „დაქერა“; იჩაიდუ ← იქაიდუ.

<sup>1</sup> ჭ → ჰ პროცესის მაგალითები სპორადულად შეიმჩნევა ხუნძურშიც: წაან-ჰალ-აბ ← წაან-ჭალ-აბ „ბევრზარილიანი“. „მლაშე“: ანწუხ. ვაცუ-ჰალ ← ვაცუ-ჭალ „ბიძაშვილი (ვაჟი)“. ვაცუ-ჰალ — ვაცუ-ჭალ „ბიძაშვილი (ქალი)“.

<sup>2</sup> შდრ.: ადიღურმა ენებმა დაკარგეს ჭ (ამჟამად მხოლოდ ნასესებ სიტყვებში იგი გვხვდება), მაგრამ დღემდის შემორჩენეს ჰ (იხ. გ. როგაეა. მქლერი ფარინგალური სპირანტი ჭ ადიღურ ენებში. ენოქი-ს ნოამბე, X, 1941. გვ. 271—275).

ღალ., რიკე. ჩხილუ ← ქაილუ (შდრ.: ბოთლიხ. იქაი, ბაგვალ. იქაილა) — მიცემა<sup>1</sup>.

კ → ჭ: კა → ჭა: მიჭი ← მიკი (შდრ.: ლოდობ. მიკი-საი, ბაგვალ., ტინდ. მუკუ-ბ. ჭამალ. მიკუ-ბ) „პატარა“; მოჭი ← მოკი (შდრ.: ბოთლიხ., ლოდობ. მაკი, კარატ. მაკე, ტინდ. მაკა, ბაგვალ. მაკ, ჭამალ. მაკ) „ბავშვი“; ჭეგუ ← კეგუ (შდრ.: ბოთლიხ., ლოდობ. კედა, კარატ. კერა, ჭამალ. ეჭიდა, ხუნდ. კიგო) „ორი“; ჭიჭილ ← კიკილ (შდრ.: ბოთლიხ., ლოდობ. კიკი) „ყურძენი“; ჭორჭიი ← ჭორკიი (შდრ.: ბოთლიხ. ჭარკიი, ბაგვალ. ჭაკაჟე) „ცოლი“; „ძუ“; „დედალი“ (ცხოვე., ფრინვე.); ჭორჭიინ ← ჭორკიინ (შდრ.: ხუნდ. გორკაენ) „1 წლის თხელი ცხვარი“.

აფრიკატიზაცია შედეგია პალატალიზაციისა. რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია წინა რიგის *ი* და *ე* (ზოგჯერ შუა რიგის *ა*) ხმოვანთა გავლენით. უკანა რიგის ხმოვნები (*ო*, *უ*) არ იწვევს წინამავალ ხშულთა პალატალიზაციას (resp. აფრიკატიზაციას); შდრ.: კოთუ „ცხენი“, კორკონ „ვერცხი“, ჰარკუ „თვალი“ (მაგრამ: ჰარჭინუ ← ჰარკინუ „შეხედვა“, რომელიც ეტიმოლოგიურად ჰარკუ „თვალ“-სიტყვას უკავშირდება); ბაგულუ „დათვლა“, ჭოქა „ძუძუ“ და ა. შ.

პალატალიზაცია ხდება *ი*, *ე* (*ა*) ხმოვანთა წინ, მაგრამ პალატალიზაციის შედეგად მიღებული აფრიკატები სიტყვის ფორმაცვალებისას ინარჩუნებენ თავიანთ თავს (ხშულებში გადაუსვლელად) ყველა პოზიციაში (მათ შორის *ო* და *უ* ხმოვანთა წინაც, რომლებიც თვითონ არ იწვევენ პალატალიზაციას); შდრ.: მიჭი (← მიკი) „პატარა“ — მიჭ-ოლ „პატარები“; ბერჩა (← ბერჭა) „გველი“ — ბერჩული „გველმა“, ბერჩ-ოლ „გველები“; ჰარჭინუ (← ჰარკინუ) „შეხედვა“ — ჰარჭონ „შეხედა“...

უკანანისმიერ ხშულთა პალატალიზაცია სხვა ანდიური ენებიდან დამახასიათებელია ბაგვალალურისა, ტინდიურისა და ჭამალალურისათვის. ამათგან ჭამალალურში — ისევე, როგორც ანდიურში — პალატალიზაციის შედეგად ვიღებთ შესაბამის აფრიკატებს. ხოლო ბაგვალალურსა და ტინდიურში<sup>1</sup> — პალატალიზებულ (*ჭ*, *ჭ*, *კ*) თანხმოვნებს, რომლებიც წარმოადგენს გარდამავალ საფეხურებს ხშულებიდან შესაბამისი აფრიკატებისაკენ (*კ* → *კ* → *ჭ* და ა. შ.)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ტ. გულდავა. ტინდიური ენის ფონეტიკური ნიმოხილვა. იკვ. V, გვ. 339.

<sup>2</sup> ჭამალალურსა და ბაგვალალურში ზოგჯერ სათანადო სიტყვებს ნოკევილი აქვთ ხმოვანი. რომელსაც თავის დროზე წინამავალი თანხმოვნის პალატალიზაცია გამოუწვევია: ჭამალ. მ ა კ ← მ ა კ ი ← მ ა კ ი. ბაგვალ. მ ა კ ← მ ა კ ი ← მ ა კ ი (შდრ.: ანდ. მ ო კ ი ← მ ო კ ი. ბოთლიხ. მ ა კ ი) „ბავშვი“... (ილ. ცერცვაძე, ბოლოკიდურ ხმოვანთა რედუქციისათვის ანდიურ ენებში. სმამ, ტ. XXIII. № 2, 1958, გვ. 221).

§ 37. თანხმოვანთა დისტანციური ასიმილაცია. თანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაციის შემთხვევები განხილული გვექნება კომპლექსთა ცვლილებებთან დაკავშირებით (§ 42). სპორადულად დასტურდება დისტანციური ასიმილაციის შემთხვევებიც. ყველა დამოწმებულ მაგალითში ასიმილაცია რეგრესულია. მასთან. ასიმილატორად გვევლინება ნაზალური თანხმოვანი ნ. რომელიც სათანადო შემთხვევებში იმსგავსებს რა წყვილბაგისმიერ ბ-სა და ვ-ს. აქცევს მათ მ-დ. მაგალითები:

ბ...ნ → მ...ნ. ამის რამდენიმე მაგალითი დასტურდება მუნიბისა და ქვანციდათლის თქმებში: მუნ. მენდირ- ← ბენდირ- (შდრ.: ანდ., ღაღ. ბენურ ← ბენდურ — § 42) „მუნიბი“ (აულის სახელი); შდრ.: აგრეთვე ხუნძური სახელწოდება ამავე აულისა: მუნი-ბ' ← ბუნი-ბ' „მუნიბი“ (ხუნძურშიც. ჩანს. ასიმილირებული ვარიანტი გვაქვს). III გრამატიკ. კლასის ნიშანი ბ (პრეფიქსი) ფუძისეული ნაზალური ნ თანხმოვნის გავლენით ზოგჯერ მ-ში გადადის: მუნ. მ-ოყინუ ← ბ-ოყინუ (შდრ.: I კლ. ვ-ოყინუ; II კლ. მ-ოყინუ) „მოსვლა“... ქვანხ. მ-უნუ ← ბ-უნუ (შდრ.: I კლ. ვ-უნუ. II კლ. მ-ინუ) „წასვლა“...<sup>1</sup>.

ვ...ნ → მ...ნ. ჰაფან ← ჰაფან „ცხვარი“ (ხუნდ. ჰაფან „ცხოველი“ [ნასესხებია არაბულიდან]). ასევე საფიქრებელია<sup>2</sup> შინ ← \*ვინ; ღაღ., რიკვ. და ა. შ. მენ ← \*ვენ „შენ“ (აგრეთვე: ხუნდ. მუნ ← \*ვუნ ← \*ვინ [ი → უ წინამავალი ვ თანხმოვნის გავლენით შეიძლება აიხსნას — § 16] „შენ“ (შდრ.: ლაკ. ვი-ლ „შენი“...).

§ 38. ლ → რ. ამის ცალკეული მაგალითები დამოწმებულია მუნიბის თქმაში (სხვა თქმებს იგი არ ახასიათებს): უსთური ← უსთული (стол), უშქური ← უშქული (школа). ტურუ ← ტულუ (შდრ.: ანდ., ღაღ., ქვანხ. და ა. შ. ტულუ) „კუდი“, ორხულ'ი ← ოლხულ'ი (შდრ.: ხუნდ. ფალხულ) „გარეული“. „ველისა“: ორხული (← ოლხულ'ი) ჰაფანოლ'ი (ხუნდ. ფალხულ ჰაფანალ) „გარეული

<sup>1</sup> ფუძისეული ნაზალური ნ თანხმოვნის (ან ნაზალიზებული ხმოვნის) გავლენით ბ კლას-ნიშნის მ-დ შეცვლის შემთხვევები უფრო სისტემატური ხასიათისა ცნობილია სხვა ანდიურ-დიდოური ენებიდან (ტ. გუდავა. მესამე გრამატიკ. კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. იკვ. IV, 1953; მ. Ломтадзе, Анализ кавч.-гунд. яз., იკვ. VIII, 1956. გვ. 386).

<sup>2</sup> როგორც ამას ნ. ტრუბეტკოვი ვარაუდობს (იხ. N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen).

ლ → რ ახასიათებს სხვა ანდიურ ენებსაც (იხ. ტ. გუდავა. ტინდიური ენის ფონეტიკ. მიმოხილვა. § 27: მისივე. ბოთლიხ. ენა. გვ. 25).

ცხოველები“; ილა-რ-დი ← ილა-ლ-დი (შდრ.: ანდ., ლალ. და ა. შ. ილა-ლ-დი) „დედამ“...

§ 39. თანხმოვნის განვითარება. ახლო მონათესავე ენებთან. კერძოდ. ხუნძურთან. შედარება ანდიურ სიტყვებში ამჟღავნებს ზოგჯერ ფონეტიკურად განვითარებულ თანხმოვნებს (ნ, რ, ჰ).

ა) ნ-ს განვითარების შემთხვევები. ნაზალური ნ-ს განვითარების შემთხვევები შეიმჩნევა ინლაუტში წინაენისმიერი და ველარული თანხმოვნების წინ; მაგალითები: ინჩი (შდრ.: ხუნდ. გჩს) „ვაშლი“; ინციი (ხუნდ. იცა) „წყარო“, პინწო (ხუნდ. პეწო, ახვახ. იქა ← იწა) „ქვა“; ჰუნწიი (ხუნდ. ჰოწო) „თაფლი“, უნსო (ხუნდ. ოც) „ხარი“, ანზი (ხუნდ. გაზო) „თოვლი“, ანჟიდი (ხუნდ. გაშტი. ანწუხ. გიჟდი) „ნაჯახი“, „ცული“, ინშადღუ (ხუნდ. შაუგო: ბოთლიხ., ლოდოხ. იშადღა, ჭამალ. ისაუღა ← იშაუღა) „ხუთი“; ინქვა (ხუნდ. ჰოქო ← ჰოქვა) „ურემი“, ინგურ (ხუნდ. გორდო) „ფანჯარა“. ტენტა (ხუნდ. ტუტ) „ბუზი“, ლანნი ← ლანდი (§ 42) (ხუნდ. ლედო) „ყვავი“, კონნი ← კონდი (§ 42) (ხუნდ. ქეტ ← ქედ) „რწყილი“, ყაენ ← ყაენნ ← ყაენდ (ხუნდ. ყედ)<sup>1</sup> „ქედელი“<sup>2</sup>...

ბ) რ-ს განვითარების შემთხვევები: რ-ს განვითარების შემთხვევები დასტურდება წინაენისმიერი აფრიკატების წინ ინლაუტში: ბორწი (შდრ.: ხუნდ. მოწა) „მთვარე“, „თვე“. ბერწომ (ხუნდ. ბაწად-) „წმინდა; „სუფთა“, ფირწი (ხუნდ. ფირწა) „კევი“ ბერქაიდუ (ხუნდ. ბექაიზე) „მოწველა“, ბურკინა (ბოთლიხ., ლოდოხ., ტინდ., ჭამალ., ბაგვალ., კარატ. ბეჰინ | ხუნდ. ფურკინა |) „ქერი“.

გ) ჰ-ს განვითარების შემთხვევები. ჰ-ს განვითარების შემთხვევები შეიმჩნევა ხმოვნის წინ — ანლაუტში: ჰურგუ (შდრ. ხუნდ. ურგუ) „ლეიბი“, ჰოწოგუ (ხუნდ. ანწოგო, ჭამალ. აწადა, ახვახ. აქადა-) „ათი“, ჰოქოგუ (ხუნდ. იქგო, ჭამალ. აქადა, ახვახ. აპადა-) „ცხრა“, ჰოტეგუ (ხუნდ. ანტეგო, ჭამალ. ატეჟდა, ახვახ. ატეჟდა-) „რვა“... ჰ-სთან ერთად ზოგჯერ თავს იჩენს ხმოვანიც (ჩვეულებრივ ვიწრო ი): ჰიტაიმ (შდრ.: ხუნდ. ტაი-

<sup>1</sup> მონაცემობა აუსლაუტში ნ || დ (ანდ. ყაენ || ხუნდ. ყედ) იმის შედეგია, რომ ნ-ს მიმდევრად დაკარგულია დ (ნ || დ — ნდ || დ).

<sup>2</sup> შდრ. ქართ. ქედ-ელ-, ქედ-არ-ო (Н. Я. Марр. Неопечатный некро-плек.... გვ. 317).

ბილ) „ძირი“; „ფესვი“; ჰინწაუ (შდრ.: ხუნძ. ნუწაა; ლაკ. ნუზ) „კარი“, ჰიტინწუ (შდრ.: ლაკ. ტუნ) „თქმა“<sup>1</sup>...

ჰ-ს განვითარების შემთხვევები ხშირია მუნიბის თქმაში სიტყვის ფორმაცვალებისას გრამატიკული კლასების მიხედვით. ასეთ შემთხვევებში ჰ ვითარდება I და II კლ. ფორმებში თავკიდური ხმოვნის წინ დაკარგული კლას-ნიშნების (ვ, ჟ) ადგილას (I კლ. ვ-უ... → უ... → ჰ-უ...; II კლ. ჟ-ი... → ი... → ჰ-ი...); მაგალითები: [I კლ.] ჰ-უტი ← უტი ← ვ-უტი (← ვ-იტი — § 16); [II კლ.] ჰ-იტი ← იტი ← ჟ-იტი (შდრ. [III კლ.] ბ-იტი) „სწორი“; „მართალი“<sup>2</sup>: ასევე: ჰ-უწივი ← უწივი ← ვ-უწივი (← ვ-იწივი), ჰ-იწივი ← იწივი ← ჟ-იწივი (შდრ. ბ-იწივი) „საესე“; ჰ-უქოვი ← უქოვი ← ვ-უქოვი (← ვ-იქოვი), ჰ-იქოვი ← იქოვი ← ჟ-იქოვი (შდრ. ბ-იქოვი) „ძველი“; „გაფუჭებული“; „გაცვეთილი“; ჰ-უჭაუ ← უჭაუ ← ვ-უჭაუ (← ვ-იჭაუ); ჰ-იჭაუ ← იჭაუ ← ჟ-იჭაუ (შდრ. ბ-იჭაუ) „ადგომა“; ჰ-უცუ ← უცუ ← ვ-უცუ (← ვ-იცუ). ჰ-იცუ ← იცუ ← ჟ-იცუ (შდრ. ბ-იცუ) „მოსვლა“; ჰ-უტ'უ ← უტ'უ ← ვ-უტ'უ (← ვ-იტ'უ), ჰ-იტ'უ ← იტ'უ ← ჟ-იტ'უ (შდრ. ბ-იტ'უ) „მოკვდომა“...

ჰ-ს განვითარება თავკიდური ხმოვნის ფშვინეიერი შემართვის შედეგი ჩანს (როგორც ეს დასტურდება რიგი ენის მონაცემების მიხედვით) <sup>3</sup>.

§ 40. თანხმოვანთა კომპლექსებისათვის. სიტყვის თავში თანხმოვანთა შეყრა (ზედიზედ ერთზე მეტი თანხმოვანი) უცხოა ანდიურისათვის ისევე, როგორც ხუნძურისათვის (მხედველობაში არ მიიღება ლაბიალიზებული კომპლექსები — § 43). ნასესხებ სიტყვებში აღნიშნულ პოზიციაში თანხმოვანთა შეყრის თავიდან ასაცილებლად ანდიური იმავე საშუალებას მიმართავს, რასაც ხუნძური<sup>4</sup>: დაურთავს ხმოვანს თავკიდურ თანხმოვანს (ჩვეულებრივ ს და შ სპირანტებს) ან ჩაურთავს ხმოვანს თავკიდურსა

<sup>1</sup> ნ-ს. რ-სა და ჰ-ს განვითარება ჰასიათებს სხვა ხუნძ.-ანდიურ ენებსაც: ტ. გ უ და ვ ა. ტინდ. ენის ფონეტიკ. მიმოხილვა. § 7. 26; მისიეე. ბოთლი-ხური ენა. გვ. 24; ილ. ცერცვაძე. ხუნძური ენის ანწუბური დიალექტი. § 50.

<sup>2</sup> დანარჩენ თქმებში ჰ-ს განვითარება ასეთ შემთხვევებში არ დასტურდება (შდრ.: [I კლ.] ვ-უტი ← ვ-იტი. [II კლ.] ჟ-იტი და ა. შ.).

<sup>3</sup> ჰ-ს განვითარების შემთხვევები ხშირის ფშვინეიერი შემართვის ნიადაგზე იწიროა კართველ ენებიდან სევან ურ ში (იხ. ს. ქლენტი. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები. თბილისი, 1949. გვ. 121—128).

<sup>4</sup> იხ. III. Милеханов. Сравнит.-историческая фонетика авар. диалектов. გვ. 40: „ხუნძ. ენა“, § 36. გვ. 46.

და უშუალოდ მომდევნო თანხმოვანს შორის. მასთან, დაერთვის ვიწრო ხმოვანი (ი ან უ): ისფიჩკა (сшчкка), იშქოლ II უშქოლ (шкк.лл)... ხოლო ჩაერთვის იგივე ხმოვანი, რომელიც მომდევნო მარცვალშია: ქულუბ (к.л.у.б), გარამ (грамм)...

თანხმოვანთა შეყრა ანდიურ თქმათა უმეტესობაში არც სიტყვის ბოლოში გვხვდება. მხოლოდ რიკვანის თქმაში შეიძლება აღნიშნულ პოზიციაში გვექონდეს ზედიზედ ორი თანხმოვანი, თუ პირველი მათგანი სონორი თანხმოვანია (ე. ი. როგორც ხუნხურში)<sup>2</sup>; მაგალითები: ფორწა (შდრ.: ანდ., ღაღ. და ა. შ. ბორწი, ზილ.: მუნ. ფორწი) „მთვარე“; „თვე“, წირყა (ანდ., ღაღ. წირყაი) „ფოცხვერი“... ჰოლლ' (ანდ., ღაღ. ჰოლლ'ი) „ამისა“ (ნათ. ბრ.)... კუნწა (ანდ., ღაღ. კუნწაი) „ლეკვი“, ინცა (ანდ., ღაღ. ინცაი) „წყარო“; ლ'ანწა (ანდ., ღაღ. ლ'ანწაი) „ქიანქველა“... — ასეთ შემთხვევებში რიკვანის თქმაში სათანადო სიტყვებს, ივარაუდება, მოკვეცილი აქვთ ბოლოკიდური ხმოვანი (§ 12).

ყველა ანდიურ თქმაში დასაშვებია თანხმოვანთა შეყრა სიტყვის შიგნით ორი მარცვლის საზღვარზე. ასეთ პოზიციაში ხშირად გვხვდება ზედიზედ ორი თანხმოვანი, რომელთაგანაც პირველ ადგილას უპირატესად სონორი თანხმოვანია (ნ, რ, ლ, მ), ხოლო ზოგჯერ ჩქამიერი თანხმოვანიც (ბ, ფ, ს, შ, ზ). მაგალითები (ანდის თქმ.): უნსო „ხარი“, ჰინკაუ „თავი“, ონეი „ზღარბი“. კუნწაი „ლეკვი“, ჯინჯი „ყვავილი“, ინცაი „წყარო“, ჰუნწი „თაფლი“, ინჩი „ვაშლი“, ჰუნქა „თივა“, ანგა „ტოტი“, ანჟიდი „ნაჯახი“, გუნგულ „ქვაბი“, ონლ'იგუ „ექვსი“... ბორწი „მთვარე“, „თვე“, ჰირწი „მალალი“, ორსი „ვერცხლი“, „ფული“, კორკონ „ვერცხი“, ბერჩა „გველი“, ჰარკუ „თვალი“, ბურთინა „ნაბადი“, ტერტილ „უნაგირი“, ლერჩოლ „ღრუბელი“, ლ'არლ'ალ „ცოცხი (ეზოსი)“... მილჩა „მოზვერი“, ფოლქვა „ქია“... ჰამტაულ „სასა“, ბეხაუმდულ „დუმა“... რებლა „ვაცი“, რებცაუ „კავი“... თაფცაუ „ბაღლინჯო“... ჯოშვა „ქალი“... რუსკვოლ „კალთა“... მაზგარ „თუჯი“... რიკვანის თქმაში ორ თანხმოვანიანი კომპლექსები სიტყვის შიგნით უფრო ხშირად დასტურდება, ვინემ დანარჩენ თქმებში. აქ ასეთ კომპლექსთა პირველ კომპონენტად შეიძლება გვექონდეს არა მხოლოდ ზემოაღნიშნული თანხმოვნები, არამედ სხვა თანხმოვნებიც. ეს აიხსნება ხმოვნის სინკოპირების ძლიერი

<sup>2</sup> Я. Сулейманов. Звуковой строй слога и слоговой строй слова в говорах адыгейского языка. УЗИИЯЛ Диг. фил. АН СССР, т. XI. Махачкала. 1962. გვ. 156.

ტენდენციით. რაც ამ თქმას ახასიათებს (§ 14): ბუყადუ (შდრ.: ანდ., ლაღ. ბუყაილუ) „ქრა“, ზეტადუ (ანდ., ლაღ. ბეტაილუ) „ხენა“...

ზედიზედ სამი თანხმოვანი, საერთოდ, მეტად იშვიათია. თქმა-თა უმეტესობაში სამ თანხმოვნიანი კომპლექსები მეორე კომპონენტად შეიცავს ყოველთვის სპირანტ შ (შა)-ს: ონშედლეუ „ხუთი“, ლილაბშადუ „რწევა“... ლ'ილ'აბშადუ „ხეხვა“, ჩიხაფშადუ „გამო-ვლება (წყლისა)“... რიკვანის თქმაში კი, რომელშიც სამ თანხმო-ვნიანი კომპლექსები შესაბამისად უფრო ხშირია (ისევე, როგორც ორ თანხმოვნიანები—იხ. ზემოთ). ასეთი კომპლექსები არ არის შეზღუ-დული მხოლოდ შ (შა) სპირანტის მონაწილეობით მეორე კომპონენ-ტის როლში: ბერჰადუ (შდრ.: ანდ., ლაღ. ბერჰაილუ) „წველა“. ქავ-ჰადუ „მოდულება“, „მობეზრება“...<sup>1</sup> (სამ თანხმოვნიან კომპლექსთა სინშირე ისევე, როგორც ორ თანხმოვნიანებისაც, რიკვანის თქმაში შეპირობებულია ხმოვნის რედუქციის ინტენსიურობით — იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები).

სამზე მეტი თანხმოვნის შემცველი კომპლექსი დამოწმებული არ არის არც ერთ ანდიურ თქმაში.

§ 41. სონანთთა გაორმაგებული კომპლექსები. გაორმაგე-ბულ (ანუ ორი ერთნაირი თანხმოვნისაგან შემდგარ) კომპლექსებს მხოლოდ სონანტები შეიძლება ქმნიდეს.

სონანტი კომპლექსში, როგორც წესი, წინ უძღვის არასონანტს (§ 41). საპირისპირო განლაგების კომპლექსი (არასონანტი + სო-ნანტი) არ არის ბუნებრივი. შეუძლებელი არ არის ორ თანხმოვნიან კომპლექსში სონანტი გვეკონდეს მეორე კომპონენტადაც. მაგრამ მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველ კომპონენტად აგრეთვე სონანტია.

ანრიგად, სონანტიან კომპლექსში პირველ კომპონენტად მხო-ლოდ სონანტი შეიძლება გვეკონდეს, ხოლო მეორე კომპონენტად— არასონანტი ან სონანტი.

ყველა სონანტი შეიძლება იყოს გაორმაგებული: რრ, ლლ, მმ, ნნ. ამათგან სამი უკანასკნელი (ლლ, მმ, ნნ) ხშირად გვხვდება; ხოლო პირველი (რრ) — იშვიათად. რრ: ყაურრუ „ბაყაყი“ (ხმაბაძ-ვითი სიტყვაა და გაორმაგების მიზეზიც ეს უნდა იყოს). ლლ: ელლო „საქმელი“, ალლაჰი „ღმერთი“ (ნასესხები სიტყვაა, რომელ-შიც გაორმაგებული ლლ დაცულია); ჰელლუ -ცურვა... მმ: ტამმუ „დაფენა“; „დაყრა“, შამმუ „გდება“: „თესვა“... ნნ: ლანნი „ყვავი“, ჰონნო „შუბლი“, წინნუ „ცოდნა“...

<sup>1</sup> Я. Сулейманов, Звуковой строй слога и слоговой строй сло-... 33. 153.

ვაორმაგებული სონანტები გვხვდება მხოლოდ ხმოვანთა შორის (იხ. ზემოთ მაგალითები). შეიმჩნევა შემთხვევები გაორმაგებულა სონანტის გამარტივებისა სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში: ყაენ ← \*ყაენნ (შდრ. ჭაშალ. ყუნნა, მოთლიხ. ყინდა) „კედელი“ — მაგრამ: ყაენნ-ო-ლ'ი „კედლისა“... ყაენ'ნა-დულ „კედლები“...

გაორმაგებულ სონანტებს ანდიურში ნ. ტრუბეტკოი თვისობრივად განსხვავებულ თანხმოვნებად მიიჩნევს. უდარებს რა ანდიური ენის თანხმოვანთა სისტემას ხუნძურისას, ნ. ტრუბეტკოა აღნიშნავს, რომ ანდიურს ხუნძურისაგან განსხვავებით სიმაგრის (ინტენსიურობის) მიხედვით დაპირისპირება გატარებული აქვს სონორ (ლიკვიდ და ნაზალ) თანხმოვნებშიცო<sup>1</sup>. გაორმაგებულ სონანტთა მიჩნევა თვისობრივად განსხვავებულ თანხმოვნებად და მათი გათანაბრება მაგარ თანხმოვნებთან (კჷ, ჭჷ და ა. შ.) გაუმართლებელია: გაორმაგებული სონანტები ორი ერთნაირი თანხმოვნის შემცველი კომპლექსებია (რომლებიც ხშირად ასიმილაციის ნიადაგზეც შეიძლება მივიღოთ — § 42). განაწილების წესიც მათ განსხვავებული აქვთ მაგარი თანხმოვნებისაგან (იხ. ზემოთ).

**§ 42. კომპლექსთა ცვლა.** ზოგ კომპლექსში ერთ-ერთი თანხმოვანი მეორის გავლენით შეიძლება იცვალოს ასიმილაციის ან დისიმილაციის შედეგად<sup>1</sup>.

ა) ასიმილაციით გამოწვეული ცვლილებები: ა) ნღ → ნწ: ბემონ-ნა ← ბემონ-ლა „ლოგინზე“, ლ'ენ-ნა ← ლ'ენ-ლა „წყალზე“; ლან-ნა ← ლან-ლა „პურზე“, დან-ნა ← დან-ლა „რამეზე“; „საგანზე“; „ნივთზე“... — მოყვანილ მაგალითებში -ლა -„ზე“ სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტი ლ ემსგავსება საწარმოებელი ფუნქციის ბოლოკიდურ ნ თანხმოვანს (შდრ.: კოთუ-ლა „ცხენზე“, ლონ-ლა „სახურავზე“...). ასეთსავე ცვლილებას განიცდის -ლო კავშირნაწილაკის თანხმოვნითი ელემენტი ლ: დინ-ნო (← დინ-ლო) მინ-ნო (← მინ-ლო) „მეც შენც“ (= „მე და შენ“)... ლან-ნო (← ლან-ლო), წაონ-ნო (← წაონ-ლო) „პურიც მარილიც“ (= „პური და მარილი“)... (შდრ.: იმა-ლო ილა-ლო „მამაც დედაც“ ანუ „მამა და დედა“). ს) ნდ → ნწ: ლანნი ← ლანდი (შდრ.: ლოდობ. ლანდი, ბაკვალ. ლანდვ, კარატ. ლანდერ) „ყვავი“; კონნი ← კონდი (შდრ.: ტინდ.

<sup>1</sup> N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme, გვ. 41.

<sup>2</sup> А. Дипр. Анл. аз. გვ. 3: ილ. ცერცვაძე, ანდიური ენის ფონეტიკის საკითხებისათვის, იკვ. V, გვ. 291—295; Я. Сулейманов, Авторфемат. გვ. 7—8.



ქანდი. ახვან. პოთლიხ. ღოდობ. ქანტი [←ქანდი]; ბაგვალ. ქანტ [←ქანდ] „რწყილი“; პონნო←პონდო (შდრ.: პოთლიხ. ჰანდა, კარატ. პანდო. ახვან. ჰანდე... ხუნძ. ნოდო; არჩ. ნოდო; დარგ. ანდა. ლაკ. ნეთაა-ბაკ. ადიდ. ნატე) „შუბლი“<sup>1</sup>; ყვანნუ←ყვანდუ, ზილ. ყვანნუ←ყვანდუ (შდრ.: პოთლიხ. ღვანდი; ღოდობ. ჰანდი, კარატ. ჰვანდი; ხუნძ. ზანდი-) „ანდი“ (აულის სახელი); ინნა-ლ←ინდა-ლ (შდრ.: პოთლიხ., ბაგვალ. ინდა, ტინდ. პინდა) „როდის“; ტინნუ←ტინდუ (შდრ.: პოთლიხ. ტინდი. კარატ. ტინდა) „დასხმა“; ხანნუ←ხანდუ (შდრ.: კარატ. ხანდა) „თიბვა“; წინნუ←წინდუ „ცოდნა“ (შდრ.: კარატ. წინდა, პოთლიხ. წიმ-დი „დაცვა“; „შენახვა“); ტანნუ←ტანდუ (შდრ.: პოთლიხ. განდი, კარატ. განდა) „წვეა“ (ტა II გ-იხ. § 29); ბენნუ-რ←ბენდუ-რ (შდრ.: მუნ. მენდი-რ←ბენდი-რ—§ 37) „მუნები“ (აულის სახელი); შაონნორ←\*შაონდორ (შდრ.: ხუნძ. საან←\*საანდ; ნათ. საანდ-ულ) „მწვანით მოსილი ფერდობი მთისა“... იმ თქმებში, რომლებშიც პირის ნაცვალსახელები („მე“, „შენ“) ერგატივის ფორმას განარჩევს სახელობითისაგან, ერგატივის ნიშნად ამ ნაცვალსახელებში გვაქვს -ნი. რომელიც მიღებულია -დი-საგან (ნაცვალსახელთა ფუძის ბოლოკიდურ ნ-სთან ასიმილაციით): ღად., მუნ., ქვანხ.: ღენ „მე“—ერგ. ღენ-ნი←ღენ-დი; მენ „შენ“—ერგ. მენ-ნი←მენ-დი (შდრ. ამავე თქმებში: კოთუ-დი „ცხენმა“ და ა. შ.). ც) მმ→მმ. ამის მაგალითები ორი სიტყვის საზღვარზე დასტურდება: სეზ მიგვა→სემ მიგვა „ერთი თითისტარი“.. სეზ მუნუთი→სემ მუნუთი „ერთი წუთი“... დიზ მურადი→დიმ მურადი „ჩემი სურვილი“... (ცალკეულ სიტყვებსა და სიტყვის ფორმებში მმ კომპლექსი არ დასტურდება). (1) ნბ→მ (←\*მმ): ნამყოს მიმლეობის -ბ სუფიქსი საწარმოებელი ფუძის ბოლოკიდურ ნ თანხმევანთან ერთად იძლევა მ-ს: ბულონ „წავიდა“—ბულომ „წასული“, ბახონ „შეკერა“—ბახომ „შეკერილი“, ბოხონ „ავიდა“—ბოხომ „ასული“ და ა. შ. (შდრ.: ჯვარდი „დაწერა“—ჯვარდი-ბ „დაწერილი“. იბა „გააკეთა“ იპი-ბ „გაკეთებული“ და ა. შ.). ასეთ შემთხვევებში უნდა ვივარაუდოთ: ჯერ ნბ (→ნმ)→მმ. ხოლო შემდეგ მმ→მ.

<sup>1</sup> ეს სიტყვები შედარებული და ანდიურის შესატყვის ფუძეში ნდ → ნნ აღნიშნული აქვს 5. ტრუბეტკოვის (იხ. მისი Nordkaukasische Wortgleichungen. § 64).

ამ ფუძეთა ერთობის შესახებ იხ.: ილ. ცერცვაძე. „ცოდნის“ აღმნიშვნელი ზოგი ფუძე იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბუ შრომები. ტ. 65. 1956. გვ. 341--342.

რაც სიტყვის ბოლოში გაორმაგებული კომპლექსის გამარტივების შედეგი ჩანს. e) რლ → ლლ: -ლა -„ზე“ სუფიქსისა და-ლო -„ც“ („და“) კავშირ-ნაწილაკის თანხმონითი ელემენტი ლ ყოველთვის იმსგავსებს ფუძის ბოლოკიდურ რ თანხმოვანს: ბაზალ-ლა ← ბაზარ-ლა „ბაზარზე“ (ბაზარ „ბაზარი“)... ჰინჯელ-ლო ← ჰინჯერ-ლო „ეხლაც“ (ჰინჯერ „ეხლა“)...

ბ) დისიმილაციით გამოწვეული ცვლილებები: ორი სპირანტის შემცველ კომპლექსში მომდევნო სპირანტი იცვლება აფრიკატით. რაც დისიმილაციის შედეგი ჩანს:

ა) შახ → შაჯ: სიტყვის ფორმებში შა სპირანტის უშუალო მომდევნოდ სპირანტი ხ იცვლება ჯ აფრიკატით: ჰეშა-ჯა ← ჰეშა-ხა „მასთან“, ჰეკაშა-ჯა ← ჰეკაშა-ხა „კაცთან“, და ა. შ. (შდრ.: დი-ხა „ჩემთან“, ლაენ-ხა „წყალთან“...). ს) ხალ' → ხალ': ლატერალური სპირანტი ლ' ხა სპირანტის მომდევნოდ იცვლება ლ' ლატერალური აფრიკატით: იპისა-ლ'ოდი ← იპისა-ლ'ოდი „არ გააკეთა-ო“ (შდრ.: აპი-ლ'ოდი „გააკეთა-ო“)... ორი სპირანტის შემცველი კომპლექსები საერთოდ არ არის დამოწმებული.

წყვილბაგისმიერი ვ თანხმოვნის შემცვლელი კომპლექსები და მათი ცვლილებები იხ. ქვ. (§ 43).

§ 43. ლაბიალიზებული თანხმოვნები და მათი ცვლა. ლაბიალიზებული თანხმოვნები ანდიურში ისევე, როგორც ხუნძურში, არსებითად კომპლექსებია, რომელთა პირველი კომპონენტიცა ესა თუ ის არა ლაბიალური თანხმოვანი (გ, ქ, კ და ა. შ. — იხ. ქვ.), ხოლო მეორე კომპონენტი — ლაბიალური (წყვილბაგისმიერი) ვ. ასეთი კომპლექსი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ლაბიალიზებული კომპლექსი (გ. როგავა)<sup>1</sup>, თანხმოვანთა ყველა სხვა (არა ლაბიალიზებული) კომპლექსისაგან, სხვათა შორის, იმითაც განსხვავდება. რომ იგი შეუძლებელი არ არის გვექონდეს სიტყვის თავში (სხვა — არა ლაბიალიზებული — კომპლექსები სიტყვის თავში არ დასტურდება). ლაბიალიზებულ კომპლექსში ლაბიალური (წყვილბაგისმიერი) კომპონენტი ვ. მართალია, ცალკე ბგერად აღიქმის (მაგალ., სიტყვაში როკვო „გული“ ვ ისეთივე სრულფასოვანი ბგერაა, როგორც, მაგალ., სიტყვაში ვოშო „ვაჟიშვილი“), მაგრამ რამდენადმე მაინც შერწყმულია წინამავალ არა ლაბიალურ თანხმოვანთან და განუყოფელია მისგან (კერძოდ, სიტყვის დამარკვლისას: რო-კვო და არა: როკ-ვო).

<sup>1</sup> იხ. გ. როგავა. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. I. თბილისი. 1962. გვ. 103—104.

რა თანხმოვნები შეიძლება იყოს ლაბიალიზებული?

ანდიურში ლაბიალიზებული შეიძლება იყოს — ზოგადად რომ ვთქვათ — უკანაენისმიერი (ველარული [წინა: უკანა] და ფარინგალური) თანხმოვნები<sup>1</sup>: გვ (ბ-აგვა „დათვალა“, გვალა „ტომარა“, გვოყი „ყრუ“...), ქვ (ინქვა „ურემი“, ქვაქა „თათი“, ქვო „ტარი“, „სახელური“, ქვოლ „სახელო“, ნიქვო „ფეხი“, წიქვომ „ნიდაყვი“, როქვო „მოი'შკა“, ბ-იქვო „ანთო“, ქვოლლუ „ცურვა“, იქვონ 'შე'ჭამა“...), კვ (როკვო „გული“, მოკვო „სკამი“, ბაკვოლ „ტყავი“, ბ-იკვო „იყო“, ბარკვოლ „კიბე (სახლისა“...), კავ (კავაბლუ „დარტყმა“ [ქალთა მეტყველ...]), ჯვ (ჯვარლუ „წერა“, ერკვა „შუბი“, ჯვო „ლურჯი“...), ყ'ვ (ყ'ვაყ'ვალ „კაკალი“, „ნიგოზი“, ყ'ვანნალ „ანდიელები“, ყ'ვონ „რქა“, ლაყ'ვარა „ფაფახი“...), ყავ (ყავანყავა „ყელი“, ყავატა „ხეობა“, ყავოდი „ნიაღვარი“, ყავორო „საქმე“...), ხ'ვ (ხ'ვადუნნუ „სიარული“, ხ'ვაპუნნუ „ქნევა“...), ლვ (ლვადღაჩი „მუცელი“, მიღვორკვაუ „კული“, ლვობღვო „ტყის ქათამი“...), ხვ (ხვოლო „ზვინი“, იხვობ „წისკვილი“, ხვოჩი „მწვანე“...), ხავ (ოხავონ „ადუღდა“, ხავომნუ „ხვრინვა“...). ზილოს თქმაში დასტურდება ლარინგალური ლაბიალიზებული გვ-ც. მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი მიღებულია ფარინგალური ყ'ვ-საგან (ცვენ ← ყ'ვენ „რქა“, ცვანნუ ← ყ'ვანნუ „ანი“ [აულის სახელი] და სხვ.—§ 30).

წინაენისმიერი (კერძოდ: კბილისმიერი, სიბილანტური [სისინა, შიშინა] და ლატერალური) რიგის ლაბიალიზებული თანხმოვნები, რომლებიც უცხო არ არის ხუნძურისათვის, ანდიურისათვის არ არის დამახასიათებელი<sup>2</sup>.

რა პოზიციაში შეიძლება გვექონდეს ლაბიალიზებული თანხმოვანი?

<sup>1</sup> მაგალითები მოყვანილია ანდის თქმიდან.

<sup>2</sup> ზილოს თქმაში დამოწმებულია წინაენისმიერი (სისინა) რიგის ლაბიალიზებული წვ სიტყვაში: წ'ვა (შდრ.: ანდ.. ლალ., რიკვ. წ'ა. ქვანხ. წ'ალი) „ვარსკვლავი“. იმ თქმებში, რომლებშიც წ'ვა → წ'ა „ვარსკვლავი“, ეს სიტყვა გარეგნულად დამთხვა მეორე. სულ სხვა ენიშვნელობის, სიტყვას: წ'ა „წვიმა“ (განსხვავება ზილოს თქმამ შემოინახა: წ'ვა „ვარსკვლავი“ — წ'ა „წვიმა“). შდრ. სხვა ანდიურ ენებსა და ხუნძურში: ბოთლიხ. წ'აჲ (← წ'ვაჲ) „ვარსკვლავი“ — წ'აჲ „წვიმა“, კამალ. წ'ან (← წ'ვან) „ვარსკვლავი“ — წ'ან „წვიმა“. — მაგრამ: ბაგვალ. წ'ვარა „ვარსკვლავი“ — წ'აჲ „წვიმა“, ახვხ. წ'ვარა „ვარსკვლავი“ — წ'არა „წვიმა“, ხუნძ. წ'ვა ← წ'ვად (ნათ. წ'ვად-ულ) „ვარსკვლავი“ — წ'ად „წვიმა“.

ლაბიალიზებული თანხმოვანი გვხვდება მხოლოდ ხმოვნის წინ (შეიძლება მოსდევდეს, როგორც ხმოვანს, ისე თანხმოვანსაც მაგალითები იხ. ზემოთ). ამავე დროს ყველა ხმოვნის წინ ლაბიალიზებული თანხმოვანი არ დასტურდება: გარკვეული ხმოვნების წინ ასეთი თანხმოვანი დელაბიალიზაციას განიცდის (კარგავს ლაბიალურ კომპონენტს). ლაბიალიზებული თანხმოვანი, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მომდევნო ხმოვანზეც.

ქვემოთ განვიხილავთ ლაბიალიზებული თანხმოვნისა და მომდევნო ხმოვნის ურთიერთ გავლენით გამოწვეულ ცვლილებებს ანდიურ თქმებში<sup>1</sup>.

ავ<sup>2</sup> + უ → კ + უ: კვ + მ → კ + მ. ლაბიალიზებულ თანხმოვანს, ბუნებრივია, სუსტ პოზიციას უქმნის უშუალოდ მომდევნო ლაბიალური ხმოვნები (უ, მ)<sup>3</sup>. არც ერთ ანდიურ თქმაში ლაბიალიზებული თანხმოვანი არ შეიძლება გვექონდეს უ ხმოვნის წინ. სიტყვის ფორმაცვალებისას ფუძისეული ლაბიალიზებული თანხმოვანი, როცა კი უ ხმოვნის წინ აღმოჩნდება, დელაბიალიზაციას განიცდის (იხ. ქვ.). მ ხმოვნის წინ ლაბიალიზებულ და არალაბიალიზებულ თანხმოვნებს განარჩევს მხოლოდ ანდის თქმა (როცო „გული“, ბიკო „იყო“... იქვონ „შეკამა“ და ა. შ. — შდრ.: კოლ „პირი“, კორკონ „კერცხი“... ქოქა „ძუძუ“ და ა. შ.). დანარჩენ თქმებში ლაბიალიზებული თანხმოვნები მ ხმოვნის წინ (ისევე, როგორც უ ხმოვნის წინ) სისტემატურად კარგავს ლაბიალურ კომპონენტს (გ-ს) და შესაბამის არალაბიალიზებულ თანხმოვნებში ირევა: შდრ.:

ანდი	ლაბიალიზებული	და ა. შ.
როცო	როკო	„გული“
კვარდო	კორდო	„ბალახი“
ბაკოლ	ბაკოლ	„ტყავი“
ბიკო	ბიკო	„იყო“
ქვოწი	ქოწი	„ცოცხი“
არქვომ	არქომ	„კოვზი“
იქვონ	იქონ	„შეკამა“

<sup>1</sup> ანალოგიური ცვლილებები ახასიათებს ხუნძ.-ანდ.-დიდ სხვა ენა-კილოებსაც: ენდ.: დ. იმნაიშვილი, ფონეტიკური ცვლილებანი დიდურში... (ქვ. VIII, 1956); Т. Гудова, К изменению лабиализованных согласных в аварском и андийских языках (იქვე).

<sup>2</sup> კვ პირობით ანდისნავს ნებისმიერ ლაბიალიზებულ თანხმოვანს.

<sup>3</sup> შდრ. მაგალ., ქართველურ ენებში: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 25; გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი, 1962, გვ. 15—18; დალესტნურ სხვა ენებში: А. А. Магомедов, Лабиализованные звуки в дагестанском яз. (ქვ. V); Ю. Д. Дешериев, Грамматика хиналугского яз., გვ. 17.

ნიკო	ნიკო	„ფეხი“
გოყი	გოყი	„ყრუ“
იხვობ	იხობ	„წისკილი“
ჯოა <sup>1</sup>	ჯოა	„ლურჯი“...

ასეთ შემთხვევაში რომ ანდის თქმის ჩვენებაა უძველესი, ამას მოწმობს სხვა ანდიურ ენათა და ხუნძურის ჩვენებაც: შდრ.: ანდ. როკო (ლალ., რიკვ. და ა. შ. როკო ← როკო) — მოთლიხ., ლოლობ., ტინდ., ბაგვალ., ახვახ., კარატ. რაკვა. ჭამალ. ჯაკვა „გული“; ანდ. მოკო (ლალ., რიკვ. და ა. შ. მოკო ← მოკო) — მოთლიხ. მაკვა „სკამი“; ანდ. იხვობ (ლალ., რიკვ. და ა. შ. იხობ ← იხვობ) — მოთლიხ., ლოლობ., კარატ., ტინდ. ხვაბუ. ჭამალ. ხვაბ — ხუნძ. ჰობო ← ჰვობო (← ჰვაბო ← „ხვაბო — § 46) „წისკილი“; ანდ. იკონ (ლალ., რიკვ. და ა. შ. იკონ ← იკონ) — მოთლიხ., კარატ. ინქვა. ლოლობ. იქვა... — ხუნძ. ქვანანა „შექამა“ და ა. შ.

ამის გამო, რომ ხუნძ.-ანდ. საერთო ა ხმოვანი ანდიურს ხშირ შემთხვევაში შეცვლილი აქვს ა ხმოვნით (§ 18), რომელიც წინამავალ ლაბიალიზებულ თანხმოვანს სუსტ პოზიციას უქმნის, თანხმოვნის დელაბიალიზაციის შემთხვევები ანდიურ თქმებში (ანდის თქმის გამოკლებით) შესაბამისად უფრო ხშირია. ვინემ სხვა ხუნძ.-ანდ. ენებში, რომელთაც სათანადო სიტყვებში დაცული აქვთ ა ხმოვანი (იხ. ზემოთ მოყვანილი შედარება).

ლაბიალიზებული თანხმოვანი არ გვხვდება არც ერთ ანდიურ თქმაში არც ა ხმოვნისა და თქმათა უმეტესობაში არც ე ხმოვნის წინ. ა და ე ხმოვნები არალაბიალური ხმოვნებია და ამიტომ გამორიცხული უნდა იყოს სათანადო შემთხვევებში მათი გავლენით წინამავალი თანხმოვნის დელაბილიზაცია. მაგრამ თანხმოვნის დელაბილიზაციას იწვევს არა უშუალოდ ა და ე ხმოვნები, არამედ მათგან მიღებული ლაბიალური უ და ა ხმოვნები. უ და ა ხმოვნები კი მიიღება შესაბამისად ა და ე ხმოვნებისაგან წინამავალი ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით.

ამრიგად: ჯერ ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით მომდევნო ა და ე ხმოვნები შესაბამისად იცვლება უ და ა ხმოვნებით (ას ი მ ი ლ ა ც ი ა), ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელნი იწვევენ — საერთო წესის თანახმად — წინამავალი ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბილიზაციას (დ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა).

<sup>1</sup> ა. დ ი რ ი თანხმოვნის ლაბიალიზაციას ა ხმოვნის წინ ხშირად არ ადნიშნავს: კ ო რ დ ო „ბალაში“, ქ ო წ ი „ცოცხი“, ი ხ ო ბ „წისკილი“ და ა. შ. (მაგრამ: გ ვ ო ყ ი „ყრუ“...).

\*კვ + ი (→ \*კვ + უ) → კ + უ. როგორც ზემოთ აღნიშნული გვექონდა, ლაბიალიზებული თანხმოვნის მომდევნოდ ი ხმოვანი არ დასტურდება არც ერთ ანდიურ თქმაში. ყველა შემთხვევაში მოსალოდნელია კომბინაცია: ლაბიალიზებული თანხმოვანი პლუს ი (კვ + ი) შეცვლილია კომბინაციით: შესაბამისი არალაბიალიზებული თანხმოვანი პლუს უ (კ + უ). სათანადო მაგალითები თვალსაჩინოა სიტყვის ფორმაციებისას. რამდენიმე მაგალითი: ბიკვო (ღაღ. და ა. შ. ბიკო ← ბიკვო) „იყო“ — მაგრამ: ბიკუდუ ← ბიკვიდუ „ყოფნა“, ბიკუდო ← ბიკვიდო „არის 'ხოლმე'“... ბიქვო (ღაღ. ბიქო ← ბიქვო) „ანთო“ — მაგრამ: ბიქუდუ ← ბიქვიდუ „ანთება“, ბიქუდო ← ბიქვიდო „ინთება“... როქვო (ღაღ. როქო ← როქვო) „მოწმება“ — მაგრამ: როქუდუ ← როქვიდუ „მკა“, როქუდო ← როქვიდო „მკის“... იქვონ (ღაღ. და ა. შ. ბიქონ<sup>1</sup> ← ბიქვონ) „შესქამა“ — მაგრამ: იქუნნუ ← იქვინნუ (ღაღ. ბიქუნნუ ← ბიქვინნუ) „შეკმა“, იქუნნო ← იქვინნო (ღაღ. ბიქუნნო ← ბიქვინნო)<sup>1</sup> „ქამს“... ბაგვა (ღაღ. ბაგო ← ბაგვო ← ბაგვა) „დათვლა“ — მაგრამ: ბაგუდუ ← ბაგვიდუ „დათვლა“, ბაგუდო ← ბაგვიდო „თვის“...

მოყვანილ მაგალითებში ჩვენთვის საინტერესო ცვლილებები ხდება ინფინიტივისა და აწმყოს ფორმებში, როცა ერთმანეთს უშუალოდ ხვდებიან ფუძისეული ლაბიალიზებული თანხმოვანი და ფორმანტისეული (თემატური) ი ხმოვანი (შდრ. არალაბიალიზებული თანხმოვნის მომდევნოდ ი ხმოვანი სიტყვათა იმავე ფორმებში დატულია უცვლელად: ბეტ-ი-დუ „ხენა“, ბუყ-ი-დუ „ქრა“... ბეტ-ი-დო „ხნავს“, ბუყ-ი-დო „ქრის“...).

კვ ო ე → კვ + ი → კ + ი. ლაბიალიზებული თანხმოვნის მომდევნოდ ე ხმოვანი (კვ + ე) მხოლოდ ზილოს თქმაში დასტურდება. ანდის, ღაღათლის, რიკვანის, ჩანხოსა და ქვანხიდათლის თქმებში ასეთ შემთხვევებში ე ხმოვანი ყოველთვის შეცვლილია ი ხმოვნით, რომლის წინ ლაბიალიზებული თანხმოვანი (კვ + ი) შემორჩენილი აქვს უცვლელად მხოლოდ ანდის თქმას. ხოლო დანარჩენ ზემოხსენებულ თქმებში ლაბიალიზებულ თანხმოვანს დაკარგული აქვს ლაბიალური კომპონენტი (კ + ი). მაგალითები: ზილ. ყვენ (← ყ'ვენ — § 30) → ანდ. ყ'ვონ → ღაღ., რიკვ. ყ'ონ (ქვანხ. ყ'ონა) „რქა“; ზილ. ხვეა (ხუნდ. ჰვეა [← ხვეა — § 46]) → ანდ. ხ'ვოა → ღაღ., რიკვ., ჩანხ., ქვანხ. ხოა „ძალი“; ზილ. კვერდი → ანდ. კვორდო → ღაღ. კორდო „ბალახი“...

<sup>1</sup> ეს სწავა ანდის თქმაში უკლასნიწნოა. იოლო ღაღათლისა და სხვა თქმებში — კლასნიწნაინი.

ხმოვანთა ანალოგიური მონაცვლეობა (ე → || ო) ანდიურ თქმებში ზოგჯერ შეიმჩნევა არალაბიალიზებული წინაენისმიერი თანხმოვნის მომდევნოდაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ შემთხვევებშიც ძველად ხმოვნის წინამავალი თანხმოვანი ლაბიალიზებული იყო (მომდევნო ხმოვნის ცვლა ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით უნდა მომხდარიყო): ზილ. ბეშენ (← \*ბეშვენ) -- ანდ. ბეშონ (← \*ბეშონ ← \*ბეშვენ) „ლოგინი“; მუნ. ბეშენუ- (← \*ბეშვენუ) -- ანდ., რიკვ. ბეშონუ (← \*ბეშვონუ ← \*ბეშვენუ) „ასი“; მუნ. ბეტერა (← \*ბეტვერა) -- ანდ. ბელორა, ღალ. ბელნორა (← ბეტორა | § 28 | ← \*ბეტვორა ← \*ბეტვერა) „წვრილი“; ღალ. იმა-ტაერუ (← \*იმა-ტავერუ) -- ანდ. იმა-ტაორუ (← \*იმატავორუ ← \*იმა-ტავერუ) „სიმამრი“; „მამამთილი“ და სხვ. თუ ეს ასეა; ჩანს, წინაენისმიერი ლაბიალიზებული თანხმოვნები ანდიურისათვის ძველად არ უნდა ყოფილიყო უცხო.

მუნიბის თქმაში ყოველი ლაბიალიზებული თანხმოვანი, როცა მას ე ხმოვანი მოსდევს, კარგავს ლაბიალურ კომპონენტს, ხოლო მომდევნო ე ხმოვანი უცვლელი რჩება (კვ + ე → კ + ე): ხეა ← ხეეა (შდრ.: ზილ. ხეეა) „ძალი“, ყინა ← ყენა ← ყვენა (ზილ. ყვენ ← ყვენ — § 30), კეეა ← კეეეა (ანდ. კეეოა ← კეეეა) „კვამლი“... — მოყვანილ მაგალითებში თანხმოვნის დელაბიალიზაცია სპონტანური ხასიათისაა (მომდევნო ხმოვნის გავლენით იგი არ აიხსნება), თუმცა სისტემატური ხასიათი მას აღნიშნულ თქმაში მხოლოდ ე ხმოვნის წინ აქვს<sup>1</sup>.

ლაბიალიზებული თანხმოვნები ანდიურ თქმებში უკეთაა დაცული ა ხმოვნის წინ. ასეთ პოზიციაში ლაბიალიზებული თანხმოვანი (მომდევნო ა ხმოვნით) სათანადო სიტყვებში, როგორც წესი, უცვლელად მეორდება ყველა თქმაში (ინქვა „ურემი“, კვარდუ „წერა“, ხეამი „თევზი“ და ა. შ.). განსხვავება იშვიათად თუ იჩენს თავს: ანდ. ჰეკა (შდრ.: ამავე აულის ქალთა მეტყვე. ჰეკვა), ღალ., ქვანხ. ჰეკა — ზილ. ჰეკვა „კაცი“... ანდ. ბაგვა — ღალ. ბაგო (← ბაგვო ← ბაგვა) „დათვალა“...

<sup>1</sup> შდრ.: ხუნძური ენის კარულ კილოში ლაბიალიზებული თანხმოვანი სისტემატურად კარგავს ლაბიალურ კომპონენტს. როგორც ე. ისე ა ხმოვნის წინ: ქერ ← ქვერ (შდრ.: ხუნძახ. ქვერ) „ხელი“ (შდრ.: ანდ. ქვო ← \*ქვე'რ) „ტარი“, ქვოლ ← ქველ „სახელო“. დეტ ← დვეტ (ხუნძახ. დვეტ) „ხე“... ჯახი — ვეახი (ხუნძახ. ვეახე, ანდ. ვეარდუ) „წერა“, ბუყახი ← ბუყვახი (შდრ.: ხუნძახ. ბაყვახე) „გაშრობა“, „გახმობა“... იხ.: ბუნძ. ენა, გვ. 81 — 82; ილ. ცერცვაძე. ხუნძური ენის კარული კილოს თავისებურებანი (აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტ. IV სამეცნ. სესიის თეზისები. თბილისი, 1947).

ბუნძურ ენაშიც. როგორც ცნობილია, ლაბიალიზებული თანხმოვანი დელაბიალიზაციას განიცდის (კარგავს ლაბიალურ ვკომპონენტს) ბავისმიერ უ და თ ხმოვანთა წინ, მაგრამ ანდიურისაგან განსხვავებით ხუნძურში ლაბიალიზებული თანხმოვნები შეუძლებელი არ არის გვექონდეს ო და ე ხმოვანთა (ისევე, როგორც ა ხმოვნის) წინ; შდრ.: ხვ-ე-ზე „მოკვდომა“, ხვ-ა-ნა „მოკვდა“ მაგრამ: ხ-ო-ლა ← ხვ-ო-ლა „კვდება“, ხ-უ-ნ ← ხვ-უ-ნ „მოკვდა-რა“ ქვ-ი-ნე „შექმა“, ქვ-ა-ნა „შექამა“... — მაგრამ: ქ-უ-ნა ← ქვ-უ-ნა „ქამს“, ქ-უ-ნ ← ქვ-უ-ნ „ქამა-რა“...<sup>1</sup> ღვეტ „ხე“ — მაგრამ: ღოტ-ო-ლ ← ღვოტ-ო-ლ „ხისა“, ღუტ-ბი ← ღვუტ-ბი „ხეები“...<sup>2</sup>.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ დელაბიალიზაცია ანდიურში (და ხუნძურში) შედეგია ლაბიალიზებული თანხმოვნის ლაბიალური კომპონენტის (ვ-ს) დაკარგვისა (ქვ → ქ)<sup>3</sup>. მომდევნო ხმოვანთა ცვლილებებსაც სათანადო შემთხვევებში ეს კომპონენტი იწვევს<sup>4</sup>. ლაბიალიზებული თანხმოვნის ამ კომპონენტისა და მომდევნო ხმოვნის ურთიერთ გავლენით გამოწვეული ცვლილებები ანალოგიურია წყვილბავისმიერი ვ სონანტისა (ნახვეარხმოვნისა) და მომდევნო ხმოვნის ურთიერთ გავლენით გამოწვეული ცვლილებებისა — აღმაველ — დიფთონგებში (შდრ.: ერთის მხრივ, კვი → კ'ვ'უ. კვი → კ'ვ'ო და, მეორეს მხრივ, ვი → 'ვ'უ, ვე → 'ვ'ო — § 16).

ლაბიალიზებულ თანხმოვანთა განვითარებაში, როგორც ვნახეთ, გარკვეულ როლს თამაშობს ე. წ. სპონტანური ხასიათის ცვლილებებიც (როცა თანხმოვნის დელაბიალიზაცია ანუ ძირითად კომპონენტთან ლაბიალური კომპონენტის გაუჩინარება არ არის შეპირო-

<sup>1</sup> Л. Жирков, Авар-русский словарь, გვ. 162.

<sup>2</sup> А. Магомедов, Лабиялизованные звуки в даргинском языке, оже. V. გვ. 406.

<sup>3</sup> იბერიულ-კავკასიურ სხვა ენებში ცნობილია დელაბიალიზაციის ისეთი შენთხვევებიც. როცა წინააღმდეგობა ოდენ ლაბიალური კომპონენტი და დაკარგულია ძირითადი კომპონენტი (ცო → ვ): К. В. Ломтатиძე, Об одной фонетической закономерности в абхазско-абхазских диалектах, სპაშ, ტ. III. № 8, 1942. დელაბიალიზაციის მსგავსი ფაქტები ხუნძ.-ანდ.-დიდ. ენებიდან დადასტურებულია დიდოურ ენებში (ელ. ლომთაძე). ანდიურსა და ხუნძურში კი ანის შემთხვევები არ დასტურდება.

<sup>4</sup> ლაბიალიზებულსა თანხმოვანმა (მისმა ლაბიალურმა კომპონენტმა) შეიძლება დაიმსგავსოს არა მხოლოდ მომდევნო, არამედ წინამდებელი ხმოვანიც; მაგალ. ანწუხ. ბუყვანოი ← ბაყვანოი (შდრ. ხუნძახ. ბაყვანე) „გაშრობა“, „განმობა“: ა → უ ამ სიტყვაში მომდევნო ლაბიალიზებული თანხმოვნის (მისი ლაბიალური კომპონენტის) გავლენას მიეწერება.



პებული კომბინატორული მიზეზით, კერძოდ, მომდევნო ხმოვნის გავლენით: წა ← წავა „ვარსკვლავი“. ხე → ხვე „ძალი“ და ა. შ. — იხ. ზემოთ). ამგვარი ცვლილება ლაბიალიზებულ თანხმოვანთა განვითარების საკუთარ ტენდენციად შეიძლება მივიჩნიოთ.

§ 44. ნახმარაბარუპტივები (პრამუპტივები). ანდიურში შეიქმნევა ნახევარაბრუპტივთა (პრერუპტივთა) არსებობა. ასეთი თანხმოვნები სრულიად უცხობა ხუნძურისათვის. მაგრამ კარგად ცნობილია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. კერძოდ, ადიღურ ენებში: ამავე ტიპის თანხმოვნებად მიიჩნევა დაღესტნური სხვა ენებიდან (ლაკურ-დარგული, ლეზგიური, ტაბასარანული...) ცნობილი ე. წ. გემინატებიც; ეგვევ თანხმოვნები ახასიათებს კავკასიის არაიბერიულკავკასიურ ოსურ ენასაც<sup>1</sup>.

ანდიურში დასტურდება სულ ოთხი ასეთი თანხმოვანი:  $\bar{\text{ხ}}$  (წყვილბაგისმიერი),  $\bar{\text{ღ}}$  (კბილისმიერი),  $\bar{\text{ჯ}}$  (შიშინა) და  $\bar{\text{გ}}$  (წინაველარული)<sup>2</sup>. ე. ი. ყველა მჟღერ ხშულსა და აფრიკატს მოეპოვება შესაბამისი ნახევარაბრუპტიული ვარიანტი. ყველაზე ხშირად გვხვდება  $\bar{\text{ღ}}$ . რომელსაც ა. ღირიცი იცნობს (ა. ღირი  $\bar{\text{ღ}}$ -ს აღნიშნავს  $\tau$  ასოთი დამატებითი განმასხვავებელი ნიშნის გარეშე)<sup>3</sup>. ამავე თანხმოვანს გულისხმობს ნ. ტრუბეტკოიც, როცა იგი მიუთითებს ანდიურში „მჟღერი  $\bar{\text{ღ}}$ -ს ფაქულტატიურ ვარიანტზე“, რომელსაც ახასიათებს. როგორც არასპირირებულ თანხმოვანს (და აღნიშნავს მას „t ნიშნით“)<sup>4</sup>. მაგრამ ნ. ტრუბეტკოი არ მიუთითებს, თუ რა შემთხვევებში იჩენს თავს ეს თანხმოვანი, როგორც  $\bar{\text{ღ}}$ -ს ვარიანტი.

$\bar{\text{ღ}}$  ხშირად გვხვდება სიტყვის ფორმებში, როცა მორფემათა საზღვარზე ფორმანტისეული (სუფიქსისეული) მჟღერი  $\bar{\text{ღ}}$  თანხმო-

<sup>1</sup> იხ.: გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი. 1953. გვ. 80—81; მისივე. სამი „t“ ოსურში... „წელიწადული“. თბილისი. 1922—1924; გ. რაგავა. ნშულთა ოთხეულბობივი სისტემა ადიღურს ენებში. ხმამ. ტ. IV. № 3. 1943; В. И. Абасев, Осетинский язык и фонетические особенности пудухарского диалекта даргинского яз. (МД. I, 1949); ბ. გიგინეიშვილი. ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები. თხუ შრომებ. ტ. 96. 1963. გვ. 38—42.

<sup>2</sup> ასეთ თანხმოვანთა აღსანიშნავად ჩვენ ვიყენებთ ძირითად ნიშნებად შესაბამის მჟღერთა ნიშნებს. ხოლო განმასხვავებელ ნიშნად — ხახს ასოს თავზე.

<sup>3</sup> ამავე ასოს დანატებითი განმასხვავებელი ნიშნებით ა. ღირი ხმარობს შესაბამისად  $\bar{\text{ღ}}$  და  $\bar{\text{ტ}}$  ბგერებისათვის.

<sup>4</sup> N. Trubetzkoy, Die Konsonantsysteme, გვ. 41—42.

ვანი უშუალოდ ხედება ფუძისეულ გარკვეულ ყრუ თანხმოვნებს. ასეთ შემთხვევებში  $\bar{d}$  შეიძლება მივიღოთ  $\bar{d}$ -საგან ამ უკანასკნელის შერწყმით იმავე რიგის ყრუ თანხმოვანთან ან შერწყმის გარეშეც გარკვეულ კომპლექსებში. მაგალითები:

თღ →  $\bar{d}$ : ბეთ-ა „დატოვა“ (ნამ.) — მაგრამ: ბეღუ ← ბეთ-ღუ „დატოვება“ (ინფ.), ბეღო ← ბეთ-ღო „ტოვებს“ (აწმ.)... ლელთ-ა „გაუშვა“ — მაგრამ: ლელღუ ← ლელთ-ღუ „გაშვება“, ლელღო ← ლელთ-ღო „უშვებს“... ბელ'ელთ-ა „გაგზავნა“ — მაგრამ: ბელ'ელღუ ← ბელ'ელთ-ღუ „გაგზავნა“ (ინფ.), ბელ'ელღო ← ბელ'ელთ-ღო „გზავნის“... — აქ ფორმანტიკული (ინფ. -ღუ და აწმ. -ღო სუფიქსების) დ თანხმოვანი ფუძისეულ თ თანხმოვანთან შერწყმით იძლევა  $\bar{d}$ -ს.

ლ'ად → ლღ: ბილღუ ← ბილ'ად-ღუ (ზღრ.: ბოთლიხ. ბილ'ადი) „შეძლება“, ბილღო ← ბილ'ად-ღო „შეუძლია“... — აქ ლ'ად ლატერალური თანხმოვნის ერთ-ერთ კომპონენტის (თ?) შერწყმით მომდევნო  $\bar{d}$ -სთან ვიღებთ  $\bar{d}$ -ს (ხოლო ამ კომპონენტის გამოცალკევებით ლ'ადსაგან ლ გვრჩება)<sup>1</sup>. ასეთივე ცვლილება ხდება ერგატიული ბრუნვის ფორმებში, როცა ამ ბრუნვის დაბოლოება -დი უშუალოდ მოსდევს ფუძის ბოლოკიდურ ლატერალურ თანხმოვან ლ'ადს: ღოშკალ-დი ← ღოშკალ'ადი „ქალმა“, ჰოლ-დი ← ჰოლ'ადი „ამან“ და ა. შ. (იხ. ერგატივის წარმოებასთან დაკავშირებით).

შენიშვნა. თუ ლღ (← ლ'ად) კომპლექსი სიტყვაში თანხმოვანს მოსდევს, ამ კომპლექსის პირველი კომპონენტი (ლ) იკარგვის: ლ'აენ-დი ← ლ'აენღ-დი ← ლ'აენლ'ადი „წყალმა“ და ა. შ. (დაწვრილებით იხ. ერგატივის წარმოებასთან დაკავშირებით).

$\bar{d}$  გვხვდება ისეთ კომპლექსებშიც, რომელთა პირველი კომპონენტია სპირანტები<sup>2</sup>: შ (შა) და ხ (ხა):

შად → შად: ინშადღუ ← ინშადღუ (ზღრ.: ბოთლიხ. ინშადღუ-და, ბაკვალ. ინშადღრა) „ხუთი“... ასევე: ერგატიული ბრუნვის -დი

<sup>1</sup> ზღრ.: ხუნძურში: ლ'ად — ლღ (ჰელღა ← ჰელ'ად-ღა „მასხე“...); ხუნძურში ლად კომპლექსში ლ'ად → ლღ (ისევე, როგორც ანდიურში), მაგრამ მომდევნო დ უცვლელი რჩება.

<sup>2</sup> ზღრ.: В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, გვ. 515 (სადაც მოცემულია ანანის ცდაც იქნისა. თუ რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს სპირანტთა მომდევნოდ ასეთი თანხმოვნის მიღებას).

დაბოლოება ფუძისეული შა თანხმოვნის მომდევნოდ ყოველთვის -ღ-ს სახეს იღებს ხოლმე: ჰეკაშა-ღი ← ჰეკაშა-ღი „კაცმა“, წყე-შა-ღი ← წყეშა-ღი „სტუმარმა“...; ინფინიტის -ღუ: აწყოს -ღო და სხვ. დაბოლოებათა დ თანხმოვანი ანალოგიურ პოზიციაში იცვლება ლ-თი: ბეყაშა-ღუ ← ბეყაშა-ღუ „მოპარვა“, ბეყაშა-ღო ← ბეყაშა-ღო „იპარავს“... დაშე-ღუ ← დაშა-ღუ „დაკეტვა“, დაშა-ღო ← დაშა-ღო „კეტავს“ და ა. შ.

ღ-ს ვპოვებთ შ-ს მომდევნოდ ნასესხებ სიტყვაშიც: იშღაბ (ИШТАБ). — აქ ღ-ს რუს. რ-ს ადგილი უჭირავს (შდრ. ხუნდ. იშთაბ).

ს-ს მომდევნოდ ლ დასტურდება ნასესხებ სიტყვებში (საკუთარი მარაგის სიტყვებში ამის მაგალითები არა ჩანს შესაბამისი პოზიციის დაუდასტურებლობის გამო): უსღოლ (УСЛО), როსღოვ (РОСЛОВ), უსღარ „ოსტატი“... (შდრ.: ეგვევ ნასესხები სიტყვები ხუნდურ ენაში: უსთოლ, როსთოვ. უსთარ...).

ღ შეიძლება გვექონდეს კომპლექსის გარეშეც (ხმოვანთა შორის). სათანადო შემთხვევებში იგი მიღებული ჩანს ღ-ს გაორმაგებით (გემინაციით). ასეთი წარმოშობის ღ გვაქვს, კერძოდ. ნასესხებ სიტყვაში: რასაღღინ || ნასარეღღინ „ნასარეღინი“ (არაბ.). გემინაციის შედეგად ჩანს მიღებული ღ საკუთარი მარაგის სიტყვებშიც (და სიტყვის ფორმებში), რომელთა ექსპრესიული მნიშვნელობა საექვო არ უნდა იყოს (გემინაციის საფუძველიც, ჩანს, ესაა): ოხაღღორო „ადრე დილით“, „განთიადისას“... ზილ. რეღღონ „ლაპარაკი [ბევრი]“ და ა. შ.

შ მიიღება ორი ბ-ს შერწყმით სიტყვათა ან მორფემათა საზღვარზე: დიშურთინა ← დიბ ბურთინა „ჩემი ნაბადი“... ჯვარდი-ბოლო ← ჯვარდიბ-ბოლო „თუ დაწერა?“...

გემინაციის შედეგად ჩანს მიღებული შ სიტყვებში: ჰოშადი „კოცნა“, ქვანხ. ბოხო „გუგული“ (გემინაციის საფუძველი კი ამ სიტყვათა ექსპრესიული მნიშვნელობა უნდა იყოს).

გ და ჯ (← გ) დამოწმებულია მხოლოდ ხმაბაძვითსა და ექსპრესიული მნიშვნელობის სიტყვებში: გიგუ (ქვანხ. ბოხო — იხ. ზემოთ) „გუგული“ (შდრ.: ხუნდ. გიგო || გიგუ); გიგუ გიგუდირ

-გუგული -გუგუს" იძახის<sup>1</sup>... ჯაბუ (← ლდ. გ<sup>ა</sup>ბუ) „დარტყმა“: „მოკვლა“<sup>1</sup>.

ნახევარაბრუპტივები შეიძლება გვექონდეს მხოლოდ ხმოვნის წინ (თანხმოვნის წინ ან აბსოლუტურ ბოლოში ასეთი თანხმოვნები არ გვხვდება). მომდევნო ხმოვანი, მართალია, თვითონ არ იწვევს ნახევარაბრუპტივის წარმოქმნას, მაგრამ ის ცვლილებები, რომელთა შედეგად ასეთი თანხმოვნები მიიღება (იხ. ზემოთ), ჩანს, ხმოვნის წინ შეიძლება განხორციელდეს: შდრ., მაგალ.: ანდ. ჰოლ-ღ (← ჰოლ-ა-დი) — რიკვ. ჰოლ-ღ (← ჰოლ-ა-ღ) „ამან“... ანდ. ბუყი-ღ — რიკვ. ბუყი-ღ „გაქრა-რა“: „გაქრილი აქვს“...

იმის გათვალისწინებით, რომ ანდიურში ნახევარაბრუპტივთა წარმოქმნის ძირითადი წყაროა თანხმოვნის გე მი ნ ა ც ი ა (ინტენსიური არტიკულაცია), ადვილი ასახსნელია, თუ რატომღაა, რომ ასეთი თანხმოვანი მხოლოდ ხმოვნის წინ შეიძლება იჩენდეს თავს (§ 24).

აკუსტიკურად ნახევარაბრუპტივები შესაბამისი ძირითადი ტიპის თანხმოვნებიდან ყველაზე მეტ სიახლოეს აბრუპტივებთან იჩენენ (ტერმინიც „ნახევარაბრუპტივი“ ამას ითვალისწინებს). აბრუპტივებთან მათ აახლოებს ასპირაციის არქონა ან თითქმის არქონა. მთავარი განსხვავება აბრუპტივებსა და ნახევარაბრუპტივებს შორის კი იმაში მდგომარეობს, რომ აბრუპტივთა წარმოქმნას, როგორც ცნობილია, ახასიათებს სახმო სიმების სრული დახშულობა, ხოლო ნახევარაბრუპტივთა წარმოქმნისას სახმო სიმები ღიაა ან ოდნავ დახშულია. სახმო სიმების ღიაობით კი ნახევარაბრუპტივები მსგავსებას იჩენენ მეღერებთან და ფშვინეიერებთან, ოღონდ მეღერებისაგან განსხვავებით ნახევარაბრუპტივთა წარმოქმნისას სახმო სიმები დაქიმულია და არ ღღერენ (ოდნავი ვიბრაცია შეიძლება გამორიცხული არც იყოს), ხოლო ფშვინეიერებისაგან განსხვავებით ისინი, როგორც ზემოთ ითქვა, მოკლებული არიან ასპირაციას ან ოდნავ ასპირირებული თუ არიან<sup>2</sup>.

ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში ნახევარაბრუპტივი — განვითარების შემდგომ საფეხურზე — შეიძლება შეიცვალოს შესაბამისი —

<sup>1</sup> თანხმოვნის გაორმაგების (ან ფუძის რედუქლიკაციის) შემთხვევები იბერაულ-კავკასიური ენებიდან იშორია აფხაზურში (აკკაჰა „კაკანი“, აჰიშირა „ყერილი“...), მაგრამ აქ სათანადო შემთხვევებში ფონეტიკურად განსხვავებული თანხმოვანი არ წიილება (იხ.: ქ. ლომთათიძე, რედუქლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენმკე-ს ნოაბე, V—VI, 1940).

<sup>2</sup> იხ. ზემოთ დასახ. შრომები, რომლებშიც მოცემულია ასეთ თანხმოვანთა აკუსტიკურ-ფიზიოლოგიური დახასიათება (შესაბამის ენათა შონაცემების მიხედვით).

სრული- აბრუპტივით (როცა სახმო სიმები სულ იკეტება): შდრ.: შილ. რედონ -ანდ. რეტონ „ლაპარაკი“. ანდ. ჯაბუ (←ლალ. ჯა-ბუ) -დარტყმა-, „მოკვლა“ --- მუნ. ჭავუ (← ჭაბუ — § 33) „მოკვლა“ (გაუუ ← გაბუ „დარტყმა“)...

როგორც ზემოთ განხილული — ტიპობრივი — მავალითები მოწმობენ. ასეთი თანხმოვნები ანდიურში მეორეული წარმოშობისაა და ფონემებს არ წარმოადგენენ (მეღერ ხშულთა და აფრიკატთა ფონეტიკური ვარიანტებია).

§ 45. ლაჩინგბალური აბრუპტივი ე. ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) ე თავს იჩენს ყოველი ხმოვნის წინ, რომელიც სიტყვის თავშია ან ხმოვნის მომდევნოდაა (ე. ი. მარცვლის თავკიდური ხმოვნის წინ). ასეთ პოზიციაში იგი წარმოადგენს ხმოვნის მავარ შემართვას (§ 9). გარდა ამისა, ე შეიძლება გვექონდეს სხვა რომელიმე თანხმოვნის რეფლექსადაც (არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ პოზიციაში): ტ' → ლე, ე (§ 28), ყ' → ე (§ 30), ჯ → ე (§ 35).

§ 46. თანხმოვანთა უხატუპვისობანი: ანდ. შ. შა, ხ — ხუნძ. ხ, ხა, ჰ<sup>1</sup>. II ანდ. შ — ხუნძ. ხ. ხუნძურ-ანდიურ ენათა რიგ საერთო ფუძეში ანდიური ენის არამავარ შიშინა შ თანხმოვანს ხუნძურში ხ შეესატყვისება. დანარჩენ ანდიურ ენებშიც სათანადო შემთხვევებში შ (ან ჰ | იშვიათად ხ-ც| ← შ) გვაქვს: შდრ.: ანდ. ვოშო (მოთლიხ., ლოდობ.. ბაგვალ.. ახვან.. კარატ. ვაშა — ტინდ.. ჭამალ. ვაშა) — ხუნძ. ვახ „ვაეიშვილი“: ანდ. ჯოში (მოთლიხ. ეეში. ლოდობ. ჯაში. ბაგვალ. ჯაშ. ახვან. ჯაშე — კარატ. ჯახ<sup>2</sup>ო — ტინდ. ჯაშა, ჭამალ. ჯაშ) — ხუნძ. ჯახ „ქალიშვილი“: ანდ. ბეშონუ- (მოთლიხ. ბეშუნუ-. ლოდობ. ბეშენუ-. ბაგვალ. ბეშენ-. ახვან. ბეშანო-, კარატ. ბეშან — ტინდ. ბეშან-, ჭამალ. ბეშან-) — ხუნძ. ნუს- „ასი“: ანდ. რეშინ (მოთლიხ., ლოდობ. რეში. ახვან. რეშე, ბაგვალ. რეშ. კარატ. ნიში — ტინდ. რეშენ. ჭამალ. ეეშინ) — ხუნძ. ხონ „წელიწადი“; ანდ. ბეშონ (მოთლიხ., ლოდობ. ბეშენ — კარატ. ბეხ<sup>2</sup>ვან — ჭამალ. ბეშან) — ხუნძ. ბოსენ „ლოგინი“. „ქვეშაგები“... სხვა — არახუნდ.-ანდ. — ენებიც ასეთ შემთხვევებში ანდიურის (resp. საერთო ანდიურის) ჩვენებას უქერენ მხარს: შდრ.: „ასი“: ხვარშ., დიდ. ბეშონ — ლაკ. თაურშ. დარგ. დარშ — ლეზგ. ვიშ, აღულ. ვარშა, ტაბას. ვარჟ (← ვარშ)... აფხაზ. -ში- „ასი“<sup>3</sup>: „ქალიშვილი“: ლაკ.: დუშ — ლეზგ., აღულ. რუშ, ხინალ.

<sup>1</sup> აქ აღნიშნული შესატყვისობები ამოსავალი ვარიანტის ჩვენებით დადგენილი აქვს ნ. ტრუბეტკოვის (იხ. მისი: Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten, § 6).

<sup>2</sup> N. Trubetzkoy, Nordkankasische Wortgleichungen.

რიში. წახურ. დიშ: „წელიწადი“: ლაკ. შინ; ბაკბ. შო... ანდიური კარგად განარჩევს. როგორც არამავარ ხ-ს, ისე არამავარ შ-საც მაშინ, როდესაც ხუნძურში ხუნძ.-ანდ. საერთო ფუძეებში შ არა ჩანს.

ბ) ანდ. შა — ხუნძ. ხა. შა ვარიანტს უჭერს მხარს სხვა ანდიური ენებიც (ახვახურისა და ქამალალურის გამოკლებით, რომლებშიც შა → ხა)<sup>1</sup>; შდრ.: ანდ. ბ-ეშა- (ნამ. ბეშა-ი) ბაკვალ. ეშა-, ტინდ. იშა- — ახვახ. გოსა- ← გოშა-, ქამალ. ისა- ← იშა-; ლაკ. შააშა-) — ხუნძ. ბ-ესა- (ნამ. ბ-ესა-ა-ნა) „ქსოვა“; ანდ. -შა- — ირიბ ბრუნვათა უფუძის საერთო ელემენტი I გრამატიკ. კლასის სახელებში (ჰო-შა-უ-ბ „ამისა“) (მოთლიხ., ლოდობ., ტინდ., ბაკვალ., კარატ. -შა- — ქამალ., ახვახ. -ხა- ← -შა-) — ხუნძ. -ხა- — I გრამ. კლასის სახელებში ერგატ. ბრ. ნიშანი, რომელიც ფუძეს გაჰყვება ირ. ბრუნვებშიც; ანდ. შაონნორ (← \*შაონ-დორ) — ხუნძ. ხაან (ნათ. ხაანდ-ულ) „მთის ფერდობი“... იშვიათად ანდ. შა-ს შესატყვისად ხუნძურში ისევ შა გვაქვს (იხ. ქვ. სქემა).

ც) ანდ. ხ — ხუნძ. ჰ. დანარჩენი ანდიური ენები ამ შემთხვევაშიც ანდიურს მიჰყვებიან (გამონაკლისს შეადგენს ბაკვალალური ენა, რომელშიც ხ → ჰ); შდრ.: ანდ. ხ'ვ'ოჲ, ზილ. ხვეჲ (მოთლიხ., ლოდობ., ქამალ., კარატ. ხვაჲ, ახვახ. ხვაჲი, ტინდ. ხვა, ბაკვალ. ჰვაჲ) — ხუნძ. ჰოჲ || ჰვე'ჲ<sup>1</sup> „ძალი“; ანდ. იხ'ვ'ობ (მოთლიხ., ლოდობ., ტინდ. ხვაბუ. ახვახ. ხვაბა, ქამალ., კარატ. ხვაბ, ბაკვალ. ჰვაბ) — ხუნძ. ჰობო „წისკელი“; ანდ. ხოდ-უ (მოთლიხ. ხად-ი, ქამალ. — ხა-ლა და ა. შ.; ბაკვალ. ჰარ-) — ხუნძ. ჰარ-ი-ზე „თხოვნა“; ანდ. არხ-ი-ნნუ (მოთლიხ. ხვაბ-დი, ლოდობ. ხვაბ-ი და ა. შ., ბაკვალ. რაჰ-უ-ნა) — ხუნძ. რაჰ-ი-ზე „გაღება“; ანდ. მუხა (მოთლიხ., ტინდ., ქამალ. და ა. შ. ნუხა, ბაკვალ. მარჰვა) — ხუნძ. მარჰა „ზღაპარი“; შდრ., აგრეთვე: ანდ. ხ'ვ'ო (← ხ'ვ'ოდ) — ხუნძ. ჰად „ცაცხვი“; ანდ. ბუხ-ი-დუ — ხუნ. ბაჰ-ი-ზე „გახვრეტა“... ამ შესატყვისობის საფუძველია საერთო ხუნძ.-ანდ. ხ-ს შეცვლა ჰ-თი ხუნძურში (ჰად ← ხად „ცაცხვი“ და ა. შ.). მართალია, თანხმოვანი ხ უცხო არ არის ხუნძურისათვის (ახ „ბალი“; ხურ „ყანა“, ხერ- „მოხუცი“; ხადუ-„უკან“...), მაგრამ ეს ხ ხუნძურისა სულ სხვა წარმოშობისაა: იგი საერთო ხუნძ.-ანდ. \*ჯ'-საგანაა მიღებული (ახ ← აჯ' „ბალი“ და ა. შ. — § 30).

<sup>1</sup> შა — ხა ახვახურსა და ქამალალურში აიხსნება ამ ენებში მოქმედი უფრო ხოგადი კანონზომიერებით. რაც მდგომარეობს ყველა მავარი შ ი შ ი ნ ა ს (შა, ჰე, ჩა) გადასვლაში შესაბამის მავარ სისინაში (N. Trubetzkoy, Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten..., § 16. C: § 17).

სამივე ზემოაღნიშნული შესატყვისობის მიხედვით, როგორც ჩანს, ხუნძურის მიმართ ანდიურ ენებს უჭირავთ საერთო პოზიცია (ზოგი გადახრით ცალკეულ ენებში). ამდენად ეს შესატყვისობები შეიძლება მივიჩნიოთ შესატყვისობებად საერთო ანდიურსა და ხუნძურს შორის. ცვლილება ხუნძურშია მომხდარი.

დასასრულ, აქვე მოგვყავს ხუნძურისა და ანდიურის თანხმოვანთა შესატყვისობების — სრული — სქემა ამოსავალი ვარიანტების ჩვენებით.

	ხუნძ.	ანდ.
ს შ უ ლ ბ ე ბ ი	ბ	ბ : ბ (ბაწ ბოწო „მგელი“ — § 33).
	ფ	ფ : ფ (ფუზე ფულუ „ბერეა“).
	ღ	ღ : ღ (ღუნ ღინ „მე“).
	თ	თ : თ (თანა ბ-ეთა „დატოვა“).
	ტ	ტ : ტ (ტეზე ტინუ „დასხმა“).
	გ	გ : გ (ბ-ეგიზე გირღუ „წოლა“ — § 36).
	ქ	ქ : ქ (ქვანაზე იქუნუ „კამა“ — § 36).
	ქა	ქა : ქა (ქაეზე ბუქაულუ „ვარდნა“ — § 36).
	კ	კ : კ (რაკ როკვო „გული“ — § 36).
	კა	კა : კა (ჭუნკა ჰინკაუ „თავი“ — § 36).
ც	ც : ც (§ 45).	
აფრიკატები	ც	ც : ს, ც (ცერ სორ „მელა“; ოც მუნ. უნცო, ანდ. უნსო „ხარი“... — § 32).
	ცა	ცა : სა, ცა (ეაცა ვოცაი „ძმა“; ცაიმ საიმ „ნალექლი“... — § 32).
	წ	წ : წ (წა წა „ცეცხლი“).
	წა	წა : წა (ნაწა ნოწაი „ტილი“).
		-- ჯ <sup>1</sup>

<sup>1</sup> ჯ ყველა ანდიურ თქმაში მეორეულია (მიღებულია უნთავრესად გ-ს პალატალიზაციის resp. აფრიკატიზაციის შედეგად—§ 36: გვადება ნაცხებ სიტყვებშიც); მეორეული წარმოშობის ჯ დასტურდება აქა-იქ ხუნძური ენის კლოთქნებშიც (იხ. „ხუნძ. ენა“, § 35). ასე, რომ ხუნძურისა და ანდიურის (ასევე სხვა ანდიურ ენათა) ენოცემები არავითარ საშუალებას არ იძლევა ჯ-ს რეკონსტრუქციისათვის მოცემულ ქრონოლოგიურ დონეზე. რაც შეეხება ძ-ს, იგი სრულ-

ფონიკატები	ჩ	ჩ : ჩ	(ჭერ : ინჩი „ვაშლი“).
	ჩხ	ჩხ : ჩხ	(ბ-აჩიხზე : ბ-აჩიხუნუ „ტარება“).
	ჭ	ჭ : ჭ	(იჭ- : ჰოჭო „ცხრა“).
	ჭხ	ჭხ : ჭხ	(მიჭხ : მიჭხი „კინკარი“).
	ჭ'	ხ ←    ჭრ : ხ	ახვახ. ჭ' (ახ [სამხრ.-ხუნდ. აჭრ] ოხი : ახვახ. აჭ'ი „ბალი“... — § 30).
	ჭბ	ჭ : ჭ	(ჭვაზე : ჭვარდუ „წერა“).
სპირანტები	ფ	ფ : ფ	(ზობ „ცა“ ზუბუ „ღღე“).
	ხ	ხ : ხ	(ხონ ხუნ „გუშინ“).
	ხა	ხა : ხა	(ხაუზე ბ-უხაინუ „გაკვეთა“).
	ჟ	ჟ : ჟ	(ჟი- ჟი- „თვითონ“).
	შ	ხ : შ	(ვას : ეოშო „ვეფიშვილი“ — § 46).
	შა	ხა, შა : შა	(ბ-ეხა-ანა : ბ-ეშაი „მოქსოვა“ — § 46... შ-უ- : ინშადუ „ხუთი“).
სპირანტები	ღ	ღ : ღ	(ღედო : ღანნი „ყვავი“).
	ხ	ჰ : ხ	(ჰოა : ხოა „ძალი“ — § 46).
	ხა	ხა : ხა	(მახა „რკინა“ : მიხაი „რკინის ნაკეთობა [სამეფხა და მისთ.]“).
	ხ'	ხ' : ხ', შ	(ხ'ვადიზე : ხ'ვადუნუ „სიარული“... როხ' რეშუ „ტყე“... — § 31).
	ჭ	ჭ : ჭ, ჰ; ჭ	(§ 35).
	ჭრ	ჭრ : ჰ, ჰრ	(§ 35).
ჭ	ჭ : ჰ	(ჭა- : ჰო- „ეს“).	

ლიად უცხო ანდიურისათვის, ხოლო, როგორც ახალი წარმონაქმნი და, მასთან. საკმაოდ პერყევი ბგერა. შეიძლება გვეკონდეს ხუნდურის ზოგ თქმაში (იხ. „ი ლ ნ დ. ენა“, § 35).

ძველი ჰ და ჰგ ხუნდ.-ანდ. ენებში შეცვლილი ჩანს შესაბამისად ფ/წა (— ჰ) და ჟ/ჭა (← ჰგ) რეფლექსებით (N. Trubetzkoy, Nordkauk. Wortgleichungen; E. A. Божарев, Смычно-гортанные аффрикаты прадагест. яз.. ВЯ, № 4, 1958).



ლატერალები	აფრიკატები სპირანტები		
	ფ' მ'	ფ' მ'	
	ფ' : მ'	ფ' : მ'	(ფ'აბ- : მ'ობ „სამი“ — § 26).
	ფ' : მ'	ფ' : მ'	(ფ'აინ : მ'ეენ „წყალი“ — § 26).
	ფ' : მ'	ფ' : მ'	(ანფ' - : მ'ონლი- „ექსი“ — § 26).
	ფ' : მ'	ფ' : მ'	(ანფ' - : მ'ოტაუ- „შედი“ — § 26).
	ფ' : მ'	ფ' : მ'	(პიდ. ტ'ორ ქვანტ. ტ'ორა „თავთაფი“ — §§ 27, 28).
	ფ' : მ'	ფ' : მ'	(§ 29).
სონანტები	ვ	ვ : ვ	(წარ წერ „სახელი“).
	ვ	ვ : ვ	(კალ კოლ „პირი“ — § 38)
	ვ	ვ : ვ	(მალ' მულ'ა „ფრჩხილი“ — § 33).
	ვ	ვ : ვ	(მუნ მინ „შენ“ — § 11).
	ვ	ვ : ვ	(ვაცო ვოციი „ძა“ — § 34).
	ვ	ვ : ვ	(მაცო მოციი „და“).

შენიშვნა 1. სქემაში ლატერალური თანხმოვნები (სპირანტებიცა და აფრიკატებიც) მეტი თვალსაჩინოებისათვის ერთადაა წარმოდგენილი.

შენიშვნა 2. საილუსტრაციო მაგალითები მოყვანილია ჯერ ბუნძურიდან. შემდეგ ანდიურიდან.



## მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა

§ 47. ზოგადი. მორფოლოგიური კატეგორიები ანდიურს საერთო აქვს ხუნძურთან<sup>1</sup>; ძირითადი კატეგორიებია: გრამატიკული კლასისა (საზიარო სახელისა და ზმნისათვის), რიცხვისა (ესეც სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიაა, მაგრამ თითოეულ მათგანში გამოხატულია სხვადასხვაგვარად), ბრუნვისა (სახელისათვის), დროისა და კილოსი (ზმნისათვის)...

ანდიურისათვის — ისევე, როგორც ხუნძურისათვის — უცხოა პირის კატეგორია: ზმნა უცვლელია პირთა მიხედვით, არც გვარის კატეგორიაა დამახასიათებელი ამ ენებისათვის: ზმნა გვარებს (მოქმედებითი, ვნებითი) არ განარჩევს<sup>2</sup>.

გრამატიკულ კატეგორიათა გამომხატველი აფიქსები შეიძლება იყოს პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც. პრეფიქსაციით გამოიხატება გრამატიკული კლასის კატეგორია (ეგვევ კატეგორია შესაძლოა სუფიქსებითაც იყოს გამოხატული), ხოლო დანარჩენი კატეგორიები სახელისა და ზმნისა გამოიხატება სუფიქსაციით. ფუძის ფლექსიის ელემენტებს ანდიურში ამჟღავნებს ხმოვანთა მონაცვლეობის ზოგი შემთხვევა უღვლილებისა და ბრუნების პროცესში (იხ. ქვ. თავთავის ადგილას).

## ბ რ ა მ ა ვ ი კ უ ლ ი კ ლ ა ს ე ბ ი

§ 48. გრამატიკული კლასების არათანაბარი რაოდენობა ანდიურის ენის თქმებში. ზემოანდიურ თქმებში კლასები მეტია, ვინემ ქვემოანდიურ თქმებში. ამით ანდიური ენა, სხვათა შორის, განსხვავდება ხუნძური ენისაგან, რომელშიც, მიუხედავად მისი გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიაზე გავრცელებულობისა და ძლიერი დიალექტური დიფერენციაციისა, გრამატიკული კლასების (კერძოდ, მათი რაოდენობის) მიხედვით სხვაობა დიალექტთა შორის არ დასტურდება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ზღრ. „ბუნძ. ენა“. § 56. გვ. 83.

<sup>2</sup> ალ. ჩიქობავა. ეროვითული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში, ენაშკის მონაბე. XII. 1942.

<sup>3</sup> „ხუნძ. ენა“. § 59. გვ. 87.

§ 49. გრამატიკული კლასები ზეშრატონიურ თქმეებში. ყველა ზეშრატონიურ თქმეში მორფოლოგიურად განსხვავებული ოთხი კლას-ნიშანი გვაქვს: ვ, ჰ, ბ, რ. შესაბამისად გარჩეულია ოთხი გრამატიკული კლასი. ოთხი კლასია გარჩეული როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში, ოღონდ გარკვეული სახელები მხოლოდობითსა და მრავლობითში შეიძლება განეკუთვნებოდეს სხვადასხვა კლასს.

ა) მხოლოდობით რიცხვში: I (ვ) კლასს განეკუთვნება ადამიანი მამრობითი სქესისა (მამაკაცი): იმა „მამა“, ვოცი „ძმა“, ვოშო „ვაჟიშვილი“, ნუსო „სიძე“... აგრეთვე: ალლაჰი „ღმერთი“, მალეჟი „ანგელოზი“... II (ჰ) კლასს — ადამიანი მდედრობითი სქესისა (ქალი): ილა „დედა“, ჰოცი „და“, ჰოში „ქალიშვილი“, ნუსა „რძალი“... III (ბ) კლასში შედის: ა) ყველა ცხოველი განურჩევლად სქესისა: უნსო „ხარი“, ზი'ვ'უ „ძროხა“, კოთუ „ცხენი“, სორ „მელა“, ბოწო „მგელი“... აღქუცი „მამალი (ქათამი)“, ურეცაუ „დედალი (ქათამი)“. წაუნ „არწივი“... ბერჩა „გველი“... ხეამი „თევზი“... ტენტა „ბუზი“, ფერა „ფუტკარი“... ბ) არაცოცხალ საგანთა (ნივთთა) ნაწილი: ბელ „ბარი“, ბესუნ „დანა“, ბეჟუნ „ნემსი“... ბილ „მთა“... ბორწი „მთვარი“. წა „ვარსკვლავი“... ჰარკუ „თვალი“... IV (რ) კლასს განეკუთვნება არაცოცხალ საგანთა (ნივთთა) ნაწილი: ანჟიდი „ნაჯახი“, სუსუკუ „საცერი“, როკვო „გული“... აგრეთვე აბსტრაქტული სახელები (ვოცილი'ირ „ძმობა“, ჰოცილი'ირ „ღობა“, სალილი'ირ „ჯანმრთელობა“ და ა. შ.).

ბ) მრავლობით რიცხვში I (ვ) კლასს განეკუთვნება ადამიანი მამრობითი სქესისა (ისევე, როგორც მხოლოდობითშიც), II (ჰ) კლასს — ადამიანი მდედრობითი სქესისა (ისევე, როგორც მხოლოდობითში) და, გარდა ამისა, ყველა ცხოველიც (განურჩევლად სქესისა), რომელიც მხოლოდობით რიცხვში ნივთთა გარკვეულ ნაწილთან ერთად III (ბ) კლასში შედის, III (ბ) კლასს — არაცოცხალ საგანთა (ნივთთა) ერთი ნაწილი, რომელიც მხოლოდობითშიც ამავე კლასში შედის, IV (რ) კლასს — არაცოცხალ საგანთა (ნივთთა) მეორე ნაწილი, რომელიც მხოლოდობითშიც ამავე კლასში შედის.

როგორც ჩანს, რიცხვის მიხედვით მხოლოდ ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები იცვლიან კლას-ნიშანს; მასთან. არც მხოლოდობითში და არც მრავლობითში მათ საკუთარი კლას-ნიშანი არა აქვთ: მხოლოდობითში ნივთის გარკვეულ სახელებთან საზიარო კლას-ნიშანს (ბ), ხოლო მრავლობითში მდე-

დროებითი სქესის ადამიანის სახელებთან საზიარო კლას-ნიშანს (ა) იღებენ. დანარჩენ სახელთა კლასი კი უცვლელია რიცხვის მიხედვით.

ხუთი კლასი მხოლოობითისა და მრავლობითის ჩვენებათა შეპირისპირებით. იმ მნიშვნელობიდან ამოსვლით, რაც სათანადო კლას-ნიშანს აქვს არა მარტო მხოლოობით რიცხვში (მრავლობითისაგან დამოუკიდებლად) ან მრავლობითში (მხოლოობითისაგან დამოუკიდებლად): არამედ ორსავე რიცხვის ჩვენებათა შეპირისპირებით. შეიძლება გამოვყოთ არა ოთხი, არამედ ხუთი გრამატიკული კლასი: I — მამრობითი სქესის ადამიანთა (ანუ მამაკაცთა) კლასი ნიშნებით: მხ. ვ || მრ. ვ; II — მდედრობითი სქესის ადამიანთა (ანუ ქაღთა) კლასი ნიშნებით: მხ. ა || მრ. ა; III — ცხოველთა კლასი ნიშნებით: მხ. ბ || მრ. ბ; IV — არაცოცხალ (უსულო) საგანთა (ანუ ნივთთა) კლასი ნიშნებით: მხ. ბ || მრ. ბ; V — არაცოცხალ (უსულო) საგანთა (ანუ ნივთთა) კლასი ნიშნებით: მხ. რ || მრ. რ.; სქემატურად<sup>1</sup>:

კლასები	I	II	III	IV	V
მხ. რ.	ვ	ა	ბ	ბ	რ
მრ. რ.	ვ	ა	ბ	ბ	რ

მხ. რ.

მრ. რ.

I ვ-ოქუხა იმა „დიდი მამა (პაპა)“	ვ-ოქუხოლ იმობილ
II ა-ექუხა ილა „დიდი დედა (ბებია)“	ა-ექუხოლ ილობილ
III ბ-ექუხა კოთუ „დიდი ცხენი“	ბ-ექუხოლ კოთილ
IV ბ-ექუხა ჰინწო „დიდი ქვა“	ბ-ექუხოლ ჰინწობილ
V რ-ექუხა ჰაყაუ „დიდი სახლი“	რ-ექუხოლ ჰაყაობილ
I იმა ვ-ულონ „მამა წავიდა“	იმობილ ვ-ოლონ
II ილა ა-ილონ „დედა წავიდა“	ილობილ ა-ოლონ
III კოთუ ბ-ულონ „ცხენი წავიდა“	კოთილ ა-ოლონ
IV მაშინ ბ-ულონ „მანქანა წავიდა“	მაშიმოლ ბ-ოლონ
V ინქვა რ-ულონ „ურემი წავიდა“	ინქვალ რ-ოლონ

ადამიანის ორი კლასის შესახებ. ადამიანის (პიროვნების) აღმნიშვნელი სახელები, როგორც ენახეთ, განარჩევენ ორ კლასს: მამაკაცთა კლასსა და ქაღთა კლასს; ჩანს, დაყოფა გვაქვს სქესის მიხედვით. ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლება აღნიშნავდეს, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ადამიანს (მაგალ., მადუჰალ

<sup>1</sup> შდრ.: А. Дирр, Анд. яз., гл. 4—7, §§ 1—5, აგრეთვე: А. Дирр, Einführung, гл. 183.; А. Бокарев. О классных показателях в авареко-индо-цезских языках, „Язык и мышление“, X, гл. 48.

„მეზობელი“, წყე „სტუმარი“. ბირგადირ „ბრიგადირი“ [მაშაკაცი ან ქალი]... მოჭი „ბავშვი“ [ვაჭი ან გოგონა]...) განეკუთვნებიან I ან II კლასს შესაბამისად მათი კონკრეტული მნიშვნელობისა სქესის თვალსაზრისით.

წმემთხვევითი არ უნდა იყოს ქალთა კლასს ანდიურში ცხოველთა კლასთან საზიარო ჟ ნიშანი რომ აქვს მრავლობით რიცხვში (იხ. ზემოთ): ეს კლასი, რომელიც, ივარაუდება, გამოყოფილია ადამიანის კლასისაგან<sup>1</sup>, ჯერ კიდევ მოკლებულია სრულ დამოუკიდებლობას.

**ცხოველთა კლასის შესახებ.** ცხოველთა კლასს (III კლასს), მართალია, არა აქვს საკუთარი ნიშანი არც მხოლოდობით და არც მრავლობითში, მაგრამ სხვადასხვა რიცხვში სხვადასხვა კლასთან საზიარო ნიშნები აქვს გამოყენებული (მხოლოდობითში ნივთის ერთ-ერთ კლასთან საზიარო ნიშანი ბ, მრავლობითში ქალის კლასთან საზიარო ნიშანი ჟ), რაც მას ცალკე ადგილს მიუჩენს გრამატიკულ კლასთა სისტემაში (ცხადია, ორსავე რიცხვში რომ ერთსა და იმავე კლასთან საერთო ნიშანი ჰქონოდა. ცალკე კლასად იგი არ გამოიყოფოდა). ცხოველთა კლასი, ჩანს, ომონიონური ია მხოლოდობით რიცხვში ნივთის ერთ-ერთ კლასთან (კლას-ნიშნით ბ), მრავლობითში — ქალის კლასთან (კლას-ნიშნით ჟ). ამ კლასს განეკუთვნება ყველა ცხოველი („არაგონიერი ცოცხალი არსება“) განურჩევლად სქესისა. გამონაკლისის წესით ყატიფა „პეპელა“ V კლასში შედის: სე-რ ყატიფა<sup>2</sup> (მოსალოდნელი იყო სე-ბ ყატიფა) „ერთი პეპელა“. (რიკვანის თქმაში გაცილებით მეტია მსგავსი გამონაკლარები — იხ. ქვე.).

**ნივთთა ორი კლასის შესახებ.** ნივთთა (არაცოცხალ საგანთა) სახელები, როგორც ვნახეთ, ორ კლასად იყოფა: IV და V კლასებად. თიოოველ მათგანს მხოლოდობითსა და მრავლობითში ერთი და იგივე (რიცხვის მიხედვით უცვლელი) ნიშანი აქვს: ბ (IV კლ.) და რ (V კლ.). თუ რა პრინციპის მიხედვით ხდება ნივთთა სახელებში ორი სხვადასხვა კლასის გარჩევა, ამჟამად გაუგებარია. მაგალ., სომატური ტერმინოლოგიიდან ზოგი სიტყვა IV (ბ) კლასს განეკუთვნება, ზოგიც — V (რ) კლასს: შდრ.: IV (ბ) კლასისაა: ჰანტიკა „ყური“, ჰარკუ „თვალი“, ლენსაიბ „წარბი“, მაჰარ „ცხვირი“, კოლ „პირი“, მიწი „ენა“, მიჭი „ულვაში“, მილულ „ზურგი“, სიმ „ბაგე“, თომილ „ლრძილი“, ლაბურ „მკერდი“, ჩუკა „ფეხი“, წიეკა „თითი“, მულა

<sup>1</sup> აონ. ჩიქობავა, მეორე გრამატ. კლასის გენეზისისათვის... (სმამ, III. № 4. 1942).

<sup>2</sup> კიოხვის ნიშნით (?) ეს აღნიშნული აქვს ა. დირსაც: А. Дирр, Алд. яз., გვ. 146.

„ფრჩხილი“, ქოქა „ძუძუ“, ყ'ვონ „რქა“, როტეი „ძვალი“ და სხვ. — V (რ) კლასისაა: მიჰარ „თავი“, ჰონნო „შუბლი“, რიეი „პირისახე“, მიგაჟუ „წვერი“ (შდრ. ზემოთ: მიჯი „ულვაში“ — IV კლასისაა), ეუნა „ნიკაბი“, სოლ „კბილი“, როკვო „გული“, ღვალღაი „მუცელი“, რელილი „ღვიძლი“, რელა „ხელი“, ღაჟუ „მკლავი“, მიღვორჰჟუ „კუდი“ და სხვ.; შდრ. აგრეთვე სხვა სახელები: IV (ბ) კლასს განეკუთვნება: ბელ „ბარი“, ყაებ „სახნისი“, ბესუნ „დანა“, არქვომ „კოვზი“, ინგურ „ფანჯარა“, მოკვო „სკამი“, ყაენ „ქედელი“, როლალ „ტანსაცმელი“, ყაირ „ხორბალი“, რეჟ „ეზო“, მისა „ადგილი“. მიყაი „გზა“, ბიჯი „ხილი“, ბურკინა „ქერი“, ჰიჰიის „მსხალი“, ინჩი „ვაშლი“, კვორდო „ბალახი“, ბორწი „მთვარე“, „თვე“, მილი „მზე“, მოჩი „ქარი“, ორსი „ვერცხლი“, „ფული“ და სხვ. — V (რ) კლასში შედის: ანეიდი „ნაჯახი“, ჰაყაჟუ „სახლი“, ჰინწაჟუ „ქარი“, ონში „მიწა“, რელო „ღამე“, „ტბა“, თენგიზი „ზღვა“, ხურ „ყანა“, წა-ცეცხლი“, წულ „ჯოხი“, ხაჟა „ცხვრის ტყავი“, „წიგნი“, ლაჟენ „წყალი“, ტეჟ „ნაცარი“, შენ „თესლი“, წაჟერ „სახელი“, ტერ-ტაილ „უნაგირი“, შაივეჟ „რძე“, ყ'ვეყ'ვალ „ქაკალი“, მიხი „მატყელი“, მიხაი „ბორკილი“, „რკინის სამფეხა“, ლოლი „კალო“, ლერ-ჩოლ „ღრუბელი“, კორკონ „კვერცი“, ლენშაჟურ „ფქვილი“, ანზი „თოვლი“, ჯინჯი „ყვავილი“, ჰონ „აული“, „სოფელი“, რიტეი „ხორცი“, ისო „ყველი“, წაონ „მარილი“, სუსუჟუ „საცერი“ და სხვ. ნასესხები სიტყვებიდან: IV (ბ) კლასისაა: ბანქა (банка); ღამ-ღა (лампа), ქერფეჩი (кёрпич), უსდოლ (стол), ფეჩი (печь), ფათინ-ქი (ботинки) და სხვ. — V (რ) კლასისაა: ქურუშქა (крякка), გარათინ (графиня), მეტრა (метр), ღაშქა (шпак) და სხვ. ნასესხებ (მათ შორის ახალ ნასესხებ) სიტყვათა განაწილება კლასების მიხედვით ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა ხდებოდეს საკუთარი მარაგის სიტყვათა ანალოგიით<sup>1</sup>; მაგრამ თვით საკუთარი მარაგის სიტყვათა კლასიფიკაციის პრინციპი ნათელი არ არის. თავის დროზე ნივთის აღმნიშვნელ სიტყვათა დაჯგუფება გრამატიკულ კლასებად, უნდა ვიფიქროთ, ხდებოდა გარკვეული პრინციპის მიხედვით. დროთა განმავლობაში ეს პრინციპი გაუჩინარდა. მიუხედავად იმისა, რომ ნივთის სახელთა ორ გრამატიკულ კლასად (IV, V) დაჯგუფების პრინციპი ნათელი არ არის. სათანადო სახელები (მათ შორის ახალი ნასესხებიც) ამ ორ კლასს შორის ანდიური ენის თქმებში ერთნაირადაა განაწილებული: გარ-

<sup>1</sup> შდრ.: ვ. თოფურია. გრამატიკული კლასები და ნათი ექსპონენტები ლაჟურ ენაში, ენოლოგია-ს მოამბე, XII. გვ. 172.

და იშვიათი გამონაკლისებისა, როგორცაა, მაგალ.: როშო „სიტყვა“ — ანდის თქმაში IV (ბ) კლასს განეკუთვნება, ხოლო ლალათლის თქმაში — V (რ) კლასს, გულლა „ტყვია“ ანდის თქმაში V (რ) კლასისაა, ლალათლის თქმაში კი IV (ბ) კლასისა; წაა „ვარსკვლავი“ ანდის თქმაში IV (ბ) კლასში შედის, ხოლო იმავე მნიშვნელობის სიტყვა (წავა) აულ ზილოს თქმაში შედის V (რ) კლასში... ასეთ შემთხვევებში, ცხადია, ძნელდება სიძველის თვალსაზრისით უპირატესობა მივანიჭოთ რომელიმე ვარიანტს (რაკი თვით პრინციპი კლასიფიკაციისა ნათელი არ არის).

ნივთთა სახელებში ორი კლასის გარჩევა, უეჭველია, ძველის-ძველი მოვლენაა (ალბათ, უფრო ძველი, ვინემ ორი კლასის გარჩევა ადამიანის სახელებში<sup>1</sup>). როგორც ცნობილია, ნივთთა სახელებში ერთზე მეტ კლასს განარჩევს ხუნდ.-ანდ.-დიდ. სხვა ენებიდან — ჰამალალური და ზოგი დიდოური ენა, დალესტნის სხვა ენებიდან — ლაკური და სხვ., ხოლო ხუნდურში (აგრეთვე ანდიურ ენათა უმეტესობაში) ნივთთა სახელები ყველა ერთ კლასშია გაერთიანებული (კლას-ნიშანი ბ), რაც მეორეული მოვლენაა<sup>2</sup>. ნივთთა ორი კლასის შერწყმა ერთ კლასში, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, მომხდარია ანდიური ენის თქმებშიც (კერძოდ, ქვემოანდიურ თქმებში — § 51).

ჩვენ შევედარეთ ანდიური ენის ლექსიკა დალესტნური ერთ-ერთი ენის, ლაკურიის. ლექსიკას იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ნაწილდება ამ ენებში ნივთთა (არაცოცხალ საგანთა) სახელები ორ სხვადასხვა გრამატიკულ კლასს შორის (ერთნაირად თუ სხვადასხვანაირად?). ლაკურთან შედარებას ამ შემთხვევაში ის გამართლება აქვს, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ლაკურშიც, ისევე, როგორც ანდიურში, ნივთთა ორი კლასია გარჩეული. რაც შეეხება იმას, რომ ლაკური და ანდიური სხვადასხვა ჯგუფის ენებია, ეს შედარების შედეგებს მეტ ისტორიულ ღირებულებას შეიძლება ანიჭებდეს.

ნივთთა სახელები ლაკურში ნაწილდება ბ → || ვ და დ → || რ<sup>3</sup> კლასებს შორის, ხოლო ანდიურში, როგორც ვნახეთ, ბ და რ კლასებს შორის. მასთან, უეჭველია, რომ ლაკ. ბ (→ || ვ) და ანდ. ბ, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ, ლაკ. დ (→ || რ) და ანდ. რ ერთი და იგივე მორფოლოგიური ელემენტებია არა მხო-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, მეორე გრამატიკული კლასის („მდედრ. სქესის“) გენეზისისათვის...: ვ. თოფურიია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნდურში, ენაიკი-ს მოამბე, I, 1937; А. Бокарев, О классных показателях в аварско-андо-цезских языках. „Язык и мышление“, т. X, М.—Л., 1940.

<sup>3</sup> ბ პრეფიქსად გვაქვს, ვ (← ბ) — ინფიქსად; ამგვარივე მიმართებაა დ-სა და რ-ს შორის; იხ.: П. Услар, Лакский язык, გვ. 15; Л. Жирков, Лакский язык, გვ. 22, § 7; ვ. თოფურიია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაკურ ენაში.

ლოდ ფუნქციურად, არამედ მატერიალურადაც. თუ ამოვალთ იქიდან, რომ სათანადო სიტყვის მიკუთვნებას ამა თუ იმ კლასისადმი განსახლებავდა სიტყვის მნიშვნელობა (რასაც მოწმობს ქვემოთ მოყვანილი შედარებაც), შესადარებლად შეიძლება გამოვადგეს ერთი და იმავე მნიშვნელობის, როგორც საერთო. ისე განსხვავებული ფუძეები. შედარება კი არკვევს, რომ ზემოხსენებულ ენებში ნივთთა სახელები ორ კლასს შორის ძირითადად ერთნაირადაა განაწილებული: შდრ.:

ა) ანდ. ბ კლასი — ლაკ. ბ კლასი<sup>1</sup>: ბორწი — ბარზ „მთვარე“; „თვე“, მილი — ბარდ „მზე“, წა — წუქუ „ვარსკვლავი“. მიწი — მახ „ენა“, მულა — მიხ „ფრჩხილი“, სიმ — სიმ „ნალექი“, მაპარ — მაჟ „ცხვირი“. პინ — ჭო „სისხლი“, ყვონ — კი „რკა“, ნილულ — ბარპ „ზურგი“, კოლ — ყაწ „პირი“, ჰარკუ — მა „თვალი“, კოკა — ჯახან „ძუძუ“... ყვირ — ლკა „ხორბალი“, ბურკინა — ჯა „ჭერი“. იჩი — იჩ „ვაში“... მიყი — ხაულდუ „გზა“, ბილ — ზუნთაუ „მთა“, ტირიუ — ლამუ „ხიდი“, ყვირ — კირა „კედელი“...

ბ) ანდ. რ კლასი — ლაკ. დ (II რ) კლასი: როკო — დაც „გული“, რივი — ლაჟინ „პირისახე“. რელა — ჯა „ხელი“, ლვალაჩი — ლაყა „მუცელი“, სოლ — ქხარჩი „კბილი“, ზუბუ — ყინი „დღე“, რეშინ — შინ „წელიწადი“, ლჟენ — შინ „წყალი“, წა — წუ „ცეცხლი“, წაერ — წა „სახელი“, ინქა — ჭარაბა „ურემი“, ანეიდი — რიკ „ნაჯახი“, იხვობ — ჰარაჯალუ „წისკვილი“, შიქ'ე — ნაკ „რძე“, ისო — ნის „ყველი“, ჰუნწაი — ნიწ „თაფლი“, ჰინწაუ — ნუბ „ჯარი“, ტინიუ — კი „ხამთარი“, ჰონ — შარ „აული“, „სოფელი“, რელ'ო — ხაუ „ღამე“, წა — ლარალ „წვიმა“... ამავე კლასს განეკუთვნება ორსავე ენაში აბსტრაქტული სახელებიც.

უფრო იშვიათია ისეთი შემთხვევა. როცა ერთი და იმავე მნიშვნელობის სიტყვა ანდიურსა და ლაკურში განეკუთვნება სხვადასხვა კლასს (ანდიურში რ კლასს. ლაკურში ბ კლასს ან — პირიქით); მაგალ.²: ოხი (რ) — აქ (ბ) „ბალი“. მიჯარ (რ) — ბაქ (ბ) „თავი“. წაონ (რ) — წუ (ბ) „მარილი“... რიტეი (ბ) — დიქ (დ) „ხორცი“, ტერტეილ (ბ) — კილი (დ) „უნაგირი“, მისიდი (ბ) — მუსი (დ) „იქრო“. ორსი (ბ) — არსუ (დ) „ვერცხლი“, „ფული“ და სხვ. ანალოგიური მაგალითები. როგორც ზემოთ ვნახეთ, შეიმჩნევა თვით ანდიური ენის თქმებშიც (გაცილებით უფრო იშვიათად. ვინემ ლაკურთან ანდიურის შედარების პროცესში). ასეთ შემთხვევებში იმის ჩვენება, თუ. სახელდობრ, რა ენაშია (თუ თქმაში) მომხდარი ცვლილება. შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადო ფუძეში კლას-ნიშანი (ამჟამად გაქვევებული) გვაქვს: შდრ.³. მაგალ. ანდ. რიტეი — ლაკ. დიქ „ხორცი“: ერთი და იმავე ფუძისა და მნიშვნელობის ამ სიტყვებში გამოიყოფა ერთი და იგივე კლას-ნიშანი (ამჟამად გაქვევებული): დ — II რ. მაგრამ ლაკურში ეს სიტყვა

<sup>1</sup> კლასებს აღნიშნავენ მათი ნიშნების მიხედვით: არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას. თუ რიგით მერამდენა ეს კლასები ლაკურისა და ანდიურის გრამატიკ. კლასთა სისტემაში (მით უფრო, რომ ასეთი დალაგება კლასებისა — I. II. III და ა. შ. — რამდენადმე პირობითიყაა).

<sup>2</sup> ჯერ (მარცხნივ) მოცემულია ანდიური სიტყვა, ხოლო შემდეგ (მარჯვნივ) — შესაბამისი მნიშვნელობის ლაკური სიტყვა. ლაკური სიტყვები შესაბამისი კლასებისა ამოკრფილია პ. უს ლ ა რ ის ა და ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს შრომებიდან.

<sup>3</sup> აქაც ჯერ ანდიური სიტყვა მოგვყავს, შემდეგ — ლაკური (ფრჩხილებში ნაჩვენებია სათანადო სიტყვის კლასი).



განეკუთვნება დ კლასს (რაც ბუნებრივია, რაკი ფუძეშიც დ კლას-ნიშანია)<sup>1</sup>. ხოლო ანდიურში—ბ კლასს (თუმცა ფუძეში რ კლას-ნიშანია და არა ბ კლას-ნიშანი). ცხადია, რომ ძველად ანდიურში რიტში „ხორცი“ რ კლასისა უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ფუძის ჩვენება მოწმობს.

გრამატიკული კლასები შესაბამისად სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობისა. როგორც ზემოთ გექონდა ნათქვამი, ადამიანის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვები, როგორიცაა: მადუჰალ „მეზობელი“, ჰომოლოლი „ამხანაგი“ და მისთ. შეიძლება განეკუთვნებოდეს I (ვ) კლასს ან II (ჟ) კლასს მათი კონკრეტული მნიშვნელობის შესაბამისად (მხედველობაშია მამაკაცი თუ ქალი). ნივთთა აღმნიშვნელი ერთი და იგივე სიტყვაც შეიძლება იცვლიდეს კლასს შესაბამისად სხვადასხვა მნიშვნელობისა; შდრ., მაგალ.: პატან „ეკლესია“ IV (ბ) კლ.—პატან „კვირა“ (დღის სახელი) V (რ) კლ.: კოლ „პირი“ IV (ბ) კლ.—კოლ „მარხვა“ V (რ) კლ.: რელილ „ფეხი“ IV (ბ) კლ.—რელილ „მარხილის ფეხი“ (მ.ს.103) V (რ) კლ.; როტეი „ძვალი“ IV (ბ) კლ.—როტეი „გვამი“; „ჩონჩხი“ V (რ) კლ.: წაა (← წააა — § 43) „ვარსკვლავი“ IV (ბ) კლ.—წაა (← წაად — § 43) „წვიმა“ V (რ) კლ. და სხვ. მოყვანილ მაგალითებში გრამატიკული კლასის კატეგორია გაგვარჩევინებს მნიშვნელობებს; კლას-კატეგორიის ცვლა ყველა ასეთ შემთხვევაში, ცხადია, შეპირობებულია (არა მნიშვნელობათა აღრევის თავიდან აცილების საჭიროებით, არამედ) მოცემული სიტყვის შესაბამისი მნიშვნელობით [ისევე, როგორც სულ სხვადასხვა სიტყვებში: „მზე“ (მილ'ი) IV (ბ) კლ.—„თოვლი“ (ანზი) V (რ) კლ. და ა. შ.]

§ 50. გრამატიკული კლასები რიკვანის თქმაში (ი. სულეიმანოვის დაკვირვებათა მიხედვით)<sup>2</sup>. ერთ-ერთ ზემოანდიურ თქმაში, რიკვანის თქმაში, გრამატიკული კლას-კატეგორია გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს. ამ თქმაშიც ისევე, როგორც დანარჩენ ზემოანდიურ თქმებში, მორფოლოგიურად განსხვავებული

<sup>1</sup> შდრ. აგრეთვე: ლუხგ. ჰაქ. რუთ. ჰაქ. აღლუ. ტაბას. ჰაქქ. დარგ. დიხ და ა. შ. „ხორცი“. — ამ ფუძეებშიც კლას-ნიშნად დ ან ჟ (← რ) გვაქვს (N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen. 73: ე. თოფურიია, გრამატიკული კლასები და მათი ექსპონენტები ლაქურ ენაში, გვ. 180).

<sup>2</sup> Я. Сулейманов. Некоторые вопросы иджинского языка (по данным речи селения Риквани), УЗИИЯЛ Даг. фил. АН СССР, т. VI, Махачкала, 1959: მისივე. Автореферат, გვ. 9—10.

ოთხი კლას-ნიშანი (გ, ა, ბ, რ) გვაქვს, მაგრამ ზოგი ამ ნიშნის ფუნქცია მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში თავისებურია. მხ. და მრ. რიცხვის ჩვენებათა შეპირისპირებით რიკვანის თქმაში შეიძლება გამოიყოს ექვსი გრამატიკული კლასი:

კლასები	I	II	III	IV	V	VI
მხ. რ.	გ	ა	ბ	ბ	რ	რ
მრ. რ.	ვ	ა	ა	ბ	რ	ა

I კლასს განეკუთვნება ადამიანი მამრობითი სქესისა, II-ს — ადამიანი მდედრობითი სქესისა, III-ს — ცხოველები (ზოგის გამოკლებით), IV-სა და V-ს — ნივთები, VI-ს — ზოგი ცხოველი, როგორცაა: ოდორუკა „პეპელა“, ისირბესუნ „წყლის ქია“, ლაბლალ „იციინათელა“, ლოჭორიჭინ „მორიელი“, წაჭამკალ „პეპელა (პატარა)“<sup>1</sup>. როგორც ჩანს, რიკვანის თქმაში ზემოანდიურ სხვა თქმებთან შედარებით ახალია (თავისებურია) VI კლასის გარჩევა; ამ კლასის სახელებს მხოლოდობითში იგივე კლას-ნიშანი (რ) მოუდის, რაც ნივთის ერთერთი კლასის, V კლასის, სახელებს, ხოლო მრავლობითში — იგივე კლას-ნიშანი (ა), რაც II, III კლ. სახელებს (იხ. სქემა). ამრიგად, ცხოველთა სახელები აქ ორ კლასს განარჩევს.

§ 51. გრამატიკული კლასები ძველმოდური თქმაში. გრამატიკული კლასების გარჩევის მხრივ არსებითად სხვაგვარია სურათი ქვემოანდიურ (მუნიბისა და ქვანხიდათლის) თქმებში. თუ ყველა ზემოანდიურ თქმაში გვაქვს მორფოლოგიურად განსხვავებული ოთხი კლას-ნიშანი (გ, ა, ბ, რ); ქვემოანდიურ თქმებში მოგვეპოვება მხოლოდ სამი ასეთი ნიშანი: გ, ა, ბ. შესაბამისად გარჩეულია სამი გრამატიკ. კლასი: I (ვ) კლასს განეკუთვნება მამრობითი სქესის ადამიანი, II (ა) კლასს — მდედრობითი სქესის ადამიანი, III (ბ) კლასს — ყველა დანარჩენი (ცხოველები, ნივთები, აბსტრაქტული სახელები). მრავლობით რიცხვში კლასების რაოდენობა და მათი ნიშნები უცვლელი რჩება; შდრ.:

	კლასები	I	II	III
	მხ. რ.	ვ	ა	ბ
	მრ. რ.	ვ	ა	ბ
	მხ. რ.			მრ. რ.
I	ვ-ოქუხა ვოცაი		გ-ოქუხა ვოცაულ	
	„დიდი (უფროსი) ძმა“		„დიდი (უფროსი) ძმები“	
II	ა-ექუხა აეცაი		ა-ექუხა აეციბოლ	
	„დიდი (უფროსი) და“		„დიდი (უფროსი) დები“	

<sup>1</sup> მაგალითები მოყვანილია ი. სულეიმანოვის ზემოთ დასახ. შრომიდან.

III ბ-ეკუხა კოთუ (ჰაყაუ)  
„დიდი ცხენი (სახლი)“

ბ-ეკუხა კოთილ (ჰაყაულ)  
„დიდი ცხენები (სახლები)“<sup>1</sup>

როგორც ჩანს, განსხვავება ზემოანდიურ თქმებთან შედარებით შემდეგში მდგომარეობს: ა) ქვემოანდიურ თქმებში ნივთა (არაცოცხალ საგანთა) აღმნიშვნელი სახელები არ იყოფა კლასებად; ზემოანდიური თქმების ნივთა ორი კლასის (ბ კლასისა და რ კლასის) ნაცვლად აქა გვაქვს ერთი კლასი (ბ კლასი); ბ) ცხოველთა კლასი ქვემოანდიურ თქმებში არ გამოიყოფა: მას იგივე ნიშანი (ბ) აქვს, რაც ნივთის კლასს და ეს ნიშანი უცვლელია რიცხვის მიხედვით (შდრ. ზემოანდიურ თქმებში ცხოველთა კლასის ნიშნები: მხ. ბ II მრ. ზ). რაც შეეხება ადამიანის აღმნიშვნელ სახელებს, მათი დიფერენციაცია კლასებად ქვემოანდიურ თქმებში იმგვარივეა, როგორც ზემოანდიურ თქმებში: გარჩეულია ორი კლასი: მამაკაცთა კლასი (კლას-ნიშნით ვ) და ქალთა კლასი (კლას-ნიშნით ზ).

ამრიგად, სახელთა ის კონტინგენტი, რომელიც ზემოანდიურ თქმებში ხუთ (რიკვანის თქმაში ექვს) გრამატიკულ კლასად ჯგუფდება, ქვემოანდიურ თქმებში შეადგენს მხოლოდ სამ გრამატიკულ კლასს. განსხვავებას ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, ის ქმნის, რომ არაადამიანთა (ცხოველთა, ნივთთა) სახელები, რომლებიც ზემოანდიურ თქმებში ნაწილდება სამ (რიკვანის თქმაში ოთხ) კლასს შორის, ქვემოანდიურ თქმებში თავს იყრის ერთ კლასში (ბ კლასში). ქვემოანდიური თქმები თავისი სამკლასოვნობით გვაგონებს მეზობელ ბოთლიხურ, ლოდობერიულ, ტინდიურ, ბაგვალალურ, ახვახურ და კარატულ ენებს და, აგრეთვე, ხუნძურ ენას: ამ ენებშიც, როგორც ცნობილია, სამი კლასია გარჩეული: I. მამაკაცთა (კლას-ნიშნით ვ), II. ქალთა (კლას-ნიშნით ზ) და III. ცხოველთა და ნივთთა (კლას-ნიშნით ბ). განსხვავება თავს იჩენს მრავლობით რიცხვში: ქვემოანდიურ თქმებში სამი კლასია გარჩეული, როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში; ხოლო ზემოხსენებულ ანდიურ ენებსა და ხუნძურში კლასების რაოდენობა მრავლობითში ნაკლებია (ერთი ან არაუმეტეს ორისა). ზემოანდიური თქმები კი თავისი შედარებით მრავალკლასოვნობით ჩვენს ყურადღებას წარმართავს ნახურჯ ენებისაყენ, კერძოდ, აღნიშნულ ანდიურ თქმათა უშუალოდ მოსაზღვრე ჩაჩური ენისაყენ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> მაგალითები მოყვანილია ქვანიდათლის თქმიდან.

<sup>2</sup> ამ მხრივ ანდიურ ზემოხსენებულ თქმათა მსგავსებას ჩაჩურ ენასთან ხახს უსტამს ი. ს უ ლ ე ი მ ა ნ ო ვ ი .

უქველია, რომ გრამატიკული კლასების მხრივ უფრო ძველი ვითარება ანდიურში დაცული აქვს ზემოანდიურ თქმებს: ოთხი მორფოლოგიურად განსხვავებული კლას-ნიშანი (ვ, ჯ, ბ, რ) — შესაბამისი კლასებით — ისტორიულად არა მხოლოდ საერთო ანდიური, არამედ საერთო ხუნძურ-ანდიურ-დიდოური მოვლენა ჩანს<sup>1</sup>.

§ 52. **გრამატიკული კლასის ნიშნები მატყველების სხვადასხვა ნაწილებში.** ყოველი არსებითი სახელი ამა თუ იმ კლასს განეკუთვნება, მაგრამ თვით არსებით სახელებში გრამატიკული კლასის ნიშნები ჩვეულებრივ არა გვაქვს: იმა „მამა“ (I კლ.) — ილა „დედა“ (II კლ.) — კოთუ „ცხენი“ (III კლ.) — კოლ „პირი“ (II კლ.) — სოლ „ქბილი“ (I კლ.) სხვადასხვა კლასის არსებითი სახელებია, მაგრამ ასეთი სხვაობა თვით ამ სახელებში გარეგნულად (კერძოდ, კლას-ნიშნებით) გამოხატული არ არის. მართალია, ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა არსებითი სახელის ერთსა და იმავე ფუძესთან მონაცვლეობენ სხვადასხვა კლასის ნიშნები (ვ და ჯ, იშვიათად ბ-ც), რაც გავგარჩევენებს შესაბამისი მნიშვნელობის სიტყვებს, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში კლას-ნიშნებს სიტყვაწარმოებითი ფუნქცია უჩანს: ვ-ოცაი (ხუნძ. ვ-აცა) „ძმა“ — ჯ-ოცაი (ხუნძ. ჯ-აცა) „და“; ვ-ოშო (ხუნძ. ვ-ას) „ვაჟიშვილი“ — ჯ-ოში (ხუნძ. ჯ-ას) „ქალიშვილი“ — ბ-ოში „ნაშიერი“, „ცხოველის შვილი“ (ხუნძ. ბ-ასი „მოზვერი“)<sup>2</sup>... გაქვევებული სახით კლას-ნიშანი (ნიეთის კლასისა რ ან ბ) ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება გვექონდეს არსებით სახელთა ფუძეებშიც (ისევე, როგორც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში); ამას სხვა ენებთან შედარება ამჟღავნებს: როკვო (ხუნძ. რაკ, ლაკ, ღაკ...; შდრ.: აფხაზ. -გუ, ქართ. გულ-) „გული“<sup>3</sup>... ბეშონ (ხუნძ. ბოსენ; შდრ. ლაკ. შანუ) „ლოგინი“, „ქვეშაგები“, „ლებიბი“ და სხვ.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენმკ-ს მონაბე, I, 1937; А. А. Бокарев, О классных показателях в аварско-андо-цезских языках. „Яз. и мышл.“, т. X, М.—Л. 1940; Н. Д. Андруцадзе. Категория грамматических классов в иберийско-кавказских языках. Автореферат канд. диссертации, Тбилиси, 1954.

<sup>2</sup> შდრ. აგრეთვე: ხუნძ.: ვ-ატად „სიმამრი“ — ჯ-ატად „სიდდერი“, მაგრამ: ანდ. მმა-ტაორუ „სიმამრი“ — ილა-ტაორუ „სიდდერი“ (ხუნძურში სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობით შესაბამისი კლას-ნიშნებია გამოყენებული [ვ. ჯ]. ანდიურში — დამოუკიდებელი შესაბამისი სიტყვები [იმა-„მამა“, ილა-„დედა“]).

<sup>3</sup> ეს ფორმები ერთნაერთთან დაკავშირებული და მათში გაქვევებული კლას-ნიშნები (ღ || რ) გამოყოფილი აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს (იხ. Лак. яз., გვ. 234).

არსებით სახელთა კლასი შესაბამისი კლას-ნიშნებით ჩვეულებრივ შეიძლება გამოხატული იყოს იმ სიტყვათა ფორმებით, რომლებიც არსებით სახელთან გარკვეულ სინტაქსურ ურთიერთობაშია (ზედსართავ სახელში... ზმნაში — იხ. ქვ.). გარკვეული მოდიფიკაციით არსებით სახელთა კლას-კატეგორია აისახება თვით არსებით სახელთა ფორმაცვალბაშიც, კერძოდ, ბრუნებაში (იხ. ბრუნებასთან დაკავშირებით: §§ 58,65).

გრამატიკული კლასის ნიშნები შეიძლება წარმოდგენილი იყოს: ზედსართავ სახელებში, ჩვენებით, უკუქცევით, კუთვნილებით ნაცვალსახელებში, რიცხვით სახელებში, სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში, ზმნაში და ნაზმნარ სახელებში (მასდარში, მიმღეობაში), ზმნისართში. გრამატიკული კლასის ნიშნები შეიძლება გვექონდეს სახელთა (მათ შორის არსებით სახელთა) ბრუნვის ფორმებშიც (ნათ., აფექტ.).

რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი ზემოაღნიშნულ სიტყვათა (და ფორმათა) ცვლისა სინტაქსურად მათთან დაკავშირებულ არსებით სახელთა გრამატიკული კლასების შესაბამისად: ვ-ოქუხა იმა „ბაბუა“ („დიდი მამა“), ღ-ექუხა ილა „ბებია“ („დიდი დედა“); ზ-ექუხა კოთუ „დიდი ცხენი“, რ-ექუხა ჰაყაუ „დიდი სახლი“; ჰო-ვ ვოცაი „ეს ძმა“, ჰო-ჰ ვოცაი „ეს და“ და ა. შ. სე-ვ ვოცაი „ერთი ძმა“, სე-ჰ ვოცაი „ერთი და“ და ა. შ. ყ-ვანნა-ვ ჰეკა „ანდიელი კაცი“, ყ-ვანნა-ჰ ვოშკა „ანდიელი ქალი“ და ა. შ. ვ-უყ-ო იმა „მოვიდა მამა“, ღ-იყ-ო ილა „მოვიდა დედა“ და ა. შ. ვ-ოთა იმა „დატოვა მამა“, ღ-ეთა ილა „დატოვა დედა“ და ა. შ. დიქუ ვ-ოხუდუ ჰეკა „ჩემ უკან კაცი[ა]“, დიქუ ღ-ეხუდუ ვოშკა „ჩემ უკან ქალი[ა]“ და ა. შ...; ნათ. ბრ.: იმუ-ვ ვოცაი „მამის ძმა“, იმუ-ჰ ვოცაი „მამის და“, იმუ-ზ კოთუ „მამის ცხენი“, იმუ-ჰ ჰაყაუ „მამის სახლი“; აფექტ. ბრ.: იმუ-ვ-ო ჰაყ-ო ვოშო „მამამ დაინახა ვაჟიშვილი“, იმუ-ჰ-ო ჰაყ-ო ვოში „მამამ დაინახა ქალიშვილი“ და ა. შ.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, კლას-ნიშანი შეიძლება იყოს პრეფიქსიცა და სუფიქსიც: ზედსართავ სახელებში, ზმნებსა და ნაზმნარ სახელებში და, აგრეთვე, თვით არსებით სახელებშიც კლას-ნიშანი პრეფიქსია (ზმნაში იშვიათად ინფიქსიც); ნაცვალსახელებში, სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში — ყოველთვის სუფიქსი; რიცხვით სახელებში — სუფიქსი ან პრეფიქსი; ასევე ზმნისართშიც; ხოლო სახელთა ბრუნვის ფორმებში (ნათ., აფექტ.) კლას-ნიშანი ყოველთვის სუფიქსია (დაწვრილებით იხ. თავთავის ადგილას სათანადო ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებით).

§ 53. კლას-ნიშანთა ფონეტიკური ცვლილებები. 1) მუნი-  
ბის თქმაში კლას-ნიშან ბ-ს, როცა იგი სუფიქსია, ყოველთვის  
ცვლის ვ (ხოლო პრეფიქსად ბ- დაცულია უცვლელად). მიზეზი  
ამისა შემდეგია: ფუძეზე სუფიქსად დართულ ყოველ კლას-ნი-  
შანს მუნიბის თქმაში დაერთვის ი ხმოვანი, რომლის ფუნქციაა  
ღია მარცვლის წარმოქმნა სიტყვის ბოლოში (§ 12); მეორე მხრივ,  
რაკი კლას-ნიშნის წინაც ხმოვანია (ფუძის ბოლოკიდური!), იქმნება  
პოზიცია (ინტერვოკალური), რომელშიც ბ თანხმოვანი ხსენებულ  
თქმაში საერთოდ ვერ ძლებს და ვ-ში გადადის (§ 33); მაგალითები:  
სე-ვ-ი ← სე-ბ-ი (შდრ.: ანდ., ლაღ. და ა. შ. სე-ბ, ჩანბ. ცე-ბ)  
„ერთი“: სე-ვ-ი (← სე-ბ-ი) კოთუ (შდრ.: ანდ., ლაღ. და ა. შ. სე-ბ  
კოთუ) „ერთი ცხენი“; დი-ვ-ი ← დი-ბ-ი (შდრ.: ანდ., ლაღ. დი-ბ)  
„ჩემი“: დი-ვ-ი (← დი-ბ-ი) კოთუ (შდრ.: ანდ., ლაღ. დი-ბ კოთუ)  
„ჩემი ცხენი“; ჰო-ვ-ი ← ჰო-ბ-ი (შდრ.: ანდ., ლაღ. ჰო-ბ) „ეს“: ჰო-  
ვ-ი (← ჰო-ბ-ი) კოთუ (შდრ.: ანდ., ლაღ. ჰო-ბ კოთუ) „ეს ცხენი“;  
ბიწი-ვ-ი ← ბიწი-ბ-ი (შდრ.: ანდ., ლაღ. ბიწი-ბ) „სავსე“: ბი-წი-ვ-ი  
(← ბიწი-ბ-ი) შიშა (შდრ.: ანდ., ლაღ. ბიწი-ბ შიშა) „სავსე ბოთ-  
ლი“ და სხვ.

ბ პრეფიქსად დაცულია, რაკი ასეთ შემთხვევაში იგი არ არის  
მოქცეული ხმოვანთა შორის (ბ-ეჭერი „შავი“, ბ-ეხაულა „გრძელი“,  
ბ-ოჩო „მოკლე“ და ა. შ.).

ბ კლას-ნიშნის ზემოაღნიშნულ ფონეტიკურ ცვლილებას შეიძ-  
ლებოდა გამოეწვია III (ცხოველთა და უსულო საგანთა) კლასისა  
და I (მამაკაცთა) კლასის ნიშანთა დამთხვევა და, მაშასადამე, ამ  
სხვადასხვა კლასების ერთმანეთში აღრევა, მაგრამ ეს ასე არ მოხ-  
და: ყველა იმ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელი იყო ასეთი და-  
მთხვევა, ამის თავიდან ასაცილებლად I კლასი იყენებს II კლასის  
(ქალთა კლასის) ჰ ნიშანს. ამით, მართალია, თავიდან იქნა აცილე-  
ბული I და III კლასების დამთხვევა, მაგრამ მოიშალა სხვაობა  
I და II კლასებს შორის; შდრ.:

არის:	უნდა ყოფილიყო:
I სე-ჲ'ი ჰეკა	სე-ვი ჰეკა „ერთი კაცი“
II სე-ჲ'ი ჰორჰეჟკა	სე-ჲ'ი ჰორჰეჟკა „ერთი ქალი“
III სე-ვი კოთუ	სე-ვი (← სე-ბი) კოთუ „ერთი ცხენი“
I ჰო-ჲ'ი ჰეკა	ჰო-ვი ჰეკა „ეს კაცი“
II ჰო-ჲ'ი ჰორჰეჟკა	ჰო-ჲ'ი ჰორჰეჟკა „ეს ქალი“
III ჰო-ვი კოთუ	ჰო-ვი (← ჰო-ბი) კოთუ „ეს ცხენი“

ისეთ შემთხვევაში, როცა გრამატიკული კლასის ნიშნები პრეფიქსებად გვაქვს, რაკი კლას-ნიშანი ზ უცვლელი რჩება (ცვლილებისათვის საჭირო პოზიციის უქონლობის გამო), განსხვავება I და II კლასებს შორის მოუშლელია; შდრ.:

- I ვ-ობორი ჰეკა „მოხუცი კაცი“
- II ჰ-ობორი ჰორჰეკა „მოხუცი ქალი“
- III ბ-ობორი კოთუ „ბებერი ცხენი“.

2) იმავე მუნიბის თქმაში სიტყვის თავში (პრეფიქსად) კლას-ნიშანი ვ შეიძლება გაუჩინარდეს ფუძისეული უ ხმოვნის წინ და კლას-ნიშანი ჰ — ფუძისეული ი ხმოვნის წინ, ხოლო დაკარგული კლას-ნიშნების ადგილას ორსავე შემთხვევაში ჰ თანხმოვანი განვითარდეს (გ-ი → უ → ჰ-უ, ჰ-ი → ი → ჰ-ი — § 39). ასეთ შემთხვევებში განსხვავებას I და II კლასებს შორის ჰ-ს მომდევნო ხმოვნები გამოხატავენ: ჰ-უ (I კლ.) — ჰ-ი (II კლ.). ხმოვანთა ვარიაციები კი შედეგია I კლასის ფორმაში ვ კლას-ნიშნის გავლენით მომდევნო ფუძისეული ი ხმოვნის უ ხმოვნით შეცვლისა (§ 16), რაც იმ დროს უნდა მომხდარიყო, როცა, ივარაუდება, კლას-ნიშანი ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული; ამრიგად:

- I ჰ-უტი ← უტი ← ვ-უტი ← ვ-იტი „სწორი“; „მართალი“
- II ჰ-იტი ← იტი ← ჰ-იტი
- III ბ-იტი
- I ჰ-უყაუ ← უყაუ ← ვ-უყაუ ← ვ-იყაუ „ქრა“
- II ჰ-იყაუ ← იყაუ ← ჰ-იყაუ
- III ბ-იყაუ

იშვიათად კლას-ნიშანი შეიძლება დაკარგული იყოს, ხოლო მის ადგილას ხმოვნის წინ ჰ არ იყოს განვითარებული:

- I უთომი ← ვ-უთომი ← ვ-ითომი „სველი“
- II ითომი ← ჰ-ითომი
- III ბ-ითომი

3) ქვანხიდათლის თქმაში დასტურდება შემთხვევები ვ და ჰ კლას-ნიშანთა დაკარგვისა სიტყვის ბოლოში ფუძისეული ხმოვნის მომდევნოდ ( $v^1 + g \rightarrow v$ ,  $v + h \rightarrow v$ , რაც დიფთონგთა გამარტივების შედეგი ჩანს). ამის გამო სათანადო შემთხვევებში I და II კლასის ფორმები გაურჩეველია (III კლასს კი საკუთარი ფორმა აქვს, რაკი -ბ ასეთ პოზიციაში არ იკარგვის):

- I დი (← დი-ვ) ვოცოი „ჩემი ძმა“
- II დი (← დი-ჰ) დეცოი „ჩემი და“
- III დი-ბ კოთუ „ჩემი ცხენი“

<sup>1</sup> v აღნიშნავს ნებისმიერ ხმოვანს.

ასევე: I კლ. დუ (← დუ-ფ) ვოცაი „შენი ძმა“, II კლ. დუ (← დუ-ფ) მეცაი „შენი და“, III კლ. დუ-ბ კოთუ „შენი ცხენი“; I კლ. ცე (← ცე-ფ) ვოცაი „ერთი ძმა“, II კლ. ცე (← ცე-ფ) მეცაი „ერთი და“, III კლ. ცე-ბ კოთუ „ერთი ცხენი“ და სხვ.

4) კლას-ნიშანი ბ (პრეფიქსი) ფუძისეულ ნახალურ ნ თანხმოვანთან რეგრესული ასიმილაციის შედეგად ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება შეცვალოს მ-მ (§ 37).

§ 54. პრაფიქსული კლას-ნიშნების გავლენით მომდევნო ფუძისეულ ხმოვანთა ცვლა. ჯერ კიდევ ა. დირმა მიაქცია ყურადღება პრეფიქსული კლას-ნიშნების უშუალოდ მომდევნო ხმოვანთა ვარიაციებს (ერთი და იმავე სიტყვის ფორმებში): „ბშირად კლას-ნიშანზე დამოკიდებულია მომდევნო ხმოვანიც“-ო<sup>1</sup>, — აღნიშნავს იგი და მოჰყავს ვარიაციათა სქემაც<sup>2</sup>.

ა. დირი ფიქრობს, რომ ხმოვანი, რომელიც სიტყვის ფორმებში კლას-ნიშანს უშუალოდ მოსდევს, განეკუთვნება კლას-ნიშანს და არა ფუძეს. ამიტომაც კლას-ნიშნიანი სიტყვის ფორმებში კლას-ნიშნებს (პრეფიქსებს) იგი ყოველთვის მომდევნო ხმოვნებთან ერთად გამოყოფს: ვო-ქუხა, მე-ქუხა, ბე-ქუხა, რე-ქუხა (და არა: ვ-ოქუხა, მე-ექუხა და ა. შ.); ვუ-წიბ, მე-წიბ, ბი-წიბ, რი-წიბ (და არა: ვ-უწიბ, მე-იწიბ და ა. შ.) „სავსე“; „მამლარი“... გამოდის, რომ პრეფიქსი კლას-ნიშნები შეიცავენ არა მხოლოდ თანხმოვნითს ელემენტებს (ფ, ზ, ბ, რ), არამედ მომდევნო ამა თუ იმ ხმოვნებსაც (ე. ი. მთელ მარცვალს). ამის საფუძველს ა. დირს ის აძლევდა, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ერთი და იმავე სიტყვის ფორმები კლასების შესაბამისად შეიძლება განსხვავებული იყოს არა მხოლოდ საკუთრივ კლას-ნიშნების მიხედვით, არამედ მომდევნო ხმოვნების მიხედვითაც (შდრ.: ვუ-, მაგრამ: მე-, ბი-, რი-, ვო-, მაგრამ: მე- და ა. შ. — იხ. ზემოთ)<sup>3</sup>.

ა. დირისათვის შეუძინველი დარჩა კლას-ნიშანთა მომდევნო ხმოვნების ვარიაციათა ნამდვილი მიზეზი.

<sup>1</sup> „...от классного элемента часто зависит и следующий за ним гласный“ (А. Дирр, Анд. яз., გვ. 6).

<sup>2</sup> А. Дирр, Анд. яз., გვ. 7; შდრ. Я. Сулейманов, Авторсф., გვ. 18—20.

<sup>3</sup> ანასვე ეყარება ა. ბოკარიოვი, როცა წერს: „...в чамалинском языке в качестве начального, по крайней мере, классного показателя выступает не один согласный, вообще, не один звук, как в аварском, а целый слог, как в авдийском“ (А. Бокарев, Чамал. яз., გვ. 60). ანალოგიური მოსახრება გამოქმენილი ხუნძურის მიმართაც (იხ.: Т. Гудавა, К строеванию показателя грамматических классов в аварском языке. ИД, II, Махачкала. 1954).



ა) კლას-ნიშანთა მომდევნო ხმოვნების ვარიაციებს ერთსა და იმავე ფუძეში ფონეტიკური საფუძველი აქვს. გარკვეული კლას-ნიშნების მომდევნო ხმოვანმა შეიძლება ცვლილება განიცადოს, ხოლო სხვა კლას-ნიშნების მომდევნოდ უცვლელად იყოს შემონახული. ხმოვანთა ცვლილებები ხდება, კერძოდ, ვ და ჯ კლას-ნიშნების მომდევნოდ (ზ და რ კლას-ნიშანთა მომდევნო სათანადო ხმოვანი ყოველთვის დაცულია უცვლელად). ვ კლას-ნიშნის მომდევნო ი და ე ხმოვნები შესაბამისად უ და თ ხმოვნებით იცვლება (ვ-ი → ვ-უ, ვ-ე → → ვ-თ — § 16), ხოლო ჯ კლას-ნიშნის მომდევნო უ ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს ი ხმოვნით (ჯ-უ → ჯ-ი — § 16). ორსავე შემთხვევაში, ჩანს, საქმე გვაქვს ასიმილაციის შედეგთან (კლას-ნიშანი იმსგავსებს მომდევნო ფუძისეულ ხმოვანს). ვ კლას-ნიშნის მომდევნო ი და ე ხმოვანთა შეცვლას უ და თ ხმოვნებით სათანადო თქმებში სისტემატური ხასიათი აქვს (გამონაკლისები არ შეიმჩნევა), ხოლო ჯ კლას-ნიშნის მომდევნო უ ხმოვნის ი ხმოვნით შეცვლას — სპორადული ხასიათი. დანარჩენი ხმოვნები (ა, თ) უცვლელად მეორდება ოთხივე კლას-ნიშნის მომდევნოდ.

ამრიგად, კლას-ნიშნები და მომდევნო ფუძისეული ხმოვნები შენდევს კომბინაციებს გვადლევს:

ა) ვ-ა	ს) ვ-ე → ვ-ო	რ) ვ-ი → 'ვ'-უ	დ) ვ-ო	ე) 'ვ'-უ
ბ-ა	ბ-ე	ბ-ი	ბ-ო	ბ-უ →    ბ-ი
რ-ა	რ-ე	რ-ი	რ-ო	რ-უ

ა) ვ-აგულუ, ჯ-აგულუ, ბ-აგულუ, რ-აგულუ „დათვლა“, „დაანგარიშება“: ვ-აკარუნნუ, ჯ-აკარუნნუ, ბ-აკარუნნუ, რ-აკარუნნუ „შეგრძობა“; „შეკრება“; ვ-ალიდუ, ჯ-ალიდუ, ბ-ალიდუ, რ-ალიდუ „დაძახება“; „სწავლა“; „წაკითხვა“: ვ-ახუნნუ, ჯ-ახუნნუ, ბ-ახინნუ, რ-ახინნუ „კერვა“; ვ-ახოლლუ, ჯ-ახოლლუ, ბ-ახოლლუ, რ-ახოლლუ „გაყიდვა“; ვ-აჩინნუ, ჯ-აჩინნუ, ბ-აჩინნუ, რ-აჩინნუ „მოყვანა“...

ბ) ვ-ოღერლიდუ ← ვ-ელღერლიდუ, ჯ-ელღერლიდუ, ბ-ელღერლიდუ, რ-ელღერლიდუ „განძრევა“; ვ-ოტიინნუ ← ვ-ეტინნუ, ჯ-ეტინნუ, ბ-ეტინნუ, რ-ეტინნუ „ლაპარაკი“; ვ-ოქაულუ ← ვ-ექაულუ, ჯ-ექაულუ, ბ-ექაულუ, რ-ექაულუ „დარჩენა“; ვ-ოდუ ← ვ-ედუ, ჯ-ედუ, ბ-ედუ, რ-ედუ „დატოვება“; ვ-ოყაშაღუ ← ვ-ეყაშაღუ, ჯ-ეყაშაღუ, ბ-ეყაშაღუ, რ-ეყაშაღუ „დამალვა“; „მოპარვა“; ვ-ოჯიდუ ← ვ-ეჯიდუ, ჯ-ეჯიდუ, ბ-ეჯიდუ, რ-ეჯიდუ „მიღწევა“; „მისვლა“; ვ-ოლ'აიდუ ← ვ-ელ'აიდუ, ჯ-ელ'აიდუ, ბ-ელ'აიდუ „გაცინება“; ვ-ოტაიდუ ← ვ-ეტაიდუ, ჯ-ეტაიდუ, ბ-ეტაიდუ „ხვნა“; ვ-ოქუხა ← ვ-ექუხა.

მ-ეკუხა, ბ-ეკუხა, რ-ეკუხა „დიდი“; ვ-ოხაულა ← ვ-ეხაულა, მ-ეხაულა, ბ-ეხაულა, რ-ეხაულა „გრძელი“; ვ-ოხუდუ ← ვ-ეხუდუ, მ-ეხუდუ, ბ-ეხუდუ, რ-ეხუდუ „უკან“; ვ-ოლ'იდუ ← ვ-ელ'იდუ, მ-ელ'იდუ, ბ-ელ'იდუ, რ-ელ'იდუ „სვლა“...

შენიშვნა. მხოლოდ მუნიბისა და ზილოს თქმებში შეიძლება ვ კლას-ნიშანს მოსდევდეს ე ხმოვანი (თ-ში გადაუსვლელად): ვ-ეხაულა „გრძელი“ და ა. შ.

ვ) ვ-უკუდუ ← ვ-იკუდუ, მ-იკუდუ, ბ-იკუდუ, რ-იკუდუ „ყოფნა“; ვ-უღიდუ ← ვ-იღიდუ, მ-იღიდუ, ბ-იღიდუ, რ-იღიდუ „დგომა“; ვ-უყ'იდუ ← ვ-იყ'იდუ, მ-იყ'იდუ, ბ-იყ'იდუ, რ-იყ'იდუ „მოსვლა“; ვ-უქედუ ← ვ-იქედუ, მ-იქედუ, ბ-იქედუ, რ-იქედუ „დაწვა“; ვ-უყ'უდუ ← ვ-იყ'უდუ, ბ-იყ'უდუ, რ-იყ'უდუ „ზრდა“; „კმარება“; ვ-უწიდუ ← ვ-იწიდუ, მ-იწიდუ, ბ-იწიდუ, რ-იწიდუ „ავსება“; „გაძლომა“; ვ-უჩიდუ ← ვ-იჩიდუ, მ-იჩიდუ, ბ-იჩიდუ, რ-იჩიდუ „დაკერა“; ვ-უში ← ვ-იში, მ-იში, ბ-იში, რ-იში „სქელი“; ვ-უჭუ ← ვ-იჭუ, მ-იჭუ, ბ-იჭუ, რ-იჭუ „ბევრი“; ვ-უხიდუ ← ვ-იხიდუ, ბ-იხიდუ, რ-იხიდუ „აღება“; „ყიდვა“; ვ-უჭიიდუ ← ვ-იჭიიდუ, მ-იჭიიდუ, ბ-იჭიიდუ, რ-იჭიიდუ „ადგომა“; ვ-უჭიდუ ← ვ-იჭიდუ, მ-იჭიდუ, ბ-იჭიდუ, რ-იჭიდუ „მოკვდომა“; ვ-უსინნუ ← ვ-ისინნუ, მ-ისინნუ, ბ-ისინნუ, რ-ისინნუ „პოვნა“...

შენიშვნა. მუნიბის თქმაში ვ კლას-ნიშანი უ (← თ) ხმოვნის წინ და მ კლას-ნიშანი თ ხმოვნის წინ ჩვეულებრივ უჩინარდება. (დაკარგული თანხმოვნის ადგილას შეიძლება განვითარდეს ჰ თანხმოვანი—§ 39, გ). ასეთ შემთხვევებში I და II კლასების გარჩევა ემყარება განსხვავებას ფუძისეულ ხმოვანთა მიხედვით (რაც თავის დროზე ვ კლას-ნიშანს გამოუწვევია); ჰ უ ტ ი (← უ ტ ი) ← ვ-იტ ი (I კლ.)—ჰ ი ტ ი (← ი ტ ი) ← მ-იტ ი (II კლ.)—ბ-იტ ი (III კლ.) „სწორი“; „მართალი“ (§ 53).

წ) ვ-ოყ'ოგუ; მ-ოყ'ოგუ, ბ-ოყ'ოგუ, რ-ოყ'ოგუ „ოთხი“; ვ-ოხორ, მ-ოხორ, ბ-ოხორ, რ-ოხორ „მოხუცი“; ვ-ოჩო, მ-ოჩო, ბ-ოჩო, რ-ოჩო, „მოკლე“; ვ-ოშინნუ, მ-ოშინნუ, ბ-ოშინნუ, რ-ოშინნუ „მიბმა“; ვ-ოხინნუ, მ-ოხინნუ, ბ-ოხინნუ, რ-ოხინნუ „ასვლა“...

ე) ვ-უყაიდუ; მ-უყაიდუ, ბ-უყაიდუ, რ-უყაიდუ „ჭრა“; ვ-უსაინნუ, მ-უსაინნუ, ბ-უსაინნუ, რ-უსაინნუ „დაჭრა“ (ნაწილებად); ვ-უჭაინნუ, მ-იჭაინნუ ← მ-უჭაინნუ, ბ-უჭაინნუ, რ-უჭაინნუ „გაქცევა“; ვ-ულ'იდუ, მ-ილ'იდუ ← მ-ულ'იდუ, ბ-ულ'იდუ, რ-ულ'იდუ „შესვლა“; ვ-უსუდუ, მ-ისუდუ ← მ-უსუდუ, ბ-უსუდუ, რ-უსუდუ „დასველება“; „დაღობა“; ვ-უქაუდუ, მ-უქაუდუ, ბ-უქაუდუ, რ-უქაუდუ „დავარდნა“.

ბ) კლას-ნიშნების მომდევნო ფუძისეულ ხმოვანთა ვარიაციები შეიძლება შეპირობებული იყოს მორფოლოგიური მიზეზითაც. ამის მაგალითებს იძლევა მხოლოდ ზმნის უღვლილება (ამიტომ სათანადო შემთხვევები განხილული იქნება ცალკე — ზმნის უღვლილებასთან დაკავშირებით—§ 105).

ამრიგად, ის ფაქტი, რომ ანდიურში „ხშირად კლას-ნიშანზეა დამოკიდებული მომდევნო ხმოვანიც“ (ა. დირი), არ ნიშნავს, რომ ეს ხმოვანი კლას-ნიშნის შემადგენელი ნაწილია. მისი მიზეზი ფონეტიკურია (ან შესაძლოა მორფოლოგიურიც, მაგრამ კლას-კატეგორიისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობისა). ამდენად ასეთი ხმოვნები სათანადო ფორმათა ანალიზის პროცესში მიეკუთვნება არა კლას-ნიშნებს, არამედ ფუძეს: ვ-ოჭუნა „დიდი“... ბ-იკულუ „ყოფნა“... (და არა: ვო-ჭუნა, ბი-კულუ — ა. დირის ანალიზით).

## ს ა ხ ე ლ ი

### ს ა ხ ე ლ ი ა ბ რუნეზა

§ 55. **გ ა რუნვათა შ ა ლ გ ა ნ ი ლ ო ბ ა.** ანდიურში, ისევე, როგორც ხუნძურში, გასარჩევია ძირითადი და ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები<sup>1</sup>. ძირითადი ბრუნვა ხუთია: სახელობითი, ერგატივი, ნათესაობითი, მიცემითი და აფექტივი (ხუნძურთან შედარებით აქ მეტია აფექტივი). ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები, რომლებიც გამოხატავენ სივრცეში კონკრეტულ მიმართებებს, რამდენიმე წყებას (სერიას) ქმნიან (მათი შედგენილობა ქვემოთ ცალკე იქნება გათვალისწინებული).

შენიშვნა. ხუთივე ზემოხსენებული ძირითადი ბრუნვა ანდიურში აღნიშნული აქვს ა. დირს<sup>2</sup>. ტერმინები, რომელთაც ცალკეული ბრუნვებისათვის იგი ხმარობს, ზოგჯერ განსხვავებულია აქ ხმარებული ტერმინებისაგან. თვითონ ა. დირიც სხვადასხვა შრომებში სხვადასხვა ტერმინებს ხმარობს. ასე, მის აღრიხნულ შრომაში ანდიური ენის შესახებ<sup>3</sup> ერგატივისათვის ნახმარია ტერმინი „მოქმედებითი“, მიცემითისათვის — „მიცემითი II“, აფექტივისათვის — „მიცემითი I“, ხოლო უფრო

<sup>1</sup> ბრუნვათა ეს ორი რიგი დალესტურ ენებში გარჩეული აქვს ჯერ კიდევ ბ. უსლარს (იხ., მაგალ.: *Авар. яз.*, § 29. გვ. 35).

<sup>2</sup> *А. Дирр, Анд. яз.*, გვ. 10—12.

გვიანდელ ნაშრომში „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“ (რომელიც დაწერილია გერმანულ ენაზე)<sup>1</sup> ანდიური ენის ამავე ბრუნვებისათვის გვხვდება ტერმინები: ერგატივისათვის — „ერგატივ-ინსტრუმენტალი“ (Ergativ-Instrumental), მიცემითისათვის — „მიცემითი“ (Dativ), აფექტივისათვის — „მიცემით-აფექტივი“ (Dativ-Affektiv)<sup>2</sup>.

§ 56. ძირითად ბავშვათა ფუნქციებისათვის<sup>3</sup>. სახელობითს, ერგატივსა და ნათესაობითს ანდიურში იგივე სინტაქსური ფუნქციები აქვთ, რაც ხუნძურში; სახელდობრ: 1. სახელობითი გამოხატავს გარდაუვალი ზმნის რეალურ სუბიექტს (გუყუ'ო იშა „მოვიდა მამა“) და ვარდამავალი ზმნის რეალურ — უახლოეს („პირდაპირ“) ობიექტსაც (ბუყიი ლ' უდი „გაქრა შეშა“); 2. ერგატივი ვარდამავალი ზმნის რეალურ სუბიექტს (ბუყიი იშუ - დი „გაქრა მამაშ“); ეგევე ბრუნვა შეიძლება ასრულებდეს ნივთის კლასის სახელებში მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციასაც (გამოხატავს მოქმედების იარაღს: ბუყიი ანჭილუ - დი „გაქრა ნაჯახით“); 3. ნათესაობითი ბრუნვის ძირითადი ფუნქციაა კუთვნილების გამოხატვა: ამ მნიშვნელობით იგი მსაზღვრელის როლში გვევლინება და წინ უსწრებს საზღვრულს (იშუ - ბ კოთუ „მამის ცხენი“... ილუ - ლ'ი როლალ „დედის ტანსაცმელი“...); ამავე ბრუნვას (ისევე, როგორც ხუნძურში, ქართულში და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში) შეუძლია გამოხატოს მიმართებითი ზედსართავი სახელის მნიშვნელობაც (ორსილ'ი ჴანჯარ „ვერცხლის ხანჯალი“, ლ' უდილ - ლ'ი ჰაყაუ „ხის სახლი“); 4. მიცემითი გამოხატავს ირიბ ობიექტს ანუ „მოქმედების ადრესატს“ (იჩიი იშუჲ „მისცა მამას“... ხუნძურში ეს ბრუნვა გრძნობა-აღქმის ზოგი ზმნის რეალურ სუბიექტსაც აღნიშნავს, ანდიურში კი სათანადო შემთხვევებში აფექტივი გამოიყენება — იხ. ქვ.); 5. აფექტივი იხმარება გრძნობა-აღქმის ზმნათა (verba sentiendi) რეალური სუბიექტის როლში (ჰაყ'ილო „ხედავს“, წინნო „იცის“, ჰილულო „უყვარს“... იშუ - ბ - ო „მამას“); ეგევე ბრუნვა კაუზატიურ ზმნასთან ირიბ ობიექტსაც გამოხატავს (იპოლ'ირ ეო-

<sup>1</sup> A. Dirr, Einführung. გვ. 184.

<sup>2</sup> ტერმინ „აფექტივს“ („მიცემითის“ ჩამოშორებით) იყენებს ა. ბოკარიოვიც კამალალურ ენაში (Чамал. яз. გვ. 46).

<sup>3</sup> იხ.: А. Дирр, Анд. яз., გვ. 9—13; Я. Сухейманов, Автореферат. გვ. 13—16.

შუ-ბ-ო „აკეთებინებს ვაჭიშვილს“). ანდიური აფექტივის ფუნქციებს ხუნძურში ინაწილებს მიცემითი და -და სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვები.

§ 57. ბრუნვის ნიშნები. 1. სახელობითს არა აქვს ბრუნვის ნიშანი. სახელი ამ ბრუნვაში წარმოდგენილია ფუძის სახით (სხვა ბრუნვებთან შეპირისპირებით სახელობითის ნიშანი ნოლი იქნება). მრავლობითის სახელობითში ფუძეს დაერთვის მხოლოდ რიცხვის ნიშანი. ზოგ სახელს (კერძოდ, ჩვენებით ნაცვალსახელებს და სხვ.) სახელობით ბრუნვაში დაბოლოებად შეიძლება ჰქონდეს კლას-ნიშანი (ჰო-ვ „ეს“), მაგრამ იგი ბრუნვის ნიშანი არ არის. 2. ერგატივის ნიშანია -დი. ეს დაბოლოება აქვს ერგატივს ყველა სახელში (შდრ. ხუნძურში მორფოლოგიურად განსხვავებული რამდენიმე დაბოლოება ერგატივისა). ამ დაბოლოების თანხმონითი ელემენტი დ ფუძისეული გარკვეული თანხმონების შემდეგ შეიძლება განიცდიდეს ფონეტიკურ ცვლილებას: -დი → -დი (§ 44) ან -დი → -ნი (§ 42); აულ რიკვანის თქმაში მას ხმოვნითი ელემენტი მოკვეცილი აქვს: -დი → -დ (§ 12). 3. ნათესაობითს ყველა თქმაში მორფოლოგიურად განსხვავებული ორი ნიშანი აქვს (სხვადასხვა სახელებში): ა) ესა თუ ის კლას-ნიშანი შესაბამისად საზღვრული არსებითი სახელის გრამატიკ. კლასისა და ბ) -ლ'ი (მათი გამოყენების სფეროები იხ. § 58); რიკვანის თქმაში -ლ'ი დაბოლოებას ბოლოკიდური ხმოვანი დაკარგული აქვს (-ლ'ი → -ლ' ისევე, როგორც ერგატივის -დი → -დ -- იხ. ზემოთ). 4. მიცემითის ნიშანი განსხვავებულია თქმათა მიხედვით: ზოგ თქმაში -ჟ გვაქვს, ზოგში ჟ-სთან ერთად — -ლ'უ (ან მხოლოდ -ლ'უ); გარკვეულ პოზიციამში -ლ'უ შეიძლება შეცვალოს -ლუ-მ (§ 59). 5. აფექტივის ნიშანია -ო. ამ დაბოლოებას შეიძლება წინ უძღოდეს გრამატიკული კლასის ცვალებადი ნიშნები (-ვ-ო, -ჟ-ო და ა. შ.); ზოგ თქმაში კლას-ნიშანი შეიძლება გაქვევებული ან დაკარგული იყოს. -ო დაბოლოების ფუძისეულ ჰ ხმოვანთან შეხვედრისას შეიძლება შერწყმით მივიღოთ გრძელი ო (რიკვანის თქმაში — § 10) ან გრძელი ნ (ქვანხიდათლის თქმაში — § 10).

ბრუნვის ნიშნები მხოლოდობითსა და მრავლობითში სათანადო სახელს ერთი და იგივე აქვს (ყველა თქმაში). მრავლობითში ბრუნვის ნიშანი მოსდევს რიცხვის ნიშანს (როცა ეს უკანასკნელი ფუძეს ახლავს).

ბრუნვის ნიშნები რომ ჩამოვწერთ შესაბამის ბრუნვებთან, მივიღებთ შემდეგ სქემას (სქემაში შეტანილი არ არის ბრუნვის ნიშანთა ფონეტიკური ვარიანტები — იხ. ზემოთ).

ბრუნვები	ბრუნვის ნიშნები
სახელობითი	-(ნოლი)
ერგატივი	-ლი
ნათესაობითი	{ 1. -კლას-ნიშანი (-ვ, -ა და ა. შ.) 2. -ლ'ი
მიცემითი	-ა; -ლ'უ
აფექტივი	-ა

§ 58. ნათესაობითის ორი დაბოლოების შესახებ. როგორც ვნახეთ, ნათესაობითს სათანადო თქმაში მორფოლოგიურად განსხვავებული ერთზე მეტი დაბოლოება აქვს: 1. კლას-ნიშანი და 2. -ლ'ი.

კლას-ნიშანი აქვს დაბოლოებად ნათესაობით ბრუნვას I გრამატიკ. კლასის (ანუ მამაკაცთა კლ.) საზოგადო და საკუთარ სახელებში: იმუ-ვ<sup>1</sup> „მამისა“, ვოცაუ-ვ „ძმისა“... მამადო-ვ „მამადისა“ (სახ. გრ.: მამადი — საკუთარი სახელი მამაკაცისა)... საზოგადო და საკუთარი სახელები მოყოლებული II კლასიდან V (რიკვანის თქმაში VI) კლასამდის ნათესაობით ბრუნვაში დაირთავს -ლ'ი დაბოლოებას: ილუ-ლ'ი (II კლ.) „დედისა“, კოთუ-ლ'ი (III კლ.) „ცხენისა“, ბილო-ლ'ი (IV კლ.) „მთისა“, ჰაყაუ-ლ'ი (V კლ.) „სახლისა“...

ჩანს, ნათესაობითი ბრუნვის წარმოებაში ასახულია გარკვეული მოდიფიკაციით თვით საბრუნებელი სახელის გრამატიკული კლასის კატეგორია. კლას-ნიშნით ნათესაობითის წარმოება მიუთითებს, რომ საბრუნებელი სახელი განეკუთვნება I გრამატიკ. კლასს, მაგრამ კლას-ნიშანი ნათესაობითის ფორმაში აღნიშნავს გრამატიკ. კლასს არა თვით საბრუნებელი სახელისას, არამედ საზღვრული არსებითი სახელისას (რომლის მსაზღვრელიცაა ნათესაობითში დასმული სახელი). თუ საზღვრული სახელი მრავლობით რიცხვშია, ნათესაობითის ფორმაში კლას-ნიშნის შემდეგ მრავლობითი რიცხვის ნიშანიც გვექნება (-ულ, რომელიც ა კლას-ნიშნის მომდევნოდ ასიმილაციის შედეგად -ილ-ით იცვლება: -ა-ულ → -ა-ილ). ამრიგად, კლას-ნიშანი ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება მთლიანად დამოკიდებულია საზღვრულ სახელზე (მის კლასსა და რიცხვზე):

<sup>1</sup> მოგვევს ერთ-ერთი კლასის (I კლ.) ნიშნით -ვ.

მხ. რ.	მრ. რ.
I იმუ-ვ ვოცაი „მამის ძმა“	იმუ-ვ-ულ ვოცაულ „მამის ძმები“ <sup>1</sup>
II იმუ-ა ზოცაი „მამის და“	იმუ-ა-ილ ზოცაიბოლ „მამის დები“
III იმუ-ბ კოთუ „მამის ცხენი“	იმუ-ა-ილ კოთილ „მამის ცხენები“
IV იმუ-ბ ჯანჟარ „მამის ხანჯალი“	იმუ-ბ-ულ ჯანჟარდულ „მამის ხანჯლები“
V იმუ-რ ჰაყაუ „მამის სახლი“	იმუ-რ-ულ ჰაყაობილ „მამის სახლები“

-ლ'ი დაბოლოებიანი ნათესაობითი ბრუნვა არ ასახავს საზღვრული სახელის გრამატიკულ კლასს, მაგრამ რიცხვს მაინც განარჩევს (როცა საზღვრული სახელი მრავლობითია, -ლ'ი დაბოლოებას დაერთვის მრავლობითის სუფიქსი -ოლ):

მხ. რ.	მრ. რ.
ილუ-ლ'ი ვოცაი „დედის ძმა“	ილუ-ლ'-ოლ ვოცაულ „დედის ძმები“ <sup>2</sup>
ილუ-ლ'ი ზოცაი „დედის და“	ილუ-ლ'-ოლ ზოცაიბოლ „დედის დები“
ილუ-ლ'ი კოთუ „დედის ცხენი“	ილუ-ლ'-ოლ კოთილ „დედის ცხენები“
ილუ-ლ'ი ბეცუნ „დედის ნემსი“	ილუ-ლ'-ოლ ბეცუმოლ „დედის ნემსები“
ილუ-ლ'ი ჰაყაუ „დედის სახლი“	ილუ-ლ'-ოლ ჰაყაობილ „დედის სახლები“

ნათესაობითი ბრუნვის ზემოაღნიშნული ორი ტიპი კარგადაა გარჩეული ანდიური ენის ყველა თქმაში. განსხვავება შეიძლება შექმნას კლას-ნიშნიანმა ნათესაობითი ბრუნვის ფორმამ შესაბამისად იმ თავისებურებებისა, რაც ახასიათებს სათანადო თქმებს გრამატიკული კლასების ზოგადი სისტემისა და მათი ექსპონირების მხრივ (ზემოთ მაგალითები მოყვანილია ანდის თქმიდან).

შენიშვნა 1. ნათესაობითის ორი ტიპი (კლას-ნიშნიანი და -ლ'ი სუფიქსიანი) აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ რ. ერკერტს<sup>3</sup>, ხოლო შემდეგ ა. დირსაც. ა. დირის ცნობით, კლას-ნიშნიანი ნათე-

<sup>1</sup> ზედმიწევნ. „მამ-ისა-ნე ძმანი“ და ა. შ. <sup>2</sup> ზედმიწევნ. „დედ-ისა-ნე ძმანი“ და ა. შ.

<sup>3</sup> R. Erckert, Die Sprachen des Kaukas. Stammes, II, გვ. 184.

საობითი ბრუნვა (რომელსაც იგი ზოგჯერ უწოდებს „I ნათესაობითს“) შეიძლება გვექონდეს „გონიერ არსებათა“ აღმნიშვნელ სახელებში<sup>1</sup> (ა. დირის სიტყვახმარებაში „გონიერი არსება“ მოიცავს ადამიანს, ე. ი. I და II კლასებს). სინამდვილეში კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნათესაობითის ეს ტიპი დამახასიათებელია „გონიერ არსებათა“ მხოლოდ I (მამაკაცთა) კლასის სახელებისათვის, უცხოა ამავე არსებათა II (ქალთა) კლასის სახელებისათვის. ა. დირს მაგალითებიც მოჰყავს II კლასის არსებით სახელთა კლასნიშნის ნათესაობითის ფორმებისა: **ჟოშუ-ვ** „ქალიშვილისა“, **ილუ-ვ** „დედისა“<sup>2</sup>... ასეთი ფორმები ფაქტობრივ არ დასტურდება (დასახელებულ სიტყვებს ნათესაობითში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ -ლ'ის დაბოლოება: **ჟოშუ-ლ'ი** „ქალიშვილისა“, **ილუ-ლ'ი** „დედისა“). ასევე ბუნებრივი არ არის I კლასის სახელებში ნათესაობითის ნიშნად -ლ'ის დაბოლოება, თუმცა ა. დირი ასეთ ფორმათა არსებობაზეც მიუთითებს: **იმუ-ლ'ი** „მამისა“ და სხვ.<sup>3</sup>

შენიშვნა 2. ნათ. ბრ.-ის ორი სხვადასხვა დაბოლოების შესაბამისობა საბრუნებელი სახელის გრამატიკ. კლასებთან დარღვეულია პირის ნაცვალსახელებსა და კითხვით ნაცვალსახელებში: ყველა კლასის პირის ნაცვალსახელები და I და II კლ. კითხვითი ნაცვალსახელი ნათ. ბრ.-ში დაირთავენ მხოლოდ კლას-ნიშანს (და არა — შესაბამისად — -ლ'ის სუფიქსს).

ხუნძურ ენაში ნათესაობით ბრუნვას ყველა კლასის არსებით სახელებში ერთი ნიშანი აქვს: -ლ (იგი ანდიურში არა ჩანს). მაგრამ პირის ნაცვალსახელებში ნათესაობით ბრუნვას ხუნძურში აწარმოებს -რ (დი-რ „ჩემი“, დუ-რ „შენი“ და ა. შ. ეგევე დაბოლოება უნდა გვექონდეს ფორმაში ჩიჯარ „სხვისი“, რომელიც, ეტყობა, ნაწარმოებია სახელისაგან ჩი „კაცი“: ჩიჯარ „სხვისი“, ეტიმოლოგ. „რომელიც“ კაცისა“, „ვილაცისა“ — შდრ. ანდ. ჰეკა „კაცი“ → ჰეკუ-რ „სხვისი“). როგორც გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, ეს -რ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის როლში გაქვევებული კლას-ნიშანია (IV კლასისა, რომელსაც ძველად ხუნძურიც განარჩევდა); პირთა ნაცვალსახელების ჩვენება მოწმობს, რომ ისტორიულად არც ხუნძურისათვის უნდა ყოფილიყო უცხო კლას-ნიშ-

<sup>1</sup> А. Дирр, Анд. яз., зв. 9.

<sup>2</sup> იქვე, зв. 11.

<sup>3</sup> იქვე, зв. 24.



ნიანი ნათესაობითი ბრუნვა<sup>1</sup>. ხუნძურში არა ჩანს ნათესაობითი ბრუნვის მეორე ტიპი, ნაწარმოები -ლ'ი სუფიქსით. მაგრამ სხვა მნიშვნელობით შესაბამისი ფორმა ხუნძურშიც უნდა გვეკონდეს. მხედველობაში გვაქვს -ლ' (← -ლ'ი) სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვის ფორმა (ლ'ენ-ლ' „წყალში“, როსო-ლ' „აულში“ და ა. შ.). ანდიურშიც -ლ'ი დაბოლოებიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს სათანადო სახელებში ადგილობითი ბრუნვის მნიშვნელობაც აქვთ: ლ'ენ-ლ'ი „წყლისა“; „წყალში“... (§ 75), ხუნძურში კი შესაბამის ფორმებს — მხოლოდ ადგილობითის მნიშვნელობა.

§ 59. მიცემითი ბრუნვის ნიშნის დიალექტურად განსხვავებული ორი ვარიანტის შესახებ. ანდის თქმაში მიცემითის ნიშანია -ჟ (ვოცაჟ-ჟ „ძმასა“, ღოცაჟ-ჟ „დასა“, კოთჟ-ჟ „ცხენსა“... და ა. შ.). ეგვეე დაბოლოება აქვს მიცემითს ზოგ სხვა ზემოანდიურ თქმაშიც (კერძოდ, აშალისა და ჩანხოს თქმ.) და, აგრეთვე, ორივე ქვემოანდიურ თქმაში. მაგრამ ზოგ ზემოანდიურ თქმაში, კერძოდ, დაღათლის, რიკვანისა და ზილოს თქმებში, ხსენებული ბრუნვის ნიშნად ჟ-ს ნაცვლად დასტურდება -ლ'უ (ვოცაჟ-ლ'უ „ძმასა“, ღოცაჟ-ლ'უ „დასა“... დი-ლ'უ „მე“, დუ-ლ'უ „შენ“ და ა. შ.). -ლ'უ გარკვეულ პოზიციაში შეიძლება ფაქულტატიურად შეცვალოს -ლჟ-მ. ასეთი ცვლილება დამოწმებულია, კერძოდ, რიკვანის თქმაში ისეთ პოზიციაში, როცა -ლ'უ უშუალოდ შა- სპირანტს მოსდევს: ჰოშა-ლჟ ← || ჰოშა-ლ'უ „ამასა“, ვოქუხაშა-ლჟ ← || ვოქუხაშა-ლ'უ „დიღსა“<sup>2</sup>... რაც შეეხება ჟ-სა და -ლ'უ-ს ურთიერთობას, ფონეტიკურად მათი ერთმანეთზე დაყვანა გამორიცხებულია. ისინი ანდიურ თქმებში ერთი და იმავე მნიშვნელობის სულ სხვადასხვა წარმოშობის ფორმანტებია. მიცემითის -ჟ დაბოლოება ანდიურის სათანადო თქმებში უნდა უკავშირდებოდეს ამავე ბრუნვის -ჟ (|| -ი) დაბოლოებას ხუნძურ ენაში (ვაცასა-ჟ || ვაცასა-ი „ძმასა“...). -ჟ მიცემითის ფორმებში მუდამ ფუძისეულ ამა თუ იმ ხმოვანს მოსდევს. ასეთ პოზიციაში -ჟ, უნდა ვივარაუდოთ, -ი-საგან არის მიღებული. რაც შეეხება მიცემითის მეორე, -ლ'უ, დაბოლოებას, მისი ეკვივალენტები დასტურდება სხვა ანდიურ ენებშიც: ჰამალ. -ლ'ა<sup>3</sup> (მაჭ-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა. გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში. უნიკი-ს მოამბე, I, 1937: მისივე. ნაცვალსახელთა ბრუნვა ხუნძურში, ენმკი-ს მოამბე, XII, 1942. გვ. 46—47.

<sup>2</sup> რიკვანელი ბაჭუღინ ელდაროვი ორივე ვარიანტს ხმარობდა (სხვა პირებთანაც შეიმჩნეოდა ამგვარი რყევა).

<sup>3</sup> А. Бокдрев, Чамал. яз., გვ. 41.

-ლ'ა „ბავშვსა“, ამხ-ლ'ა „ვირსა“), ტინდ. -ლ'ა → || .ლჰა (ვაჭუ-ლ'ა „ვაეიშვილსა“, ბაწუ-ლ'ა „მეგლსა“); ლოდობ. -ლ'ი (ვაცაუ-ლ'ი „ძმა-სა“, ბაწუ-ლ'ი „მეგლსა“)...

§ 60. გრამატიკული კლასის ნიშნები აფექტიური გრუნვის ფორმაში. აფექტიური გრუნვის დაბოლოება -ლ საერთოა ყველა ანდიურ თქმაში. ამ დაბოლოების წინ ზოგ თქმაში ცვალებადი კლას-ნიშნებიც ვეაქვს (ვოცაი „ძმა“ — აფექტ. ვოცაუ-ვ-ო, ვოცაუ-ჟ-ო, ვოცაუ-ბ-ო, ვოცაუ-რ-ო). კლას-ნიშანი აფექტივის ფორმაში აღნიშნავს იმ სახელის გრამატიკულ კლასს, რომელიც ამ გრუნვაში დასმულ სახელთან გარკვეულ სინტაქსურ ურთიერთობაშია<sup>1</sup>. ასე, მაგალ., როცა აფექტიური გრუნვა გრძნობა-აღქმის ზმნათა რეალურ სუბიექტს გამოხატავს, მასში აღინიშნება ასეთი ზმნის უახლოესი („პირდაპირი“) ობიექტის კლასი:

ვოშუ-ვ-ო ჰილუდო იმა „ვაეიშვილს უყვარს მამა“

ვოშუ-ჟ-ო ჰილუდო ილა „ვაეიშვილს უყვარს დედა“

ვოშუ-ბ-ო ჰილუდო კოთუ „ვაეიშვილს უყვარს ცხენი“

ვოშუ-რ-ო ჰილუდო ხაუჩა „ვაეიშვილს უყვარს წიგნი“

ასევე გარჩეული იქნება აფექტიური გრუნვის ფორმა კლასების მიხედვით, როცა იგი ირიბ ობიექტს გამოხატავს. ასეთ შემთხვევაშიც მასში ზმნის უახლოესი ობიექტის კლასი აღინიშნება; მაგალ.: იმუდი ვოშუ-რ-ო ქალარ ჯვარდოლ'ირ „მამა ვაეიშვილს წერილს აწერინებს“... იპოლ'ო ჟოშკალლ'აი-ბ-ო ელლო „გააკეთებინე ცოლს საკმელი!“ და სხვ. საერთოდ, გრამატიკული კლასის აღნიშვნის წესი აფექტიურ გრუნვაში იგივეა, რაც ზმნაში: ამ გრუნვის ფორმაში აღინიშნება კლასი იმ სახელისა, რომელსაც ზმნაც ეთანხმება (როცა ზმნის ფუძეში კლას-ნიშანი მოგვეპოვება).

აფექტიური გრუნვის ფორმაში კლასებს კარგად განარჩევს ანდის, ლაღათლის, ზილოს თქმები; დანარჩენ თქმებში ამ გრუნვის ფორმაში შეიძლება გვეკონდეს მხოლოდ გაქვეავებული კლას-ნიშანი ან იგი შეიძლება სულაც დაკარგული იყოს<sup>2</sup>.

ქვანხიდათლისა და მუნების თქმებში აფექტივის ფორმებში თავს იჩენს გაქვეავებული კლას-ნიშანი ან ვ. ვარიაციები დამოკიდებულია წინამავალ ფუძისეულ ხმოვანზე: ა დასტურდება ფუძისეული ო ხმოვნის მომდევნოდ, ხოლო ვ—ფუძისეული უ ხმოვ-

<sup>1</sup> А. Д пр р, Анд. яз., გვ. 11; Я. Су ей ма по в, Автореферат, გვ. 16.

<sup>2</sup> ამა აღნიშნავს ი. სულეიმანოვიც (Автореферат, გვ. 15).

ნის მომდევნოდ; შდრ.: ქვანხ. დეცილი'აი-ა-ო „დასა“<sup>1</sup>, დევილი'აი-ა-ო „ქალიშვილსა“... — მაგრამ: ვოცაიშაუ-ვ-ო „ძმასა“, ვოშოშაუ-ვ-ო „უაფიშვილსა“... მუნ.: ვოცაიშაუ-ვ-ო „ძმასა“... — მაგრამ: დეცილი'აი-ა-ო „დასა“, დევილი'აი-ა-ო „ქალიშვილსა“, ილალი'აი-ა-ო „დედასა“ და ა. შ. აქ მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ აფექტივის ფორმებში კლას-ნიშანთა ვარიაციები (ვ, ჰ) თითქოს საბრუნებელი სახელის გრამატიკული კლასით იყოს განსაზღვრული<sup>2</sup>: ვოცაიშაუ-ვ-ო („ძმასა“) ფორმაში კლას-ნიშანი -ვ- თითქოს იმიტომ არის, რომ ეს სიტყვა I კლასისაა, ხოლო დეცილი'აი-ა-ო („დასა“) ფორმაში კლას-ნიშანი -ა- იმიტომ გვაქვს, რომ ეს სიტყვა II კლასისაა. ეს რომ ასე არაა, ამას მოწმობს სხვა მაგალითები, რომლებშიც ვ და ჰ კლას-ნიშანთა განაწილება ანალოგიურ პოზიციებში არ არის დამოკიდებული საბრუნებელი სახელის გრამატიკულ კლასებზე; შდრ.: მაგალ., შამილ (მამაკაცის სახელი) და ბეტენთი (ქალის სახელი), რომელთაგან პირველი განეკუთვნება ვ კლასს, ხოლო მეორე ჰ კლასს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ორივეს აფექტიურ ბრუნვაში ჰ კლას-ნიშანი ექნება: შამილი-ა-ო, ბეტენთი-ა-ო... შდრ.: აგრეთვე აფექტივის ფორმები პირის ნაცვალ-სახელებისა (განურჩევლად კლასებისა): დენ „მე“ — დი-ა-ო, მაგრამ: მენ „შენ“ — დუ-ვ-ო...

ამრიგად, ვ და ჰ აფექტიური ბრუნვის ფორმებში ამჟამად გაქვევებული კლას-ნიშნებია. მათი ვარიაციები პოზიციათა სხვაობას ემყარება: სხვადასხვა პოზიციებში, ჩანს, სხვადასხვა კლას-ნიშნები გაქვევებულა<sup>3</sup> (ა — ფუძისეული • ხმოვნის მომდევნოდ, ვ — ფუძისეული უ ხმოვნის მომდევნოდ).

მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში ზოგჯერ კლას-ნიშანი აფექტივის ფორმაში შეიძლება დაკარგულიც იყოს. ეს დასტურდება უმთავრესად ფუძისეული ა და ო ხმოვნების მომდევნოდ. ასეთ შემთხვევებში ფუძისეული ხმოვნის უშუალო შეხვედრა აფექტ. ბრუნვის ო დაბო-

<sup>1</sup> აფექტივის ფორმებს ვთარგმნით ქართ. ნიციმითი ბრუნვის ფორმებით.

<sup>2</sup> სწორედ ასე ფიქრობს ა. ბოკარიოვი, რომელიც თუმცა მართებულად მიუთითებს, რომ ანდიურში აფექტიურ ბრუნვაში კლას-ნიშნები აღნიშნავენ გრძნობა-აღქმის გამოხატველ იმ ზნათა რეალური ობიექტის კლასს, რომელთა რეალური სუბიექტის როლში ეს ბრუნვა გამოდის, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ „в конхидацъском наречии (= ქვანხიდათლის თქმ. — ს. ც.) андийского языка классный показатель наоборот, согласуется с классом самого субъекта“ (А. Бокарев, Чажал. яз., გვ. 46).

<sup>3</sup> შდრ.: Э. Магомедбекова, Склонение имен в каратинском яз. (•••), XI. გვ. 359).

ლოებასთან იწვევს მათ შერწყმას ერთ გრძელ ხმოვნად (ა-ა → ა, ა-ა → ა — ქვანხი და თლის თქმაში, ა-ა → ა, ა-ა → ა — მუნი-ბის თქმაში — იხ. § 10); მაგალ.: ქვანხ. კოთულ-ო ← || კოთულ-ო-ო ← კოთულ-ო-ბ'-ო „ცხენსა“, კოთილ-ო ← || კოთილა-ო ← კოთილა-ბ'-ო „ცხენებსა“<sup>1</sup> და ა. შ.: მუნ. კოთილ-ო ← კოთილ-ო-ო ← კოთილო-ბ'-ო „ცხენსა“; კოთილ-ო ← || კოთილა-ო ← კოთილა-ბ'-ო „ცხენებსა“ და ა. შ.

აულ აშალის მეტყველებაში აფექტივის ფორმებში ყველა სახელსა და ყველა პოზიციაში თავს იჩენს გაქვევებული კლას-ნიშანი: ვოცაჟ-ა-ო „ძმასა“, ეცაჟ-ა-ო || ეცაილ-აი-ა-ო „დასა“, ეცაიბა-ა-ო „დებსა“... პოშაჟ-ა-ო „მას (მამაკაცსა)“, ჰოლლ-აი-ა-ო „მას (ქალსა)“... ბოწუ-ა-ო „მგელსა“, ბოწოლი-ა-ო „მგლებსა“... დი-ა-ო „მე“, დუ-ა-ო „შენ“ (შდრ.: ქვანხ., მუნ. დი-ა-ო „მე“ — მაგრამ: დუ-ვ-ო „შენ“ — იხ. ზემოთ) და ა. შ. ამ მხრივ აფექტივის ფორმები აშალის მეტყველებაში გვაგონებს მიცემითი ბრუნვის ფორმებს ხუნძურ ენაში (ხუნძურში [ჩრდ.-ხუნძურში] მიცემით ბრუნვაში. გაქვევებული სახით ა კლას-ნიშანია დაცული: ბაწი-ა-ე „მგელსა“, შამილი-ა-ე „შამილსა“ და ა. შ.).

აულ რიკვანის თქმაში<sup>2</sup> აფექტივის ფორმაში შეიძლება გვქონდეს გაქვევებული კლას-ნიშანი -ბ-, თუ მის წინ ფუძისეული თანხმოვანია: ჰედღა-ბ-ო „მას (მამაკაცსა)“, ჰედელლ-ა-ბ-ო „მას (ქალსა)“, ბაჰადინ-ბ-ო „ბაჰაუდინსა“ (მამაკაც. სახ.) და ა. შ., ხოლო ხმოვნის მომდევნოდ -ბ- ყოველთვის იკარგვის (რაკი ასეთ შემთხვევაში ბ მოქცეული იქნება ინტერვოკალურ პოზიციაში, სადაც ეს თანხმოვანი საერთოდ ვერ ძლებს აღნიშნულ თქმაში — § 33): ვოცაჟო (→ || ვოცაჟო) ← ვოცაჟ-ბ'-ო „ძმასა“, უნსჟო (→ || უნსჟო) ← უნსუ-ბ'-ო „ხარსა“, დრ-ო ← დი-ბ-ო „მე“, დუ-ო ← დუ-ბ-ო „შენ“ (მაგრამ: იშა-ბ-ო „ჩვენ“ [ექსკლ.], ილ-ბ-ო „ჩვენ“ [ინკლ.] — თანხმოვნის მომდევნოდ -ბ- დაცულია)... იმოდაა (→ || იმო-და) ← იმოდა-ო ← იმოდა-ბ'-ო „მამებსა“, ინსოდაა (→ || ინსო-და) ← ინსოდა-ო ← ინსოდა-ბ'-ო „ხარებსა“ (ორ უკანასკნელ მაგალითში ფუძისეული ა ხმოვნისა და აფექტ. ბრუნვის -ო დაბოლოების შერწყმით ვიღებთ გრძელ ა ხმოვანს).

<sup>1</sup> ფუძისეულ ხმოვანს (აფექტ. ბრ. დაბოლოების წინ) აღგვადგენინებს სხვა ბრუნვათა ჩვენება (რომელთაც ასეთი ხმოვანი ბრუნვის ნიშნის წინ დაცული აქვთ): ვრგ. კოთილა-დი „ცხენებსა“, ნათ. კოთილა-ლი „ცხენებისა“...

<sup>2</sup> შდრ.: Я. С у л е ж м а н о в. Автореферат, გვ. 15.

ჩანხოს თქმაში კლას-ნიშანი აფექტივის დაბოლოებასა და ფუძისეულ ხმოვანს შორის ჩვეულებრივ დაკარგულია: ვოცაჟ-ო (→||ვოცა-ვ-რ) „ძმანა“, ჟეცაჟ-ო „დასა“; ჰოშაჟ-ო „მას (მამაკაცსა)“, ჰოლ-ბრ-ო „მას (ქალსა)“, ღრ-ო (||ღი-ჟ-ო) „მე“, ღუ-ო „შენ“ და ა. შ.

ხუნძურ ენაში აფექტივი, როგორც ცალკე ბრუნვა, არა გვაქვს. აქ მის ფუნქციებს ინაწილებს მიცემითი და -და სუფიქსიანი ადგილობრითი ბრუნვა; შდრ.: ა) ანდ. იმუ-ვ-ო (აფექტ. ბრ.) ჰილუდო ვოშო — ხუნძ. ინსაჟ-ჟ-ე (მიც. ბრ.) ვოტჟულა ვას „მამას უყვარს ვაჟიშვილი“... ბ) ანდ. იმუ-ვ-ო (აფექტ.) ჰაყ'ილო ვოშო — ხუნძ. ინსაჟ-და (ადგ. ბრ.) ვიხ'ულა ვას „მამა ხედავს ვაჟიშვილს“... მართალია, ხუნძურში მიცემითი ბრუნვა ისევე, როგორც აფექტიური ბრუნვა ანდიურში, ისტორიულად კლას-ნიშნებიანი უნდა ყოფილიყო (ანწუხურ დიალექტში მას დღემდის შემონახული აქვს ცვალებადი კლას-ნიშნები [შამილი-გ-ე, შამილი-ჟ-ე, შამილი-ბ-ე; შამილი-რ-ე „შამილსა“], ხოლო სხვა დიალექტებში — გაქვე-ვებული კლას-ნიშანი -ჟ- [შამილი-ჟ-ე „შამილსა“) და ამით იგი მსგავსებას იჩენს ანდ. აფექტიური ბრუნვის ფორმასთან, მაგრამ განსხვავებულია დაბოლოებები: ანდიური აფექტ. ბრუნვის დაბოლოებაა -ო, ხოლო ხუნძ. მიც. ბრუნვისა — ე (→ -ი). ხუნძ. მიცემითის ე (→ || -ი) დაბოლოების ეკვივალენტად ანდ. ენაში მიიჩნევა არა აფექტივის -ო დაბოლოება, არამედ -ჟ (← -ი) დაბოლოება ისევე მიცემითი ბრუნვისა.

§ 61. ერგატივის დაბოლოების შესახებ. ერგატიული ბრუნვის დაბოლოება -დი (ფონეტიკური ვარიანტებით: -დი, -ნი, -დ), როგორც აღნიშნული გვექონდა, დაერთვის ყველა სახელს ორსავე რიცხვში. მაგალითები სხვადასხვა კლასების არსებით სახელთა ერგატივის ფორმებისა მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში (ან დის თქმიდან): იმა (I კლ.) „მამა“ — იმუ-დი „მამამ“, იმოზა-დი „მამებმა“, ილა (II კლ.) „დედა“ — ილუ-დი „დედამ“, ილოზა-დი „დედებმა“, კოთუ (III კლ.) „ცხენი“ — კოთუ-დი „ცხენმა“, კოთილი-დი || კოთი-დი „ცხენებმა“, ჯანჟარ (IV კლ.) „ხანჯალი“ — ჯანჟარუ-დი „ხანჯალმა“, ჯანჟარდა-დი „ხანჯლებმა“, რელა (V კლ.) „ხელი“ — რელუ-დი „ხელმა“, რელოზა-დი „ხელებმა“.

ამ მხრივ ანდიური ენა თვალსაჩინოდ განსხვავდება ხუნძური ენისაგან, რომელშიც ერგატივს მორფოლოგიურად განსხვავებული რამდენიმე დაბოლოება შეიძლება ჰქონდეს (სხვადასხვა სახელებში):

ა) მხ. რ.: 1. -სა, 2. -ლ'ა, 3. ჩრდ.-ხუნდ. -ცაა — სამხრ. -ხუნდ. -დ<sup>1</sup>,  
 ბ) მრ. რ.: 4. ჩრდ.-ხუნდ. -ცაა—სამხრ. -ხუნდ. -ჴ (მათი გამოყენების  
 ფარგლები ცნობილია სპეციალურ ლიტერატურაში). როგორც გარ-  
 კვეულია<sup>2</sup>, მხოლოდობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად -დ დაბოლო-  
 ება სამხრ.-ხუნდურისა უძველესია ჩრდ.-ხუნდურის -ცაა დაბოლოება-  
 ჴე (ჩრდ.-ხუნდურშიც ძველად -ცაა-ს ადგილას -დ უნდა გვექნოდა),  
 ასევე მრავლობითი რიცხვის ერგატივის ნიშნად სამხრ.-ხუნდურის -ჴ  
 უფრო ძველია, ვინემ ჩრდ.-ხუნდურის -ცაა; მასთან -ჴ, თავის მხრივ,  
 ფონეტიკური ვარიანტია -დ-სი: -ჴ(ი) ← -დ(ი). აღნიშნულის მხედვე-  
 ლობაში მიღებით საერთო ხუნდურისათვის მაინც გვრჩება ს ა მ ი სხვა-  
 დასხვა ფორმანტი ერგატიული ბრუნვისა: 1. -სა, 2. -ლ'ა და 3. -დ.

უშეველია, რომ ხუნდ. -დ და ანდ. -დი (→ რიკვ. -დ) ერთი და  
 იგივე ფორმანტებია<sup>3</sup>. (განსხვავებას ქმნის მათი გამოყენების ფარგ-  
 ლები: ანდიურში, როგორც ზემოთ ითქვა, -დი ერგატიული ბრუნვის  
 ერთად-ერთი ნიშანია, ხოლო ხუნდურში -დ — ერთ-ერთი [და არა  
 ერთად-ერთი] ნიშანი).

რაც შეეხება ხუნდ. -სა-სა და -ლ'ა-ს, მათი შესატყვისი ფორმან-  
 ტები ანდიურშიც გვაქვს (-შა-სა და -ლ'ა-ს სახით)<sup>3</sup>, მაგრამ არა  
 როგორც საკუთრივ ერგატივის ნიშნები, არამედ როგორც ე. წ.  
 ფუძის საერცობი ელემენტები, რომლებიც თავს იჩენენ ფუძესა და  
 ირიბ ბრუნვათა ნიშნებს შორის (იხ. § 64). ერგატივში მათ ანდი-  
 ური -დი დაბოლოებას ურთავს (ჰეკა-შა-დი ← ჰეკა-შა-უ-დი „კაცმა“,  
 აოშკა-ლ-დი ← აოშკა-ლ'ა-დი „ქალმა“), ხოლო ხუნდურში -სა და  
 -ლ'ა თვითონ წარმოადგენენ ერგატივის დაბოლოებებს: მათ ამ  
 ბრუნვაში სხვა არაფერი დაერთვის. ასეთ შემთხვევაში ხუნდური  
 ნორმების მიხედვით გამოდის, რომ ერგატივი ანდიურს ო რ მ ა გ ა დ

<sup>1</sup> სამხრ.-ხუნდურ ზოგ კილო-ტენაში -დ-ს ადგილას გვხვდება -ლ'ა-  
 (Ш. Микаилов, Согратлиевский говор южного наречия аварского языка,  
 УЗНИИЯЛ Даг. флх. АН СССР, т. III, Махачкала, 1957, გვ. 302). მაგ-  
 რამ იგი დაშორებითი (საიდან? ვისგან?) ბრუნვის ფორმანტია, რომელსაც  
 სათანადო შემთხვევებში ერგატივც იყენებს (ილ. ცერცვაძე, ერგატიული  
 ბრუნვის ერთი ფორმანტის შესახებ ხუნდურში. ოკვ, XIII, 1962).

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა. ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნდურში  
 (ოკვ. II, 1948): მისივე, Из истории образования эргативного (активного)  
 падежа в аварском языке (ЯД, I, Махачкала, 1948): „ხუნდ. ენა“, გვ. 138—  
 144, §§ 84—88.

<sup>3</sup> არნ. ჩიქობავა. ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნდურში,  
 ოკვ. II, 1948, გვ. 104—115.

აქვს ნაწარმოები, ხოლო ანდიური ნორნების მიხედვით, პირიქით, ხუნძურში გვაქვს ია ერგატივის ნიშანი (ნით შემეტეს, რომ ხუნძურშიც -ხა და -ლ'ა—ისევე, როგორც მათი შხ და ლ'ა შესატყვი-სები ანდიურში—არა მხოლოდ ერგატივში გვაქვს, არამედ ყველა ირიბ ბრუნვაში ბრუნვათა დაბოლოებების წინ: ერგ. ვაცე-ა-ხა „ძამა“, დაცე-ა-ლ'ა „დამ“—ნათ. ვაცე-ა-ხა-ულ, დაცე-ა-ლ'ა-ულ და ა. შ.). ამ საკითხს ქვემოთაც დაუბრუნდებით (§ 64, გვ. 136).

§ 62. საბრუნველი სახელის ფუძე. როგორც აღნიშნული გვქონდა, სახელობით ბრუნვაში სახელი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავს. ეს ნიშნავს: ფუძე და ფორმა სახელობითი ბრუნვისა ერთმანეთს ფარავს (იმა „მამა“, წყე „სტუმარი“, ვოცაი „ძმა“, ბოწო „მგელი“, კოთუ „ცხენი“, ლ'ენ „წყალი“, სორ „მელა“, ბილ „მთა“, ლომ „სახურავი“, იხვობ „წისკელი“ და ა. შ. ფუძეცაა და ფორმაც სახელობითი ბრუნვისა). ზოგადად ფუძის მაგივრობას სახელობითი ბრუნვა ეწევა (არნ. ჩიქობავა).

დანარჩენ ბრუნვებში (ერგატივსა, ნათესაობითსა, მიცემითსა და აფექტივში) ფუძეს შესაბამისი ბრუნვის ნიშნები დაერთვის. შეუძლებელი არ არის იშვიათად სახელობითი ბრუნვის ფუძე უცვლელად მეორდებოდეს დანარჩენ ბრუნვებშიც შესაბამის ბრუნვის ნიშანთა წინ, მაგრამ ჩვეულებრივ განსხვავება იჩენს თავს, რაც სათანადო შემთხვევებში გაგვარჩევინებს სახელობითის ფუძისაგან დანარჩენ ბრუნვათა ფუძეს, რომელსაც პირობით<sup>1</sup> შეიძლება ვუწოდოთ „ირიბ ბრუნვათა ფუძე“<sup>2</sup>.

განსხვავებას სახელობითის ფუძესა და ირიბ ბრუნვათა ფუძეს შორის სათანადო შემთხვევებში შეიძლება იწვევდეს ისეთი ელემენ-

<sup>1</sup> პირობით იმიტომ, რომ ირიბ ბრუნვათა წყებაში ამ შემთხვევაში ექცევა ერგატიული ბრუნვაც, რომელიც იბერ.-კავკ. ენებში თავისი ფუნქციითა და ადგილით ბრუნვათა სისტემაში პირდაპირი ბრუნვაა (არნ. ჩიქობავა).

<sup>2</sup> ირიბ ბრუნვათა ფუძეს სახელობითისაგან განარჩევს ა. დირი, რომელიც ანის შესახებ, კერძოდ, შემდეგს წერს: „Все изменяемые слова андийского языка склоняются при помощи суффиксов. Эти суффиксы приставляются или непосредственно к пменительному падежу существительных (также имена существительные относительно редки) или к основе косвенных падежей. Последняя получается разным образом...“ (А. Дирр, Анд. яз., გვ. 7: იხ. აგრეთვე: მისივე, Einführung, გვ. 183). სახელობითისა და ირიბ ბრუნვათა ფუძეებს („პირდაპირ ფუძესა“ და „ირიბ ფუძეს“) განარჩევს ი. სულეიმანოვიც (იხ. И. Сулейманов, Автореферат, გვ. 12).

ტების ქონა ირიბ ბრუნვათა ფუძეში, რომელიც არა გვაქვს სახელობითის ფუძეში. ეს ფუძის ის ელემენტებია, რომელთაც სპეციალურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ „ჩანართებს“ („вставки“, „вставочные элементы“) უწოდებენ<sup>1</sup>: მხედველობაში მიიღება ის ფაქტი, რომ ყოველი ასეთი ელემენტი ბრუნვის ფორმებში ჩაერთვის დაბოლოებათა წინ (თუმცა თვით ფუძეს, რომელსაც იგი განეკუთვნება, სინამდვილეში კი არ ჩაერთვის, არამედ დაერთვის—იხ. ქვ.).

გასარჩევია ორი რიგის „ჩანართი“: 1. დამაკავშირებელი ხმოვანი და 2. სავრცობი (ეს ტერმინებიც, ისევე, როგორც თვით „ჩანართიც“, პირობითია). დამაკავშირებელი ხმოვანი შეიძლება გვქონდეს სავრცობის გარეშეც, ხოლო სავრცობს დამაკავშირებელი ხმოვანიც ახლავს (თუ ეს უკანასკნელი ფონეტიკურ ნიადაგზე არ არის დაკარგული). დამაკავშირებელი ხმოვანი (სავრცობის გარეშე) ფუძეს შეიძლება ახლდეს როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში, ხოლო სავრცობი (მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვანითურთ) — მარტო მხოლოდობით რიცხვში.

აღნიშნული ელემენტები ფუძეს გარედან დაერთვის, სახელთა ბრუნებისათვის. ანდიურში უცხოა რაიმე ცვლილება ფუძის შიგნით. ფუძის შინაგან ხმოვანთა ცვლა, რასაც ფართო გასაქანი აქვს ხუნძურში ე. წ. არქაული ანუ ერთფუძიანი ტიპის ბრუნებისას (ხანჯარ „ხანჯალი“ — ხონჯერ-ო-ცაა „ხანჯალმა“ და ა. შ.—ხუნჯერ-ულ „ხანჯლები“ და ა. შ.) არ ახასიათებს ანდიურს. ამ მხრივ სახელის ფუძე ანდიურში უცვლელია ბრუნების მთელ პროცესში.

**§ 63. დამაკავშირებელი ხმოვანი ირიბ ბრუნვათა ფუძეში.** დამაკავშირებელი ხმოვნის როლში მხოლოდობით რიცხვში შეიძლება გვქონდეს: -უ-, -ო-, -ი-. ასეთი ხმოვანი ჩვეულებრივ უცვლელად მეორდება ყველა ირიბ ბრუნვაში შესაბამისი ბრუნვის ნიშნის წინ; ზოგჯერ იგი გარკვეულ ბრუნვებში ფონეტიკურ ნიადაგზე შეიძლება დაკარგულიც იყოს.

<sup>1</sup> ზოგი ავტორი უპირატესობას ანიჭებს ტერმინს „ფუძის დეტერმინატორები“ (Е. А. Бокарев, Цезские (динойские) языки Дагестана, Москва, 1956. გვ. 266: ამავე ტერმინს იყენებს ი. სულეიმანოვიც: Автореферат. გვ. 11). მაგრამ ამ ტერმინს იბერიულ-კავკასიურ ენებში სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობენ (იხ. მაგ.: არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942; Г. В. Рогова, К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в адыгских (черкесских) языках. Тбилиси, 1956).



1) თუ სახელობითის ფუძე თანხმოვანზეა გათავებული (ანდის თქმაში, რომლის ჩვენებას ჩვენ აქ ვითვალისწინებთ, სახელობითის ფუძის ბოლოკიდურად, როგორც ვიცით, შეიძლება გვექნდეს რ, ლ, მ, ნ, ზ თანხმოვნები — § 12), ასეთ ფუძეს ირიბ ბრუნვებში ყოველთვის ახლავს დამაკავშირებელი ხმოვანი:

-უ-: სახ. ჯანეარ „ხანჯალი“ — ირ. ბრ. ფუძე ჯანეარ-უ- (ერგ. ჯანეარ-უ-დი, ნათ. ჯანეარ-უ-ლ'ი, მიც. ჯანეარ-უ-ე, აფექტ. ჯანეარ-უ-ბ-ო); სახ. ჰამან „ცხვარი“ — ირ. ბრ. ფუძე ჰამან-უ- (ერგ. ჰამან-უ-დი, ნათ. ჰამან-უ-ლ'ი, მიც. ჰამან-უ-ე, აფექტ. ჰამან-უ-ბ-ო); ასევე (— ჯერ მოგვეყვას სახელობითის ფუძე, შემდეგ ირიბ ბრუნვათა ფუძე —): კორკონ „კვერცი“ — კორკონ-უ-, მიხარ „თავი“ — მიხარ-უ-, მაპარ „ცხვირი“ — მაპარ-უ-, რელილ „ფეხი“ — რელილ-უ-, ისიბ „გვერდი“ — ისიბ-უ-, ყინილ „მუხლი“ — ყინილ-უ-, მაყარ „ქერქი“ — მაყარ-უ-, რეკულ „კლიტე“ — რეკულ-უ-, იპურ „ტბა“ — იპურ-უ-, ინგურ „ფანჯარა“ — ინგურ-უ-, ბელიმ „კვერი“ — ბელიმ-უ-, ლ'ოლ „ნალი“; „სადირე (ფეხსაცმ.)“: „კვალი“ — ლ'ოლ-უ-, რომან „თოკი“ — რომან-უ-, ბაკვოლ „ტყავი“ — ბაკვოლ-უ-, ყელ'ინ „ტომარა“ — ყელ'ინ-უ-, ბარბვონ „ალვირი“ — ბარბვონ-უ-, ზაქონ „ჯანონი“ — ზაქონ-უ-, იხვობ „წისკელი“ — იხვობ-უ-, სომ „მანეთი“ — სომ-უ-, სიმ „ბაგე“, „ტუჩი“ — სიმ-უ-...

-ო-: სახ. ბესუნ „დანა“ — ირ. ბრ. ფუძე ბესუნ-ო- (ერგ. ბესუნ-ო-დი, ნათ. ბესუნ-ო-ლ'ი, მიც. ბესუნ-ო-ე, აფექტ. ბესუნ-ო-ბ-ო); სახ. ბეჟუნ „ნემსი“ — ირ. ბრ. ფუძე ბეჟუნ-ო- (ერგ. ბეჟუნ-ო-დი, ნათ. ბეჟუნ-ო-ლ'ი, მიც. ბეჟუნ-ო-ე, აფექტ. ბეჟუნ-ო-ბ-ო); ასევე: ქუნ „ქედლა“ — ქუნ-ო-, ყენ „კედელი“ — ყენ-ო-, სორ „მელა“ — სორ-ო-, ბილ „მთა“ — ბილ-ო-, დან „ნივთი“, „რამე“ — დან-ო-, რეტონ „ლაპარაკი“ — რეტონ-ო-, მუჰაჯირ (ქალის საკუთ. სახელი) — მუჰაჯირ-ო-, ჯოვფარ (მამაკაცის საკუთ. სახელი) — ჯოვფარ-ო-...

-ი-: დამაკავშირებელი -ი- ხმოვანი ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან დაკუთვლია მიცემითსა და აფექტივში, ხოლო ერგატივსა და ნათესაობითში (ამ ბრუნვათა -დი და -ლ'ი დაბოლოებათა წინ) — დაკარგული: სახ. ადამ „ხალხი“ — ირიბ. ბრ. ფუძე ადამ-ი- (ერგ. ადამ-დი ← ადამ-ი-დი, ნათ. ადამ-ლ'ი ← ადამ-ი-ლ'ი, მიც. ადამ-ი-ე, აფექტ. ადამ-ი-ბ-ო); სახ. ჰონ „სოფელი“, „აული“ — ირ. ბრ. ფუძე ჰონ-ი- (ერგ. ჰონ-დი ← ჰონ-ი-დი, ნათ. ჰონ-ლ'ი ← ჰონ-ი-ლ'ი, მიც. ჰონ-ი-ე, აფექტ. ჰონ-ი-ბ-ო); ასევე: ხურ „ყანა“ — ხურ-ი-, ჰინ „სისხლი“ — ჰინ-ი-, შუბ „საფლავი“ — შუბ-ი-, ყიბ „ხორბალი“ — ყიბ-ი-, ზარ „ყინული“ — ზარ-ი-, ჰირ „სპილენძი“ — ჰირ-ი-, კურ „ძუა“ — კურ-ი-.

ბაზარ „ბაზარი“ — ბაზარ-ი, მოყოლო „ქერი“ — მოყოლო-ი, ლომ „სახურავი“ — ლომ-ი, ლ'ეინ „წყალი“ — ლ'ეინ-ი, წიონ „მარილი“ — წიონ-ი, ლან „პური“ — ლან-ი, ლუნ „ზინი“ — ლუნ-ი- და ა. შ.

თანხმოვანზე (რ, ლ, მ, ნ, ზ) გათავებულ ფუძეებთან დამაკავშირებელი -ი- ხმოვნის გაუჩინარება ერგატივსა და ნათესაობითში აიხსნება ამ ბრუნვათა ხმოვანზე გათავებული -დი და ლ'ი დაბოლოებების გავლენით (მოვლენის ფონეტიკური საფუძვლის შესახებ იხ. § 21).

2) თუ სახელობითის ფუძე ხმოვანზეა გათავებული, ასეთ შემთხვევებში: ა) სახელობითის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი ირიბ ბრუნვებში შეიძლება შეცვალოს ამა თუ იმ დამაკავშირებელმა ხმოვანმა ან ბ) სახელობითის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი ფუძეს შეიძლება ირიბ ბრუნვებშიც გაჰყვეს და მაშინ დამაკავშირებელი ხმოვანი აღარ გვექნება:

ა) ხმოვანი იცვლება:

ა — უ: სახ. იმა „მამა“ — ირ. ბრ. ფუძე იმ-უ- (ერგ. იმ-უ-დი, ნათ. იმ-უ-ბ, მიც. იმ-უ-ჟ, აფექტ. იმ-უ-ბ-ო); სახ. ილა „ღეღა“ — ირ. ბრ. ფუძე ილ-უ- (ერგ. ილ-უ-დი, ნათ. ილ-უ-ლ'ი, მიც. ილ-უ-ჟ, აფექტ. ილ-უ-ბ-ო); ასევე: წაეკა „თითი“ — წაეკ-უ-, ბერჩა „გველი“ — ბერჩ-უ, იჩა „ქაკი“ — იჩ-უ-, ფერა „ფურტკარი“ — ფერ-უ-, ბურა „ბატკანი“ — ბურ-უ-, ჰანტიკა „ყური“ — ჰანტიკ-უ-, მისწარა „ობობა“ — მისწარ-უ...

ა — ი: სახ. გულლა „ტყვია“ — ირ. ბრ. ფუძე გულლ-ი- (ერგ. გულლ-ი-დი, ნათ. გულლ-ი-ლ'ი, მიც. გულლ-ი-ჟ, აფექტ. გულლ-ი-ბ-ო); ასევე: ქურტა „ჩაქუჩი“ — ქურტ-ი-.

ა — თ: სახ. ლ'ურლ'ა „ერბო“ — ირ. ბრ. ფუძე ლ'ურლ'-თ (ერგ. ლ'ურლ'-თ-დი, ნათ. ლ'ურლ'-თ-ლ'ი, მიც. ლ'ურლ'-თ-ჟ, აფექტ. ლ'ურლ'-თ-ბ-ო).

ი — უ: სახ. ვოცაი „ძმა“ — ირ. ბრ. ფუძე ვოცა-უ- (ერგ. ვოცა-უ-დი, ნათ. ვოცა-უ-ბ, მიც. ვოცა-უ-ჟ, აფექტ. ვოცა-უ-ბ-ო); სახ. ღოცაი „და“ — ირ. ბრ. ფუძე ღოცა-უ- (ერგ. ღოცა-უ-დი, ნათ. ღოცა-უ-ლ'ი, მიც. ღოცა-უ-ჟ, აფექტ. ღოცა-უ-ბ-ო); ასევე: ღოში „ქალიშვილი“ — ღოშ-უ-, ვარანი „აქლემი“ — ვარან-უ-, გამუში „კამეჩი“ — გამუ-შა-უ-, ანეიდი „ნაჯახი“ — ანეიდ-უ-...

ი — თ: სახ. ლანნი „ყვავი“ — ირ. ბრ. ფუძე ლანნ-თ- (ერგ. ლანნ-თ-დი, ნათ. ლანნ-თ-ლ'ი, მიც. ლანნ-თ-ჟ, აფექტ. ლანნ-თ-ბ-ო); ასევე: წაზი „ბატი“ — წაზ-თ-, გეჟი „ძუ ძალი“ — გეჟ-თ-...

უ — ო: სახ. გედუ „კატა“ — ირ. ბრ. ფუძე გედ-ო- (ერგ. გედ-ო-ლი, ნათ. გედ-ო-ლი, მიც. გედ-ო-ე, აფექტ. გედ-ო-ბ-ო); ასევე: ყაურრუ „ბაყაყი“ — ყაურრ-ო-.

უ — ი: ლაქუ „მქლავი“ — ირ. ბრ. ფუძე ლაქ-ი- (ერგ. ლაქ-ი-ლი, ნათ. ლაქ-ი-ლი, მიც. ლაქ-ი-ე, აფექტ. ლაქ-ი-ბ-ო).

ო — უ: სახ. ვოშო „ვაჭიშვილი“ — ირ. ბრ. ფუძე ვოშ-უ- (ერგ. ვოშ-უ-ლი, ნათ. ვოშ-უ-ბ, მიც. ვოშ-უ-ე, აფექტ. ვოშ-უ-ბ-ო); ასევე: ბოწო „მგელი“ — ბოწ-უ-.

ო — ი: სახ. ქვანო „ბლუზა“; „პერანგი“ — ირ. ბრ. ფუძე ქვან-ი- (ერგ. ქვან-ი-ლი, ნათ. ქვან-ი-ლი, მიც. ქვან-ი-ე, აფექტ. ქვან-ი-ბ-ო); ასევე: ტაერქო „მოჩი“; „ღირე“ — ტაერქ-ი-.

ბ) ხმოვანი უცვლელია:

ა — ა: სახ. წა „ცეცხლი“ — ირ. ბრ. ფუძე წა- (ერგ. წა-ლი || წალ-ლი, ნათ. წა-ლი, მიც. წა-ე || წალ-ლი-ა-ი-ე, აფექტ. წა-ბ-ო || წალ-ლი-ა-ი-ბ-ო); ასევე: წა „წვიმა“ — წა-ა-, რედა „ჯოგი“ — რედა-.

ე — ე: სახ. ტე „ნაცარი“ — ირ. ბრ. ფუძე ტე- (ერგ. ტე-ლი, ნათ. ტე-ლი, მიც. ტე-ე, აფექტ. ტე-ბ-ო).

ი — ი: სახ. მიხი „მატყლი“ — ირ. ბრ. ფუძე მიხი- (ერგ. მიხი-ლი, ნათ. მიხი-ლი, მიც. მიხი-ე, აფექტ. მიხი-ბ-ო); ასევე: მოჩი „ქარი“ — მოჩი-, ქოში „წვენი“ — ქოში-.

ო — ო: სახ. კვორლო „ბალახი“ — ირ. ბრ. ფუძე კვორლო (ერგ. კვორლო-ლი, ნათ. კვორლო-ლი, მიც. კვორლო-ე, აფექტ. კვორლო-ბ-ო); ასევე: მოკვო „სკამი“ — მოკვო-, ისო „ყველი“ — ისო-.

უ — უ: სახ. კოთუ „ცხენი“ — ირ. ბრ. ფუძე კოთუ- (ერგ. კო-თუ-ლი, ნათ. კოთუ-ლი, მიც. კოთუ-ე, აფექტ. კოთუ-ბ-ო); ასევე: ჰაყაუ- „სახლი“ — ჰაყაუ-, ზუბუ „ღდე“ — ზუბუ-, ზი'ვ'უ „ძროხა“ — ზი'ვ'უ-, მიგაუუ „წვერი“ — მიგაუუ-, კონჩუ „ხახვი“ — კონჩუ-.

შენი შვნა. ორიოდე შემთხვევაში ხმოვანზე გათავებულ ფუძეს-თან ირ. ბრუნვებში თავს იჩენს -რ (დამაკავშ. ხმოვნის გარეშე): როკვო „გული“, მილი „მზე“ — ნათ. როკვორ-ლი, მილირ-ლი.

დამაკავშირებელი ხმოვანი ბრუნების პროცესში თავს იჩენს ხუნძ.-ანდ.-დიდ. სხვა ენებშიც (შდრ., მაგალ., ხუნძურში: ბაწ „მგელი“ — ერგ. ბაწ-ი-ცა, ნათ. ბაწ-ი-ლ, მიც. ბაწ-ი-ე-ე; ჰოქო „ურემი“ — ერგ. ჰაქ-ი-ცა და ა. შ.; ბაყ „მზე“ — ერგ. ბაყ-უ-ცა და ა. შ. ხუნძურში დამაკავშირებელი ხმოვნის როლში მეტ-ნაკლები სიხშირით შეიძლება გვქონდეს ყველა ხმოვანი)<sup>1</sup> და დადესტნის სხვა.

<sup>1</sup> „ხუნძ. ენა“, § 78, გვ. 122—124; ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა, გვ. 69.

ენებშიც (შდრ., მაგალ., ლაკურში: ბარწ „მგელი“ — ნათ. ბურწ-ი-ლ, მიც. ბურწ-ი-ნ: მალი „სახურავი“ — ნათ. მალ-უ-ლ და ა. შ.)<sup>1</sup>.

ანდიურში დამაკავშირებელი ხმოვანი მხ. რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფორმებში, როგორც ზემოთაც იყო ნათქვამი, შეიძლება გვექონდეს ფუძის სავრცობი ელემენტების მომდევნოდაც. ასეთ შემთხვევაში იგი სტანდარტიზებულია (იხ. ქვ.). სტანდარტიზებულია დამაკავშირებელი ხმოვანი მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფორმებშიც (იხ. ბრუნება მრ. რიცხვში). რაც შეეხება დამაკავშირებელ ხმოვნებს მხ. რიცხვის უსავრცობო ბრუნების ირიბ ბრუნვათა ფორმებში. მათი ვარიაციების (ჟ/ო/ი) მიზეზი გაურკვეველია: წინასწარ იმის გათვალისწინება, თუ რა ფუძესთან რა დამაკავშირებელი ხმოვანი გვექნება, არ ხერხდება (იხილეთ: როგორც არ ხერხდება ეს არც ხტნაურში).

§ 64. შა- და -ლ'ა- სავრცობი ელემენტები ირიბ ბრუნვათა ფუძეში. სახელობითი ბრუნვის ფუძისაგან განსხვავებით ირიბ ბრუნვათა ფუძეში შეიძლება გვექონდეს -შა- და -ლ'ა- სავრცობი ელემენტები. ამათგან -შა- გვხვდება I კლასის სახელებში, -ლ'ა- II კლასის სახელებში და შესაძლოა დანარჩენ კლასთა სახელებშიც.

შა-ცა და -ლ'ა-ც უშუალოდ სახელობითი ბრუნვის ფუძეს დაერთვის: ჰეკა -კაცი“ — ჰეკა-შა-, ჯოშკა „ქალი“ — ჯოშკა-ლ'ა-. ბრუნვის ნიშნები კი მათ შეიძლება ერთვოდეს დამაკავშირებელი ხმოვნის მეშვეობით ან ასეთი ხმოვნის გარეშეც. დამაკავშირებელი ხმოვნის როლში შა-სთან -უ- გვაქვს (-შა-უ-), ხოლო -ლ'ა-სთან — -ი- (-ლ'ა-ი-). ასეთ შემთხვევებში, როცა -შა-სა და -ლ'ა-ს ბრუნვის ნიშანი უშუალოდ დაერთვის. ფუძის ამ ელემენტებსა და ბრუნვის ნიშანს შორის, ივარაუდება. ყოველთვის დაკარგულია დამაკავშირებელი ხმოვანი. -შა- და -ლ'ა- სავრცობ ელემენტებთან დამაკავშირებელი ხმოვანი დაცულია, თუ მომდევნო ბრუნვის ნიშანი ოდენ თანხმოვნის შემცველია, ხოლო თუ მომდევნო ბრუნვის ნიშანი თანხმოვანთან ერთად ხმოვანსაც შეიცავს (resp. თანხმოვნით დაწყებულია მარცვალა), დამაკავშირებელი ხმოვანი მის წინ დაკარგულია.

ხმოვნის დაკარგვასთან, თავის მხრივ. დაკავშირებულია რიგი ფონეტიკური ცვლილება, რაც -შა- და -ლ'ა- სავრცობ ელემენტთა

<sup>1</sup> П. Услар. Лакский язык. § 16: ვ. თოფური. ბრუნების სისტემისა და ლაკურ ენაში. საქ. მუზეუმის მონაბე. X — В. გვ. 331: Л. Жирков. Лакский язык. гв. 29. § 20.

და ბრუნვის ნიშანთა უშუალო ურთიერთობითაა გამოწვეული. ცვლილებათა მეტი წილი -ლ'ა- სავრცობ ელემენტზე მოდის. სავრცობი ელემენტი -შა- ფუძეს უცვლელად გასდევს ყველა ირიბ ბრუნვაში<sup>1</sup>.

1) -შა- (დამაკავშირებელი ხმოვნითურთ: -შა-უ-) სავრცობი მომდევნო ბრუნვის ნიშნებთან ერთად და მათი ურთიერთობით გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებები ბრუნების პროცესში.

ანდი

ერგ. -შა-ღი ← -შა-უ-ღი  
 ნათ. -შა-უ-(-)<sup>2</sup>  
 მიც. -შა-უ-ჲ  
 აფექტ. -შა-უ-(-)-ო

ჰეკა „კაცი“ — ერგ. ჰეკა-შა-ღი ← ჰეკა-შა-უ-ღი, ნათ. ჰეკა-შა-უ-(-), მიც. ჰეკა-შა-უ-ჲ, აფექტ. ჰეკა-შა-უ-(-)-ო; ჰომოლოგი „ამხანაგი (მამაკაცი)“ — ერგ. ჰომოლოგი-შა-ღი ← ჰომოლოგი-შა-უ-ღი, ნათ. ჰომოლოგი-შა-უ-(-), მიც. ჰომოლოგი-შა-უ-ჲ, აფექტ. ჰომოლოგი-შა-უ-(-)-ო; წიე „სტუმარი (მამაკაცი)“ — ერგ. წიე-შა-ღი ← წიე-შა-უ-ღი, ნათ. წიე-შა-უ-(-), მიც. წიე-შა-უ-ჲ, აფექტ. წიე-შა-უ-(-)-ო; ყ'ვანნა-ვ „ანდიელი (მამაკაცი)“ — ერგ. ყ'ვანნა-შა-ღი ← ყ'ვანნა-შა-უ-ღი, ნათ. ყ'ვანნა-შა-უ-(-), მიც. ყ'ვანნა-შა-უ-ჲ, აფექტ. ყ'ვანნა-შა-უ-(-)-ო; მადუჰალ „მეზობელი (მამაკაცი)“ — ერგ. მადუჰალ-შა-ღი ← მადუჰალ-შა-უ-ღი, ნათ. მადუჰალ-შა-უ-(-), მიც. მადუჰალ-შა-უ-ჲ, აფექტ. მადუჰალ-შა-უ-(-)-ო; ვაცაყალ „ბიძაშვილი (მამაკაცი)“ — ერგ. ვაცაყალ-შა-ღი ← ვაცაყალ-შა-უ-ღი, ნათ. ვაცაყალ-შა-უ-(-), მიც. ვაცაყალ-შა-უ-ჲ, აფექტ. ვაცაყალ-შა-უ-(-)-ო...

როგორც ჩანს, ანდის თქმაში სავრცობი -შა- კარგავს დამაკავშირებელ ხმოვანს ერგატიულ ბრუნვაში -ღი დაბოლოების გავლენით (დანარჩენ ბრუნვებში ოდენ თანხმოვნის შემცველ მორფემათა წინ დამაკავშირებელი ხმოვანი დაცულია). ამის შემდეგ კი -შა-სთან უშუა-

<sup>1</sup> ა. დირი მიუთითებს ირიბ ბრუნვათა ფუძის სავრცობ -შა- ელემენტზე, მაგრამ არაფერს ამბობს მისი კორელატის. -ლ'ა-ს, შესახებ (იხ. ნისი: АНД. ЯЗ., გვ. 8: Einführung, გვ. 183).

<sup>2</sup> (-) ბრუნვის ფორმებში აღნიშნავს ცვლებად კლას-ნიშანს. სქემაში და საილუსტრაციო მაგალითებში ფუძის სავრცობი ელემენტი მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით აწყობილია შავით.

ლო ბეზობლობაში მოქცეული დაბოლოებისეული თანხმოვანი  $\bar{d} \rightarrow \bar{d}$  (-შა-დი  $\rightarrow$  შა-დი — § 44). ანალოგიური ცვლილება ხდება დანარჩენ თქმებშიც (რიკვანის თქმის გამოკლებით—იხ. ქვ.).

მხოლოდ რიკვანის თქმაში, რომელშიც ერგატივის დაბოლოებას მოკვეცილი აქვს ხმოვანი (- $\bar{d} \leftarrow -\bar{d}$ ), ფუძის სავრცობ -შა-ს ამ ბრუნვაშიც შენარჩუნებული აქვს დამაკავშირებელი ხმოვანი (და დაბოლოებისეული - $\bar{d}$ -ც შენახულია - $\bar{d}$ -ში გადაუსვლელად). სამაგიეროდ -შა- სავრცობს დაკარგული აქვს დამაკავშირებელი -უ- ხმოვანი მიცემით ბრუნვაში, რომელსაც ამ თქმაში -ლ'უ დაბოლოება დაერთვის, და, აგრეთვე, აფექტიურ ბრუნვაში, რომლის დაბოლოებას შეადგენს გაქვევებული კლას-ნიშანი ბ მომდევნო - $\bar{a}$  ხმოვნით (- $\bar{b}\bar{a}$ ). ცხადია, დამაკავშირებელი ხმოვნის დაკარგვა მიცემითსა და აფექტივში ხმოვანზე გათავებულ მორფემათა გავლენის შედეგია (იმ თქმებში, რომლებშიც მიცემითის დაბოლოებაა - $\bar{a}$ , ხოლო აფექტივში კლას-ნიშანი შეუხორცბელია მომდევნო - $\bar{a}$  დაბოლოებასთან, ამ — ოდენ თანხმოვიან — მორფემათა წინ დამაკავშირებელი -უ- ხმოვანი შენახულია ამოუღებლად). ამრიგად:

რიკვანი

ერგ.	-შა-უ-დ ( $\leftarrow$ -შა-უ-დი)
ნათ.	-შა-უ (-)
მიც.	-შა-ლ'უ $\leftarrow$ შა-უ-ლ'უ
აფექტ.	-შა-ბო $\leftarrow$ შა-უ-ბო $\leftarrow$ შა-უ-(-)-ო

ჰეკა „კაცი“ — ერგ. ჰეკა-შა-უ-დ ( $\leftarrow$  ჰეკა-შა-უ-დი), ნათ. ჰეკა-შა-უ-(-), მიც. ჰეკა-შა-ლ'უ  $\leftarrow$  ჰეკა-შა-უ-ლ'უ, აფექტ. ჰეკა-შა-ბო  $\leftarrow$  ჰეკა-შა-უ-ბო; წაე „სტუმარი“ (მამაკაცი) — ერგ. წაე-შა-უ-დ ( $\leftarrow$  წაე-შა-უ-დი), ნათ. წაე-შა-უ-(-), მიც. წაე-შა-ლ'უ  $\leftarrow$  წაე-შა-უ-ლ'უ, აფექტ. წაე-შა-ბო  $\leftarrow$  წაე-შა-უ-ბო...

2) ლ'ა- (დამაკავშირებელი ხმოვნითურთ: -ლ'ა-ი-) სავრცობი მომდევნო ბრუნვის ნიშნებთან ერთად და მათი ურთიერთობით გამოწვეული ფონეტიკური ცვლილებები ბრუნების პარაცესში. როგორც ვნახეთ, -შა- სავრცობმა გარკვეულ ბრუნვათა დაბოლოების წინ შეიძლება დაკარგოს დამაკავშირებელი ხმოვანი -უ-, მაგრამ, ამისდამიუხედავად, იგი სათანადო ფუძეს უცვლელად შერჩება ყველა ირიბ ბრუნვაში; რაც შეეხება -ლ'ა- სავრცობს, იგი ფუძეში დაცულია უცვლელად, თუ მისი მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვანი -ი- დაკარგული არ არის, ხოლო თუ დამაკავშირებელი ხმოვანი გვაკლია, ფუძის ეს სავრცობი ბრუნვის ნიშანთან უშუალო მეზობლობაში

ფონეტიკურ ნიადაგზე შეიძლება შეიცვალოს სხვა თანხმოვნით (ბოლოხმოვნიან ფუძესთან) ან სულ დაიკარგოს (ბოლოთანხმოვნიან ფუძესთან).

ა) ბოლოხმოვნიან ფუძესთან:

ანდი

- ერგ. -ლ-დი ← -ლ'ა-დი ← -ლ'ა-ი-დი
- ნათ. -ლ-ლ'ი ← -ლ'ა-ლ'ი ← -ლ'ა-ი-ლ'ი
- მიც. -ლ-ლ'ა-ი-მ ← -ლ'ა-ი-მ
- აფექტ. -ლ-ლ'ა-ი(-)-ო ← -ლ'ა-ი(-)-ო

დომკა „ქალი“ — ერგ. დომკა-ლ-დი ← დომკა-ლ'ა-დი ← დომკა-ლ'ა-ი-დი, ნათ. დომკა-ლ-ლ'ი ← დომკა-ლ'ა-ლ'ი ← დომკა-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. დომკა-ლ-ლ'ა-ი-მ ← დომკა-ლ'ა-ი-მ, აფექტ. დომკა-ლ-ლ'ა-ი(-)-ო ← დომკა-ლ'ა-ი(-)-ო; ნუსა „რძალი“ — ერგ. ნუსა-ლ-დი ← ნუსა-ლ'ა-დი ← ნუსა-ლ'ა-ი-დი, ნათ. ნუსა-ლ-ლ'ი ← ნუსა-ლ'ა-ლ'ი ← ნუსა-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ნუსა-ლ-ლ'ა-ი-მ ← ნუსა-ლ'ა-ი-მ, აფექტ. ნუსა-ლ-ლ'ა-ი(-)-ო ← ნუსა-ლ'ა-ი(-)-ო; წყე „სტუმარი (ქალი)“ — ერგ. წყე-ლ-დი ← წყე-ლ'ა-დი ← წყე-ლ'ა-ი-დი, ნათ. წყე-ლ-ლ'ი ← წყე-ლ'ა-ლ'ი ← წყე-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. წყე-ლ-ლ'ა-ი-მ ← წყე-ლ'ა-ი-მ, აფექტ. წყე-ლ-ლ'ა-ი(-)-ო ← წყე-ლ'ა-ი(-)-ო; ინქვა „ურემი“ — ერგ. ინქვა-ლ-დი ← ინქვა-ლ'ა-დი ← ინქვა-ლ'ა-ი-დი, ნათ. ინქვა-ლ-ლ'ი ← ინქვა-ლ'ა-ლ'ი ← ინქვა-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ინქვა-ლ-ლ'ა-ი-მ ← ინქვა-ლ'ა-ი-მ, აფექტ. ინქვა-ლ-ლ'ა-ი(-)-ო ← ინქვა-ლ'ა-ი(-)-ო; ჰინწო „ქვა“ — ერგ. ჰინწო-ლ-დი ← ჰინწო-ლ'ა-დი ← ჰინწო-ლ'ა-ი-დი, ნათ. ჰინწო-ლ-ლ'ი ← ჰინწო-ლ'ა-ლ'ი ← ჰინწო-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ჰინწო-ლ-ლ'ა-ი-მ ← ჰინწო-ლ'ა-ი-მ, აფექტ. ჰინწო-ლ-ლ'ა-ი(-)-ო ← ჰინწო-ლ'ა-ი(-)-ო...

როგორც ჩანს, სავრცობი -ლ'ა- მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით (-ლ'ა-ი) უცვლელადაა დაცული მიცემითსა და აფექტივში (დამაკავშირებელი ხმოვანი აქ არ არის დაკარგული, რაკი მომდევნო მორფემები ოდენ თანხმოვნის შემცველია). ერგატივში, რომელშიც ხმოვანზე გათავებული -დი დაბოლოების წინ დაკარგულია დამაკავშირებელი -ი- ხმოვანი, -ლ'ა სავრცობი შეცვლილია -ლ-თი, ხოლო მომდევნო დაბოლოებისეული **დ** თანხმოვანი — დ-თი: -ლ'ა-დი (← -ლ'ა-ი-დი) → -ლ-დი (§ 44).

ნათესაობით ბრუნვაშიც ხმოვანზე გათავებული -ლ'ი დაბოლოების წინ დაკარგულია დამაკავშირებელი ი ხმოვანი და -ლ'ა- სავრცობის ნაცვლად აქაც -ლ- გვაქვს (ლ'ა-ლ'ი → ლ-ლ'ი).

-ლ- (← ლ'ა-) გაჰყვება ფუძეს მიცემითსა და აფექტივშიც: სადაც -ლ-ს პროტოტიპი -ლ'ა- დაცულია და ამდენად -ლ- აქ „ზედმეტიც“ კია (მიც. -ლ-ლ'ა-ი-(-)-ა, აფექტ. -ლ-ლ'ა-ი-(-)-ო). აშკარაა, რომ ამ ბრუნვებში -ლ- (← ლ'ა-) — ბოლოხმოვნთან — ფუძეს გადმოყოლილი აქვს ერგ. (ნათ.)-დან [მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში მიცემითისა და აფექტივის ფუძეში „ზედმეტი“ (ანალოგიით გაჩენილი) -ლ- არ იჩენს თავს — იხ. ქვ.]

ლაღათლი

ერგ. -ლ-დი ← ლ'ა-დი ← -ლ'ა-ი-დი  
 ნათ. -ლ-ლ'ი ← -ლ'ა-ლ'ი ← -ლ'ა-ი-ლ'ი  
 მიც. -ლ-ლ'უ ← -ლ-ლ'ა-ლ'უ ← -ლ-ლ'ა-ი-ლ'უ ← ლ'ა-ი-ლ'უ  
 აფექტ. -ლ-ლ'ა-ი-(-)-ო ← ლ'ა-ი-(-)-ო

აქვე „ქალი“ — ერგ. აქვე-ლ-დი ← აქვე-ლ'ა-დი ← აქვე-ლ'ა-ი-დი, ნათ. აქვე-ლ-ლ'ი ← აქვე-ლ'ა-ლ'ი ← აქვე-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. აქვე-ლ-ლ'უ ← აქვე-ლ-ლ'ა-ლ'უ ← აქვე-ლ'ა-ი-ლ'უ, აფექტ. აქვე-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო ← აქვე-ლ'ა-ი-(-)-ო, -ო; ნუსა „რძალი“ — ერგ. ნუსა-ლ-დი ← ნუსა-ლ'ა-დი ← ნუსა-ლ'ა-ი-დი, ნათ. ნუსა-ლ-ლ'ი ← ნუსა-ლ'ა-ლ'ი ← ნუსა-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ნუსა-ლ-ლ'უ ← ნუსა-ლ-ლ'ა-ლ'უ ← ნუსა-ლ'ა-ი-ლ'უ ← ნუსა-ლ'ა-ი-ლ'უ, აფექტ. ნუსა-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო ← ნუსა-ლ'ა-ი-(-)-ო; ინქვა „ურემი“ — ერგ. ინქვა-ლ-დი ← ინქვა-ლ'ა-დი ← ინქვა-ლ'ა-ი-დი, ნათ. ინქვა-ლ-ლ'ი ← ინქვა-ლ'ა-ლ'ი ← ინქვა-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ინქვა-ლ-ლ'უ ← ინქვა-ლ-ლ'ა-ლ'უ ← ინქვა-ლ'ა-ი-ლ'უ, აფექტ. ინქვა-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო ← ინქვა-ლ'ა-ი-(-)-ო...

როგორც ჩანს, ლაღათლის თქმაში ანდის თქმასთან შედარებით თავისებურია მიცემითი ბრუნვის ფუძე, რომელსაც სავრცობი -ლ'ა- მომდევნო დამაკავშირებელი ი ხმოვნით სულ დაკარგული აქვს (მიცემითის ფუძეში ლაღათლურში მხოლოდ ანალოგიით გაჩენილი -ლ- მოგვეპოვება). ეს შემდეგი თანმიმდევრობით უნდა მომხდარიყო: ჯერ ხმოვანზე გათავებული -ლ'უ დაბოლოების წინ დაიკარგებოდა დამაკავშირებელი -ი- ხმოვანი (-ლ-ლ'ა-ი-ლ'უ → -ლ-ლ'ა-ლ'უ), ხოლო შემდეგ — ლ'უ დაბოლოების წინ მოხვედრილი -ლ'ა- სავრცობიც ფუძისა (-ლ-ლ'ა-ლ'უ → -ლ-ლ'უ — ორი ლატერალური თანხმოვნისაგან შედგენილი კომპლექსის გამარტივების შედეგად). იმ თქმებში, რომლებშიც მიცემითის დაბოლოებაა -ა, ანალოგიური ცვლილებები ფუძეში არ ხდება (ა-ს წინ დაცულია დამაკავშირებელი ხმოვანი, რაც უზრუნველყოფს წინამდებელი -ლ'ა-ს უცვლელად შემონახვასაც).



რიკვანი

- ერგ. -ლ-დ ← -ლ'ა-დ ← -ლ'ა-ი-დ (← ლ'ა-ი-დი)
- ნათ. -ლ-ლ' ← -ლ'ა-ლ' ← -ლ'ა-ი-ლ' (← ლ'ა-ი-ლ'ი)
- მიც. -ლ-ლ'ა-ი-ა' ← -ლ'ა-ი-ა
- აფექტ. -ლ-ლ'ა-ბო ← -ლ-ლ'ა-ი-ბო ← -ლ'ა-ი-(-)-ო

ნუსა „რძალი“ — ერგ. ნუსა-ლ-დ ← ნუსა-ლ'ა-დ ← ნუსა-ლ'ა-ი-დ (← ნუსა-ლ'ა-ი-დი), ნათ. ნუსა-ლ-ლ' ← ნუსა-ლ'ა-ლ' ← ნუსა-ლ'ა-ი-ლ' (← ნუსა-ლ'ა-ი-ლ'ი), მიც. ნუსა-ლ-ლ'ა-ი-ა ← ნუსა-ლ-ლ'ა-ი-ა ← ნუსა-ლ'ა-ი-ა, აფექტ. ნუსა-ლ-ლ'ა-ბო ← ნუსა-ლ-ლ'ა-ი-ბო ← ნუსა-ლ'ა-ი-(-)-ო...

ამრიგად, რიკვანის თქმაში ერგატივისა და ნათესაობითის ფუძეში -ლ'ა- სავრცობ ელემენტს იგივე ცვლილება მოსდის, რაც ანდისა და ღალათლის თქმებში, თუმცა აქ ამ ბრუნვათა დაბოლოებებს ხმოვანი აქვთ მოკვეცილი (-დ ← -დი, -ლ' ← -ლ'ი); ასეთ დაბოლოებათა წინ არ უნდა დაქარგულიყო -ლ'ა- სავრცობი ელემენტის თანმხლები დამაკავშირებელი ხმოვანი ი და, მაშასადამე, თვით -ლ'ა-ც უცვლელად უნდა შენახულიყო (ზღრ.: იმავე თქმაში -შა-სავრცობის თანმხლები დამაკავშირებელი -უ- ხმოვანი დაცულია ერგატივში ხმოვან მოკვეცილი -დ დაბოლოების წინ — იხ. ზემოთ); მაგრამ -ლ'ა- სავრცობიანი ბრუნებისას ერგატივის -დი და ნათესაობითის -ლ'ი დაბოლოებებს ხმოვანი, ჩანს, მოკვეცილი აქვთ მას შემდეგ, რაც ფუძეში ცვლილებები მათი გავლენით უკვე მომხდარი იყო.

რიკვანის თქმაში თავისებურია აფექტივის ფუძეში -ლ'ა-—სავრცობის მომდევნოდ დამაკავშირებელი ი ხმოვნის მოკვეცვა, რაც -ბო დაბოლოების გავლენას მიეწერება (ეს ისევე, როგორც -შა-სავრცობის მომდევნოდ დამაკავშირებელი -უ- ხმოვნის მოკვეცვა ამავე ბრუნვაში: -შა-ბო ← -შა-უ-ბო — იხ. ზემოთ).

თავისებურია, აგრეთვე, მიცემითის ფორმაში -ა დაბოლოების დაქარგვა დამაკავშირებელი -ი- ხმოვნის მომდევნოდ (-ლ'ა-ი-ა ← -ლ'ა-ი-), მაგრამ ეს ცვლილება ბრუნვის ნიშანს ეხება და არა ფუძის სავრცობ -ლ'ა-ს, რომელიც აქ მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით დაცულია.

ქვანხიდათლი

- ერგ. -ლ-დი ← -ლ'ა-დი ← -ლ'ა-ი-დი
- ნათ. -ლ-ლ'ი ← -ლ'ა-ლ'ი ← -ლ'ა-ი-ლ'ი
- მიც. -ლ'ა-ი-ა
- აფექტ. -ლ'ა-ი-ა-ო ← -ლ'ა-ი-(-)-ო

ნუსა „რძალი“ — ერგ. ნუსა-ლ-ღი ← ნუსა-ლ'ა-ღი ← ნუსა-ლ'ა-ი-ღი, ნათ. ნუსა-ლ-ღ'ი ← ნუსა-ლ'ა-ღ'ი ← ნუსა-ლ'ა-ი-ღ'ი, მიც. ნუსა-ლ'ა-ი-ღ, აფექტ. ნუსა-ლ'ა-ი-ღ-ო ← ნუსა-ლ'ა-ი-(-)-ო; ეგში „ქალი-შვილი“ — ერგ. ეგში-ლ-ღი ← ეგში-ლ'ა-ღი ← ეგში-ლ'ა-ი-ღი, ნათ. ეგში-ლ-ღ'ი ← ეგში-ლ'ა-ღ'ი ← ეგში-ლ'ა-ი-ღ'ი, მიც. ეგში-ლ'ა-ი-ღ, აფექტ. ეგში-ლ'ა-ი-ღ-ო ← ეგში-ლ'ა-ი-(-)-ო...

ქვანხიდათლის თქმაში (ისევე, როგორც სხვა თქმებში) -ლ'ა- → -ლ- ერგატივისა და ნათესაობითის ფუძეში, მაგრამ — განსხვავებით ანდის, ლალათლისა და სხვ. თქმებისაგან — მიცემითისა და აფექტივის ფუძეში, სადაც ლ'ა- დაცულია, ანალოგიით გაჩენილი -ლ- თავს არ იჩენს (მიც. ნუსა-ლ'ა-ი-ღ „რძალსა“, აფექტ. ნუსა-ლ'ა-ი-ღ-ო... და არა: ნუსა-ლ-ღ'ა-ი-ღ, ნუსა-ლ-ღ'ა-ი-ღ-ო, როგორც ეს ანდისა და სხვ. თქმებში შეიძლება გვეკონდეს — იხ. ზემოთ).

მუნობი

- ერგ. -რ-ღი ← -ლ-ღი ← -ლ'ა-ღი ← -ლ'ა-ი-ღი
- ნათ. -ღ'ი ← -ღ'ა-ღ'ი ← -ღ'ა-ი-ღ'ი
- მიც. -ღ'ა-ი-ღ
- აფექტ. -ღ'ა-ი-ღ-ო ← -ღ'ა-ი-(-)-ო

ნუსა „რძალი“ — ერგ. ნუსა-რ-ღი ← ნუსა-ლ-ღი ← ნუსა-ლ'ა-ღი ← ნუსა-ლ'ა-ი-ღი, ნათ. ნუსა-ღ'ი ← ნუსა-ღ'ა-ღ'ი ← ნუსა-ღ'ა-ი-ღ'ი, მიც. ნუსა-ღ'ა-ი-ღ, აფექტ. ნუსა-ღ'ა-ი-ღ-ო ← ნუსა-ღ'ა-ი-ღ-ო: ეგში „ქალიშვილი“ — ერგ. ეგში-რ-ღი ← ეგში-ლ-ღი ← ეგში-ლ'ა-ღი ← ეგში-ლ'ა-ი-ღი, ნათ. ეგში-ღ'ი ← ეგში-ღ'ა-ღ'ი ← ეგში-ღ'ა-ი-ღ'ი, მიც. ეგში-ღ'ა-ი-ღ, აფექტ. ეგში-ღ'ა-ი-ღ-ო ← ეგში-ღ'ა-ი-(-)-ო...

მუნობის თქმაში, როგორც ჩანს, თავისებურია ერგატივის ფუძეში -ლ'ა-ს ნაცვლად -რ-; ეს -რ- უშუალოდ მიღებულია -ლ-საგან (← -ლ'ა-) (§ 38). სპეციფიკურია მუნობის თქმისათვის ნათესაობით ბრუნვაში -ლ'ი დაბოლოების წინ -ლ'ა- საერცობის უკვალოდ დაკარგვა. დამაკავშირებელი ი ხმოვნის ჩაყარდნის შემდეგ ფუძის -ლ'ა- საერცობისა და ნათესაობითი ბრუნვის -ლ'ი დაბოლოების თანხმოვნითი ელემენტისაგან შედგენილი კომპლექსი აქ გამარტივებულია პირველი კომპონენტის დაკარგვის ხარჯზე: -ლ'ა-ღ'ი → ლ'ი- (მღრ. სხვა თქმებში: -ლ'ა-ღ'ი → ლ-ღ'ი — იხ. ზემოთ).

მუნობის თქმაში (ისევე, როგორც ქვანხიდათლისაში) არ დასტურდება ანალოგიით გაჩენილი — „ზედმეტი“ — -ლ- (← -ლ'ა-) არც მიცემითისა და აფექტივის ფუძეში; აქ მხოლოდ -ლ'ა- გვაქვს მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით: -ლ'ა-ი- (და არა: -ლ-ღ'ა-ი-).

ბ) ბოლოთანხმოვნის ფუძესთან  
ანდი

ერგ.	-დი ← -ლ'ა-დი ← -ლ'ა-ი-დი
ნათ.	-ლ'ი ← -ლ'ა-ლ'ი ← -ლ'ა-ი-ლ'ი
მიც.	-ლ'ა-ი-ჲ
აფექტ.	-ლ'ა-ი-(-)-ო

მაცხვალ „ბიძაშვილი (ქალი)“ — ერგ. მაცხვალ-დი ← მაცხვალ-ლ'ა-დი ← მაცხვალ-ლ'ა-ი-დი; ნათ. მაცხვალ-ლ'ი ← მაცხვალ-ლ'ა-ლ'ი ← მაცხვალ-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. მაცხვალ-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. მაცხვალ-ლ'ა-ი-(-)-ო; მადუჰალ „მეზობელი (ქალი)“ — ერგ. მადუჰალ-დი ← მადუჰალ-ლ'ა-დი ← მადუჰალ-ლ'ა-ი-დი, ნათ. მადუჰალ-ლ'ი ← მადუჰალ-ლ'ა-ლ'ი ← მადუჰალ-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. მადუჰალ-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. მადუჰალ-ლ'ა-ი-(-)-ო; თოხთურ „ეჭიმი (ქალი)“ — ერგ. თოხთურ-დი ← თოხთურ-ლ'ა-დი ← თოხთურ-ლ'ა-ი-დი, ნათ. თოხთურ-ლ'ი ← თოხთურ-ლ'ა-ლ'ი ← თოხთურ-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. თოხთურ-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. თოხთურ-ლ'ა-ი-(-)-ო; ლ'აენ „წყალი“ — ერგ. ლ'აენ-დი ← ლ'აენ-ლ'ა-დი ← ლ'აენ-ლ'ა-ი-დი, ნათ. ლ'აენ-ლ'ი ← ლ'აენ-ლ'ა-ლ'ი ← ლ'აენ-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ლ'აენ-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. ლ'აენ-ლ'ა-ი-(-)-ო, ქაუბ „რკინა“ — ერგ. ქაუბ-დი ← ქაუბ-ლ'ა-დი ← ქაუბ-ლ'ა-ი-დი, ნათ. ქაუბ-ლ'ი ← ქაუბ-ლ'ა-ლ'ი ← ქაუბ-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ქაუბ-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. ქაუბ-ლ'ა-ი-(-)-ო...

ბოლოხმოვნისანი ფუძისაგან განსხვავებით ბოლოთანხმოვნისანი ფუძესთან: ა) სავრცობი -ლ'ა- მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით (-ლ'ა-ი-) მთლიანად დაკარგულია ერგატისა და ნათესაობითში (ამის გამო ამ ბრუნვათა ფუძეს სახელობითის ფუძისაგან გარვეწულად აღარაფერი განასხვავებს). უერ დაიკარგებოდა დამაკავშირებელი ხმოვანი, ხოლო შემდეგ ორ თანხმოვანს — ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანსა და დაბოლოების თავკიდურ თანხმოვანს — შორის მოქცეული -ლ'ა-ც. ერგატულ ბრუნვაში -ლ'ა-ს კვალი დაჩნდება დაბოლოებისეული -დ თანხმოვნის გემინაციაში: ქაუბ-დი „რკინამ“ და ა. შ.; ბ) მიცემითისა და აფექტივის ფუძეში, რომელსაც უცვლელად აქვს დაცული სავრცობი -ლ'ა- მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით, თავს არ იჩენს ანალოგიით განვითარებული — „ზედმეტი“ — -ლ'ა- (← ლ'ა), რომელიც ბოლოხმოვნისანი ფუძეებთან შეიძლება გვქონდეს. -ლ'ა- სავრცობი ბოლოთანხმოვნისანი ფუძესთან ანალოგიურ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის სხვა თქმებშიც..

რეკონსტრუირებული სქემები. აქვე მოგვეყავს რეკონსტრუირებული სქემები შა და ლ'ა სავრცობი ელემენტებისა მომდევნო დამაკავშირებელ ხმოვნებთან და ბრუნვის დაბოლოებებთან ერთად:

ა) -შა- სავრცობიანი	ბ) -ლ'ა- სავრცობიანი
ერგ. -შა-უ-დი	-ლ'ა-ი-დი
ნათ. -შა-უ-(-)	-ლ'ა-ი-ლ'ი
მიც. -შა-უ-ე    -შა-უ-ლ'უ	-ლ'ა-ი-ე    -ლ'ა-ი-ლ'უ
აფექტ. -შა-უ-(-)-ო	-ლ'ა-ი-(-)-ო

ამგვარი რეკონსტრუქციის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ თვით ანდიური ენის თქმათა მონაცემების (და სათანადო თქმებში სხვადასხვა ბრუნვის ფორმების) ერთმანეთთან შეპირისპირება, არამედ სხვა ანდიური ენებიც, რომელთაც აგრეთვე ახასიათებთ შესაბამის სახელთა ბრუნებისას -შა- და -ლ'ა- სავრცობი ელემენტების დართვა ირიბ ბრუნვათა ფუძეზე; შდრ., მაგალ., ბოთლიხურში<sup>1</sup>: ა) ვაშა „ვაჟი“ — ერგ. ვაშა-შა-უ-დი, ნათ. ვაშა-შა-უ-ბ, მიც. ვაშა-შა-უ-ე... ბ) ღეში „ქალიშვილი“ — ერგ. ღეში-ლ'ა-ი-დი, ნათ. ღეში-ლ'ა-ი-ლ'ი (← ღეში-ლ'ა-ი-ლ'ი), მიც. ღეში-ლ'ა-ი-ე...; კარატულში<sup>2</sup>: ა) ვაშა „ვაჟი“ — ერგ. ვაშა-შა-უ-ლ, ნათ. ვაშა-შა-უ-ბ, მიც. ვაშა-შა-უ-ვ-ა... ბ) მაშე „ქალიშვილი“ — ერგ. მაშე-ლ'ა-ი-ლ, ნათ. მაშე-ლ'ა-ი-ლ', მიც. მაშე-ლ'ა-ი-ე-ა...; ბაგვალალურში: ა) ვაშა „ვაჟი“ — ერგ. ვაშა-შა-უ-რ, ნათ. ვაშა-შა-უ-ბ, მიც. ვაშა-შა-უ-ლა, აფექტ. ვაშა-შა-უ-ბა... ბ) მაშე „ქალიშვილი“ — ერგ. მაშე-ლ'ა-ი-რ, ნათ. მაშე-ლ'ა-ი-ლ'ა, მიც. მაშე-ლ'ა-ი-ლა, აფექტ. მაშე-ლ'ა-ი-ბა...; ტინდიურში: ა) ა-ვე „ეს“ (I კლ.) — ერგ. ა-შა-უ-ე, ნათ. ა-შა-უ-ბ, მიც. ა-შა-უ-ლჰა, აფექტ. ა-შა-უ-ბა... ბ) ა-ე (II კლ.), ა-ბ (III კლ.) „ეს“ — ერგ. ა-ლ'ა-ი-ე, ნათ. ა-ლ'ა-ი-ლ'ა, მიც. ა-ლ'ა-ი-ლჰა, აფექტ. ა-ლ'ა-ი-ბა...; ლოდობერიულში: ა) ჰა-ვე (I კლ.) „ეს“ — ერგ. ჰა-შა-დი ← ჰა-შა-უ-დი, ნათ. ჰა-შა-უ-ბ, მიც. ჰა-შა-უ-ლ'ი, აფექტ. ჰა-შა-უ-რა... ბ) ჰა-ე (II კლ.) „ეს“ — ერგ. ჰა-დი ← ჰა-ლ'ა-დი ← ჰა-ლ'ა-ი-დი, ნათ. ჰა-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ჰა-ლ'ა-ი-ლ'ი, აფექტ. ჰა-ლ'ა-ი-რა...; ახვახურში: ა) ჰა-ვე (I კლ.) „ეს“ — ერგ. ჰა-ხა-უ-დე, ნათ. ჰა-ხა-უ-ბე, მიც. ჰა-ხა-უ-ლ'ა... ბ) ჰა-ე (II კლ.), ჰა-ბე (III კლ.) — ერგ. ჰა-

<sup>1</sup> იხ. ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა, გვ. 75—76.

<sup>2</sup> იხ. З. М. Магомедсєва, Склонение имени в каратинском языке (იკე, VI, გვ. 346).

ლ'ა-ი-დი, ნათ. ჰა-ლ'ა-ე-ლ'ი, მიც. ჰა-ლ'ა-ი-ლ'ა... ჰამალალურში<sup>1</sup>:  
 ა) ო (I კლ.) „ეს“ — ერგ. ო-სა-ვ-ი ← ო-სა-უ-ი (← ო-სა-უ-დი), ნათ.  
 ო-სა-უ-ბ, მიც. ო-სა-ვ-ლ'ა ← ო-სა-უ-ლ'ა, აფექტ. ო-სა-ვ-ხე ← ო-სა-უ-  
 ხე... ბ) ო-ე (II კლ.), ო-ბ (III კლ.) და ა. შ. „ეს“ — ერგ. ო-ლ'ა-ი  
 (← ო-ლ'ა-ი-დი), ნათ. ო-ლ'ა-ი-ლ', მიც. ო-ლ'ა-ლ'ა ← ო-ლ'ა-ლ'ა ←  
 ო-ლ'ა-ი-ლ'ა, აფექტ. ო-ლ'ა-ხე ← ო-ლ'ა-ი-ხე...

როგორც ზემოთ მოყვანილი ნიმუშებიდან ჩანს, -შა- და -ლ'ა- საერ-  
 ცობი ელემენტები ირიბ ბრუნვათა ფუძეში შეიძლება გვექონდეს ყვე-  
 ლა ანდიურ ენაში (ჰამალალურსა და ახვახურში -შა- → -სა- თანახმად  
 მათთვის დამახასიათებელი ფონეტიკური კანონზომიერებისა, რაც  
 მაგარ შიშინებთან არის დაკავშირებული — § 46). მასთან, ეს სა-  
 ვრცობები მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით ზოგ ენაში უცვ-  
 ლელადაა დაცული ყველა ირიბ ბრუნვაში; ზოგში კი განიცდის  
 გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას ბრუნვის ნიშნის გავლენით.

ასე, -შა-(→ || სა-)-ცა და -ლ'ა-ც მომდევნო დამაკავშირებელი  
 ხმოვნებით ყველა ირიბ ბრუნვაში დაცულია ბოთლიხურსა, კარა-  
 ტულსა, ბაგვალალურსა და ახვახურში; ლოდობერიულში -შა-ს და-  
 კარგული აქვს დამაკავშირებელი ხმოვანი -უ- ერგატიული ბრუნვის  
 -დი დაბოლოების წინ: -შა-დი ← -შა-უ-დი (ე. ი. ისევე, როგორც ან-  
 დიურ თქმებში), ხოლო მეორე საერცობი ელემენტი ლ'ა- ამავე  
 ბრუნვაში დაკარგულია მომდევნო დამაკავშირებელ ხმოვანთან ერ-  
 თად (მისი კვალი ბრუნვის დაბოლოებისეული თანხმოვნის გემინაციაში  
 დაჩნდება): -ლ'ა-ი-დი → (-ლ'ა-დი → ) -დი<sup>2</sup> (ამგვარი ცვლილება ან-  
 დიურში, როგორც ვნახეთ, ხდება მხოლოდ ბოლოთანხმოვიან ფუ-  
 ძეებთან, ლოდობერიულში კი — ბოლოხმოვიან ფუძეებთანაც); ჰამა-  
 ლალურში ორივე საერცობი ელემენტი გაჰყვება ფუძეს ყველა ირიბ  
 ბრუნვაში, მაგრამ ცვლილებებს განიცდის მომდევნო დამაკავშირე-  
 ბელი ხმოვნები (-უ- → -ვ-, ხოლო -ი- შეიძლება სულ დაიკარგოს)  
 ბრუნვათა დაბოლოების გავლენით (ჰამალალურშიც — ისევე, რო-  
 გორც ანდიურში — ასეთ შემთხვევებში მოქმედებს ხმოვნით გათა-  
 ვებული დაბოლოებები).

მაინც -შა- და -ლ'ა- საერცობ ელემენტთა და ბრუნვის ნიშანთა  
 ურთიერთობით გამოწვეული ცვლილებები ფონეტიკური ხასიათისა  
 ანდიურში უფრო ძლიერია, ვინემ ანდ. ჯგუფის სხვა რომელიმე ენაში.

<sup>1</sup> А. А. Бокарев, Чамал. яз., გვ. 67 (ამოსავალი ვარიანტები ჩვენ მიუ-  
 რაა აღდგენილი).

<sup>2</sup> ტ. გუდავა. ბოთლიხ. ენა, გვ. 26.

ანდიურისათვის სპეციფიკურია, კერძოდ, ერგატ. (და ნათ.) ბრუნვაში -ლ'ა- → -ლ- და შემდგომ ამ უკანასკნელის გავრცელება ანალოგიით სხვა ბრუნვებშიც, რაც არ დასტურდება დანარჩენ ანდიურ ენებში.

ხუნძურში ანდიურისა და სხვა ანდიურ ენათა -შა-სა და ლ'ა-ს ფარდია -სა- (← -შა- — § 46, b) და -ლ'ა-<sup>1</sup>. ისევე, როგორც ანდიურ ენებში, ხუნძურშიც ეს ელემენტები თავს იჩენენ ირიბ ბრუნვებში, მოყოლებული ერგატიული ბრუნვიდან. მასთან, ნათესაობითა და მიცემითში (აგრეთვე ადგილობით ბრუნვებში) მათ ხუნძურშიც ბრუნვის ნიშნები დაერთვის და, მაშასადამე, ამ ბრუნვათა ფორმებში ისინი ფუძის კუთვნილებას შეადგენენ, მაგრამ ერგატიულ ბრუნვაში ფუძის ამავ ელემენტებს ხუნძურში, განსხვავებით ანდიური ენებისაგან, სხვა არაფერი ერთვის და — ამდენად — ამ ბრუნვის დაბოლოებათა როლშიც გვევლინებიან (სახელობითი ბრუნვის ფორმებთან შეპირისპირებით): ა) დო-ვ (I კლ.) „ის“ — ერგ. დო-სა, ნათ. დო-სა-უ-ლ, შიკ. დო-სა-ი-ე-ე → || დო-სა-ე; ბ) დო-ჲ (II კლ.), დო-ბ (III კლ.) „ის“ — ერგ. დო-ლ'ა, ნათ. დო-ლ'ა-უ-ლ, შიკ. დო-ლ'ა-ი-ე-ე → || დო-ლ'ა-ე...

გამორიცხული არ არის, ძველად ფუძის ამ ელემენტებს ხუნძურში — მსგავსად ანდიური ენებისა — ერგატივშიც დაერთვოდა ბრუნვის ნიშანი<sup>2</sup>: ა) დო-ვ (I კლ.) „ის“ — ერგ. დო-სა- ← \*დო-სა-უ-დ'ი<sup>1</sup>, ნათ. დო-სა-უ-ლ და ა. შ.; ბ) დო-ჲ (II კლ.); დო-ბ (III კლ.) „ის“ — ერგ. დო-ლ'ა ← \*დო-ლ'ა-უ-დ'ი<sup>1</sup>, ნათ. დო-ლ'ა-უ-ლ და ა. შ. ვარსკვლავიანი ფორმები ანდიურ ენებში რეალური ფაქტია (იხ. ზემოთ). მსგავსი ფორმა ერგატივისა იშვიათად დაცულია თვით ხუნძურშიც. ერგ. ინ-სა-უ-ლ (|| -ცაა) „მამამ“, ნათ. ინ-სა-უ-ლ, და ა. შ. აქ -სა-ს ბრუნვის ნიშანი დაერთვის ერგატივშიც (ისევე, როგორც ნათესაობითსა და მიცემითში). ხუნძ. ინ-სა-უ-ლ და ანდ. ენათა იმა-შა-უ-დი „მამამ“ სტრუქტურულად ერთი და იგივეა, ოღონდ ხუნძურში ასეთი წარმოება ერგატ. ბრუნვისა ამჟამად ანომალიაა, ანდიურ ენებში — ნორმა<sup>3</sup>

<sup>1</sup> ანდ. -შა- და ლ'ა- (→ || -ლ-) და ხუნძ. -სა- და ლ'ა- ერთმანეთთან დაკავშირებული აქვს არნ. ჩიქობავას; იხ. მისი: ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში (იკე, II, 1948, გვ. 103—105).

<sup>2</sup> შდრ.: А. А. Бокарев, Чамал. яз., гв. 38. III. Г. Гаприндашвили, Образование и функции основных падежей в диалектах даргинского яз. (Труды Сталинградского гос. пед. института, III, 1956, гв. 332).

<sup>3</sup> ხუნძ. ენა<sup>3</sup>, გვ. 114.

შენიშვნა. ხუნძურში -სა-სა და -ლ'ა-ს არსებით სახელებში (და ზედსართავ სახელებში) შეიძლება წინ უძღვოდეს ა- ხმოვანი: -ა-სა, -ა-ლ'ა: ა) ვაცა „ძმა“ — ერგ. ვაცა-ა-სა (← \*ვაცა-ა-სა-უ-დ'ი), ნათ. ვაცა-ა-სა-უ-ლ და ა. შ.; ბ) ძაცა „და“ — ერგ. ძაცა-ა-ლ'ა (← \*ძაცა-ა-ლ'ა-უ-დ'ი), ნათ. ძაცა-ა-ლ'ა-უ-ლ და ა. შ. ეს ა- წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძეა (შდრ. ა-ვ, ა-ჟ, ა-ბ „ეს“). ასეთ შემთხვევებში არსებით (და ზედსართავ) სახელებს ხუნძურში, ჩანს, გამოყენებული აქვთ ჩვენებითი ნაცვალსახელის შესაბამისი — მზამზარეული — ბრუნვის ფორმები<sup>1</sup>; შდრ.: ერგ. ა-სა (← \*ა-სა-უ-დ'ი) „ამან“ და ვაცა-ა-საა (← \*ვაცა-ა-სა-უ-დ'ი) „ძმამ“ (ზედმიწ. „ძმა-ამან“), ნათ. ა-სა-უ-ლ „ამისა“ და ვაცა-ა-სა-უ-ლ „ძმისა“ (ზედმიწ. „ძმა-ამ-ი-სა“) და ა. შ. ხუნძურში მხოლოდ ჩვენებითმა ნაცვალსახელებმა შემოინახეს ბრუნვათა ორგანული (ე. ი. საკუთარი და არა ნაცვალსახელური) ფორმები (მხედველობაში გვაქვს ე. წ. „ცოცხალი“ ანუ ორფუძიანი ბრუნება; „არკაული“ ანუ ერთფუძიანი ბრუნების ფორმები კი ყველა ორგანულია). სხვა სახელებიდან კი ბრუნვათა ასეთი ფორმები გადმონათესის სახით დაკული აქვს ემენ („მამა“) სახელს, რომლის ფუძეს -სა-უშუალოდ ერთვის (ნათ. ინ-სა-უ-ლ „მამისა“ და ა. შ. — იხ. ზემოთ). ანდიურში (და, საერთოდ, ანდიურ ენებში) კი -შა- და -ლ'ა-ყოველთვის (როგორც ჩვენებით ნაცვალსახელებში, ისე სხვა სახელებში) უშუალოდ დაერთვის ფუძეს და, მაშასადამე, ბრუნვის ფორმები ფუძის ამ სავრცობ ელემენტებიანი ბრუნების დროს ყოველთვის ორგანულია და არა ნაცვალსახელური.

§ 65. როდის გვაქვს იკიბ ბრუნვათა ფუძეში -შა- და -ლ'ა-სავრცობები და რა ფუნქცია აქვთ მათ? აღნიშნული გვექონდა, რომ სავრცობი -შა- ირიბ ბრუნვათა ფუძეში თავს იჩენს მხოლოდ I კლასის (ანუ მამაკაცთა კლ.) სახელებში, ხოლო სავრცობი -ლ'ა- — II კლასის (ანუ ქალთა კლასის) და, აგრეთვე, დანარჩენი კლასების სახელებში. ამ მხრივ ანდ. -შა- და -ლ'ა- არსებითად ისევე განაწილებული, როგორც მათი შესატყვისი -სა- და -ლ'ა- ხუნძურში.

<sup>1</sup> Л. И. Жирков, Развитие частей речи в горских языках Дагестана. ЯСКД, I, 1935: არნ. ჩიჭობავეა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში (ენიშკო-ს მონაბეგ. XII. 1942. გვ. 33); ევგ. ჯეირანიშვილი. სახელთა ბრუნება წახურულში (სკე, XII. 1961); მისივე. კითხვითი ნაცვალსახელები ლეზგიური ჯგუფის ენებში (სკე. VII. 1955); ბ. კიკვიძე. ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში (თსუ შრომები, ტ. 71. 1958. გვ. 99); „ხუნძ. ენა“, გვ. 218—22.

ჩანს, ფუძის ეს ელემენტები ბრუნების პროცესში განარჩევენ გარკვეული მოდიფიკაციით საბრუნებელი სახელის გრამატიკულ კლასებს: ერთმანეთს უპირისპირებენ I კლასის სახელებსა და დანარჩენი კლასების სახელებს. ამდენად ირიბ ბრუნვათა ფუძეში ისინი კლასნიშნების ერთგვარ კომპენსაციასაც ეწევიან.

ისეთ სახელებში, რომელთა ფუძეს სახელობით ბრუნვაში კლასნიშნები დაერთვის სუფიქსებად, ირიბ ბრუნვებში კლასნიშნებს სწორედ -შა- და -ლ'ა- სავრცობები ცვლიან:

სახ.            ჰო-ვ, ჰო-ჟ, ჰო-ზ, ჰო-რ „ეს“  
 ირ. ბრ.    ჰო-შა-                    ჰო-ლ'ა-

ეს—ისევე, როგორც ხუნძურში<sup>1</sup>:

სახ.    ჰა-ვ,    ჰა-ჟ,    ჰა-ზ „ეს“  
 ერგ.    ჰა-სა    ჰა-ლ'ა

იგივე სავრცობები ირიბ ბრუნვათა ფუძეში შეიძლება მაშინაც გვექონდეს, როცა სახელობითის ფუძეს კლასნიშანი არ დაერთვის; კერძოდ, ისეთი საზოგადო არსებითი სახელები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით შეიძლება განეკუთვნებოდეს როგორც I-ს, ისე II (ან სხვა) კლასს, მაგრამ, რომელთა სახელობითი ბრუნვის ფუძეში ამგვარი სხვაობა გარეგნულად არაფრით არ არის გამოხატული, ირიბ ბრუნვებში ყოველთვის დაირთავენ შესაბამისად -შა- და -ლ'ა- სავრცობებს: მადუჰალ „მეზობელი“ (I—II კლ.: მამაკაცი ან ქალი) — ირ. ბრ. ფუძე მადუჰალ-შა- (I კლ.), მადუჰალ-ლ'ა- (II კლ.)<sup>2</sup>; ასევე: ჰომოლოლი „ამხანაგი“ (I—II კლ.) — ჰომოლოლი-შა- (I კლ.), ჰომოლოლი-ლ'ა- (II კლ.), ნოქვოლლ'უ „მეგო-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა. ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში (ენმეკ-ის ნომბე, XII, გვ. 33). აქ ჩვენებით ნაცვალსახელთა ერგატივის ნიშნების შესახებ აღნიშნულია: „ერგატიულ ბრუნვას ორი დაბოლოება აქვს: სჰ და ლ'ა. პირველი — სახელობითის ვ-ს ადგილს იკერს. პირველი გრამატიკული კლასის ნიშანია ერგატივში. მეორე, ლ'ა, სახიაროა მეორე და მესამე გრამატიკული კლასებისათვის, ე. ი. სახელობითის ა-სა და ბ-ს ნაცვლად გვევლინება“ (ხაზგასნა ჩვენია — ი. ც.).

<sup>2</sup> შდრ. ხუნძ.: მადოჰალ „მეზობელი“ (მამაკაცი ან ქალი) — მაგრამ: მადოჰალ-ა-ხო „მეზობელმა (მამაკაცმა)“, მადოჰალ-ა-ლო „მეზობელმა (ქალმა)“ და ა. შ. (იხ. „ხუნძ. ენა“ გვ. 112); ასევეა სხვა ანდიურ ენებშიც; შდრ., მაგალ., ჰამალალურში: ჩაჩანლ' „ჩაჩანი“ (მამაკაცი ან ქალი) — ერგ. ჩაჩან-ხო-ვი „ჩაჩანმა (მამაკაცმა)“, ჩაჩან-ლ'ა-ი „ჩაჩანმა (ქალმა)“ და ა. შ. (A. Бокарев, Чамал. яз., გვ. 38); ბოთლიხურში: ირხა „წითელი“ (I — III კლ.) — ერგ. ირხა-შა-უ-დი (I კლ.), ირხა-ლო-ი-დი (II — III კლ.) და ა. შ. (ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა. გვ. 76).



ბარი“ (I—II კლ.) — ნოქეოლლ'უ-შა- (I კლ.), ნოქეოლლ'უ-ლ'ა- (II კლ.), მოკი „ბავში“ (I—II კლ.) — მოკი-შა- (I კლ.), მოკი-ლ'ა- (II კლ.); სიგან „ბოშა“ (I—II კლ.) — სიგან-შა- (I კლ.), სიგან-ლ'ა- (II კლ.)... მიკი „პატარა“ (I—V კლ.) — მიკი-შა- (I კლ.), მიკი-ლ'ა- (II—V კლ.)... სახელობით ბრუნვაში ასეთ სახელთა გრამატიკული კლასი სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას ირკვევა: მადუჰალ გ-უყ'ო „მეზობელი (მამაკაცი) მოვიდა“ — მადუჰალ ღ-იყ'ო „მეზობელი (ქალი) მოვიდა“... ირიბ ბრუნვებში კი, როგორც ვნახეთ, განსხვავება ამ მხრივ თვით ფუძეშია გამოხატული.

როგორც ჩანს, -შა- და -ლ'ა- საერცობებში სათანადო შემთხვევებში განსახვდენ საბრუნებელი სახელის ფუძეს და ანიკებენ მათ კონკრეტულ მნიშვნელობებს გრამატიკული კლას-კატეგორიის თვალსაზრისით (მართალია, გარკვეული მოდიფიკაციით). ამ მნიშვნელობით<sup>1</sup> მეორდებიან ისინი ყველა ირიბ ბრუნვაში ბრუნვის ნიშნების წინ — არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებში, ნაცვალსახელებში...

ზედსართავ სახელთა (მათ შორის ნაშნარი ზედსართავის ანუ მიმღობის), რიცხვით სახელთა და, აგრეთვე: ჩვენებით, უკუქცევით, კუთვნილებით ნაცვალსახელთა და სხვა ატრიბუტულ სახელთა ბრუნებისას ანდიურში (ისევე, როგორც სხვა ხუნდ.-ანდიურ ენებში)<sup>2</sup> -შა- და -ლ'ა- სიერცობები ირიბ ბრუნვათა ფუძისა ყოველთვის გვაქვს. ამ მხრივ ხსენებულ სახელთა ბრუნება სტაბილიზებულია (სტანდარტული სახისა) ყველა ანდიურ თქმაში (და ყველა ხუნდ.-ანდიურ ენაში).

<sup>1</sup> მისი ძირითადი და ანოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს ფუძის განსახვდენა (გარკვეული შესაბამისობით გრამატიკული კლასის კატეგორიასთან). ამ მხრივ ფუძის ამ საერცობი ელემენტებით ბრუნება ხუნდ.-ანდიურ ენებში გვაგონებს ადიღურ ენათა განსახვდრულ ბრუნებას. რომელსაც ირიბ ბრუნვაში ახასიათებს -შ (სახელობითში — რ) სუფიქსი. ხუნდ.-ანდ. -შა- (— || -სა-) და -ლ'ა- საერცობები — ისტორიულად — ადიღურ ენათა -შ სუფიქსის ფუნქციური ეკვივალენტები უნდა იყოს. განსხვავებას ის ქანის, რომ ადიღურში -შ-ს ბრუნვის ნიშანი (ჩაჟ. ნათ. და ლიკ. ბრუნვის ნიშნები) აშეაშად არ დაერთვის (იხ.: არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნვის ორფუძიანობა ზოგ კავასიურ ენაში. თსუ შრომები, XVIII. 1941: აგრეთვე: ვლ. ფანჩივიძე, მხ რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტი -ნე- || -ტუ- უღურ ენაში, ენაშკის ნომბე, X. 1941).

<sup>2</sup> З. М. Магождбекова, Склонение имени в каратинском языке (იკე, VII, გვ. 360—361); ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა, გვ. 75: მისივე, ბრუნვის ორი ტიპის ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ხუნდურ-ანდიურ ენებში (იკე, XIII, გვ. 269); ბეს. კიკვიძე, ლრფუძიანი ბრუნება ხუნდურში (იკე, XII, გვ. 355); მისივე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავასიურ ენებში (თსუ შრომები, ტ. 71, გვ. 99).

რაც შეეხება საზოგადო არსებით სახელებს, მათი ბრუნება საკმაოდ კრელ სურათს იძლევა. ეს სახელები საწარმოებელი ფუძის მიხედვით (კერძოდ, ირიბ ბრუნვათა ფუძეში აღნიშნული საერცობების ქონა-არქონის მხრივ) სათანადო თქმაში შეიძლება განეკუთვნებოდეს ბრუნების სხვადასხვა ტიპს. ზოგჯერ შესაძლოა პარალელური ფორმებიც (საერცობიანი და უსაერცობო) გვექონდეს. ამას ერთვის განსხვავებაც თქმათა მიხედვით.

ქვემოანდიურ თქმებში -შა- და -ლ'ა- საერცობიანი ბრუნება დამკვიდრებულია ადამიანის აღმნიშვნელ საზოგადო არსებით სახელებში, რომლებიც იყოფა I (მამაკაცთა) და II (ქალთა) გრამატიკულ კლასებად. ყოველი საზოგადო არსებითი სახელი I გრამატიკ. კლასისა ირიბ ბრუნებში დაირთავს -შა- საერცობს, ხოლო II გრამატიკ. კლასისა — -ლ'ა- საერცობს; შდრ.: იმა „მამა“ (I კლ.) — იმა-შა-; ილა „დედა“ (II კლ.) — ილა-ლ'ა-; ასევე: ვოშო „ვაჟიშვილი“ — ვოშო-შა-; აქში „ქალიშვილი“ — აქში-ლ'ა-; ვოცაი „ძმა“ — ვოცაი-შა-; აქეაი „და“ — აქეაი-ლ'ა-; ნუსო „სიძე“ — ნუსო-შა-; ნუსა „რძალი“ — ნუსა-ლ'ა- და ა. შ. არავითარ რყევას ამ მხრივ ადგილი არა აქვს.

ანდისა და სხვა ზემოანდიურ თქმებში -შა- და -ლ'ა- საერცობებიანი ბრუნება ადამიანის აღმნიშვნელ (I და II კლ.) საზოგადო არსებით სახელებში ისე გაბატონებული არ არის, როგორც ქვემოანდიურ თქმებში. აქ ზოგი ასეთი სახელი შეიძლება დაირთავდეს ირიბ ბრუნებში შესაბამისად -შა- და -ლ'ა- საერცობებს, ზოგი კი არა. ამ საერცობებს დაირთავენ: მაგალ., ჰეკა „კაცი“ (ჰეკა-შა-)<sup>1</sup>, ნუსო „სიძე“ (ნუსო-შა-); ვაცაყალ „ბიძაშვილი ვაჟი“ (ვაცაყალ-შა-)... აოშკა „ქალი“ (აოშკა-ლ'ა-), ნუსა „რძალი“ (ნუსა-ლ'ა-), აცაყალ „ბიძაშვილი ქალი“ (აცაყალ-ლ'ა-)... და, აგრეთვე, ადამიანის აღმნიშვნელი ყველა სახელი, რომელიც სახელობით ბრუნვაში გრამატიკ. კლასის თვალსაზრისით ო მ ო ნ ი მ უ რ ი ა (მადუჰალ „მეზობელი [მამაკაცი ან ქალი]“ ტიპისა — იხ. ზემოთ). მაგრამ ამ საერცობების გარეშე (resp. ოდენ დამაკავშირებელი ხმოვნით) იბრუნვის ადამიანის აღმნიშვნელი (I და II კლ.) ისეთი საზოგადო არსებითი სახელები, როგორიცაა, მაგალ., იმა „მამა“ (ირ. ბრ. ფუძე იმ-უ-; შდრ. ქვემოანდ. იმა-შა-); ილა „დედა“ (ილ-უ-; შდრ. ქვემოანდ. ილა-ლ'ა-); ვოცაი „ძმა“ (ვოცა-უ-; შდრ. ქვემოანდ. ვოცაი-შა-), აოცაი „და“ (აოცა-უ-; შდრ. ქვემოანდ. აქეაი-ლ'ა-); ვოშო „ვაჟიშვილი“

<sup>1</sup> ფრჩხილებში ნაჩვენებია ირიბ ბრუნვათა ფუძე.

(ვოშ-უ-; შდრ. ქვემოანდ. ვოშო-შა-), ღოში „ქალიშვილი“ (ღოშ-უ-; შდრ. ქვემოანდ. ღეში-ლ'ა-).

შენიშვნა. ზოგ ზემოანდ. თქმაში ასეთ სახელებში ფაქულტატიურად სავრცობიანი ფორმებიც შეიძლება გვქონდეს: მაგალ. (აშალის თქმ.): ვოცაი „ძმა“ — ვოცა-უ-||ვოცაი-შა-, ღეცაი „და“ — ღეცა-უ- || ღეცაი-ლ'ა- და ა. შ.

სამაგიეროდ ანდისა და სხვ. ზემოანდიურ თქმებში -ლ'ა- სავრცობის გამოყენების ფარგლებში საზოგადო არსებით სახელებში არ იზღუდება მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი II გრამატიკ. კლასის სახელებით. ეს სავრცობი შეუძლებელი არ არის გვქონდეს — გარდა II კლ. სახელებისა — დანარჩენ კლასთა ზოგ სახელშიც (უფრო ხშირად ნივთთა სახელებში, იშვიათად ცხოველთა სახელებშიც). მაგალითები (ან დის თქმ.): ინქვა „ურემი“ — ინქვა-ლ'ა-, ლ'უდი „შეშა“ — ლ'უდი-ლ'ა-, მისა „ადგილი“ — მისა-ლ'ა-, ჰინწო „ქვა“ — ჰინწო-ლ'ა-, ჰინწოუ „კარი“ — ჰინწოუ-ლ'ა-, რაჩი „გრდემლი“ — რაჩი-ლ'ა-, რელი „ტვირთი“ — რელი-ლ'ა-, რიპი „დრო“ — რიპი-ლ'ა-, ფადა „სარგებლობა“ — ფადა-ლ'ა-, ოხი „ბალი“ — ოხი-ლ'ა-, რაპალ „ნაპირი“ — რაპალ-ლ'ა-, კორკონშენ „სეტყვა“ — კორკონშენ-ლ'ა-, როშო „სიტყვა“ — როშო-ლ'ა-, მოტაი „ძილი“ — მოტაი-ლ'ა-, დაცბა „დავა“ — დაცბა-ლ'ა-, ბიცაი „ჯიხვი“ — ბიცაი-ლ'ა და ა. შ. ხშირად -ლ'ა- სავრცობით ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოება აღნიშნულ სახელებში ფაქულტატიური ხასიათისაა: წა „ცეცხლი“ — წა- || წა-ლ'ა-; დან „პური“ — დან-ი' || დან-ლ'ა-, წონ „მარილი“ — წონ-ი' || წონ-ლ'ა-, ჰონ „აული“ — ჰონ-ი' || ჰონ-ლ'ა- და ა. შ.

ამ მხრივ ანდიურში ხუნძურის ანალოგიური ვითარებაა: ხუნძურშიც, როგორც ეს ცნობილია, -ლ'ა- შეიძლება გვქონდეს (ზოგჯერ ფაქულტატიური, ზოგჯერაც სავალდებულო წესით) არაადამიანთა სახელებშიც: ბაწ „მგელი“ — ერგ. ბაწ-ი-ცაა || ბაწ-ა-ლ'ა; წაად „წვიმა“ — ერგ. წაად-ა-ცაა || წაად-ა-ლ'ა, ყო „დღე“ — ერგ. ყო-ა-ლ'ა და ა. შ.<sup>1</sup>

-შა- და -ლ'ა სავრცობებს შესაბამისად არ დაირთავენ არც ერთ ანდიურ თქმაში პირის ნაცვალსახელები (ყველა კლასისა) და კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“ (I, II კლ.); დამახასიათებელი არ არის ეს სავრცობები არც ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნებისათვის.

<sup>1</sup> П. Усгар, Авар. яз., гл. 49; Л. Жирков, Грам. авар. яз., гл. 89—91; მისივე, Авар.-рус. сл., гл. 166—167; „ხუნძ. ენა“, § 75, გვ. 114—117.

§ 66. ირიბ ბრუნვათა ფუძის ნარევი წარმოება (დამაკავშირებელი ხმოვნითა და მომდევნო -ლ'-ა- სავრცობით). ზემოთ (§§ 63—65) განხილული გვექონდა ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოება ოდენ დამაკავშირებელი ხმოვნით ან -შა- და -ლ'-ა- სავრცობებით. რომელთაც, თავის მხრივ, შეიძლება მოსდევდეს დამაკავშირებელი ხმოვანიც (-შა-უ-, -ლ'-ა-ი-). ამავე დროს დასტურდება ზოგჯერ ნარევი წარმოების შემთხვევებიც, როცა ფუძეს ჯერ დართული აქვს დამაკავშირებელი ხმოვანი, ხოლო შემდეგ სავრცობი ელემენტი -ლ'-ა- (დამაკავშირებელი ხმოვნით: -ლ'-ა-ი-). მაგალითები (ანდის თქმიდან):

ბელ „ბარი“ — ბელ-უ-ლ'-ა- (ერგ. ბელ-უ-ლ-დი ← ბელ-უ-ლ'-ა-დი ← ბელ-უ-ლ'-ა-ი-დი, ნათ. ბელ-უ-ლ-ლი ← ბელ-უ-ლ'-ა-ლი ← ბელ-უ-ლ'-ა-ი-ლი და ა. შ.);

ასევე: ყვონ „რქა“ — ყვონ-უ-ლ'-ა-. კონტაა „ფიწალი“ — კონტა-უ-ლ'-ა-, ხალ „ბეწვი“ — ხალ-უ-ლ'-ა-, ხალ „ფაფარი“ — ხალ-უ-ლ'-ა-. ჯალ „კანი“ — ჯალ-უ-ლ'-ა-, ბარა „ნეხვი“ — ბარ-უ-ლ'-ა-, ეალა „წელი“ — ეალ-უ-ლ'-ა-, ყაალ „მილი“; „სარწყაო (14 კგ.)“ — ყაალ-ო-ლ'-ა-, წულ „ჯოხი“ — წულ-ო-ლ'-ა-, ყაუნუ „ფილა“, „ფილაქურა“ — ყაუნ-ი-ლ'-ა-... არანარევი წარმოების დროს სავრცობი -ლ'-ა-, როგორც ვიცით, უშუალოდ დაერთვის სახელობითის ფუძეს (ლ'აენ „წყალი“ — ლ'აენ-ლ'-ა- და ა. შ.), ხოლო ნარევი წარმოების დროს იგივე სავრცობი დაერთვის არა უშუალოდ სახელობითი ბრუნვის ფუძეს, არამედ დამაკავშირებელ ხმოვნიან ირიბ ბრუნვათა ფუძეს (ბელ „ბარი“ — ბელ-უ-→ ბელ-უ-ლ'-ა- და ა. შ.).

ამჟამად, რომ ასეთ შემთხვევებში ირიბ ბრუნვათა ფუძეზე სავრცობი -ლ'-ა- გვიან დართულია. ზოგჯერ სათანადო შემთხვევებში შესაძლოა პარალელურად ირიბ ბრუნვათა ფუძეს მხოლოდ დამაკავშირებელი ხმოვანი აწარმოებდეს მომდევნო სავრცობის გარეშე: გიზა „კალათი“ — გიზ-უ- || გიზ-უ-ლ'-ა- (ერგ. გიზ-უ-დი || გიზ-უ-ლ-დი ← გიზ-უ-ლ'-ა-დი ← გიზ-უ-ლ'-ა-ი-დი, ნათ. გიზ-უ-ლი || გიზ-უ-ლ-ლი ← გიზ-უ-ლ'-ა-ლი ← გიზ-უ-ლ'-ა-ი-ლი და ა. შ.).

§ 67. -დ- და -ლ- სავრცობი ელემენტები ირიბ ბრუნვათა ფუძეში. ეს სავრცობები თავს იჩენენ ზოგჯერ არაადამიანთა (ცხოველთა და ნივთთა აღმნიშვნელ) საზოგადო არსებით სახელებში (ე. ი. ყველა კლასის სახელებში გარდა I და II კლ.). -ლ- უფრო ხშირად გვხვდება, ვინემ -დ-. ორივე სავრცობთან დამაკავშირებელი ხმოვნის

როლში გვევლინება -ო- (-ღ-ო-, -ლ-ო-; უკანასკნელში ლ ყოველთვის გაორმაგებულია: -ლლ-ო-). -ღ-ცა და -ლ-ც მომდევნო დამაკავშირებელი -ო- ხმოვნით უცვლელად მეორდება ყველა ირიბ ბრუნვაში სათანადო დაბოლოებათა წინ (რაიმე ფონეტიკური ცვლილება ამ საერცობ ელემენტებში არ შეიმჩნევა). მაგალითები (ანდის თქმიდან):

-ღ- (-ღ-ო-): რებცაუ „კავი“ — ირ ბრ. ფუძე რებცაუ-ღ-ო- (ერგ. რებცაუ-ღ-ო-დი, ნათ. რებცაუ-ღ-ო-ლ'ი, მიც. რებცაუ-ღ-ო-ჲ. აფექტ. რებცაუ-ღ-ო-(-)ო); ჰინწაუ „კარი“ — ირ. ბრ. ფუძე ჰინწაუ-ღ-ო- (ერგ. ჰინწაუ-ღ-ო-დი, ნათ. ჰინწაუ-ღ-ო-ლ'ი, მიც. ჰინწაუ-ღ-ო-ჲ, აფექტ. ჰინწაუ-ღ-ო-(-)ო); ასევე: ჰაბუ „ნახშირი“ — ჰაბუ-ღ-ო-. ნიჩო „ნამგალი“ — ნიჩო-ღ-ო-; ჰირო „ღრუბელი“ — ჰირო-ღ-ო-; რელ'ო „ღამე“ — რელ'ო-ღ-ო-, დარუ „წამალი“ — დარუ-ღ-ო-, ნიჭუ „ქრახანა“ — ნიჭუ-ღ-ო-, თაფცაუ „ბალღინჯო“ — თაფცაუ-ღ-ო-, მატუ „სარკე“ — მატუ-ღ-ო-... ქვორუ „ღერგი“ — ქვორ-ღ-ო- ← ქვორუ-ღ-ო-, ჯირუ „სალესი ქვა“ — ჯირ-ღ-ო- ← ჯირუ-ღ-ო-, გარუ „კისერი“ — გარ-ღ-ო- ← გარუ-ღ-ო-, ტირუ „ხიდი“ — ტირ-ღ-ო- ← ტირუ-ღ-ო-...  
 -ლ- (-ლ-ო-, ფონეტიკ. -ლლ-ო-): ინცაი „წყარო“ — ირ. ბრ. ფუძე ინცაი-ლ-ო- (ერგ. ინცაი-ლ-ო-დი, ნათ. ინცაი-ლ-ო-ლ'ი, მიც. ინცაი-ლ-ო-ჲ. აფექტ. ინცაი-ლ-ო-(-)ო); ინჩი „ვაშლი“ — ირ. ბრ. ფუძე ინჩი-ლ-ო- (ერგ. ინჩი-ლ-ო-დი, ნათ. ინჩი-ლ-ო-ლ'ი, მიც. ინჩი-ლ-ო-ჲ, აფექტ. ინჩი-ლ-ო-(-)ო); ასევე: ჰიჰაი „მსხალი“ — ჰიჰაი-ლ-ო-, როტეი „ძვალი“ — როტეი-ლ-ო-, ჯინჯი „ყვავილი“ — ჯინჯი-ლ-ო-, ჰარკუ „თვალი“ — ჰარკუ-ლ-ო-, მიწაი „ენა“ — მიწაი-ლ-ო-, რესაი „საყლაპავი მილი“ — რესაი-ლ-ო-, ბორწი „მთვარე“, „თვე“ — ბორწი-ლ-ო-, ფუჩი „წიწაკა“ — ფუჩი-ლ-ო-, ქვო „სახელური“ — ქვო-ლ-ო-, ბუჰა „ტალახი“, „ტლაპო“ — ბუჰა-ლ-ო-, ჰანკვო „ლურსმანი“ — ჰანკვო-ლ-ო-, ჰარფი „ასო“ — ჰარფი-ლ-ო-, გუფი „უკანა კბილი“ — გუფი-ლ-ო-, რუტეი „უღელი“ — რუტეი-ლ-ო-, ბიცაი „ჯიხვი“ — ბიცაი-ლ-ო-, ტენტა „ბუზი“ — ტენტა-ლ-ო-, ჯენა „ალი“, „ალქაჯი“ — ჯენა-ლ-ო-... სოლ „კბილი“ — სოლ-ლ-ო-, კოლ „პირი“ — კოლ-ლ-ო-...

-ღ-სა და ლ-ს ხმარების სფეროთა გამიჯვნა საბრუნებელი სახელის გრამატიკული კლასების (ან სხვა რაიმე ნიშნის) მიხედვით არ ხერხდება: ორივე მათგანი შეიძლება გვექონდეს ერთი და იმავე კლასის სხვადასხვა სახელებში (გარდა ადამიანთა—ანუ I და II კლ.—სახელებისა).

თუ დავაკვირდებით მაგალითებს, შევნიშნავთ, რომ ღ-ცა და ლ-ც ირიბ ბრუნვებში თავს იჩენს ისეთ ფუძეებთან, რომლებიც

სახელობით ბრუნვაში ხმოვანზეა გათავებული, ხოლო -ლ- (-ლ-ო-) დაერთვის ზოგჯერ სახელობითში ლ თანხმოვანზე გათავებულ ფუძეებსაც (იხ. ზემოთ მაგალითები). ქვემოანდიურ თქმებში ხმოვანზე გათავებული თითქმის ყველა საზოგადო არსებითი სახელი არაადამიანისა ირიბ ბრუნვებში დაირთავს -ლ- (-ლ-ო-) სავრცობს (ადამიანის აღმნიშვნელ სახელებში კი აქ, როგორც ვიცით, -შა- და -ლ'ა- სავრცობებია გაბატონებული — § 65). ზემოანდიურ თქმებში კი -ლ-ცა და -ლ-ც — იმავე ფუძეებთან — შედარებით საორადულად იჩენს თავს. მასთან, აქ სათანადო შემთხვევებში მათი ქონაც ირიბ ბრუნვათა ფუძეში ზოგჯერ ფაქულტატიური ხასიათისაა (არ წარმოადგენენ ფუძის მუდმივ ინგრედიენტებს): ამა თუ იმ ირიბ ბრუნვაში შეიძლება შეცვლილი იქნენ დამაკავშირებელი ხმოვანით ან -ლ'ა- სავრცობითაც: მაგალ. (ანდის თქმიდან): ანგა-ლ-ო-დი || ანგ-უ-დი „ტოტმა“, ანგა-ლ-ო-ლ'ი || ანგ-უ-ლ'ი „ტოტისა“ და ა. შ.; ბორწი-ლ-ო-ლ'ი || ბორწი-ლ'ი „მთვარისა“; „თვისა“, ჰარკუ-ლ-ო-ლ'ი || ჰარკუ-ლ'ი „თვალისა“, რებცაუ-დ-ო-დი || რებცაუ-დი „კაემა“, „კავით“, ბიცაი-ლ-ო-დი || ბიცაი-ლ-დი (← ბიცაი-ლ'ა-ი-დი) „ჯიხვმა“ და სხვ.

გარკვეულ ფონეტიკურ პირობებში -ლ- (-ლ-ო-) და -ლ- (-ლ-ო-) სავრცობთა გამოვლენა არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ისინი ირიბ ბრუნვათა ფუძეში თითქოს ფონეტიკურ ნიადაგზე იყვნენ გაჩენილი: ამის საფუძველი არა ჩანს. უფრო საფიქრებელია, რომ ეს სავრცობები გარკვეულ პოზიციაში (ხმოვნის მომდევნოდ) იქნენ დამკვიდრებული. ამჟამად მათ არავითარი მორფოლოგიური ღირებულება არა აქვთ, მაგრამ ძველად, საფიქრებელია, გარკვეული მნიშვნელობაც შეჰქონდათ ფუძეში. ყურადღებას იქცევს, ამ მხრივ, ის ფაქტი, რომ ორივე ეს სავრცობი ელემენტი ფუძისა თავს იჩენს არაადამიანთა სახელებში (ე. ი. ცხოველთა და ნივთთა კლასების სახელებში). ხომ არ მიუთითებდნენ ისინი ბრუნების პროცესში საბრუნებელი სახელის გრამატიკულ კლასზე?

-ლ- სავრცობი ირიბ ბრუნვათა ფუძეში დასტურდება ხუნძურ ენაშიც. აქაც იგი არაადამიანთა სახელებში იჩენს თავს (ანდიურისაგან განსხვავებით ხუნძურში -ლ- შეიძლება გვქონდეს თანხმოვანზე გათავებულ ფუძეებთანაც): რახ<sup>ნ</sup> „რძე“ — ერგ. რახ<sup>ნ</sup>-დ-ა-ცაა, ნათ. რახ<sup>ნ</sup>-დ-ა-ლ, მიც. რახ<sup>ნ</sup>-დ-ა-ე-ე; ასევე: ჭაზო „თოვლი“ — ერგ. ჭაზ-დ-ა-ცაა; ჭაქა „ძროხა“ — ერგ. ჭაქ-დ-ა-ცაა, ჩუ „ცხენი“ — ნათ. ჩო-დ-უ-ლ, ბერ „თვალი“ — ნათ. ბერ-ზ-ულ

(← ბერ-დ-ულ) და ა. შ.<sup>1</sup> როგორც მაგალითებიდან ჩანს, -დ სავრცობის მომდევნოდ დამაკავშირებელი ხმოვნის როლში ხუნძურში გვაქვს -ა- (-დ-ა-), რომლის კანონზომიერი შესატყვისია ანდ. -ო (-დ-ო-); ხუნძურში -დ-ს მომდევნოდ შეიძლება გვექონდეს -უ-ც (-დ-უ-), რომლის შესატყვისი ანდიურში არა ჩანს (-დ- სავრცობს ანდიურში დამაკავშირებელ ხმოვნად ყოველთვის -ო- ახლავს).

### § 68. მრავლობითი რიცხვის ნიშნები აკსაპით სახელეჯში.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის სუფიქსებისათვის საერთოა ის, რომ ყველა მათგანი სახელობით ბრუნვაში ლ თანხმოვანზე ბოლოვდება, მაგრამ ლ-ს გარდა მათში შეიძლება მონაწილეობდეს სხვადასხვა ელემენტები (ხმოვანი ან ხმოვანთან ერთად თანხმოვანიც), რომელთა ვარიაციები შეაპირობებს საწარმოებელ სუფიქსთა ნაირგვარობას<sup>2</sup>. იმის წინასწარ გათვალისწინება, თუ რა სახელს მრავლობითის რა სუფიქსი შეიძლება დაერთოს, არ ხერხდება (ისევე, როგორც არ ხერხდება ეს არც ხუნძურში, რომელშიც არსებით სახელთა მრავლობით რიცხვს აგრეთვე რიგი სუფიქსი აწარმოებს). ზოგჯერ შესაძლოა სათანადო თქმაში ერთსა და იმავე ფუძესთან განსხვავებული სუფიქსების პარალელური ხმარებაც. ხშირია ერთი და იმავე სუფიქსთა სხვადასხვაგვარი გამოყენების შემთხვევები სხვადასხვა თქმებში. ქვემოთ მრავლობითი რიცხვის ნიშნებს გამოვყოფთ მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმათა შეპირისპირებით სახელობით ბრუნვაში (ანდის თქმის მონაცემების მიხედვით).

-ლ: ინქვა „ურემი“ — ინქვა-ლ, მისა „ადგილი“ — მისა-ლ, რედა „ჯოგი“ — რედა-ლ, მუხა „ზღაპარი“ — მუხა-ლ, წაე „სტუმარი“ — წაე-ლ, მოკი „ბავშვი“ — მოკი-ლ, ონეი „ზღარბი“ — ონეი-ლ, ინჩი „ვაშლი“ — ინჩი-ლ, ხვამი „თევზი“ — ხვამი-ლ, ჰამოროხი „ვირი“ — ჰამოროხი-ლ, ოხი „ბალი“ — ოხი-ლ, ქინი „აკვანი“ — ქინი-ლ, როკო „გული“ — როკო-ლ, ხვოლო „ზეინი“ — ხვოლო-ლ, ელლო „საქმელი“ — ელლო-ლ...

<sup>1</sup> A. Schiefner, Versuch über das Awarische, § 58; П. Усхар, Авар. яз., гл. 58—59; არნ. ჩიქობავა. ერგატისის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში (ოკე, II, 1948); „ხუეძ. ენა“, § 27, გვ. 119—121.

<sup>2</sup> ა. დირი საკმაოდ დაწვრილებით ჩერდება არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოებაზე ანდიურში (იხ. ანდ. яз., გვ. 20—23. ლექსიკონშიც მრავლობითის ფორმები ნაჩვენებია აქვს). მრავლობითის წარმოებას არსებით სახელებში რიკვანის თქმის მონაცემების მიხედვით დაწვრილებით განიხილავს ი. სულეიმანოვი (იხ.: მისი: Именное склонение в андийском языке. (По данным говора с Риквани). УЗНИЯЛ Даг. (Фил. АН СССР, т. III, гл. 290—300; Автореферат, гл. 10—11).

-**ოლ**: შექიბ „ჩიტი“ — შექიბ-ოლ, ლ'ახიბ „ფოთოლი“ — ლ'ახიბ-ოლ, რუჩოლ „ნაწლავი“ — რუჩოლ-ოლ, გუნგულ „ქვაბი“ — გუნგულ-ოლ, თომილ „ღრძილი“ — თომილ-ოლ, ტერტილ „უნაგირი“ — ტერტილ-ოლ, ჰიტემ „ფესვი“ — ჰიტემ-ოლ... ბერჩა „გველი“ — ბერჩა-ოლ, ტენტა „ბუზი“ — ტენტა-ოლ, ლორა „თავთავი“ — ლორა-ოლ, კუნწი „ლეკვი“ — კუნწა-ოლ, ღანნი „ყვავი“ — ღანნი-ოლ, ლ'უდი „შეშა“ — ლ'უდი-ოლ, ყაურარუ „ბაყაყი“ — ყაურარ-ოლ, ჰინკაუ (← ჰინკაუ — § 43) „თაგვი“ — ჰინკაუ-ოლ, ჭუქადირუ „ხერხი“ — ჭუქადირ-ოლ...

-**ულ**: ვოშო „ვაგიშვილი“ — ვოშ-ულ, ვოცაი „ძმა“ — ვოცა-ულ, ღოცაი „და“ — ღოცაულ || ღოცაი-ბოლ, ბოში „ნაშიერი“ — ბოშ-ულ, რედაშა „მწყემსი“; „მეჯოგი“ — რედაშ-ულ, მიხარეკა „პატრონი“ — მიხარე-ლ'-ულ (§ 81, გ)...

-**ალ** (იშვიათად): ლ'ედირ „ხბო“ — ლ'ერ-ალ.

-**ილ**: ფილ „სპილო“ — ფილ-ილ, იხვობ „წისკვილი“ — იხვობ-ილ, ქაუბ „რკინა“ — ქაუბ-ილ, არქვომ „კოვზი“ — არქვომ-ილ... კოთუ „ცხენი“ — კოთ-ილ, იჩა „ქაკი“ — იჩ-ილ, ხუნტა „ლორძ“ — ხუნტ-ილ... მუნებ. ქვანხ. ბოწო „მგელი“ — ბოწ-ილ (შდრ. ანდ. ბოწო-ლ)...

-**ლილ** (ერთმარცვლიან ბოლოხმოვნიან ფუძეებთან): წა „ვარსკვლავი“; „წვიმა“ — წა-ლილ, ქო „ტარი“ — ქო-ლილ, წა „ცეცხლი“ — წა-ლილ (|| წა-დობილ)... ეს სუფიქსი ორი დამოუკიდებლად ხმარებული სუფიქსის (-ლ და -ილ) შეხამება ჩანს (-ილ გვიან დართული უნდა იყოს: ზოგჯერ პარალელურად შესაძლოა გვექნოდეს მხოლოდ -ლ სუფიქსიანი ფორმაც -ილ დანართის გარეშე: ტეე „ნაცარი“ — ტეე-ლ || ტეე-ლილ).

-**ბოლ**: ღოში „ქალიშვილი“ — ღოში-ბოლ; შინკი „კოჭი (ფეხისა)“ — შინკი-ბოლ... -**იბოლ**: კოლ „პირი“ — კოლ-იბოლ, სოლ „კბილი“ — სოლ-იბოლ, წულ „ჯოხი“ — წულ-იბოლ... გაზა „წერაქვი“ — გაზ-იბოლ, ქურტა „ჩაქუჩი“ — ქურტ-იბოლ, ღვალა „დოლა თხა“ — ღვალ-იბოლ, წიანა „ეკალი“ — წიან-იბოლ, გაგა „კურკა“ — გაგ-იბოლ...

-**ბილ**: ჰინწო „ქვა“ — ჰინწო-ბილ, ნიქვო „ფეხი“ — ნიქვო-ბილ, მიყა „ქუსლი“ — მიყა-ბილ... -**ობილ**: იმა „მამა“ — იმა-ობილ, ილა „დედა“ — ილა-ობილ, წაეკა „თითი“ — წაეკ-ობილ, რეშა „ხე“ — რეშ-ობილ, ანეიდი „ნაჯახი“ — ანეიდი-ობილ, გეეი „ძუ ძაღლი“ — გეე-ობილ, ჰაყაუ „სახლი“ — ჰაყა-ობილ, ჰარკუ „თვალი“ — ჰარკ-



-ობილ; ჰანტიკა „ყური“ — ჰანტიკ-ობილ || ჰანტიკ-ოლ, გედუ -კა-ტა“ — გედ-ობილ, სუსუკუ „საცერი“ — სუსუკ-ობილ...

-დულ: მიჯარ „თავი“ — მიჯარ-დულ, მაპარ „ცხვირი“ — მაპარ-დულ, იპურ „ტბა“ — იპურ-დულ, სორ „მელა“ — სორ-დულ (ქვანხ. სორ-ოლ), ხურ „ყანა“ — ხურ-დულ... ფერა „ფუტკარი“ — ფერ-დულ; უნსო „ხარი“ — უნსო-დულ, ჰირო „ღრუბელი“ — ჰირო-დულ... ქვანხიდათლის თქმაში ეს სუფიქსი ზოგჯერ დამოწმებულია ისეთ სახელებშიც, რომელთაც სხვა თქმებში დაერთვის -ობილ სუფიქსი (იხ. ზემოთ): იმა „მამა“ — იმა-დულ (შდრ. ანდ. იმ-ობილ), ილა „დედა“ — ილა-დულ (შდრ. ანდ. ილ-ობილ)... -ადულ: ჰამან „ცხვარი“ — ჰამან-ადულ, ლ'იენ „წყალი“ — ლ'იენ-ადულ; ლომ „სახურავი“ — ლომ-ადულ; შებ „კოშკი“ — შებ-ადულ... -ოდულ: თაჟ „ქვიცი“ — თაჟ-ოდულ; სეჟ „დათვი“ — სეჟ-ოდულ (გვხვდება მ-ს მომდევნოდ).

-ბდულ: ნუსო „სიძე“ — ნუსო-ბდულ; ლაჟა „ხბო“ — ლაჟა-ბდულ, ნიჩო „ნამგალი“ — ნიჩო-ბდულ... -იბდულ: გულლა „ტყვია“ — გულლ-იბდულ, ქვანხო „ბლუზა“ — ქვანხ-იბდულ, ლამფა „ლამპა“ — ლამფ-იბდულ... -ობდულ: ჰურგუ (← ჰურგუ — § 43) „ღეიბი“ — ჰურგვ-ობდულ, რიჟი „სახე“ — რიჟ-ობდულ...

-იბადულ: ნუსა „რძალი“ — ნუს-იბადულ; ქორა „დეკეული“ — ქორ-იბადულ, ბულა „ბულა“ — ბულ-იბადულ...

-დობილ: იმატჟორუ „სინამარი“; „მამამთილი“ — იმატჟორ-დობილ; ლ'იორუ „ფრთა“ — ლ'იორ-დობილ, ტიორუ „ხიდი“ — ტიორ-დობილ, გარუ „კისერი“ — გარ-დობილ... -დილ (იშვიათად): ბურა „ბატკანი“ — ბურ-დილ.

სუფიქსთა ვარიანტები გახმოვნების მიხედვით. როგორც შეპირისპირება ამჟღავნებს, სხვა მხრივ ერთნაირ სუფიქსებს ხშირად განასხვავებს თავკიდური ხმოვნითი ელემენტი; შდრ.: -ლ || -ოლ || -ულ || -ილ || -ალ. -ბოლ || -ობილ, -ბილ || -ობილ, -დულ || -ადულ || -ოდულ, -დილ (ხმოვნის ვარიანტი არ არის დამოწმებული), -ბდულ || -იბდულ || -ობდულ, -იბადულ (უხმოვნო ვარიანტი ფონეტიკურად შეცვლილია: -მადულ ← -ბადულ — იხ. ქვ.), -დობილ (ხმოვნის ვარიანტი დამოწმებული არ არის).

სუფიქსთა ვარიაციები სრული და ნულოვანი გახმოვნებით გარკვეულ მიმართებაშია ფუძის დაბოლოებასთან ამავე თვალსაზრისით: თუ ფუძე ბოლოხმოვნისა და ბოლოხმოვანი გაჰყვება მრავლობით რიცხვშიც, მას დაერთვის სუფიქსი ნულოვანი გახმო-

ვნებით, ხოლო ბოლოთანხმოვნიან ფუძესა და, აგრეთვე: ბოლოხმოვნიან ისეთ ფუძეს, რომელსაც ხმოვანი არ გაჰყვება მრავლობით რიცხვში, დაერთვის სუფიქსი სრული გახმოვნებით; შდრ.: -ლ || -ოლ: როკვო „გული“ — როკვო-ლ, მაგრამ: თომილ „ღრძილი“ — თომილ-ოლ, ღანნი „ყვავი“ — ღანნი-ოლ... -ლ || -ილ: მოჭი „ბავშვი“ — მოჭი-ლ, მაგრამ: ფილ „სპილო“ — ფილ-ილ, კოთუ „ცხენი“ — კოთ-ილ... -ბოლ || -იბოლ: ღოში „ქალიშვილი“ — ღოში-ბოლ, მაგრამ: სოლ „ბილი“ — სოლ-იბოლ, ქურტა „ჩაქუჩი“ — ქურტ-იბოლ... -ბილ || -იბილ: ჰინწო „ქვა“ — ჰინწო-ბილ, მაგრამ: წიეკა „თითი“ — წიეკ-ობილ... -დულ || -ადულ || -ოდულ: უნსო „ხარი“ — უნსო-დულ, მაგრამ: ლ'ენ „წყალი“ — ლ'ენ-ადულ, თაჲ „კვიცი“ — თაჲ-ოდულ... -ბდულ || -იბდულ || -ობდულ: ნუსო „სიბე“ — ნუსო-ბდულ, მაგრამ: ქვანო „ბლუზა“ — ქვან-ობდულ, რიეი „სახე“ — რიე-ობდულ...

ამრიგად, სრულ საფეხურს ფუძისას ეფარდება სუფიქსის ნულოვანი საფეხური და პირიქით<sup>1</sup>. გამონაკლისს შეიძლება ქმნიდეს სონორ თანხმოვანზე გათავებული ფუძე, რომელსაც შეუძლებელი არ არის ერთვოდეს სუფიქსი ნულოვანი გახმოვნებით, კერძოდ: ფუძისეულ რ თანხმოვანს — დ თანხმოვნით დაწყებული სუფიქსები: რ-დულ (ხურ „ყანა“ — ხურ-დულ, ფერა „ფუტკარი“ — ფერ-დულ), რ-დილ (ბურა „ბატკანი“ — ბურ-დილ), რ-დობილ (ტირუ „ხიდი“ — ტირ-დობილ), ფუძისეულ ნ და მ თანხმოვნებს — ბ თანხმოვნით დაწყებული სუფიქსები, რომელთა უშუალო შეხვედრისას ხდება გარკვეული ცვლილებები ფონეტიკური ხასიათისა (იხ. ქვ.). აღნიშნულ პოზიციებში ნულოვანი საფეხური სუფიქსისა ამოსავლად გვავარაუდებინებს სრულ საფეხურს (ვიწრო ი ხმოვნით, რომელიც სონორი თანხმოვნის შემდეგ შეიძლებოდა დაკარგულიყო — § 14). აუხსნელია ხმოვანთა ვარიაციების მიზეზი სრული გახმოვნების სუფიქსებთან (-ოლ || -ილ და ა. შ. — იხ ზემოთ).

**ფონეტიკური ცვლილებები მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოებისას.** ა) ამოსავალი ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვანი მრავლობითის ფორმაში ხშირად მ თანხმოვნით იცვლება: ბესუნ „დანა“ — ბესუმოლ, ბეეუნ „ნემსი“ — ბეეუმოლ, რექუნ „ძაფი“ — რექუმოლ, თუ-

<sup>1</sup> ხუნძურ ენაში ზოგჯერ შესაძლოა ბოლოხმოვნიან ფუძეს ხმოვნით დაწყებული სუფიქსი ერთვოდეს და ორივე ხმოვანი შენარჩუნებულ იყოს (ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ჩაერთვის ნახევარხმოვანი ა): ჩუ „ცხენი“ — ჩუჲ-ალ (დიალექტ. ჩ-ალ)...

ხუნ „ჯიბე“ — თუხუმოლ, მაშინ „მანქანა“ — მაშიშოლ, საფინ „საპონი“ — საფიშოლ... კორკონ „კვერციხი“ — კორკოშილ, ბეშონ „ლოგინი“ — ბეშოშილ, რომან „თოკი“ — რომაშილ, ფადან „წინდა“ — ფადაშილ, ისდაქან „ქიქა“ — ისდაქაშილ... ჰორჰაინ „თოხლი“ — ჰორჰაიშადულ... ყველა ასეთ შემთხვევაში მ მიღებული ჩანს ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვნისა და სუფიქსისეული თავკიდური ზ თანხმოვნის შერწყმით (ნ + ზ → მ — § 42): ბესუნ „დანა“ — ბესუმ-ოლ ← ბესუნ-ბოლ... კორკონ „კვერციხი“ — კორკოშილ ← კორკონ-ბილ... ჰორჰაინ „თოხლი“ — ჰორჰაიშადულ ← ჰორჰაინ-ბადულ<sup>1</sup>... (ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვანი დაცულია მ-ში გადაუსვლელად, როცა მომდევნო სუფიქსი ზ თანხმოვნით არ არის დაწყებული: ღან „პური“ — ღან-ოლ, გარაფინ „გრაფინი“ — გარაფინ-ოლ... ლ'ეინ „წყალი“ — ლ'ეინ-ადულ, ჰონ „აული“ — ჰონ-ადულ)<sup>2</sup>.

შენიშვნა 1. ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვნისა და სუფიქსის თავკიდური ზ თანხმოვნისაგან ერთი მ თანხმოვნის მიღება სათანადო შემთხვევებში შლის საზღვარს აღნიშნულ მორფემათა შორის. ბესუმოლ (← ბესუნ-ბოლ) „დანები“ და მსგავს ფორმებში ძნელი სათქმელია, თუ სად თავდება ფუძე და იწყება სუფიქსი: ბესუმ-ოლ თუ ბესუ-შოლ?

შენიშვნა 2. მრავლობითის ფორმებში ნ + ზ კომპლექსისაგან მიღებული მ შეიძლება აგვერიოს პირველად მ-ში, რომელიც ფუძეს მხოლოობითი რიცხვიდან გაპყვება მრავლობითში (აღრევის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სათანადო შემთხვევებში მხოლოობითისა და მრავლობითის ფორმათა შეპირისპირება); შდრ.: ბესუნ „დანა“ — ბესუმოლ (← ბესუნ-ბოლ), მაგრამ: ჰიტაიმ „ძირი“, „ფესვი“ — ჰიტაიშოლ...; კორკონ „კვერციხი“ — კორკოშილ (← კორკონ-ბილ), მაგრამ: არქვომ „კოვნი“ — არქვოშილ...

იშვიათად დასტურდება ისეთი მაგალითებიც, როცა ნ + ზ → მ + მ: წაუნ „არწივი“ — წაუმ-მულ ← წაუნ-ბულ (ღაღ. წაუმ-შილ ← წაუნ-ბილ), ქუნ „ქედილა“ — ქუმ-მულ ← ქუნ-ბულ (ღაღ. ქუმ-შილ ← ქუნ-ბილ). მ + ზ → მ + მ: სიმ „ბაგე“, „ტუჩი“ — სიმ-მულ ← სიმ-ბულ (ღაღ. სიმ-შილ ← სიმ-ბილ).

<sup>1</sup> ისევე, როგორც ეს ხდება ბოთლიხურში: ყუჰენ „ტომარა“ — ყუჰეშალ'ი ← ყუჰენ-ბალი (ტ. გ უ დ ა ვ ა, მესამე გრამატიკული კლასის ნიშნის ერთი ვარიანტი ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში. იკვ. IV. გვ. 136). წახურულ-რუთულურში (ეგვ. ჯ ე ი რ ა ნ ი შ ვ ი ლ ი)...

<sup>2</sup> შდრ. А. Д р р, АБД жз., გვ. 22, В, 2.

ბ) ინტერვოკალურ პოზიციაში სუფიქსისეული ბ თანხმოვანა მუნიბის თქმაში იცვლება ვ თანხმოვნით, ხოლო რიკვანის თქმაში სულ იკარგება (თანხმად ამ თქმებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერებისა, რაც წყვილბაგისმიერი ბ-ს დასუსტებით არის გამოწვეული — § 33): მუნ.: *ეცაი-ვოლ'ი* ← *ეცაი-ბოლ'ი* „დები“, *გედ-ოვილ'ი* ← *გედ-ობილ'ი* „კატები“... რიკვ. *გედ-ოჲლ* (← *გედ-ოილ*) ← *გედ-ობილ* „კატები“, *ქეკ-ოჲლ* (← *ქეკ-ოილ*) ← *ქეკ-ობილ* „ფეხები“... გარდა ამისა, მრავლობითის სუფიქსისეული ბ თანხმოვნისა და ფუძისეული ნ თანხმოვნისაგან შერწყმით მიღებული მ (იხ. ზემოთ: ა): რიკვანის თქმაში იმავე პოზიციაში სუსტდება და წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაციას იწვევს (§ 11): *კორკონ* „კერცხი“ — *კორკო-ჲლ* (← *კორკოილ*) ← *კორკომილ* (შდრ.: ანდ., ლალ. და ა. შ. *კორკომილ*) ← *კორკონ-ბილ*... *ჰორჰინ* „თხლი“ — *ჰორჰინადულ* ← *ჰორჰინადულ* (შდრ.: ანდ., ლალ. და ა. შ. *ჰორჰინადულ*) ← *ჰორჰინ-ბადულ*... (სხვა თქმების ჩვენებათა გაუთვალისწინებლად შეიძლება გვეგონოს, რომ ასეთ შემთხვევებში რიკვანის თქმაში სუსტდება არა მ, რომელიც მიღებულია ნ + ბ კომპლექსისაგან, არამედ ნ).

გ) მრავლობითის ფორმაში შეიძლება აღდგეს ამოსავალი ფუძის თანხმოვანი, რომელიც მხოლოდობითში დაკარგულია (ან დასუსტებულია): *ხა* ← *ხარ* (შდრ.: *ხუნძ. ხარ*) „მუჭი“ — *ხარ-იბოლ*... *ყაენ* ← *ყაენნ* (← *ყაენდ* — § 42) „კედელი“ — *ყაენნ-ადულ*... *ზიეუ* || ← *ზიეუ'* (მუნ. *ზიეე*) ← \**ზინუ* „ძროხა“ — *ზინ-ოლ* (§ 11)...

დ) მუნიბის თქმაში მრავლობითი რიცხვის ფორმებს ლ-ს შემდეგ (ბოლოში) შეიძლება დართული ჰქონდეს ღია მარცვლის წარმოშენილი ვიწრო ი ხმოვანი: *მოჰილი* „ბავშვები“, *ვოცაუ-ლი* „ძმები“, *კოთილი* „ცხენები“ და ა. შ.

§ 69. არსებით სახელთა ბრუნება მრავლობით რიცხვში.. მრავლობით რიცხვში ბრუნვის ფორმა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს: ა) სახელობით ბრუნვაში: ფუძე + რიცხვის ნიშანი; ბ) ირიბ ბრუნვებში: ფუძე + რიცხვის ნიშანი + დამაკავშირებელი ხმოვანი + ბრუნვის ნიშანი. ბრუნვის ნიშნები მრავლობით რიცხვში იგივეა, რაც მხოლოდობითში. განსხვავებას მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმებს შორის ქმნის სახელობით ბრუნვაში მხოლოდ რიცხვის ნიშნები, ხოლო ირიბ ბრუნვებში რიცხვის ნიშნები და — შესაძლოა — დამაკავშირებელი ხმოვანი, რომელიც რიცხვის ნიშნის მომდევნოდ და ბრუნვის ნიშნების

წინაა. ირიბ ბრუნვებში ზოგჯერ შეიძლება გვაკლდეს რიცხვის ნიშანი (ასეთ შემთხვევაში განსხვავებას მხოლოდობითი რიცხვის შესაბამის ფორმებთან დამაკავშირებელი ხმოვანი ქმნის). ფუძის სავრცობი ელემენტები, რომლებიც მხოლოდობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში შეიძლება გვეკონდეს, მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში არასდროს არ იჩენს თავს.

მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელობით ბრუნვაში მიმოვიხილეთ. გასათვალისწინებელია სახელობითის ფორმებთან ირიბ ბრუნვათა ფორმების მიმართება. ამ მხრივ ასეთი ვითარებაა:

ა) სუფიქსები -ლ-, -ულ-, -ილ ფუძეს სახელობითი ბრუნვიდან გაჰყვება ირიბ ბრუნვებშიც. დამაკავშირებელ ხმოვნად მათ დაერთვით -უ-||-ი-(-უ- I კლ. სახელებში, -ი- — დანარჩენ კლასთა სახელებში); შდრ.:

სახ. -ლ — ირ. ბრ. -ლ-უ/ი-: სახ. მოქი-ლ „ბავშვები“ (ვაჟები) — ერგ. მოქი-ლ-უ-დი, ნათ. მოქი-ლ-უ-(-), მიც. მოქი-ლ-უ-ჟ, აფექტ. მოქი-ლ-უ-(-)-ო [შდრ.: სახ. მოქი-ლ „ბავშვები (გოგონები)“ — ერგ. მოქი-ლ-ი-დი, ნათ. მოქი-ლ-ი-ლ'ი, მიც. მოქი-ლ-ი-ჟ, აფექტ. მოქი-ლ-ი-(-)-ო]; სახ. წაე-ლ „სტუმრები (მამაკაცები)“ — ერგ. წაე-ლ-უ-დი, ნათ. წაე-ლ-უ-(-), მიც. წაე-ლ-უ-ჟ, აფექტ. წაე-ლ-უ-(-)-ო; [შდრ.: სახ. წაე-ლ „სტუმრები (ქალები)“ ერგ. — წაე-ლ-ი-დი, ნათ. წაე-ლ-ი-ლ'ი, მიც. წაე-ლ-ი-ჟ, აფექტ. წაე-ლ-ი-(-)-ო]; სახ. ონეი-ლ „ზღარბები“ — ერგ. ონეი-ლ-ი-დი, ნათ. ონეი-ლ-ი-ლ'ი, მიც. ონეი-ლ-ი-ჟ, აფექტ. ონეი-ლ-ი-(-)-ო; სახ. ინქვა-ლ „ურმები“ — ერგ. ინქვა-ლ-ი-დი, ნათ. ინქვა-ლ-ი-ლ'ი, მიც. ინქვა-ლ-ი-ჟ, აფექტ. ინქვა-ლ-ი-(-)-ო...

სახ. -ულ — ირ. ბრ. -ულ-უ/ი-: სახ. ვოცა-ულ „ძმები“ — ერგ. ვოცა-ულ-უ-დი, ნათ. ვოცა-ულ-უ-(-), მიც. ვოცა-ულ-უ-ჟ, აფექტ. ვოცა-ულ-უ-(-)-ო; სახ. ვოშ-ულ „ვაჭიშვილები“ — ერგ. ვოშ-ულ-უ-დი, ნათ. ვოშ-ულ-უ-(-), მიც. ვოშ-ულ-უ-ჟ, აფექტ. ვოშ-ულ-უ-(-)-ო; სახ. ბოშ-ულ „ნაშიერები“ — ერგ. ბოშ-ულ-ი-დი, ნათ. ბოშ-ულ-ი-ლ'ი, მიც. ბოშ-ულ-ი-ჟ, აფექტ. ბოშ-ულ-ი-(-)-ო...

სახ. -ილ — ირ. ბრ. -ილ-უ/ი-: სახ. ღოშ-ილ „ქალები“ (ღოშკა „ქალი“) — ერგ. ღოშ-ილ-ი-დი, ნათ. ღოშ-ილ-ი-ლ'ი, მიც. ღოშ-ილ-ი-ჟ, აფექტ. ღოშ-ილ-ი-(-)-ო; სახ. კოთ-ილ „ცხენები“ — ერგ. კოთ-ილ-ი-დი, ნათ. კოთ-ილ-ი-ლ'ი, მიც. კოთ-ილ-ი-ჟ, აფექტ. კოთ-ილ-ი-(-)-ო; სახ. იჩ-ილ „ქაკი ცხენი“ — ერგ. იჩ-ილ-ი-დი, ნათ. იჩ-ილ-ი-ლ'ი, მიც. იჩ-ილ-ი-ჟ, აფექტ. იჩ-ილ-ი-(-)-ო...

შენიშვნა 1. I კლასის სახელებში -ილ სუფიქსიანი (და შესაბამისად ირიბ ბრუნვებში -უ- დამაკავშირებელ ხმოვნიანი) ფორმები დამოწმებული არ არის.

შენიშვნა 2. ირიბ ბრუნვებში პარალელურად დასტურდება ფორმები, რომელთაც -ილ სუფიქსი დაკარგული აქვთ: კოთ-ილ-ი-დი || კოთ-ი-დი „ცხენებმა“. კოთ-ილ-ი-ლი || კოთ-ი-ლი „ცხენებისა“ და ა. შ. (ასეთ შემთხვევებში განსხვავებას მხოლოდობითის შესაბამის ფორმასთან ზოგჯერ შეიძლება მხოლოდ დამაკავშირებელი ხმოვანი ამყარებდეს: კოთუ-დი „ცხენმა“ — კოთ-ი-დი ← || კოთ-ილ-ი-დი „ცხენებმა“... იჩ-უ-დი „ქაკმა“ — იჩ-ი-დი ← || იჩ-ილ-ი-დი „ქაკებმა“...).

ორმაგი სუფიქსი -ლ-ილ ფუძეს მთლიანად გაჰყვება ირიბ ბრუნვებში: სახ. წაა-ლ-ილ „ვარსკვლავები“; „წვიმები“ — ერგ. წაა-ლ-ილ-ი-დი, ნათ. წაა-ლ-ილ-ი-ლი, მიც. წაა-ლ-ილ-ი-ე, აფექტ. წაა-ლ-ილ-ი-(-)-ო.

ბ) სუფიქსები -ოლ და -ალ არ გაჰყვება ფუძეს ირიბ ბრუნვებში. დამაკავშირებელ ხმოვნად ფუძეს დაერთვის -ა-:

სახ. -ოლ — ირ. ბრ. -ა-: სახ. ბერჩ-ოლ „გველები“ — ერგ. ბერჩ-ა-დი, ნათ. ბერჩ-ა-ლი, მიც. ბერჩ-ა-ე, აფექტ. ბერჩ-ა-(-)-ო; სახ. ლანნ-ოლ „ყვავები“ — ერგ. ლანნ-ა-დი, ნათ. ლანნ-ა-ლი, მიც. ლანნ-ა-ე, აფექტ. ლანნ-ა-(-)-ო; სახ. კუნწა-ოლ „ლეკვები“ — ერგ. კუნწა-ა-დი, ნათ. კუნწა-ა-ლი, მიც. კუნწა-ა-ე, აფექტ. კუნწა-ა-(-)-ო; სახ. გამუშა-ოლ „კამერები“ — ერგ. გამუშა-ა-დი, ნათ. გამუშა-ა-ლი, მიც. გამუშა-ა-ე, აფექტ. გამუშა-ა-(-)-ო... ქვეანხი დათლის თქმაში -ოლ სუფიქსი შეიძლება უცვლელად გაჰყვეს ფუძეს ირიბ ბრუნვებში (სახ. -ოლ — ირ. ბრ. -ოლ-ა-: სახ. ხაუჩ-ოლ „წიგნები“ — ერგ. ხაუჩ-ოლ-ა-დი, ნათ. ხაუჩ-ოლ-ა-ლი და ა. შ. სახ. ინჩ-ოლ „ვაშლები“ — ერგ. ინჩ-ოლ-ა-დი, ნათ. ინჩ-ოლ-ა-ლი და ა. შ.).

სახ. -ალ — ირ. ბრ. -ა-: სახ. ლ'ერ-ალ „ხბოები“ — ერგ. ლ'ერ-ა-დი, ნათ. ლ'ერ-ა-ლი, მიც. ლ'ერ-ა-ე, აფექტ. ლ'ერ-ა-(-)-ო.

გ) სუფიქსები -ბოლ (→ -მოლ) || -იბოლ, -ბილ (→ -მილ) || -ობილ, -ბულ ← -ბულ, -დულ || -ადულ | -ოდულ, -დილ, -იბდულ | -ობდულ, -მადულ ← -ბადულ || -ობადულ, -დობილ არ გაიყოლებენ ირიბ ბრუნვებში ლ თანხმოვანს წინამავალი ხმოვნითურთ; დამაკავშირებელ ხმოვნად დაერთვის -ა-:

სახ. -ბოლ (→ -მოლ) — ირ. ბრ. -ბ-ა- (→ -მ-ა-): სახ. დოცაი-ბოლ „ღები“ — ერგ. დოცაი-ბ-ა-დი, ნათ. დოცაი-ბ-ა-ლი, მიც. დოცაი-ბ-ა-ე,

აფექტ. **აოციბ-ბ-ა-(-)-ო**; **სახ.** აოში-ბოლ „ქალიშვილები“ — ერგ. აოში-ბ-ა-დი, **ნათ.** აო-ში-ბ-ა-ლ'ი, **მიც.** აოში-ბ-ა-ჟ. აფექტ. აოში-ბ-ა-(-)-ო; **სახ.** ბესუ-შოლ ← ბესუნ-შოლ „დანები“ (ბესუნ „დნა“) — ერგ. ბესუ-შ-ა-დი ← ბესუნ-შ-ა-დი, **ნათ.** ბესუ-შ-ა-ლ'ი ← ბესუნ-შ-ა-ლ'ი, **მიც.** ბესუ-შ-ა-ჟ ← ბესუნ-შ-ა-ჟ. აფექტ. ბესუ-შ-ა-(-)-ო ← ბესუნ-შ-ა-(-)-ო...

**სახ.** იბოლ — **ირ.** ბრ. იბ-ა-: **სახ.** სოლ-იბოლ „ქბილები“ — ერგ. სოლ-იბ-ა-დი, **ნათ.** სოლ-იბ-ა-ლ'ი, **მიც.** სოლ-იბ-ა-ჟ, აფექტ. სოლ-იბ-ა-(-)-ო; **სახ.** წულ-იბოლ „ჯოხები“ — ერგ. წულ-იბ-ა-დი, **ნათ.** წულ-იბ-ა-ლ'ი, **მიც.** წულ-იბ-ა-ჟ, აფექტ. წულ-იბ-ა-(-)-ო...

**სახ.** ბილ (→ მილ) — **ირ.** ბრ. ბ-ა- (→ მ-ა-): **სახ.** ჰინწო-ბილ „ქეები“ — ერგ. ჰინწო-ბ-ა-დი, **ნათ.** ჰინწო-ბ-ა-ლ'ი, **მიც.** ჰინწო-ბ-ა-ჟ, აფექტ. ჰინწო-ბ-ა-(-)-ო; **სახ.** ნიქვო-ბილ „ფეხები“ — ერგ. ნიქვო-ბ-ა-დი, **ნათ.** ნიქვო-ბ-ა-ლ'ი, **მიც.** ნიქვო-ბ-ა-ჟ, აფექტ. ნიქვო-ბ-ა-(-)-ო; **სახ.** კორკო-შილ ← კორკონ-ბილ „კვერცხები“ (კორკონ „კვერცხი“) — ერგ. კორკო-შ-ა-დი ← კორკონ-შ-ა-დი, **ნათ.** კორკო-შ-ა-ლ'ი ← კორკონ-შ-ა-ლ'ი, **მიც.** კორკო-შ-ა-ჟ ← კორკონ-შ-ა-ჟ, აფექტ. კორკო-შ-ა-(-)-ო ← კორკონ-შ-ა-(-)-ო...

**სახ.** იზილ — **ირ.** ბრ. იზ-ა-: **სახ.** იმ-ობილ „მამები“ — ერგ. იმ-ობ-ა-დი, **ნათ.** იმ-ობ-ა-(-), **მიც.** იმ-ობ-ა-ჟ, აფექტ. იმ-ობ-ა-(-)-ო; **სახ.** ილ-ობილ „დედები“ — ერგ. ილ-ობ-ა-დი, **ნათ.** ილ-ობ-ა-ლ'ი, **მიც.** ილ-ობ-ა-ჟ, აფექტ. ილ-ობ-ა-(-)-ო...

**სახ.** შულ ← ბულ — **ირ.** ბრ. შ-ა ← ბ-ა: **სახ.** წაუმ-შულ ← წაუნ-ბულ „არწივები“ (წაუნ „არწივი“) — ერგ. წაუმ-შ-ა-დი ← წაუნ-ბ-ა-დი, **ნათ.** წაუმ-შ-ა-ლ'ი ← წაუნ-ბ-ა-ლ'ი, **მიც.** წაუმ-შ-ა-ჟ ← წაუნ-ბ-ა-ჟ, აფექტ. წაუმ-შ-ა-(-)-ო ← წაუნ-ბ-ა-(-)-ო.

**სახ.** დულ — **ირ.** ბრ. დ-ა-: **სახ.** სორ-დულ „მელიები“ — ერგ. სორ-დ-ა-დი, **ნათ.** სორ-დ-ა-ლ'ი, **მიც.** სორ-დ-ა-ჟ, აფექტ. სორ-დ-ა-(-)-ო; **სახ.** ფერ-დულ „ფუტკრები“ — ერგ. ფერ-დ-ა-დი, **ნათ.** ფერ-დ-ა-ლ'ი, **მიც.** ფერ-დ-ა-ჟ, აფექტ. ფერ-დ-ა-(-)-ო...

**სახ.** ადულ — **ირ.** ბრ. ად-ა-: **სახ.** ჰამან-ადულ „ცხვრები“ — ერგ. ჰამან-ად-ა-დი, **ნათ.** ჰამან-ად-ა-ლ'ი, **მიც.** ჰამან-ად-ა-ჟ, აფექტ. ჰამან-ად-ა-(-)-ო; **სახ.** ლ'ენ-ადულ „წყლები“ — ერგ. ლ'ენ-ად-ა-დი, **ნათ.** ლ'ენ-ად-ა-ლ'ი, **მიც.** ლ'ენ-ად-ა-ჟ, აფექტ. ლ'ენ-ად-ა-(-)-ო...

**სახ.** თადულ — **ირ.** ბრ. თად-ა-: **სახ.** თად-ოდულ „კვიციები“ — ერგ. თად-ოდ-ა-დი, **ნათ.** თად-ოდ-ა-ლ'ი, **მიც.** თად-ოდ-ა-ჟ, აფექტ. თად-ოდ-ა-(-)-ო...

სახ. -ღი-ლ — ირ. ბრ. -ღ-ა-: სახ. ბურ-დილ „ბატკნები“ — ერგ. ბურ-ღ-ა-დი; ნათ. ბურ-ღ-ა-ლ'ი, მიც. ბურ-ღ-ა-ჲ, აფექტ. ბურ-ღ-ა-(-)-ო...

სახ. -ბღულ — ირ. ბრ. -ბღ-ა-: სახ. ნუსო-ბღულ „სიძეები“ — ერგ. ნუსო-ბღ-ა-დი, ნათ. ნუსო-ბღ-ა-(-), მიც. ნუსო-ბღ-ა-ჲ, აფექტ. ნუსო-ბღ-ა-(-)-ო; სახ. ნიჩო-ბღულ „ნამგლები“ — ერგ. ნიჩო-ბღ-ა-დი, ნათ. ნიჩო-ბღ-ა-ლ'ი, მიც. ნიჩო-ბღ-ა-ჲ, აფექტ. ნიჩო-ბღ-ა-(-)-ო...

სახ. -იბღულ — ირ. ბრ. -იბღ-ა-: სახ. მილჩი-იბღულ „მოზვრე-ბი“ — ერგ. მილჩი-იბღ-ა-დი, ნათ. მილჩი-იბღ-ა-ლ'ი, მიც. მილჩი-იბღ-ა-ჲ, აფექტ. მილჩი-იბღ-ა-(-)-ო; სახ. გულლ-იბღულ „ტყვიები“ — ერგ. გულლ-იბღ-ა-დი, ნათ. გულლ-იბღ-ა-ლ'ი, მიც. გულლ-იბღ-ა-ჲ, აფექტ. გულლ-იბღ-ა-(-)-ო...

სახ. -ოზღულ — ერგ. -ოზღ-ა-: სახ. ჭურგვ-ოზღულ „ლეიბები“ — ერგ. ჭურგვ-ოზღ-ა-დი, ნათ. ჭურგვ-ოზღ-ა-ლ'ი, მიც. ჭურგვ-ოზღ-ა-ჲ, აფექტ. ჭურგვ-ოზღ-ა-(-)-ო; სახ. რიფ-ოზღულ „სახეები“ — ერგ. რიფ-ოზღ-ა-დი, ნათ. რიფ-ოზღ-ა-ლ'ი, მიც. რიფ-ოზღ-ა-ჲ, აფექტ. რიფ-ოზღ-ა-(-)-ო...

შენიშვნა. ზოგჯერ -ბღულ || -იბღულ სუფიქსებს ირიბ ბრუნვებში შეიძლება ჩამოშორდეს -ღულ და შემორჩეს მხოლოდ -ბ || -იბ-: სახ. ლაქა-ბღულ „ხბოები“ — ერგ. ლაქა-ბღ-ა-დი || ლაქა-ბ-ა-დი, ნათ. ლაქა-ბღ-ა-ლ'ი || ლაქა-ბ-ა-ლ'ი, და ა. შ.; სახ. ტამსაიბღულ „ნოხები“ — ერგ. ტამსა-იბღ-ა-დი || ტამსა-იბ-ა-დი, ნათ. ტამსა-იბღ-ა-ლ'ი || ტამსა-იბ-ა-ლ'ი და ა. შ.

სახ. -მადულ ← -ზადულ — ირ. ბრ. -მად-ა- ← -ზად-ა-: სახ. ჰორკვი-მადულ ← ჰორკვიინ-ზადულ „თოხლები (ჰორკვიინ „თოხლი“)“ — ერგ. ჰორკვი-მად-ა-დი ← ჰორკვიინ-ზად-ა-დი, ნათ. ჰორკვი-მად-ა-ლ'ი ← ჰორკვიინ-ზად-ა-ლ'ი, მიც. ჰორკვი-მად-ა-ჲ ← ჰორკვიინ-ზად-ა-ჲ, აფექტ. ჰორკვი-მად-ა-(-)-ო ← ჰორკვიინ-ზად-ა-(-)-ო.

სახ. -იზადულ — ირ. ბრ. -იზად-ა-: სახ. ნუს-იზადულ „როლები“ — ერგ. ნუს-იზად-ა-დი, ნათ. ნუს-იზად-ა-ლ ი, მიც. ნუს-იზად-ა-ჲ, აფექტ. ნუს-იზად-ა-(-)-ო; სახ. ბულ-იზადულ „ბულები“ — ერგ. ბულ-იზად-ა-დი, ნათ. ბულ-იზად-ა-ლ'ი, მიც. ბულ-იზად-ა-ჲ, აფექტ. ბულ-იზად-ა-(-)-ო...

სახ. -ღობილ — ირ. ბრ. -ღობ-ა-: სახ. იმატაორ-ღობილ „სიმამ-რები“ — ერგ. იმატაორ-ღობ-ა-დი, ნათ. იმატაორ-ღობ-ა-(-), მიც. იმატაორ-ღობ-ა-ჲ, აფექტ. იმატაორ-ღობ-ა-(-)-ო; სახ. ტაირ-ღობილ „ხიდები“ — ერგ. ტაირ-ღობ-ა-დი, ნათ. ტაირ-ღობ-ა-ლ'ი, მიც. ტაირ-ღობ-ა-ჲ, აფექტ. ტაირ-ღობ-ა-(-)-ო...



შენიშვნა. იშვიათად დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა სახელობითის და ირიბ ბრუნვათა სუფიქსებს შორის შეფარდება დარღვეულია: შდრ., მაგალ.: ანდ.: სახ. იხვობ-ილ „წისკვილები“ — ერგ. იხვობ-ა-დი, ნათ. იხვობ-ა-ლ'ი და ა. შ. (ირიბ ბრუნვათა ჩვენებიდან ამოსვლით სახელობითში მოსალოდნელი იყო -ოლ სუფიქსი); რიკკ.: სახ. უნსო-ოლ „ხარები“ — ერგ. უნსო-დ-ა-დ, ნათ. უნსო-დ-ა-ლ' და ა. შ.<sup>1</sup> (ირიბ ბრუნვათა ჩვენების მიხედვით სახელობითში მოსალოდნელი იყო -დულ სუფიქსი; შდრ.: ანდის თქმაში შეფარდება დატულია: სახ. უნსო-დულ „ხარები“ — ერგ. უნსო-დ-ა-დი, ნათ. უნსო-დ-ა-ლ'ი და ა. შ.). ასეთ შემთხვევებში, საფიქრებელია, სუფიქსი შეცვლილია სახელობით ბრუნვაში.

დამაკავშირებელი ხმოვნის შესახებ მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში. მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში, როგორც ვნახეთ, დამაკავშირებელი ხმოვნის როლში შეიძლება გვექონდეს: -უ-||-ო- და -ა-. ამათგან -უ-||-ო- თავს იჩენს მრავლობითი რიცხვის -ლ || -ულ || -ილ სუფიქსების შემდეგ, რომლებიც ფუძეს გააყვება ირიბ ბრუნვებში, ხოლო -ა- მაშინ გვაქვს, როცა სახელობითში ისეთი სუფიქსებია, რომლებიც ან სულ არ გააყვება ფუძეს ირიბ ბრუნვებში ან მხოლოდ იკვეცს -ლ დაბოლოებას წინამავალი ხმოვნიურთ. სხვანაირად რომ ვთქვათ, -უ-||-ო- ირიბ ბრუნვებში მრავლობითის სუფიქსისეული ლ თანხმოვნის შემდეგ გვაქვს, ხოლო -ა-—სუფიქსისეული სხვა თანხმოვნების (კერძოდ, ბ და დ თანხმოვნების) შემდეგ ან უშუალოდ ფუძის შემდეგ, როცა მრავლობითის სუფიქსი ირიბ ბრუნვებში ფუძეს არა აქვს გადმოყოლილი სახელობითი ბრუნვიდან (მაგალითები იხ. ზემოთ). მასთან, -უ-||-ო- ხმოვნებიდან, როგორც ვნახეთ, -უ- გვხვდება I გრამატიკული კლასის სახელებში, -ო-—II და დანარჩენი კლასების სახელებში<sup>2</sup> [ამგვარი დაპირისპირებით ამ ხმოვანთა გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინოა „საზიარო კლასის“ სახელებში: წაე-ლ „სტუმრები“ (მამაკაცები, ქალები) — წაე-ლ-უ-დი „სტუმრებმა (მამაკაცებმა)“, წაე-ლ-ი-დი „სტუმრებმა (ქალებმა)“ — და ა. შ.]. ამ მხრივ ეს დამაკავშირებელი ხმოვნები მრავლ. რიცხვის სუფიქსისეული ლ თანხმოვნის მომდევნოდ ისევეა განაწილებული. როგორც

<sup>1</sup> А. Г. Сухейманов, Именное склонение в анд. языке. (По данным говора с. Риквани). УЗИИЯЛ Даг. физ. АН СССР, Махачкала, 1953, გვ. 300.

<sup>2</sup> ეს ფაქტი შენიშნული აქვს ი. სულეიმანოვსაც რიკვანის თქმის მონაცემების მიხედვით (И. Г. Сухейманов, Именное склонение в анд. яз., გვ. 291).

მხოლოდობით რიცხვში -შა- და -ლა- სავრცობების მომდევნოდ, სადაც -უ- აგრეთვე I კლასის სახელებშია გამოყენებული, ხოლო -ი- -- II და დანარჩენი კლასების სახელებში (წყე-შა-უ-ა „სტუმარს“ (მამაკაცსა) — წყე-ლ-ა-ი-ა „სტუმარს“ (ქალსა)...—§ 64).

დამაკავშირებელი ხმოვანი -ა- მრავლობით რიცხვში შეიძლება გვექონდეს ყველა კლასის სახელებში.

შენიშვნა. ქვანხიდათლის თქმაში დამაკავშირებელი ხმოვნის როლში დასტურდება -უ- და -ა- (-უ-შეიძლება გვექონდეს — სხვა თქმებისაგან განსხვავებით — არა მხოლოდ I კლასის სახელებში, არამედ II კლასის სახელებშიც, ხოლო -ა- — ყველა კლასის სახელებში). აქ მრავლობით რიცხვში არა ჩანს -ი-.

რამდენადაც დამაკავშირებელი ხმოვანი -ა- უცხოა მხოლოდობით რიცხვისათვის, იგი სათანადო შემთხვევებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთ, დამატებით, საშუალებად რიცხვის თვალსაზრისით ბრუნვათა ფორმების გასარჩევად (შდრ.: იმ-უ-დი „მამამ“ — იმ-ობ-ა-დი „მამებმა“ ... სორ-ო-დი „მელამ“ — სორ-დ-ა-დი „მელიებმა“...) ან ზოგჯერ ერთადერთ საშუალებადაც (როცა მის წინ მრავლობითობის სპეციალური ფორმანტი გვაკლია: ჯაზ-ო-დი „ბატმა“ — ჯაზ-ა-დი „ბატებმა“; ლან-ო-დი „ყვავმა“ — ლან-ა-დი „ყვავებმა“... ბერჩ-უ-დი „გველმა“ — ბერჩ-ა-დი „გველებმა“; ლალბაწ-უ-დი „ლომმა“ — ლალბაწ-ა-დი „ლომებმა“...).

ამრიგად, დამაკავშირებელი ხმოვნები ბრუნების პროცესში შეიძლება გარჩეული იყოს, როგორც საბრუნებელი სახელის გრამატიკული კლასების მიხედვით, ისე რიცხვის მიხედვითაც (-ა- მრავლობით რიცხვზე მიუთითებს).

§ 70. მრავლობითი რიცხვის სუფიქსთა უდგენილობისათვის. შედგენილობის მიხედვით მრავლობითი რიცხვის ზოგი სუფიქსი მარტივია, ზოგიც რთული. მარტივად შეიძლება მივიჩნიოთ ოდენ ლ თანხმოვნის შემცველი სუფიქსები ნულოვანი ან სრული გახმოვნებით (-ლ || -ოლ || -ულ || -ილ || -ალ), ხოლო რთულია ისეთი სუფიქსები, რომლებშიც გარდა ლ-სა მონაწილეობენ სხვა თანხმოვნითი ელემენტებიც: -ბ-ოლ || -იბ-ოლ (შდრ. -ოლ), -ბ-ილ || -იბ-ილ (შდრ. -ილ), -მ-ულ ← -ბ-ულ (შდრ. -ულ), -დ-ულ || -ად-ულ | -ოდ-ულ (შდრ. -ულ), -დ-ილ (შდრ. -ილ), -ბ-დ-ულ || -იბ-დ-ულ || -იბ-დ-ულ (შდრ. -დ-ულ), -მ-ად-ულ ← -ბ-ად-ულ || -იბ-ად-ულ (შდრ. -ად-ულ), -დ-იბ-ილ (შდრ. -იბ-ილ).

როგორც შეპირისპირებიდან ჩანს, რთულ სუფიქსებში პირველ კომპონენტად მონაწილეობენ **ბ** და **დ** თანხმოვნების შემცველი სუფიქსები (ნულოვანი ან სრული გახმოვანებით: **-ბ** || **-იბ** | **-ობ**; **-დ** || **-ად** || **-ოდ**), რომელთაც მეორე კომპონენტად აქვთ დართული მარტივი **-ოლ** || **-ილ** || **-ულ** სუფიქსები ან ზოგჯერ რთული **-დ-ულ** || **-ად-ულ**, **-ობილ** სუფიქსებიც. ასეა სახელობით ბრუნვაში.

ირიბ ბრუნვებში, როგორც ვნახეთ, რთულ სუფიქსებს შორედებათ **-ოლ** || **-ილ** || **-ულ** კომპონენტები და გვრჩება **ბ** და **დ** თანხმოვნის კომპონენტები: **-ბ-** || **-იბ-** || **-ობ-**; **-დ-** || **-ად-** || **-ოდ** ან მათი სინთეზირებული ვარიანტები: **-ბ-'დ'** || **-იბ-'დ'** || **-ობ-'დ'**; **-ბ-ად-** || **-იბ-ად-**; **-დ-ობ-** (ეს უკანასკნელი თავს იჩენენ, როცა სახელობითის რთულ სუფიქსთა მეორე კომპონენტები აგრეთვე რთული სუფიქსებია).

დასაშვებია მრავლობითი რიცხვის ფორმანტებში **ბ** და **დ** თანხმოვნით ელემენტთა ეტიმოლოგიური კავშირი გამარტივებული კლასის ნიშნებთან<sup>1</sup>.

ამჟამად ისინი გვევლინებიან, როგორც მრავლობითი რიცხვის მაჩვენებლები (სახელობით ბრუნვაში გართულებული, ხოლო ირიბ ბრუნვებში — ბრუნვათა დაბოლოებების წინ — გამარტივებული სახით)<sup>2</sup>: იმ-ობილ „მამები“ — იმ-ობ-ადი „მამ-ებ-მა“ ლ'ენ-ადულ „წყლები“ — ლ'ენ-ად-ადი „წყლ-ებ-მა“...

მრავლობითი რიცხვის საერთო სუფიქსები ანდიურსა და ხუნძურში. მრავლობითი რიცხვის რიგი სუფიქსი (მარტივი და რთული) ანდიურსა და ხუნძურს საერთო აქვთ: შდრ.: ა) მარტივი სუფიქსები: ანდ. -ოლ (-ად) — ხუნძ. -ალ<sup>3</sup>, ანდ. -ულ — ხუნძ. -ულ. ანდ. -ილ — ხუნძ. -ი; ბ) რთული სუფიქსები: ანდ. -ბილ || -ობილ —

<sup>1</sup> А. Д и р р, Авд. яз., გვ. 21.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმანტებში გაქვევებული კლას-ნიშნების ქონას შესაძლებლად მიიჩნევენ დაღესტნური და ნახური ჯგუფის სხვა ენებშიც. რომელთაც მრავლობითობის ანალოგიური რთული შედგენილობის სუფიქსები მოეპოვებათ; იხ.: Г. Б. М у р к е л и н с к и й. Показатели множественности в лакском языке. Труды первой научной сессии Дагестанской базы АН СССР, Махачкала, 1948; Э. А. Л о м т а д з е. Морфологические категории имен в хванском (капучинско-гунзибском) языке. Автореферат кандид. диссерт., Тбилиси, 1949; მისივე, Анализ капучинско-гунзибского языка. იკე, VIII, 1959, გვ. 391—397; კ. კ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, -ბი სუფიქსი ბაცებურში, თსუ შრომები, ტ. 63. 1956.

<sup>2</sup> შდრ. Я. Г. С у л е й м а н о в. Автореферат, გვ. 11—12.

<sup>3</sup> სვავობა ხმოვნითი ელემენტის მიხედვით (ანდ. ო — ხუნძ. ა), რაც თავს იჩენს სხვა სუფიქსებშიც (იხ. ქვ.), ემყარება კანონზომიერ შესატყვისობას (§ 18).

ხუნდ. -ბი || -აბი. ანდ. -დულ — ხუნდ. -დულ, ანდ. -დობილ — ხუნდ. -ზაბი ← -დაბი...

განსხვავება იმაშია. რომ ანდიურში ყველა სუფიქსი სახელობით ბრუნვაში ლ თანხმოვანზე ბოლოვდება, ხოლო ხუნდურში ზოგი სუფიქსის ბოლოკიდურად შეიძლება გვექონდეს ხმოვანიც (ი). რომელსაც, ივარაუდება, დაკარგული აქვს თანხმოვანი ლ (სამხრ.-ხუნდურ კილო-თქმებში ლ ასეთ პოზიციაშიც დაცულია)<sup>1</sup>.

ხუნდურშიც რთულ სუფიქსთა შედგენილობაში მონაწილეობენ ბ. ღ<sup>2</sup> (→ || ზ — არნ. ჩიქობავა) თანხმოვნები<sup>3</sup>.

§ 71. მრავლობითი რიცხვის წარმოება არაარსებით სახელ-  
ლებში. არაარსებით სახელებში, კერძოდ, ზედსართავ სახელებში (აგრეთვე მიმღებებში), რიცხვით სახელებში, ნაცვალსახელებში... მრავლობით რიცხვს აწარმოებს მარტივი სუფიქსი -ლ, რომელსაც შეიძლება უძლოდეს ოდენ ხმოვნითი ელემენტი (-ულ || -ოლ). აღნიშნული სახელებისათვის უცხოა რთული სუფიქსები ბ ან ღ თანხმოვნითი ელემენტებით (-ბოლ... -ღულ), რომლებიც, როგორც ვნახეთ, ხშირად გვხვდება არსებით სახელებში.

ისეთ — ატრიბუტულ — სახელებს, რომელთაც მხოლოდობით რიცხვში სუფიქსად კლას-ნიშანი დაერთვის, ეს ნიშანი ფუძეს მხოლოდობითი რიცხვიდან მრავლობითშიც გაჰყვება (რიცხვის ნიშანი კლას-ნიშანს დაერთვის): შდრ., მაგალ.: ჰო-ვ, ჰო-ჟ, -ჰო-ბ, ჰო-რ „ეს“ — მრ. რ.: ჰო-ვ-ულ, ჰო-ჟ-ილ (← ჰო-ჟ-ულ — § 16), ჰო-ბ-ულ, ჰო-რ-ულ „ესენი“... ასევე: სე-ვ, სე-ჟ, სე-ბ, სე-რ „ერთი“ — მრ. რ.:

<sup>1</sup> „ხუნდ. ენა“. გვ. 102.

<sup>2</sup> ხუნდურში აღნიშნავენ ნ თანხმოვნის შემცველ -ნი (სამხრ.-ხუნდ. -ნილ) სუფიქსსაც (ერთად-ერთ სიტყვაში: წაე „თბა“ — წაა-ნი). მაგრამ ნ ამ სუფიქსში ისტორიულად ამოსავალი ფუძის კუთვნილებაა, შემონახულია -ი (სამხრ.-ხუნდ.-ილ) სუფიქსის წინ. ამის შესახებ იხ.: ვ. Магомедбекова, Образование множ. числа существительных в ахвахском языке, СКА, IX—X, გვ. 274; ილ. ცერცვაძე, ბგერათცვლილებისათვის ხუნდ.-ანდიურ ენებში, СКА, IX—X, გვ. 254.

<sup>3</sup> ბ და ღ (→ || რ) თანხმოვნების შემცველი სუფიქსები მრავლობითი რიცხვის ნიშნებად დაღესტნურ (და ნახურ) ენათა საერთო ისტორიული კუთვნილება ჩანს და, მასთან, გამორიცხული არ უნდა იყოს მათი კავშირი ქართულურ ენათა ბ და ღ | თ თანხმოვნიან სუფიქსებთანაც.

ჯერ კიდევ ა. შიფნერი მიუთითებდა (Versuch über das Awarische, § 43) ბუნდურის ბ თანხმოვნიანი სუფიქსის (-ბი). თუშურის (resp. ბაცბურის) იმავე თანხმოვნის შემცველ (-ბი) სუფიქსისა და ქართულ -ებ სუფიქსის კავშირზე. ამავე აზრისაა რ. ერკერტიც (Die Sprachen des Kaukas. Stammes) და ი. სულეიმანოვიც (Австрофрат. გვ. 11).

სე-ვ-ულ, სე-ჟ-ილ (← სე-ჟ-ულ — § 16). სე-ბ-ულ, სე-რ-ულ, „ერთ-ნი“... ხუნძურში ანალოგიურ შემთხვევებში კლას-ნიშანი ფუძეს არ გაჰყვება მრავლობით რიცხვში (მრ. რიცხვის ნიშანი აქ ყველა კლასში მხ. რიცხვის კლას-ნიშნის ადგილს იკავებს): ჰა-ვ, ჰა-ჟ, ჰა-ბ, „ეს“ — მრ. რ.: ჰა-ლ „ესენი“... ჰიტინ-ავ, ჰიტინ-აჟ, ჰიტინა-აბ „პატარა“, „უმცროსი“ — მრ. რ.: ჰიტინ-ალ „პატარები“, „უმცროსები“... ხუნძურის ვითარება, ამ მხრივ, მეორეულია (მრ. რიცხვში ფუძეს კლას-ნიშნები რიცხვის ნიშნის წინ დაკარგული აქვს)¹.

პირის ნაცვალსახელებს რიცხვი გარჩეული აქვთ, როგორც სხვადასხვა ფუძის გამოყენებით მხოლოდობითსა და მრავლობითში, ისე რიცხვის სპეციალური ნიშნის დართვით მრავლობითის ფუძეზე (§ 95).

## § 72. ბრუნების ტიპები მხოლოდობითსა და მრავლობითში.

ა) როგორც ვნახეთ (§ 57), სათანადო თქმაში ერგატივს, მიცემითსა და აფექტივს თითო დაბოლოება აქვთ² (სახელობითი კი უბრუნვის-ნიშნით), მაგრამ ნათესაობითს ყველა თქმაში შეიძლება ჰქონდეს მორფოლოგიურად განსხვავებული ორი დაბოლოება: 1) კლას-ნიშანი (ცვალებადი საზღვრული სახელის გრამატიკ. კლასების მიხედვით) და 2) -ლ'ი (§ 58). ამიტომ თუ ერგატივის, მიცემითისა და აფექტივის (აგრეთვე სახელობითის) დაბოლოებათა მიხედვით ერთი ბრუნება გვექნება. ნათესაობითის დაბოლოების მიხედვით შეიძლება გარჩეული იყოს შესაბამისად ორი ტიპი ბრუნებისა³. პირველი ტიპის მიხედვით (კლას-ნიშნით ნათ. ბრუნვაში) იბრუნვის I გრამატიკ. კლასის სახელები, მეორე ტიპის მიხედვით (-ლ'ი დაბოლოებით ნათ. ბრუნვაში) — დანარჩენ კლასთა სახელები. ასეა ეს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებში. ნაცვალსახელებში (ზოგი გამონაკლისი იხ. ქვ.), მასთან, როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში. მხოლოდ პირის ნაცვალსახელები და კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“ არ განარჩევენ ბრუნების ორსავე ტიპს: ეს სახელები განურჩევლად კლასებისა იბრუნვის პირველი ტიპის მიხედვით, ე. ი. კლას-ნიშნით ნათ. ბრუნვაში (§§ 96).

¹ „ხუნძ. ენა“, § 63, გვ. 105.

² მხედველობაში არ მიიღება ფონეტიკური (და დიალექტური) ვარიანტები.

³ ბრუნების ორ ტიპს ნათესაობითის დაბოლოების მიხედვით განარჩევს — აულ რიკვანის თქმის მონაცემების მიხედვით — ი. სულეიმანოვი (Я. Сулейманов, Автореферат, გვ. 13).

ბ) განსხვავება ბრუნების პროცესში შეიძლება შექმნას ირიბ ბრუნვათა ფუძის სხვადასხვაგვარმა წარმოებამ სხვადასხვა სახელებში. როგორც ვნახეთ, მხოლოდ ბითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში ბრუნვათა დაბოლოებების წინ შეიძლება გვექონდეს: 1) ოდენ დამაკავშირებელი ხმოვანი (§ 63) ან 2) საგრცობი ელემენტი მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვანით (§§ 64, 67). შესაბამისად ამისა შეიძლება გარჩეული გვექონდეს ბრუნების ორი ძირითადი ტიპი. 1) უსავრცობო (ანუ ოდენ დამაკავშირებელ ხმოვანიანი) ბრუნება (ქვეტიპებით შესაბამისად სხვადასხვა დამაკავშირებელი ხმოვნებისა) და 2) სავრცობიანი ბრუნება (ქვეტიპებით შესაბამისად სხვადასხვა სავრცობი ელემენტებისა). ბრუნების ორსავე ტიპს განარჩევენ მარტო საზოგადო არსებითი სახელები, დანარჩენი სახელები კი იბრუნვის ერთ-ერთი ზემოხსენებული ტიპის მიხედვით, — სახელდობრ: ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები, ჩვენებითი, უკუქცევითი, კუთვნილებითი ნაცვალსახელები და, აგრეთვე, კითხვითი ნაცვალსახელი „რა?“ — სავრცობიანი ბრუნების მიხედვით (-ზა-ქ-ლ-ა- სავრცობებით), ხოლო პირის ნაცვალსახელები, კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ?“, ადამიანთა საკუთარი სახელები — უსავრცობო ბრუნების მიხედვით (იხ. ქვ. თავთავის ადგილას). მრავლობით რიცხვში ყველა სახელი უსავრცობო ბრუნებას განეკუთვნება: როგორც ვიცით (§ 69), მრავლობით რიცხვში ბრუნვათა დაბოლოებების წინ და მრავლობითის სუფიქსის მომდევნოდ შეიძლება გვექონდეს მხოლოდ დამაკავშირებელი ხმოვანი (სავრცობი ელემენტი მრავლობითის ირიბ ბრუნვათა ფუძეში არა ჩანს).

ფუძის მიხედვით ბრუნების ზემოაღნიშნული ორი ტიპი ანდიურში გარკვეულ მიმართებაშია ბრუნების ორ ძირითად ტიპთან ხუნძურ ენაში: ანდ. უსავრცობო ბრუნება შესატყვისია ხუნძ. ერთფუძიანი<sup>1</sup> („ძლიერი“<sup>2</sup>, „არქაული“<sup>3</sup>) ბრუნებისა, ხოლო ანდ. სავრცობიანი ბრუნება შესატყვისია ხუნძ. ორფუძიანი<sup>1</sup> („სუსტი“<sup>2</sup>, „ცოცხალი“<sup>3</sup>) ბრუნებისა. განსხვავებას მეორე ტიპის

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავას ტერმინოლოგიით (იხ.: სვანური მოთხრობითი ბრუნვის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურენაში. თხუ შრომები, ტ. XVIII, 1911; „ხუნძ. ენა“, §§ 70—71).

<sup>2</sup> ა. შიფნერის ტერმინოლოგიით (იხ.: Versuch über das Awarische. §§ 54—64).

<sup>3</sup> ლ. ეირკოვის ტერმინოლოგიით (იხ.: Грам. авар. яз., გვ. 89—91; Авар.-п-р. с-я., გვ. 166—167).

(სავრც., ორფუძ.) ბრუნების დროს ერგატივის წარმოება ქმნის (ანდიურში ერგატივს სავრცობს გარდა საკუთარი დაბოლოებაც აქვს, ხოლო ხუნძურში—მხოლოდ სავრცობი, რომელიც ამავე დროს ბრუნვის დაბოლოებაცაა— § 65).

ბრუნებათა ძირითადი ტიპები ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) მიზანშეწონილია გარჩეული გვექონდეს სწორედ ფუძის მიხედვით, კერძოდ, ირიბ ბრუნვათა ფუძის წარმოების მიხედვით (იხ. ზემოთ ბ- პუნქტი)<sup>1</sup>. რაც შეეხება განსხვავებას დაბოლოების მიხედვით, რომელიც მხოლოდ ერთ ბრუნვაში (ნათ. ბრ.) იჩენს თავს, ეს სათანადო შემთხვევებში წინასწარ აღვიღალ გასათვალისწინებელია (იხ. ზემოთ ა- პუნქტი).

**§ 73. ადამიანის საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი.** ადამიანის საკუთარი სახელები (მამაკაცისა თუ ქალისა) იბრუნვის პირველი ტიპის (უსავრცობო ბრუნების) მიხედვით. დამაკავშირებელი ხმოვანი საკუთარ სახელებში სტანდარტულია (ანდის თქმაში: -ო-/-ნოლი-).

სახ.	უსმან (მამაკაცის სახ.)	ხაჯათი (ქალისსახ.)	ჯამი (ქალისსახ.)
ერგ.	უსმან-ო-დი	ხაჯათ-ო-დი	ჯამი-დი
ნათ.	უსმან-ო-(-)	ხაჯათ-ო-ლ'ი	ჯამი-ლ'ი
მიც.	უსმან-ო-ჟ	ხაჯათ-ო-ჟ	ჯამი-ჟ
აფექტ.	უსმან-ო-(-)-ო	ხაჯათ-ო-(-)-ო	ჯამი-(-)-ო

ისეთი საკუთარი სახელი, რომელსაც სახ. ბრუნვაში სუფიქსად კლას-ნიშანი აქვს (-გ მამაკაცის საკუთარ სახელს, -ჟ—ქალის საკუთარ სახელს), ირიბ ბრუნვაში დაირთავს შესაბამისად -შა-უ- და -ლ'ა-ი- სავრცობებს; მასთან, კლას-ნიშანი ჟ ფუძეს გაჰყვება ირიბ ბრუნვებშიც (-ლ'ა-ი- სავრცობის წინ), ხოლო კლას-ნიშანი -გ—არა; მაგალ.: სახ. ხათუ-ჟ (ქალი)—ერგ. ხათუ-ჟ-დი (← ხათუ-ჟ-ლ'ა-ი-დი), ნათ. ხათუ-ჟ-ლ'ი (← ხათუ-ჟ-ლ'ა-ი-ლ'ი), მიც. ხათუ-ჟ-ლ'ა-ი-ჟ, აფექტ. ხათუ-ჟ-ლ'ა-ი-(-)-ო; სახ. ზალალა-გ (მამაკაცი)—ერგ. ზალალა-შა-დი (← ზალალა-შა-უ-დი), ნათ. ზალალა-შა-უ-(-), მიც. ზალალა-შა-უ-ჟ, აფექტ. ზალალა-შა-უ-(-)-ო...

<sup>1</sup> ირიბ ბრუნვათა ფუძის მიხედვით ბრუნების ტიპებს განარჩევენ სხვა ანდიურ ენებშიც (შდრ. А. Божарев, Чамал. яз., გვ. 37; З. М. Магомедбекова, Склонение имен в каратляском яз., ош, VI, ტ. გუდაეა, ბოთლი-ხური ენა, გვ. 69).

### ადგილობრივი ბრუნვები

§ 74. წყებავი და მათში შმავეალი ბრუნვები. ადგილობრივი (ლოკალური) ბრუნვები შვიდ წყებად (სერიად) ჯგუფდება. თითოეულ წყებაში გარჩეულია სამი (ან ორი) ბრუნვა: 1. ადგილობრივი — *Locativus* (სად?), 2. მიმართულებითი — *Allativus* (საითკენ?), 3. დაშორებითი — *Elativus* (საიდან?). პირველი გამოხატავს მდებარეობას (ანუ მყოფობას) გარკვეულ სივრცითს ფარგლებში (სად? — „ქვა-ზე“, „ქვა-ში“ და ა. შ.), ხოლო მეორე და მესამე მოძრაობას იმავე სივრცითს ფარგლებში (საითკენ? — „ქვა-ზე-კენ“, „ქვა-ში-კენ“ და ა. შ.; საიდან? „ქვა-ზე-იდან“, „ქვა-ში-იდან“ და ა. შ.)<sup>1</sup>. ზოგ წყებაში მიმართულებითი არ გაირჩევა ადგილობრივითსაგან, დაშორებითი კი ყველა წყებაში გარჩეულია.

§ 75. ადგილობრივ ბრუნვათა მაჩვენებლები. ქვემოთ მოგეყავს ადგილობრივ ბრუნვათა მაჩვენებლების სქემა წყებათა მიხედვით (ან დის თქმის მონაცემების მიხედვით).

წყება, ბრუნვა <sup>2</sup>	მაჩვენებელი	მნიშვნელობა <sup>3</sup>	
I, 1	-ლა	„ზე“ (პორიზონტ. ზედაპ.)	
I, 2	-ლო		
I, 3	-ლა-ქუ		
II, 1	{	„ზე“ (ვერტიკ. ზედაპ.)	
II, 2			-ჭუ
II, 3			-ჭუ-ქუ
III, 1	-ხა	„თან“	
III, 2	-ხო		
III, 3	-ხა-ქუ		

<sup>1</sup> ისევე, როგორც ხევსურულსა და ფშაურში: ცხენ-ზე-ით... საფლავ-ში-ით... კალა-შია-მდი... (იხ.: ვ. თოფურია, ბრუნების სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქ. სახელმწ. მუზეუმის მთაბეგ, X—B, 1940, გვ. 328; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 77—73).

<sup>2</sup> წყებებს (სერეებს) აღნიშნავთ რომაული ციფრებით (დალაგება პირობითია), ხოლო მათში შმავეალ ბრუნვებს — არაბული ციფრებით (1. ადგილობრივი, 2. მიმართულებითი, 3. დაშორებითი). დალესტურ ენებში (ხუნძურში და სხვ.) ადგილობრივ ბრუნვებად კლასიფიკაცია, რომელსაც ჩვენც აქ ვიყენებთ, პ. უსლარი დან მოდის.

ა. დირი ჩამოთვლის ადგილობრივ ბრუნვებს საწარმოებელი ნიშნების მიხედვით, მაგრამ არ აჯგუფებს მათ (Авд. яз., გვ. 13—18); ი. სულეიმანოვი ადგილ. ბრუნვათა ექვს წყებას გამოყოფს (Я. Сухейманов, Именное склонение., გვ. 288—290; მისივე, Автореферат, გვ. 17).

<sup>3</sup> ნაჩვენებია მხოლოდ ძირითადი ლოკალური მნიშვნელობა.



IV, 1	{	-ჭი	„ში“ (მრ. რ.)
IV, 2			
IV, 3			
V, 1	{	-ტო	„ქვეშ“
V, 2			
V, 3			
VI, 1	{	-ლ'ი	„ში“
VI, 2			
VI, 3			
VII, 1	-ლა	-ა	„ში“ (მხ. რ.)
VII, 2	-ლა-დი	-ა-დ-ი	
VII, 3	-ლა-ქუ	-ა-ქუ	

## შენიშვნები:

1. I და II წყ. — ორივე — გამოხატავს მდებარეობას (და შესაბამისად მოძრაობას) საგნის ზედაპირზე, ოღონდ I წყ. — პოლიტიკალურ ზედაპირზე, ხოლო II წყ. — ვერტიკალურ ზედაპირზე<sup>1</sup>. 2. VI და VII წყ. გამოხატავს მდებარეობას (და მოძრაობას) საგნის შიგნით; ოღონდ VII წყ. — ისეთი საგნის შიგნით, რომელიც შეიცავს შინაგან სიცალიერეს რისამე მოსათავსებლად (ჰაყაუ-ლა „სახლში“, შიშუ-ლა „ბოთლში“...)<sup>2</sup>, ხოლო VI წყ. — ისეთი საგნის შიგნით, რომელიც მოკლებულია ასეთ სიცალიერეს და წარმოადგენს მთლიან მასას (ლ'ენ-ლ'ი „წყალში“, პინწოლ-ლ'ი „ქვაში“, ონში-ლ'ი „მიწაში“...)<sup>3</sup>; რაც შეეხება VII წყ. მაჩვენებელთა ვარიანტებს (-ლა || -ა და ა. შ.), მათ ადასტურებს სხვადასხვა სახელები, რომელთა შორის მნიშვნელობის მიხედვით რაიმე — ზოგადი — განსხვავება არ შეიმჩნევა (ჰაყაუ-ლა „სახლში“. შიშუ-ლა „ბოთლში“, გვალუ-ლა „ტომარაში“, დაშქუ-ლა „ყუთში“, პანტი-ქუ-ლა „ყურში“, რელ'ობუ-ლა „ქარქაშში“, დვალეჩუ-ლა „მუცელში“ და ა. შ., მაგრამ: თუხაუნ-ა „ჯიბეში“, ინლ'ირ-ა „უბეში“, რეჩინ-ა „ხვიმირში“, მაპარ-ა „ცხვირში“, თუქან-ა „დუქანში“, ისდაქან-ა „ჭიქაში“; რილინ-ა „სოროში“, „ბუღეში“, შაალეგ-ა „კასრში“ და ა. შ.). ორიოდე სიტყვაში ამავე მნიშვნელობით დამოწმებუ-

<sup>1</sup> ამას აღნიშნავს ი. სულეიმანოვიც.

<sup>2</sup> ისევე, როგორც ხუნძურში კლას-ნიშნისანი ადგილობითი ბრუნვა (როყო-ბ „საალში“...).

<sup>3</sup> ისევე, როგორც ხუნძურში -ლ' სუფიქსისანი ადგილობითი ბრ. (ლ'ადა-ლ' ||ლ'აელ' „წყალში“).

ლია -უ სუფიქსიც: მიყა-უ „გზაში“, ხურ-უ „ყანაში“ (უფრო ხშირად კი იგი გაქვევებული სახით ზმნისართებში დასტურდება—იხ. ქვ.).

3 VII და IV წყ. აგრეთვე ერთსა და იმავე ლოკალურ მნიშვნელობას გამოხატავს, მაგრამ სხვადასხვა რიცხვში: პირველი — მხ. რიცხვში, მეორე — მრ. რიცხვში (შდრ.. მხ. რ. ჰაყო-ლა „სახლში“ || თუქანა-ა „დუქანში“ || ხურ-უ „ყანაში“... — მრ. რ. ჰაყოლა-ჯი „სახლებში“ || თუქამა-ჯი „დუქნებში“ || ხურდა-ჯი „ყანებში“...)<sup>1</sup>. VII წყებას მრ. რიცხვის საკუთარი ფორმები საერთოდ არ გააჩნია, ხოლო IV წყება მხ. რიცხვის ფორმებსაც განარჩევს, ოღონდ სულ სხვა მნიშვნელობებით: ა) გამოხატავს გარკვეულ ზმნათა (*verba dicendi*) ირიბ ობიექტს: ჰიტონ... ბოსან“... რაწინ... იმუ-ჯი (იმობა-ჯი) „უთხრა“... „უამბო“... „ჰკითხა“... მამასა (მამებსა)“; ბ) იხმარება მოქმედების იარაღის აღსანიშნავად (§ 79). 4. I და VII წყ. ადგილობით ბრუნვათა მაჩვენებლები ანდის თქმაში, მართალია, ემთხვევა ერთმანეთს (-ლა), მაგრამ განსხვავებულია შესაბამისი ფორმები მიმართულებითი ბრუნვისა (I წყ. -ლა, VII წყ. -ლა-დი) და თვით ადგილობითი ბრუნვის მრ. რიცხვის ფორმებიც (I წყ. -ლა „-ზე“ ორსავე რიცხვში გვაქვს, ხოლო VII წყ. -ლა „-ში“ მრ. რიცხვში -ჯი სუფიქსით იცვლება — იხ. ზემოთ: 3.), რაც საკმაო საფუძველს იძლევა -ლა „-ზე“ და -ლა „-ში“ გარჩეული გექონდეს; როგორც სხვადასხვა წყების სუფიქსები<sup>2</sup>. დამთხვევა კი იმის შედეგია, რომ, როგორც ამას სხვა თქმების ჩვენება მოწმობს, ანდის თქმაში I წყ. -ლა „-ზე“ ← -ტ'ა (იხ. ქვ.). 5. -ლ'ი სუფიქსიანი ადგილობითი ბრუნვის ფორმები (VI წყ.) სათანადო შემთხვევებში შეიძლება ემთხვეოდეს ერთ-ერთი ძირითადი ბრუნვის, ნათესაობითი ბრ., ფორმებს: ჰონ-ლ'ი „აულში“ (იმა ჰონ-ლ'ი ვუკულო „მამა აულში არის ხოლმე“) — ჰონ-ლ'ი „აულისა“ (ჰონ-ლ'ი ადამ „აულის ხალხი“); ასევე: ლ'აენ-ლ'ი „წყალში“ — ლ'აენ-ლ'ი „წყლისა“, ონ'შაი-ლ'ი „მიწაში“ — ონ'შაი-ლ'ი „მიწისა“ და ა. შ.<sup>3</sup> დამთხვევას ყოველთვის არა აქვს ადგილი, რამდენადაც ნათესაობითისა და ადგილობითი ბრ. ნიშნად -ლ'ი სუფიქსის გამოყენების ფარგლები განსხვავებულიც შეიძლება იყოს (ამიტომაც ისინი სხვადასხვა ბრუნვის ფორმებია). 6. ადგილობითი ბრ. ფორმანტებმა შეიძლება განიცადოს შემდეგი ფონე-

<sup>1</sup> შდრ. ხუნძურში: როყო-ბ „სახლში“, ბოტაო-ბ „ბოსელში“... — მაგრამ: რუქნაბა-ჯ „სახლებში“, ბოტაზუ-ჯ „ბოსლებში“...

<sup>2</sup> ა. დ ი რ ი მიუთითებს -ლა სუფიქსის ორ სხვადასხვა მნიშვნელობაზე: „-ში“, „-ზე“ (АНД. №8, გვ. 13—14). სინამდვილეში კი, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ო მ ო ნ ი მ ი ა ს თ ა ნ (და არა პოლისემიასთან).

<sup>3</sup> ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ა. დ ი რ ს ა ც (АНД. №3, გვ. 16).

ტიკური ცვლილებები: ა) სუფიქსისეული ლ თანხმოვანი ყოველთვის ემსგავსება ფუძის ბოლოკიდურ ნ თანხმოვანს (ნ-ლ → ნ-ნ — § 42): ლ'ენ-ნა ← ლ'ენ-ლა „წყალზე“ და ა. შ., ხოლო თვითონ შეიძლება დაიმსგავსოს ფუძის ბოლოკიდური რ თანხმოვანი (რ-ლ → ლ-ლ — § 42): ბაზალ-ლა ← ბაზარ-ლა „ბაზარზე“ და ა. შ.; ბ) ფუძისეული შ თანხმოვნის უშუალო მეზობლობაში სუფიქსისეული ხ → ჯ (შა-ხ → შა-ჯ — § 42): ჰეკაშა-ჯა ← ჰეკაშა-ხა „ჰეკატან“ და ა. შ.

თავისებურებანი თქმებში: 1. ანდის თქმის / წყ. -ლა (ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანთან ასიმილაციით: -ნა) „ზე“ სუფიქსის შესატყვისად დანარჩენ თქმებში გვაქვს: -ლჯა (ფუძის ბოლოკიდურ თანხმოვანთან ასიმილაციით: -ნჯა) — ლალათლის, რიკვანის<sup>1</sup>, აშალის თქმებში (ჰინწოლ-ლჯა „ქვაზე“... ლ'ენ-ნჯა ← ლ'ენ-ლჯა „წყალზე“...), -ჯა — ზილოსა და ჩანხოში (ჰინწოლ-ჯა „ქვაზე“... ლ'ენ-ჯა „წყალზე“...), -ტ'ა — ქვანხიდათლის თქმაში (ჰინწოლ-ტ'ა „ქვაზე“... კოთუ-ტ'ა „ცხენზე“...); შესაბამისი განსხვავება თავს იჩენს მიმართულებითსა და დაშორებითს ბრუნვებშიც. ეს ვარიანტები (-ტ'ა -ლჯა | -ლა- -ჯა) ფონეტიკურია. ამოსავალია ტ' ლატერალურ თანხმოვნიანი ვარიანტი (-\*ტ'ა), რომელიც დაცული აქვს ქვანხიდათლის თქმას. დანარჩენი ვარიანტები მიღებულია ტ'-ის ცვლის შედეგად (შესაბამისად სათანადო თქმებში მოქმედი კანონზომიერებისა: ტ' → ლჯ ლ ჯ — § 28). 2. ქვანხიდათლის თქმაში ნაცვლად -ხა „-თან“ სუფიქსისა (იხ. III წყ.) იხმარება სუფიქსები: -ღუ (I კლ. სახელებში) და -ჰუ (დანარჩენ კლასთა სახელებში): იმაშა-ღუ ← იმაშა-ღუ (§ 44) „მამასთან“ — ილალ-ჰუ „ღედასთან“, კოთულო-ჰუ „ცხენთან“... ეს სუფიქსები ამგვარი განაწილებით გადაჰყვება დაშორებით ბრუნვაშიც (იმაშა-ღუ-ჰუ — ილალ-ჰუ-ჰუ, კოთულო-ჰუ-ჰუ...), მაგრამ მიმართ. ბრუნვაში გამოიყენება -ხო ისევე, როგორც სხვა თქმებში (იმაშა-ჯო ← იმაშა-ხო, ილალ-ხო, კოთუ-ლო-ხო...). 3. ი ხმოვანზე გათავებული სუფიქსები აღვიღ. ბრუნვისა (-ჯი, -ტფი, -ლ'ი) რიკვანის თქმაში წარმოდგენილია გახმოვნების გარეშე (-ჯ, -ტფ, -ლ')<sup>1</sup>. 4. მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში VII წყების მიმართ. ბრუნვის ნიშნად ნაცვლად ანდისა და სხვა თქმებში ხმარებული -დი სუფიქსისა გამოიყენება -ჟ: ჰაყაუ-ლა-ჟ (შდრ. ანდ. ჰაყაუ-ლა-დი) „სახლში-კენ“, ინლ'ირ-ა-ჟ (შდრ. ანდ. ინლ'ირ-ა-დი) „უბემი-კენ“ და ა. შ. 5. მუნიბის

<sup>1</sup> Я. Г. Сулейманов, Именное склонение... გვ. 209.

თქმაში ყველა წყების დაშორ. ბრუნვას აწარმოებს -გ (ნაცვლად ანდისა და დანარჩენ თქმათა -ქუ სუფიქსისა): უსთურუ-ხა-ვ (შდრ. ანდ. უსდულუ-ხა-ქუ) „მაგიდაზე-ით“, უსთურუ-ლა-ვ (შდრ. ანდ. უსთულუ-ლა-ქუ) „მაგიდაში-ით“ და ა. შ.

§ 76. ადგილობრით ბრუნვითა სუფიქსების შესახებ. ა) მდებარეობის გამომხატველ ანუ საკუთრივ ადგილობრით ბრუნვათა მაჩვენებლები, როგორც ვნახეთ, განსხვავებულია წყებათა მიხედვით (-\*ტ'ა, -ქუ, -ხა, -ჯი, -ტაი, -ლი, -ლა || -ა || -უ). ეს მაჩვენებლები წარმოშობით თანდებულები უნდა იყოს (როგორც ეს ივარაუდება დალესტნის სხვა ენებში)<sup>1</sup>. მდებარეობის გამომხატველი ფორმები სათანადო წყებებში ამოსავალია მოძრაობის გამომხატველ (მიმართ., დაშორ.) ბრუნვათა ფორმებისათვის.

ბ) მიმართულებით ბრუნვას, როცა იგი გარჩეულია ადგილობრითი ბრუნვისაგან, აწარმოებს: ა) ადგილ. ბრუნვის ა ხმოვნისანი სუფიქსის შეცვლა ო ხმოვნიანი სუფიქსით: ადგილ. -\*ტ'ა: მიმართ. -\*ტ'ა (I წყ.), ადგილ. -ხა: მიმართ. -ხა (III წყ.); ასეთ შემთხვევაში მიმართ. ბრუნვისათვის ნიშანდობლივია ო ხმოვანი, ხოლო სუფიქსთა თანხმოვნითი ელემენტები საერთოა ორივე ბრუნვისათვის, ხ) -დი, მუნ., ქვანხ. -ჲ, რომელიც დაერთვის ადგილ. ბრუნვის ფორმას: ადგილ. -ლა || -ა (VI წყ.): მიმართ. -ლა-დი || ა-დი, მუნ., ქვანხ. -ლა-ჲ || ა-ჲ.

მიმართ. ბრუნვის ნიშნები (-ა, -დი, -ჲ—იხ. ზემოთ) წარმოშობით ძირითად ბრუნვათა ნიშნები უნდა იყოს; კერძოდ: მიმართ. ბრუნვის ნიშანი -ა ჩვენს ყურადღებას წარმართავს აფექტიური ბრუნვის -ა ნიშნისაკენ, -დი—ერგატიული ბრუნვის -დი ნიშნისაკენ, ხოლო -ჲ (მუნ., ქვანხ.)—მიცემითი ბრუნვის -ჲ ნიშნისაკენ. ძირითად ბრუნვათა ნიშნები რომ ადგილობრით ბრუნვათა ფორმებს (resp. ისტორიულად თანდებულებიან ფორმებს) დაერთოს, ეს შეუძლებელი არ არის<sup>2</sup>. ხუნძურშიც მიმართ. ბრუნვის ნიშანი (-ე), რომელიც დაერთვის ადგილ. ბრუნვათა მზამზარეულ ფორმებს (ადგილ. განჭი-ჯ „ქვასთან“, განჭი-ტა „ქვის-ქვეშ“ და ა. შ.—მიმართ. განჭი-ჯ-ე, განჭი-ტა-ე და ა. შ.), წარმოშობით მიცემითი ბრუნვის ნიშანია (შდრ. განჭი-ე „ქვასა“)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> კ. თ ო ფ ლ ო გ ი ა, ბრუნვის სისტემისათვის ლაკურ ენაში, საქართველოს სამედიწ. მუზეუმის მოამბე, X—B, 1940: „ხუნძ. ენა“, გვ. 115.

<sup>2</sup> შდრ. ქართულის მთის კილოებში: ცხენ-ზე-ით... საფლავ-ში-ით (ამის შესახებ იხ. კ. თ ო ფ ლ ო გ ი ა, დასახ. წრ., გვ. 327—328).

<sup>3</sup> „ხუნძ. ენა“, გვ. 155. ლაკურ ენაშიც მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ჲ, როცა იგი დაერთვის ადგილ. ბრუნვის ფორმებს, მიმართულებითი ბრუნ-

გ) ყველა წყების და შორებით ბრუნვას აწარმოებს -ქუ<sup>1</sup> (მუნ.-გ), რომელიც დაერთვის სათანადო წყების ადგილ. ბრუნვის მზამზარეულ ფორმას (ადგილ. ბრუნვის მაჩვენებელი უცვლელად მეორდება დაშორ. ბრუნვის სუფიქსის წინ: -\*ტ'ა-ქუ, -ჭუ-ჭუ, -ხა-ქუ და ა. შ.). ამ სუფიქსის წარმომავლობა გაურკვეველია<sup>2</sup>.

ადგილობრივ ბრუნვათა ხაერთო სუფიქსები ანდიურსა და ხუნძურში. შდრ.: ანდ. -ლ'ი, -ტაი, -ჯი (რიკვ. -ლ', -ტა, -ჯ) — ხუნძ. -ლ', -ტა, -ჯ. ამათგან პირველი ორი ხუნძურსა და ანდიურში ერთი და იმავე მნიშვნელობითაც იხმარება (-ლ'ი „ში“, -ტა'ი „ქვეშ“), რაც შეეხება მესამეს (-ჯ'ი), ხუნძურში მისი ძირითადი მნიშვნელობაა „თან“ (ამ მნიშვნელობით კი ანდიურში სულ სხვა, -ხა, სუფიქსს ხმარობენ — იხ. III წყ.), მაგრამ იგივე სუფიქსი მრავლობით რიცხვში ხუნძურშიც (ისევე, როგორც ანდიურში) „ში“-საც აღნიშნავს. ანდ. -\*ტ'ა „ზე“ სუფიქსის კანონზომიერი შესატყვისია ხუნძ. (დიალექტ.) -ტა ← -\*ტ'ა (განკი-ტა „ქვაზე“)<sup>3</sup>. ხუნძურში არა ჩანს ანდ. -ხა, -ჭუ: -ლა ( -ა, -უ) სუფიქსთა შესატყვისები.

§ 77. ადგილობრივ ბრუნვათა ამოსავალი ფუძე. რას დაერთვის ადგილობრივ ბრუნვათა მაჩვენებლები? რა მიმართებაშია საწარმოებელი ფუძის მხრივ ადგილობრივ ბრუნვები ძირითად ბრუნვებთან? როგორც ვნახეთ, თითოეულ წყებაში მოძრაობის გამომხატველი ბრუნვები (მიმართ. და დაშორ.) იწარმოება მდებარეობის გამომხატველი (ანუ საკუთრივ ადგილობრივი ბრ.) ფორმებისაგან. ამიტომ ადგილობრივ ბრუნვათა ამოსავალი ფუძის საკითხი გულისხმობს გარკვევას, თუ რა არის ამოსავალი სათანადო წყებათა მდებარეობის გამომხატველ ადგილობრივ ბრუნვათათვის.

თუ განვიხილავთ ამ მხრივ ძირითად და ადგილობრივ ბრუნვათა ფორმების სრულ პარადიგმას (იხ. ქვ.), ვნახავთ, რომ ყველავის ნიშნად გვევლინება: კირა-გ-ნ „კედელ-ზე-კენ“... მიმართ. ბრუნვას შეიძლება ჰქონდეს ერთი ბრუნვასთან საერთო ნიშანიც (მაგალ. დიდოურ ენებში იხ. Е. А. Бокарев, Цезские (дидоиские) языки Дагестана, Москва, 1959, გვ. 270).

<sup>1</sup> ი. სულეიმანოვი აღნიშნავს -ქაუს.

<sup>2</sup> ხუნძურში ამ მნიშვნელობით გამოიყენება სულ სხვა სუფიქსი -ხა (→ || -ა), რომელიც წარმოშობით სიტყვაწარმოებითი ფორმანტია: „ხუნძ. ვნა“, გვ. 156.

<sup>3</sup> З. М. Магомедбекова. Об одной серии местных падежей в аварском языке (იკვ. VIII); ილ. ცერცვაძე, ადგილობრივ ბრუნვათა საწარმოებელი ფუძის საკითხისათვის ხუნძურში (იკვ. VII, გვ. 287).

ადგილობრითი ბრუნვა ამოსავლად იყენებს ირიბ ბრუნვათა ფუძეს (ე. ი. იმავე ფუძეს, რასაც ძირითადი ირიბი ბრუნვები -- ერგატ.-ნათ.-მიც.-აფექტ — ემყარება) <sup>1</sup>.

ირიბ ბრუნვათა ფუძეში, როგორც ვიცით (§§ 62—67), შეიძლება გვექონდეს სხვადასხვა დამაკავშირებელი ხმოვნები და სავრცობები მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნებითურთ. ეს ელემენტები ფუძისა ადგილობრით ბრუნვათა ფორმებში ისევე დაჩნდება, როგორც ძირითად ბრუნვათა ფორმებში.

ადგილობრით ბრუნვათა ფორმებში ამოსავალმა ფუძემ შეიძლება განიცადოს გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებიც ანალოგიური იმისა, რაც ძირითად ბრუნვათა ფორმებში ხდება: ადგილობრით ბრუნვათა მაჩვენებლები, რომლებიც ყველა ხმოვანზეა გათავებული (\*ტ'ა, -ჭუ, -ხა, -ჯი, ტაი, -ლ'ი, -ლა), იმავე ფონეტიკურ ცვლილებებს შეიძლება იწვევდეს ფუძეში, რასაც ძირითად ბრუნვათა მსგავსი ფონეტიკური შედგენილობის (ე. ი. ხმოვანზე გათავებული) დაბოლოებები (კერძოდ: ერგატ. -დი და ნათ. -ლ'ი). ეს ცვლილებები ჩვენ ძირითად ბრუნვათა წარმოებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული გვაქვს: აქვე მივუთითებთ მათზე ადგილობრით ბრუნვათა წარმოებასთან დაკავშირებით:

ა) უსავრცობო ბრუნებისას დამაკავშირებელი ვიწრო ო ხმოვნის დაკარგვა (§ 63): სახ. ადამ \*ხალხი\*, ერგ. ადამ-დი ← ადამ-ი-დი, ნათ. ადამ-ლ'ი ← ადამ-ი-ლ'ი, მიც. ადამ-ი-ჲ, აფექტ. ადამ-ი-ო(-)ო — ადგილ.: I ადამ-\*ტ'ა ← ადამ-ი-\*ტ'ა, II ადამ-ჭუ ← ადამ-ი-ჭუ, III ადამ-ხა ← ადამ-ი-ხა და ა. შ.

ბ) -შა-უ- სავრცობიანი ბრუნებისას დამაკავშირებელი უ ხმოვნის დაკარგვა (§ 64): სახ. ჰეკა \*კაცი\*, ერგ. ჰეკა-შა-დი ← ჰეკა-

<sup>1</sup> ირიბ ბრუნვათა ფუძეა ამოსავალი ადგილობრით ბრუნვათა წარმოებისათვის სხვა ანდიურ ენებშიც (იხ., მაგალ.: А. Бокраев, Чинал. яз., გვ. 55: ტ. გ უ და ვ ა, ბოთლიხ. ენა, გვ. 88.—ზოგი გამოწკლისის შესახებ ანავე ენაში იხ. იქვე). ხუნძურში ამ მხრივ ამჟამად განსხვავებულია სურათი ბრუნების ტიპებისა და თვით ადგილობრით ბრუნვათა წყებების მიხედვით: ერთფუძიანი („ძლიერი“, „არქაული“) ბრუნების დროს ყველა წყების ადგილ. ბრ. იწარმოება ირიბ ბრუნვათა ფუძისაგან, ორფუძიანი („სუსტი“, „ცოცხალი“) ბრუნების დროს კი I წყ. ადგილ. ბრ.— ერგატივის მზამზარეული ფორმისაგან, ხოლო დანარჩენ. წყებათა ადგილ. ბრ.— ნათესაობითის ფუძისაგან. ეს განსხვავება მეორეულია. ძველად ხუნძურშიც ყველა წყების ადგილ. ბრ., ვერაუდობთ, რომ იწარმოებოდა ირიბ ბრუნვათა ფუძისაგან, კერძოდ, იმ ფუძისაგან, რომელიც ამჟამად ნათესაობით ბრუნვაში გამოიყოფა (ილ. ცერცვაძე, ადგილობრით ბრუნვათა წარმოებელი ფუძის საკითხისათვის ხუნძურ ენაში, ოკე, VII).

შე-უ-დი, ნათ. ჰეკა-შე-უ-(-), მიც. ჰეკა-შე-უ-ჲ, აფექტ. ჰეკა-შე-უ-(-)-ო — ადგილ.: I ჰეკა-შე-\*ტ'ა ← ჰეკა-შე-უ-\*ტ'ა, II ჰეკა-შე-ჰუ ← ჰეკა-შე-უ-ჰუ, III ჰეკა-შე-ჰა (← ჰეკა-შე-ხა — § 42) ← ჰეკა-შე-უ-ხა და ა. შ.

შენიშვნა. მუნიბის თქმაში ადგილობით ბრუნვათა სუფიქსების წინ -შე-უ საერცობის დამაკავშირებელი უ ხმოვანი შეიძლება დაცული იყოს: ჰეკა-შე-უ-ჰუ, ჰეკა-შე-უ-ხა, ჰეკა-შე-უ-ტ'ი და ა. შ.

გ) -ლ'ა-ი- საერცობიანი ბრუნებისას დამაკავშირებელი ი ხმოვნის მოკვეცა, ხოლო ამის შემდეგ -ლ'ა საერცობის გადასვლა -ლ-ში (ბოლოხმოვნიან ფუძესთან) ან მისი სულ დაკარგვა (ბოლოთანხმოვნიან ფუძესთან) (§ 64): ა) ბოლოთანხმოვნიან ფუძესთან: სახ. ლ'აენ „წყალი“, ერგ. ლ'აენ-დი ← ლ'აენ-ლ'ა-ი-დი, ნათ. ლ'აენ-ლ'ი ← ლ'აენ-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. ლ'აენ-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. ლ'აენ-ლ'ა-ი-(-)-ო — ადგილ.: I ლ'აენ-\*ტ'ა ← ლ'აენ-ლ'ა-ი-\*ტ'ა, II ლ'აენ-ჰუ ← ლ'აენ-ლ'ა-ი-ჰუ, III ლ'აენ-ხა ← ლ'აენ-ლ'ა-ი-ხა და ა. შ.; ბ) ბოლოხმოვნიან ფუძესთან: სახ. პინწო „ქვა“, ერგ. პინწო-ლ-დი ← პინწო-ლ'ა-ი-დი, ნათ. პინწო-ლ-ლ'ი ← პინწო-ლ'ა-ი-ლ'ი, მიც. პინწო-ლ-ლ'ა-ი-ჲ ← პინწო-ლ'ა-ი-ჲ, აფექტ. პინწო-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო ← პინწო-ლ'ა-ი-(-)-ო — ადგილ.: I პინწო-ლ-\*ტ'ა ← პინწო-ლ'ა-ი-\*ტ'ა, II პინწო-ლ-ჰუ ← პინწო-ლ'ა-ი-ჰუ, III პინწო-ლ-ხა ← პინწო-ლ'ა-ი-ხა და ა. შ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ხუნძორში ანალოგიურ ცვლილებებს განიცდის ამოსავალი ფუძე მხოლოდ I წყ. ადგილობით ბრუნვაში, რომელსაც ხმოვანზე გათავებული -ლა სუფიქსი აწარმოებს. ამ სუფიქსის გავლენით -ხა-უ და ლ'ა-უ (შდრ. ანდ. -შე-უ და -ლ'ა-ი) საერცობები კარგავენ დამაკავშირებელ ხმოვანს. ხოლო შემდეგ სუფიქსისებულ დთანხმოვანთან უშუალო მეზობლობაში ლ'ა გადადის ლ-ში: -ხა-უ-ლა → -ხა-ლა. -ლ'ა-უ-ლა → -ლ'ა-ლა → -ლ-ლა (დანარჩენ წყებათა ადგილობით ბრუნვებში, რომელთა სუფიქსები ოდენ თანხმოვნის შემცველია, ფუძის გვერვ საერცობები მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით უცვლელადაა დაცული: ადგილ. I ვაცა-ა-ხა-და ← ვაცა-ა-ხა-უ-და (შდრ.: ადგილ. II ვაცა-ა-ხა-უ-ჰ, ადგილ. III ვაცა-ა-ხა-უ-ტ'ა და ა. შ.); ადგილ. I მაცა-ა-ლ-და ← მაცა-ა-ლ'ა-და ← მაცა-ა-ლ'ა-უ-და „დაზე“ (შდრ. ადგილ. II მაცა-ა-ლ'ა-უ-ჰ, ადგილ. III მაცა-ა-ლ'ა-უ-ტ'ა და ა. შ.).

ამრიგად, ამოსავალ ფუძეში ფონეტიკური ხასიათის იმგვარივე ცვლილებები, რაც ანდიურში ხდება ყველა წყების ადგილ. ბრუნვებში, ხუნძორში მხოლოდ I წყების ადგილ. ბრუნვაში ხდება: ეს იმიტომ, რომ ხმოვნის შემცველი სუფიქსი, რომელიც ცვლილებებს იწვევს. ხუნძორში მხოლოდ I წყ. ადგილ. ბრუნვაში გვაქვს, ხოლო ანდიურში — ყველა წყებისაში (ილ. ცერცვაძე, ადგილობით ბრუნვათა საწარმოებელი ფუძის საკითხისათვის, იცვ, VII; „ხუნძ. ენა“, § 93).

ისეთ შემთხვევაში კი, როცა ფუძე ძირითად ბრუნვათა ირიბ ფორმებში არ განიცდის რაიმე ფონეტიკურ ცვლილებას, ადგილობრივ ბრუნვებშიც ეს ფუძე უცვლელად დაჩნდება; შდრ., მაგალ.: იმა „მა-მა“, ერგ. იმ-უ-დი, ნათ. იმ-უ(-), მიც. იმ-უ-ჲ, აფექტ. იმ-უ(-)-ო — ადგილ.: I იმ-უ-\*ტ'ა, II იმ-უ-ქუ, III იმ-უ-ხა და ა. შ.; კოთუ „ცხენი“, ერგ. კოთუ-დი, ნათ. კოთუ-ლ'ი და ა. შ. — ადგილ.: I კოთუ-\*ტ'ა, II კოთუ-ქუ, III კოთუ-ხა და ა. შ.; ბილ „მთა“, ერგ. ბილ-თ-დი, ნათ. ბილ-თ-ლ'ი და ა. შ. — ადგილ.: I ბილ-თ-\*ტ'ა, II ბილ-თ-ქუ, III ბილ-თ-ხა და ა. შ.

თავისებურებას ამჟღავნებს ამ მხრივ მხოლოდ -ა სუფიქსიანი ადგილობრივი ბრ. (VII წყ.). ეს — ოდენ ხმოვნის შემცველი — სუფიქსი, რომელიც უსავერცობო ირიბ ბრუნვათა ფუძეს დაერთვის, ყოველთვის კვეცავს ამოსავალ ფუძეში წინამავალ დამაკავშირებელ ხმოვანს (მაშინაც, როცა ასეთი ხმოვანი შეიძლება დაცული იყოს ყველა ირიბ ბრუნვაში). ამიტომ არის, ასეთ შემთხვევაში ადგილ. ბრუნვის ფუძე გარეგნულად განსხვავებულია ირ. ბრ. ფუძისაგან (და ზოგჯერ ემსგავსება სახელობითის ფუძეს); მაგალ.: ჟურღან „საბანი“, ირ. ბრ. ფუძე ჟურღან-უ (ერგ. ჟურღან-უ-დი, ნათ. ჟურღან-უ-ლ'ი და ა. შ.) → ადგილ. ჟურღან-ა (← \*ჟურღან-უ-ა) „საბანში“, თუხაუნ „ჯიბე“. ირ. ბრ. ფუძე თუხაუნ-უ (ერგ. თუხაუნ-უ-დი, ნათ. თუხაუნ-უ-ლ'ი და ა. შ.) → ადგილ. თუხაუნ-ა (← \*თუხაუნ-უ-ა) „ჯიბეში“, მაპარ „ცხვირი“, ირ. ბრ. ფუძე მიპარ-უ (ერგ. მაპარ-უ-დი, ნათ. მაპარ-უ-ლ'ი და ა. შ.) → ადგილ. მაპარ-ა (← \*მაპარ-უ-ა) „ცხვირში“...

ასევე უნდა იყოს ნაწარმოები -უ სუფიქსიანი ადგილ. ბრ. ფორმები, რომლებიც იშვიათად დასტურდება: მიყაი „გზა“, ირ. ბრ. ფუძე მიყაი- → ადგილ. მიყა-უ (← \*მიყაი-უ) „გზაში“, ხურ „ყანა“, ირ. ბრ. ხურ-ი- → ადგილ. ხურ-უ (← \*ხურ-ი-უ) „ყანაში“.

დასასრულ, აქვე მოგვყავს ძირითად და ადგილობრივ ბრუნვათა ფორმების სრული პარადიგმა (უსავერცობო ბრუნებისა — უცვლელი ფუძით).

მხ. რ.

მრ. რ.

## ა) ძირითადი ბრუნვები

სახ.	რეშა „ხე“	რეშ-ობილ „ხეები“
ერგ.	რეშ-უ-დი	რეშ-ობ-ა-დი
ნათ.	რეშ-უ-ლ'ი	რეშ-ობ-ა-ლ'ი
მიც.	რეშ-უ-ჲ	რეშ-ობ-ა-ჲ
აფექტ.	რეშ-უ(-)-ო	რეშ-ობ-ა(-)-ო



ბ) ადგილობრივი ბრუნვები

I, 1	რემ-უ- <sup>*</sup> ტ'ა	რემ-ობ-ა- <sup>*</sup> ტ'ა
I, 2	რემ-უ- <sup>*</sup> ტ'ო	რემ-ობ-ა- <sup>*</sup> ტ'ო
I, 3	რემ-უ- <sup>*</sup> ტ'ა-ქუ	რემ-ობ-ა- <sup>*</sup> ტ'ა-ქუ
II, 1	} რემ-უ-ჭუ	} რემ-ობ-ა-ჭუ
II, 2		
II, 3		
III, 1	რემ-უ-ხა	რემ-ობ-ა-ხა
III, 2	რემ-უ-ხო	რემ-ობ-ა-ხო
III, 3	რემ-უ-ხა-ქუ	რემ-ობ-ა-ხა-ქუ
IV, 1	} რემ-უ-ჯი	} რემ-ობ-ა-ჯი
IV, 2		
IV, 3		
V, 1	} რემ-უ-ტჱი	} რემ-ობ-ა-ტჱი
V, 2		
V, 3		
VI, 1	} რემ-უ-ლ'ი	} რემ-ობ-ა-ლ'ი
VI, 2		
VI, 3		
VII, 1	რემ-უ-ლა	} რემ-ობ-ა-ჯი
VII, 2	რემ-უ-ლა-დი	
VII, 3	რემ-უ-ლა-ქუ	

ღამაჯებითი ცნობები ბრუნვათა და ჩიხხვის შესახებ

§ 78. მიმართვის ფორმა (წოდებითი ბრ.). ქვანხიდათლის თქმაში დასტურდება მიმართვის (წოდებითი ბრ.) ფორმა. იწარმოება იგი სახელობითის ფუძისაგან შემდეგნაირად: ა) ბოლოთანხმოვნთან ფუძეს დაერთვის -ე: ყაურბან, ნაქმუდინ (საკუთარი სახელები მამაკაცისა) — ყაურბან-ე! ნაქმუდინ-ე! ვაცაჭალ „ბიძაშვილი (ვაჟი)“ — ვაცაჭალ-ე! და ა. შ.; ბ) ი და უ ბოლოხმოვნები ფუძისა იცვლება შესაბამისად ფართო ე და ო ხმოვნებით: აქში „ქალიშვილი“ — აქშ-ე! ვოცხი „ძმა“ — ვოცხ-ე! აჭმადნაბი (საკ. სახ. მამაკაცისა) — აჭმადნაბ-ე! სორი „მელა“ — სორ-ე! ღალბაწი „ლომი“ (იხმარება ძალღის საკ. სახელად) — ღალბაწ-ე! და ა. შ.; ფახუ (საკ. სახ. ქალისა) — ფახ-ო! ზიმუ „ძროხა“ — ზიმ-ო! გეთუ „კატა“ — გეთ-ო! კოთუ „ცხენი“ — კოთ-ო!

და ა. შ.; გ) დანარჩენ შემთხვევებში (კერძოდ, როცა ფუძე გათავებულია **ო, ე, ა** ხმოვნებზე) მიმართვის ფორმა სახელობითისა-ვან გარჩეულია მხოლოდ ინტონაციით: მიმართვისას ხმის ამალღება ყოველთვის ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანზე მოდის: ვოშრ „ვაჟო!“ ილბ „დედა!“ იმბ „მამა!“ და ა. შ. განსხვავებული ინტონაცია მიმართვის ფორმებს მაშინაც ახასიათებს, როცა მათ **ო** და **ე** მაწარმოებლები აქვთ (ხმის ამალღება ამ ხმოვანზეა); გ) მიმართვის ფორმებს შეიძლება თავში ახლდეს **ო-** (შორისდ.) მაშინაც, როცა მათ სპეციალური სუფიქსი დაერთვის და მაშინაც, როცა ასეთი სუფიქსი არ ერთვის: **ო, ვოცა-ე** „**ო, ძმაო!**“ **ო, ვოშრ** „**ო, ვაჟო!**“ და ა. შ. ამრიგად, მიმართვის ფორმა ემყარება სახელობითის (და არა ირიბ ბრუნვათა) ფუძეს და მისი ვარიანტია.

**§ 79. -პი სუფიქსიანი ადგილობრივი ბრუნვა მოკმედებითი (ინტრუმენტალისი) მნიშვნელობით.** მოკმედებითი, როგორც ცალკე ბრუნვა, ისევე გვაკლია ანდიურში, როგორც ხუნძურში. მოკმედებითის მნიშვნელობით (მოკმედების იარალის აღსანიშნავად) ჩვეულებრივ ერგატივს ხმარობენ (ისევე, როგორც ხუნძურში), მაგრამ ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით ერგატივის პარალელურად -ჟე (—რიკვ.-ჟ) სუფიქსიან ადგილობრივ ბრუნვასაც იყენებენ: ანეიდო-დი (ერგ.) || ანეიდო-ჟი (ადგილ.) „ნაჯახით“ (იმუდი ან ეიდო-დი || ან ეიდო-ჟი ლ'უდი ბუყი „მამამ ნაჯახით შეშა გაქრა“); ასევე: ბეჟუნო-დი || ბეჟუნო-ჟი „ნემსით“, ბესუნო-დი || ბესუნო-ჟი „დანით“, თარაქტორ-უ-დი || თარაქტორ-ჟი „ტრაქტორით“, ინქვალ-დი || ინქვალ-ჟი „ურმით“, კოთუ-დი || კოთუ-ჟი „ცხენით“, უნსოდა-დი || უნსოდა-ჟი „ხარებით“ და ა. შ.<sup>1</sup> ადგილობრივი ბრუნვის ხმარება მოკმედებითის მნიშვნელობით ყველა ანდიური თქმისათვის არ არის დამახასიათებელი (მაგალ., ქვანხიდათლის თქმაში ამ მნიშვნელობით სათანადო შემთხვევებში მხოლოდ ერგატივი იხმარება).

**§ 80. -ლ'ო სუფიქსიანი ფორმა გარდაცემვითი მნიშვნელობით.** ეს სუფიქსი სახელობითის ფუძეს დაერთვის: იმა „მამა“ — იმა-ლ'ო, ვოცაი „ძმა“ — ვოცაი-ლ'ო... მიჰარ-ლ'ო ვოცა „მეთაურად აირჩიეს“... უჩითელ-ლ'ო ტამმი „მასწავლებლად დანიშნეს“, თოხთურ-ლ'ო ჰალტუნნირ „ეკიმაღ მუშაობს“... ხუნძურში ამ მნიშვნელობით იხმა-

<sup>1</sup> მოკმედებით ბრუნვას (რიკვ.-ჟ სუფიქსით) ი. სულეიმანოვი განიხილავს როგორც ცალკე ბრუნვას და შეაქვს იგი ძირითად ბრუნვათა სისტემაში, მაგრამ, ამავე დროს, იგივე ფორმა (იმავე -ჟ სუფიქსით) მას შეტანილი აქვს ადგილობრივ ბრუნვათა წყებაშიც (იხ. Я. Сулейманов, Именное склонение... მისივე. Автореферат, გვ. 16, 17).

რება -ლ'უნ სუფიქსი (ემენ „მამა“ — ემენ-ლ'უნ, ვაცო „ძმა“ — ვაცო-ლ'უნ... ჰუხბ'ელ ლ'ინ-ლ'უნ საეერანა „ორთქლი წყლად იქცა“...)-ლ'უნ სუფიქსიანი გარდაქცევითის ფორმები ხუნძურში -ლ'ი-ზე სუფიქსით ნაწარმოებ ნასახელარ ზმნათა აბსოლუტივის ფორმებია (ლ'ინ-ლ'იზე „წყლად ქცევა“ → ლ'ინ-ლ'უნ...)¹. ანდიურშიც დასაშვებია -ლ'ო სუფიქსიანი ფორმათა კავშირი -ლ'ი-დუ სუფიქსით ნაწარმოებ ნასახელარ ზმნებთან² (თუმცა ნათელი არ არის, თუ სახელდობრ, ნასახელარი ზმნის რა ფორმას წარმოადგენს იგი წარმოშობით).

§ 81. თავისებურებანი არხებით სახელთა შრავლოებით რიცხვის ფორმათა წარმოების მხრივ. ა) ჰეკა „ჰაკი“ ყველა თქმაში მოკლებულია მრავლობითი რიცხვის შესაბამის ფორმას. მას მრავლობითში ენაცვლება ადამ „ხალხი“ (ადამიანები), თუმცა თქმათა უმეტესობაში მრავლობითობის სუფიქსი არც ამას დაერთვის (ქვანდიდათლის თქმაში შეიძლება გვექონდეს: ადამ-ოლ). ადამ „ხალხი“ თავისი მნიშვნელობით I კლასის სახელია, მაგრამ ნათესაობით ბრუნვაში დაირთავს არა კლას-ნიშანს (როგორც ეს I კლასის სახელს შეეფერება), არამედ -ლ'ი სუფიქსს (მსგავსად II—V კლ. სახელებისა): ადამ-ლ'ი „ხალხისა“.

ბ) ხორ-ოლ („ცხვრები“, „ცხვრის ფარა“) წარმოებით (და სინტაქსური ძალით) მრ. რიცხვის ფორმაა (-ოლ სუფიქსით ნაწარმოები), თუმცა შესაბამისი ფორმა მხ. რიცხვისა (-ოლ სუფიქსის გარეშე) მას არ გააჩნია.

გ) სიტყვაწარმოებითი -კა (← ჰეკა „ჰაკი“) სუფიქსი სათანადო არსებით სახელებს არ გაჰყვება მრავლობით რიცხვში: ქუნტა-კა (← ქუნტა ჰეკა) „ქმარი“ — ქუნტ-ოლ, ღოში'იკა (← ღოში ჰეკა) „ცოლი“ — ღოში-ლ და ა. შ.; ერთ სიტყვაში -კა სუფიქსის აღგილას მრ. რიცხვის სუფიქსის წინ -ლ'ი- დაჩნდება: მიჯარ-ეკა (← მიჯარ ჰეკა) „პატრონი“, „მეთაური“ — მიჯარ-ლ'ულ.

დ) ქვანხ. ზინ-ა „ძროხები“ — ერგ. ზინ-ა-დი, ნათ. ზინ-ა-ლ'ი და ა. შ.; ძველად სახელობითში უნდა გვექონოდა ზინ-ოლ, მაგრამ იგი, ჩანს, განუღვევია ირიბ ბრუნვათა ზინ-ა-ფუძეს, რომელიც — ანალოგიით — სახელობითშიც დამკვიდრებულა: შდრ. ანდ. ზინ-ოლ „ძროხები“ — ერგ. ზინ-ა-დი, ნათ. ზინ-ა-ლ'ი და ა. შ.).

¹ როგორც ამას აღნიშნავს პ. უსლარი (იხ. П. Услар, Лаз. яз. [დამატება]: Письма П. К. Услара к А. А. Шифнеру, გვ. 29).

² როგორც ამას აღნიშნავს ა. დირი (А. Дирр, Авд. яз., გვ. 76).

### ახსაბით სახელთა წარმოება

§ 82. ზოგადი. სიტყვაწარმოების საშუალებებით ანდიური ენა ღარიბია (ისევე, როგორც ხუნძური და — მეტ-ნაკლებად — მთის იბერიულ-კავკასიური სხვა ენებიც). წარმოების მთავარი საშუალებაა სუფიქსაცია (პრეფიქსული წარმოება დაკავშირებული შეიძლება აყოს მხოლოდ გრამატიკ. კლასის ნიშნებთან — § 52), გარკვეულ როლს თამაშობს კომპოზიციაც (ფუძეთა შედგენა).

§ 83. სუფიქსაბით წარმოება. არსებით სახელთა საწარმოებლად მოიპოვება სულ რამდენიმე მეტ-ნაკლებად პროდუქტიული სუფიქსი.

-ლ'ირ. ეს სუფიქსი ყველაზე პროდუქტიულია. აწარმოებს იგი აბსტრაქტულ არსებით სახელებს. დაერთვის სათანადო — კონკრეტული — სახელის (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელის) ფუძეს: ვოცაი „ძმა“ — ვოცაი-ლ'ირ „ძმობა“, ჰომოლოლი „ამხანაგი“ — ჰომოლოლი-ლ'ირ „ამხანაგობა“, თუშმან „მტერი“ — თუშმან-ლ'ირ „მტრობა“... ვ-ოხორ „მოხუცი“ — ვ-ოხორ-ლ'ირ „მოხუცებულობა“, წუდურ „ფრთხილი“ — წუდურ-ლ'ირ „სიფრთხილე“, ბერწომ „სუფთა“ — ბერწომ-ლ'ირ „სისუფთავე“, ჰოკორუ „მძიმე“ — ჰოკორუ-ლ'ირ „სიმძიმე“... სე-ბ „ერთი“ — სე-ბ-ლ'ირ „ერთობა“... ანდ. -ლ'ირ სუფიქსი ხუნძ. -ლ'ი სუფიქსის ეკვივალენტია (ზღრ. ხუნძ. ვაცა-ლ'ი „ძმობა“... ლ'იკ-ლ'ი „სიკარგე“, „სიკეთე“...). მასთან, ორსავე ენაში ამ სუფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები წარმოშობით სხვა არაფერია, თუ არა ნასახელარ ზმნათა მასდარის შესაბამისი ფორმები; ზღრ.: ხუნძ.: ვაცა „ძმა“ → ვაცა-ლ'-ი-ზე „ძმად გახდომა“ (ინფინიტ.) — ვაცა-ლ'ი (მასდ.)... ანდ.: ვოცაი „ძმა“ — ვოცაი-ლ'-ი-დუ „ძმად გახდომა“ (ინფინიტ.) — ვოცაი-ლ'-ი-რ (მასდ.)... აქ ნასახელარ ზმნას აწარმოებს წარმოშობით მეშველი ზმნა -ლ' ძირის შემცველი: ხუნძ. -ლ'-ი-ზე (ანდ. ლ'-ი-დუ) „გახდომა“ — становиться, werden<sup>1</sup>. ამ მეშველი ზმნის მასდარის ფორმაა წარმოშობით აბსტრაქტულ სახელთა ზემოხსენებული სუფიქსი ხუნძურსა და ანდიურში<sup>2</sup>.

-ლ'ირ სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელები IV (ბ) კლასს განეკუთვნება (იმისდა მიუხედავად, თუ რა კლასის სახელისაგანაა ნაწარმოები ასეთი სახელი და რა კლას-ნიშანი აქვს საწარმოებელ ფუძეს): ვოცაი „ძმა“ (II კლ.) → ვოცაი-ლ'ირ „ძმობა“ (IV კლ.),

<sup>1</sup> ზღრ.: ლაქ. ხ'-უ-ნ, ლეზგ. ხ'-უ-ნ, ტაბას. ხ'-უ-ხ... „გახდომა“ (N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, 80).

<sup>2</sup> З. М. Магомедбекова, О двух суффиксах словообразования в каратинском и авирском языках, *Яз.*, XI, გვ. 259—260; „ხუნძ. ენა“, 33. 175—176.

მოცი „და“ (II კლ.) → მოცი-ლ'ირ „დობა“ (IV კლ.)... ვ/ჲ/ბ/როხორ (I-V კლ.) „მოხუცი“ → ვ/ჲ/ბ/როხორ-ლ'ირ „მოხუცებულბა“ (IV კლ.) და ა. შ.

დანარჩენ სუფიქსთა გამოყენების ფარგლები მეტ-ნაკლებად შეზღუდულია; ესენია:

-შა. ცალკეულ შემთხვევებში აწარმოებს მოქმედი პირის სახელს (nomen agentis): იხოდუ-შა „მეწისქვილე“, რედა-შა „მეჯოგე“, ხორო-შა „მეცხვარე“... ეგვეე სუფიქსი გვაქვს სიტყვებში (თუმცა, ფუნქცია სხვა უჩანს): მარაგა-შა „მატყუარა“, მოჩილი-შა „ქარებიანი“, „სახსრებ-დაავადებული“ (ავადმყოფი).-შა სუფიქსი დაერთვის სათანადო არსებითი სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეს; შდრ.: იხვობ „წისქვილი“, ირ. ბრ. ფუძე იხვოდ-უ → იხვოდ-უ-შა „მეწისქვილე“... მოჩი-ლ (მრ. რ.) „ქარები“, ირ. ბრ. ფუძე მოჩი-ლ-ი → მოჩი-ლ-ი-შა „ქარებიანი“...

-ჩი; -ჯან. ეს სუფიქსებიც მოქმედი პირის აღმნიშვნელ სახელს აწარმოებს (იშვიათად): ინქვა-ჩი „მეურმე“, სედურუ-ჯან „წინამილოლი“. ორივე ნასესხებია ხუნძურიდან (ხუნძურში -ჩი მომდინარეობს დამოუკიდებელი სიტყვისაგან ჩი „კაცი“, ხოლო -ჯან — ერთი ადგილობითი ბრუნვის [ტრანსლატივის] ფორმანტია წარმოშობით<sup>1</sup>).

-კა/-ეკა (← ჰეკა „კაცი“). იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ქართ. „-კაც“-ს („მამა-კაცი“, „დედა-კაცი“... ტიპის წარმოებისას): ქუნტა-კა (← ქუნტა ჰეკა) „მამაკაცი“ (ქუნტა აღნიშნავს საერთოდ მამრ. სქესის არსებას), პორჰეუ-კა (← პორჰეი ჰეკა) „დედაკაცი“, „ცოლი“ (პორჰეი აღნიშნავს საერთოდ მდედრ. სქესის არსებას). ღოშ-კა (← ღოში ჰეკა) „ქალი“ (ღოში „ქალიშვილი“), სერო-კა (← სერო ჰეკა) „ქვრივი“, ქუსა-კა (← ქუსა ჰეკა) „ქოსა კაცი“, მიხარ-ეკა (← მიხარ ჰეკა) „პატრონი“; „თავაკი“ (მიხარ „თავი“). -კა/-ეკა სახელობითის ფუძეს დაერთვის (იხ. ზემოთ მაგალითები).

-კა სუფიქსი სულ სხვა მნიშვნელობისა და წარმოშობისა უნდა მონაწილეობდეს სხეულის აღმნიშვნელ ფუძეებში: ჰანტი-კა (შდრ. ხუნძ. ზინ, ნათ. ზინდ-ულ — § 35) „ყური“, ჩუ-კა (ზილ. ჩუნ-კა, მუნ. კი-კა) „ფეხი“, „ტერფი“, წაე-კა „თითი“. -კუ: ჰარ-კუ (შდრ.: პოთლიხ., ლოდობ. ჰაჲ, ხუნძ. ბერ — § 33) „თვალი“. -კალა სუფიქსი უნდა გვექონ-

<sup>1</sup> Л. Жирков, Словообразование в аварском языке (ЯД. I, 1948, 33-27).

დეს, როგორც ამას ნ. ტრუბეცკოი ფიქრობს, სიტყვაში ტან-კალა (შდრ. აფხაზ. ეა, უბიზ ლა) „კურდღელი“<sup>1</sup>.

-ღირ. აწარმოებს იშვიათად მოქმედების იარაღის აღმნიშვნელ სახელს: ჯუჭა-ღირ „ხერხი“ (შდრ. ჯუჭა-ნნუ „ხერხვა“)<sup>2</sup>; ხშირია ეთნიკურ სახელთა ფუძეებში. ანდ. -ღირ ხუნძ. -დერ-ო/-ღირ-ო სუფიქსის ეკვივალენტია (შდრ. ხუნძ. ჯუჭა-დერო/ჯუჭა-ღირ-ო „ხერხი“... ოღონდ ხუნძურში ეს სუფიქსი მოქმედების იარაღის მაწარმოებლის როლში საკმაოდ ხშირად გვხვდება, ანდიურში — მეტად იშვიათად. ეთნიკურ სახელებში კი მას ხუნძურიცა და ანდიურიც ხშირად იყენებს — იხ. ქვ.).

-დან. ეს დამოუკიდებელი სიტყვაა და იმასვე ნიშნავს, რასაც ხუნძ. ეო („რამე, ნივთი“); იგი (მსგავსად ხუნძ. ეო-სი)<sup>3</sup> იხმარება მიმღეობასთან (აწმ.-ძყ.) და მასთან ერთად გამოხატავს დანიშნულებას: შივიუ'უ' ტინნიჲა დან (შდრ. ხუნძ. რახ' ტოლებ ეო) „რძის ჩასასხმელი რამ“, — „სარძევე“, წიონ ტამმიჲა დან (ხუნძ. წიან ბალებ ეო) „მარილის ჩასაყრელი რამ“, — „სამარილე“... (სპეციალური ფორმანტი დანიშნულების გამოსახატავად არ მოგვეპოვება. ამ მნიშვნელობით ზემოაღნიშნული აღწერითი წარმოება გამოიყენება). ამგვარი წარმოებისას დანიშნულებას არსებითად მიმღეობა გამოხატავს, ხოლო დან (ხუნძ. ეო) ელემენტი მიმღეობის მასუბსტანტივებელი ჩანს<sup>4</sup>. ამითვე უნდა აიხსნას მისი ხმარება არა მხოლოდ მიმღეობასთან, არამედ სხვა ატრიბუტულ სახელებთანაც: სე-ბ დან „ერთი რამ“, ბეჭედირ დან „შავი რამ“, ჩონჩი დან „კარგი რამ“, ბიჰუ დან „ბევრი რამ“ და ა. შ.

**ეთნიკურ და სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება.**

1. ეთნიკური (ტომის, ხალხის ან ცალკეული აულის თუ თემის მცხოვრებთა აღმნიშვნელი ზოგადი — კრებითი — მნიშვნელობის) სახელები ანდიურში ჩვეულებრივ მრ. რიცხვის ფორმით იხმარება (მრ. რიცხვის სუფიქსებად ასეთ სახელებში შეიძლება გვქონდეს: -ალ/-ოლ/-ულ): ყ'ვან-ალ „ანდიელები“, ბენ-ალ „მუნიბელეები“... ბაგვალ-ოლ „ბაგვალალები“, ჭამალ-ოლ „ჭამალალები“, გურ-

<sup>1</sup> ამ კალა სუფიქსის შესატყვისებს ცხოველთა აღმნიშვნელ ფუძეებში ნ. ტრუბეცკოი პოულობს მონათესავე ენებშიც: ბაცბ. ფხაკალ „კურდღელი“, ცოკალ „მელა“, უდ. ჯიჯიკალ „პრიკინა“... (Nordkauk. Wortgleich., 56). რ. ლაფონი ამავე სუფიქსს გამოყოფს ქართ. ღრიანკალ-ში (Études basques et caucas., გვ. 34).

<sup>2</sup> А. Дипр, Анд. яз., გვ. 74.

<sup>3</sup> П. Усхар, Авар. яз., გვ. 83.

<sup>4</sup> „ხუნძ. ენა“, § 104.

ქიშ-ოლ „ქართველები“, ღალღაჟ-ოლ „ინგუშები“... ბუთურ-ულ „ჩაჩ-ნები“...<sup>1</sup>.

არაიშვიათად ეთნიკურ სახელთა საწარმოებელ ფუძეში მრ. რიცხვის ფორმანტის წინ თავს იჩენს -ღირ- სუფიქსი: ღალღ-ღირ-ალ „ღალღათელები“, რიკჟუნა-ღირ-ალ „რიკჟანელები“, ქოხი-ღირ-ალ „ქვეანხიდათლელები“, კარა-ღირ-ალ „კარატელები“, ბულ'ი-ღირ-ალ „ბოთლიხელები“, ახ'ვაკი-ღირ-ალ „ახვანელები“, ხუნზაჯი-ღირ-ალ „ხუნძახელები“, ქუჯი-ღირ-ალ „ქოხელები“, ტინდი-ღირ-ალ „ტინდიელები“, ტირხა-ღირ-ალ „ტლოხელები“, ურუს-ღირ-ალ (სღ ← სღ — § 44) „რუსები“ და ა. შ. (როგორც მაგალითებიდან ჩანს, -ღირ- სუფიქსიან ფუძეს მრ. რიცხვის ნიშნად ყოველთვის -ალ სუფიქსი ახლავს: -ღირ-ალ).

რიკჟანის თქმაში -ღირ- სუფიქსის ნაცვლად სათანადო შემთხვევებში -ჩრ- გვაქვს: რიკჟუნა-ჩრ-ავლ „რიკჟანელები“, ბულ'ი-ჩრ-ავლ „ბოთლიხელები“, ზილუ-ჩრ-ავლ „ზილოელები“ და ა. შ.<sup>2</sup>. საფიქრებელია, -ჩრ- მიღებულია -ღირ-ისაგან ამ უკანასკნელში ხმოვნის დაკარგვისა და შემდეგ დ-ს რ-სთან ასიმილაციის შედეგად (-ღირ- → -ღრ- → -ჩრ-).

ანდ. -ღირ- ხუნძ. -ღერ- სუფიქსის ტოლფარდია. ხუნძურშიც ეს სუფიქსი ეთნიკურ სახელთა ფუძეში ვლინდება. განსხვავება იმაშია, რომ ანდიურში -ღირ- სუფიქსი სათანადო შემთხვევებში ყველა ბრუნვაში გვაქვს (სახ. ღალღ-ღირ-ალ „ღალღათელები“ — ერგ. ღალღ-ღირ-ა-დი, ნათ. ღალღ-ღირ-ა(-), მიც. ღალღ-ღირ-ა-ჟ, აფექტ. ღალღ-ღირ-ა(-)-ო), ხოლო ხუნძურში -ღერ- სუფიქსი — მხოლოდ ირიბ ბრუნვებშია (სახ. ანსა-ალ „ონსოქოლოელები“ — ერგ. ანსა-ღერ-ი-ცაა, ნათ. ანსა-ა-ღერ-ი-ლ, მიც. ანსა-ა-ღერ-ი-ჟე).

ეთნიკური სახელები ისევე იბრუნვის, როგორც სხვა სახელები მრ. რიცხვში: სახ. ყ'ვან-ალ „ანდიელები“ — ერგ. ყ'ვან-ა-დი, ნათ.

<sup>1</sup> ხუნძურში ეთნიკურ სახელებს ზოგს ახლავს მრ. რიცხვის სუფიქსი -ალ/-ულ (ჭანდ-ალ „ანდიელები“, ანსა-ალ „ონსოქოლოელები“... სულ-ულ „სულრათლელები“...), ზოგს — არა (გამოიყენება შიშველი ფუძე: ხუნზ- „ხუნძახელები“, ჰიდ-ჰიდათლელები“, ბეწ- „ბაწადლელები“...); განსხვავება მნიშვნელობის მიხედვით სუფიქსიან და უსუფიქსო წარმოებას შორის არ შეიმჩნევა (იხ.: П. У с л а р. Авар. яз., გვ. 42—43; Л. Ж и р к о в, Авар.-рус. сл., გვ. 171; М. С. С а н д о в, Авар мацIахъул грамматика, I, Махачкала, 1958, გვ. 186; „ხუნძ. ენა“, გვ. 179). ანდიურში ეთნიკური სახელები მრ. რიცხვის სუფიქსის გარეშე არ გვხვდება.

<sup>2</sup> Я. С у л е й м а н о в, Именное склонение, გვ. 272.

ყ'ვანნ-ა(-); ყ'ვანნ-ა(-)-ულ, მიც. ყ'ვანნ-ა-ჲ, აფექტ. ყ'ვანნ-ა(-)-ო; სახ. გურგიჲ-ოლ „ქართველები“ — ერგ. გურგიჲ-ოლ-უ-დი, ნათ. გურგიჲ-ოლ-უ(-), გურგიჲ-ოლ-უ(-)-ულ, მიც. გურგიჲ-ოლ-უ-ჲ, აფექტ. გურგიჲ-ოლ-უ(-)-ო; სახ. ბუთურ-ულ „ჩაჩნები“ — ერგ. ბუთურ-ულ-უ-დი, ნათ. ბუთურ-ულ-უ(-), ბუთურ-ულ-უ(-)-ულ, მიც. ბუთურ-ულ-უ-ჲ, აფექტ. ბუთურ-ულ-უ(-)-ო...

შენიშვნა 1. მრ. რიცხვის -ალ სუფიქსი ეთნიკურ სახელებს (ისევე, როგორც სხვა არსებით სახელებს — § 69) არ გადაჰყვებათ ირიბ ბრუნვებში, ხოლო -ოლ და -ულ სუფიქსები გადაჰყვებათ (იხ. ზემოთ ბრუნების ნიმუშები).

შენიშვნა 2. თავისი მნიშვნელობით ეთნიკური სახელები მოიცავს, როგორც I კლ. (მამაკაცთა), ისე II კლ. (ქალთა) სახელებს, მაგრამ იბრუნვის როგორც I კლ. სახელები (ამას მოწმობს, კერძოდ, ნათ. ბრუნვაში კლას-ნიშნიანი დაბოლოება, რომელიც მხოლოდ I კლ. სახელებს შეიძლება ჰქონდეს — § 58).

2. სადაურობის (წარმომავლობის) სახელები იწარმოება ეთნიკური სახელებისაგან. სადაურობის აღმნიშვნელი სახელები დაირთავენ მხ. რიცხვში შესაბამის კლას-ნიშნებს (ვ/ა/ბ/-/რ), მრ. რიცხვში — კლას-ნიშნების შემდეგ რიცხვის ნიშანსაც (-ვ-ულ/-ა-ილ ← -ა-ულ/-ბ-ულ/-რ-ულ): ყ'ვანნ-ა-ვ „ანდიელი“ (I კლ.: მამაკაცი), ყ'ვანნ-ა-ა „ანდიელი“ (II კლ.: ქალი) და ა. შ. — მრ. რ.: ყ'ვანნ-ა-ვ-ულ „ანდიელები“ (I კლ.: მამაკაცები), ყ'ვანნ-ა-ა-ილ ← ყ'ვანნ-ა-ა-ულ „ანდიელები“ (II კლ.: ქალები) და ა. შ. სადაურობის სახელთა მაწარმოებელი ეს სუფიქსები (მხ. და მრ. რიცხვში) სხვა არაფერია თუ არა შესაბამის ეთნიკურ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის (resp. კლას-ნიშნიანი ნათ. ბრუნვის) დაბოლოებები, განსხვავებული შესაბამისად საზღვრული სახელის გრამატიკ. კლასისა და რიცხვისა (§ 58). სხვანაირად რომ ვთქვათ, სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა ფორმები („ანდიელი“, „ანდიელები“) ეთნიკურ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის (resp. ნაგენეტივარი) ფორმებია („ანდიელებისა“, „ანდიელებისანი“)<sup>1</sup>; შდრ.: ყ'ვანნ-ალ „ანდიელები“ (კრებითი მნიშვნელობით: ანდის ტომი; ანდის მცხოვრებთა ერთობლივობა) — ნათ. ყ'ვანნ-ა-ვ<sup>2</sup> „ანდიელებისა“ (= „ანდიელი“); ყ'ვანნ-ა-ვ-ულ<sup>1</sup> „ანდიელებისანი“ (= „ანდიელები“);

<sup>1</sup> შდრ. А. Бокарев, Чашах. яз., გვ. 115.

<sup>2</sup> მაგალითები — მხ. და მრ. რიცხვში — სიმარტივისათვის მოგვყავს მხოლოდ I კლ. ფორმით (კლას-ნიშნით ვ).



გურჯი-ოლ „ქართველები“ — ნათ. გურჯი-ოლ-უ-ვ „ქართველებისა“ (= „ქართველი“), გურჯი-ოლ-უ-ვ-ულ „ქართველებისანი“ (= „ქართველები“);

ბუთურ-ულ „ჩაჩნები“ — ნათ. ბუთურ-ულ-უ-ვ „ჩაჩნებისა“ ( „ჩაჩანი“), ბუთურ-ულ-უ-ვ-ულ „ჩაჩნებისანი“ (= „ჩაჩნები“);

ბაგვალ-ოლ „ბაგვალელები“ — ნათ. ბაგვალ-ოლ-უ-ვ „ბაგვალელებისა“ (= „ბაგვალელი“), ბაგვალ-ოლ-უ-ვ-ულ „ბაგვალელებისანი“ (= „ბაგვალელები“) და ა. შ.

3. სადაურობის აღმნიშვნელი სახელი ზოგჯერ შეიძლება ნაწარმოები იყოს არა მხოლოდ ეთნიკური სახელისაგან, არამედ ადგილის სახელისაგანაც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სათანადო ტოპონიმის მხ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა უკლას-ნიშნო — ლ'ი — დაბოლოებით: ბილ-ო-ლ'ი „ხუნდი“, ზედმიწ. „მთისაჲ“ (შდრ. ხუნდ. მაგარ-ულ-, რომელიც „ხუნდს“ ნიშნავს, ნათ. ბრუნვის ფორმაა მეფერ „მთა“ სიტყვისა). გროზნი-ლ-ლ'ი „გროზნოელი“<sup>1</sup>, ზედმიწ. „გროზნოსაჲ... მრ. რიცხვში დაირთავს -ოლ სუფიქსს (როგორც ეს ლ'ი დაბოლოების მქონე ნათ. ბრ. ფორმას შეეფერება): ბილოლ'-ოლ „ხუნდები“, ზედმიწ. „მთისანი“, გროზნი-ლ-ლ'-ოლ „გროზნოელები“, ზედმიწ. „გროზნოსანი“.

4. სადაურობის აღმნიშვნელი სახელები იბრუნვის ისევე, როგორც სხვა ნაგენეტივარი სახელები (შდრ. § 89): ა) მხ. რ.: სახ. ყ'ვანნ-ა-ვ „ანდიელი“ (I კლ.) — ერგ. ყ'ვანნა-შა-დი (← ყ'ვანნ-ა-შა-უ-დი), ნათ. ყ'ვანნა-შა-უ-(-) და ა. შ.; ყ'ვანნ-ა-ჲ/რ „ანდიელი“ (II—V კლ.) — ერგ. ყ'ვანნ-ა-ლ-დი (← ყ'ვანნ-ა-ლ'-ი-დი) და ა. შ. (პარალელურად შესაძლოა კლას-ნიშანი გადაჰყვეს ირიბ ბრუნვებში: ერგ. ყ'ვანნ-ა-ჲ/რ-დი [← ყ'ვანნ-ა-ჲ/რ-ლ'-ი-დი] და ა. შ.); ბ) მრ. რ.: სახ. ყ'ვანნა-ვ-ულ „ანდიელები“ (I კლ.) — ერგ. ყ'ვანნ-ა-ვ-ულ-უ-დი და ა. შ.; სახ. ყ'ვანნ-ა-ჲ/რ-ულ „ანდიელები“ (II—V კლ.) — ერგ. ყ'ვანნ-ა-ჲ/რ-ულ-ი-დი და ა. შ.

§ 84. **შეერთებითი კომპოზიტიზმი.** ასეთი კომპოზიტები მიიღება ორი ფუძის უბრალო შეერთებით კავშირისა ან შემაერთებელი სხვა რაიმე ელემენტის გარეშე (ორზე მეტი ფუძისაგან შედგენილი კომპოზიტები დამოწმებული არ არის); მაგალითები: ილა-იმა „დედმამა“, რელა-რელილ „ხელ-ფეხი“, პარკუ-კოლ „პირისახე“ (ზედმიწ. „თვალ-პირი“, შდრ. ხუნდ. ბერ-კალ, ხევს. „თოლ-პირი“), მიწია-კოლ „ენა-პირი“, მიწი-მიგაჲუ „წვერ-ულვაში“ (ზედმიწ. „ულვაშ-წვერი“), ქვანნო-ოშგოვი „ბლუზა-შარვალი“, მილ'-ი-ბორწი „შე-მთვარე“,

<sup>1</sup> Я. С у л џ и а н о в, Именное склонение, გვ. 272.

რელ'ო-ზუბუ „დღე-ღამე“ (ზედმძიწ. „ღამე-დღე“), ზიეუ-ლ'ედირ „ძროხა-ხბო“, ილა-ბოში „დღედა-შვილი (ცხოველისა)“ და ა. შ. ფუძეები შეერთებისას ზოგჯერ ფონეტიკურად იცვლებიან (უფრო ხშირად—მეორე კომპონენტი): ვოცა-ოციი ← || ვოციი-აოციი „დაძმა“ (ზედმძიწ. „ძმა-და“), ვოშო-ში ← || ვოშო-აოში „ქალ-ვაჟი“ (ზედმძიწ. „ვაჟ-ქალი“), ილა-ში ← || ილა-აოში „დღედა-ქალი/შვილი“, ილა-შო ← || ილა-ვოშო „დღედა-ვაჟი/შვილი“, ქუნტა-რჭიი ← | ქუნტა-პორჭიი „ცოლ-ქმარი“ (ზედმძიწ. „ქმარ-ცოლი“)...

კომპოზიტი შემავალი ფუძეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხმარებისას სხვადასხვა გრამატიკულ კლასებს შეიძლება განეკუთვნებოდეს, მაგრამ მათი შეერთებით მიღებული კომპოზიტი, როგორც ახალი სიტყვა, შესაბამისი მნიშვნელობით შეიძლება განეკუთვნებოდეს ერთ რომელიმე გრამატიკულ კლასს. მასთან, სხვადასხვა კომპოზიტები (ისევე, როგორც სხვადასხვა არაკომპოზიტური სიტყვები) შეიძლება განეკუთვნებოდეს სხვადასხვა კლასს; ასე, მაგალ., კომპოზიტი მიჯი-მიჯაჟუ „წვერ-ულვაში“ (ზედმძიწ. „ულვაშ-წვერი“) განეკუთვნება IV კლასს (დი-ბ მიჯი-მიჯაჟუ „ჩემი წვერ-ულვაში“) მაშინ, როდესაც მასში შემავალი წვერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სხვადასხვა კლასისაა (დი-ბ მიჯი „ჩემი ულვაში“, მაგრამ: დი-რ მიჯაჟუ „ჩემი წვერი“); კომპოზიტი ილა-იმა „დღე-მამა“ V კლასისაა (დი-რ ილა-იმა „ჩემი დღე-მამა“), მაგრამ ცალკე ილა „დღეა“ II კლასისაა (დი-ა ილა „ჩემი დღეა“), ხოლო ცალკე იმა „მამა“—I კლასისა (დი-ვ იმა „ჩემი მამა“)...

### ზედსართავი სახელი

§ 85. გრამატიკული კლასის ნიშნები ზედსართავ სახელზე. პირველადი (ვითარებითი) ზედსართავის ფუძეს შეიძლება ერთგოდეს პრეფიქსად ცვალებადი კლას-ნიშანი: ვ/ა/ბ/რ-ეკუხა „დიდი“, ვ/ა/ბ/რ-ეხაულა „გრძელი“, ვ/ა/ბ/რ-ელორა „წვრილი“, ვ/ა/ბ/რ-ეკედირ „შავი“, ვ/ა/ბ/რ-იპუ „ბევრი“, ვ/ა/ბ/რ-იში „სქელი“, ვ/ა/ბ/რ-ოჩო „მოკლე“, ვ/ა/ბ/რ-ოხორ „მოხუცი“, „ბებერი“ და სხვ. (კლას-ნიშნიანი ვ იმსგავსებს ფუძისეულ თავიიდურ ვ და ი ხმოვნებს და ცვლის მათ შესაბამისად ო და უ ხმოვნებით: ვ-ოკუხა ← ვ-ეკუხა „დიდი“ და ა. შ. ვ-უჰუ ← ვ-იპუ „ბევრი“ და ა. შ.—§ 54).

ამავე დროს საკმაოდ ბევრია ისეთი ზედსართავი სახელიც, რომლის ფუძეს კლას-ნიშანი არ ერთვის: ჩონჩი „ქარგი“, ტულუ „ტუღი“, ჰირი „წითელი“, ჰაწა „თეთრი“, ჩაქუ „ყვითელი“, ხაგჩი „მწვანე“, მიჰი „პატარა“, ჰირწი „მბალი“, ლუციი „დაბალი“,

ქიტირ „ვიწრო“, ყუდი „ღრმა“, ლუნა „რბილი“, წივე „ახალი“, ტირა „ძველი“, მიწა „ტყბილი“, წიკუ „მწარე“, ლეკუ „მეტი“, ხაეხაი „სწრაფი“, ყაბ „ფართო“, ბოტი „ბრმა“, „ბნელი“, ბალუ „ლამაზი“ და ა. შ.

კლას-ნიშნიანი ზედსართავი სახელი იცვლება შესაბამისად საზღვრული არსებითი სახელის გრამატიკ. კლასისა (ვ-ოქუხა ვოშო „უფროსი ვაფიშვილი“, ჰ-ეკუხა ჰოში „უფროსი ქალიშვილი“, ბ-ეკუხა კოთუ „დიდი ცხენი“, რ-ეკუხა ჰაყაუ „დიდი სახლი“...), ხოლო უკლას-ნიშნო ზედსართავი სახელი ამის საშუალებას მოკლებულია (შდრ.: ჩონჩი ვოშო „ქარგი ვაფიშვილი“, ჩონჩი ჰოში „ქარგი ქალიშვილი“, ჩონჩი კოთუ „ქარგი ცხენი“, ჩონჩი ჰაყაუ „ქარგი სახლი“...).

როგორც ცნობილია. ყველა ზედსართავს პრეფიქსად კლას-ნიშანი არც ხუნძურში აქვს, მაგრამ კლას-ნიშანი სუფიქსად სრული ფორმის ყველა ზედსართავს შეიძლება დაერთოს: ვ/ჰ/ბ-აწა-დ-ა-ვ/ჰ/ბ „სუფთა“... ჰიტინ-ა-ვ/ჰ/ბ „პატარა“, ლ'იკ-ა-ვ/ჰ/ბ „ქარგი“ და ა. შ. ანდიურში ზედსართავი სახელი კლას-ნიშანს სუფიქსად არ დაირთავს (კერძოდ. ანდის თქმაში ამის არც ერთი მაგალითი არ არის დამოწმებული; სხვა თქმებში თითო-ორი მაგალითი თუ დასტურდება; მაგალ.: რიკვ., დად. შუ-ვ/ჰ/ბ/რ „ქარგი“<sup>1</sup>). საექვო ანდიურში ზედსართავ სახელს დაქარგული ჰქონდეს სუფიქსი კლას-ნიშნები: კლას-ნიშანთა სუფიქსაციის მოშლის ტენდენცია ამ ენაში არ შეიმჩნევა; სხვა სახელებს (კერძოდ, ჩვენებით ნაცვალსახელებს) და აგრეთვე ნათ. ბრ. ფორმებს კლას-ნიშნები სუფიქსად დატული აქვთ (მასთან, უკეთ, ვინემ ხუნძურში). ხუნძური ზედსართავის სუფიქსი კლას-ნიშნები წინამავალი ა ხმოვნით (-ა-ვ/-ჰ/ბ), როგორც ეს გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში<sup>2</sup>, წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის შესაბამისი ფორმებია (შდრ. ა-ვ/ჰ/ბ „ეს“); იგი დაერთვის როგორც პირველად, ისე ნაწარმოებ ზედსართავებს. ანდიურში მსგავსი სუფიქსებით ზედსართავი სახელი გაუფორმებელია. აქ ზედსართავი სახელი ისევე, როგორც არსებითი სახელი, გვევლინება გაუფორმებელი ფუძის სახით. რო-

<sup>1</sup> Я. Сулейманов. Автореферат, გვ. 18.

<sup>2</sup> Л. Жирков, Развитие частей речи в горских языках Дагестана, ЯСКЛ, I, 1935; არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბუნება ხუნძურში. ენმკცის ნაშნები, XII, 1942, გვ. 33; А. А. Бокарев, Синтаксис авар. яз., М.-Л., 1949, გვ. 150; М. С. Саидов, Авар мацIагьул грамматика, I, Махачкала, 1958, გვ. 84; ბეს. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკ. ენებში. თხუ შრომები, ტ. 71, გვ. 99; „ხუნძ. ენა“, § 113.

მელშიც შეიძლება გვეკონდეს კლას-ნიშანი მხოლოდ პრეფიქსად, როგორც ფუძის ინგრედიენტი<sup>1</sup>.

§ 86. მრავლობითი რიცხვის ნიშანი ზედსართავ სახელში. მრ. რიცხვში ყველა ზედსართავი სახელი დაირთავს -ოლ სუფიქსს (რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ხუნძ. -ალ სუფიქსისა): ჩონჩი „კარგი“ — ჩონჩ-ოლ, მიქი „პატარა“ — მიქ-ოლ, პირი „წითელი“ — პირ-ოლ, პაწა „თეთრი“ — პაწ-ოლ, ყაბ „ფართო“ — ყაბ-ოლ და ა. შ. (როგორც მაგალითებიდან ჩანს, ბოლოკიდური ხმოვანი ფუძეს არ გააყვება მრ. რიცხვში -ოლ სუფიქსის წინ). ზედსართავი სახელებისათვის უტყობა მრ. რიცხვის ნიშანთა ის ნაირგვარობა, რაც არსებით სახელებს ახასიათებს (§ 68). ისეთ ზედსართავ სახელებს, რომელთაც პრეფიქსად კლას-ნიშანი აქვთ, სათანადო კლას-ნიშანი მხოლოდობითიდან მრავლობითშიც გააყვებათ: ვ-ოქუხა, ჟ-ექუხა, ბ-ექუხა, რ-ექუხა „დიდი“ — მრ. რ.: ვ-ოქუხ-ოლ, ჟ-ექუხ-ოლ, ბ-ექუხ-ოლ, რ-ექუხ-ოლ; ვ-ოხაულა, ჟ-ეხაულა, ბ-ეხაულა, რ-ეხაულა „გრძელი“ — მრ. რ.: ვ-ოხაულ-ოლ, ჟ-ეხაულ-ოლ, ბ-ეხაულ-ოლ, რ-ეხაულ-ოლ; ვ-ოქედირ, ჟ-ექედირ, ბ-ექედირ, რ-ექედირ „შავი“ — მრ. რ.: ვ-ოქედირ-ოლ, ჟ-ექედირ-ოლ, ბ-ექედირ-ოლ, რ-ექედირ-ოლ... ანდიურს ამ მხრივ არქაული ვითარება უნდა ჰქონდეს დაკული იმასთან შედარებით, რაც ხუნძური ენიდანაა ცნობილი: ხუნძურში ზედსართავი სახელი პრეფიქს კლას-ნიშნებს (ვ/ჟ/ბ-) მრ. რიცხვში იცვლის ყველა კლასისათვის საერთო რ- პრეფიქსით (ვ-აწაად-ავ, ჟ-აწაად-ავ, ბ-აწაად-აბ „სუფთა“; „წმინდა“ — მრ. რ. რ-აწაად-ალ; ძველად, საფიქრებელია, ხუნძურშიც სათანადო კლას-ნიშანი, მასთან, რ-ც, რომელიც ამჟამად მარტო მრ. რიცხვში გვაქვს, მხოლოდობითშიც გვეკონდა და მრავლობითშიც: ვ-აწაად-ავ, ჟ-აწაად-აჟ, ბ-აწაად-აბ, \*რ-აწაად-არ — მრ. რ.: \*ვ-აწაად-ალ, \*ჟ-აწაად-ალ, \*ბ-აწაად-ალ, რ-აწაად-ალ<sup>2</sup>).

<sup>1</sup> ხუნძურში ზედსართავი სახელისაგან არსებითის წარმოებისას ფუძეს სუფიქსი კლას-ნიშანი ყოველთვის ჩამოშორდება, ხოლო პრეფიქსი კლას-ნიშანი შერჩება: ბ-აწაად-აბ „სუფთა“ → ბ-აწაად-ლ'ი (და არა ბ-აწაად-აბ-ლ'ი) „ისისფეთავე“... მეორე მხრივ, არსებითი სახელისაგან ზედსართავის წარმოებისას ფუძეს კლას-ნიშანი სუფიქსად დაერთვის: ბაჰარჩი „ვაეკაცი“, „გმირი“ → ბაჰარჩი-ა-ბ „ვაეკაცი“, „გმირული“... ეს იმაზე მიუთითებს, რომ კლას-ნიშანი სუფიქსი (წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის ფორმა) ზედსართავის ფუძის გამაფორმებელია, ზედსართავი სახელის „მაწარმოებელია“ (ანდიურში ზედსართავი სახელის მსგავსი „მაწარმოებელი“ არა გვაქვს).

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენიკო-ს მოამბე, I, 1937.

ანდის, ლალათლისა და სხვ. ზემოანდიურ თქმებში მრ. რიცხვის ნიშანს ზედსართავი სახელი მაშინაც დაირთავს, როცა იგი არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად იხმარება და მაშინაც, როცა არსებითი სახელის მსაზღვრელის როლშია. ქვემოანდიურ თქმებში კი მრ. რიცხვის ნიშანი ზედსართავს შეიძლება დაერთოს დამოუკიდებლად ხმარებისას, ხოლო მსაზღვრელის როლში იგი არ ეთანხმება რიცხვში საზღვრულ არსებით სახელს (§ 102).

ზედსართავი სახელისათვის უცხოა რიცხვის გასარჩევად პრეფიქსი კლას-ნიშნის მომდევნო ფუძისეულ ხმოვანთა მონაცვლეობა, რაც დამახასიათებელი შეიძლება იყოს ზმნისათვის და ნაზმნარაო სახელებისათვის (§ 105)<sup>1</sup>.

**§ 87. ზედსართავი სახელის ბრუნვა.** ზედსართავი სახელი იბრუნვის, როცა იგი არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლად იხმარება.

მხოლოებითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში ბრუნვათა დაბოლოებების წინ მას ყოველთვის დაერთვის შესაბამისად ფუძის სავრცობები მომდევნო დამაკავშირებელი ხმოვნით: -შა-უ- (I კლ.), -ლ'ა-ი- (II—V კლ.). უსავრცობო ბრუნვა უცხოა ზედსართავი სახელისათვის.

მრავლობით რიცხვში მრავლობითობის მაჩვენებელი -ლლ სუფიქსი ფუძეს სახელობითი ბრუნვიდან გადაჰყვება ირიბ ბრუნვებშიც (შდრ. ეგევე სუფიქსი არსებით სახელებს ირიბ ბრუნვებში არ შერჩებათ ხოლმე — § 69). რიცხვის ნიშანს უშუალოდ მოსდევს დამაკავშირებელი ხმოვნის როლში -უ- (I კლ.) და -ი- (II—V კლ.), ხოლო ამ უკანასკნელთ — ბრუნვათა დაბოლოებები. ასე იბრუნვის ყველა ზედსართავი სახელი (პირველადი და ნაწარმოებიც).

**ბ რ უ ნ ე ბ ი ს ნ ი მ უ შ ე ბ ი**

**ა) მხოლოებითი რიცხვი**

**ა) ბოლოხმოვნიანი ფუძით**

სახ.	ვ-ოქუხა	ა/ბ/რ-ექუხა „დიდი“
ერგ.	ვ-ოქუხა-შა-დი (-ვ-ოქუ- ხა-შა-უ-დი)	ა/ბ/რ-ექუხა-ლ-დი (← ა/ბ/რ-ექუხა- -ლ'ა-ი-დი)
ნათ.	ვ-ოქუხა-შა-უ-(-)	ა/ბ/რ-ექუხა-ლ-ლ'ი (← ა/ბ/რ-ექუ- ხა-ლ'ა-ი-ლ'ი)
მიც.	ვ-ოქუხა-შა-უ-ა	ა/ბ/რ-ექუხა-ლ-ლ'ა-ი-ა (← ა/ბ/რ- -ექუხა-ლ'ა-ი-ა)
აფექტ.	ვ-ოქუხა-შა-უ-(-)-ო	ა/ბ/რ-ექუხა-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო (← ა/ბ/რ- -ექუხა-ლ'ა-ი-(-)-ო)

<sup>1</sup> შდრ. Н. С у л с и њ а в о в, Автореферат, გვ. 18.

სახ.	<u>მიჭი (I—V კლ.) „პატარა“</u>	
ერგ.	მიჭი-შა-ღი (← მიჭი-შა-უ-ღი) (I კლ.)	მიჭი-ლ-ღი (← მიჭი-ლ'-ა-ი-ღი) (II—V კლ.)
ნათ.	მიჭი-შა-უ-(-)	მიჭი-ლ-ლ'ი (← მიჭი-ლ'-ა-ი-ლ'ი)
მიც.	მიჭი-შა-უ-ჯ	მიჭი-ლ-ლ'-ა-ი-ჯ (← მიჭი-ლ'-ა-ი-ჯ)
აფექტ.	მიჭი-შა-უ-(-)-ო	მიჭი-ლ-ლ'-ა-ი-(-)-ო (← მიჭი-ლ'-ა-ი-(-)-ო)

## ბ) ბოლოთანხმოვნიანი ფუძით

სახ.	<u>ყ'აბ „ფართო“ (I—V კლ.)</u>	
ერგ.	ყ'აბ-შა-ღი (← ყ'აბ-შა-უ-ღი) (I კლ.)	ყ'აბ-ღი (← ყ'აბ-ლ'-ა-ი-ღი) (II—V კლ.)
ნათ.	ყ'აბ-შა-უ-(-)	ყ'აბ-ლ'ი (← ყ'აბ-ლ'-ა-ი-ლ'ი)
მიც.	ყ'აბ-შა-უ-ჯ	ყ'აბ-ლ'-ა-ი-ჯ
აფექტ.	ყ'აბ-შა-უ-(-)-ო	ყ'აბ-ლ'-ა-ი-(-)-ო

## ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	ვ-ოჭუხ-ოლ (I კლ.)	ჯ/ბ/რ-ეჭუხ-ოლ (II—V კლ.)
ერგ.	ვ-ოჭუხ-ოლ-უ-ღი	ჯ/ბ/რ-ეჭუხ-ოლ-ი-ღი
ნათ.	ვ-ოჭუხ-ოლ-უ-(-)	ჯ/ბ/რ-ეჭუხ-ოლ-ი-ლ'ი
მიც.	ვ-ოჭუხ-ოლ-უ-ჯ	ჯ/ბ/რ-ეჭუხ-ოლ-ი-ჯ
აფექტ.	ვ-ოჭუხ-ოლ-უ-(-)-ო	ჯ/ბ/რ-ეჭუხ-ოლ-ი-(-)-ო

სახ.	<u>მიჭ-ოლ (I—V კლ.)</u>	
ერგ.	მიჭ-ოლ-უ-ღი (I კლ.)	მიჭ-ოლ-ი-ღი (II—V კლ.)
ნათ.	მიჭ-ოლ-უ-(-)	მიჭ-ოლ-ი-ლ'ი
მიც.	მიჭ-ოლ-უ-ჯ	მიჭ-ოლ-ი-ჯ
აფექტ.	მიჭ-ოლ-უ-(-)-ო	მიჭ-ოლ-ი-(-)-ო

სახ.

ყაბ-ოლ (I—V კლ.)

ერგ.	ყაბ-ოლ-უ-დი (I კლ.)	ყაბ-ოლ-ი-დი (II—V კლ.)
ნათ.	ყაბ-ოლ-უ-(-)	ყაბ-ოლ-ი-ლ'ი
მიც.	ყაბ-ოლ-უ-ჲ	ყაბ-ოლ-ი-ჲ
აფექტ.	ყაბ-ოლ-უ-(-)-ო	ყაბ-ოლ-ი-(-)-ო

§ 88. მიმართებითი ზედსართავის წარმოება. მიმართებითი ზედსართავი სახელის საწარმოებლად რიგი სუფიქსი დასტურდება.

-ყი. აწარმოებს არსებითი სახელისაგან ზედსართავ სახელს, რომელიც გამოხატავს რისამე ნაკლებობას, სიმცირეს, არასაკმაო რაოდენობას (ზოგჯერ — სემანტიკური გადახრით — უქონლობასაც): წაონ „მარილი“ — წაონ-ყი „მარილ-ნაკლები“, „მცირე-მარილიანი“, რიტეი „ხორცი“ — რიტეი-ყი „მცირე-ხორციანი“, „მკლე“, „გამხდარი“, მიხი „მატყლი“ — მიხი-ყი „მცირე-მატყლიანი“ (მიხი-ყი ჰაემან „მცირე-მატყლიანი ცხვარი“), შიეფე „რძე“ — შიეფე-ყი ზიეფე „მცირე-რძიანი ძროხა“, ადამ „ხალხი“ — ადამ-ყი „მცირე-ხალხიანი“ (ადამ-ყი ჰონ „მცირე-ხალხიანი, მცირედ დასახლებული აული“), ამალ „ხასიათი“ — ამალ-ყი „უხასიათო“, ჰანტიკა „ყური“ — ჰანტიკე-ყი „ყურ (სმენა)-ნაკლები“, როკვო „გული“ — როკვორ-ყი „გულ-ნაკლები“, ლ'ენ „თმა“ — ლ'ენ-ყი „მცირე-თმიანი (მელოტი)“ და ა. შ. წარმოება პროდუქტიულია. ეს სუფიქსი არსებითი სახელის ირიბ ბრუნვათა ფუძეს დაერთვის (შდრ. ჰანტიკა „ყური“ — ირ. ბრ. ფუძე ჰანტიკე-უ- → ჰანტიკე-უ-ყი...). -ყი სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავს შეიძლება დაერთოს -ლ'ირ სუფიქსიც (§ 83) და მივიღოთ აბსტრაქტული არსებითი სახელი: მიხი „მატყლი“ (არსებ. სახ.) → მიხი-ყი „მცირე-მატყლიანი“ (ზედსართ. სახ.) → მიხი-ყი-ლ'ირ „მცირე-მატყლიანობა“ (აბსტრაქტ. არსებ. სახ.); როკვო „გული“ (არსებ. სახელი) → როკვორ-ყი „გულ-ნაკლები“ (ზედსართ. სახ.) → როკვორ-ყი-ლ'ირ „გულ-ნაკლებობა“ (აბსტრაქტ. არსებ. სახელი) და ა. შ.

ანდ. -ყი<sup>1</sup> სუფიქსის ფუნქციური და მატერიალური შესატყვისია -ყ ხუნძურისა. ამ სუფიქსით ხუნძურში არსებითი სახელისაგან

<sup>1</sup> ბოლოკიდური ხმოვანი ამ სუფიქსისა ფონეტიკური ღირებულებისაა (ღია მარცვლის წარმოქმნელია სიტყვის ბოლოში).

(მისი ირ. ბრ. ფუძისაგან) იწარმოება ზედსართავის ფუძე, რომელსაც, თავის მხრივ, დაერთვის კლას-ნიშნიანი სუფიქსი (იგივე, რაც პირველადი ზედსართავი სახელის ფუძეს აფორმებს): რახ<sup>1</sup> „რძე“ — რახ<sup>2</sup> და-ყ-ამ „მცირე-რძიანი“, ლ<sup>3</sup>აინ „წყალი“ — ლ<sup>4</sup>ადა-ყ-ამ „მცირე-წყლიანი“ და ა. შ.<sup>1</sup> ანდიურში კი -ყაი სუფიქსიანი ზედსართავი სახელის ფუძე გაფორმებული არ არის ისევე, როგორც გაუფორმებელია პირველადი (ვითარებითი) ზედსართავის ფუძეც (§ 85).

რისამე სრული უქონლობა (ისევე, როგორც ხუნძურში) აღწერით იწარმოება: გამოიყენება უარყოფითი მეშველი ზმნის (საუ<sup>5</sup> არ არის<sup>6</sup>, ხუნძ. ჰეკო) მიმღობა (საუ-ბ<sup>7</sup> „არყოფი“, „არმქონე“, ხუნძ. ჰეკე-ბ): წაონ საუბ (ხუნძ. წაან ჰეკე-ბ) „უმარილო“, ფადა საუბ (ხუნძ. ფადა ჰეკე-ბ) „უსარგებლო“, სოლი საუბ „უსირცხვილო“ და ა. შ.

-ყ'ვონ (→ || -ყ'ონ — § 43). ეს სუფიქსი თავისი მნიშვნელობით საპირისპიროა -ყაი სუფიქსისა. იგი გამოხატავს რისამე უხვად, კარბად ქონას: მიხი-ყ'ვონ „ბევრ-მატყლიანი“ (მიხი-ყ'ვონ ჰაჰმან „ბევრ-მატყლიანი ცხვარი“), შაიუ-ყ'ვონ „ბევრ-რძიანი“ (შაიუ-ყ'ვონ ზიუუ „ბევრ-რძიანი, კარგად მეწველი ძროხა“), რიტვი-ყ'ვონ „ბევრ-ხორციანი“, „მსუქანი (საქონელი)“, ლ'ენ-ყ'ვონ „ბევრ-თმინი“, წა-ყ'ვონ „ბევრ-წვიმიანი“ (წა-ყ'ვონ რეშინ „ბევრ-წვიმიანი წელიწადი“); მუჭუ-ყ'ვონ „ბევრ-მოსავლიანი“ (მუჭუ-ყ'ვონ რეშინ „ბევრ (უხვად) მოსავლიანი წელიწადი“; შდრ. მუჭუ-ყაი რეშინ „მცირე-მოსავლიანი წელიწადი“) და ა. შ. -ყ'ვონ სუფიქსიც არსებითი სახელის ირ. ბრ. ფუძეს დაერთვის.

ხუნძურში შესაბამისი მნიშვნელობით იხმარება -ჰალ || -ჰალ (ზედსართავი სუფიქსებით: -გალ-აბ || -ჰალ-აბ): წამ-გალ-აბ „ბევრ-მარილიანი“, „მლაშე“<sup>2</sup>... შესაძლოა ანდ. -ყ'ვონ და ხუნძ. -ჰალ სუფიქსები საერთო იყოს მატერიალურადაც: შეთარღება კანონ-ზომიერია თავკიდური თანხმონისა (ანდ. ყ' — ხუნძ. ჰ — § 30) და მომდევნო ხმონის (ანდ. ო — ხუნძ. ა — § 18) მიხედვით, მაგრამ განსხვავებას ქმნის ბოლოკიდური თანხმონი.

-საი. აწარმოებს ზედსართავ სახელებს უმთავრესად ზმნისართე-ბისაგან: საედუ „წინ“ — საედუ-საი „წინა“ (აქედან: ლე-საედუ-საი

<sup>1</sup> П. Услар, Авар. яз., § 83; Л. Жирков, Словообразование в авар. яз. (МД, I, 1948 გვ. 25); „ხუნძ. ენა“, §§ 109, 111.

<sup>2</sup> პ. უსლარი, დასახ. შრ., § 83, ლ. უირკოვი, დასახ. შრ., გვ. 33..



„პირველი“, ზედმიწ. „მეწინავე“, „ყველაზე წინა“), ინუქუ „საი-დან?“ — ინუქუ-საი „სადაური“, ჰოლ<sup>1</sup> „აქ“ — ჰოლ<sup>2</sup> „საი“ „აქა-ური“... ჰინჯერ „ეხლა“ — ჰინჯერ-საი „ეხლანდელი“... დაერთვის აგრეთვე სხვადასხვა ადგილობითი ბრუნვის ფორმებს. იხმარება სხვადასხვა ზმნისართულ ნაწილაკებთან ერთადაც: -გა-საი, -ყ<sup>1</sup>-საი „-ნაირი, -ფერი“, „მსგავსი“: მინ-გა-საი, მინ-ყ<sup>1</sup>-საი „შენ-ფერი“... კოთუ-გასაი „ცხენის-ნაირი“, „ცხენის მსგავსი“... ბორწი-გა-საი „მთვარის მსგავსი“... თანაობის (comitativus) გამომხატველ-ლო-გუ. (მუნ.-ქვანხ. -ლო) ნაწილაკთან ერთად (-ლო-გუ-საი, მუნ.-ქვანხ. -ლო-საი-) აღნიშნავს რისამე ქონას: ფაჲდა-ლო-გუ-საი „სასარგებლო“, ქუთაქი-ლო-გუ-საი „ძალის მქონე“, „ძლიერი“, ტაყამი-ლო-გუ-საი „გემრიელი“, ჰუნალ-ლო-გუ-საი (← ჰუნარ-ლო-გუ-საი) „უნარიანი“, წაელ-ლო-გუ-საი (← წაერ-ლო-გუ-საი) „სახელის მქონე“, „სახელოვანი“, კორდო-ლო-გუ-საი მისა „ბალახიანი ადგილი“, კოთუ-ლო-გუ-საი „ცხენიანი“ და ა. შ.; დაერთვის ზმნის ფორმას და აწარმოებს მიმლეობას (ნაზმნარ ზედსართავ სახელს): იაირ „აკეთებს“ — იაირ-საი „მკეთებელი“, ბუყაირ „ქრის“ — ბუყაირ-საი „მჭრელი“. და ა. შ. ქვანხიდათლის თქმაში -საი სუფიქსს შეიძლება ახლდეს თანხმოვანი -ბ (გაქვევებული კლას-ნიშანი?): -საი-ბ.

ხუნძორში გვაქვს -საე- (ცვალებადი კლას-ნიშნით: -საე-/-გ/ჲ/ბ); ეს სუფიქსი აქაც ზედსართავს აწარმოებს ზმნისართისაგან (ცაებე „წინ“ — ცაებე-საე-ბ და ა. შ.), სადაურობის აღმნიშვნელ სახელებს ადგილის სახელებისაგან (ლუნი-საე-გ „ლუნიბელი“, ხაუნზაგ-ე-გ ← ხაუნზაგ-საე-ვ<sup>1</sup> „ხუნძახელი“), ზმნისაგან — მიმლეობას (ყოტულ-ე-გ ← \*ყოტულ-საე-ვ<sup>1</sup> „მჭრელი“ ...). და სხვ.

ეგვევე სუფიქსი (ვარიანტებით: -საე-/-საი/-საა) გავრცელებას პოვებს ხუნძ.-ანდ.-დიდ. და დაღესტნურ სხვა ენებშიც ზედსართავისა და მიმლეობის საწარმოებლად<sup>2</sup>.

-ჲა. იშვიათად დასტურდება იმავე მნიშვნელობით, რაც -ლო-გუსაი (იხ. ზემოთ) სუფიქსს აქვს. დაერთვის ირ. ბრ. ფუძეს: ქუ-თაქუ-ჲა (|| ქუთაქი-ლოგუსაი) „ძლიერი“...

<sup>1</sup> თანხმოვნის უშუალო მომდევნოდ ეს სუფიქსი ხუნძორში კარგავს ხ-ს და შემოინახავს მხოლოდ ხმოვნით ელემენტს (-საე- → -ე-): იხ. „ხუნძ. ენა“. § 167, 169.

<sup>2</sup> А. А. Божарев, Синтаксис авар. яз., გვ. 167; ბეს. კიკვიძე, ზედსართავი სახელი იბერიულ-კავკასიურ ენებში. თხუ შრომები, ტ. 71, 1958. სიტყვაწარმოებითი ეს სუფიქსი ზოგ ენაში (მაგალ., დიდოურ ენებში) ნათ.

§ 89. ნანათესაობითარი არსებითი სახელი ზედსართავის ფუნქციით. მსგავსად სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისა ანდიურსა და ხუნძურში ნათესაობითი ბრუნვა, გარდა კუთვნილებისა (ვოცაუ-ვ ვოშო „ძმის ვაჟიშვილი“, ჯოცაუ-ლ'ი ვოშო „დის ვაჟიშვილი“), შეიძლება გამოხატავდეს იმ საგნის თვისებასაც, რომლის მსაზღვრელადაც იგი გამოდის: წაა-ლ'ი ზუბუ (ხუნძ. წაად-ალ ყო) „წვიმიანი დღე“, ორსი-ლ'ი როტაოჩულ „ვერცხლის ქამარი“, მისიდილ-ლ'ი საყათი „ოქროს საათი“, ჰინწოლ-ლ'ი ჰაყაუ „ქვის სახლი“, ლ'უდილ-ლ'ი ყაენ „ხის კედელი“, შაივუ-ლ'ი მიწაი „მშობლიური ენა“, „დღეა ენა“ (ზედმიწ. „რძის ენა“, შდრ. ხუნძ. რახ-და-ლ მაწა) და ა. შ. ხუნძურში ნათეს. ბრუნვის ფორმას ზემოაღნიშნული ფუნქციით შეიძლება დაერთოს ზედსართავის სუფიქსებიც (ა-ვ/ა/ბ): მესედ-ილ || მესედ-ილ-აბ საჭათ „ოქროს საათი“; ასევე: ინსა-ულ || ინსა-ულ-აბ „მამისა“, „მამობრივი“, ვაცაასა-ულ || ვაცა-ასა-ულ-აბ „ძმისა“, „ძმური“... ანდიურში ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ზედსართავის როლში არ დაირთავს დამატებით რაიმე მაწარმოებელს (კერძოდ, კლას-ნიშნიან სუფიქსს).

ნანათესაობითარი არსებითი სახელი დამოუკიდებლად ხმარებისას ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი სახელი.

### ნ ა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ა რ ი ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ა

ასეთ შემთხვევაში ნათესაობითის დაბოლოება (იქნება იგი კლას-ნიშანი თუ -ლ'ი სუფიქსი) გაჰყვება ფუძეს ირიბ ბრუნვებშიც.

ნანათესაობითარი სახელები მხ. რიცხვში იბრუნვის საერცობიანი ბრუნვების მიხედვით (-შა-უ- და -ლ'ა-ი- საერცობებით).

ა) (-) კლას-ნიშნიანი დაბოლოების მქონე ნანათესაობითარი არსებითი სახელის ბრუნება

ა) მხოლოობითი რიცხვი

სახ. იმუ-ვ	იმუ-ა/ბ/რ	„მამისა-ა“
ერგ. იმუ-ვ-შა-დი (← იმუ-ვ-შა-უ-დი)	იმუ-ა/ბ/რ-დი (← იმუ-ა/ბ/რ-ლ'ა-ი-დი)	

ბრუნვის ნიშნადაც გამოიყენება. ზოგ ავტორს შესაძლოდ ღიაჩნია ნათ. ბრ. ნიშნად ქართველურ ენებშიც იგივე სუფიქსი ცნოს (იხ.: R. Erckert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, II, გვ. 220; И. В. Мегрелидзе, Склонение в дидагском яз., „Яз. и мышл“, т. X, М.-Л., 1940; Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, Москва, 1962, გვ. 68.)

ნათ.	იმუ-ვ-შა-უ(-)	იმუ- <u>მ/ბ/რ-ლ'ი</u> (←იმუ- <u>მ/ბ/რ-ლ'ა-ი-ლ'ი</u> ).
მიც.	იმუ-ვ-შა-უ- <u>მ</u>	იმუ- <u>მ/ბ/რ-ლ'ა-ი-მ</u>
აფექტ.	იმუ-ვ-შა-უ(-)- <u>ო</u>	იმუ- <u>მ/ბ/რ-ლ'ა-ი(-)-ო</u>

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	იმუ-ვ-ულ	იმუ- <u>მ/ბ/რ-ულ</u> „მამისანი“
ერგ.	იმუ-ვ-ულ-უ- <u>დი</u>	იმუ- <u>მ/ბ/რ-ულ-ი-დი</u>
ნათ.	იმუ-ვ-ულ-უ(-)	იმუ- <u>მ/ბ/რ-ულ-ი-ლ'ი</u>
მიც.	იმუ-ვ-ულ-უ- <u>მ</u>	იმუ- <u>მ/ბ/რ-ულ-ი-მ</u>
აფექტ.	იმუ-ვ-ულ-უ(-)- <u>ო</u>	იმუ- <u>მ/ბ/რ-ულ-ი(-)-ო</u>

ბ) -ლ'ი დაბოლოებულიანი ნანათესაობითარი არსებებითი. სახელის ბრუნება

ა) მხოლოდობითი რიცხვი

სახ.	<u>ილუ-ლ'ი</u> „დედისა- <u>მ</u> “	
ერგ.	ილუ-ლ'ი-შა- <u>დი</u> (←ილუ- <u>ლ'ი-შა-უ-დი</u> )	ილუ-ლ'ი- <u>ლ-დი</u> (← ილუ-ლ'ი- <u>ლ'ა-ი-ლ'ი</u> )
ნათ.	ილუ-ლ'ი-შა-უ(-)	ილუ-ლ'ი- <u>ლ-ლ'ი</u> (← ილუ-ლ'ი- <u>ლ'ა-ი-ლ'ი</u> )
მიც.	ილუ-ლ'ი-შა-უ- <u>მ</u>	ილუ-ლ'ი- <u>ლ-ლ'ა-ი-მ</u> (←ილუ-ლ'ი- <u>ლ'ა-ი-მ</u> )
აფექტ.	ილუ-ლ'ი-შა-უ(-)- <u>ო</u>	ილუ-ლ'ი- <u>ლ-ლ'ა-ი(-)-ო</u> (← ილუ- <u>ლ'ი-ლ'ა-ი(-)-ო</u> ).

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	<u>ილუ-ლ'-ოლ</u> „დედისანი“	
ერგ.	ილუ-ლ'- <u>ოლ-უ-დი</u>	ილუ-ლ'- <u>ოლ-ი-დი</u>
ნათ.	ილუ-ლ'- <u>ოლ-უ(-)</u>	ილუ-ლ'- <u>ოლ-ი-ლ'ი</u>
მიც.	ილუ-ლ'- <u>ოლ-უ-მ</u>	ილუ-ლ'- <u>ოლ-ი-მ</u>
აფექტ.	ილუ-ლ'- <u>ოლ-უ(-)-ო</u>	ილუ-ლ'- <u>ოლ-ი(-)-ო</u>

§ 90. ზედსართავის ხარისხების გამოსატვა. ხარისხის ფორმებს ზედსართავი სახელი არ განარჩევს<sup>1</sup>. შედარებითი (უფროლობითი) ხარისხის მნიშვნელობით ზედსართავი სახელი -ჭუ („ზე“) სუფიქსიან ადგილობით ბრუნვაში (// წყ.) სვამს იმ სახელს,

<sup>1</sup> А. Д и р р, А н д. я з., з в. 31.

რომელთანაც შედარებით მეორე სახელი მეტ თვისებას ამჟღავნებს; შდრ.: რ-ეკუხა ჰაყაუ „დიდი სახლი“ (დადებ. ხარისხი) — ჰონორ ჰაყაუ ღურ ჰაყაუ-ქუ რ-ეკუხა 'ი' „ეს სახლი შენს სახლზე დიდი 'არის'“ (უფრ. ხარისხი)... ჩონჩი ვოშო „კარგი ვაჭიშვილი“ (დადებ. ხარისხი) — ღოში ვოშუ-ქუ ჩონჩი 'ი' „ქალიშვილი ვაჭიშვილზე კარგი 'არის'“ (უფრ. ხარისხი). „უდიდესი“, „უკეთესი“ წარმოება ანდიურისათვის (ისევე, როგორც ხუნძურისათვის) უცხოა.

შეთანასწორების (მსგავსების) გამოსახატავად იხმარება რიგი ნაწილაკი, რომელიც შესადარებელ სიტყვას დაერთვის; ესენია: -ყ'ა (ზედსართაული სუფიქსით: ყ'ა-საი) (=ხუნძ. -ჟან, -ჟან-აბ, -ჟან-საი-ბ), -გა (ზედსართაული სუფიქსით: -გა-საი, ზმნისართული სუფიქსით: -გა-გუ) „-ვით“, „ისეთი, როგორც“ (თვისების ან ოდენობის მიხედვით); მაგალ.: ჰეჟ-ყ'ა ბალუ ღოშკა ენშაუჟო ღუნიალლა ჰაყ'ოსალ'ოდი „ამასავით (ისეთი, როგორც ეს) ლამაზი ქალი მას ქვეყანაზე არ ენახა“... კოთუ-ყ'ა „ცხენივით“... მილ'ი-გა (მილ'ი-გა-საი, მილ'ი-გა-გუ) „მზესავით“... ქვანხიდათლის თქმაში ამავე მნიშვნელობით დასტურდება -ხაბ ნაწილაკიც: გეთუ ხოჟ-ხაბ მერეკაშაუჟ მუტიჰარი საუ „კატა ძალსავით პატრონისათვის ერთგული არ არის“...

მნიშვნელობის გასაძლიერებლად (აღმატებითი ხარისხის ფუნქციით) სათანადო ზედსართავთან იხმარება სიტყვები: ზოლო „ძალიან“, „ძლიერ“, ჰოქო „ყველაზე მეტად“, „გამორჩევით“ (ეტიმოლოგიური კავშირი უნდა ჰქონდეს ზმნასთან: ბ-ოქ-იდუ „ამორჩევა“, „გამორჩევა“; შდრ. ამავე მნიშვნელობით ხუნძ. ბ-იშაჟნ ზმნისაგან ბ-იშა-ი-ზე „ამორჩევა“, „გამორჩევა“); მაგალ.: ზოლო ჩონჩი „ძალიან კარგი“... ჰოქო ბ-ეკუხა „ყველაზე უფრო დიდი“...

### რიცხვითი სახელი

§ 91. **აოღენოზითი რიცხვითი სახელაზი.** ანღი: 1 სე(-), 2 ჰეგუ, 3 ლ'ობგუ, 4 (-)ოყ'ოგუ, ზილ. (-)ოყ'ოგუ, 5 ინშაღღუგუ, ზილ. იშაღღუგუ, 6 ონლ'იგუ, რიკვ. ონლ'გუ, 7 ჰოტჟეგუ, 8 ბიჟ-

<sup>1</sup> ხუნძურში ამ მნიშვნელობით, როგორც ცნობილია, გამოიყენება I წყ. დაწორებ. ბრუნვა (-და-ხა სუფიქსით); შდრ. კუდიჟაბ „დიდი“ — ჰელ-და-საჟ კუდიჟაბ „მასზე (ხეღმიწ. მას-ზე-ით) დიდი“...

<sup>2</sup> ნიმუშები მოგვყავს ზემოანდ. თქმებიდან ანღის თქმის მონაცემების მიხედვით (ვარიაციები ზემოანდ. სხვა თქმებში სათანადო შემთხვევებში ნაჩვენა

ტიგუ (მამაკაცთა მეტყვე.) || ბეატაიგუ (ქალთა მეტყვე.), ლაღ., ზილ. ბეატაიგუ, რიკვ. ბეატაგუ, 9 ჰოკოგუ, 10 ჰოწოგუ; 11 ჰოწოლ'ი-სე(-), რიკვ. ჰოწოლ'-სე(-), ზილ. ჰოწოლლ'ი-სე(-). 12 ჰოწოლ'ი-ჰეგუ, რიკვ. ჰოწოლ'-ჰეგუ, ზილ. ჰოწოლლ'ი-ჰეგუ და ა. შ. 20 ჰეწოლოგუ, 21 ჰეწოლოლოგუ-სე(-), 22 ჰეწოლოლოგუ-ჰეგუ და ა. შ.; 30 ლ'ობწოლოგუ, 31 ლ'ობწოლოლოგუ-სე(-), 32 ლ'ობწოლოლოგუ-ჰეგუ და ა. შ.; 40 (-)ოყ'ოწოლოგუ, ზილ. (-)ოყ'ოწოლოგუ; 41 (-)ოყ'ოწოლოლოგუ-სე (-), ზილ. (-)ოყ'ოწოლოლოგუ-სე(-) და ა. შ. 50 ინშადუწოლოგუ, ზილ. ინშადუწოლოგუ, 51 ინშადუწოლოლოგუ-სე(-), ზილ. ინშადუწოლოლოგუ-სე(-) და ა. შ.; 60 ონლ'იწოლოგუ, რიკვ. ონლ'წოლოგუ, 61 ონლ'იწოლოლოგუ-სე(-), რიკვ. ონლ'წოლოლოგუ-სე(-) და ა. შ.; 70 ჰოტაუწოლოგუ, 71 ჰოტაუწოლოლოგუ-სე(-) და ა. შ.; 80 ბიეტაიწოლოგუ (მამაკაცთა მეტყვე.) || ბეატაიწოლოგუ (ქალთა მეტყვე.), ლაღ., ზილ. ბეატაიწოლოგუ, რიკვ. ბეატაწოლოგუ, 81 ბიეტაიწოლოლოგუ-სე(-) (მამაკაცთა მეტყვე.) ბეატაიწოლოლოგუ-სე(-) (ქალთა მეტყვე.), ზილ., ლაღ. ბეატაიწოლოლოგუ-სე(-), რიკვ. ბეატაწოლოლოგუ-სე(-) და ა. შ.; 90 ჰოკოწოლოგუ, 91 ჰოკოწოლოლოგუ-სე(-) და ა. შ.; 100 ბეშონუგუ, 101 ბეშონუ-სე(-) და ა. შ.; 200 ჰე-ბეშონუგუ, 300 ლ'ობ-ბეშონუგუ და ა. შ.; 1000 ოზირუგუ...

მუნიბი: 1 სე(-)ი, 2 ჰეჲ, 3 ლ'ო(-)ი, 4 (-)ოყ'ო, 5 ინშადუ, 6 ონლ'ი, 7 ჰოტაუ, 8 ბეტაი, 9 ჰოკო, 10 ჰოწო, 11 ჰოწილი-სე(-)ი, 12 ჰოწილი-ჰეჲ, 13 ჰოწილი-ლ'ო(-)ი, და ა. შ.; 20 ჰეწოლი, 21 ჰეწოლო-სე(-), 22 ჰეწოლო-ჰეჲ და ა. შ.; 30 ლ'ო(-)წოლი, 31 ლ'ო(-)წოლო-სე(-)ი, 32 ლ'ო(-)წოლო-ჰეჲ და ა. შ.; 40 (-)ოყ'ოწოლი, 41 (-)ოყ'ოწოლო-სე(-)ი, და ა. შ.; 50 ინშადუწოლი, 51 ინშადუწოლო-სე(-)ი და ა. შ.; 60 ონლ'იწოლი, 61 ონლ'იწოლო-სე(-)ი და ა. შ.; 70 ჰოტაუწოლი, 71 ჰოტაუწოლო-სე(-)ი და ა. შ.; 80 ბეტაიწოლი, 81 ბეტაიწოლო-სე(-)ი, და ა. შ.; 90 ჰოკოწოლი, 91 ჰოკოწოლო-სე(-)ი, და ა. შ.; 100 ბეშენუ, 101 ბეშენა-ტ'ეკუ-სე(-)ი, 200 ჰე-ბეშენუ, 300 ლ'ო(-)ბეშენუ და ა. შ.; 1000 ოზირუ...

ქვანბი და თლი: 1 ცე(-), 2 ჰეგუ, 3 ლ'ობგუ, 4 (-)ოყოგუ, 5 ინშადუგუ || ინშადუგუ, 6 ონლ'იგუ, 7 ჰოტაუგუ, 8 ბეტაიგუ, 9 ჰოკოგუ, 10 ჰოწოგუ; 11 ჰოწოლ-ცე(-), 12 ჰოწოლ-ჰეგუ, 13 ჰოწოლ-ლ'ობგუ და ა. შ.; 20 ჰიფოწოლოგუ, 21 ჰიფოწოლო-ცე(-),

ნებია), ხოლო ქვემოანდ. თქმებიდან — ცალ-ცალკე მუნიბისა და ქვანბიდათლის თქმათა მონაცემების მიხედვით.

22 კილოწოლა-ქეგუ და ა. შ.; 30 ლ'ობწოლგუ, 31 ლ'ობწოლა-ცე(-), 32 ლ'ობწოლა-ქეგუ და ა. შ.; 40 (-)ოცოწოლგუ, 41 (-)ოცოწოლა-ცე(-) და ა. შ.; 50 ინშადუწოლგუ, 51 ინშადუწოლა-ცე(-) და ა. შ.; 60 ონლ'იწოლგუ, 61 ონლ'იწოლა-ცე(-) და ა. შ.; 70 პოტეუწოლგუ, 71 პოტეუწოლა-ცე(-) და ა. შ.; 80 ბეტაიწოლგუ, 81 ბეტაიწოლა-ცე(-) და ა. შ.; 90 პოკოწოლგუ, 91 პოკოწოლა-ცე(-) და ა. შ.; 100 ბეშენუგუ, 101 ბეშენოლა-ტ'ეკუ-ცე(-) და ა. შ.; 200 ჭე-ბეშენუგუ, 300 ლ'ობ-ბეშენუგუ და ა. შ.; 1000 ოზირუგუ...

1. გრამატიკული კლასის ნიშნები რიცხვით სახელებში. რიცხვითი სახელებიდან გრამატიკულ კლასებს—შესაბამისი კლას-ნიშნებით—ყველა თქმაში განარჩევენ „1“ და „4“ (აგრეთვე ის რთული რიცხვითი სახელები, რომლებშიც აღნიშნული მარტივი რიცხვითი სახელები მონაწილეობენ: „11“, „21“, „31“ და ა. შ.: „14“, „24“, „34“ და ა. შ.). „1“-ში კლას-ნიშნები სუფიქსებია: სე-ვ/ა/ბ/რ (სე-ვ ვოშო „ერთი ვაეიშვილი“, სე-ა აოში „ერთი ქალიშვილი“, სე-ბ კოთუ „ერთი ცხენი“, სე-რ ჰაყაუ „ერთი სახლი“), „4“-ში—პრეფიქსები: ვ/ა/ბ/რ-ოყ'ოგუ (ვ-ოყ'ოგუ ვოშო „ოთხი ვაეიშვილი“, ა-ოყ'ოგუ აოში „ოთხი ქალიშვილი“ და ა. შ.).

მუნიბის თქმაში კლასებს განარჩევენ „3“-ც: I—II კლ. ლ'ო-აი, III კლ. ლ'ო-ვი ← ლ'ო-ში (§§ 33, 53). აქ ფუძეა: ლ'ო- (შდრ. დანარჩენ თქმებში ამავე რიცხვითი სახელის ფუძედ ლ'ობ-: ბ აქ ფუძისეული თანხმოვანია, ხოლო მუნიბის თქმაში იგი გაიგება, როგორც ნივთის კლასის ნიშანი).

2. -გუ ნაწილაკი რიცხვით სახელებში. ყველა რიცხვით სახელს გარდა „1“-ისა ფუძეზე დართული აქვს -გუ ნაწილაკი (შდრ. ხუნძ. -გო/-გუ: კი-გო „2“, ლ'აბ-გო „3“... პოთლიხ., ღოდობ. და ა. შ. -და: კე-და „2“... აღსანიშნავია, რომ ანდიური ენებიდან მხოლოდ ანდიურში გვაქვს რიცხვით სახელთა ფუძის საწარმოებლად—ხუნძურთან საერთო—-გუ ნაწილაკი). მუნიბის თქმაში რაოდენობით რიცხვით სახელებს -გუ ნაწილაკი არ ერთვის.

3. თ ვ ლ ი ს ს ი ს ტ ე მ ა ყველა ანდიურ თქმაში ათობითია: ქეწოლ- „20“ (შდრ. ქე- „2“), ლ'ობ-წოლ- „30“ (შდრ. ლ'ობ- „3“), (-)ოყ'ო-წოლ- „40“ (შდრ. (-)ოყ'ო- „4“), ინშადუ-წოლ „50“ (შდრ. ინშადუ- „5“), ონლ'ი-წოლ- „60“ (შდრ. ონლ'ი- „6“), პოტეუ-წოლ- „70“ (შდრ. პოტეუ- „7“), ბიეტაი-წოლ- „80“ (შდრ. ბიეტაი- „8“), პოკო-წოლ- „90“ (შდრ. პოკო- „9“). აქ ერთეულების (2—9) აღ-

მნიშვნელ ფუძეს დაერთვის -წოლ, რომელიც ათეულის გაგებას იძლევა. „100“ ცალკე ფუძეა: ანდ., რიკე. ბეშონუ-, მუნ., ქვანხ. ბეშენუ- (ორივე ვარიანტისათვის ამოსავალი უნდა იყოს: \*ბეშვენუ- — § 43). „1000“-სათვის ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში და დალესტნის სხვა ენებში) გამოიყენება ნასესხები სიტყვა (სპარს.): ოზირუ-.

4. ა) 11—19 რიცხვით სახელთა საწარმოებლად ერთეულის (1—9) აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები დაერთვის „10“-ის აღმნიშვნელ სახელს, რომელიც ასეთ შემთხვევაში ანდის, ლალათლისა და სხვ. ზემოანდიურ თქმებში ჰოწოლ'ი ფორმითაა (ესაა -ლ'ი სუფიქსიანი ნათესაობითი [ან შესაძლოა ადგილობითი] ბრ. ფორმა ჰოწო „10“ სახელისა): ჰოწოლ'ი სე(-) „11“ (ზედმიწ. „ათისა [ან ათში] ერთი“) და ა. შ. ჰოწოლ'ი უსავერცობო ბრუნების ფორმაა, ზილოს თქმაში სავერცობიანი ფორმა გეაქვს, მასთან, მიცემითი ბრუნებისა: ჰოწოლ-ლ'აიჲ (← ჰოწოლ-ლ'ა-ი-ჲ) ქვეგუ „12“ (ზედმიწ. „ათსა-ორი“) და ა. შ.

მუნიბის თქმაში ამგვარი წარმოებისას ჰოწოლ'ი ფორმა იხმარება (ჰოწოლ'ი-სე(-) „11“ და ა. შ.), ხოლო ქვანხიდათლის თქმაში—ჰოწოლ ფორმა (ჰოწოლ-სე(-) „11“ და ა. შ.). ამ ფორმათა რაობა ცხადი არაა.

ბ) რიცხვითი სახელები 21—99 ანდისა და სხვ. ზემოანდიურ თქმებში ასე იწარმოება: ათეულების („20“, „30“, „40“ და ა. შ.) აღმნიშვნელ სახელებს ჯერ დაერთვის ნაწილაკი -ლოგუ „თან“, „ერთად“ (=ხუნძ. -გუნ), ხოლო შემდეგ — ერთეულების (1—9) აღმნიშვნელი სახელები: ქეწოლ-ლოგუ-სე(-) „21“ (ზედმიწ. „20-თან ერთად 1“), ლ'ობწოლ-ლოგუ-ქვეგუ „32“ (ზედმიწ. „30-თან ერთად 2“) და ა. შ. მუნიბის თქმაში ასეთ შემთხვევაში გამოიყენება იმავე მნიშვნელობის -ლო ნაწილაკი: ქეწოლ-ლო-სე(-) „21“ და ა. შ., ქვანხიდათლის თქმაში -ლა: ლ'ობწოლ-ლა-ქვეგუ „32“ და ა. შ.

გ) ასეულებისა და ათასეულების ფარგლებში რიცხვით სახელთა საწარმოებლად „100“-ისა და „1000“-ის აღმნიშვნელ ფუძეებს უბრალოდ დაერთვის შესაბამისი რიცხვითი სახელი: ანდ. ბეშონუ-სე(-) „101“, ქე-ბეშონუ-ქვეგუ „202“, ჰოჰო-ბეშონუ-ჰოჰოწოლ-ლოგუ-ჰოჰოგუ „999“... მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში ასეთ შემთხვევებში გამოიყენება მაკავშირებელი სიტყვა ტ'ეკუ „მეტე“: მუნ. ბეშენა-ტ'ეკუ-სე(-) „101“ („ასზე-მეტე-ერთი“), ჰოჰო-ბეშენა-ტ'ეკუ-ჰოჰოწოლ-ლო-ჰოჰო „999“ („ცხრაასზე-მეტე-ოთხმოცდაცხრამეტი“)-.. ოზირა-ტ'ეკუ-ჰოწოლ „1010“ („ათასზე-მეტე-ათი“)...

ოზირა-ტ'ეკუ-პოკო-ბეშენა-ტ'ეკუ-ბოყ'ოწოლო-პოკო 1949 („ათას-ზე-მეტი-ცხრაასზე-მეტი-ორმოცდაცხრა“)... ქვანხ. ბეშენოლლა ტ'ეკუ-პოწოგუ „110“ („ასზე-მეტი-ათი“)... ოზირულლა-ტ'ეკუ-პოწო „1010“ („ათასზე-მეტი-ათი“) და ა. შ.

5. ფუძეთა ვარიანტები თქმათა მიხედვით. ა) „1“-ის ძირეულ თანხმონად ქვანხიდათლისა და ჩანხოს თქმებში ც გვაქვს, ხოლო დანარჩენ თქმებში ს ← ც (§ 32); ბ) განსხვავებულია „4“-ის აღმნიშვნელი ძირეული თანხმონანიც: ანდ., ღაღ., რიკვ. ყ': (-)ოყ'ოგუ; ქვანხ., ზილ. ც ← ყ': (-)ოყ'ოგუ (§ 30); გ) ფუძისეული ნაზალური ნ თანხმონანი ზოგ თქმაში შეიძლება დასუსტდეს (და ხმოვნის ნაზალიზაცია გამოიწვიოს) ან სულ არ იყოს; შდრ.: ანდ. ინშადღუგუ, ქვანხ. ინშადღუგუ → || იშადღუგუ, ზილ. იშადღუგუ „5“, ანდ. ონლ'იგუ, ღაღ., ზილ. ოსლ'იგუ (ისმის, როგორც ოსელ'იგუ) „6“; დ) ანდის თქმაში ბიეტაიგუ („8“) ნორმალური მამაკაცთა მეტყველებისათვის, ხოლო ქალები იტყვიან: ბეატაიგუ; ღაღათლის, რიკვანისა და ზილოს თქმებში მამაკაცებიცა და ქალებიც ხმარობენ მხოლოდ ერთ ვარიანტს: ბეატაიგუ || რიკვ. ბეატაგუ, მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში იხმარება: ბეტი-; ე) „2“-ის აღმნიშვნელ რიცხვით სახელს მუნიბის თქმაში დართული აქვს -ჯ'ი' (ქე-ჯ'ი'), რაც საფიქრებელია „1“-ის ანალოგიის შედეგია; შდრ.: სე-ჯ'ი' „1“, ქე-ჯ'ი' „2“ (ოლონდ „1“-ში -ჯ'ი' კლას-ნიშანია, „2“-ში კი უფუნქციო); „2“-ისაგან ნაწარმოებ სახელებში ანალოგიით გაჩენილი -ჯ'ი' არ იჩენს თავს; შდრ. ქე-ჯ'ი' „2“, მაგრამ: ქე-წოლ'ი' „20“, ქე-ბეშენუ- „200“ და ა. შ.; ქვანხიდათლის თქმაში „2“-ის ფუძე რამდენადმე შეცვლილია მისგან ნაწარმოებ რიცხვით სახელში „20“; შდრ.: ქე-გუ „2“, მაგრამ: კიჟო-წოლ- „20“ (ქე→კიჟო- — მიზეზი ცხადი არაა); ვ) რიკვანის თქმაში რიცხვით სახელთა ფუძეებს დაკარგული აქვთ ბოლოკიდური ვიწრო ი ხმოვანი: ონლ'- (შდრ. ანდ. ონლ'ი-) „6“, ბეატ- (შდრ. ანდ. ბიეტაი-/ბეატაი-) „8“ (§ 15); მუნიბის თქმაში ათეულების აღმნიშვნელ სახელებს ბოლოში (ლ თანხმონის შემდეგ) დაერთვის ღია მარცვლის წარმომქმნელი ვიწრო ი ხმოვანი: კიწოლი „20“ და ა. შ. (იხ. სქემა).

§ 92. ჩიგობითი ჩიცხვითი სახელების წარმოება. რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ჩიგობითი რიცხვითი სახელების საწარმოებლად ანდის თქმაში გამოიყენება -ლ'იღობ. იგი დაერთვის შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეს (აღებულის -გუ ნაწილაკის გარეშე): ქე-ლ'იღობ „მეორე“, ლ'ობ-ლ'იღობ



„მესამე“... ჰოწო-ლ'იდობ „მეათე“; ჰოწოლ'ი-ჰოქო-ლ'იდობ „მეცხრამეტე“ და ა. შ.<sup>1</sup>

ღალათლის თქმაში რიგობით რიცხვით სახელებს აწარმოებს: -ლდობ (ბოლოხმ. ფუძესთან) ან -დობ (ბოლოთანხმ. ფუძესთან): ქე-ლდობ „მეორე“, ლ'ობ-დობ „მესამე“... ჰოწო-ლდობ „მეათე“, ჰოწოლ'ისებ-დობ „მეთერთმეტე“ და ა. შ. საფიქრებელია, -ლდობ/-დობ ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტებია -ლ'იდობ სუფიქსისა (იხ. ზემოთ): -ლ'იდობ → -ლ'დობ → -ლდობ / -დობ (ივარაუდება ხმოვნის ამოღების შედეგად წარმოქმნილი ლ'დ კომპლექსის შეცვლა — შესაბამისად პოზიციისა — -ლდ / -დ-თი; გემინირებულ დ-ში ლატერალური ლ' თანხმოვნის გავლენის კვალი თვალსაჩინოა — § 44).

რიკვანის თქმაში გვაქვს იგივე მაწარმოებლები (და იმავე განაწილებით), რაც ღალათლის თქმაში, ოღონდ აქ სუფიქსისეული დ გემინირებული არაა: -ლდობ/-დობ: ქე-ლდობ „მეორე“, ლ'ობ-დობ „მესამე“ და ა. შ.<sup>2</sup> ზილოს თქმაშია: -ლდებ/-დებ: ქე-ლდებ „მეორე“, ლ'ობ-დებ „მესამე“ და ა. შ.

ქვანხიღალათლის თქმაში ამ მნიშვნელობით გამოიყენება -ლთუ-ლ'ობ (ბოლოხმ. ფუძესთან) -თულ'ობ (ბოლოთანხმ. ფუძესთან), ხოლო მუნიბის თქმაში — -თულ'ივი (← -თულ'ობი — § 33): ქვანხ. ქე-ლთულ'ობ „მეორე“, ლ'ობ-თულ'ობ „მესამე“ და ა. შ.; მუნ. ქე-თულ'ივი „მეორე“, ლ'ობ-თულ'ივი „მესამე“ და ა. შ.

ყურადღებას იქცევს ყველა თქმაში რიგობითი რიცხვითი სახელების საწარმოებელ სუფიქსთა ბოლოკიდური ზ თანხმოვანი. იგი გაქვევებული კლას-ნიშანი უნდა იყოს.

თავისებურია „პირველი“: ანდ. ლესაედუსაი, ღაღ., რიკვ. ლყესაედუსაი, ზილ. ცესაედუსაი. — ვარიაციებს თავკიდური თანხმოვნის მიხედვით ფონეტიკური საფუძველი აქვს: ლ/ც/ლც ← ტ' (§ 28). წარმოებისათვის კი ამოსავალია არა შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელი („ერთი“), არამედ ადგილის ზმნისართი „წინ“: საედუ „წინ“ → ზედსართ. საედუ-საი „წინა“ (§ 88) → ტ'ე-საედუ-საი „პირველი“, ზედმიწ. „ყველაზე წინა“ (ე. ი. სავსებით ისევე, როგორც ხუნძურში: ცაებე „წინ“ → ზედსართ. ცაებე-საებ-ბ „წინა“ → ტო-ცაებე-საებ-ბ „პირველი“, ზედმიწ. „ყველაზე წინა“). ასევეა ქვე-

<sup>1</sup> А. Дирр, Анд. яз., გვ. 45.

<sup>2</sup> შდრ. Я. Сутейманов. Автореферат. გვ. 22.

მოდანდიურ თქმებშიც: ქვანხ. სიიბა<sup>1</sup> „წინ“ → ზედსართ. სიიბა-სხ „წინა“ → ტ'ე-სიიბა-სხ „პირველი“. მუნ. სიიხა<sup>1</sup> „წინ“ → ზედსართ. სიიხა-საი → ჰოქო-სიიხა-საი. „პირველი“ (ჰოქო-, რომელიც აქ ზედსართავს დაერთვის, წარმოშობით დამოუკიდებელი სიტყვაა და ნიშნავს: „გამორჩევით“, „ყველაზე უფრო“ — § 90).

„ერთისა“-გან ნაწარმოები შესაბამისი რიგობითი სახელი (ანდ. სებ-ლ'იდობ, ღად. სებ-დობ „მეერთე“ და ა. შ.) იხმარება მხოლოდ რთულ რიცხვით სახელებთან: ჰოწოლ'ი-სებ-ლ'იდობ „მეთერთმეტე“, ჰეწოლლოგუ-სებ-ლ'იდობ „ოცდამეერთე“ და ა. შ.

§ 93. **კრებითი, წილგობითი, ჯარობის, განაწილებითი რიცხვითი სახელები.** ა) კრებითი რიცხვითი სახელები იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე -ლო („-ც“) ნაწილაკის დართვით: ჰეგუ-ლო „ორივე“, ლ'ობგუ-ლო „სამივე“... თუ მხედველობაშია ადამიანი, შესაბამისი რიცხვითი სახელი, რომელსაც -ლო ნაწილაკი დაერთვის, შეიძლება იყოს მრ. რიცხვის ფორმაში (მრ. რიცხვს კი აწარმოებს -ულ/-ლ სუფიქსი, რომელიც დაერთვის ფუძეს -გუ ნაწილაკის წინ): ჰე-ლ-გუ-ლო „ორნივე“, ზედმიწ. „ორნიც“ (იშვილ ჰელგულო ვოყ'ო „ჩვენ ორნივე მოვედით“), ლ'ობ-ულ-გუ-ლო „სამნივე“, ზედმიწ. „სამნიც“ და ა. შ. ბ) წილობითი რიცხვითი სახელები აღწერთად იწარმოება: რიგობით რიცხვით სახელთან იხმარება დამოუკიდებელი სიტყვა ქამარ „ნაწილი“: 'სებ' ლ'ობლ'იდობ ქამარ „ერთი მესამედი ნაწილი“, ზედმიწ. „ერთი მესამე ნაწილი“... 'ჰეგუ' ინშადულ'იდობ ქამარ „ორი მესუთედი (ზედმიწ. მესუთე) ნაწილი“ და ა. შ. დანარჩენ თქმებშიც ასეთ შემთხვევაში შესაბამისი წარმოების რიგობითი რიცხვითი სახელი გამოიყენება; შდრ., მაგალ., ქვანხ. 'ცე-ბ' ლ'ობთულ'იბ ქამარ „ერთი მესამედი (ზედმიწ. მესამე) ნაწილი“ და ა. შ. „ნახევარი“ ცალკე სიტყვაა: ახ'ალ. გ) ჯეობის აღმნიშვნელ სახელებს აწარმოებს -წუ (დაერთვის ფუძეს -გუ ნაწილაკის წინ): ჩომ-წუ „რამდენ-ჯერ?“ ჰე-წუ-გუ „ორჯერ“ (ჰეწუგუ ვუყ'ო დინ ჰოლდი „ორჯერ მოვედი მე აქ“), ლ'ობ-წუ-გუ „სამჯერ“ (დინ ლ'ობწუგუ ბილან „მე სამჯერ გავისროლე“<sup>2</sup>) და ა. შ. დ) ფუძის გაორკეცებით იწარმოება განაწილებითი რიცხვითი სახელები: სებ-სებ „თი-

<sup>1</sup> ქვანხ. სიიბა, მუნ. სიიხა „წინ“ შეიცავენ გაქვავებულ კლას-ნიშნებს: -ბ-, -ჰ- (შდრ. ხუნდ. ცხე-ბ-ე „წინ“, რომელშიც -ბ- ცოცხალი კლას-ნიშანია)

<sup>2</sup> А. Дирр, Аял. яз., გვ. 46..

თო“, ქე-ქეგუ „ორ-ორი“, ლ'ობ-ლ'ობგუ „სამ-სამი“ და ა. შ. თუ ფუძე იწყება და თავდება ხმოვნით, გამეორებისას იკარგვის პირველი ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი: ონლ'- „ექვსი“—ონლ'-ონლ'იგუ „ექვს-ექვსი“....

§ 94. რიცხვითი სახელის ბრუნება. რიცხვითი სახელი დამოუკიდებლად ხმარებისას ისევე იბრუნვის, როგორც ზედსართავი სახელი (ე. ი. მხ. რიცხვის ირ. ბრუნვებში შა-უ- || -ლ'ა-ი-სავრცობებითა და -უ-/-ი- დამაკავშირებელი ხმოვნებით მრ. რიცხვის ირ. ბრუნვებში).

ა) მხოლოობითი რიცხვი

სახ.	სე-ვ	სე-ჲ/რ	„ერთი“
ერგ.	სე-შა-დი (← -შა-უ-დი) <sup>1</sup>	სე-ლ-დი (← -ლ'ა-ი-დი) <sup>1</sup>	
ნათ.	სე-შა-უ(-)	სე-ლ-ლ'ი (← -ლ'ა-ი-ლ'ი)	
მიც.	სე-შა-უ-ჲ	სე-ლ-ლ'ა-ი-ჲ (← -ლ'ა-ი-ჲ)	
აფექტ.	სე-შა-უ(-)-ო	სე-ლ-ლ'ა-ი(-)-ო (← -ლ'ა-ი(-)-ო)	

სახ.	ქე'გუ <sup>1</sup> „ორი“	
ერგ.	ქე'გუ'-შა-დი (← -შა-უ-დი) <sup>1</sup>	ქე'გუ'-ლ-დი (← -ლ'ა-ი-დი) <sup>1</sup>
ნათ.	ქე'გუ'-შა-უ(-)	ქე'გუ'-ლ-ლ'ი (← -ლ'ა-ი-ლ'ი)
მიც.	ქე'გუ'-შა-უ-ჲ	ქე'გუ'-ლ-ლ'ა-ი-ჲ (← -ლ'ა-ი-ჲ)
აფექტ.	ქე'გუ'-შა-უ(-)-ო	ქე'გუ'-ლ-ლ'ა-ი(-)-ო (← -ლ'ა-ი(-)-ო)

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	სე-ვ-ულ	სე-ჲ-ილ (← სე-ჲ-ულ), სე-ბ-ულ, სე-რ-ულ	„ერთნი“
ერგ.	სე-ლ-უ-დი	სე-ლ-ი-დი	
ნათ.	სე-ლ-უ(-)	სე-ლ-ი-ლ'ი	
მიც.	სე-ლ-უ-ჲ	სე-ლ-ი-ჲ	
აფექტ.	სე-ლ-უ(-)-ო	სე-ლ-ი(-)-ო	

სახ.	ქე-ლ-'გუ <sup>1</sup> „ორნი“	
ერგ.	ქე-ლ-უ-დი-'გუ <sup>1</sup>	ქე-ლ-ი-დი-'გუ <sup>1</sup>
ნათ.	ქე-ლ-უ(-)-'გუ <sup>1</sup>	ქე-ლ-ი-ლ'ი-'გუ <sup>1</sup>
მიც.	ქე-ლ-უ-ჲ-'გუ <sup>1</sup>	ქე-ლ-ი-ჲ-'გუ <sup>1</sup>
აფექტ.	ქე-ლ-უ(-)-ო-'გუ <sup>1</sup>	ქე-ლ-ი(-)-ო-'გუ <sup>1</sup>

შენიშვნა. -გუ ნაწილაკი. რომელიც რიცხვით სახელთა ფუძის მაწარმოებელია, შესაძლოა შეხორცებული იყოს ფუძეს ან ბოლოში ერთვოდეს მზამზარეულ ბრუნვის ფორმებს.

<sup>1</sup> ტექნიკური მიზეზების გამო ამოსავალი ვარიანტები ნაჩვენებია ფუძის გარეშე (რომელიც უცვლელია პარადიგმაში).

## ნაცვალსახელი

§ 95. პირის ნაცვალსახელები. პირის ნაცვალსახელებია: დინ/დენ „მე“, მინ/მენ „შენ“, იშაილ „ჩვენ“ (ექსკლუზიური), ილ'ილ „ჩვენ“ (ინკლუზიური), ბისაილ „თქვენ“. მესამე პირისათვის გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელი.

დინ/დენ („მე“) და მინ/მენ („შენ“) ვარიანტებიდან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია მხოლოდ ფუძისეული ხმოვნის მიხედვით (ი/ე), ანდის თქმაში ი ხმოვნიანი ვარიანტები (დინ „მე“, მინ „შენ“) ახასიათებს მამაკაცთა მეტყველებას, ხოლო ე ხმოვნიანი ვარიანტები (დენ „მე“, მენ „შენ“) — ქალთა მეტყველებას<sup>1</sup>. დანარჩენ თქმებში ქალებიცა და მამაკაცებიც ხმარობენ მხოლოდ ე ხმოვნიან ვარიანტებს (დენ „მე“, მენ „შენ“).

ძველად ე/ი ვარიანტები შესაძლოა გარჩეული იყო პირთა მიხედვით, ხოლო შემდეგ ერთ-ერთი ვარიანტი ანალოგიით ნეორის ნაცვალდაც დამკვიდრდა (\*დენ „მე“ — \*მინ „შენ“ → დენ „მე“ — მენ „შენ“/დინ „მე“ — მინ „შენ“)<sup>2</sup>.

მრავლობით რიცხვში პირის ნაცვალსახელები მხოლოდობითისაგან განსხვავებულ ფუძეებს იყენებს და ამავე დროს დაირთავს რიცხვის ნიშანსაც (იშაილ, ილ'ილ, ბისაილ). რიცხვის ნიშანი (-ლ) გვიან დართული ჩანს: იგი ფუძეს არც გაჰყვება ირიბ ბრუნვებში<sup>3</sup>.

პირის ნაცვალსახელები — სხვა ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით — უკლას-ნიშნა (დეტერმინაციას გრამატიკული კლასის მიხედვით ეს ნაცვალსახელები, ჩანს, არ საჭიროებენ). არც ფუძის სავრცობ ელემენტებს, განსხვავებულს კლასების შესაბამისად, არ დაირთავენ ისინი ირიბ ბრუნვებში.

ანდისა და რიკვანის თქმებში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები მხოლოდობითი რიცხვისა არ განაჩევენ ერგატივის სახელობითისაგან (დინ/დენ „მე“, მინ/მენ „შენ“ —

<sup>1</sup> А. Дурр, Анд. яз., გვ. 32.

<sup>2</sup> ამას გვაფიქრებინებს, კერძოდ: ბოთლიხ: დენი „მე“ — მინი „შენ“, ლოდობ. დენ „მე“ — მინ „შენ“, რომელთაც განსხვავებული ხმოვნები აქვთ პირთა მიხედვით (თუმცა სხვა ანდიურ ენებსა და ხუნძურში ორსავე პირში ერთი და იგივე ხმოვანიც შეიძლება გვექონდეს: ტინდ. დე „მე“ — მე „შენ“, კამალ. დინ „მე“ — მინ „შენ“... ხუნძ. დუნ „მე“ — მუნ „შენ“).

<sup>3</sup> პირის ნაცვალსახელებში მრავლობითი რიცხვის ნიშანი დამოწმებულია სხვა ხუნძ.-ანდ. ენებიდან ბოთლიხური ენის მიარსულ კილოკავში, სადაც იგი აგრეთვე მეორეულ დანართად მიიჩნევა (ტ. გუდაეა, ბოთლიხური ენა, გვ. 80—81).

სახელობითიცაა და ერგატივიც)<sup>1</sup>, რაც არქაული მოვლენა უნდა იყოს<sup>2</sup>. დანარჩენ თქმებში ამ ნაცვალსახელებს ერგატივის ნიშნად დაერთვის -ნი, რომელიც ფუძის ბოლოკიდური ნ თანხმოვნის გავლენით -ღი-საგან არის მიღებული (ღენ-ნი ← ღენ-ღი, მენ-ნი ← მენ-ღი — § 42). ერგატიული ბრუნვის ეს ფორმები თავისებურია იმ მხრივაც, რომ მათთვის ამოსავალია არა ირიბ ბრუნვათა ფუძე (ღი-, ღუ-), არამედ სახელობითისა (ღენ, მენ) და ეს მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევებში, როცა კი სათანადო სახელებს სახელობითისა და ირიბ ბრუნვათა ფუძე რამდენადმე მაინც განსხვავებული აქვთ, ერგატივი ყოველთვის ირიბ ბრუნვებთან საზიარო ფუძეს იყენებს. წარმოების მხრივ ერგატივის უშუალო კავშირი სახელობითთან (ღენ → ღენ-ნი [← ღენ-ღი] „მე“, მენ → მენ-ნი [← მენ-ღი] „შენ“) მეორეული მოვლენაა ისევე, როგორც მეორეულია თვით ფაქტივ ერგატივისა და სახელობითის დიფერენციაციისა ხსენებულ ნაცვალსახელებში.

პირის ნაცვალსახელებს ისევე, როგორც ზოგ სხვა ნაცვალსახელს (კერძოდ, კითხვითსა და უკუქცევით ნაცვალსახელებს — იხ. ქვ.), ირიბ ბრუნვებში სხვა ფუძე აქვთ გამოყენებული (სუბლექტივიზმი)<sup>3</sup>.

**პირის ნაცვალსახელთა ბრუნების ნიმუშები**

ა ნ დ ი

სახ.	ღინ	მინ	იშიი-ღ	იღ'ი-ღ	ბისაი-ღ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლუზ.)	„თქვენ“
ერგ.	ღინ	მინ	იშიი-ღი	იღ'ი-ღი	ბისაი-ღი
ნათ.	ღი-(-)	ღუ-(-)	იშიი-(-)	იღ'ი-(-)	ბისაი-(-)
მიც.	ღი-ღ	ღუ-ღ	იშიი-ღ	იღ'ი-ღ	ბისაი-ღ
აფ.	ღი-(-)-ო	ღუ-(-)-ო	იშიი-(-)-ო	იღ'ი-(-)-ო	ბისაი-(-)-ო

<sup>1</sup> А. Дирр. Анд. яз., гл. 32; И. Сулейманов, Автореферат; მისივე, Местоимение в анд. яз., гл. 61.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, ნაცვალსახელთა ბრუნვა ხუნძურში. ენიმკი-ს მოამბე, XII; მისივე. ერგატივის წარმოქმნის ისტორიისათვის ხუნძურში, იკვ, II.

<sup>3</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ თუ სახელობით ბრუნვაში პირის ნაცვალსახელთა ფუძეები ხუნძ.-ანდ. ენებში რამდენადმე მაინც განსხვავებულია (იხ. ზემოთ), ირიბ ბრუნვებში ყველა ამ ქვეჯგუფის ენასა და კილოში ერთი და იგივე ფუძე მეორდება: დი - (I პ.), დუ - (II პ.).

რიკვანი<sup>1</sup>

სახ.	დენ	მენ	იშაი-ლ	ილ'ი-ლ	ბისაი-ლ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ	მენ	იშაი-დ	ილ'ი-დ	ბისაი-დ
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იშაი-(-)	ილ'ი-(-)	ბისაი-ფ
მიც.	დი-ლ'უ	დუ-ლ'უ	იშა-ლ'უ ← იშაი- -ლ'უ	ილ'-უ ← ილ'ი- -ლ'უ	ბისა-ლ'უ ← ბისაი-ლ'უ
აფექტ.	დრ-ო	დუ'-ო	იშა-ბო ← იშაი- -ბო	ილ'ბო ← ილ'ი- -ბო	ბისა-ბო ← ბისაი-ბო

## ღ ა ღ ა თ ლ ი

სახ.	დენ	მენ	იშაი-ლ	ილ'ი-ლ	ბისაი-ლ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ-ნი	მენ-ნი	იშაი-დი	ილ'ი-დი	ბისაი-დი
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იშაი-(-)	ილ'ი-(-)	ბისაი-(-)
მიც.	დი-ლ'უ	დუ-ლ'უ	იშაი-ლ'უ	ილ'ი-ფ	ბისაი-ფ
აფ.	დი-(-)-ო	დუ-(-)-ო	იშაი-(-)-ო	ილ'ი-(-)-ო	ბისაი-(-)-ო

## ა შ ა ლ ი

სახ.	დენ	მენ	იშაი-ლ	ილ'ი-ლ	ბისაი-ლ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ-ნი	მენ-ნი	იშაი-დი	ილ'ი-დი	ბისაი-დი
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იშაი-(-)	ილ'ი-(-)	ბისაი-(-)
მიც.	დი-ფ	დუ-ფ	იშაი-ფ	ილ'ი-ფ	ბისაი-ფ
აფ.	დი-ფ-ო	დუ-ფ-ო	იშაი-ფ-ო	ილ'ი-ფ-ო	ბისაი-ფ-ო

## ზ ი ლ ო

სახ.	დენ	მენ	იშაი-ლ	ილ'ი-ლ	ბისაი-ლ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ-ნი	მენ-ნი	იშაი-დი	ილ'ი-დი	ბისაი-დი
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იშაი-(-)	ილ'ი-(-)	ბისაი-(-)
მიც.	დი-ლ'უ	დუ-ლ'უ	იშაი-ლ'უ	ილ'ი-ლ'უ	ბისაი-ლ'უ
აფ.	დი-(-)-ო	დუ-(-)-ო	იშაი-(-)-ო	ილ'ი-(-)-ო	ბისაი-(-)-ო

<sup>1</sup> Я. Сулейманов. Местоимение в индийском языке, УЗИИЯД, т. XI, 1962, Махачкала, стр. 69—73.

**ჩ ა ნ ხ ო**

სახ.	დენ	მენ	იში-ლ	ილ'-ლ	ბისი-ლ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ-ნი	მენ-ნი	იში-დი	ილ'-დი	ბისი-დი
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იში-(-)	ილ'-(-)	ბისი-(-)
მიც.	დი-ჟ	დუ-ჟ	იში-ჟ	ილ'-ჟ	ბისი-ჟ
აფ.	დი-ჩ-ო	დუ-ვ-ო	იში-ჩ-ო	ილ'-ჩ-ო	ბისი-ჩ-ო

**მ უ ნ ი ბ ი**

სახ.	დენი	მენი	იში-ლი	ილ'-ლი	ბისი-ლი
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ-ნი	მენ-ნი	იში-დი	ილ'-დი	ბისი-დი
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იში-(-)	ილ'-(-)	ბისი-(-)
მიც.	დი-ჟ	დუ-ჟ	იში-ჟ	ილ'-ჟ	ბისი-ჟ
აფ.	დი-ჟ-ო	დუ-ვ-ო	იში-ჟ-ო	ილ'-ჟ-ო	ბისი-ჟ-ო

**ქ ე ა ნ ხ ი დ ა თ ლ ი**

სახ.	დენ	მენ	იში-ლ	ილ'-ლ	ბისი-ლ
	„მე“	„შენ“	„ჩვენ“ (ექსკლ.)	„ჩვენ“ (ინკლ.)	„თქვენ“
ერგ.	დენ-ნი	მენ-ნი	იში-დი	ილ'-დი	ბისი-დი
ნათ.	დი-(-)	დუ-(-)	იში-(-)	ილ'-(-)	ბისი-(-)
მიც.	დი-ჟ	დუ-ჟ	იში-ჟ	ილ'-ჟ	ბისი-ჟ
აფ.	დი-ჟ-ო	დუ-ვ-ო	იში-ჟ-ო	ილ'-ჟ-ო	ბისი-ჟ-ო

§ 96. კითხვითი ნაცვალსახელში. კითხვით ნაცვალსახელთა ფუძეები შეიძლება განსხვავებული იყოს თქმათა მიხედვით და სათანადო თქმაში ბრუნვათა მიხედვით. სახელობით ბრუნვაში ფუძე (ე-/ე-) დაირთავს კლას-ნიშნებს. როგორც სახელობითის, ისე ირიბ ბრუნვათა ფორმებს ჩვეულებრივ ყოველთვის ახლავს ბოლოში ესა თუ ის ნაწილაკი (იხ. ნაწილაკები). პარადიგმებში შესაბამისი ფორმები მოცემული გვაქვს ნაწილაკების გარეშე.

**კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების ნიმუშები**

**ა ნ დ ი <sup>1</sup>**

სახ.	ე-მ-ჩი <sup>1</sup>	„ვინ?“ (I—II კლ.)	ე-ბ/რ-ჩი <sup>1</sup>	„რა?“ (III—V კლ.)
ერგ.	ლ'ე-დი		ლ'აუნ-დი	(← ლ'აუნ-ლ'ა-ი-დი)
ნათ.	ლ'ე-(-)		ლ'აუნ-ლ'ი	(← ლ'აუნ-ლ'ა-ი-ლ'ი)

<sup>1</sup> შლრ. А. Дипр. Анд. яз., გვ. 40.

მიც.	ლ'აე-ჲ	ლ'აუნ-ლ'ა-ი-ჲ
აფექტ.	ლ'აე(-)-ო	ლ'აუნ-ლ'ა-ი(-)-ო

### ღ ა ლ ა თ ლ ი

სახ.	ი-მ „ვინ?“ (I—II კლ.)	ი-ბ/რ „რა?“ (III—V კლ.)
ერგ.	ლ'აე-დი	ი-ლ-დი (← ი-ლ'ა-ი-დი)
ნათ.	ლ'აე(-)	ი-ლ-ლ'ი (← ი-ლ'ა-ი-ლ'ი)
მიც.	ლ'აე-ლ'უ	ი-ლ-ლ'უ (← ი-ლ'ა-ი-ლ'უ)
აფექტ.	ლ'აე(-)-ო	ი-ლ-ლ'ა-ი(-)-ო (← ი-ლ'ა-ი(-)-ო)

### რ ი კ ვ ა ნ ი<sup>1</sup>

სახ.	ი-მ „ვინ?“ (I—II კლ.)	ი-ბ/რ „რა?“ (III—VI კლ.)
ერგ.	ლ'აე-დ	ი-ლ-დ (← ი-ლ'ა-ი-დი)
ნათ.	ლ'აე(-)	ი-ლ-ლ' (← ი-ლ'ა-ი-ლ'ი)
მიც.	ლ'აე-ლ'უ	ი-ლ-ლ'ა-ი-ღ <sup>1</sup> (← ი-ლ'ა-ი-ჲ)
აფექტ.	ლ'აე-ო (← ლ'აე(-)-ო)	ი-ლ-ლ'ა-ი-ბო (← ი-ლ'ა-ი(-)-ო)

### მ უ ნ ი ბ ი

სახ.	ი-ნ „ვინ?“ (I—II კლ.)	ი-ბ „რა?“ (III კლ.)
ერგ.	ლ'აე-დი	ი-რ-დი (← ი-ლ-დი ← ი-ლ'ა-ი-დი)
ნათ.	ლ'აე(-)	ი-რ-ლ'ი (← ი-ლ-ლ'ი ← ი-ლ'ა-ი-ლ'ი)
მიც.	ლ'აე-ჲ	ი-ლ'ა-ი-ჲ
აფექტ.	ლ'აე-ო (← ლ'აე(-)-ო)	ი-ლ'ა-ი-ჲ-ო (← ი-ლ'ა-ი(-)-ო)

### ქ ვ ა ნ ხ ი დ ა თ ლ ი

სახ.	ი-ნ „ვინ?“ (I—II კლ.)	ი-ბ „რა?“ (III კლ.)
ერგ.	ლ'აე-დი	ი-ლ-დი (← ი-ლ'ა-ი-დი)
ნათ.	ლ'აე(-)	ი-ლ-ლ'ი (← ი-ლ'ა-ი-ლ'ი)
მიც.	ლ'აე-ჲ	ი-ლ'ა-ი-ჲ
აფექტ.	ლ'აე-ო (← ლ'აე(-)-ო)	ი-ლ'ა-ი-ჲ-ო (← ი-ლ'ა-ი(-)-ო)

1. სახელობით ბრუნვაში ფუძეა ე-ი- (ე- — ანდის თქმაში, ი- — დანარჩენ თქმებში). ამ ფუძეს კლას-ნიშნები დაერთვის. თავისებურია „ვინ?“ ნაცვალსახელში (რომელიც საზიაროა I—II კლასებისათვის) კლას-ნიშნის როლში მ/ნ თანხმოვნები (მ — ანდის,

<sup>1</sup> Л. Сулейманов, Местоименне в анд. яз., გვ. 77—79.



ლაღათლის, რიკვანის... თქმებში, ნ--მუნებისა და ქვანხიდათლის თქმებში). მსგავსი კლას-ნიშნები ანდიურმა სხვა შემთხვევებში არ იცის. შესაძლოა ეს თანხმონებები ისტორიულად „ვინ?“ ნაცვალ-სახელის სახელობითი ბრ. ფუძის კუთვნილება იყოს (\*ემ-/ენ ან \*იმ-/ინ-, რომელსაც კლას-ნიშანი არც დაერთვოდა, საზიარო იყო I—II კლასებისათვის).

2. ირიბ ბრუნვებში სახელობითის ფუძეს ენაცვლება „ვინ?“ ნაცვალსახელისათვის ლ'ე-<sup>1</sup> (ყველა თქმაში), ხოლო „რა?“ ნაცვალსახელისათვის — ლ'უნ- (ანდის თქმაში; დანარჩენ თქმებში ირიბ ბრუნვებში გადაწყვება სახელობითის ფუძე ი-).

3. არც ირიბ ბრუნვებსა და არც სახელობით ბრუნვაში „ვინ?“ ნაცვალსახელი კლასებს (I—II კლ.) არ განარჩევს; ხოლო „რა?“ ნაცვალსახელი სახელობით ბრუნვაში გარჩეულია კლასების მიხედვით (ფუძეზე შესაბამისი კლას-ნიშნების დართვით), მაგრამ ირიბ ბრუნვებში — არა.

ამრიგად, ირიბ ბრუნვებში კითხვითი ნაცვალსახელები სემასიოლოგიურად ისევეა დიფერენცირებული. როგორც ქართულში და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში: „ვინ?“ (ა დამიანი) — „რა?“ (არაადამიანი)<sup>2</sup> (შდრ. რუსულში სულ სხვაგვარი დაპირისპირებით: кто? (ცოცხალი) — что? (არაცოცხალი)).

4. სახელობით ბრუნვაში კითხვითი ნაცვალსახელები მრავლობითი რიცხვის ფორმებსაც განარჩევენ (-ოლ სუფიქსის დართვით); ანდ. ემ-ოლ „ვინები?“ (ძვ. ქართ. ვი-ეთ-ნი), ე-ჰ/ბ/რ-ოლ „რანი?“ (ირიბ ბრუნვებში კი მოკლებული არიან მრავლობითის შესაბამის ფორმებს).

**§ 97. ჩვენებითი ნაცვალსახელები.** ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი მხ. რიცხვში დაირთავს კლას-ნიშანს, მრ. რიცხვში — კლას-ნიშნის შემდეგ რიცხვის ნიშანსაც (-ულ): ჰო-ვ, ჰო-ჰ, ჰო-ბ, ჰო-რ „ეს“ — მრ. რ. ჰო-ვ-ულ, ჰო-ჰ-ილ (← ჰო-ჰ-ულ), ჰო-ბ-ულ, ჰო-რ-ულ „ესენი“.

<sup>1</sup> შდრ. ბოთლის, ლოდობ.. კამალ. ლ'ე- კარატ., ანვახ., ტინდ., ბაგვალ-ლ'ოო-, ხუნძ. ლ'ჰი, ლაქ. შიი- და სხვ., რომლებიც ამ ენებშიც ირიბ ბრუნვებში იჩენს თავს; სახელობითში კი სულ სხვა ფუძეებია გამოყენებული (N. Trubetzkoy, Nordkaukasische Wortgleichungen, 12, 14; ილ. ცერცვაძე. კითხვით ნაცვალსახელთა ერატივის ფუძეები ხუნძურში, ჟეკ. IV, გვ. 176).

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულებისათვის ქართველურ ენებში, თბილისი. 1942, გვ. 135—136; ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 37, § 44; „ხუნძ. ენა“, გვ. 212.

ჩვენებითი ნაცვალსახელი საკმაოდ ბევრია ანდიურში. მათი დაჯგუფება შეიძლება შემდეგნაირად<sup>1</sup>:

1) ჰო-ვ<sup>2</sup> „ეს“ (პირველ პირთან ახლო მყოფი); პარალელურად იხმარება აგრეთვე: ჰონო-ვ „ეს“;

2) ჰე-ვ -ვეგ“ (მეორე პირთან ახლო მყოფი); პარალელურად იხმარება აგრეთვე: ჰენე-ვ „ვეგ“;

3) ა) ჰედე-ვ, ჰიდი-ვ, ჰინ'იდი-ვ, ჰუნდო-ვ „ის“ (როგორც პირველი, ისე მეორე პირისაგან მოშორებით მყოფი); ამთგან გარჩეულია: ბ) ჰეგე-ვ, ჰიგი-ვ, ჰინ'იგი-ვ, ჰუნგო-ვ „ის“ (დაბალ ადგილას მყოფი) და ც) ჰელ'ე-ვ, ჰილ'ი-ვ, ჰინ'ილ'ი-ვ, ჰუნლ'ო-ვ „ის“ (მაღალ ადგილას მყოფი). შედარებით მაღალ ადგილას (ვთქვათ, გორაკზე) მყოფი შედარებით დაბალ ადგილას (ვთქვათ, გორაკის ძირას) მყოფის შესახებ იტყვის ხ- პუნქტში მოყვანილ ვარიანტებს (ჰეგე-ვ და ა. შ.), ხოლო საპირისპირო შემთხვევაში — ც- პუნქტში მოყვანილ ვარიანტებს (ჰელ'ე-ვ და ა. შ.); რაც შეეხება ა- პუნქტში მოყვანილ ვარიანტებს (ჰედე-ვ და ა. შ.), მათ მაშინ ხმარობენ, როცა მიმთითებელი და მისათითებელი თანაბარ სიმაღლეზეა.

როგორც ჩანს, ჩვენებითი ნაცვალსახელები ანდიურში ისევე ჯგუფდება, როგორც ხუნძურში; შდრ. ხუნძ. 1) ჰა-ვ „ეს“, 2) ჰე-ვ „ვეგ“, 3) ა) ლო-ვ „ის“, ბ) ლო-ვ „ის“ (დაბლა მყოფი), ც) ლ'ო-ვ „ის“ (მაღლა მყოფი)<sup>3</sup>.

### ჩვენებითი ნაცვალსახელთა ბრუნება

ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი ერთნაირად იბრუნვის. სანიმუშოდ საკმარისია ვაბრუნოთ ჰო-ვ/ჲ/ბ/რ „ეს“ ნაცვალსახელი (ან დის თქმის მონაცემების მიხედვით).

#### ა) მხოლოდითი რიცხვი

სახ.	ჰო-ვ	ჰო-ჲ/ბ/რ	„ეს“
ერგ.	ჰო-შა-დი (← ჰო-შა-უ-დი)	ჰო-ლ-დი (← ჰო-ლ'ა-ი-დი)	
ნათ.	ჰო-შა-უ-(-)	ჰო-ლ-ლ'ი (← ჰო-ლ'ა-ი-ლ'ი)	
მიც.	ჰო-შა-უ-ჲ	ჰო-ლ-ლ'ა-ი-ჲ (← ჰო-ლ'ა-ი-ჲ)	
აფექტ.	ჰო-შა-უ-(-)-ო	ჰო-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო (← ჰო-ლ'ა-ი-(-)-ო)	

<sup>1</sup> შდრ. А. Дирр, Анд. яз., გვ. 38. ჩვენებითი ნაცვალსახელები რიკვანის თქმის მონაცემების მიხედვით დაჯგუფებული აქვს ი. სულეიმანოვს (შდრ. Я. Сулейманов, Местонаимие в анд. яз., გვ. 62—66).

<sup>2</sup> სინარტივისათვის მოგვყავს მხოლოდ I კლასის ნიშნით (-ვ).

<sup>3</sup> П. Услар, Авар. яз., § 94: Л. Жяркони, Авар.-рус. словарь, გვ. 175; არნ. ჩიქო ბავეა, ნაცვალსახელთა ბრუნება ხუნძურში. ენიშკე-ს მონბე. XII. გვ. 31—32; „ხუნძ. ენა“, § 133.

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ. ჰო-ვ-ულ	ჰო-ე-ილ (←ჰო-ე-ულ), ჰო-ბ-ულ, ჰო-რ-ულ „ესენი“
ერგ. ჰო-ლ-უ-დი	ჰო-ლ-ი-დი
ნათ. ჰო-ლ-უ-(-)	ჰო-ლ-ი-ლი
მიც. ჰო-ლ-უ-ე	ჰო-ლ-ი-ე
აფ. ჰო-ლ-უ-(-)-ო	ჰო-ლ-ი-(-)-ო

1. როგორც ბრუნების ნიმუშებიდან ჩანს, ჩვენებითი ნაცვალსახელი იბრუნვის მხოლოდობითი რიცხვის ირიბ ბრუნვათა ფუძეში -შა-უ- და -ლ'-ა-ი- საერცობებით. მრავლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვებში ფუძეს უშუალოდ დაერთვის რიცხვის ნიშანი (-ლ), ხოლო ამ უკანასკნელს ბრუნვის ნიშნების წინ—დამაკავშირებელი ხმოვანი -უ-/-ი- (განსხვავებული კლასების მიხედვით). ამ მხრივ ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებისას ანდიურ თქმებში თავისებურებები არ შეიმჩნევა.

2. ჰო-ვ „ეს“ და ჰე-ვ „ეგ“ ნაცვალსახელებს შეიძლება ჰქონდეთ ვარიანტები გაორმაგებული კლას-ნიშნით, რომლის წინ ფუძისეული ხმოვანიც მეორდება: ჰო-ვ || ჰო-ვ-ო-ვ, ჰე-ვ ჰე-ვ-ე-ვ<sup>1</sup> (შდრ. ხუნძ. ჰა-ვ || ჰა-ვ-ა-ვ „ეს“); გაორმაგებულ ვარიანტებს პირველი კლას-ნიშანი გაჰყვება ირიბ ბრუნვებში, ხოლო მეორე—არა: სახ. ჰო-ვ-ო-ვ, ჰე-ვ-ე-ვ — ერგ. ჰო-ვ-ო-შა-დი, ჰე-ვ-ე-შა-დი და ა. შ.

3. III პ. ჩვენებ. ნაცვალსახ. ფუძეები ჰე-დე- (ჰი-დი- და ა. შ.), ჰე-გე-, ჰე-ლ'-ე- (იხ. ზემოთ) რთული შედგენილობისაა: შდრ. მუნ. თქმაში შესაბამისი მნიშვნელობით მარტივი ფუძეები: დე-, გე-, ლ'-ე-.

§ 98. უკუშტევიითი ნაცვალსახელი. უკუშტევიითი ნაცვალსახელის ფუძეა სახელობით ბრუნვაში: ეი - (შდრ. ხუნძ. ეი-), რომელსაც მხ. რიცხვში დაერთვის შესაბამისი კლას-ნიშანი, მრ. რიცხვში — რიცხვის ნიშანიც (-ოლ): მხ. რ. ეი-ვ/ბ/რ — მრ. რ. ეი-ვ/ბ/რ-ოლ „თვითონ“. ეს ნაცვალსახელი მესამე პირს აღნიშნავს („ის თვითონ“), ხოლო -გუ ნაწილაკის დართვით (მხ. რ. ეი-ვ/ბ/რ-გუ — მრ. რ. ეი-ვ/ბ/რ-ოლ-გუ) იხმარება ყველა პირში. ირიბ ბრუნვებში ნაწილაკი ბრუნვის ნიშნების შემდეგ დაერთვის.

უკუშტევიითი ნაცვალსახელის ბრუნება

ანდი<sup>1</sup>

ა) მხოლოდობითი რიცხვი

სახ. ეი-ვ-რგუ <sup>1</sup>	ეი-ე/ბ/რ-რგუ <sup>1</sup> „თვითონ“
ერგ. ენ-შა-დი-რგუ <sup>1</sup> (← ენ-შა-უ-დი-რგუ <sup>1</sup> )	ენ-დი-რგუ <sup>1</sup> (← ენ-ლ'-ა-ი-დი-რგუ <sup>1</sup> )

<sup>1</sup> А. Дирр, Анд. яз., гл. 33.

ნათ.	ენ-შა-უ(-)-'გო'	ენ-ლ'ი-'გუ' (← ენ-ლ'ა-ი-ლ'ი-'გუ')
მიც.	ენ-შა-უ-ა-'გო'	ენ-ლ'ა-ი-ა-'გუ'
აფექტ.	ენ-შა-უ(-)-ო-'გო'	ენ-ლ'ა-ი(-)-ო-'გუ'

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	ეი-ვ-ოლ-'გუ'	ეი-ა/ბ/რ-ოლ-'გუ'.
ერგ.	ენ-ნ-უ-დი-'გუ' (← ენ-ლ-უ- -დი-'გუ')	ენ-ნ-ი-დი-'გუ' (← ენ-ლ-ი-დი-'გუ')
ნათ.	ენ-ნ-უ(-)-'გუ' (← ენ-ლ-უ- (-)-'გუ')	ენ-ნ-ი-ლ'ი-'გუ' (← ენ-ლ-ი-ლ'ი-'გუ')
მიც.	ენ-ნ-უ-ა-'გუ' (← ენ-ლ-უ-ა- -'გუ')	ენ-ნ-ი-ა-'გუ' (← ენ-ლ-ი-ა-'გუ')
აფ.	ენ-ნ-უ(-)-ო-'გუ' (← ენ- -ლ-უ(-)-ო-'გუ')	ენ-ნ-ი(-)-ო-'გუ' (← ენ-ლ-ი(-)-ო- 'გუ')

1. სახელობითის ეი - ფუძეს ირიბ ბრუნვებში ენაცვლება ენ-ფუძე. რომელსაც ბრუნვათა დაბოლოებების წინ დაერთვის: ა) მხ. რიცხვში -- საერთოებები: -შა-უ- (I კლ.) და -ლ'ა-ი- (II—V კლ.), ბ) მრ. რიცხვში -- რიცხვის ნიშანი -\*ლ, რომელიც ფუძის ბოლოკიდურ ნ თანხმოვანთან ასიმილაციის შედეგად ნ-თი არის შეცვლილი (ენ-ლ- → ენ-ნ- — § 42)<sup>1</sup>; რიცხვის ნიშანს უშუალოდ მოსდევს დამაკავშირებელი ხმოვანი -უ-/ი-, განსხვავებული შესაბამისად კლასებისა (-უ- — I კლ., -ი- — დანარჩენ კლასებში). ასეა ეს ყველა ანდიურ თქმაში.

2. მუნიბის თქმაში ამ ნაცვალსახელის ფუძისეული ხმოვანი სახელობით ბრუნვაში განსხვავებულია კლასების შესაბამისად: ეუ- (I კლ.) — ეი- (II — III კლ.). ამავე თქმაში -გუ ნაწილაკის თანხმოვანითი ელემენტი გ ემსგავსება წინამავალ კლას-ნიშან -ბ-ს: ეი-ბ-ბუ ← ეი-ბ-გუ (შდრ. ეი-ა-გუ); როცა -ბ კლას-ნიშანს ნაწილაკის გარეშე მოსდევს ლიაობის ი ხმოვანი, ბ → ვ: ეი-ვ-ი ← ეი-ბ-ი (თანახმად ამ თქმისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფონეტიკური კანონზომიერებისა — იხ. §§ 38, 53).

§ 99. კუთვნილებითი ნაცვალსახელავი. შესაბამისი ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა კუთვნილებითი ნაცვალსახელის როლში გამოდის.: დი-ვ/ა/ბ/რ „ჩემი“, დუ-ვ/ა/ბ/რ „შენი“, იში-ვ/ა/ბ/რ „ჩვენი“ (ექსკლუზ.), ილი-ვ/ა/ბ/რ „ჩვენი“ (ინკლუზ.), ბისი-ვ/ა/ბ/რ „თქვენი“; ჰედეშეუ-ვ/ა/ბ/რ, ჰედელ-ლ'ი „მისი“, ჰედელუ-ვ/ა/ბ/რ, ჰედელი-ლ'ი „მათი“ და ა. შ.

<sup>1</sup> Я. С у л е й м а н о в, Местоименне в анд. яз., გვ. 76.

კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნება

კუთვნილებით ნაცვალსახელს ნათ. ბრუნვის დაბოლოება (კლას-ნიშანი თუ -ლ'ი სუფიქსი) გადაჰყვება ირიბ ბრუნვებში, სადაც მას მხ. რიცხვში დაერთვის შესაბამისად -შა-უ- და -ლ'ა-ი- სავრცობები, მრ. რიცხვში — რიცხვის ნიშანი.

ა) მხოლოობითი რიცხვი

სახ. დი-ვ	დი- <u>ა/ბ/რ</u>	„ჩემი“
ერგ. დი-ვ-შა-დი (← დი-ვ-შა-უ- -დი)	დი- <u>ა/ბ/რ-დი</u> (← დი- <u>ა/ბ/რ-ლ'ა-ი-</u> -დი)	
ნათ. დი-ვ-შაუ-(-)	დი- <u>ა/ბ/რ-ლ'ი</u> (← დი- <u>ა-ბ/რ-ლ'ა-ი-</u> -ლ'ი)	
მიც. დი-ვ-შა-უ-ა	დი- <u>ა/ბ/რ-ლ'ა-ი-ა</u>	
აფ. დი-ვ-შა-უ-(-)-ო	დი- <u>ა/ბ/რ-ლ'ა-ი-(-)-ო</u>	

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ. დი-ვ-ულ	დი- <u>ა/ბ/რ-ულ</u>	„ჩემები“
ერგ. დი-ვ-ულ-უ-დი	დი- <u>ა/ბ/რ-ულ-ი-დი</u>	
ნათ. დი-ვ-ულ-უ-(-)	დი- <u>ა/ბ/რ-ულ-ი-ლ'ი</u>	
მიც. დი-ვ-ულ-უ-ა	დი- <u>ა/ბ/რ-ულ-ი-ა</u>	
აფ. დი-ვ-ულ-უ-(-)-ო	დი- <u>ა/ბ/რ-ულ-ი-(-)-ო</u>	

ა) მხოლოობითი რიცხვი

სახ.	<u>ჰოლ-ლ'ი (← ჰო-ლ'ა-ი-ლ'ი) „ამისა“</u>	
ერგ.	ჰოლ-ლ'ი-შა-დი (← ჰოლ- ლ'ი-შა-უ-დი)	ჰოლ-ლ'ი-ლ-დი (← ჰოლ-ლ'ი-ლ'ა- -ი-დი)
ნათ.	ჰოლ-ლ'ი-შა-უ-(-)	ჰოლ-ლ'ი-ლ-ლ'ი (← ჰოლ-ლ'ი-ლ'ა-ი- -ლ'ი)
მიც.	ჰოლ-ლ'ი-შა-უ-ა	ჰოლ-ლ'ი-ლ-ლ'ა-ი-ა (← ჰოლ-ლ'ი- ლ'ა-ი-ა)
აფ.	ჰოლ-ლ'ი-შა-უ-(-)-ო	ჰოლ-ლ'ი-ლ-ლ'ა-ი-(-)-ო (← ჰოლ- ლ'ი-ლ'ა-ი-(-)-ო)

ბ) მრავლობითი რიცხვი

სახ.	<u>ჰოლ-ლ'-ოლ (← ჰო-ლ'ა-ი-ლ'-ოლ) „ამის-ები“</u>	
ერგ.	ჰოლ-ლ'-ოლ-უ-დი	ჰოლ-ლ'-ოლ-ი-დი
ნათ.	ჰოლ-ლ'-ოლ-უ-(-)	ჰოლ-ლ'-ოლ-ი-ლ'ი
მიც.	ჰოლ-ლ'-ოლ-უ-ა	ჰოლ-ლ'-ოლ-ი-ა
აფ.	ჰოლ-ლ'-ოლ-უ-(-)-ო	ჰოლ-ლ'-ოლ-ი-(-)-ო

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნება არსებითად ნაგენე-ტივიარი სახელის ბრუნებაა (შდრ. § 89).

**§ 100. დანარჩენი ნაცვალსახელები.** დანარჩენი ნაცვალსახელებიდან, რომლებიც უმეტესად ნაწარმოები ნაცვალსახელებია, აღსანიშნავია:

-**გუ** ნაწილაკიანი ნაცვალსახელები. ეს ნაწილაკი (ისევე, როგორც ხუნძ. -გო) პირის ნაცვალსახელებს ანიჭებს უკუქცევით შინაარსს: დინ/დენ „მე“ — დინ-გუ/დენ-გუ „მე თვითონ“, „მე-ვე“; ასევე: მინ-გუ/მენ-გუ „შენ თვითონ“, „შენ-ვე“, იზაილ-გუ (ექსკლ.), ილ'ილ-გუ (ინკლ.) „ჩვენ თვითონ“, „ჩვენ-ვე“, ბისაილ-გუ „თქვენ თვითონ“, „თქვენ-ვე“; იხმარება ჩვენებით ნაცვალსახელებთანაც: ჰო-ვ „ეს“ — ჰო-ვ-გუ „ეს თვითონ“, „სწორედ ეს“; ასევე: ჰედე-ვ-გო „ის თვითონ“, „სწორედ ის“ და ა. შ.; დაერთვის მესამე პირის უკუქცევით ნაცვალსახელსაც (რომელიც უკუქცევითობას თვით ფუძის მნიშვნელობითაც გამოხატავს): ფი-ვ-გუ და ა. შ. (-გუ ნაწილაკიანი მესამე პირის უკუქცევითი ნაცვალსახელი ყველა პირში შეიძლება ვიხმაროთ).

ირიბ ბრუნვებში -გუ ნაწილაკი ყოველთვის ბრუნვათა დაბოლოებებს მოსდევს.

-**ბოლოგუ** ნაწილაკიანი ნაცვალსახელები. ეს ნაწილაკი რთული შედგენილობისაა (შეიცავს -ბოლო კითხვით ნაწილაკსა და -გუ ნაწილაკს). დაერთვის იგი (ისევე, როგორც ანალოგიური შედგენილობის ხუნძ. -ალი-გო ნაწილაკი) კითხვით ნაცვალსახელებს და აწარმოებს მათგან განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს: ე/ი-მ- (ფუძის ხმოვნის ვარიაციები დიალექტურია — § 96) „ვინ?“ — ე/ი-მ-ბოლოგუ ← ე/ი-მ-ბოლოგუ „ვილაც“, ე/ი-ბ/რ- „რა?“ — ე/ი-ბ/რ-ბოლოგუ „რალაც“ (შდრ. ხუნძ. შიი-ვ/ღ „ვინ?“ — შიი-ვ/ღ-ალი-გო „ვილაც“, შიი-ბ „რა?“ — შიი-ბ-ალი-გო „რალაც“). -ბოლოგუ ნაწილაკი ირიბ ბრუნვებში შეიძლება ფუძესთან შეუხორცებელი იყოს და მოსდევდეს ბრუნვის ნიშნებს (ლ'ზე-დი-ბოლოგუ „ვილაცამ“ და ა. შ.) ან ფუძესთან იყოს შეხორცებული და ბრუნვის ნიშნებს უძლოდეს წინ (ასეთ შემთხვევაში კითხვითი ნაცვალსახელის სახელობითის ფორმა კლას-ნიშნითა და მომდევნო ნაწილაკით მთლიანად გადაჰყვება ირიბ ბრუნვებში, სადაც მას ჯერ შესაბამისი სავრცობი დაერთვის, ხოლო შემდეგ — ბრუნვის ნიშანი: ერგ. ე/ი-მ-მ(ბ)ოლოგუ-შა-დი „ვილაცამ“, ე/ი-ბ-ბოლოგუ-ლ-დი „რალაცამ“ და ა. შ.).

სხვადასხვა ნაცვალსახელებს შეიძლება დავურთოთ აგრეთვე -გა (ზედსართ. სუფიქსით: -გა-სიი—§ 88), -ყ'ა (ზედსართ. სუფიქსით: -ყ'ა-სიი — § 88) და მივიღოთ თვისებების აღმნიშვნელი განსაზღვრებითი ნაცვალსახელები („ასეთი“, „ისეთი“... — შესაბა-

მისად ნაცვალსახელისა და ნაწილაკის მნიშვნელობებისა): ჰო-ვ-გა-სიო „ასეთი“ (რაიმე თვისების მიხედვით), ჰო-ვ-ყ-ა-სიო „ასეთი“, „ამოდენა“ (ოდენობის მიხედვით) და ა. შ.

ეტჱი-ს-ი (მრ. ეტჱის-ო-ლ) „როგორი?“ „რომელი?“ ეს ნაცვალსახელი წარმოების მიხედვით ზედსართავი სახელია. იგი ნაწარმოებია -ხიო სუფიქსით (§ 88) ზმნისართის ფუძისგან ეტჱი- „როგორ?“ (ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ნაწარმოები ჩანს კითხვითი ნაცვალსახელის ფუძეზე ადგილ. ბრ. -ტჱი „ქვეშ“ სუფიქსის დართვით: ე-ტჱი-).

ჱი-ვ-ჱი-ვ „თითოეული“ (შდრ. არაგაორმაგ. ეი-ვ „თვითონ“). ჰარ (ნასესხ.: სპარს.) „ყოველი“; ფულან (ნასესხ.: არაბ.) „მავანი“; „რომელიღაც“; იბ-გუ „ყველაფერი“; იბ-ულ (-ულ მრ. რიცხვის სუფიქსია) „ყველა“, „ყველანი“; ჩომ'ი „რამდენი?“ ე-მ-ი-ყ-ა, ე-ბ-ი-ყ-ა, ე-რ-ი-ყ-ა „რამდენი?“ „რაოდენი?“ „რაზომი?“ (ნაწარმოებია -ყ-ა ნაწილაკით კითხვითი ნაცვალსახელისაგან).

რიცხვითი სახელი სე-ბ „ერთი“ იხმარება განუსაზღვრელი ნაცვალსახელის მნიშვნელობითაც (სე-ვ ჰეკა „ერთი რომელიღაც კაცი“... სე-ვ ჰეგუ ვოცაი ვუკვოდუ „ერთი ორი ძმა ყოფილა“...). სე-ბ-ლო „სხვა“ (ზედმიწ. „ერთი-ც“, „კიდევ ერთი“: სე-ბ „ერთი“ + -ლო „-ც“). სე-ბ-გუ „მხოლოდ ერთი“, „ერთი-ღა“; აქედანაა ნაწარმოები: სე-ბ-გუ-ლო „არც ერთი“, „არაფერი“, ზედმიწ. „ერთიც კი“, „მხოლოდ ერთი-ც“ (იხმარება უარყოფითი ნაცვალსახელის როლში — უარყოფით ზმნასთან).

### მსაზღვრელ-საზღვრელი

§ 101. მსაზღვრელ-საზღვრელის ერთად ბრუნება. მსაზღვრელი — იქნება იგი ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი თუ არსებითი სახელი, მასთან, სახელობითის თუ ნათესაობითი ბრ. ფორმით — წინ უსწრებს საზღვრულს.

მსაზღვრელ-საზღვრელის ერთად ბრუნებისას ბრუნვათა მიხედვით იცვლება საზღვრული, წინამავალი მსაზღვრელი კი უცვლელია (რა ფორმაც აქვს სახელობით ბრუნვაში, იმაშივე რჩება დანარჩენ ბრუნვებშიც). ამ მხრივ ანდიურში სავსებით იგივე ვითარებაა, რაც სხვა ხუნდ.-ანდ. ენებში (ქართველური ენებიდან — ზანურში). ასეთი ვითარება მეორეულია (მსაზღვრელი სახელის ფორმაცვლების მოდუნების შედეგია)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამ მოვლენის ზოგადი საფუძვლის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, კანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 70—71.

მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნების  
ნიმუშები

სახ.	ჩონჩი კოთუ „ქარგი ცხენი“	ქეგუ ვოცაი „ორი ძმა“	აოცაუ-ლ'ი ვოშო „დის ვაჟიშვილი“
ერგ.	ჩონჩი კოთუდი	ქეგუ ვოცაუდი	აოცაუ-ლ'ი ვოშუდი
ნათ.	ჩონჩი კოთულ'ი	ქეგუ ვოცაუ(-)	აოცაუ-ლ'ი ვოშუ(-)
მიც.	ჩონჩი კოთუჲ	ქეგუ ვოცაუჲ	აოცაუ-ლ'ი ვოშუჲ
აფექტ.	ჩონჩი კოთუ(-)ო	ქეგუ ვოცაუ(-)ო	აოცაუ-ლ'ი ვოშუ(-)ო

§ 102. მსაზღვრელის შეთანხმება საზღვრულთან გრამატიკულ კლასსა და რიცხვში. მსაზღვრელი შეიძლება შეეთანხმოს საზღვრულს გრამატიკულ კლასსა და რიცხვში. გრამატიკულ კლასში შეთანხმება მაშინ ხდება, როცა მსაზღვრელის როლში კლასნიშნისანი სახელია (სახელობითის ან ნათესაობითის ფორმით): ჰო-ვ ვოცაი „ეს ძმა“, ჰო-ჲ აოცაი „ეს და“ და ა. შ. სე-ვ ვოცაი „ერთი ძმა“, სე-ჲ აოცაი „ერთი და“ და ა. შ. ვ-ოქუხა ვოცაი „უფროსი ძმა“, ჲ-ექუხა აოცაი „უფროსი და“ და ა. შ. ვოცაუ-ვ ვოშო „ძმის ვაჟიშვილი“, ვოცაუ-ვ აოში „ძმის ქალიშვილი“ და ა. შ. შეთანხმება კლასში არ ხდება, როცა მსაზღვრელი სახელი — სახელობითის ან ნათესაობითის ფორმით — უკლას-ნიშნია: ჩონჩი ვოცაი „ქარგი ძმა“, ჩონჩი აოცაი „ქარგი და“... ქეგუ ვოცაი „ორი ძმა“, ქეგუ აოცაი „ორი და“... აოცაუ-ლ'ი ვოშო „დის ვაჟიშვილი“, აოცაუ-ლ'ი აოში „დის ქალიშვილი“ და ა. შ.

შეთანხმება რიცხვში ყოველთვის ხდება (მაშინაც, როცა მსაზღვრელი სახელი კლას-ნიშნისანი და მაშინაც, როცა იგი უკლას-ნიშნია); მასთან, კლას-ნიშნისანი მსაზღვრელი სახელი სათანადო კლას-ნიშნის ინარჩუნებს მრავლობით რიცხვში, — ე. ი. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება გვექნება, როგორც რიცხვში, ისე კლასში: მაგალ.: ა) კლას-ნიშნისანი მსაზღვრელი ერთდროულად: ჰო-ვ-ულ ვოცა-ულ „ეს (ესენი) ძმები“, ჰო-ჲ-ილ (← ჰო-ჲ-ულ) აოცაი-ბოლ „ეს (ესენი) დები“ და ა. შ. ვ-ოქუხ-ოლ ვოცა-ულ „უფროს-ნი ძმა-ნი“, ჲ-ექუხ-ოლ აოცაი-ბოლ „უფროსნი დანი“ და ა. შ. ვოცაუ-ვ-ულ ვოშ-ულ „ძმისა-ნი ვაჟ-ნი“, ვოცაუ-ჲ-ილ (← ვოცაუ-ჲ-ულ) აოში-ბოლ „ძმისანი ქალიშვილნი“ და ა. შ. სე-ვ-ულ ვოცა-ულ „ერთნი ძმანი“, სე-ჲ-ილ (← სე-ჲ-ულ) აოცაი-ბოლ „ერთნი დანი“ და ა. შ.; ბ) უკლას-ნიშნო მსაზღვრელი ერთდროულად: ჩონჩ-ოლ ვოცა-ულ



„კარგნი ძმანი“, ჩონჩ-ოლ მოცაი-ბოლ „კარგნი დანი“ და ა. შ. კე-ლ-გუ ვოცა-ულ „ორნი ძმანი“, კე-ლ-გუ მოცაი-ბოლ „ორნი დანი“ და ა. შ. მოცა-ულ-’-ოლ ვომ-ულ „დ-ისა-ნი ვაჟიშვილ-ნი“, მოცა-ულ-’-ოლ მოში-ბოლ „დ-ისა-ნი ქალიშვილ-ნი“ და ა. შ.

შენიშვნა. როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსახლერელიც საზღვრულთან ერთად მრავლობით რიცხვშია, მსახლერელში წარმოდგენილი იქნება მრავლობითობის ორი მაჩვენებელი: ერთი აღნიშნავს მრ. რიცხვს მსახლერელისას, მეორე — საზღვრულისას; შდრ.: ა) მსახლერელი მხ. რიცხვშია, საზღვრული — მრ. რიცხვში: ვოცა-ულ-ვ-ულ ვომ-ულ „ძმ-ისა-ნი ვაჟ-ნი“... მოცა-ულ-’-ოლ ვომ-ულ „დ-ისა-ნი ვაჟ-ნი“...; ბ) მსახლერელიცა და საზღვრულიც მრ. რიცხვშია: ვოცა-ულ-უ-ვ-ულ ვომ-ულ „ძმ-ებ-ისა-ნი (ძმა-თა-ნი) ვაჟ-ნი“... მოცაი-ბ-ალ-’-ოლ ვომ-ულ „დ-ებ-ისა-ნი ვაჟ-ნი“ და ა. შ.

ხუნძურთან შედარებით განსხვავება იმაშია, რომ ხუნძურში, როგორც ცნობილია, რიცხვში შეთანხმებას ჩვეულებრივ მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როცა მსახლერელის როლში კლას-ნიშნიანი სახელია და, მასთან, ასეთ შემთხვევაშიც სათანადო კლას-ნიშანი მსახლერელ სახელს მრავლობითში არ გაჰყვება (მხ. რიცხვის ყველა კლას-ნიშანს მრავლობითში ცვლის მრ. რიცხვის ნიშანი): ვ-აწაად-ავ ვას „სუფთა ვაჟი“, ა-აწაად-აჲ ვას „სუფთა ქალიშვილი“, ბ-აწაად-აბ რუჟ „სუფთა სახლი“ — მრ. რ.: რ-აწაად-აალ ვასალ, აასალ, რუჟაბი „სუფთა-ნი ვაჟიშვილნი, ქალიშვილნი, სახლნი“...

უფრო ძველია ანდიურის ჩვენება, ხოლო მეორეულია ხუნძურში მრ. რიცხვში დასმულ საზღვრულთან, როგორც უკლას-ნიშნო მსახლერელის შეუთანხმებლობა რიცხვში (შდრ. დირ ვაცა „ჩემი ძმა“ — დირ |← || დირ-ალ | ვაცაალ „ჩემი ძმები“), ისე კლას-ნიშნიანი მსახლერელის შეუთანხმებლობა გრამატიკ. კლასში (მაგალითი იხ. ზემოთ).

ამრიგად, მსახლერელ-საზღვრულის ერთად ხმარებისას: ა) შეთანხმება ბრუნვაში მოშლილია ხუნძურშიცა და ანდიურშიც, ბ) შეთანხმება რიცხვში ანდიურში ყოველთვის ხდება, ხუნძურში — ჩვეულებრივ მხოლოდ მაშინ, როცა მსახლერელი კლას-ნიშნიანია, გ) შეთანხმება გრამატიკ. კლასში (როცა მსახლერელი კლას-ნიშნიანია): ა) მხ. რიცხვში ორსავე ენაში ხდება, ხ) მრ. რიცხვში — მხოლოდ ანდიურში, ხუნძურში — არა (მრ. რიცხვში მსახლერელი

ეთანხმება საზღვრულს ანდიურში — რიცხვშიც და კლასშიც, ხუნძურში — მხოლოდ რიცხვში.

თავისებურებანი ქვანხიდათლის თქმაში. ქვანხიდათლის თქმაში ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ არ ეთანხმება. მრ. რიცხვში საზღვრულ არსებით სახელს; შდრ.: ვ-ოქუხა ვოშო „უფროსი ვაჟიშვილი“ — ვ-ოქუხა ვოშ-ულ (შდრ. ანდ. ვ-ოქუხ-ოლ ვოშ-ულ) „უფროსი ვაჟიშვილები“; მიჰი ვოშო „უმცროსი ვაჟიშვილი“ — მიჰი ვოშ-ულ (შდრ. ანდ. მიჰ-ოლ ვოშ-ულ) „უმცროსი ვაჟიშვილები“... არც ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ეთანხმება რიცხვში საზღვრულს: იმაშუ ვოცაი „მამის ძმა“ — იმაშუ ვოცა-ულ (შდრ. ანდ. იმუ-ვ-ოლ ვოცა-ულ) „მამის ძმები“, ილალ-ლ'ი ვოცაი „დედის ძმა“ — ილალ-ლ'ი ვოცა-ულ (შდრ. ანდ. ილუ-ლ'-ოლ ვოცა-ულ) „დედის ძმები“ და ა. შ. დამოუკიდებლად ხმარებისას კი მსაზღვრელი დაირთავს რიცხვის ნიშანს. ქვანხიდათლის თქმაში მსაზღვრელის საზღვრულთან რიცხვში შეთანხმების მხრივ, ჩანს, იგივე ვითარებაა, რაც თანამედროვე ქართულში (ხოლო ანდისა და სხვ. თქმებში კი იგივე, რაც ძველ ქართულში).

თავისებურია ქვანხიდათლის თქმაში მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, როცა მსაზღვრელის როლში ჩვენებითი ნაცვალსახელია; შდრ.

	მხ. რ.		მრ. რ.
I	ჰო-ვ ვოშო	„ეს ვაჟიშვილი“	ჰო-ლ ვოშ-ულ
II	ჰო-ჟ ეჟში	„ეს ქალიშვილი“	ჰო-ლ ეჟ-ილ
III	ჰო-ზ კოთუ	„ეს ცხენი“	ჰო-ზ კოთ-ილ

აქ I და II კლასებში შეთანხმება რიცხვში გვაქვს, მაგრამ შეთანხმება კლასში მოშლილია, ხოლო III კლასში საზღვრული არ ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვში, მაგრამ კლასში ითანხმებს.

## ზ მ ნ ა

§ 103. ზოგადი. ანდიური ზმნის უღვლილების ძირითადი კატეგორიებია: გრამატიკული კლასი, რიცხვი, დრო, კილო. სათანადო დროსა და კილოში ზმნა შეიძლება იცვალოს კლასისა და რიცხვის მიხედვით. პირთა მიხედვით ზმნა არ იცვლება. რიცხვის კატეგორიაც სუსტადაა გამოხატული.

§ 104. ზმნის უღვლილება გრამატიკული კლასების მიხედვით. გრამატიკული კლასების მიხედვით ზმნის უღვლილების პრინციპები ანდიურში. იგოვია, რაც ხუნძურში: გარდაუვალი ზმნა იულვ-

ლის რეალური სუბიექტის კლასის მიხედვით, ხოლო გარდამავალი ზმნა — რეალური ობიექტის კლასის მიხედვით.

ა) სუბიექტური უღვლილება (რეალური სუბიექტის კლასის მიხედვით — გარდაუვალ ზმნებში):

I	ვოცაი ვ-ულონ „ძმა წავიდა“	ვოცაულ ვ-ოლონ „ძმები წავიდნენ“
II	აოცაი ა-ილონ „და წავიდა“	აოცაიბოლ ა-ოლონ „დები წავიდნენ“
III	კოთუ ბ-ულონ „ცხენი წავიდა“	კოთილ ა-ოლონ „ცხენები წავიდნენ“
IV	მაშინ ბ-ულონ „მანქანა წავიდა“	მაშიმოლ ბ-ოლონ „მანქანები წავიდნენ“
V	ინქვა რ-ულონ „ურემი წავიდა“	ინქვალ რ-ოლონ „ურემები წავიდნენ“

ბ) ობიექტური უღვლილება (რეალური ობიექტის კლასის მიხედვით — გარდამავალ ზმნებში):

I	იმუდი ვოცაი ვ-ოთა „მამამ ძმა დატოვა“	იმუდი ვოცაულ ვ-ოთა „მამამ ძმები დატოვა“
II	იმუდი აოცაი ა-ეთა „მამამ და დატოვა“	იმუდი აოცაიბოლ ა-ეთა „მამამ დები დატოვა“
III	იმუდი კოთუ ბ-ეთა „მამამ ცხენი დატოვა“	იმუდი კოთილ ა-ეთა „მამამ ცხენები დატოვა“
IV	იმუდი მაშინ ბ-ეთა „მამამ მანქანა დატოვა“	იმუდი მაშიმოლ ბ-ეთა „მამამ მანქანები დატოვა“
V	იმუდი ინქვა რ-ეთა „მამამ ურემი დატოვა“	იმუდი ინქვალ რ-ეთა „მამამ ურემები დატოვა“

რეალური სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა და რეალური ობიექტი გარდამავალი ზმნისა — ორივე — სახელობით ბრუნვაში დაისმის; ამრიგად, ზმნაში (გარდაუვალშიცა და გარდამავალშიც) აღინიშნება კლასი სახელობით ბრუნვაში დასმული სახელისა (იქნება იგი რეალური სუბიექტი, თუ რეალური ობიექტი). გარდამავალ ზმნაში აღუნიშვნელი რჩება ერგატიულ ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტი.

ისეთ ზმნებშიც, რომელთა რეალური სუბიექტი შეიძლება იყოს აფექტიურ ან ნათესაობით ბრუნვაში, ხოლო რეალური ობიექტი სახელობით ბრუნვაში, აღინიშნება სახელობით ბრუნვაში დასმული

რეალური ობიექტი და არა აფექტიურ ან ნათესაობით ბრუნვაში დასმული რეალური სუბიექტი; მაშასადამე, ასეთი სინტაქსური კონსტრუქციის ზმნებიც ობიექტური უღვლილებიანა; შდრ.:

რეალური სუბიექტი აფექტიურ ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში:

I	იმუვო ვოცაი ვ-უსონ „მამამ ძმა იპოვა“	იმუვო ვოცაულ ვ-ოსონ „მამამ ძმები იპოვა“
II	იმუჲო ჲოცაი ჲ-ისონ „მამამ და იპოვა“	იმუჲო ჲოცაიბოლ ჲ-ოსონ „მამამ დები იპოვა“
III	იმუბო კოთუ ბ-ისონ „მამამ ცხენი იპოვა“	იმუჲო კოთილ ჲ-ოსონ „მამამ ცხენები იპოვა“
IV	იმუბო მაშინ ბ-ისონ „მამამ მანქანა იპოვა“	იმუბო მაშიმოლ ბ-ოსონ „მამამ მანქანები იპოვა“
V	იმურო ინქვა რ-ისონ „მამამ ურემი იპოვა“	იმურო ინქვალ რ-ოსონ „მამამ ურმები იპოვა“

რეალური სუბიექტი ნათესაობით ბრუნვაშია, რეალური ობიექტი — სახელობითში:

I	იმუვ ვოცაი ვ-უკუდო „მამას ძმა ჰყავს“ <sup>1</sup>	იმუვეულ ვოცაულ ვ-ოკუდო „მამას ძმები ჰყავს“ <sup>2</sup>
II	იმუჲ ჲოცაი ჲ-იკუდო „მამას და ჰყავს“	იმუჲილ ჲოცაიბოლ ჲ-ოკუდო „მამას დები ჰყავს“
III	იმუბ კოთუ ბ-იკუდო „მამას ცხენი ჰყავს“	იმუჲოლ კოთილ ჲ-ოკუდო „მამას ცხენები ჰყავს“
IV	იმუბ ბურთინა ბ-იკუდო „მამას ნაბადი აქვს“	იმუბოლ ბურთიმოლ ბ-ოკუდო „მამას ნაბდები აქვს“
V	იმურო ჰაყაუ რ-იკუდო „მამას სახლი აქვს“	იმუროლ ჰაყაობილ რ-ოკუდო „მამას სახლები აქვს“

აქ მოყვანილი საილუსტრაციო მაგალითები ანდის თქმეიდანაა. ანალოგიურია ვითარება დანარჩენ თქმებშიც (განსხვავება შეიძლება შექმნას მხოლოდ კლასების რაოდენობამ და კლას-ნიშანთა ვარიაციებმა. უღვლილების პრინციპები კი საერთოა ყველა თქმისათვის).

კლასების მიხედვით, ცხადია, იცვლება კლას-ნიშანი ზმნები, — ე. ი. ისეთი ზმნები, რომელთა ფუძეში მოიპოვება ცოცხალი (ცვალებადი) კლას-ნიშანი. ასეთი ნიშანი ზმნაში პრეფიქსად გვაქვს;

<sup>1</sup> ზედმიწ. „მამისა ძმა არის“.

<sup>2</sup> ზედმიწ. „მამისანი ძმანი არიან“.

მაგალითები (მოგვეყავს ბ კლას-ნიშნით): ბ-იკულუ „ყოფნა“, ბ-ილი-  
 დუ „დგომა“, ბ-ელ'იდუ „სვლა“, ბ-ოხინნუ „ასვლა“, ბ-იჭიდუ „მო-  
 კვდომა“, ბ-იჭიდუ „ადგომა“, ბ-ულინნუ „წასვლა“, ბ-იყიდუ „მო-  
 სვლა“, ბ-ეჭიდუ „დარჩენა“, ბ-ელუ „დატოვება“, ბ-ისინნუ „პოვ-  
 ნა“, ბ-იშინნუ „მიბმა“, ბ-ახინნუ „კერვა“, ბ-უყიდუ „კრა“, ბ-იხიდუ  
 „აღება“, „ყიდვა“, ბ-იხიდუ „დაკერა“, ბ-ავულუ „თელა“, ბ-იშიდუ  
 „დაბრუნება“, ბ-ილ'ინნუ „ხარშვა“, ბ-ეჭიდუ „შეწვა“; „გამოცხო-  
 ბა“, ბ-ეჭიდუ „ხვნა“, ბ-იწიდუ „ავსება“, ბ-ულ'იდუ „გათავება“,  
 ბ-ეტინნუ „ლაპარაკი“, ბ-ილინნუ „სროლა“, ბ-იჭინნუ „გატეხა“,  
 ბ-ეჭიდუ „მიღწევა“, ბ-იჭიდუ „დაკვლა“, ბ-ეკულიდუ „ტირილი“  
 და სხვ.

კლას-ნიშანს ფუძეში უშუალოდ ხმოვანი მოსდევს. ზმნურ ფუ-  
 ძეებში — ისევე, როგორც არაზმნურ ფუძეებშიც — ასეთი ხმოვანი  
 შეიძლება განსხვავებული იყოს ფუძეთა მიხედვით (სხვადასხვა ფუ-  
 ძეებში ერთი და იმავე კლას-ნიშნის მომდევნოდ სხვადასხვა ხმო-  
 ვანი შეიძლება გვექონდეს) და, გარდა ამისა, ხმოვანი განსხვავებუ-  
 ლი შეიძლება იყოს ერთსა და იმავე ფუძეშიც სხვადასხვა კლას-  
 ნიშნის მომდევნოდ, რასაც, როგორც ვიცით, ფონეტიკური საფუძ-  
 ველი აქვს (გარკვეული კლას-ნიშნები გავლენას ახდენენ მომდევნო  
 ფუძისეულ ხმოვანზე და ცვლიან მას: ვ-ე → ვ-ო, ვ-ი → ვ-უ,  
 ჰ-უ → ჰ-ი — იხ. § 54). ზმნურ ფუძეებში — განსხვავებით არაზმნუ-  
 რი ფუძეებისაგან — კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვანთა ვარიაციებს  
 შეიძლება მორფოლოგიური ფუნქციაც ჰქონდეს (§ 105).

იმეთათად ხმოვანი შეიძლება კლას-ნიშნის წინაც გვექონდეს.  
 ასეთ შემთხვევებში კლას-ნიშანი ინ ფიქსის როლში გვევლინება  
 (იგი ფუძის შიგნითაა მოქცეული): ა-ბ-ჩიდუ „ბანა“, „რეცხვა“,  
 ა-ბ-ჟიდუ „დაწყება“, ა-ბ-ხოლლუ „გაშლა“, „გათენა“, ა-რ-ხინნუ  
 „გაღება“, ა-ბ-ახიდუ „გასივება“ (ყველა დამოწმებულ მაგალითში  
 კლას-ნიშნის წინ ა ხმოვანია)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დამოწმებული მაგალითებიდან ა-ბ-ახოლლუ „გაშლა“, „გათენა“  
 და ა-ბ-ჟიდუ „ბანა“, „რეცხვა“ ა. დიროსაც მოჰყავს (АНД. Я. გვ. 48. 50.  
 115). გარდა ამისა, ა. დიროს მოჰყავს აგრეთვე: შამ-მ-უ, შარ-დუ („ტყორც-  
 ნა“, „გღება“. „თესვა“), რომლებშიც, მისი აზრით, შ და რ კლას-ნიშნებია (იქვე,  
 გვ. 48. 50). სინამდვილეში შამ-მ-უ იხმარება „თესვის“ მნიშვნელობით და,  
 აგრეთვე, „ტყორცნის“ მნიშვნელობითაც. თუ RO მხ. რიცხვში ივარაუდება  
 (ჭინწო შამმუ „ქვის ტყორცნა“), ხოლო შიარ-დუ — „ტყორცნის“ მნიშვნე-  
 ლობით, როცა RO მრ. რიცხვში ივარაუდება (ჭინწო ბილ შიარ-დუ „ქვების  
 ტყორცნა“), ასე, რომ შ და რ აღნიშნულ ფუძეებში — ინფიქსურ — კლას-ნიშნებს  
 კი არ წარმოადგენენ. არამედ ფუძის კუთვნილებას შეადგენენ.

ამავე დროს გვაქვს უკლას-ნიშნო ზმნებიც, — ე. ი. ისეთი ზმნები, რომელთა ფუძეში არ მოიპოვება ცოცხალი კლას-ნიშანი და რომლებიც ამიტომ მოკლებულია საშუალებას იცვალონ გრამატიკული კლასების მიხედვით. ასეთი ზმნები ანდიურში ცოტა არ არის. უკლას-ნიშნო ზმნების მაგალითები: ი „არის“, იღუ „კეთება“, გირღუ „წოლა“, ხოდუ „თხოვნა“, წინნუ „ცოდნა“, ტინნუ „დასხმა“, ტანნუ „წევა“, კვარღუ „წერა“, ყოორღუ „ყვირილი“, „სიმღერა“, ჰელღუ „გაქცევა“, ხვარღუ „თხრა“, ტახინნუ „დაძინება“, წაღუ „სმა“, სოორღუ „ტრიალი“; „გასეირნება“, ხაანნუ „თიბვა“, იჩაიღუ (ღაღ. ჩაიღუ) „მიცემა“, ლ'იბღუ „ხტომა“ და ა. შ.<sup>1</sup>.

§ 105. მრავლობითი რიცხვი ზმნის უღვლილმბაში. დაბირისპირება მხოლოდობითსა და მრავლობითს შორის ანდიური ზმნის უღვლილმბაში მოკლებულია ზოგად მორფოლოგიურ სისტემას. რიცხვის გასარჩევად სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება. მასთან, რიცხვი ყოველთვის არც გაირჩევა.

სხვა ზუნძურ-ანდიურ ენებში ზმნის უღვლილმბაში რიცხვის გარჩევის ერთგვარ საშუალებას ქმნის კლასების რაოდენობის შემცირება მრავლობით რიცხვში. ასე, მაგალითად. ჰამალღურ ენაში გრამატიკული კლასების რაოდენობა, რომელიც ხუთს აღწევს მხოლოდობითში, ორამდის დადის მრავლობითში<sup>2</sup>:

მ. ხ. რ.: ვ-იკლა (I), ა-იკლა (II), ბ-იკლა (III), ა-იკლა (IV), ა-იკლა (V) — მ. რ. რ.: ბ-იკლა (I—II), ა-იკლა (III—V) „მოკვდომა“.

ამ სისტემაში მრავლობითი რიცხვის ბ - ი კ ლ ა და ა - ი კ ლ ა უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა გრამატიკული კლასის ფორმები, მაგრამ ორივე ეს ვარიანტი მხოლოდობითის შესაბამის ვარიანტებთან შეპირისპირებით წარმოადგენს ამავე დროს მრავლობითი რიცხვის ფორმასაც (იხ. ზემოთ სქემა).

ზუნძურ ენაშიც რიცხვის გარჩევას ზმნის უღვლილმბაში ეგვევ საფუძველი აქვს; შდრ.:

მ. ხ. რ.	მ. რ. რ.
ვ-აქანა „მოვიდა“	} რ-აქანა „მოვიდნენ“
ა-აქანა	
ბ-აქანა	
*რ-აქანა	

<sup>1</sup> უკლას-ნიშნო ზმნები კლას-ნიშნისაგან განსხვავდებიან ერთად, როგორც ცნობილია, გვაქვს ზუნძურშიც (შდრ.: ბ-უკინე „ყოფნა“, ბ-აქინე „მოსვლა“, ბ-ეკიხე „ქება“ და ა. შ. — მაგრამ: ქვანახე „ქაბა“, კვახე „წერა“, ლ'ახე „ცოდნა“, ტხე „დასხმა“ და ა. შ.) და დაღესტნის სხვა ენებშიც (შდრ., მაგალ., ლაკურში: ბ-ან „კეთება“, ბ-იშინ „დადება“, ბ-იხან „ადგომა“, ბ უწინ „ავსება“ და ა. შ. — მაგრამ: ქანან „ქაბა“, ნან „სვლა“, ტუნ „ლაპარაკი“ და ა. შ.).

<sup>2</sup> А. Бокарев, Чамал. яз., გვ. 76.

იმის გამო, რომ ხუნძურში კლასების რაოდენობა მრავლობითში ერთამდის დავიდა და, მასთან, შესაბამისი კლასი მხოლოდობითში მოიშალა<sup>1</sup>, ამჟამად ეს ერთადერთი კლასის ფორმა (კლას-ნიშნით რ) ქვეულია მრავლობითი რიცხვის ზოგად ფორმად მხოლოდობითის ყველა კლასის ფორმებთან შეპირისპირებით.

ჩანს, რაც უფრო ნაკლებია კლასების რაოდენობა მრავლობითში, სათანადო კლასის ფორმას მით უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს რიცხვის გამოსახატავად. ანდიურში კლასების რაოდენობა, როგორც ვიცით, მრავლობით რიცხვზე არ მცოდნება. ამიტომ აქ არც ხერხდება რიცხვის გარჩევა კლას-ნიშნების მემკვიდრებით. ერთადერთ განსხვავებას იძლევა ცხოველთა კლასის საბელები. რომლებიც რიცხვის მიხედვით იცლიან კლას-ნიშნის: მხ. რ. ბ- (კოთუ ბ- იყ'ო „ცხენი მოვიდა“) — მრ. რ. ჰ- (კოთილ ჰ- იყ'ო „ცხენები მოვიდნენ“...). აქ ბ-იყ'ო („მოვიდა“) და ჰ-იყ'ო („მოვიდნენ“), როგორც მხოლოდობითისა და მრავლობითის ფორმები, უპირისპირდებიან ერთმანეთს კლას-ნიშნის მიხედვითაც. დანარჩენ კლასებში აეთ განსხვავებას არა აქვს ადგილი.

ანდიურ ენაში რიცხვის გასარჩევად ზმნის უღვლილებაში გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

1. გრამატიკული კლას-ნიშნის მომდევნო ფუძისეულ ხმოვანთა მონაცვლეობა:

ა) მხ. რ. ი — მრ. რ. თ. მხ. რ.: ვ-უკულუ (← ვ-იკულუ — § 54), ჰ-იკულუ, ბ-იკულუ, რ-იკულუ „ყოფნა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-ოკულუ, ჰ-ოკულუ, ბ-ოკულუ, რ-ოკულუ „ყოფნა“ (მრავლისა); მხ. რ.: ვ-ულიდუ (← ვ-ილიდუ — § 54), ჰ-ილიდუ, ბ-ილიდუ, რ-ილიდუ „დგომა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-ოლიდუ, ჰ-ოლიდუ, ბ-ოლიდუ, რ-ოლიდუ „დგომა“ (მრავლისა);

ასევე: (-)იჭიდილუ — (-)ოჭიდილუ „ადგომა“, (-)იჭიდილუ — (-)ოჭიდილუ „მოკვდომა“, „გაფუჭება“, (-)იყ'იდილუ — (-)ოყ'იდილუ „მოსვლა“, (-)იყ'უდილუ — (-)ოყ'უდილუ „ზრდა“, „დამწითება“: (-)იწიდილუ — (-)ოწიდილუ „ავსება“, „გაძლომა“; (-)ისინილუ — (-)ოსინილუ „პოვნა“, (-)იხუდილუ — (-)ოხუდილუ „აღება“; „ყიდილუ“, (-)იჩიდილუ — (-)ოჩიდილუ „დაჭერა“, (-)ითინილუ — (-)ოთინილუ „დასველება“, (-)იჭუდილუ — (-)ოჭუდილუ „დაკვლა“, (-)იჭინილუ — (-)ოჭინილუ „გატყდომა“, (-)ილ'ინილუ — (-)ოლ'ინილუ „ხარშვა“, (-)იჩინილუ — (-)ოჩინილუ „მოყვანა“, „მოტანა“...

ბ) მხ. რ. ი — მრ. რ. ა (იშვიათად). მხ. რ.: ვ-იშიდილუ (← ვ-იშიდილუ — § 54), ჰ-იშიდილუ, ბ-იშიდილუ, რ-იშიდილუ „დაბრუნება“, „მოსვლა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-აშიდილუ, ჰ-აშიდილუ, ბ-აშიდილუ, რ-აშიდილუ;

გ) მხ. რ. უ — მრ. რ. ა. მხ. რ.: ვ-უჭიინილუ, ჰ-უჭიინილუ (← ჰ-უჭიინილუ — § 54), ბ-უჭიინილუ, რ-უჭიინილუ „გაქცევა“ (ერთისა) — მრ. რ.:

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ხუნძურში, ენაშის მონაბე, I, 1937; А. А. Бокарев, О классных показателях в аварско-аиндо-цезских языках, „Язык и мышл.“, X, 1940.

ვ-აქეინნუ, ღ-აქეინნუ, ბ-აქეინნუ, რ-აქეინნუ; „გაქცევა“ (მრავლისა); მხ. რ.: ვ-უყიილუ, ღ-უყიილუ, ბ-უყიილუ, რ-უყიილუ „ქრა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-აყიილუ, ღ-აყიილუ, ბ-აყიილუ, რ-აყიილუ „ქრა“ (მრავლისა);

ასევე: (-)უხიილუ — (-)ახიილუ „გამოჩენა“, (-)უხიიინნუ — (-)ახიიინნუ „დაქრა“ (ნაწილ-ნაწილ), (-)უქიილუ — (-)აქიილუ „გადახდა“...

d) მხ. რ. უ — მრ. რ. თ (იშვიათად). მხ. რ.: ვ-ულინნუ, ღ-ილინნუ (← ღ-ულინნუ), ბ-ულინნუ, რ-ულინნუ „წასვლა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-ოლინნუ, ღ-ოლინნუ, ბ-ოლინნუ, რ-ოლინნუ „წასვლა“ (მრავლისა).

თუ ერთმანეთს შევეუბირისპირებთ მონაცვლე ხმოვნებს, ვნახავთ, რომ მხოლოდობითი რიცხვის ვ იწრო (დახურულ) ხმოვნებს (ი, უ) ენაცვლება მრავლობით რიცხვში ფართო (ლია) ხმოვნები: ყველაზე ღია ა ხმოვანი ან საშუალო ღიაობის თ ხმოვანი (ი — თ, ი — ა; უ — თ, უ — ა).

თუ მხოლოდობით რიცხვში ფართო ა ან საშუალო ღიაობის თ, ე ხმოვნები გვაქვს, ისინი მრავლობით რიცხვში უცვლელი რჩებიან და, მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში რიცხვი გაურჩეველია: შდრ.: მხ. რ. ა — მრ. რ. ა: [მხ. რ.: ვ-აჩუნნუ, ღ-აჩუნნუ, ბ-აჩუნნუ „ტარება“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-აჩუნნუ, ღ-აჩუნნუ, ბ-აჩუნნუ „ტარება“ (მრავლისა)]... მხ. რ. თ — მრ. რ. თ: [მხ. რ.: ვ-ოშინნუ, ღ-ოშინნუ, ბ-ოშინნუ, რ-ოშინნუ „მიბმა“ „დაბმა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-ოშინნუ, ღ-ოშინნუ, ბ-ოშინნუ, რ-ოშინნუ „მიბმა“, „დაბმა“ (მრავლისა)]... მხ. რ. ე — მრ. რ. ე: [მხ. რ. ვ-ელ'ილუ (← ვ-ელ'ილუ — § 54), ღ-ელ'ილუ, ბ-ელ'ილუ, რ-ელ'ილუ „სვლა“ (ერთისა) — მრ. რ.: ვ-ელ'ილუ (← ვ-ელ'ილუ), ღ-ელ'ილუ, ბ-ელ'ილუ, რ-ელ'ილუ „სვლა“ (მრავლისა)]...

ამრიგად, დაპირისპირება ფართო ხმოვნებისა ვიწრო ხმოვნებთან, ჩანს, გამოიყენება მორფოლოგიური ფუნქციით: გაგვარჩევინებს რიცხვს ზმნის უღვლილებში. მასთან, ხმოვანთა ასეთ მონაცვლეობას ზემოაღნიშნული ფუნქციით მხოლოდ კლას-ნიშნიან ზმნებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი (როგორც ვნახეთ, კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვნები მონაცვლეობენ ერთმანეთთან). უკლას-ნიშნო ზმნებში ფუძისეულ თავკიდურ ხმოვანთა ანალოგიური მონაცვლეობა არ დასტურდება (შდრ.: კლას-ნიშნიანი ზმნა: მხ. რ. ბ-იჩიილუ — მრ. რ. ბ-იჩიილუ „დაქრა“, მაგრამ: უკლას-ნიშნო ზმნა: მხ. რ. იჩიილუ — მრ. რ. იჩიილუ „მიცემა“...)¹.

¹ კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვანთა მონაცვლეობა ანალოგიური ფუნქციით დასტურდება ანდიური ჯგუფის ზოგ სხვა ენაშიც, კერძოდ, კამალალურში (А. Б о х а р е в, Чамал. яз. გვ. 76—77), ლოდობერიულში (Т. Е. Г у д и в а, К стро-



კლას-ნიშნიანი ზმნა აღნიშნული საშუალებით რიცხვს განარჩევს დრო-კილოთა ყველა ფორმაში (საილუსტრაციო მაგალითები ზემოთ სიმარტივისათვის მოყვანილი იყო მხოლოდ ინფინიტივის ფორმით).

რიცხვის აღნიშვნის პრინციპები კი იგივეა, რაც გრამატიკული კლასის აღნიშვნისა: გარდაუვალ ზმნაში აღინიშნება მრ. რიცხვი რეალური სუბიექტისა, გარდამავალში — რეალური ობიექტისა; შდრ.::

ა) გარდაუვალი ზმნა

<i>IS მხ. რ.</i>	<i>IS მრ. რ.</i>
ვოცაი ვ-ულონ	ვოცაულ ვ-ალონ
„ძმა წავიდა“	„ძმები წავიდნენ“
ჯოცაი ჟ-იყო	ჯოცაიბოლ ჟ-ოყო
„და მოვიდა“	„ღები მოვიდნენ“
ჩირაჯი ბ-იქვო	ჩირაჯოლ ბ-ოქვო
„სანთელი აინთო“	„სანთლები აინთნენ“
ინჩი ბ-იყუ	ინჩილ ბ-ოყუ
„ვაშლი დამწიფდა“	„ვაშლები დამწიფდნენ“

ბ) გარდამავალი ზმნა:

<i>IO მხ. რ.</i>	<i>IO მრ. რ.</i>
იმუდი ლ-უდი ბ-უყაი	იმუდი ლ-უდოლ ბ-აყაი
„მამამ შეშა დაჭრა“	„მამამ შეშები დაჭრა“ <sup>1</sup>
ილუდი კორკონ რ-ოლ'ონ	ილუდი კორკომილ რ-ოლ'ონ
„დედამ კვერცხი მოხარშა“	„დედამ კვერცხები მოხარშა“ <sup>1</sup>
დინ ბ-იყუ პამმან	დინ ჟ-ოყუ პამმანადულ
„მე დავკალი ცხვარი“	„მე დავკალი ცხვრები“

გარდამავალ ზმნათა მსგავსად სახელობითში დასმული რეალური ობიექტის რიცხვს აღნიშნავს ისეთი ზმნებიც. რომელთა რეალური სუბიექტი აფექტიურ ან ნათესაობით ბრუნვაშია; შდრ.: დიბო ბ-ოსონ ბესუნ „მე ვიპოვე დანა“ — დიბო ბ-ოსონ ბესუმოლ „მე

ნიკ) показателя грамматических классов в аварском языке. Языки Дагестана, II, 1954, გვ. 167). საინტერესოა, რომ ზემოთხსენებულ ენებში მხ. რიცხვის ვიწრო ღ და უ ხმოვნებს მრ. რიცხვში ენაცვლება მხოლოდ ყველაზე ფართო ა ხმოვანი. საფიქრებელია, ძველად ანდიურშიც ასე იყო: ო ხმოვანი სათანადო შემთხვევებში ა ხმოვისაგან უნდა იყოს მიღებული (§ 18).

<sup>1</sup> ძვ. ქართ. და კ რ - ნ - ა.

ვიპოვე დანები“... დივ ვ - უკულო ვოცოი „მე მყავს ძმა“ (ზედმიწ. „ჩემი არის ძმა“) — დივულ ვ-ოკულო ვოცოულ „მე მყავს ძმები“ (ზედმიწ. „ჩემნი არიან ძმები“).

ზმნის ფუძეში კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვნები გარკვეულ მორფოლოგიურ ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს დაღესტნურ სხვა ენებშიც; კერძოდ, ცნობილია, რომ ასეთ ხმოვანთა მონაცვლეობა ამ ჯგუფის ზოგ ენაში (დარგულში, ტაბასარანულში) გაგვარჩევენებს ასპექტს (ერთგზითი — მრავალგზითი)<sup>1</sup>. ერთი და იმავე საშუალებით რიცხვისა და ასპექტის გარჩევა დაღესტნურ სხვადასხვა ენებში ამ კატეგორიათა შორის გარკვეულ კავშირზე მიგვანიშნებს (ორივე არსებითად გამოხატავს „მოქმედების მრავლობითობას“ resp. „მოქმედების მრავალგზისობას“).

2. სპორადულად დასტურდება ფუძისეულ თანხმოვანთა მონაცვლეობის ფაქტებიც. ცალკეულ შემთხვევებში მხ. რიცხვის ფუძის არამაგარ თანხმოვანს მრ. რიცხვის ფუძეში შეიძლება ენაცვლებოდეს შესაბამისი მაგარი ვარიანტი: ხ/ხა (ხავ), შ/შა, არააბრუპტივს (ფშვინვიერსა და მელერს) — აბრუპტივი: ქა/კ, ჯ/კ. მრავლობითობის გამოხატვის ასეთი საშუალება არსებითად ექსპრესიული (სიმბოლიკური) ხასიათისაა. თანხმოვანთა მონაცვლეობის ზოგადი საფუძველი კი ასეთ შემთხვევებში უნდა იყოს წარმოთქმის ინტენსიურობა, რაც მრ. რიცხვის შინაარსს შეეფერება<sup>2</sup>; ყოველ შემთხვევაში, ამ საფუძველზე ადვილად აიხსნება არამაგარი თანხმოვნის შეცვლა შესაბამისი მაგარი თანხმოვნით (§ 39), არააბრუპტივისაგან აბრუპტივის მიღებასაც შესაძლოა ეგვევ საფუძველი ჰქონდეს<sup>3</sup>.

ასეთ შემთხვევებშიც ზმნაში მრავლობითობის აღნიშვნის პრინციპები იგივეა, რაც კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვანთა მონაცვლეობისას: გარდაუვალი ზმნა აღნიშნავს მრ. რიცხვს RS-ისას, ხოლო გარდამავალი — RO-ისას:

<sup>1</sup> А. А. Магомедов, Кубачинский язык, 1963, გვ. 160.

<sup>2</sup> შდრ. პრინციპულად ანალოგიური ფაქტები აფხაზურ ენაში: აფეჩარა „გატება“ და აფეჩაჩარა „დატება“ („გატება მრავლისა“); იხ.: ქ. ლომთათიძე. რედუბლიკაციის ფუნქციისათვის აფხაზურში, ენიშკი-ს მოამბე, V—VI, 1940.

<sup>3</sup> ამგვარ შესაძლებლობაზე ყურადღება მიგვაქცევინა ქ. ლომთათიძემ. შდრ. აკრუთე: В. И. Абаев, Смычно-гортавные согласные в осетинском (იხ. В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М.-Л., 1949, გვ. 522).

მხ. რ.	მრ. რ.
ბ	ხ ა გ
ბ-უხიღუ	ბ-უხაუღუ ← ბ-უხავიღუ (§ 43) „გახდა“
ბ-უხ-ო ჩაქმაპი	ბ-უხავ-ო ჩაქმაპოლ
„გაიხადე ჩექმა!“	„გაიხადე ჩექმები!“
შ	შ ა
შამმირ ჰინწო	შაარდირ ჰინწობილ
„ისერის ქვას“	„ისერის ქვეებს“
ქ ა	ქ
ვუქაუ „დავარდა“	ვუკუ „დავარდნენ“
დინ ვუქაუ კოთულაქუ	იშიილ ვუკუ კოთილაქუ
„მე ჩამოვევარდი ცხენიდან“	„ჩვენ ჩამოვევარდით ცხენებიდან“...
ჯ	ჭ
ჯაბი ბოწო	ჭაბდი ბოწულ
„მოკლა მგელი“	„მოკლა (დახოცა) მგლები“...

3. დასასრულ, იშვიათად (ზოგ ნაკვეთში) გამოიყენება მრავლობითობის სპეციალური სუფიქსიც. მრავლობითი რიცხვის სუფიქსს კერძოდ, -ულ სუფიქსს, რომელიც სახელებშიც გვაქვს) დაირთავს ყოველთვის წართქმითი (დადებითი) ბრძანებითი გარდაუვალი ზმნისა და უკუთქმითი (უარყოფითი) ბრძანებითიც, როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ზმნისა (ორსავე შემთხვევაში RS-ის მრავლობითობის აღსანიშნავად): გირდიბ „დაწეკი!“ — გირდიბულ „დაწეკით!“ ვ-ულომ „წადი!“ — ვ-ოლომ-ულ „წადით!“ [ამ უკანასკნელში მრავლობითობა ორმაგადაა გამოხატული: კლას-ნიშნის მომდევნო ხმოვნის აბლაუტით (იხ. ზემოთ: 1.) და სუფიქსის დართვით]... გირდოსაუბ „ნუ დაწევი!“ — გირდოსაუბ-ულ „ნუ დაწევიბით!“ იდოსაუბ „ნუ იზამ!“ — იდოსაუბ-ულ „ნუ იზამთ!“ და ა. შ. ბრძანებითის ეს ფორმები წარმოების მიხედვით, როგორც ამას თავის ადგილას ვნახავთ (§ 109,5; § 111), მიმლეობის ფორმებია (მრ. რიცხვის სუფიქსიც მათ ამიტომ დაერთვით). დრო-კილოთა სხვა—წმინდა ზმნურ — ფორმებს ჩვეულებრივ არ დაერთვის მრავლობითობის სუფიქსი (ცალკე გასათვალისწინებელია მრ. რიცხვის აღნიშვნა კაუზატიურ ზმნაში — § 115).

ანდიური ზმნის უღვლილებაში რიცხვის გარჩევის ძირითადი საშუალებაა არა სუფიქსაცია, არამედ კლას-ნიშნის მომდევნო ფუძისეული ხმოვნის (იშვიათად ფუძისეული თანხმოვნის) მონაცვლეობა, რაც სათანადო შემთხვევებში თანმიმდევრულადაა გატარებულ ზმნის ყველა ფორმაში (იხ. ზემოთ 1. და 2.)

§ 106. ზმნის გარდამავლობა. დაპირისპირება გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორის გამოხატულია სინტაქსურად (სუბიექტ-ობიექტის ბრუნვათა მიხედვით): რეალური სუბიექტი (RS) გარდაუვალი ზმნისა დაისმის სახელობით ბრუნვაში, გარდამავალი ზმნისა — ერგატიულ ბრუნვაში. გარდამავალ ზმნასთან ერგატივში დასმული რეალური სუბიექტის გარდა დაკავშირებულია სახელობით ბრუნვაში დასმული რეალური ობიექტიც (RO).

გარდაუვალი ზმნებია: ბიკულუ „ყოფნა“, ბილიდუ „დგომა“, ვირდუ „წოლა“, ტიხინნუ „დაძინება“, ბულინნუ „წასვლა“, ბიყი-დუ „მოსვლა“, აელლუ „გაქცევა“, ქალტუნნუ „მუშაობა“, ბიჩინნუ „გატყდომა“, ბიყუდუ „ზრდა“, „დამწიფება“, ბეყაუდუ „გაშრობა“, ლ'ობდუ „ხტომა“, ბიჟიდუ „მოკვდომა“ და ა. შ.

იმა („მამა“ -- RS სახ. ბრ.) ვუქეკო („იყო“)... ვულონ („წავი-და“)... გირდი („დაწვა“)... ტიხონ („დაძინა“)... ქალტუნნი („მუ-შაობა“) და ა. შ.

გარდამავალი ზმნებია: იდუ „კეთება“, ბეტეიდუ „ხება“, ბიხიდუ „აღება“, „ყიდვა“, ჯვარდუ „წერა“ ხაანნუ „თიბვა“, ბერ-ჭაიდუ „წველა“, ბილინნუ „ხარშვა“, ბეყიდუ „შეწვა“. ბიჩიდუ „დაქერა“, ბუყაიდუ „ჭრა“, ტინნუ „დასხმა“, ბაგუდუ „დათვლა“ და ა. შ.

იმუდი (RS ერგ. ბრ.) ხურ (RO სახ. ბრ.) ბეტეი „მამამ ყანა მოხნა“: ასევე: ვოცაჟუდი ლ'უდი ბუყაი „ძმამ შეშა გაქრა“... ილუ-დი ელლო იჰი „დედამ საკმელი გააკეთა“... ვოშუდი კოთუ ბიხი „ვაჭიშვილმა ცხენი იყიდა“... ინუდი ჰადმან ბიჯუ „მამამ ცხვარი დაკლა“... ილუდი ქინი ყ'იყ'აბშორ „დედა (ზედმიწ. დედამ) აკვანს (ზედმიწ. აკვანი) არწევს“ და ა. შ.

ულვლილება გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით გარდაუვალი ზმნისა სუბიექტურია (გარდაუვალი ზმნა რეალური სუბიექტის კლასისა და რიცხვის მიხედვით იცვლის ფორმებს), გარდამავალი ზმნისა — ობიექტური (გარდამავალი ზმნა იცვლება რეალური ობიექტის კლასისა და რიცხვის მიხედვით) (§§ 104, 105). დაპირისპირება გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს შორის შეიძლება თავს იჩენდეს ზოგი საულვლებელი ერთეულის წარმოების მხრივაც. კერძოდ, ბრძანებითის (// კ.)-წარმოების მხრივ (§ 108,1).

გარდა ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციებისა, რომელთაც ზმნათა უმეტესობა მოითხოვს, გარკვეული ზმნები შეიძლება ქმნიდეს აფექტიურ ან პოსესიურ კონსტრუქციებასაც (ასეთ ზმნებთან გვექნება რეალური ობიექტიც სახელობით ბრუნვაში):

აფექტიურ ბრუნვაში რეალური სუბიექტი დაესმის გრძობა-ალქმის გამომხატველ ზმნებს (*verba sentiendi*): ჰედეშაუბო (RS აფექტ. ბრ.) ყ'ვანნაბ მიწაი (RO სახ. ბრ.) წინნო „მან ანდიური ენა იცის“... დიბო კოთუ ჰაყ'ილო „მე ცხენს ვხედავ“... დიბო ქეკი ანლი „მე სიმღერა გავეგონე“... ვოშუბო ჯვარდირ ბილდო „ვაქიშვილს წერა შეუძლია“... ჰედეშაურო ხაუჩა პილუდო „მას წიგნი უყვარს“...

ეს კონსტრუქცია ძველი და გარდაუვალი ზმნისეული ჩანს (ისევე, როგორც ხუნძურში შესაბამის ზმნათა დატიური და ლოკატიური კონსტრუქციები<sup>1</sup>); სათანადო ზმნათა ეკვივალენტები ქართულში ინვერსიული ზმნებია: პილუდო დიბო ჰედებ (*ხუნძ. ბოტაულა დიჟე დობ*) – ქართ. „მიყვარს მე იგი“... ჰაყ'ილო დიბო ჰედებ (*ხუნძ. ბიხ'ულა დიდა დობ*) ქართ. „მიჩს მე იგი“...<sup>2</sup> ბრძანებითის ფორმები, რომელთა წარმოება კარგ საკონტროლო საშუალებას იძლევა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა გასარჩევად, მათ გარდაუვალ ზმნათა შესაფერისი აქვთ.

პოსესიურ (ნათესაობითიან) კონსტრუქციას ანდიურში ისევე, როგორც ხუნძურში, ქმნის მხოლოდ „არის“ (ბიკუდო, ი) ზმნა, როცა იგი „ჰყავს“, „აქვს“ მნიშვნელობით იხმარება: ვოცაუბ (RS ნათ. ბრ.) კოთუ (RO სახ. ბრ.) ბიკუდო (შდრ. *ხუნძ. ვაცაასულ ჩუ ბუკუნა*) „ძმას ცხენი აყავს“ (*შედმიწ. „ძმისა ცხენი არის“*)... ეს მეშველი ზმნა, ცხადია, გარდაუვალია (მაშინაც, როცა იგი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება და ქმნის ნომინატიურ კონსტრუქციას და მაშინაც, როცა „ჰყავს“, „აქვს“ მნიშვნელობით პოსესიურ კონსტრუქციაში მონაწილეობს).

გარდამავალი ზმნის ხმარება გარდაუვალის მნიშვნელობით. გარდამავალ ზმნას შეიძლება გარდაუვალის მნიშვნელობაც ჰქონდეს: იმავე ზმნას, რომელსაც რეალური სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში უკავშირდება, ხოლო რეალური ობიექტი — სახელობით ბრუნვაში, შეიძლება უკავშირდებოდეს მხოლოდ რეალური სუბიექტი სახელობით ბრუნვაში (რომელიც გარდამავალ ზმნასთან რეალური ობიექტის როლში გვევლინება): შდრ.: ილუდი (RS ერგ. ბრ.) რი-

<sup>1</sup> ხუნძურში გრძობა-ალქმის ზმნები (*verba sentiendi*) ორი სახის კონსტრუქციას შეიძლება ქმნიდეს: ლოკატიურსა და დატიურს, ანდიურში კი შეაბამისი მნიშვნელობის ზმნები მხოლოდ აფექტიურ კონსტრუქციას მოითხოვს.

<sup>2</sup> ხუნძ. დატიურ და ლოკატიურ კონსტრუქციათა მიმართ აჰას აღნიშნავს არნ. ჩიკობავა (*„ხუნძ. ენა“*, § 145).

ტის (RO სახ. პრ.) ბეჭა „დედამ ხორცი შეწვა“ (გრდმ.) — რიტის (RS სახ. პრ.) ბეჭა „ხორცი შეიწვა“ (გრდუე.); ასევე: ილუდი კორკონ რილ'ონ „დედამ კვერცი მოხარშა“ (გრდმ.) — კორკონ რილ'ონ „კვერცი მოხარშა“ (გრდუე.); ვოშუდი ჰინწაუ არხონ „ვაფიშვილმა კარი გაალო“ (გრდმ.) — ჰინწაუ არხონ „კარი გაილო“ (გრდუე.); ილუდი ქინი ყ'იყ'აბშორ „დედა (ზედმიწ. დედამ) აკვანს (ზედმიწ. აკვანი) არწევს“ (გრდმ.) — ქინი ყ'იყ'აბშორ „აკვანი ირწევს“ (გრდუე.) და ა. შ.

ანდიურში ამ მხრივ სავსებით იგივე ვითარება გვაქვს, რაც ხუნძური ენიდან არის ცნობილი<sup>1</sup>.

მიზეზიც ორივე ენაში ერთია: გვართა (მოქმედ., ვნებ.) გაურჩევლობა<sup>2</sup>; ბეჭა (ხუნძ. ბეჭანა) შეიძლება ნიშნავდეს, როგორც „შეწვა“ (მოქმედ.), ისე „შეიწვა“ (ვნებ.) და ა. შ. (განსხვავება მხოლოდ სინქტაქსურ კონსტრუქციაში დაჩნდება).

გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავლის წარმოება. გარდამავალი ზმნისაგან არ იწარმოება შესაბამისი გარდაუვალი ზმნა (ვნებითი გვარისა): ამის საჭიროება არც არის, რაკი ყოველ გარდამავალ ზმნას, როგორც ვნახეთ, ისედაც შეიძლება ჰქონდეს გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობა შესაბამისი სინქტაქსური კონსტრუქციით. მაგრამ, მეორე მხრივ, რაკი გარდაუვალ ზმნას ჩვეულებრივ არ შეიძლება ამავე დროს ჰქონდეს გარდამავლის მნიშვნელობაც, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში გარდაუვალი ზმნისაგან უნდა ვაწარმოოთ შესაბამისი გარდამავალი ზმნა.

ანდიურში, ისევე, როგორც ხუნძურში<sup>3</sup>, გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავლის წარმოება დაკავშირებულია კაუზატივის წარმოებასთან. კაუზატივის წარმოებას ცალკე შევხებით (§ 115). აქ აღენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ იმავე საშუალებით, რა საშუალებითაც უშუალო გზის გარდამავალი ზმნისაგან იწარმოება შუა-

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები, ენშემი-ს მოამბე, XII, გვ. 234—237; A. A. Бокарев, Синтаксис аварского языка, М.-Л., 1949, გვ. 39—50; „ხუნძ. ენა“, § 145—146.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა, დასახ. შრ.; „ხუნძ. ენა“, § 146.

აქ ანდიური მასალის მიხედვითაა ილუსტრირებული ის დებულებები ზმნის გარდამავლობისა და გვარის საკითხთან დაკავშირებით, რაც ხსენებულ შრომებში ხუნძური (და სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა) მასალის ანალიზის შედეგადაა მიღებული.

<sup>3</sup> შდრ. ხუნძ. ენა, § 147.

ლობითი გზის ზმნა (შდრ., მაგალ.: არაკაუზატ. გრდმ. ბუყი „გაქრა“, ბახონ „შეკერა“ → კაუზატ. გრდმ. ბუყოლი „გააქრევენა“, ბახონლი „შეაკერინა“ და ა. შ.) შეიძლება ვაწარმოოთ გარდაუვალი ზმნისაგან შესაბამისი გარდამავალი ზმნაც უშუალო გზისა (შდრ.: გრდუფ. გირდი „დაწვა“, ტიხონ „დაიძინა“... — გრდმ. გირდოლი „დააწვინა“, ტიხონლი „დააძინა“; ასევე: ვუქი „ადგა“ — ვუქოლი „ააყენა“, ჰოყუ ვუქო „დაჯდა“ — ჰოყუ ვუქოლი „დასვა“, ბელერა „გაინძრა“ — ბელეროლი „გაანძრია“, ჰელი „გაიქცა“ — ჰელილი „გააქცია“, ვოლი „გაიცინა“ — ვოლილი „გააციანა“, ვორჰან „გაუხარდა“ — ვორჰონლი „გაახარა“, ვუშო „დაბრუნდა“ — ვუშოლი „დააბრუნა“, ბიკო „მოკვდა“, „გაფუქდა“ — ბიკოლი „მოაკვდინა“, „მოკლა“; „გააფუქა“ და ა. შ.).

რეალური სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა მისგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნასთან რეალური ობიექტის როლში გვევლინება და ამას ემატება რეალური სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში; შდრ.: მოქი (RS სახ. ბრ.) გირდი „ბავშვი დაწვა“ (გრდუფ.) — ილუდი (RS ერგ. ბრ.) მოქი (RO სახ. ბრ.) გირდოლი „დედამ ბავშვი დააწვინა“ (გრდმ.)... ასევე: მოქი ტიხონ „ბავშვმა (ზედმიწ. ბავშვი) დაიძინა“ (გრდუფ.) — ილუდი მოქი ტიხონლი „დედამ ბავშვი დააძინა“ (გრდმ.); ჰელი ვუქო „ის დაჯდა“ (გრდუფ.) — ჰელიშიდი ჰელი ვუქოლი „მან ის დასვა“ (გრდმ.); კოთუ ჰელი „ცხენი გაიქცია“ (გრდუფ.) — ვოცაუდი კოთუ ჰელილი „ძმამ ცხენი გააქცია (გააქცენა)“ (გრდმ.) და ა. შ.

ასეთი კონსტრუქცია (RS-ით ერგ. ბრუნვაში და RO-ით სახ. ბრუნვაში) ნაწარმოები გარდამავალი ზმნისათვის სტაბილურია: იგი არ შეიძლება შეცვლილ იქნეს — იმავე ზმნასთან — გარდაუვალი ზმნისათვის შესაფერისი კონსტრუქციით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაწარმოები გარდამავალი ზმნისათვის შეუთავსებელია გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობა, რაც უცხო არ არის პირველადი გარდამავალი ზმნისათვის. გირდოლი „დააწვინა“, ტიხონლი „დააძინა“ და ა. შ. ამავე დროს უკვე არ შეიძლება ნიშნავდეს „დაწვა“, „დაიძინა“ და ა. შ. (ამ მნიშვნელობით მათ შეიძლება უპირისპირდებოდეს ის გარდაუვალი ზმნები, რომელთაგანაც ნაწარმოები არიან ისინი: გირდი „დაწვა“, ტიხონ „დაიძინა“ და ა. შ. — ეს მაშინ, როდესაც ყოველი პირველადი გარდამავალი ზმნა შეიძლება იხმარებოდეს გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობითაც შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციით).

ნაწარმოები გარდამავალი ზმნა (გირდოლ'ი „დააწვინა“, ტიხონლ'ი „დააძინა“ და ა. შ.); ჩანს, იქნებ მოქმედებითი გვარის მნიშვნელობას და სწორედ ამ მნიშვნელობით უპირისპირდება იგი ამოსავალ გარდაუვალ ზმნას (გირდი „დაწვა“, ტიხონ „დაიძინა“ და ა. შ.); სტაბილურ სინტაქსურ კონსტრუქციასაც ეს უნდა განსაზღვრავდეს<sup>1</sup>.

პირველადი გარდამავალი ზმნებიც კი ზოგჯერ ტენდენციას იჩენენ — იმავე საშუალებით, რითაც გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალი ზმნა იწარმოება — იქცნენ სტაბილური კონსტრუქციის გარდამავალ ზმნებად (მოქმედებითი გვარისა): არ ხონ (ჰედეშადი ჰინწაუ არ ხონ „მან კარი გააღო“ ან: ჰინწაუ არხონ „კარი გაიღო“) → არ ხონლ'ი (ჰედეშადი ჰინწაუ არხონლ'ი „მან კარი გააღო“); ასევე: ბიწი („აავსო“; „აივსო“) → ბიწოლ'ი („აავსო“), ბიუნ („გაადნო“; „გადნა“) → ბიონლ'ი („გაადნო“) და ა. შ. ასეთ შემთხვევებშიც მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბებასთან გვაქვს საქმე<sup>1</sup>.

ამგვარად ნაწარმოები გარდამავალი ზმნა (მოქმედებითი გვარისა), ამოსავალია მისთვის შესაბამისი გარდაუვალი ზმნა თუ პირველადი გარდამავალი ზმნა, უშუალო გზისაა. მასვე შეიძლება ჰქონდეს შუალობითი გზის (resp. კაუზატიური) მნიშვნელობაც, თუ კონსტრუქციაში ჩაერთვის ის პირიც, რომელსაც აიძულებენ მოქმედების შესრულებას (ესაა ირიბი ობიექტი — § 115).

მოძრაობის გამომხატველი გარდაუვალი ზმნები გარდამავლის მნიშვნელობით. ყოველ გარდამავალ ზმნას, როგორც ვნახეთ. შეიძლება ჰქონდეს გარდაუვალი ზმნის მნიშვნელობაც, მაგრამ პირიქით მხოლოდ გარკვეული სემანტიკური ჯგუფის გარდაუვალი ზმნები შეიძლება ვიხმართ გარდამავლის მნიშვნელობითაც. ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) მოძრაობის გამომხატველი გარდაუვალი ზმნები (რეალური სუბიექტით სახელობით ბრუნვაში) შეიძლება გამოყენებული იყოს გარდამავლის მნიშვნელობითაც (რეალური სუბიექტით ერგატიულ ბრუნვაში და რეალური ობიექტით სახელობით ბრუნვაში): შდრ.:

ვოცაი (RS სახ. ბრ.) ვუყ'ო „ძმა მოვიდა“ (გრდუვ.) — ვოცაუდი (RS ერგატ. ბრ.) ჰომოლოლი (RO სახ. ბრ.) ვ-უყ'ო „ძმამ ამხანაგი მოიყვანა“ (გრდმ.); იმუდი (RS ერგატ. ბრ.) რეშლ'იქუ ლ'უდი (RO სახ. ბრ.) ბ-იყ'ო „მამამ ტყიდან შეშა მოიტანა“ (გრდმ.)...

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში..., ენაშკის მოამბე, XII, გვ. 233.



იმა (R.S სახ. ბრ.) რეზლ'ი ვულონ „მამა ტყეში წავიდა“ (გრდუე.)—იმუდი (I.S ერგ. ბრ.) რეზლ'ი ვოზო (R.C სახ. ბრ.) ვ-უ-ლონ „მამამ ტყეში ვაეიშვილი წაიყვანა“ (გრდმ.)...

აქ სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციები (გარდაუვალი ზმნის შესაფერისი და გარდამავალი ზმნის შესაფერისი) გაგვარჩევენებს ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებსაც („მოსვლა“— „მოყვანა“ „მოტანა“, -წასვლა“— „წაყვანა“ ; „წალბა“)¹.

§ 107. დრო-კილოთა და საუღვლშავალ ეართუღთა შახა-ხამ (ზოგადი შენიშვნები). გარჩეულია დროები: აწმყო, ნამყო და მყოფადი. აწმყო ორია: აწმყო ზოგადი (ანუ აწმყო განუსაზღვრელი) და აწმყო კონკრეტული (ანუ აწმყო განსაზღვრული)². ნამყო დროში გარჩეულია: ნამყო ძირითადი (აორისტი)³, ნამყო უსრული, ნამყო სრული (პერფექტი) და ნამყო წინარესრული (პლუსკვამ-პერფექტი). მყოფადი კი ერთია (ზოგ თქმაში მის მნიშვნელობას აწმყო ზოგადი ითავსებს).

აწმყო ზოგადი, ნამყო ძირითადი და მყოფადი გამოხატავენ შესაბამისი მნიშვნელობით მხოლოდ დროულ მინაარსს: აწმ. ზოგ. ბე ტ ე ი დ ო „ხნავს“—ნამ. ძირ. ბე ტ ე ი „მონხა“—მყოფ. ბე ტ ე ი დ ი ა „მონხავს“... დანარჩენი ერთეულები კი

¹ სხედუ ზამანალლა უნსოქოლადი გურჟიფალ'იქუ ვ-უყ' ო დ უ მოკი ჰო-წოლ'ილოთბეუ-ჰოწოლ'იროყ'ოგუ რეშინლ'ი „ძველ (წინანდელ) დროს თსო-ქოლოლეებს საქართველოდან მოუყვანიათ ბავშვი ცამეტი-თოთხმეტი წლისა“ (ხლბა.); წდრ. სხვა კონტექსტში: ვ ე ყ' ო დ უ [ჰედუ] „მოსულა [ის]“ (გრ დ უ ვ.).

...ჰედუ... შუდილა მიკოლლუ მილინნო „ის (ქალი) დასამარხავად (საუ-ლავეში ჩასადებად) მიჰყავთ“ (ეს ნაგალითი ა. დირის მიერ ჩაწერილი ტექს-ტიდანა: АНД შმ., გვ. 87). აქ მილინნო = „მიჰყავთ“: კლას-ნიშანი ა მიუთითებს RO-ზე (ვინც მიჰყავთ: ჰედუ „ის“). ა. დირა ამ ზმნას შეცდომით თარგმნის როგორც „მი დ ი ა ნ“ და გაკვირვებული შენიშნავს: „пошелъ здесь მილინნო ა მე ვოლინნო ошн идут?“ (იხ. ტექსტის ბოლოში [გვ. 86] დართული შენიშვნე-ბი). ეს, ცხადია, იმიტომ, რომ მილინნო, როგორც ზემოთ ითქვა, ამ კონ-ტექსტში აღნიშნავს „მიჰყავთ“ (და არა „მი დ ი ა ნ 'ისინი“, როგორც ეს ა. დირს ჰგონია) და ამდენად იგი სრულიად კანონზომიერია.

² აწმყოს ეს ორი სახეობა, როგორც ცნობილია, გარჩეულია ხენძურშიცა და ხუნძ.-ანდ.-დიდ. სხვა ენებშიც. ზოგჯერ საკუთრივ აწმყო დროდ ნიანიით მხო-ლოდ აწმყო კონკრეტული, აწმყო ზოგადი კი ისეთ „დროდ“, რომელიც გამოხა-ტავს მოქმედებას „ყველა დროში“, „საუბრის მომენტთან შეფარდების გარეშე“-ო (იხ., მაგალ.: М. С. Сандов, Авар мац. грам. I. МахIаухъаа, 1958, გვ. 121: А. Бокарев, Чымаа. яз., გვ. 89). სინამდვილეში კი აწმყო კონკრე-ტულიცა და აწმყო ზოგადიც ორივე აწმყო დროა (განსხვავების შესახებ იხ. ქვ.).

³ ტერმინი „ნამყო ძირითადი“ გახაზავს იმას, რომ ეს ნაკვი ძირი-თადია—წარმოებითაც და მნიშვნელობითაც—ნამყო დროის სხვა ნაკვთებს შორის (არნ. ჩ ი კ ო ბ ა ვ ა).

სათანადო დრონი დამატებით გამოხატავენ ამა თუ იმ კონკრეტულ მნიშვნელობებს მოქმედების ხასიათის თვალსაზრისით (ასპექტი, სტატიკურობადღინამიკურობა)<sup>1</sup>. ასე, აწმყო კონკრეტული და ნამყო უსრული თავისი შინაარსით უსრული ასპექტისა და დინამიკურია: წარმოგვიდგენს მოქმედებას პროცესის სახით (მის მიმდინარეობაში): აწმ. კონკრ. ბეტჰირ „ხნავს“, „ხენის პროცესშია“, გირდირ „წვება“, ტჰიხომადო „ეძინება“ და ა. შ.; ნამ. უსრ.: ბეტჰირ ბილი „ხნავდა“, გირდირ ვული „წვებოდა“, ტჰიხომადო ვული „ეძინებოდა“ და ა. შ.; ხოლო ნამყო სრული (პერფექტი) ნამყო წინარესრულით (პლუსკვამპერფექტი) — სრული ასპექტისა და სტატიკურია: წარმოგვიდგენს მოქმედებას შედეგის სახით (მდგომარეობაში): ნამ. სრ. ბეტჰირდუ „მობხული აქვს“, „მოუხნავს“. გირდიდუ „დაწოლილია“, „წვეს“, ტჰიხონდუ „დაძინებულია“, „სძინავს“ და ა. შ.; ნამ. წინარესრ.: ბეტჰირდუ ბილი „მობხული ჰქონდა“, „მოუხნა“, გირდიდუ ბილი „დაწოლილი იყო“, „იწვა“, ტჰიხონდუ ბილი „დაძინებული იყო“, „ეძინა“ და ა. შ. შედეგის მიხედვით ნამყო სრულს აწმყოს (აწმყო შედეგობითის) გაგებაც შეიძლება ჰქონდეს (ხოლო ნამყო წინარესრულს — ნამყო შედეგობითისა). ზოგჯერ მასვე შეიძლება ჰქონდეს ნამყოს თურმეობითის მნიშვნელობაც, რაც სათანადო შემთხვევებში ნაწარნობები მნიშვნელობაა, ანოსავალია პერფექტული მნიშვნელობა (როგორც ხუნძურში)<sup>2</sup>.

კილოებიდან ძირითადია: თხრობითი, ბრძანებითი, ნატვრითი, პირობით-ნატვრითი და პირობით-შედეგობითი. გარჩეულია აგრეთვე მოდალური შინაარსის ფორმა, რომელიც მოქმედების შესრულების განზრახვას გამოხატავს („განზრახული აქვს“, „აპირებს“...).

დრო-კილოთა ფორმები შეადგენენ ზმნის საუღვლე ბელერთეულებს, რომელთა შიგნით ზმნა იცვლება (იუღვლის) გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით. ასეთ ერთეულებს განეკუთვნება, აგრეთვე, ინფინიტივისა და მასდარის, მიმღეობისა და აბსოლუტივის ფორმებიც, რომლებიც ისევე იცვლება (იუღვლის) გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით, როგორც დრო-კილოთა ფორმები და, მასთან, სინტაქსური კონსტრუქციაც (სუბიექტ-ობიექტის ბრუნვათა მიხედვით) ზმნისებური აქვთ.

წარმოების მიხედვით საუღვლებელი ერთეული შეიძლება იყოს მარტივი (სინთეზური); რომელსაც გარკვეული ფორმანტი აწარმოებს, ან აღწერთი (ანალიზური), რომელშიც მეშველი ზმნაც იღებს მონაწილეობას. მარტივ ერთეულებში, თავის მხრივ, გასარ-

<sup>1</sup> ამ მხრივ ანდიურში იგივე ვითარებაა, რაც ხუნძურში (შდრ.: „ხუნძ. ენა“, §5 177—178; აგრეთვე: А. Божарев, Синтаксис авар. яз., გვ. 103—128).

<sup>2</sup> А. Божарев, Синтаксис авар. яз., გვ. 121—122: „ხუნძ. ენა“, გვ. 332.

ჩვეია ძირითადი ერთეულები (ზმნის ძირითადი ფორმები) და ნაწარმოები ერთეულები, რომლებიც ამა თუ იმ ძირითადი ერთეულისაგან (მისი მზამზარეული ფორმისაგან) იწარმოება. (საუღლებელ ერთეულთა წარმოების შესახებ იხ. ქვ., სადაც არის ცდა ეს ერთეულები განხილული იქნეს მათ ურთიერთობაში წარმოების მიხედვით)<sup>1</sup>.

### § 108. ზმნის ძირითადი ფორმები და მათი წარმოება.

1. ზმნის ძირითად ფორმებს განეკუთვნება: 1. ინფინიტივი, 2. აწმყო ზოგადი, 3. მყოფადი, 4. ნამყო ძირითადი და, აგრეთვე, 5. ბრძანებითი, მაგრამ მხოლოდ გარდამავალი ზმნისა (გარდაუვალი ზმნის ბრძანებითი ნამყო ძირითადისაგან იწარმოება—§ 109,5).

2. ძირითად ფორმათა ორი წყება ამოხავალი ფუძის მიხედვით. ზმნათა უმრავლესობა ძირითად ფორმათა საწარმოებლად განარჩევს ორ ამოსავალ ფუძეს. ფორმათა ერთი წყება ამოსავლად იყენებს ერთ ფუძეს, ფორმათა მეორე წყება—მეორე ფუძეს. პირველი ფუძისაგან, რომელსაც პირობით შეიძლება ვუწოდოთ აწმყო ზოგადის ფუძე, იწარმოება—პირველი (აწმყო ზოგადის) წყების—ფორმები: 1. ინფინიტივი, 2. აწმყო ზოგადი და 3. მყოფადი, ხოლო მეორე ფუძისაგან, რომელსაც პირობით შეიძლება ვუწოდოთ ნამყო ძირითადის ფუძე, იწარმოება—მეორე (ნამყო ძირითადის) წყების—ფორმები: 4. ნამყო ძირითადი და 5. ბრძანებითი.

პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძე (აწმყო ზოგადის ფუძე) იწარმოება საუღლებელი ზმნის ფუძისაგან სპეციალური სუფიქსებით, რომელთაც დაერთვის ამ წყების ფორმათა დაბოლოებები, ხოლო მეორე წყების ფორმათა ამოსავალი ფუძე (ნამყო ძირითადის ფუძე) უდრის საუღლებელი ზმნის ფუძეს რაიმე საწარმოებელი სუფიქსის გარეშე; მას უშუალოდ დაერთვის ამ წყებაში შემავალ ფორმათა დაბოლოებები<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შტრ.: R. Erekert, Die Sprachen des Kaukasischen Stammes. II. გვ. 185; А. Дирр. Анд. яз. гв. 47—72; მისივე. Einführung. გვ. 190—195; Я. Сулейманов. Автореферат. გვ. 23—29; აგრეთვე: N. Troubetzkoy, Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchéno-lesghiennes (Caucasiques-orientales). Bull. de la Société de Linguistique de Paris, t. 29, fasc. 3 (№ 88), Paris, 1929; G. Dumézil, Recherches comparatives sur le verbe caucasien, Paris, 1933; Т. Е. Гудаява, Сравнительный анализ глагольных основ в аварском и андийских языках, Махачкала, 1959.

<sup>2</sup> დრო-კილოთა ფორმების საწარმოებლად ორი ამოსავალი ფუძის გარჩევა (მარტივი ფუძისა, რომელსაც ჩვეულებრივ იყენებს ნამყო ძირითადი ანუ აორისტი და მასთან დაკავშირებული ფორმები, და ნაწარმოები ფუძისა, რომ-

ამრიგად, ძირითად ფორმათა ს რ უ ლ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ე ბ ი, რომლებიც გამოიყოფა საუღვლეველი ზმნის ფუძისაგან (ე. ი. უღვლელების პარადიგმის ყველა ერთეულისათვის საერთო ნაწილისაგან), შეიცავენ: პირველი წყების ფორმებში ფუძის საწარმოებელ (სავრცობ) სუფიქსებს (საერთოს ამ წყებაში შემავალი ყველა ფორმისათვის) და მომდევნო დაბოლოებებს (განსხვავებულს შესაბამის ფორმათა მიხედვით), ხოლო მეორე წყების ფორმებში — მარტო დაბოლოებებს.

არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც ორივე წყების ფორმებში ერთსა და იმავე ამოსავალ ფუძეს იყენებს, ასეთი — ერთ ფუძიანი — ზმნები მეორეულია (მათ შესახებ იხ. ქვ.: 8).

შენიშვნა 1. თუ რამდენფუძიანია ზმნა (ორფუძიანი თუ ერთფუძიანი), ეს აწმყო ზოგადისა (რესუ. ინფინიტივისა ან მყოფადისა) და ნამყო ძირითადის (რესუ. ბრძანებითის) ფორმათა შეპირისპირებით ირკვევა:

შენიშვნა 2. თუ ლექსიკონში ზმნები წარმოდგენილი იქნება ინფინიტივის ფორმით, რომელიც პირველ ფუძეს (აწმყო ზოგადის) ფუძეს იყენებს, დამატებით საკმარისია ნაჩვენები იყოს ნამყო ძირითადის ფორმა: ამ ორი ფორმის დასახელებით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ დანარჩენ ფორმებზეც (მასთან, როგორც ამოსავალი ფუძის, ისე დაბოლოებათა მიხედვით).

3. პირველი წყების ძირითად ფორმათა (ინფინიტივის, აწმყო ზოგადისა და მყოფადის) ამოსავალი ფუძე და დაბოლოებანი. პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძე, რომელსაც აწმყო

მგლსაც ჩვეულებრივ იყენებს აწმყო და მასთან დაკავშირებული ფორმები) ახასიათებს სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებსაც: შდრ., მაგალ.: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953. § 449; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, კანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936, § 39; მ ი ს ი ე ე, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის კავკასიურ ენებში:... ენიშკის მოამბე, XII, 1942, გვ. 223; ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სეანური ენა, I, ზმნა, ტფილისი, 1931, გვ. 72; В. Н. П а ш ч в а д в е, Грамматический анализ удинского языка (Автореферат докторской диссертации). Тбилиси, 1949, გვ. 13; ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, აფხაზური ზმნის ძირითად დრო-კილოთა სისტემა, იფე, VII, 1956, გვ. 213; Д. С. И м н а й ш и л и, Дядошский язык в сравнении с гинухским и хваршинским языками, Тбилиси, 1963, § 117.

ანდიური ზმნის ორფუძიანობის შესახებ აღვნიშნავდით მოხსენებაში „დროთა წარმოებისათვის ანდიურში“ (წაკითხული იყო 1949 წ. აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტში, რომლის სამეცნ.-კვლევითი მუშაობის გეგმითაც იგი იყო შეარულებული).

ზოგადის ფუძეს ვუწოდებთ, იწარმოება საუღვლებელი ზმნის ფუძისაგან სუფიქსებით (სხვადასხვა ზმნებში): ა) -ი(→ || -უ)დ, ბ) -ი(→ || -უ)ნ.

ეს სუფიქსები, როგორც ჩანს, შეიცავენ განსხვავებულ თანხმოვნითს ელემენტებს (დ-სა და ნ-ს) და საერთო ხმოვნითს ელემენტს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ თემატური ხმოვანი<sup>1</sup>. უკანასკნელის ვარიაციები შეპირობებულია ფონეტიკურად: -ი→ || -უ—საუღვლებელი ზმნის ფუძის ბოლოკიდური ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით (§ 43).

დაბოლოებებად ამ წყების ფორმებს დაერთვით (ფუძის საწარმოებელი სუფიქსის შენდეგ): ინფინიტივში -უ, აწმყო ზოგადში -ო, მყოფადში -ია. ეს დაბოლოებები აქვთ ხსენებულ ფორმებს ყველა ზმნაში. დაბოლოებათა წინ ფუძის საწარმოებელი -ი(→ || უ)ნ სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტი გაორმაგებულია (ნნ).

ამრიგად, პირველი წყების ძირითად ფორმათა სრული ფორმანტიებია (ამოსავალი ფუძის საწარმოებელი სუფიქსითა და მომდენო დაბოლოებებით): 1. ინფინიტივში: ა) -ი(→ || უ)დ-უ, ბ) -ი(→ || უ)ნნ-უ; 2. აწმყო ზოგადში: ა) -ი(→ || უ)დ-ო, ბ) -ი(→ || უ)ნნ-ო; 3. მყოფადში: ა) -ი(→ || უ)დ-ია, ბ) ი(→ || უ)ნნ-ია;

4. მეორე წყების ძირითად ფორმათა (ნამყო ძირითადისა და გარდამავალი ზმნის ბრძანებითის) ამოსავალი ფუძე და დაბოლოებანი. მეორე წყების ფორმათა ამოსავალი ფუძე მარტივია; იგი როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, უდრის საუღვლებელი ზმნის ფუძეს რაიმე საწარმოებელი (საერცობი) სუფიქსის გარეშე. მას დაერთვის დაბოლოებები: 1. ნამყო ძირითადში: ა) -ი(→ || უ—ფუძის ბოლოკიდური ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით—§ 43) || -ო || -ა; ბ) -ი-ნ(→ || -უ-ნ—ფუძის ბოლოკიდური ლაბიალიზებული თანხმოვნის გავლენით—§ 43) || -ო-ნ || -ა-ნ, 2. ბრძანებითში: ა) -ო, ბ) -ო-ნ (მაგალითები იხ. ქვ.). როგორც ჩანს, ნამყო ძირითადშიცა და ბრძანებითშიც გარჩეულია ორი რიგის დაბოლოებები (სხვადასხვა ზმნებში): ა) ოდენ ხმოვნის შემცველი და ბ) ხმოვნისა და მომდენო ნ თანხმოვნის შემცველი.

5. უღვლილების ტიპებისა (და ქვეტიპების) შესახებ ძირითად ფორმათა წარმოების მხრივ. იმ სხვაობაზე დამყარებით, რაც სხვა-

<sup>1</sup> N. Troubetzkoy, Notes sur les désinences du verbe dans les langues tchéchéno-lesghiennes...

დასხვა ზმნებში თავს იჩენს, ერთის მხრივ, პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებელ სუფიქსთა მიხედვით (დაბოლოებები კი ამ წყების ფორმებს ერთი და იგივე აქვთ ყველა ზმნაში) და, მეორე მხრივ, მეორე წყების ფორმათა დაბოლოებების მიხედვით, შეიძლება გარჩეული გვექონდეს უღვლილების ტიპები (და ქვეტიპები); სახელდობრ: ა) პირველი უღვლილება: დ თანხმოვნის სუფიქსით პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებლად და შესაბამისად ოდენ ხმოვნის შემცველი დაბოლოებებით მეორე წყების ფორმებში: ინფ. -ი(→ || -უ)დ-უ, აწმ. ზოგ. -ი(→ || -უ)დ-ო, მყოფ. -ი(→ || -უ)დ-იაა-ნამ. ძირ. -ი(→ || -უ) || -ო || -ა, ბრძან. -ო; ბ) მეორე უღვლილება: ნ (ნნ) თანხმოვნის სუფიქსით პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებლად და შესაბამისად ხმოვნისა და მომდევნო ნ თანხმოვნის შემცველი დაბოლოებებით მეორე წყების ფორმებში: ინფ. -ი(→ || -უ)ნნ-უ, აწმ. ზოგ. -ი(→ || -უ)ნნ-ო, მყოფ. -ი(→ || -უ)ნნ-იაა-ნამ. ძირ. ი-(→ || -უ)ნ || -ო-ნ || -ა-ნ, ბრძან. -ო-ნ.

ქვეტიპები უღვლილების თითოეული ტიპის შიგნით შეიძლება გარჩეული გვექონდეს ნამყო ძირითადის დაბოლოებისეულ ხმოვანთა ვარიანტების შესაბამისად (იხ. ზემოთ).

6. ძირითად ფორმათა საწარმოებელი სრული ფორმანტების ხქემა. ქვემოთ მოგვყავს სქემა ძირითად ფორმათა საწარმოებელი სრული ფორმანტებისა (ფუძის საწარმოებელი სუფიქსებითა და მომდევნო დაბოლოებებით) უღვლილების ტიპების შესაბამისად (ან დის თქმის მონაცემთა მიხედვით).

წყებები	ფორმები	ფორმანტები			
		I უღვლილება		II უღვლილება	
		ფუძის საწარმოებელი სუფიქსი	დაბოლოება	ფუძის საწარმოებელი სუფიქსი	დაბოლოება
I	ინფინიტივი	{ -ი(→    უ)დ	-უ	{ -ი(-    უ)ნ	-უ
	აწმყო ზოგადი		-ო		-ო
	მყოფადი		-იაა		-იაა
II	ნამყო ძირითადი	{ -	-ი(-    -უ)    -ო    -ა	{ -	-ი(-    -უ)-ნ    -ო-ნ    -ა-ნ
	ბრძანებითი (გრძმ.)		-ო		-ო-ნ

ძირითად ფორმათა პარადიგმები ორფუძიანი ზმნებისა უღვლილების ტიპებისა და ქვეტიპების შესაბამისად (ან დის ტიპის მონაცემთა მიხედვით).

I. პირველი უღვლილები: დ თანხმოვნის სუფიქსით პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებლად და შესაბამისად ოდენ ხმოვნის დაბოლოებით მეორე წყების ფორმებში.

I, 1.<sup>1</sup> ინფ. -ილ-უ, აწმ. ზოგ. -ილ-ო, მყოფ. -ილ-ია — ნამ. ძირ. -ი, ბრძან. (გრძმ.) -ო:

ინფ. ბეტ-ილ-უ „ხენა“, აწმ. ზოგ. ბეტ-ილ-ო, მყოფ. ბეტ-ილ-ია — ნამ. ძირ. ბეტ-ი, ბრძან. ბეტ-ო;

ინფ. ბუყა-ილ-უ -კრა“, აწმ. ზოგ. ბუყა-ილ-ია — ნამ. ძირ. ბუყა-ი, ბრძან. ბუყა-ო;

ინფ. ბიხ-ილ-უ „ალება“, „ყიდეა“, აწმ. ზოგ. ბიხ-ილ-ო, მყოფ. ბიხ-ილ-ია — ნამ. ძირ. ბიხ-ი. ბრძან. ბიხ-ო;

ინფ. ბიჩა-ილ-უ „დაქერა“, აწმ. ზოგ. ბიჩა-ილ-ო, მყოფ. ბიჩა-ილ-ია — ნამ. ძირ. ბიჩა-ი, ბრძან. ბიჩა-ო;

ინფ. ილ-უ -კეთება“, აწმ. ზოგ. ილ-ო, მყოფ. ილ-ია — ნამ. ძირ. იპ-ი, ბრძან. იპ-ო:

შენიშვნა. ანდის ტიპში ამ ზმნას ნამყო ძირითადის წყებაში იპ- ფუძე აქვს, ხოლო აწმყო ზოგადის წყებაში მოკლებულია ფუძეს (ილ-, რომელსაც დაბოლოებები დაერთვის, ამ წყების ამოსავალი ფუძის საწარმოებელი სუფიქსისა, თუმცა ზმნური ფუძე გვაკლია!). ლალათლის ტიპში ამ ზმნის ფუძეა ჯ || ჯი-(←\*გი — § 36): ინფ. ჯ-ილ-უ -კეთება“, აწმ. ზოგ. ჯ-ილ-ო, მყოფ. ჯ-ილ-ია — ნამ. ძირ. ჯი(← ჯი-ი), ბრძან. ჯი-ო.

ინფ. ბილ-ილ-უ „დგომა“, აწმ. ზოგ. ბილ-ილ-ო, მყოფ. ბილ-ილ-ია — ნამ. ძირ. ბილ-ი [ბრძან. ბილ-ი-ბ]²...

ეს ქვეტიპი ყველაზე აროდუქტიულია უღვლილების მოცემული ტიპის შიგნით.

I, 2. ინფ. -ულ-უ(←...ვ-ილ-უ), აწმ. ზოგ. -ულ-ო(←...ვ-ილ-ო), მყოფ. -ულ-ია(←...ვ-ილ-ია) — ნამ. ძირ. -უ(←...ვ-ი), ბრძან. ...'ვ'-ო:

<sup>1</sup> პირველი (რომაული) ციფრი აღნიშნავს უღვლილების ტიპს, მეორე (არაბული) ციფრი — ქვეტიპს.

<sup>2</sup> გარდაუვალი ზმნის ბრძანებითის ფორმა, როგორც ნაწარმოები (და არა ძირითადი) ფორმა (იწარმოება ნამყო ძირითადისაგან — § 109.5). მოგვეყვას მხოლოდ პარადიგმის სისრულისათვის (და ჩასმულია დიდ ფრჩხილებში).

<sup>3</sup>...ვ აღნიშნავს საუღვლებელი ზმნის ფუძის ბოლოკიდური ლაბიალიზებული თანხმოვნის ლაბიალურ კომპონენტს, რომლის გავლენითაც, ვვარაუდობთ, მრმ-

ინფ. ბიჯ-ულ-უ (← ბიჯვ-იდ-უ; შდრ. ხუნძ ქვ-ეზე) „დაკვლა“, აწმ. ზოგ. ბიჯ-ულ-ო (← ბიჯვ-იდ-ო), მყოფ. ბიჯ-ულ-იჲა (← ბიჯვ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. ბიჯ-უ (← ბიჯვ-ი), ბრძან. ბიჯ'ვ'-ო;

ინფ. ბიყ'-ულ-უ (← ბიყ'ვ-იდ-უ) „დამწიფება“; „ზრდა“; „კმარე-ბა“, აწმ. ზოგ. ბიყ'-ულ-ო (← ბიყ'ვ-იდ-ო), მყოფ. ბიყ'-ულ-იჲა (← ბიყ'ვ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. ბიყ'-უ (← ბიყ'ვ-ი) [ბრძან. ბიყ'-უ-ბ];

ინფ. ბეყა-ულ-უ (← ბეყავ-იდ-უ; შდრ. ხუნძ. ბაყვაზე) „გაშრობა“; „გახმობა“, აწმ. ზოგ. ბეყა-ულ-ო (← ბეყავ-იდ-ო), მყოფ. ბეყა-ულ-იჲა (← ბეყავ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. ბეყა-უ (← ბეყავ-ი) [ბრძან. ბეყა-უ-ბ]...

I, 3. ინფ. -იდ-უ, აწმ. ზოგ. -იდ-ო, მყოფ. -იდ-იჲა — ნამ. ძირ. -ო, ბრძან. -ო;

ინფ. აბჩ-იდ-უ „რეცხვა“; „ღაღანა“, აწმ. ზოგ. აბჩ-იდ-ო, მყოფ. აბჩ-იდ-იჲა — ნამ. ძირ. აბჩ-ო, ბრძან. აბჩ-ო;

ინფ. ბიქ-იდ-უ „მოკვდომა“, აწმ. ზოგ. ბიქ-იდ-ო, მყოფ. ბიქ-იდ-იჲა — ნამ. ძირ. ბიქ-ო [ბრძან. ბიქ-ო-ბ];

ინფ. ბიშ-იდ-უ „დაბრუნება“, აწმ. ზოგ. ბიშ-იდ-ო, მყოფ. ბიშ-იდ-იჲა, ნამ. ძირ. ბიშ-ო [ბრძან. ბიშ-ო-ბ]...

I, 4. ინფ. -ულ-უ (← ...ვ-იდ-უ), აწმ. ზოგ. -ულ-ო (← ...ვ-იდ-ო), მყოფ. -ულ-იჲა (← ...ვ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. ..[ვ'-ო; ბრძან. ...[ვ'-ო;

ინფ. როქ-ულ-უ (← როქვ-იდ-უ) „შკა“, აწმ. ზოგ. როქ-ულ-ო (← როქვ-იდ-ო), მყოფ. როქ-ულ-იჲა (← როქვ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. როქვ-ო, ბრძან. როქვ-ო;

ინფ. ბიქ-ულ-უ (← ბიქვ-იდ-უ) „ანთება“, აწმ. ზოგ. ბიქ-ულ-ო (← ბიქვ-იდ-ო), მყოფ. ბიქ-ულ-იჲა (← ბიქვ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. ბიქვ-ო, ბრძან. ბიქვ-ო;

ინფ. ბიკ-ულ-უ (← ბიკვ-იდ-უ) „ყოფნა“, აწმ. ზოგ. ბიკ-ულ-ო (← ბიკვ-იდ-ო), მყოფ. ბიკ-ულ-იჲა (← ბიკვ-იდ-იჲა) — ნამ. ძირ. ბიკვ-ო [ბრძან. ბიკვ-ო-ბ]...

I, 5. ინფ. -იდ-უ, აწმ. ზოგ. -იდ-ო, მყოფ. -იდ-იჲა — ნამ. ძირ. -ა, ბრძან. -ო;

ინფ. აბე-იდ-უ „დაწყება“, აწმ. ზოგ. აბე-იდ-ო, მყოფ. აბე-იდ-იჲა — ნამ. ძირ. აბე-ა, ბრძან. აბე-ო;

ინფ. ბოლ-იდ-უ „ჩაცმა“, აწმ. ზოგ. ბოლ-იდ-ო, მყოფ. ბოლ-იდ-იჲა — ნამ. ძირ. ბოლ-ა, ბრძან. ბოლ-ო;

დევნო ფორმანტიკული ო ხმოვანი შეცვლილია უ ხმოვნით (თვითონ ვ დაკარგულია უ ხმოვნის წინ—§ 43); შდრ. აგრეთვე ქვ.: I, 4,6; II, 2,4.



ინფ. ბოქ-იდ-უ „არჩევა“, „შერჩევა“, აწმ. ზოგ. ბოქ-იდ-ო, მყოფ. ბოქ-იდ-იდა — ნამ. ძირ. ბოქ-ა, ბრძან. ბოქ-ო;

ინფ. ბელერლ-იდ-უ „განძრევა“, აწმ. ზოგ. ბელერლ-იდ-ო, მყოფ. ბელერლ-იდ-იდა — ნამ. ძირ. ბელერლ-ა [ბრძან. ბელერლ-ა-ბ]...

I, 6. ინფ. -უდ-უ (←... ვ-იდ-უ), აწმ. ზოგ. -უდ-თ (←... ვ-იდ-თ)-მყოფ. -უდ-იდა (←... ვ-იდ-იდა) — ნამ. ძირ. ... ვ-ა, ბრძან. ... ვ-თ:

ინფ. ბაგ-უდ-უ (← ბაგვ-იდ-უ), „დათვლა“, აწმ. ზოგ. ბაგ-უდ-ო (← ბაგვ-იდ-ო), მყოფ. ბაგ-უდ-იდა (← ბაგვ-იდ-იდა) — ნამ. ძირ. ბაგვ-ა, ბრძან. ბაგვ-ო.

I, 7. ამ ქვეტიცაში შეიძლება გავაერთიანოთ ათემატური ზმნები, რომელთა პირველი წყ. ფორმების ამოსავალი ფუძის საწარმოებელ სუფიქსს დაკარგული აქვს თემატური ხმოვანი და შემონახული აქვს ოდენ თანხმოვნითი ელემენტი (დ). ინფ. -დ-უ (←-იდ-უ), აწმ. ზოგ. -დ-ო (←-იდ-ო), მყოფ. -დ-იდა (←-იდ-იდა) — ნამ. ძირ. ი- || -ო || ა. ბრძან. -ო:

ინფ. ბეშა-დ-უ (← ბეშა-იდ-უ) „ქსოვა“, აწმ. ზოგ. ბეშა-დო (← ბეშა-დო ← ბეშა-იდ-ო), მყოფ. ბეშა-დიდა (← ბეშა-იდ-იდა) — ნამ. ძირ. ბეშა-ი, ბრძან. ბეშა-ო;

ინფ. კუტეშა-დ-უ (← კუტეშა-იდ-უ) „დაკაკუნება“, აწმ. ზოგ. კუტეშა-დო (← კუტეშა-იდ-ო), მყოფ. კუტეშა-დიდა (← კუტეშა-იდ-იდა) — ნამ. ძირ. კუტეშა-ო, ბრძან. კუტეშა-ო:

ინფ. ბე-დ-უ (← ბეთ-დ-უ ← ბეთ-იდ-უ), აწმ. ზოგ. ბე-დ-ო (← ბეთ-იდ-ო), მყოფ. ბე-დიდა (← ბეთ-იდ-იდა) — ნამ. ძირ. ბეთ-ა, ბრძან. ბეთ-ო...

II. მ ე ო რ ე უ ღ ვ ლ ი ლ ე ბ ა: 6 (ნნ) თანხმოვნითი სუფიქსით პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებლად და შესაბამისად ხმოვნისა და მოძღვენო 6 თანხმოვნის შემკველი დაბოლოებებით მეორე წყების ფორმებში:

II, 1. ინფ. -ინნ-უ, აწმ. ზოგ. -ინნ-ო, მყოფ. -ინნ-იდა — ნამ. ძირ. -ი-6, ბრძან. -ო-6:

ინფ. რაწა-ინნ-უ „შეკითხვა“, აწმ. ზოგ. რაწა-ინნ-ო, მყოფ. რაწა-ინნ-იდა — ნამ. ძირ. რაწა-ინ, ბრძან. რაწა-ონ;

ინფ. ბუსა-ინნ-უ „დაჭრა (ნაწილებად)“, აწმ. ზოგ. ბუსა-ინნ-ო, მყოფ. ბუსა-ინნ-იდა — ნამ. ძირ. ბუსა-ინ, ბრძან. ბუსა-ონ...

ინფ. ბუჭა-ინნ-უ „გაქცევა“, აწმ. ზოგ. ბუჭა-ინნ-ო, მყოფ. ბუჭა-ინნ-იდა — ნამ. ძირ. ბუჭა-ინ [ბრძან. ბუჭა-იმ];

II, 2. ინფ. -უნნ-უ (←...ვ-ინნ-უ), აწმ. ზოგ. -უნნ-ო (←...ვ-ინნ-ო), მყოფ. -უნნ-იჲა (←...ვ-ინნ-იჲა) — ნამ. ძირ. -უნ (←...ვ-ინ), ბრძან. -ონ:

ინფ. ბიკა-უნნ-უ (←ბიკავ-ინნ-უ; შდრ. ხუნძ. კავ-ენე) „გადა-  
ყლაპვა“, აწმ. ზოგ. ბიკა-უნნ-ო (←ბიკავ-ინნ-ო), მყოფ. ბიკა-უნნ-იჲა  
(←ბიკავ-ინნ-იჲა) — ნამ. ძირ. ბიკა-უნ (←ბიკავ-ინ), ბრძან. ბიკავ-ონ;

II, 3. ინფ. -ინნ-უ, აწმ. ზოგ. -ინნ-ო, მყოფ. -ინნ-იჲა — ნამ. ძირ.  
-ონ, ბრძან. -ონ:

ინფ. ბიჩ-ინნ-უ „მოყვანა“, აწმ. ზოგ. ბიჩ-ინნ-ო, მყოფ. ბიჩ-ინნ-  
იჲა — ნამ. ძირ. ბიჩ-ონ, ბრძან. ბიჩ-ონ;

ინფ. ჰიტ-ინნ-უ „თქმა“, აწმ. ზოგ. ჰიტ-ინნ-ო, მყოფ. ჰიტ-ინ-  
ნ-იჲა — ნამ. ძირ. ჰიტ-ონ, ბრძან. ჰიტ-ონ;

ინფ. ბახ-ინნ-უ „კერვა“, აწმ. ზოგ. ბახ-ინნ-ო, მყოფ. ბახ-ინ-  
ნ-იჲა — ნამ. ძირ. ბახ-ონ, ბრძან. ბახ-ონ;

ინფ. ბულ-ინნ-უ „წასვლა“, აწმ. ზოგ. ბულ-ინნ-ო, მყოფ. ბულ-  
ინნ-იჲა — ნამ. ძირ. ბულ-ონ [ბრძან. ბულ-ომ]...

ეს ქვეტები ყველაზე პროდუქტიულია უღვლილების მოცემუ-  
ლი ტიპის შიგნით.

II, 4. ინფ. -უნნ-უ (←...ვ-ინნ-უ), აწმ. ზოგ. -უნნ-ო (←...ვ-ინ-  
ნ-ო), მყოფ. -უნნ-იჲა (←...ვ-ინნ-იჲა) — ნამ. ძირ. ...ვ-ონ, ბრძან.  
...ვ-ონ:

ინფ. იქ-უნნ-უ (←იქვ-ინნ-უ; შდრ. ხუნძ. ქვანაზე) „კამა“, აწმ.  
ზოგ. იქ-უნნ-ო (←იქვ-ინნ-ო), მყოფ. იქ-უნნ-იჲა (←იქვ-ინნ-იჲა) —  
ნამ. ძირ. იქვ-ონ, ბრძან. იქვ-ონ.

II, 5. ინფ. -ინნ-უ, აწმ. ზოგ. -ინნ-ო, მყოფ. -ინნ-იჲა — ნამ. ძირ.  
-ან, ბრძან. -ონ:

ინფ. ბილ-ინნ-უ „სროლა“, აწმ. ზოგ. ბილ-ინნ-ო, მყოფ. ბილ-  
ინნ-იჲა — ნამ. ძირ. ბილ-ან, ბრძან. ბილ-ონ;

ინფ. ბოს-ინნ-უ „მბობა“, აწმ. ზოგ. ბოს-ინნ-ო, მყოფ. ბოს-ინ-  
ნ-იჲა — ნამ. ძირ. ბოს-ან, ბრძან. ბოს-ონ...

8. ერთფუძიანი ზმნები. პირველი წყების ფორმათა ამოსავალი  
ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებელი სუფიქსი შეიძლება  
ზოგჯერ შეუხორცდეს საუღვლებელი ზმნის ფუძეს და გაჰყვეს მას  
მეორე წყების ფორმებშიც. სათანადო შემთხვევებში იშლება გან-  
სხვავება პირველ და მეორე წყებათა ამოსავალ ფუძეებს შორის და  
ხდება მათი გათანაბრება. ამ გზითაა მიღებული ერთფუძიანი ზმნე-  
ბი, კერძოდ, ანდის თქმაში (მუნიბისა და ქვანხიდათლის თქმებში  
შეიძლება გვექონდეს სხვა წარმოშობის ერთფუძიანი ზმნებიც — იხ.  
ქვ.: 9). აღნიშნულ თქმაში ყველა ერთფუძიანი ზმნა მიღებულია მე-

ორე უღვლილების ორფუძიანი ზმნებისაგან, ე. ი. ისეთი ზმნებისაგან, რომელთა პირველი წყ. ფორმათა ფუძის საწარმოებლად უნდა გვქონოდა ღ თანხმოვნის სუფიქსი.

ყველა შემთხვევაში, როცა ეს სუფიქსი ფუძესაა შეხორცებული, იგი თემატური ხმოვნის გარეშეა (თემატური ხმოვნით ფუძეს არასდროს არ უხორცდება). ჩანს, თემატური ხმოვნის დაკარგვა (-იღ → -ღ), რაც დასტურდება ფუძისეული გარკვეული თანხმოვნების (პირველ ყოვლისა, სონანტების და, აგრეთვე, ზოგი სხვა თანხმოვნის) შემდეგ (ფონეტიკური საფუძელის შესახებ იხ. § 14), ხელს უწყობს სუფიქსის ფუძესთან შემტკიცებას (გარკვეულ კომპლექსებში შესაძლოა წინამაგვალ ფუძისეულ თანხმოვანთან ასიმილირებული სახითაც)<sup>1</sup>.

შეხორცებულ -ღ (←-იღ) სუფიქსს ვპოვებთ, კერძოდ, ფუძის ბოლოკიდური რ და ზ თანხმოვნების შემდეგ: შდრ. (მაგალითები მოგვყავს პირველი წყების ფორმებიდან მხოლოდ ინფ. ფორმაში, მეორე წყების ფორმებიდან კი მხოლოდ ნამ. ძირ. ფორმაში, რაკი სხვა ფორმების გათვალისწინება ადვილია): ჯვარ-ღ-უ „წერა“ — ჯვარ-ღ-ი, გირ-ღ-უ „წოლა“ — გირ-ღ-ი, ბურ-ღ-უ „ფრენა“ — ბურ-ღ-ი, ყაორ-ღ-უ „ყვირილი“ — ყაორ-ღ-ი, საორ-ღ-უ „ტრიალი“ — საორ-ღ-ი, ფარ-ღ-უ „გამგზავრება“ — ფარ-ღ-ი, ქურ-ღ-უ „თრევა“ — ქურ-ღ-ი, სირ-ღ-უ „შეშინება“ — სირ-ღ-ი, ტარ-ღ-უ „გაქცევა“ — ტარ-ღ-ი, კარ-ღ-უ „ღებინება“ — კარ-ღ-ი... ლ'იბ-ღ-უ „ხტომა“ — ლ'იბ-ღ-ი, ლ'იბ-ღ-უ „ხერეპა“ — ლ'იბ-ღ-ი, ჯაბ-ღ-უ „მოკვლა“ (მრავლისა), „დახოცვა“ — ჯაბ-ღ-ი, ჯაფ-ღ-უ (← ჯაბ-ღ-უ: ფ ← ბ — თავკიდურ ჯ-სთან ასიმილაციით) „დახევა“; „დაგლეჯა“ — ჯაფ-ღ-ი, ჯაბ-ღ-უ → || ჯაბ-უ „დარტყმა“; „მოკვლა“ — ჯაბ-ღ-ი → || ჯაბ-ი... ყველა ასეთ შემთხვევაში -ღ-ს დაკარგული აქვს თემატური ხმოვანი: ე. ი. უნდა გვქონოდა: ჯვარ-იღ-უ „წერა“ — ჯვარ-ი „დაწერა“... ლ'იბ-იღ-უ „ხტომა“ — ლ'იბ-ი „გადახტა“... ამჟამად კი გვაქვს: ჯვარ-ღ-უ „წერა“ — ჯვარ-ღ-ი... ლ'იბ-ღ-უ „ხტომა“ — ლ'იბ-ღ-ი...

შეხორცებული -ღ (←-იღ) ემსგავსება ფუძის ბოლოკიდურ ნ, მ, ლ თანხმოვნებს (§ 42) და დამსგავსებული გადაპყვება მეორე წყ. ფორმებში: ნ-ღ → ნ-ნ: ტინ-ნ-უ (← ტინ-ღ-უ; შდრ.: ბოთლიხ. ტინ-ღ-ი; კარატ. ტინ-ღ-ა<sup>2</sup>...) „დასხმა“ — ტინ-ნ-ი (← ტინ-ღ-ი) „დაას-

<sup>1</sup> შდრ. А. Д и р р, Анд. яз., გვ. 51; Т. Е. Г у д а в а. Сравнительный анализ глагольных основ..., გვ. 29, 31; Я. С у л е я н о в, Автореферат. გვ. 23.

<sup>2</sup> ბოთლიხურსა, კარატულსა და სხვ. ანდიურ ენებში ყველა ზნა ანეამად ერთფუძიანია, ორფუძიანობის კვალი დაჩნდება ზოგჯერ ფუძეს შეხორცებულ -ღ-

ხა<sup>4</sup>, ხაან-ნ-უ (← ხაან-დ-უ; შდრ. კარატ. ხაან-დ-ა) „თიბვა“ — ხაან-ნ-ი (← ხაან-დ-ი) „მოთიბა“; ასევე: წინ-ნ-უ „ცოდნა“ — წინ-ნ-ი, ტან-ნ-უ „წვეა“ — ტან-ნ-ი, შუნ-ნ-უ „ყნოსვა“ — შუნ-ნ-ი, შაუნ-ნ-უ „მიფრქვევა“; „მიყრა“ — შაუნ-ნ-ი, წაუნ-ნ-უ „წურვა“ — წაუნ-ნ-ი, პალტუნ-ნ-უ „მუშაობა“ — პალტუნ-ნ-ი, ბაკარუნ-ნ-უ „შეგროვება“ — ბაკარუნ-ნ-ი, ტან-ნ-უ „წვეა“ — ტან-ნ-ი...; მ-დ → მ-მ: ტამ-მ-უ (← ტამ-დ-უ; შდრ. ხუნძ. ტამ-ი-ზე ← ტამ-ი-დე<sup>1</sup>, ანდალ. ტამ-დე<sup>1</sup>) „დაფენა“ — ტამ-მ-ი (← ტამ-დ-ი) „დააფინა“; ასევე: ყამ-მ-უ „კბენა“ — ყამ-მ-ი, ქამ-მ-უ „ღეკვა“ — ქამ-მ-ი, ჯამ-მ-უ „მოტაცება“ — ჯამ-მ-ი, წაიმ-მ-უ „ჩქმეტა“ — წაიმ-მ-ი, ქაიმ-მ-უ „გალიმება“ — ქაიმ-მ-ი, ხავომ-მ-უ „ხვრინვა“ — ხავომ-მ-ი, შაომ-მ-უ „სტვენა“ — შაომ-მ-ი, ლამ-მ-უ „ლოკვა“ — ლამ-მ-ი...; ლ-დ → ლ-ლ: პელ-ლ-უ (← პელ-დ-უ) „გაქცევა“ — პელ-ლ-ი (← პელ-დ-ი) „გაიქცა“; ასევე: კელ-ლ-უ „უხანა“; „კაწვრა“ — კელ-ლ-ი, ქოლ-ლ-უ „ცურვა“ — ქოლ-ლ-ი...

ზოგ ერთფუძიან ზმნაში დ ფუძისეული ხმოვნის შემდეგაა (და ასეთ პოზიციაში მეორდება იგი ყველა ფორმაში შესაბამის დაბოლოებათა წინ): ხოდ-უ „თხოვნა“ — ხოდ-ი, წაად-უ „დაღევა“ — წაად-ი, უპუდ-უ „ხველა“ — უპუდ-ი, თუდ-უ, „ფურთხება“ — თუდ-ი, ფუდ-უ „ბერვა“ — ფუდ-ი, პოპოდ-უ „ჭიხინი“ — პოპოდ-ი, ქუდ-უ „კრა“ — ქუდ-ი... ასეთ შემთხვევებში დ შესაძლოა იყოს საუღვლებელი ზმნის ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი, რომლის შემდეგ სუფიქსისეული დ (←-იდ) დაკარგულია: წაად-უ ← წაად-დ-უ<sup>2</sup> (← წაად-იდ-უ) „დაღევა“, „სმა“... ან თვითონ იყოს სუფიქსისეული თანხმოვანი, რომელსაც თემატური ხმოვანი დაკარგული აქვს ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის მომდევნოდ: წაად-უ (← წაად-დ-უ) ← წაად-იდ-უ „დაღევა“, „შესმა“... ფუდ-უ (← ფუდ-დ-უ) ← ფუდ-იდ-უ „ბერვა“ და ა. შ.<sup>3</sup>

სუფიქსნი (იხ. ზემოთ მაგალითები): შდრ.: Т. Е. Гудача, Сравнительный анализ глагольных основ... გვ. 27—43; З. М. Магомедбекова, Образование основных времён в каратинском языке. УЗИИЯЛ Дагост. фил. АН СССР, т. V, 1958.

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, ინფინიტის დიალექტური ვარიაციები ხუნძურში, ენიკოს-ს მთაბე. I. 1937.

<sup>2</sup> როგორც ანას ა. დირი ვარაუდობს (А. Дирр, Анд. яз., გვ. 51).

<sup>3</sup> როგორც ეს ხდება ხუნძურში (თემატური ხმოვანი • ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ ჩვეულებრივ იკარგება): ფუ-ზე (← || ფუ-ზე) ← ფუ-იზე (← ფუ-იდ-ე) „ბერვა“... კვა-ზე (← კვა-ზე) ← კვა-იზე (← კვა-იდ-ე) „მოკვლა“... (იხ. ხუნძ. ენა<sup>4</sup>, გვ. 250, 272).

ერთფუძიან ზმნათა ფორმები უნიფიცირებულია არა მხოლოდ ამოსავალი ფუძის მიხედვით (მხედველობაშია ორივე წყების ფორმებში ერთი და იმავე ფუძის ხმარება), არამედ დაბოლოებათა მიხედვითაც. დაბოლოებათა ის ვარიაციები, რაც ერთფუძიან ზმნებს ახასიათებს მეორე წყების ფორმებში, უცხოა ერთფუძიანი ზმნებისათვის. ყველა ერთფუძიანი ზმნა ნამყო ძირითადში დაირთავს მხოლოდ -ი დაბოლოებას; ხოლო ბრძანებითში — -თ დაბოლოებას.

ქვემოთ მოგვყავს ერთფუძიან ზმნათა ძირითადი ფორმების საწარმოებელ სრულ ფორმანტთა სქემა (ანდის თქმის მონაცემებით).

წყებები	ფორმები	ფორმანტები	
		ფუძის საწარმოებელი სუფიქსი (ფუფეს შეორცებული)	დაბოლოება
I	ინფინიტივი	} (-ილ→)-ლ-  -ნი-მ  -ლ	-უ
	აწმყო ზოგადი		-ო
	მყოფადი		-იჲა
II	ნამყო ძირითადი	}	-ო
	ბრძანებითი		-თ

9. ძირითად ფორმათა წარმოების თავისებურებანი თქმებში. ძირითად ფორმათა წარმოების მხრივ ანდიურ თქმებში რიგი თავისებურება დასტურდება (იმასთან შედარებით, რაც ზემოთ აღნიშნული გვექონდა ანდის თქმის მონაცემების მიხედვით).

1) რიკვანიის თქმაში პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (აწმყო ზოგადის ფუძის) საწარმოებელი სუფიქსი მეორე უღვლილების ზმნებში კარგავს თემატურ ხმოვანს (ი-ს) და შემოგვინახავს ოდენ თანხმოვნითს ელემენტს (ღ-ს): -ილ → -ღ:

ინფ. ბუყა-ღ-უ (შდრ. ანდ. ბუყა-ილ-უ) „კრა“, აწმ. ზოგ. ბუყა-ღ-ო (ანდ. ბუყა-ილ-ო), მყოფ. ბუყა-ღ-იჲა (ანდ. ბუყა-ილ-იჲა);

ინფ. ბეტა-ღ-უ (შდრ. ანდ. ბეტა-ილ-უ) „ხენა“, აწმ. ზოგ. ბეტა-ილ-ო (ანდ. ბეტა-ილ-ო), მყოფ. ბეტა-ღ-იჲა (ანდ. ბეტა-ილ-იჲა);

ასევე (მოგვყავს მხოლოდ ინფინიტივის ფორმები): ბიხა-ღ-უ (← ბიხ-ღ-უ — § 24) (შდრ. ანდ. ბიხ-ილ-უ) „აღება“; „ყიღვა“, ბატა-ღ-უ (← ბატ-ღ-უ — § 24) (შდრ. ანდ. ბალ-ილ-უ) „სწავლა“, „წაკითხვა“, ჰაყა-ღ-უ (← ჰაყ-ღ-უ — § 24) (შდრ. ანდ. ჰაყ-ილ-უ) „ღა-

ნახვა- ბიყ-დ-უ (← ბიყ'-დ-უ — § 24) (შდრ. ანდ. ბიყ'-იდ-უ) „მო-სელა“, ბერქე-დ-უ (შდრ. ანდ. ბერქე-იდ-უ) „წველა“, რულ'-დ-უ (შდრ. დად. რულ'-იდ-უ) „თქმა“, „ლაპარაკი“ და ა. შ.

თემატური *o* ხმოვნის დაკარგვის ცალკეული შემთხვევები პირველი უღვლილების ზმნებში, როგორც ვნახეთ, დამახასიათებელია ანდის თქმისათვისაც, მაგრამ რიკვანის თქმაში, განსხვავებით ანდის თქმისაგან, აღნიშნულ მოვლენას სისტემატური ხასიათი აქვს (ანდის თქმაში *o* იკარგვის მხოლოდ გარკვეული თანხმოვნების შემდეგ. ხოლო რიკვანის თქმაში — ყველა თანხმოვნის შემდეგ. მოვლენის ფონეტიკური საფუძვლის შესახებ იხ. § 14)<sup>1</sup>. იმავე უღვლილების ზმნებში უ (← *o*) ხმოვანი რიკვანის თქმაშიც დაცულია ამოუღებლად: ინფ. ბიკ-უდ-უ (ანდ. ბიკ-უდ-უ) „ყოფნა“, აწმ. ზოგ. ბიკ-უდ-ო (ანდ. ბიკ-უდ-ო), მყოფ. ბიკ-უდ-ია (ანდ. ბიკ-უდ-ია)... მეორე უღვლილების ზმნებს თემატური ხმოვანი (*o*-ცა და მისი ვარიანტი უ-ც) რიკვანის თქმაშიც (ისევე, როგორც სხვა თქმებში) დაცული აქვთ ყველა შემთხვევაში (ბახ-ინნ-უ „კერვა“, აწმ. ზოგ. ბახ-ინნ-ო, მყოფ. ბახ-ინნ-ია და ა. შ.).

შენიშვნა. რიკვანის თქმაში თემატური *o* ხმოვნის სინკოპირება (ისეთ შემთხვევებში, როცა იგი ანდის თქმაში დაცულია) არ იწვევს -დ სუფიქსის ფუძესთან შეხორცებას და ორფუძიანობის მოშლას პირველი და მეორე წყ. ფორმათა წარმოებისას; შდრ. ინფ. ბუყა-დ-უ (ბუყა-იდ-უ) „ქრა“ — ნამ. ძირ. ბუყა-ი და ა. შ.

2) ისეთ შემთხვევებში, როცა ანდის თქმაში ფუძეს შეხორცებული -დ (← -იდ) სუფიქსი გვაქვს (იხ. ზემოთ: ერთფუძიანი ზმნები), დაღათლის თქმაში ეს სუფიქსი თანხმოვანთა მომდევნოდ დაკარგულია (რ-დ → რ, ბ-დ → ბ): ჯვარ-უ (შდრ. ანდ. ჯვარ-დ-უ ← ჯვარ-იდ-უ) „წერა“, ყაორ-უ (ანდ. ყაორ-დ-უ ← ყაორ-იდ-უ) „ყვირილი“, ტაარ-უ (ანდ. ტაარ-დ-უ ← ტაარ-იდ-უ) „მოგლეჯა“, „მოწყვეტა“, გირ-უ (ანდ. გირ-დ-უ ← გირ-იდ-უ) „წოლა“... ლ'იბ-უ (ანდ. ლ'იბ-დ-უ ← ლ'იბ-იდ-უ) „ხტომა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შდრ. სამხრ.-ბუნძურ კილო-თქმებში თემატური *o* ხმოვნის სინკოპირება ინფინიტივის ფორმებში (სისტემატურად); ანწუბ., კარ. ბაქ-ზი (შდრ. ბუნძახ. ბაქ-ე-ზე) „დანთება“ და ა. შ. („ხუნძ. ენა“, § 162).

<sup>2</sup> შდრ.: Т. Е. Гудава, Сравнительный анализ глагольных основ... გვ. 30—31.

3) ყველაზე მეტ განსხვავებას ადასტურებს ქვემოანდიური (მუნიბისა და ქვანხიდათლის) თქმები. აქ ანდისა და სხვა ზემოანდიურ თქმებთან შედარებით თავისებურებებს ამელავენბს, როგორც ამოსავალი ფუძე, ისე სათანადო ფორმათა დაბოლოებები.

ქვემოთ მოგვეყავს სქემა ძირითად ფორმათა სრული ფორმანტებისა ქვემოანდიურ თქმათა მონაცემების მიხედვით (შდრ. ზემოთ იგივე სქემა ანდის თქმის მონაცემების მიხედვით).

წყებები	ფორმები	ფორმანტები			
		I უღვლილება		II უღვლილება	
		ფუძის საწარმოებელი სუფიქსი	დაბოლოება	ფუძის საწარმოებელი სუფიქსი	დაბოლოება
I	ინფინიტივი აწმყო ზოგადი მყოფადი	—	-უ -ე	-ე(-:--  -უ)ნ	-უ -ე
II	ნამყო ძირითადი ბრძანებითი (გრძმ.)	—	-ი(→    -უ), -ი -ი	—	-ინ(→    -უნ), -ინ -ინ

როგორც სქემიდან ჩანს, განსხვავებით ანდის თქმისაგან (და სხვა ზემოანდიური თქმებისაგან), ქვემოანდიურ თქმებში ძირითად ფორმათა წარმოების მხრივ შემდეგი თავისებურებებია: ა) პირველი წყების ფორმათა ამოსავალი ფუძე (აწმყო ზოგადის ფუძე) პირველი უღვლილების ზმნებში მოკლებულია სპეციალურ საწარმოებელ [-ი(→ || -უ)ლ] სუფიქსს და, ამის გამო, გარჩევას ამოსავალი ფუძის მიხედვით პირველი და მეორე წყების ფორმათა შორის აღარ აქვს აღგილი (ორსავე წყ. ფორმები ამოსავლად იყენებს საუღვლებელი ზმნის ფუძეს რაიმე საწარმოებელი სუფიქსის გარეშე); შდრ.: ინფ. ბეტჲ-უ (შდრ. ანდ. ბეტჲ-იდ-უ) „ხენა“ — ნამ. ძირ. ბეტჲ-ი, ინფ. ბუჲა-უ (ანდ. ბუჲა-იდ-უ) „ქრა“ — ნამ. ძირ. ბუჲა-ი, ინფ. ბიხ-უ (ანდ. ბიხ-იდ-უ) „აღება“, „ყიდვა“ — ნამ. ძირ. ბიხ-ი, ინფ. იჩა-უ (ანდ. იჩა-იდ-უ) „მიცემა“ — ნამ. ძირ. იჩა-ი, ინფ. არჩ-უ (ანდ. აბჩ-იდ-უ) „ბანა“, „რეცხვა“ — ნამ. ძირ. არჩ-ო, ინფ. რეჩა-უ (ანდ. ბეჩა-იდ-უ) „დავიწყება“ — ნამ. ძირ. რეჩა-ო, ინფ. ბილ-უ (ანდ. ბილ-იდ-უ) „დგომა“; „ყოფნა“ — ნამ. ძირ. ბილ-ი და ა. შ. ეს თავისებურება მეორეულია. იგი შედეგი ჩანს მეორე წყების ფორმათა ამოსავალი ფუძის (resp. საუღვლებელი ზმნის ფუძის) გავრცელებისა პირველი წყ. ფორმებში (პარადიგმატული ანალოგია). ზოგ ზმნას -დ(←-იდ) სუფიქსი ფუძისთან შეხორცებულად შემოუნახავს ქვემოანდ. თქმებშიც (მსგავსად ანდის თქმისა): ინფ.

კვარ-ღ-უ (ანდ. კვარ-ღ-უ ← კვარ-იდ-უ) „წერა“ — ნამ. ძირ. კვარ-ღ-ი, ინფ. ყაორ-ღ-უ (ანდ. ყაორ-ღ-უ ← ყაორ-იდ-უ) „ყვირილი“ — ნამ. ძირ. ყაორ-ღ-ი და ა. შ. ბ) აწმყო ზოგადი და მყოფადი, რომელთაც ანდისა და სხვ. ზემოანდიურ თქმებში სხვადასხვა დაბოლოებები აქვთ (იხ. ზემოთ), ქვემოანდიურ თქმებში დაირთავენ საერთო -ე დაბოლოებას<sup>1</sup>: აწმ. ზოგ. ბეტა-ე (შდრ. ანდ. ბეტა-იდ-თ) „ხნავს“, მყოფ. ბეტა-ე (შდრ. ანდ. ბეტა-იდ-თა) „მოხნავს“; აწმ. ზოგ. ბუყა-ე (შდრ. ანდ. ბუყა-იდ-თ) „ჭრის“, მყოფ. ბუყა-ე (შდრ. ანდ. ბუყა-იდ-თა) „გაჭრის“, აწმ. ზოგ. ბახ-ინნ-ე (ანდ. ბახ-ინნ-თ) „კერავს“, მყოფ. ბახ-ინნ-ე (ანდ. ბახ-ინნ-თა) „შეკერავს“ და ა. შ. აწმყო ზოგადი აქ ითავსებს მყოფადის მნიშვნელობასაც. გ) ნამყო ძირითადის დაბოლოებებიდან [-ი (→ -უ) || -თ || -ა — პირველი უღვლილების ზმნებში, -ინ (→ || -უნ) || -ონ || -ან — მეორე უღვლილების ზმნებში], რომელთაც ადასტურებს ანდის თქმა, ქვემოანდიურ თქმებში გვაკლია -ა (პირველი უღვლილების ზმნებში) და -ან (მეორე უღვლილების ზმნებში). მათ ნაცვლად აქა გვაქვს თ ხმოვნისანი ვარიანტები: -თ: ბელერლ-თ (შდრ. ანდ. ბელერლ-ა) „გაინძრა“... -ონ: ბოს-ონ (შდრ. ანდ. ბოს-ან) „უამბო“...

4) ზ ი ლ ო ს თქმას ძირითად ფორმათა წარმოების მხრივ ზოგი თავისებურება საერთო აქვს ქვემოანდ. თქმებთან (ამას ტერიტორიული სიახლოვე განსაზღვრავს), ზოგიც — სპეციფიკური; კერძოდ: ა) მსგავსად ქვემოანდ. თქმებისა აქაც პირველი უღვლილების ყველა ზმნა ერთფუძიანია, ბ) აწმყო ზოგადის დაბოლოებაა -ე (ისევე, როგორც ქვემოანდ. თქმებში): ბეტა-ე „ხნავს“, ბუყა-ე „აჩრის“, ბიხ-ე „იღებს“; „ყიდულობს“..., მყოფადის დაბოლოებაა -თა (ისევე, როგორც ანდისა და სხვა ზემოანდ. თქმებში; ქვემოანდ. თქმებში კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მყოფადი იმავე -ე დაბოლოებას იყენებს, რასაც აწმყო ზოგადი): ბეტა-თა „მოხნავს“, ბუყა-თა „გაჭრის“, ბიხ-თა „აიღებს“, „იყიდის“... გ) ინფინიტივი იწარმოება აწმყო ზოგადის ფორმაზე -რი სუფიქსის დართვით (რაც სპეციფიკურია ამ თქმისათვის): ბეტა-ე-რი „ხვნა“, ბუყა-ე-რი „ჭრა“, ბიხ-ე-რი „აღება“, „ყიდვა“ (შდრ. ზემოთ აწმ. ზოგ. ფორმები)...

5) მ უ ნ ი ბ ი ს თქმაში მეორე უღვლ. ზმნათა ნამყო ძირითადისა და ბრძანებითის ნ თანხმონით გათავებულ დაბოლოებებს შეიძლება ერთვოდეს — ღია მარცვლის წარმომქმნელი — ვიწრო ი ხმოვანი (§ 12): ნამ. ძირ. ბახ-ონ'ი „შეკერა“. რაწა-ინ'ი „ჰკითხა“... ბრძან. ბახ-ონ'ი! რაწა-ონ'ი!...

<sup>1</sup> შდრ. ბოთლიხ. -ე იმავე ფუნქციით (ტ. გ უ და ვ ა, ბოთლიხური ენა, გვ. 107).



§ 109. ნაწარმოები ფორმები. ნაწარმოები ფორმებისათვის ამოსავალია — უშუალოდ ან შუალობით — ესა თუ ის ძირითადი ფორმა.

1. აწმყო კონკრეტული. აწმყო კონკრეტული იწარმოება ნამყო ძირითადისაგან.

a) პირველი უღვლილებების ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებს, რომელთა დაბოლოებას შეადგენს ოდენ ხმოვანი [-ი (→ || -უ) || -ო || -ა], აწმყო კონკრეტულში დაერთვის -რ:

ნ ა მ ყო ძ ი რ ი თ ა დ ი                      ა წ მ ყო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი

-ი-რ:

ბუყა-ი „გაქრა“

ბუყა-ი-რ „ქრის“

ბეტა-ი „მოხნა“

ბეტა-ი-რ „ხნავს“

კვარდ-ი „დაწერა“

კვარდ-ი-რ „წერს“...

-უ:

-უ-რ:

ბიჯ-უ „დაკლა“

ბიჯ-უ-რ „კლავს“

ბეყა-უ „გახმა“

ბეყა-უ-რ „ხმება“

ბექა-უ „დარჩა“

ბექა-უ-რ „რჩება“...

-ო:

-ო-რ:

ჰაყ'-ო „დანიახა“

ჰაყ'-ო-რ „ხედავს“

როქე-ო „მოძკა“

როქე-ო-რ „მკის“

ბიქ-ო „მოკვდა“

ბიქ-ო-რ „კვდება“...

-ა:

-ა-რ:

ბოლ-ა „ჩაიცვა“

ბოლ-ა-რ „იცვამს“

ბელერლ-ა „გაინძრა“

ბელერლ-ა-რ „ინძრევს“

ბეთ-ა „დატოვა“

ბეთ-ა-რ „ტოვებს“...

ქვემოანდიურ თქმებში -რ-ს ხმოვანიც ახლავს (-რა): ბუყა-ი-რა „ქრის“, ბეტა-ი-რა „ხნავს“ და ა. შ. ხმოვნიანი ვარიანტი უფრო ძველი ჩანს: -რ← || -რა<sup>1</sup>. ანდის თქმაში -რა მაშინ დაჩნდება, როცა ამ სუფიქსს დამატებით -ლო სუფიქსიც ერთვის: ბუყა-ი-რა-ლო

<sup>1</sup> ეს სუფიქსი შეიძლება უკავშირდებოდეს ხუნდ. -რა სუფიქსს, რომელიც ნამყოს მიმღობას აწარმოებს (ყოტ-ა-ნა- „გაქრა“—მიმღ. ყოტ-ა-რა-ბ...) და ლაკ.-რა სუფიქსს, რომელიც I—II პ. გვაქვს: იკა-რა „ვარ'ხოლმე“, „ხარ'ხოლმე“<sup>1</sup>... (შდრ.: N. Troubetzkoj, Notes sur les désinences du verbe...).

„კრის“, ბეტჱ-ი-რა-დო „ხნავს“ და ა. შ. — ამგვარი წარმოება აწმყო კონკრეტულისა ანდის თქმაში ფაკულტატიურია და მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას. რიკვანის თქმაში კი -რა-დო სუფიქსიანი წარმოება ჩვეულებრივია (ამ სუფიქსის წინ ამოსავალი ფორმის, ნამყო ძირითადის, დაბოლოება ი იკარგება, თანახმად ამ თქმისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესისა — § 14): ბუჟჱ-რა-დო (← ბუჟჱ-ი-რა-დო) „კრის“, ბეტჱ-რა-დო (← ბეტჱ-ი-რა-დო) „ხნავს“, მაგრამ: ჰაჟჱ-ო-რა-დო „ხედავს“...

ბ) მეორე უღვლილების ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებს, რომელთა დაბოლოებას შეადგენს ხმოვანი მომდევნო ნ თანხმონით [-ი-ნ (→ -უ-ნ) || -ო-ნ || -ა-ნ], აწმყო კონკრეტულში ხმოვნითი ელემენტი დაბოლოებისა უცვლელად გაჰყვება, ხოლო თანხმონითი ელემენტი ნ ეცვლება მ-თი, რომელსაც დაერთვის ა მომდევნო -დო სუფიქსით; შდრ.:

ნამყო ძირითადი

აწმყო კონკრეტული

-ი-ნ:

-ი-მა-დო:

რაწჱ-ი-ნ „შეეკითხა“

რაწჱ-ი-მა-დო „ეკითხება“

ბიჯ-ი-ნ „გატყდა“

ბიჯ-ი-მა-დო „ტყდება“

ბუჟჱ-ი-ნ „დაკრა (ნაწილებად)“

ბუჟჱ-ი-მა-დო „კრის“...

-უ-ნ:

-უ-მა-დო

რი-უ-ნ „გაღწა“

რი-უ-მა-დო „ღწება“

ბიჟ-უ-ნ „შეიქმნა“

ბიჟ-უ-მა-დო „იქმნება“

ბიკჱ-უ-ნ „გადაყლაპა“

ბიკჱ-უ-მა-დო „ყლაპავს“...

-ო-ნ:

-ო-მა-დო:

ბახ-ო-ნ „შეკერა“

ბახ-ო-მა-დო „კერავს“

ჰიტ-ო-ნ „უთხრა“

ჰიტ-ო-მა-დო „ეუბნება“

ტახ-ო-ნ „დაიძინა“

ტახ-ო-მა-დო „ეძინება“...

-ა-ნ:

-ა-მა-დო:

ბილ-ა-ნ „ისროლა“

ბილ-ა-მა-დო „ისვრის“

ბოს-ა-ნ „უამბო“

ბოს-ა-მა-დო „უამბობს“

ბილ-ა-ნ „წაავო“

ბილ-ა-მა-დო „აგებს“...

ქვემოანდიურ თქმებში აწმყო კონკრეტულის შესაბამისი, ფორმები -დო სუფიქსის გარეშე იხმარება: ბახ-ო-მა „კერავს“ და ა. შ. (ანდის თქმაში აწმყო კონკრეტულის ამ ტიპის ფორმებში -დო სუ-

ფიქსის ხმარება ნორმაა, ხოლო პირველი ტიპის ფორმებში—ფაკულტატიური ხასიათისა.—ზდრ. ზემოთ: გვ. 241).

რიკვანის თქმაში აწმყო კონკრეტულის მნიშვნელობით პარალელურად დასტურდება აგრეთვე ფორმა, რომელიც ნაწარმოებია ინფინიტივისაგან -ჟ სუფიქსით<sup>1</sup> (იგი წარმოშობით ადგილ. ბრ. ფორმანტი ჩანს — § 75): ზუყადღ-ჟ „ჰრის“, ბეტედღ-ჟ „ხნავს“... ბახინღ-ჟ „კერავს“ და ა. შ.

ყველა თქმაში ორიოდ ზმნა, რომელთა საერთო სემანტიკური მნიშვნელობა მოძრაობის გამოხატვაა („მოდის“, „მიდის“); აწმყო კონკრეტულის ფორმებს თავისებურად აწარმოებს: ანდ. ვ-უყ'ო-ლ'ო „მოდის“, მუნ. ჰუყო-ლ'ო, ქვანხ. ვ-უყო-ლ'ო „მოდის“, ვ-უყონ-ლ'ო „მიდის“ (ნაწარმოებია ნამყო ძირითადისაგან -ლ'ო სუფიქსით; მოსალოდნელი -რ'ა-დო<sup>1</sup> სუფიქსიანი ფორმები შესაძლო წარმოებაა, მაგრამ ჩვეულებრივ არ იხმარება). თავისებურია ანდ. ბ-ელ'ო „დის“ ფორმაც (ბ-ელ'იდღ-საგან „სვლა“. საერთო ნორმის მიხედვით მოსალოდნელი ბ-ელ'ი-რ'ა-დო<sup>1</sup> ფორმა აწმყო კონკრეტულისა ჩვეულებრივ არ იხმარება),

2. ნამყო სრული (ჰერფექტი). იწარმოება ნამყო ძირითადის ფორმაზე -ღუ სუფიქსის დართვით: ნამ. ძირ. ბუყა-ი „გაჰრა“... ბიჯ-უ „დაკლა“... ჰაყ'ო „დაინახა“... ბოლ-ა „ჩაიცვა“... რაწა-ინ „ჰკითხა“... ბიკა-უნ „გადაყლაპა“... ბულ-ონ „წავიდა“... ბოს-ან „უამბო“, „მოუთხრო“... → ნამ. სრ. ბუყა-ი-ღუ... ბიჯ-უ-ღუ... ჰაყ'ო-ღუ... ბოლ-ა-ღუ... რაწა-ინ-ღუ... ბიკა-უნ-ღუ... ბულ-ონ-ღუ... ბოს-ან-ღუ...

ნამყო სრულის ფორმებში -ღუ სუფიქსის გავლენით შეიძლება დაიკარგოს ნამყო ძირითადის-ი დაბოლოება წინამავალ ფუძისეულ დ თანხმოვანთან ერთად, როცა ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, თანხმოვანს მოსდევს: ნამ. ძირ. ჯვარდ-ი „დაწერა“, სირდ-ი „შეშინდა“, ყაორდ-ი „იყვირა“, ლ'იბდ-ი „გადახტა“... → ნამ. სრ. ჯვარ-ღუ || ← ჯვარდ-ღუ, სირ-ღუ ← სირდ-ღუ, ყაორ-ღუ || ← ყაორდ-ღუ, ლ'იბ-ღუ || ← ლ'იბდ-ღუ...

რიკვანის თქმაში -ღუ სუფიქსის ნაცვლად გვაქვს -დ: ბუყა-ი-დ „გაჰრილი აქვს“, „გაუჰრია“, ბულყ-ონ-დ „წასულია“, „წასულა“ და ა. შ., ხოლო მუნიბის თქმაში — ლო (→ || -ნო — წინამავალ ნ-სთან ასიმილაციით): ბუყა-ი-ლო „გაჰრილი აქვს“... ბახ-ონ-ნო (← ბახონ-ლო) „შეკერილი აქვს“... ზილოს თქმაში — ზ: ბუყა-ი-ზ „გაჰრილი აქვს“: ქვანხიდათლის თქმაში კი ნამ. სრული აღწერით იწარმოება (იხ. § 109,3).

<sup>1</sup> Я. С у а ѳ м а н о в, Автореферат, გვ. 24.

3. აბსოლუტივი. ა) აწმყოს აბსოლუტივი იწარმოება აწმყო კონკრეტულის ფორმაზე -გუ-ჟა რთული ნაწილაკის დართვით: ბუყიირ-ბუყიირადო „ჰკრის“ → ბუყიირ-გუჟა || ბუყიირადო-გუჟა „ჰკრის-რა“, ბეტაირ || ბეტაირადო „ხნავს“ → ბეტაირ-გუჟა || ბეტაირადო-გუჟა „ხნავს-რა“, როქვორ || როქვორადო „მკის“ → როქვორ-გუჟა || როქვორადო-გუჟა „მკის-რა“... ბახომადო „კერავს“ → ბახომადო-გუჟა „კერავს-რა“, ბოსამადო „უამბობს“ → ბოსამადო-გუჟა „უამბობს-რა“ და ა. შ. ქვემოანდიურ თქმებში გამოიყენება მარტივი -გუ ნაწილაკი: ბეტაირა „ხნავს“ → ბეტაირა-გუ „ხნავს-რა“... ბახომა „კერავს“ → ბახომა-გუ „კერავს-რა“...

ბ) ნამყოს აბსოლუტივი ანდის თქმაში ემთხვევა ნამყო სრულს (პერფექტს): ბუყი-დუ „დაწერილი აქვს“ (პერფექტ. მნიშვნელობით); „დაწერა-რა“ (ნამყოს აბსოლუტ. მნიშვნელობით)... ბახონ-დუ „შეკერილი აქვს“ (პერფექტ. მნიშვნელობით); „შეკერა-რა“ (ნამყოს აბსოლუტ. მნიშვნელობით). პირველი მნიშვნელობით მას ფინიტური შინაარსი ექნება, ხოლო მეორე მნიშვნელობით — ინფინიტური (გამოიყენება რთული დაქვემდებარებული წინადადების ასაგებად). ასევე საერთო ფორმა აქვთ ნამყო სრულსა და ნამყოს აბსოლუტივს დალათლის, რიკვანისა და სხვ. თქმებში. ქვანხიდათლის თქმაში კი ეს ორი ნაკვთი გარჩეულია წარმოების მიხედვითაც: ნამყო სრული აქ აღწერთი წარმოებისაა (საუღვლებელი ზმნის ნამ. ძირითადის ფორმას დაერთვის მეშველი ზმნა ჯი „არის“ — § 113,1), ხოლო ნამყოს აბსოლუტივი იწარმოება ნამყო ძირითადის მზამზარეულ ფორმაზე -კო ნაწილაკის დართვით: ნამ. ძირ. ბეტაი „მოხნა“... ჰარქონ „შეხედა“, ბახონ „შეკერა“... → აბს. ნამ. ბეტაი-კო „მოხნა-რა“... ჰარქონ-კო „შეხედა-რა“, ბახონ-კო „შეკერა-რა“...

4. მიმღეობა. ამოსავალი ფორმების მიხედვით კარგადაა გარჩეული მიმღეობა ნამყო ძირითადისა, აწმყო ზოგადისა (რომელსაც მყოფადის მიმღეობის მნიშვნელობაც აქვს) და აწმყო კონკრეტულისა.

ა) ნამყო ძირითადის მიმღეობა (ნამყოს მიმღეობა) იწარმოება ნამყო ძირითადის ფორმაზე -ბ სუფიქსის დართვით. ეს სუფიქსი უცვლელადაა წარმოდგენილი ნამყო ძირითადის ოდენ ხმოვნიაანი დაბოლოებების [-ი (→ || -უ) || -ო || -ა] შემდეგ: ნამ. ძირ. ბუყა-ი „გაქრა“... ბიჯ-უ „დაკლა“... ბიკვ-ო „იყო“... ბელერ-ა „გაინძრა“... → მიმღ. ნამ. ბუყა-ი-ბ... ბიჯ-უ-ბ... ბიკვ-ო-ბ... ბელერ-ა-ბ... ხოლო ნამყო ძირითადის ნ თანხმოვნით გათავებულ დაბო-

ლოებებზე [-ინ (→ || -უნ) || -ონ || -ან] დართვისას იგი შეერწყმის წინამავალ ნ-ს და მ-თი იცვლება (ნ-ბ → მ—§ 42): ნამ. ძირ. ბიჯ-ინ „გატყდა“... რი-უნ „გადნა“... ბახ-ონ „შეკრა“... ბოს-ან „უამბო“... → მიმღ. ნამ. ბიჯ-იმ (← ბიჯ-ინ-ბ)... რი-უმ (← რი-უნ-ბ)... ბახ-ომ (← ბახ-ონ-ბ)... ბოს-ამ (← ბოს-ან-ბ)... ბ) ა წ მ ყ ო ზ ო გ ა დ ის მ ი მ ლ ე ო ბ ა იწარმოება -ია სუფიქსით, რომელიც დაერთვის აწყო ზოგადის ფუძეს (resp. აწყო ზოგადის უდაბოლოებო ფორმას): აწმ. ზოგ. ბეტ-იდ-ო „ხნავს“... ბახ-ინნ-ო „კერავს“... → მიმღ. ბეტ-იდ-ია... ბახ-ინნ-ია... მიმღეობის ეს ტიპი სავსებით ემთხვევა მყოფადი დროის ფორმას (შდრ.: ბუჟა-იდიია „გაქრის“... ბახ-ინნ-ია „შეკრავს“... — იხ. §108,3); მასვე შეიძლება ჰქონდეს მყოფადის მიმღეობის მნიშვნელობაც. ცხადია, ასეთ შემთხვევაში აწყოს მიმღეობა გამოიყენება მყოფადი დროის მნიშვნელობით (და არა, პირიქით, მყოფადი დროის ფორმა აწყოს მიმღეობის მნიშვნელობით)<sup>1</sup>. თავისებურია აწყო ზოგადის მიმღეობის წარმოება ქვემოანდ. თქმებში: ქვანხიდათლის თქმაში აწყო ზოგადისაგან ნაწარმოები მიმღეობა დაირთავს -ბ სუფიქსს: აწმ. ზოგ. ბეტ-ე „ხნავს“ (თვით აწმ. ზოგ. წარმოების თავისებურების შესახებ აღნიშნულ თქმაში იხ. § 108,9) → მიმღ. ბეტ-ე-ბ... მუნიბის თქმაშიც იგივე სუფიქსი გვაქვს, ოღონდ ფონეტიკურად შეცვლილი (აქ -ბ, რომელსაც ღია მარცვლის წარმომქმნელი ვიწრო ო ხმოვანიც დაერთვის და ამიტომ ინტერვოკალურ პოზიციაშია მოქცეული, ვ-ს იძლევა — § 33): აწმ. ზოგ. (მყოფ.) ბეტ-ე „ხნავს“ → მიმღ. ბეტ-ე-ვი ← ბეტ-ე-ბი... გ) აწყო კონკრეტული ს მიმღეობა, იწარმოება ზედსართაული -საი სუფიქსით (§ 88), რომელიც სათანადო შემთხვევებში აწყო კონკრეტულის მზამზარეულ ფორმებს დაერთვის: აწმ. კონკრ. ბეტ-ირ || ბეტ-ირადო „ხნავს“... ბახომადო „კერავს“... → მიმღ. ბეტ-ირ-საი || ბეტ-ირადო-საი... ბახომადო-საი<sup>2</sup>... ქვემოანდიურ

<sup>1</sup> შდრ. А. Д и р р, Анд. яз. გვ. 63.

<sup>2</sup> გაუგებრობის შედეგია ა. დროის ცნობა: „ხო (ci) переводится через „хотеть“, оно выражает, следовательно, желание, намерение: წინნი მთარეკანებო ენწაურგუ ოხიტრქე მოლა-რასადინოდი ბიჯი ბუჟაშირსი „хозяин узнал, что Мулла-Насреддин хотел украсть фикусы из его сада“; ინულ ჰაყუ მინ რიხირსი „где дом. который ты хочешь купить?“ მინ ვულინნოსი ჰეკალე შულარდი „ты ли человек, который хочет идти в Шуру?“ (А. Д и р р, Анд. яз. გვ. 66). სინამჯილენი აქ მოყვანილ ნაკალითებში ბუჟაშირსი („მომპარავი“), რიხირსი („საყიდელი“), ვულინნოსი („წამსვლელი“) აწყო კონკრეტ. მიმღეობის ფორმებია (და „хотеть“ არაფერ შუაშია).

თქმებში აწმყო კონკრეტულისაგან ნაწარმოები მიმღეობა დაირთავს -ბ (მუნ. -ვი ← -ბი—§ 33) სუფიქსს (ე. ი. იმავე სუფიქსს, რასაც ნამყო ძირითადისაგან და აწმყო ზოგადისაგან ნაწარმოები მიმღეობები დაირთავენ — შდრ. ზემოთ): აწმ. კონკრ. ბეტს-ი-რა „ხნავს“... ბახ-ო-მა „კვრავს“... → მიმღ. (ქვანხ.) ბეტს-ი-რა-ბ... ბახ-ო-მა-ბ... (მუნ.) ბეტს-ი-რა-ვი ← ბეტს-ი-რა-ბი... ბახ-ო-მა-ვი ← ბახ-ო-მა-ბი...

ამრიგად, მიმღეობის საწარმოებლად ანდის თქმაში (და სხვა ზემოანდ. თქმებში) სამი სხვადასხვა სუფიქსი გვაქვს: -ბ (ნამ. ძირ. მიმღ.), -იჲა (აწმ. ზოგ. მიმღ.), -საი (აწმ. კონკრ. მიმღ.), ხოლო ქვემოანდ. თქმებში — ერთად-ერთი სუფიქსი: -ბ (მუნ. -ვი ← -ბი), რომელიც სამივე ტიპის მიმღეობას აწარმოებს.

შენიშვნა. ტექსტებში იშვიათად გვხვდება ნამყო სრულისაგან (პერფექტისაგან) და აწმყოს ზოგადისაგან -საი სუფიქსით ნაწარმოები მიმღეობის ფორმებიც: გირღუ-საი „მწოლარე“, „ვინც დაწოლილია“ (← ნამ. სრ. გირღუ); ვულინო-საი „წამსელელი“ (← აწმ. ზოგ. ვულინო).

გვარის მიხედვით მიმღეობის წარმოება არავითარ განსხვავებას არ იძლევა: სათანადო სუფიქსით ნაწარმოებ მიმღეობას შეიძლება ჰქონდეს როგორც მოქმედებითის, ისე ვნებითი გვარის მნიშვნელობა (განსხვავება ამ მხრივ მხოლოდ კონსტრუქციაში დაჩნდება, — ისევე, როგორც ხუნძურში და მთის იბერიულ-კავკასიურ სხვა ენებში)<sup>1</sup>; შდრ.: 'იმული' ბუყაიდიჲა ლ'ული „მამის მიერ! (ერგ.-მოქმედ. ბრ.) საკრელი 'შეშა' (ენებ. გვ.) — ლ'ული ბუყაიდიჲა 'იმა' „შეშის (ზედმიწ. შეშა) მკრელი 'მამა'“ (მოქმ. გვ.). მოქმედებითი გვარის მნიშვნელობით ხმარებული მიმღეობა ინარჩუნებს შესაბამისი ზმნის უახლოეს (პირდაპირ) ობიექტს (სახელობით ბრუნვაში), რომელიც მიმღეობის წინ დაისმის (ხოლო თუ იგივე სახელი დაისმის მიმღეობის მომდევნოდ საზღვრულის როლში, ვიღებთ ვნებითი გვარის მნიშვნელობას — იხ. ზემოთ).

გრამატიკული კლასისა და რიცხვის ნიშნები მიმღეობაში. გრამატიკული კლასისა და რიცხვის მაჩვენებლები სათანადო ზმნას გაჰყვება მიმღეობაშიც: მიმღეობა, როგორც ნაზმნარი ზედსართავი სახელი, დამატებით არ დაირთავს ცვალებად

<sup>1</sup> არნ. ჩიქობავა, პოლიპერსონალიზმის საკითხი ხუნძურში, ენაშკა-ს მოამბე, X, გვ. 67; მისივე: ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა კავკასიურ ენებში.. ენაშკა-ს მოამბე, XII, გვ. 237.

კლას-ნიშანს სუფიქსად საზღვრული სახელის გრამატიკული კლასის აღსანიშნავად (შეუძლებელი არ არის, მიმღეობის საწარმოებელი სუფიქსი -ბ [იხ. ზემოთ: გვ. 246—247] წარმოშობით გაქვევებული კლასნიშანი იყოს).

მიმღეობას ისევე, როგორც ზედსართავ სახელს, სუფიქსად შეიძლება ერთვოდეს მრავლობითი რიცხვის ნიშანი: -ლ (აწმ. ზოგ. მიმღ.: მხ. რ. ბეტაიდიჲა „მხენელი“ — მრ. რ. ბეტაიდიჲა-ლ) || -ოლ (აწმ. კონკრ. მიმღ.: მხ. რ. ბეტაირ-საი — მრ. რ. ბეტაირ-სა-ოლ) || -ულ (ნამ. ძირ. მიმღ.: მხ. რ. ბეტაიბ — მრ. რ. ბეტაიბ-ულ). ისეთ შემთხვევებში, როცა ზმნაში მრავლობითი რიცხვი (სუბიექტისა ან ობიექტისა) აღინიშნება (კერძოდ, კლას-ნიშნიან ზმნაში — კლას-ნიშნის მომღევნო ხმოვნის აბლაუტით — § 105), მიმღეობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მრავლობითობის ორი მაჩვენებელი: ერთი — ზმნური (ზმნისაგან გადმოყოლილი) და მეორე — ზედსართავი (სუფიქსად დართული საზღვრული სახელის მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად): შდრ.: მხ. რ. ვოცაი ვ-ულონ „ძმა წავიდა“ (→ მიმღ. ვ-ულომ ვოცაი „წასული ძმა“) — მრ. რ. ვოცაულ ვ-ოლონ „ძმები წავიდნენ“ (→ მიმღ. ვ-ოლომ-ულ ვოცაულ „წასულნი იმანი“)...

მიმღეობის ბრუნება. მიმღეობა იბრუნვის ზედსართავი სახელის მსხვადასად: მხ. რ. ირიბ ბრუნებში ბრუნვათა დაბოლოების წინ დაირთავს სავრცობებს დამაკავშირებელი ხმოვნიტურთ: -შა-უ- (I კლ.), -ლ'ა-ი- (II—V კლ.), ხოლო მრ. რ. ირიბ ბრუნებში — რიცხვის ნიშნის შემდეგ — ოდენ დამაკავშირებელ ხმოვანს: -უ- (I კლ.), -ი- (II—V კლ.). ბრუნების პროცესში იგივე ფონეტიკური ცვლილებები ხდება, რაც ამავე ტიპის სხვა სახელთა ბრუნებისას (§ 64). ბრუნების ნიმუშები:

#### ა) მხოლოდობითი რიცხვი

სახ. ბეტაი-ბ (მიმღ. ნამ.) „მომხენელი“, „მოხნული“ — ერგ. ბეტაიბ-შა-ლი ← ბეტაიბ-შა-უ-ლი (I კლ.), ბეტაიბ-ლი ← ბეტაიბ-ლ'ა-ი-ლი (II—V კლ.), ნათ. ბეტაიბ-შა-უ-(-) (I კლ.), ბეტაიბ-ლ'ი ← ბეტაიბ-

<sup>1</sup> ხუნძურში, როგორც ცნობილია, მიმღეობა, გარდა ზმნისაგან გადმოყოლილი პრეფიქსული კლას-ნიშნებისა, ყოველთვის დაირთავს სუფიქსურ კლას-ნიშნებსაც, რომლებიც მიუთითებენ საზღვრული სახელის გრამატიკულ კლასზე. ამიტომ ხუნძურში მიმღეობის ფორმები შესაბამისად გრამატიკული კლასებისა გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვინემ ანდიურში.

ლ'ზ-ი-ლ'ი (II—V კლ.), მიც. ბეტეიბ-შა-უ-ღ (I კლ.), ბეტეიბ-ლ'ზ-ი-ღ (II—V კლ.), აფექტ. ბეტეიბ-შა-უ-(-)-ო (I კლ.), ბეტეიბ-ლ'ზ-ი-(-)-ო (II—V კლ.);

სახ. ბეტეიდიმა (მიმღ. აწმ. ზოგ.) — ერგ. ბეტეიდიმა-შა-ღი ← ბეტეიდიმა-შა-უ-ღი (I კლ.), ბეტეიდიმა-ლ-ღი ← ბეტეიდიმა-ლ'ზ-ი-ღი (II—V კლ.), ნათ. ბეტეიდიმა-შა-უ-(-) (I კლ.), ბეტეიდიმა-ლ-ღი ← ბეტეიდიმა-ლ'ზ-ი-ღი (II—V კლ.), მიც. ბეტეიდიმა-შა-უ-ღ (I კლ.), ბეტეიდიმა-ლ-ღი ← ბეტეიდიმა-ლ'ზ-ი-ღი (II—V კლ.), აფექტ. ბეტეიდიმა-შა-უ-(-)-ო (I კლ.), ბეტეიდიმა-ლ-ღი ← ბეტეიდიმა-ლ'ზ-ი-ღი (-)-ო ← ბეტეიდიმა-ლ'ზ-ი-(-)-ო (II—V კლ.);

სახ. ბეტეირსაი (მიმღ. აწმ. კონკრ.) — ერგ. ბეტეირსაი-შა-ღი ← ბეტეირსაი-შა-უ-ღი (I კლ.), ბეტეირსაი-ლ-ღი ← ბეტეირსაი-ლ'ზ-ი-ღი (II—V კლ.), ნათ. ბეტეირსაი-შა-უ-(-) (I კლ.), ბეტეირსაი-ლ'ზ-ი-ღი (II—V კლ.) და ა. შ.

### ბ) მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი

სახ. ბეტეიბ-ულ — ერგ. ბეტეიბ-ულ-უ-ღი (I კლ.), ბეტეიბ-ულ-ი-ღი (II—V კლ.), ნათ. ბეტეიბ-ულ-უ-(-) (I კლ.), ბეტეიბ-ულ-ი-ღი (II—V კლ.), მიც. ბეტეიბ-ულ-უ-ღ (I კლ.), ბეტეიბ-ულ-ი-ღი (II—V კლ.), აფექტ. ბეტეიბ-ულ-უ-(-)-ო (I კლ.), ბეტეიბ-ულ-ი-(-)-ო (II—V კლ.);

სახ. ბეტეიდიმა-ლ — ერგ. ბეტეიდიმა-ლ-უ-ღი (I კლ.), ბეტეიდიმა-ლ-ი-ღი (II—V კლ.), ნათ. ბეტეიდიმა-ლ-უ-(-) (I კლ.), ბეტეიდიმა-ლ-ი-ღი (II—V კლ.), და ა. შ.

სახ. ბეტეირსა-ოლ — ერგ. ბეტეირსა-ოლ-უ-ღი (I კლ.), ბეტეირსა-ოლ-ი-ღი (II—V კლ.), ნათ. ბეტეირსა-ოლ-უ-(-) (I კლ.), ბეტეირსა-ოლ-ი-ღი (II—V კლ.) და ა. შ.

5. ბრძანებებითი გარდაუვალი ზმნისა. გარდამავალი ზმნის ბრძანებითი, როგორც ვნახეთ (§ 108,4), იწარმოება უშუალოდ საუღვლეებელი ზმნის ფუძისაგან -**ა**, -**ან** სუფიქსებით. რაც შეეხება გარდაუვალი ზმნის ბრძანებითს, იგი მოკლებულია საკუთარ წარმოებას. ანდის თქმაში (და სხვა ზემოანდიურ თქმებში) გარდაუვალი ზმნის ბრძანებითი იყენებს ნამყოს მიმღეობას, რომელიც თავის მხრივ, ნაწარმოებია ნამყო ძირითადისაგან: ვუყ'ო-ბ „მოლი!“, ვუკვო-ბ „იყავ!“, გირდი-ბ „დაწეი!“, ტიხო-მ (← ტიხოზ-ბ) „დაიძინე!“, ვულო-მ (← ვულოზ-ბ) „წადი!“, ჰალტუნნი-ბ „იმუშავე!“ და ა. შ. ყველა ეს ფორმა ნამყოს მიმღეობისაა, ნაწარმოები ნამყო ძირითადისაგან -**ბ** სუფიქსით (იხ. § 109,4). მათ—როგორც მიმღეობის ფორმებს—შეიძლება დაერთოს მრ. რიცხვის სუფიქსიც (-ულ):



გირდი-ბ-ულ „დაწეკით!“ და ა. შ. გარდამავალი ზმნის ბრძანებითს ასეთი სუფიქსი არ ერთვის (იხ. § 108,4).

მუნიბის თქმაში გარდაუვალი ზმნის ბრძანებითი სათანადო შემთხვევებში იყენებს ნამყო ძირითადის ფორმას (და არა მისგან ნაწარმოებ მიმღეობის ფორმას): ბიჯ-ო „მოდო!“, ბილ-ი „იყავ!“ ჰალტუნნი „იმუშავე!“ და ა. შ. (ყველა ეს ფორმა ამავე დროს თხრობითი კილოს ნამყო ძირითადის ფორმებია — § 108,4)<sup>1</sup>.

6. პირობითი. პირობითი კილოს ფორმებს აწარმოებს -ორ სუფიქსი, რომელიც დაერთვის ნამყო ძირითადისაგან ნაწარმოები მიმღეობის ფორმას (ამ უკანასკნელის წარმოების შესახებ იხ. § 109,4): ბეტიბ-ორ „თუ მოხნა“ (← მიმღ. ნამ. ბეტიბ-ბ), ბუყიბ-ორ „თუ გაკრა“, იჩიბ-ორ „თუ მისცა“... ბულომ-ორ „თუ წავიდა“ (← მიმღ. ნამ. ბულო-მ ← ბულო-ნ-ბ), ბახომ-ორ „თუ შეკრა“, ჰიტომ-ორ „თუ უთხრა“ და ა. შ.<sup>2</sup>.

მაშინ ბულომ-ორ, დინნო ბულ-იხო ვულინიდა „მანქანა თუ წავიდა (თუ წავა), მეც ბოთლიში წავალ.“ ორსი იჩიბ-ორ, კოთუ ბიხიდიდა „ფულს თუ მომცემს, ცხენს ვიყიდი“. იშაიხ სული წაე რეჟლა ვოთაბ-ორ „ჩვენთვის სირცხვილია; სტუმარს გარეთ თუ დავტოვებთ“. სურგულო ბელ-ელთაბ-ორ, ჩონჩი ბეკუდიდა „შალაშინს თუ გაუშვებ (თუ გააშალაშინებ), კარგი იქნება“. ჯუბოლ რელობილ-სებლო ლაგალოკუ ყობდიბ-ორ, ჰებლო ჯუბილილო „ქუქყიანი ხელები სხვა ორგანოს თუ შეახე; ისიც ქუქყიანდება“...

<sup>1</sup> გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით ბრძანებითის ფორმათა გარჩევა ააასიათებს. როგორც ცნობილია. მთის იბერიულ-კავკასიურ სხვა ნებებსაც: შდრ.. მაგალ.: ქ. ლო მთათიძე. გარდამავლობის კატეგორია აფხაზურ ზნებში. იკე. XII. გვ. 113; П. Услар. Авар. яз., გვ. 177, § 153; А. Бокарев. Сивтакские авар. яз. 45; ტ. გუდავა, ბოთლიბური ენა. გვ. 117; Д. Ишвайн-швиц. Дидойский язык в сравнении с гинухским и хваршвицким языками, გვ. 196.

<sup>2</sup> ა. დირი გამოყოფს -ბორ სუფიქსს. რომელიც ნამყო დროის ფორმას დაერთვის: იჩიბი „მისცა“ → იჩიბ-ბორ. ნ თანამოენით გათავებულ ნამყო ფორმაზე დართვისას -ბორ სუფიქსისაგან ასიმილაციით მიიღება -პორ (ნ-ბორ-მ-პორ): ჰარკონ „შეხდა“ → პირობ. ჰარკომპორ... А. Дирр. Анд. яз., გვ. 61; ჩვენი ანალიზით (იხ. ზემოთ) საკუთრივ პირობითის საწარმოებლად გამოიყოფა -ორ, რომელიც ყველა შემთხვევაში დაერთვის ნამყო მიმღეობას: ნამ. ძირ. ბ-ბ-ი → მიმღ. ნამ. იჩიბ-ბ → პირობ. იჩიბ-ბ-ორ... ნამ. ძირ. ჰარკ-ონ → მიმღ. ნამ. ჰარკ-მ (← ჰარკ-ონ-ბ) → პირობ. ჰარკ-მ-ორ (და ალა ჰარკ-მ-პორ, როგორც ეს ა. დირს აქვს ნაჩვენები)... შდრ. აგრეთვე: Я. Судейханов. Автореферат, გვ. 26.

პირობითი კილოს აღნიშნული ფორმა წარმოების მიხედვით თუმცა ნამყო ძირითადის მიმღობას უკავშირდება, მაგრამ კონკრეტულ დროულ შინაარსს მოკლებულია. ამავე დროს პირობით კილოში შეიძლება გამოხატულ იქნეს კონკრეტული დროული შინაარსიც („თუ აკეთებს“, „თუ გააკეთებს“, „თუ გააკეთა“...).

საამისოდ გამოიყენება -ლ'იბორ, რომელიც წარმოშობით პირობითი კილოს ფორმა ჩანს მეშველი ზმნისა \*ლ'ი (→ მიმღ. ლ'ი-ბ) „გადაქცევა“ (§§ 112; 116). იგი დაერთვის თხრობითი კილოს სათანადო დროის ფორმებს და ანიჭებს მათ პირობითს შინაარსს (resp. აწარმოებს მათგან პირობითი კილოს შესაბამისი დროის ფორმებს): იქვომა დო „კამს“ (აწმ. კონკრ.) → იქვომა დო -ლ'იბორ „თუ კამს“ (ჭეგვეე პინეერ იქვომა დო -ლ'იბორ, დინ ონ'შილო ვუ-ყ'იდიჟა „ის ახლა თუ კამს, მე შემდეგ მოვალ“); იქუნნიჟა „შეკამს“ (მყოფ.) → იქუნნიჟა -ლ'იბორ „თუ შეკამს“ (მინ იქუნნიჟა -ლ'იბორ, დინ დუჟ ელლო იდიჟა „შენ თუ შეკამ, მე შენ საკმელს გაგიკეთებ“); იქვონ-დუ „შეკამა“, „შეკმული აქვს“ (ნამ. სრ.) → იქვონ-დუ-ლ'იბორ „თუ შეკამა“, „თუ შეკმული აქვს“ (მინ ელლო იქვონ-დუ-ლ'იბორ, დენ თარელქოლ როხიდიჟა „შენ საკმელი თუ შეკამე, მე თეფშებს ავკრეფ“) და ა. შ. -ლ'იბორ დაერთვის მეშველ ზმნისაც: ი „არის“ → ი-ლ'იბორ „თუ არის“, სჟუ „არ არის“ → სჟუ-ლ'იბორ „თუ არ არის“...

რიკვანის თქმაში პირობითის ფორმებში -ორ სუფიქსის წინ ამოსავალ ფორმას (ნამ. ძირ. მიმღ.) ბოლოკიდური მ თანხმოვანი ეკარგვის: ბეტაიბ-ორ (← ბეტაიბ-ორ — § 33) „თუ მოხნა“... ხოლო ბოლოკიდური მ თანხმოვანი სუსტდება და ხმოვნის ნაზალიზაციად გარდაიქმნება: ბახო-ორ (← ბახომ-ორ — § 33) „თუ შეეკრა“...

7. **დათმობითი.** პირობითი კილოს ფორმისაგან იწარმოება -ლო „-ც“ ნაწილაკის მეშველობით დათმობითის ფორმა („თუმცა“...)¹. ლ თანხმოვანი ნაწილაკისა იმსგავსებს ამოსავალი ფორმის (-ორ სუფიქსის) ბოლოკიდურ რ თანხმოვანს (რ-ლ → ლ-ლ — § 42): პირობ. იპიბ-ორ „თუ გააკეთა“ → დათმობ. იპიბ-ოლ-ლო (← იპიბ-ორ-ლო) „თუმცა გააკეთა“ (ზედმიწ. „თუ გააკეთა-და“), პირობ. ბეტაიბ-ორ „თუ მოხნა“ → დათმობ. ბეტაიბ-ოლ-ლო (← ბეტაიბ-ორ-ლო) „თუმცა

¹ როგორც ცნობილია, ხუნძურშიც ანალოგიური წარმოებისას პირობითი კილოს ფორმას დაერთვის -გი „-ც“ ნაწილაკი: პირობ. ყოტანანი „თუ გაკრა“ → დათმობ. ყოტანანი-გი „თუმცა გაკრა“, ზედმიწ. „თუ გაკრა-და“...

მოხნა“; პირობ. ბულომ-ორ „თუ წავიდა“ → დათმობ. ბულომ-ოლ-ლო (← ბულომ-ორ-ლო) „თუმცა წავიდა“; პირობ. საუ-ლ'იბ-ორ „თუ არ არის“ → დათმობ. საუ-ლ'იბ-ოლ-ლო (← საუ-ლ'იბ-ორ-ლო) „თუმცა არ არის“ და ა. შ.

ქვეანხიდათლის თქმაში დათმობითს -ლი აწარმოებს: ბიკოლ-ლი (← ბიკ-ორ-ლი) „თუმცა არის“...

8. პირობით-ნატვრითი. პირობით-ნატვრითს აწარმოებს -ბღურ, რომელიც დაერთვის ნამყო სრულის (resp. ნამყოს აბსოლუტივის) ფორმას: ბეტაიდღუ-ბღურ „რომ მოეხნა“ (← ნამ. სრ. ბეტაიდღუ), ბუყაიდღუ-ბღურ „რომ გაეჭრა“, ბულონღუ-ბღურ „რომ წასულიყო“, ჰიტონღუ-ბღურ „რომ ეთქვა“ და ა. შ. პირობით-ნატვრითი<sup>1</sup> გამოხატავს სასურველ (და არა რეალურ) პირობას, რომელიც რეალურად რომ არსებულიყო, მასზე დამოკიდებული სხვა მოქმედება შესრულდებოდა. შინაარსობლივად მას უკავშირდება მეორე ზმნა. (მთავარ წინადადებაში) პირობით-შედევობითის (conditionalis) ფორმით, რომელიც თავის მხრივ აღწერით არის ნაწარმოები (§ 113,2).

საფიქრებელია, -ბღურ ← ი-ბ-ღურ, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს: ი-ბ („მყოფი“ — მიმღ. ი „არის“ მეშველი ზმნისა — § 112) და მასზე დართული -ღურ სუფიქსი, რომელიც საკუთრივ პირობით-ნატვრითის ფორმანტი უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს ორგანულ ფორმათა პარალელურად აღწერითი წარმოება (რაც ზოგჯერ თავს იჩენს): ბეტაიდღუ-ბღურ ← || ბეტაიდღუ იბ-ღურ „რომ მოეხნა“... (ივარაუდება, ამოსავალია აღწერითი წარმოება: ნამ. სრ. resp. აბსოლუტ. ნამ. + მეშველი ზმნა პირ.-ნატვრითის ფორმით).

დასტურდება -ლაშ-ღურ სუფიქსიც, რომელიც აგრეთვე ნამყო სრულის ფორმას დაერთვის და სათანადო შემთხვევებში -ბ-ღურ სუფიქსის პარალელურად შეიძლება გვექონდეს: ბეტაიდღუ-ბღურ || ბე-

<sup>1</sup> ტერმინს „პ ი რ ო ბ ი თ - ნ ა ტ ვ რ ი თ ი“ — ხუნძური შესაბამისი ფორმის მიმართ — ხმარობს პ. უსლარი (П. У с л а р, Авар. яз., გვ. 224). მასვე უწოდებენ ზოგჯერ „არარეალურ (ირრეალურ) პირობითს“ (Л. Ж и р в о в, Авар.-рус. сл., გვ. 224; А. Б о к а р е в, Синтаксис авар. яз., გვ. 276).

ტაიდუ-ლამდურ „რომ მოეხნა“... (ანდის თქმაში გაბატონებულია -ბდურ. რიკვანის თქმაში — ლამ-დურ || ლამდირ)<sup>1</sup>. -ლა-მ-დურ ფორმანტიც, ეტყობა, იმავე -დურ ელემენტს შეიცავს, რასაც -ბ-დურ (თუმცა, პირველის -ლამ- | -ლა-მ- ← -ლა-ბ-?)<sup>2</sup> კომპონენტის რაობა არ არის ცხადი).

ქვანხიდათლის თქმაში პირობით-ნატვრითის ფორმათა საწარ-მოებლად დასტურდება -გორ: ბიკო-გორ (← ნაშ. ძირ. ბიკო) „რომ ყოფილიყო“...

9. ნატვრითი. ნატვრითი კილოს ფორმებს აწარმოებს -დო სუფიქსი, რომელიც დაერთვის ნამყო ძირითადის შესაბამის ფორმებს: ვოქუხა ვუყ'უ-დო „დიდიმც გაიზარდე!“ (მავეშის დალოცვა)... მიყი ბიტელ'ი-დო „გზამც გაგისწორდა!“ (წამსვლელის დალოცვა)... თა-ლიჩი ბიკო-დო „ბედიმც მოუკვდა!“ (წყევლა)...

იგივე -დო სუფიქსი || კ. ბრძანებითის ფორმებისაგან აწარ-მოებს || კ. ბრძანებითის ფორმებს: იპო-დო „გააკეთოს!“ (← ბრძან || კ. იპ-ო), ბიყ'ო-ბ-დო „მოვიდეს!“ ← ბრძან. || კ. ბიყ'ო-ბ და ა. შ.

10. განზრახვითი. მოდალური მნიშვნელობის ზმნური ფორმა, რომელიც განზრახვას გამოხატავს (განზრახული აქვს, ემზადება, აპირებს. შეასრულოს რაიმე მოქმედება), იწარმოება ინფინიტივის ფორმაზე -ლ-ჯი ფორმანტის დართვით: ბეტაიდუ „ხენა“ (ინფ.) → ბეტაიდუ-ლ-ჯი „განზრახული აქვს მოხნას (მოხენა)“... ვულინნუ „წასვლა“ (ინფ.) → ვულინნუ-ლ-ჯი „განზრახული აქვს წავიდეს (წასვლა)“: დინ ვულინნულჯი იშუვა „მე განზრახული მაქვს შინ წასვლა“, „ვაპირებ შინ წასვლას“... განზრახვითი ფორმები უნდა იყოს ინფინიტივისაგან ნაწარმოები ადგილობითი ბრუნვის ფორმები: -ჯი ადგ. ბრ. ფორმანტი ჩანს (§ 75), ხოლო წინამავალი -ლ- ← ლ'ა- (← -ლ'ა-ი) — ირიბ. ბრ. ფუძის საწარ-მოებელი (სავრცობი) სუფიქსი (შდრ., მაგალ., ინქვა „ურემი“ — ადგ. ბრ. ინქვა-ლ-ჯი ← ინქვა-ლ'ა-ჯი ← ინქვა-ლ'ა-ი-ჯი — §§ 75, 77).

მოდალური მნიშვნელობის ამ ფორმებს აწმყო დროის გაგება აქვს (შეიძლება ჰქონდეს მყოფადის გაგებაც იმდენად, რამდენადაც

<sup>1</sup> Я. Сулейманов, Автореферат, გვ. 26.

<sup>2</sup> ა. დირი მიუთითებს -ლა ბდურ ვარიანტზეც (А. Дирр. Анд. яв., 55-62), მაგრამ ფაქტობრივ იგი არც ერთ თქმაში არ არის დამოწმებული (არა ჩანს არც ა. დირის მაგალითებში).

მოქმედების შესრულება ნავარაუდევია მომავლისათვის: „საუბრის მომენტის შემდეგ“). ნამყო დროის ფორმები კი (-განზრახული ჰქონდა“, „აპირებდა“...) მათგან მხოლოდ აღწერითად იწარმოება (იმავე ფორმასთან შესაბამისი ფორმის მეშველი ზმნის ხმარებით).

11. მასდარი. წარმოების მიხედვით მასდარის ფორმებს კავშირი აქვს ნამყო ძირითადის ფორმებთან. პირველი უღვლილებების ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებისაგან მასდარის ფორმებს აწარმოებს -რ სუფიქსი: ბეტჲ-რ „ხენა“ (← ნამ. ძირ. ბეტჲ-ი); იჰი-რ „კეთება“ (← ნამ. ძირ. იჰ-ი), ჯვარდი-რ „წერა“ (← ნამ. ძირ. ჯვარდი-ი)... როქვე-რ „მკა“ (← ნამ. ძირ. როქვე-ი); ბიკო-რ „მოკვდომა“ (← ნამ. ძირ. ბიკო-ი)... ბეყაუ-რ „გაზმობა“ (← ნამ. ძირ. ბეყა-უ), ბიჯუ-რ „დაკვლა“ (← ნამ. ძირ. ბიჯ-უ)... ბოლა-რ „ჩაცმა“ (← ნამ. ძირ. ბოლ-ა)..., ხოლო მეორე უღვლილებების ზმნათა ნამყო ძირითადის ფორმებს სავსებით ემთხვევა შესაბამისი ფორმები მასდარისა (ასეთ შემთხვევაში მასდარი რაიმე მაწარმოებელს არ დაირთავს): რაწაინ „შეკითხვა“ (=ნამ. ძირ. რაწა-ინ), ბიჯინ „გატყდომა“ (=ნამ. ძირ. ბიჯ-ინ), ბიეუნ „შექმნა“ (=ნამ. ძირ. ბიე-უნ). ბიკა-უნ „გადაყლაპვა“ (=ნამ. ძირ. ბიკა-უნ)... ბახონ „შეეკრვა“ (=ნამ. ძირ. ბახ-ონ), ჰიტონ „თქმა“ (=ნამ. ძირ. ჰიტ-ონ)... ბოსან „მბობა“, „თხრობა“ (=ნამ. ძირ. ბოს-ან)...

მასდარი, თუ გასუბსტანტივებული არაა, იმავე სინტაქსურ კონსტრუქციას ინარჩუნებს, რასაც შესაბამისი ზმნა, რომლისაგანაც იგი არის ნაწარმოები<sup>1</sup>. მასთან, მასდარი ისევე შეიძლება იცვალოს გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით, როგორც სხვა წმინდა ზმნური ფორმები: გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები მასდარი კლასსა და რიცხვში იცვლება რეალური სუბიექტის მიხედვით, ხოლო გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები მასდარი — რეალური („პირდაპირი“) ობიექტის მიხედვით; შდრ.: ა) გარდაუვალი ზმნა: ვოცაი ვ-უყ'ო „ძმა მოვიდა“ (ვოცაულ ვ-ოყ'ო „ძმები მოვიდნენ“), ჯოცაი დ-იყ'ო „და მოვიდა“ (ჯოცაიბოლ დ-ოყ'ო „დები მოვიდნენ“) და ა. შ. — მასდ.: ვოცაი ვ-უყ'ო-რ „ძმა<sup>2</sup> მოსვლა“ (ვოცაულ ვ-ოყ'ო-რ „ძმები<sup>2</sup> მოსვლა“), ჯოცაი დ-იყ'ო „და<sup>2</sup> მოსვლა“ (ჯოცაიბოლ დ-ოყ'ო-რ „დები<sup>2</sup> მოსვლა“) და ა. შ.;

<sup>1</sup> ეს — ზმნური — თვისება მასდარს ახასიათებს ხუნძორშიც და დაღესტნის სხვა ენებშიც (იხ. ვლ. ფანჯიძე, ნახმარი სახელის მართვა ბრუნვაში უღერენაში, იკე, XII; „ხუნძ. ენა“, § 166).

<sup>2</sup> თარგმანი ზედმიწევნითა (თავისუფალი თარგმანით: „ძმის მოსვლა“ და ა. შ.).

ბ) გარდამავალი ზმნა: იმუდი ლ'უდი ბ-უყაი „მამამ შეშა გაკრა“ (იმუდი ლ'უდოლ ბ-აყაი „მამამ შეშები გაკრა“), იმუდი წულ რ-უყაი „მამამ ჯოხი გაკრა“ (იმუდი წულიბოლ რ-აყაი „მამამ ჯოხები გაკრა“) და ა. შ. — მასდ. იმუდი ლ'უდი ბ-უყაი-რ „მამამ შეშა კრა“<sup>1</sup> (იმუდი ლ'უდოლ ბ-აყაი-რ „მამამ შეშები კრა“); იმუდი წულ რ-უყაი-რ „მამამ ჯოხი კრა“ (იმუდი წულიბოლ რ-აყაი-რ „მამამ ჯოხები კრა“) და ა. შ. გასუბსტანტივებულ მასდართან სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა და უახლოესი ობიექტი გარდამავალი ზმნისა მსაზღვრელის როლში გვევლინება და ორივე მართულა ნათესაობით ბრუნვაში (მაშასადამე, ვიღებთ არსებითი სახელის შესაბამის სინტაქსურ კონსტრუქციას): მოცულ'ი რ-იყ'ორ „დის მოსვლა“... ლ'უდილლ'ი რ-უყაირ „შეშის კრა“... გასუბსტანტივებულ მასდარში კლას-ნიშანი ჩვეულებრივ განზოგადებულია, გაქვავებულია რ-ს სახით (იხ. ზემოთ). როგორც არსებითი სახელი, ყოველი მასდარი (იქნება იგი კლას-ნიშნიანი თუ უკლასნიშნო) IV—ბ — კლასს განეკუთვნება: ბ-იჰუ ვვარდირ „ბევრი წერა“... ბ-ერ-წომ ვვარდირ „სუფთა წერა“... ჰალტუნნირ ა-ბ-ჟა „მუშაობა დაიწყო“...

მასდარის ბრუნება. მასდარი ჩვეულებრივ იბრუნვის უსავრცობო ბრუნების მიხედვით (ირიბ ბრ. ფუძეში ოდენ დამაკავშირებელი -ო- ხმოვნით). ზოგ ბრუნვაში პარალელურად (ფაკულტატიურად) შესაძლოა გვეკონდეს -ლ'ა- სავრცობიანი ფორმებიც:

სახ. ვვარდირ „წერა“ — ერგ. ვვარდირ-ო-დი, ნათ. ვვარდირ-ო-ლ'ი, მიც. ვვარდირ-ო-ჟ (|| ვვარდირ-ლ'ა-ი-ჟ), აფექტ. ვვარდირ-ო-(-)-ო (|| ვვარდირ-ლ'ა-ი-(-)-ო).

§ 110. მარტივ ძირითად და ნაწარმოებ ფორმათა ხაერთო სქემა (ანდის თქმის მონაცემთა მიხედვით).

A. ძირველი წყება	ა. I უღვლილება	ბ. II უღვლილება
1. ინფ.	ბეტჷ-იდ-უ „ხენა“	ბახ-ინნ-უ „კერვა“
2. აწმ. ზოგ.	ბეტჷ-იდ-ო	ბახ-ინნ-ო
3. მყოფ.	} ბეტჷ-იდ-იჟა	ბახ-ინნ-იჟა
4. მიმდ. აწმ. ზოგ.-მყოფ.		
5. განზრახვ. (←1.)	ბეტჷ-იდ-უ-ლჷი	ბახ-ინნ-უ-ლჷი

<sup>1</sup> აქაც თარგმანი ზედმიწევნითა (თავისუფალი თარგმანით: „მამის მიერ შეშის კრა“...).

B. მ ე ო რ ე წყება a. / უღვლილება b. // უღვლილება

6. ნამ. ძირით.	ბეტა-ო	ბახ-ონ
7. ნამ. სრ. (←6)	ბეტა-ი- $\overline{\text{ლუ}}$	ბახ-ონ- $\overline{\text{ლუ}}$
8. აწმ. კონკრ. (←6)	ბეტა-ი-რ'ადო <sup>1</sup>	ბახ-ო-მ(<ნ)-ა-დო
9. ბრძან. გრდმ.	ბეტა-ო	ბახ-ონ
10. ბრძან. გრდუვ. (=17) [ბიყ'-ობ- „მოდი!“]		[ბულ-ო-მ „წადი!“]
11. პირობ. (←17)	ბეტა-ი-ბ-ორ	ბახ-ო-მ-ორ
12. პირობ.-ნატვრ. (←7)	ბეტა-ი- $\overline{\text{ლუ-ლამდურ}}$	ბახ-ონ- $\overline{\text{ლუ-ლამდურ}}$
13. დათმობ. (←11)	ბეტა-ი-ბ-ოლ(<რ)-ლო	ბახ-ო-მ-ოლ(<რ)-ლო
14. ნატვრ. (← 6; 9; 10)	ბეტა-ი-დო...	ბახ-ონ-დო...
15. აბსოლუტ. ნამ. (=7)	ბეტა-ი- $\overline{\text{ლუ}}$	ბახ-ონ- $\overline{\text{ლუ}}$
16. აბსოლუტ. აწმ. (←8)	ბეტა-ი-რ'ადო <sup>1</sup> -გუჟა	ბახ-ო-მადო-გუჟა
17. მიმლ. ნამ. ძირ. (←6)	ბეტა-ი-ბ	ბახ-ომ (< ბახ-ონ-ბ)
18. მიმლ. აწმ. კონკრ. (←8)	ბეტა-ი-რ'ადო <sup>1</sup> -სიი	ბახ-ო-მადო-სიი
19. მასდარი	ბეტა-ი-რ (←6)	ბახ-ონ (=6)

შენიშვნა 1. სქემაში წარმოდგენილია ფორმები უღვლილების თითოეული ტიპის შიგნით მხოლოდ ერთ-ერთი ქვეტიპის მიხედვით (§ 108,7).

შენიშვნა 2. ნაწარმოები ფორმებისათვის ფრჩხილებში ნაჩვენებია უშუალოდ ამოსავალი ფორმები (← აღნიშნავს ამოსავალ ფორმას, = კი ფორმას, რომელსაც იყენებს საკუთარ წარმოებას მოკლებული სათანადო ერთეული).

§ 111. ზმნის უარყოფითი ფორმები. ზმნის უარყოფითი ფორმები ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) საკუთარ სისტემას ქმნის და ცალკე განხილვას საჭიროებს. უარყოფითი ფორმები ამეამად სინთეზურად იწარმოება (უარყოფითი ელემენტები სუფიქსთა როლში გვევლინება), წარმოშობით კი ამოსავალი ჩანს ანალიზური წარმოება.

1) ინფინიტივის, აწმყო ზოგადის, ნამყო ძირითადის, ნამყო სრულის, აწმყო კონკრეტულისა და

გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ფ ო რ მ ე ბ ი ი წ ა რ მ ო ე ბ ა ა მ ა ვ ე ე რ თ ე უ ლ თ ა მ ზ ა და დ ე ბ ი თ ს ფ ო რ მ ე ბ ზ ე -ს ა უ ს უ ფ ი ქ ს ი ს და რ თ ვ ი თ :

და დ ე ბ . ი ნ ფ . ბ ე ტ ი დ ლ უ → უ ა რ ყ . ი ნ ფ . ბ ე ტ ი დ ლ უ -ს ა უ  
„ხ ე ნ ა“ „არ ხ ე ნ ა“  
და დ ე ბ . ა წ მ . ზ ო გ . ბ ე ტ ი დ ლ ო → უ ა რ ყ . ა წ მ . ზ ო გ . ბ ე ტ ი დ ლ ო -ს ა უ  
და დ ე ბ . ნ ა მ . ძ ი რ . ბ ე ტ ი → უ ა რ ყ . ნ ა მ . ძ ი რ . ბ ე ტ ი -ს ა უ  
და დ ე ბ . ნ ა მ . ს რ . ბ ე ტ ი დ ლ უ → უ ა რ ყ . ნ ა მ . ს რ . ბ ე ტ ი დ ლ უ -ს ა უ  
და დ ე ბ . ა წ მ . კ ო ნ კ რ . ბ ე ტ ი რ ა ნ ა დ ლ ო → უ ა რ ყ . ა წ მ . კ ო ნ კ რ . ბ ე ტ ი რ ა ნ ა დ ლ ო -  
-ს ა უ  
და დ ე ბ . გ ა ნ ზ რ ა ხ ვ . ბ ე ტ ი დ ლ უ ლ ო ო ო → უ ა რ ყ . გ ა ნ ზ რ ა ხ ვ . ბ ე ტ ი დ ლ უ ლ ო ო ო -ს ა უ

ქ ვ ა ნ ხ ი და თ ლ ი ს თ ქ მ ა შ ი -ს ა უ ს უ ფ ი ქ ს ს ზ ო გ უ ა რ ყ ო ფ ი თ ფ ო რ მ ა შ ი და კ ა რ გ უ ლ ი ა ქ ვ ს ბ ო ლ ო კ ი დ ლ ო რ ი ხ მ ო ვ ა ნ ი : უ ა რ ყ . ა წ მ . ზ ო გ . ბ ე ტ ე -ს ა „არ ხ ნ ა ე ს“, უ ა რ ყ . ა წ მ . კ ო ნ კ რ . ბ ე ტ ი რ ა -ს ა... მ ა გ რ ა მ : უ ა რ ყ . ნ ა მ . ძ ი რ . ბ ე ტ ი -ს ა უ (→ || ბ ე ტ ი -ს ა)...  
2) ნ ა მ ყ ო ს ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი თ ფ ო რ მ ა ს ა წ ა რ მ ო ე ბ ს -ჭ ი -გ უ (ქ ვ ა ნ ხ . -ჭ ი -კ ო , მ უ ნ ი ბ . -გ უ -ჯ ი ← -გ უ -ჭ ი), რ ო მ ე ლ ი ც და ე რ თ . ვ ი ს ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი ს (და არ ა ნ ა მ . ა ბ ს ო ლ უ ტ .) და დ ე ბ ი თ ფ ო რ მ ა ს :

და დ ე ბ . ნ ა მ . ძ ი რ . ბ ე ტ ი „მ ო ხ ნ ა“ → უ ა რ ყ . ა ბ ს ო ლ უ ტ . ნ ა მ . ბ ე ტ ი -ჭ ი -გ უ (ქ ვ ა ნ ხ . ბ ე ტ ი -ჭ ი -კ ო , მ უ ნ ი ბ . ბ ე ტ ი -გ უ -ჯ ი) „არ მ ო ხ ნ ა -რა“...  
შ ე ნ ი შ ე ნ ა . თ უ და დ ე ბ ი თ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ს ნ ა მ ყ ო ს ა ბ ს ო ლ უ ტ ი -ვ ი მ ო კ ლ ე ბ უ ლ ი ა სა კ უ თ ა რ ფ ო რ მ ა ს (ი გ ი ნ ა მ ყ ო ს ს რ უ ლ ი ს ფ ო რ მ ა ს ე მ თ ხ ვ ე ვ ა — § 109,3), უ ა რ ყ ო ფ ი თ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ს მ ა ს სა კ უ თ ა რ ი ფ ო რ მ ა ა ქ ვ ს , გ ა ნ ს ხ ვ ა ე ვ ბ უ ლ ი ნ ა მ ყ ო ს ს რ უ ლ ი ს ფ ო რ მ ი ს ა გ ა ნ ; შ დ რ . : და დ ე ბ . ნ ა მ . ს რ . ბ ე ტ ი დ ლ უ = და დ ე ბ . ა ბ ს ო ლ უ ტ . ნ ა მ . ბ ე ტ ი დ ლ უ : უ ა რ ყ . ნ ა მ . ს რ . ბ ე ტ ი დ ლ უ -ს ა უ — უ ა რ ყ . ა ბ ს ო ლ უ ტ . ნ ა მ . ბ ე ტ ი -ჭ ი -გ უ .

-ჭ ი -გ უ (ქ ვ ა ნ ხ . -ჭ ი -კ ო , მ უ ნ ი ბ . გ უ -ჯ ი ← -გ უ -ჭ ი) ს უ ფ ი ქ ს შ ი სა კ უ თ რ ი ე უ ა რ ყ ო ფ ი ს მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი -ჭ ი (→ მ უ ნ ი ბ . ჯ ი) უ ნ და ი ყ ო ს , ხ ო ლ ო -გ უ (ქ ვ ა ნ ხ . -კ ო) — ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ი ს ს უ ფ ი ქ ს ი (შ დ რ . § 109,3).

ან დ . ჰ ი -გ უ - მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ა დ და ფ უ ნ კ ტ ი უ რ ა დ ფ ა რ დ ი ა ხ უ ნ დ . -ჭ ო -გ ო ს უ ფ ი ქ -ს ი ს ა , ო ლ ო ნ დ ხ უ ნ დ უ რ შ ი -ჭ ო ს უ ფ ი ქ ს ი გ ვ ა ქ ვ ს უ ა რ ყ . ნ ა მ . ძ ი რ ი თ ა დ შ ი ც , რ ო მ ლ ი ს ა -გ ა ნ ა ც ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა -გ ო ნ ა წ ი ლ ა კ ი ს ი ე შ ე ვ ე ბ ი თ ნ ა მ ყ ო ს ა ბ ს ო ლ უ ტ ი ვ ი ს უ ა რ ყ ო ფ ი თ ი ფ ო რ მ ა (ბ ე ტ ი -ჭ ო „არ მ ო ხ ნ ა“ → ბ ე ტ ი -ჭ ო -გ ო „არ მ ო ხ ნ ა -რა“), ხ ო ლ ო ა ნ დ ი უ რ შ ი უ ა რ ყ . ნ ა მ . ძ ი რ ი თ ა დ შ ი , რ ო გ ო რ ც ზ ე მ ო თ ვ ნ ა ხ ე თ , გ ვ ა ქ ვ ს ს უ ლ ს ხ ვ ა — -ხ ე უ -ს უ ფ ი ქ ს ი : ბ ე ტ ი -ხ ე უ „არ მ ო ხ ნ ა“ — ბ ე ტ ი -ჭ ი -გ ო „არ მ ო ხ ნ ა -რა“.



3) დანარჩენი უარყოფითი ფორმები იწარმოება ზემოაღნიშნული უარყოფითი ფორმებისაგან იმავე სუფიქსთა დართვით, რასაც დადებითი წარმოების ფორმები დაირთავენ:

ა) უარყოფითი აწმყო ზოგადისაგან იწარმოება: უარყოფითი მყოფადი = აწმყო-მყოფადის მიმღობა (ეს ორი ფორმა უარყ. წარმოებისა ისევე ემთხვევა ერთმანეთს, როგორც შესაბამისი ფორმები დადებ. წარმოებისა — § 109, 4), ბრძანებითი (II პ.) და — ამ უკანასკნელის მეშვეობით — ნატვრითი:

[დადებ. აწმ. ზოგ. ბეტეიდო „ხნავს“ →] უარყ. აწმ. ზოგ. ბეტეიდო-საჟ „არ ხნავს“ → უარყ. მყოფ. = უარყ. მიმღ. აწმ.-მყოფ. ბეტეიდო-სა-იჟა (← ბეტეიდო-საჟ-იჟა), უარყ. ბრძან. (აკრძალვითი) ბეტეიდო-საჟ-ბ, ნატვრ. ბეტეიდო-საჟ-ბ-ღო.

ბ) უარყოფითი ნამყო ძირითადისაგან იწარმოება: უარყოფითი მასდარი, მიმღობა ნამყო ძირითადისა და — უკანასკნელის მეშვეობით — პირობითი და — უკანასკნელის მეშვეობით — დათმობითი:

[დადებ. ნამ. ძირ. ბეტეი „მოხნა“ →] უარყ. ნამ. ძირ. ბეტეი-საჟ → უარყ. მასდ. ბეტეი-საჟ-რ; უარყ. მიმღ. ნამ. ძირ. ბეტეი-საჟ-ბ → უარყ. პირ. ბეტეი-საჟ-ბ-ორ → უარყ. დათმობ. ბეტეი-საჟ-ბ-ოლ- (<რ)-ღო.

გ) უარყოფითი აწმყო კონკრეტულისაგან იწარმოება უარყოფითი აბსოლუტივი და მიმღობა აწმყო კონკრეტულისა:

[დადებ. აწმ. კონკრეტ. ბეტეირადლო „ხნავს“ →] უარყ. აწმ. კონკრეტ. ბეტეირადლო-საჟ → უარყ. აბსოლუტ. აწმ. კონკრეტ. ბეტეირადლო-საჟ-გუჟა, უარყ. მიმღ. აწმ. კონკრეტ. ბეტეირადლო-საჟ-ბ.

ქვანხ. და მუნიბ. თქმებში მიმღობის ფორმებში საწარმოებელი -ბ (მუნ. -ვი ← -ბი) ფორმანტის წინ უარყ. სუფიქსის ხმოვნითი ელემენტი შეიძლება განსხვავებული იყოს დროთა მიხედვით (ო.ქ): უარყ. მიმღ. აწმ. ზოგ. ბეტე-ი-ს-ო-ბ (მუნიბ. ბეტე-ი-ს-ო-ვი) „მუხელი“. უარყ. მიმღ. აწმ. კონკრეტ. ბეტე-ი-რ-ა-ს-ო-ბ — მაგრამ: უარყ. მიმღ. ნამ. ძირით. ბეტე-ი-ს-ო-ჟ-ბ (მუნიბ. ბეტე-ი-ს-ო-ჟ-ვი).

დ) უარყოფითი ნამყო ს აბსოლუტივისაგან იწარმოება უარყოფითი პირობითი-ნატვრითი:

[დადებ. ნამ. ძირ. ბეტეი „მოხნა“ →] უარყ. აბსოლუტ. ნამ. ბეტეი-პიგუ → უარყ. პირობ.-ნატვრ. ბეტეი-პიგუ-ლამღურ.

ანდის თქმაში იშვიათად გვხვდება ანალიზური უარყოფითი წარმოების შემთხვევებიც ბალიდუ მეშველი ზმნის გამოყენებით. უარყოფითი შინაარსის ამ მეშველი ზმნის სხვადასხვა ფორმების შეხამებით ძირითადი (დადებითი შინაარსის) ზმნის ფორმებთან ვიღებთ შესაბამის — აღწერითს — წარმოებას უარყოფითი მნიშვნელობით: ბეტჰიდო ბალი „არ მოხნა“, ბეტჰიდო ბალირ „არ ხნავს“ და ა. შ. (ები იდობოლო წინნო ბალიდუ „რა ქნას, არ იცის“...). მეშველი ზმნა შეიძლება შეერწყას ძირითად ზმნას: წინნო ბალი → || წინნალი. ამგვარი წარმოება — თავისი მნიშვნელობით — ეტოლება გუტიზე უარყოფით მეშველ ზმნიან წარმოებას ხუნძურისას: ბეტჰუნ გუტულა „არ ხნავს“, ბეტჰუნ გუტანა „არ მოხნა“ და ა. შ.

**უარყოფით სუფიქსთა გენეზისისათვის.** უარყოფით ფორმებს, როგორც ვნახეთ, ორი სხვადასხვა სუფიქსი აწარმოებს: -საუ (→ || -სა) და -ჰი-გუ (ქვანს. -ჰი-კო, მუნ. -გუ-ჯი ← -გუ-ჰი)<sup>1</sup>.

უარყოფითი სუფიქსი -საუ (→ || -სა) წარმოშობით უკავშირდება უარყოფით მეშველ ზმნას საუ „არ არის“ (§ 112). ამ უარყოფითი მეშველი ზმნის შესაბამის (მისთვის შესაფერის) ფორმათა დადებითს სხვადასხვა ფორმებთან შერწყმით ჩანს მიღებული -საუ სუფიქსიანი უარყოფითი ნაკვთები<sup>2</sup>.

ამოსავალ და დებით ფორმებთან მიმართებით -საუ სუფიქსიანი (წარმოშობით: უარყოფითი მეშველი ზმნიანი) უარყოფითი ნაკვთები შემდეგნაირად შეიძლება დალაგდეს (და განალიზებული იქნეს):

და დებ. ინფ. ბეტჰიდუ „ხენა“ → უარყოფითი. ბეტჰიდუ-საუ;

და დებ. აწმ. ზოგ. ბეტჰიდო „ხნავს“ →: უარყოფითი. აწმ. ზოგ. ბეტჰი-დო-საუ. უარყოფითი. მყოფ. = უარყოფითი. მიმლ. აწმ. ზოგ.-მყოფ. ბეტჰიდო-საიჰა (< -სა-უ-ჰა), უარყოფითი. ბრძან. ბეტჰიდო-საუ-ბ<sup>3</sup>, უარყოფითი. ნატურ. ბეტჰიდო-საუ-ბ-დო;

და დებ. განზრახვ. ბეტჰიდულტი „განზრახული აქვს მოხნას“ → უარყოფითი. განზრახვ. ბეტჰიდულტი-საუ;

<sup>1</sup> დასტურდება ზ. (-სა?) თანხმობის შემცველი სუფიქსიც, რომელიც თავს იჩენს, კერძოდ, უარყოფით კითხვით ფორმებში (მის შესახებ იხ. § 120, ა).

<sup>2</sup> შდრ. „ხუნძ. ენა“, § 174.

<sup>3</sup> დადებითი ბრძანებითის ფორმები, როგორც ვიცით, გარჩეულია ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით. უარყოფითი ბრძანებითის ფორმები კი ერთნაირად აქვთ ნაწარმოები გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს; შდრ.: ბეტჰიდო-საუ-ბ (გრდმ.) „არ მოხნა!“ — გირდო-საუ-ბ (გრდმ.) „არ დაწვე!“ (შდრ. დადებ. ბრძან.: ბეტჰი-საუ „მოხნა!“ მაგრამ: გირდო-ბ „დაწვე!“). ეს აიხსნება იმით, რომ ყველა ზმნის უარყოფითი ბრძანებითის საწარმოებლად დადებ. აწმყო ზოგადის ფორმას დაერთვის. -საუ-ბ სუფიქსი, რომელიც წარმოშობით უარყოფითი მეშველი ზმნის ბრძანებითის (= მიმღობის) ფორმაა შესაბამისი წარმოებით.

და დ ე ბ. ნ ა მ. ძ ი რ. ბ ე ტ ი ე „მონა“ → უარყ. ნ ა მ. ძ ი რ. ბ ე ტ ი ე-ხ ე უ, უარყ. მიმღ. ნ ა მ. ძ ი რ. ბ ე ტ ი ე-ხ ე უ-ბ, უარყ. პ ი რ ო ბ. ბ ე ტ ი ე-ხ ე უ-ბ-ო რ, უარყ. და თ ო ბ. ბ ე ტ ი ე-ხ ე უ-ბ-ო ლ (< რ)-ლ ო, უარყ. მ ა ს დ. ბ ე ტ ი ე-ხ ე უ-რ;

და დ ე ბ. ა წ მ. კ ო ნ კ რ ე ტ. ბ ე ტ ი რ ა დ ო „ხ ნ ა ვ ს“ → უარყ. ა წ მ. კ ო ნ კ რ ე ტ. ბ ე ტ ი რ ა დ ო-ხ ე უ, → უარყ. მიმღ. ა წ მ. კ ო ნ კ რ ე ტ. ბ ე ტ ი რ ა დ ო-ხ ე უ-ბ, უარყ. ა ბ-ს ო ლ ე ტ. ა წ მ. კ ო ნ კ რ ე ტ. ბ ე ტ ი რ ა დ ო-ხ ე უ-გ უ-ჟ ა.

რ ა ც შ ე ე ხ ე ბ ა -ჭ ი-გ უ-ს (ქ ვ ა ნ ს. -ჭ ი-კ ო, მ უ ნ. -გ უ-ჯ ი ← -გ უ-ჭ ი). რ ო მ ე ლ ი ც შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ო შ ვ ი ა თ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ა, მ ა ს შ ი, რ ო გ ო რ ც ზ ე მ ო თ ი თ ქ ე ვ ა, ს ა კ უ თ რ ი ე უ ა რ ყ ო ფ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ე ვ ე ლ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს -ჭ ი (→ მ უ ნ. -ჯ ი), რ ო მ ე ლ ი ც უ კ ა ვ შ ი რ დ ე ბ ა ხ უ ნ დ. -ჭ ო (მ ო თ ლ ი ხ. -ჭ ი, კ ა რ ა ტ. -ჭ ე) უ ა რ ყ ო ფ ი თ ს უ ფ ი ქ ს ს. ე ს ე ტ წ ა რ მ ო შ ო ბ ი თ უ ა რ ყ ო ფ ი თ ი მ ე შ ე ვ ე ლ ი ზ მ ნ ი-ს ა გ ა ნ ჩ ა ნ ს მ ი ლ ე ბ უ ლ ი (შ დ რ. ხ უ ნ დ. ჰ ე ქ ო „არ არის“) <sup>1</sup>.

მ უ ნ ი ბ ი ს თ ქ მ ა შ ი -ჯ ი (← -ჭ ი) გ ე ხ ე დ ე ბ ა, გ ა რ დ ა უ ა რ ყ. ნ ა მ ყ ო ს ა ბ ს ო ლ. ფ ო რ მ ი ს ა, ზ ო გ ი ს ხ ე ვ ა უ ა რ ყ. ფ ო რ მ ი ს მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ა დ ა ც დ ა ნ ა რ ჩ ე ნ თ ქ მ ა თ ა -ს ა უ (→ || -ს ა) ს უ ფ ი ქ ს ს ა დ გ ი ლ ა ს: უ ა რ ყ. ა წ მ. კ ო ნ კ რ ე ტ. ბ ე ტ ი რ ა -ჯ ი (შ დ რ. ა ნ დ. ბ ე ტ ი რ ა დ ო-ს ა უ) „არ ხნავს“...

§ 112. მ ე შ ვ ე ლ ი ჴ მ ნ ა ბ ი. ა ნ დ ი უ რ შ ი (ი ს ე ვ ე, რ ო გ ო რ ც ხ უ ნ ძ ო რ-ში) გ ა რ ჩ ე უ ლ ი ა დ ა დ ე ბ ი თ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს ო რ ი ძ ი რ ი თ ა დ ი მ ე შ ე ვ ე ლ ი ჴ მ ნ ა (კ ო ბ უ ლ ა): ა) ო || ჯ ი → || უ ი (ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ო რ ა: • — ა ნ დ ი ს ა და ა შ ა ლ ი ს თ ქ მ ე ბ შ ი, ჯ ი — ლ ა ლ ა თ ლ ს, ზ ი ლ ო ს, მ უ ნ ი ბ ი ს, ქ ვ ა ნ ხ ი დ ა თ ლ ს თ ქ მ ე ბ შ ი, ხ ო ლ ო უ ი — რ ი კ ვ ა ნ ი ს თ ქ მ ა შ ი) და ბ) ბ-ი კ უ ლ უ (შ ე ს ა ბ ა მ ი ს ა დ კ ლ ა ს ი ს ა და რ ი ც ხ ე ი ს ა: მ ხ. რ.: ვ-უ-კ უ ლ უ ← ვ-ი კ უ ლ უ [§ 54], ღ-ი კ უ ლ უ, ბ-ი კ უ ლ უ, რ-ი კ უ ლ უ — მ რ. რ.: ვ-ო კ უ ლ უ, ღ-ო კ უ ლ უ, ბ-ო კ უ ლ უ, რ-ო კ უ ლ უ [§ 105]). პ ი რ ვ ე ლ ი უ ფ რ ო კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ა ა (= ხ უ ნ დ. ბ-უ გ ო), მ ე ო რ ე — უ ფ რ ო ზ ო გ ა დ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ა ა (= ხ უ ნ დ. ბ-უ კ ი ნ ე); შ დ რ.: ა) ი მ ა ო შ უ ო (= ხ უ ნ დ. ე მ ე ნ რ ო ყ ო ვ ვ-უ გ ო) „მ ა მ ა შ ი ნ ა რ ი ს“ (ა მ წ უ თ ა ს) — ბ) ი მ ა ო შ უ ვ-უ კ უ ლ ო (= ხ უ ნ დ. ე მ ე ნ რ ო ყ ო ვ ვ-უ კ უ ნ ა) „მ ა მ ა შ ი ნ ა რ ი ს წ ო ლ მ ე ო“ (ს ა ე რ თ ო ლ).

ბ-ი კ უ ლ უ (მ რ. ბ-ო კ უ ლ უ) ჴ მ ნ ი ს ფ უ ძ ე ა -ო/ო-კ ვ-, ძ ი რ ი — კ ვ- (ძ ი რ ე უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ს ლ ა ბ ი ა ლ უ რ ი კ ო მ პ ო ნ ე ნ ტ ი ვ ო კ ა რ გ ვ ი ს ს ა თ ა ნ ა დ ო ფ ო რ-მ ე ბ შ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი ს ე უ ლ ი უ ხ მ ო ვ ა ნ ი ს წ ი ნ: ი ნ ფ. ბ-ი კ უ ლ უ ← ბ-ი კ ვ-ი ლ უ [§ 43] და ა. შ., მ ა გ რ ა მ: ნ ა მ. ძ ი რ. ბ-ი კ ვ-ო და ა. შ.). ს უ ლ ს ხ ე ვ ა ფ უ ძ ე ს შ ე ი ც ა ვ ს ო || ჯ ი → || უ ი ჴ მ ნ ა; მ ი ს ი ძ ი რ ე უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ჯ (← \* ჯ — § 36) უ ნ დ ა ი ყ ო ს, რ ი კ ვ ა ნ ი ს თ ქ მ ა შ ი ჯ → ჟ, ხ ო ლ ო ა ნ დ ი ს ა და ა შ ა-ლ ი ს თ ქ მ ე ბ შ ი ძ ი რ ე უ ლ ი თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ი ი ვ ა რ ა უ დ ე ბ ა დ ა კ ა რ გ უ ლ ა დ.

<sup>1</sup> ხ უ ნ დ. -ჭ ო ს უ ფ ი ქ ს ს კ ა ვ შ ი რ ი უ ა რ ყ. მ ე შ ე ვ ე ლ ჴ მ ნ ა ს თ ა ნ ჰ ე ქ ო („არ არის“) ა ნ დ ი შ ე უ ლ ი ა ქ ე ს ლ. ე რ ო ვ ს (И. Кирков, Авар-рус. сл., გვ. 157).

ი || ჯი → || ეი „არის“ ზმნის უარყოფითი კორელატია საუ „არ არის“ (მნიშვნელობით უდრის ხუნძ. ჰეჭო-ს). ეს უკანასკნელი უარყოფით მინაარსს გამოხატავს ფუძის მნიშვნელობით და არა წარმოებით.

მეშველი ზმნები ი || ჯი → || ეი „არის“ და საუ „არ არის“ დრო-კილოთა ფორმების წარმოების მხრივ დეფექტურია: მოებოვებათ მხოლოდ აწმყო დროის მნიშვნელობის მარტივი ფორმები (ი „არის“, საუ „არ არის“—მიმღ. ი-ბ „მყოფი“, საუ-ბ „არ მყოფი“) და აღწერითად ნაწარმოები ნამყოს (ნამ. უსრ.) ფორმები (ი ბ-ილი „იყო“, საუ ბ-ილი „არ იყო“—§ 113,1). რაც შეეხება უფრო ზოგადი მნიშვნელობის ბ-იკუ დუ მეშველ ზმნას, მისგან შეიძლება ვაწარმოოთ ყველა ფორმა, რასაც კი ყოველი წესიერი ზმნა განარჩევს.

მეშველი ზმნის როლში იხმარება აგრეთვე ბ-ილიდუ (წესიერი ზმნაა), რომლის ძირითადი (და ამოსავალი) მნიშვნელობაა „დგომა“, მაგრამ მასვე შეიძლება „ყოფნის“ მნიშვნელობაც ჰქონდეს. ამ მნიშვნელობით მონაწილეობს იგი, როგორც მეშველი ზმნა, კერძოდ, დრო-კილოთა აღწერით ფორმებში. მუნიბის თქმაში კი ამ ფუძეს დამოუკიდებლად ხმარების დროსაც ჩვეულებრივ „ყოფნის“ მნიშვნელობა აქვს (ბ-ილ-უ „ყოფნა“, ბ-ილ-ი „იყო“ და ა. შ., ხოლო „დგომის“ მნიშვნელობით აქ სულ სხვა ფუძეა: შან-ნუ). ანდიურში (და ხუნძურში) უნდა გვექონოდა აგრეთვე მეშველი ზმნა \*ლ'-ილუ (ხუნძ. ლ'-იხე) „გახდომა“, „გადაქცევა“ (გრდუვ.). ამჟამად კი იგი ენკლიტიკურად ერთვის სახელებს და აწარმოებს ნასახელარ გარდაუვალ ზმნებს (§ 116).

**§ 113. აღწერითი (ანალიზური) ფორმები.** დრო-კილოთა აღწერითი (ანალიზური) ფორმებით ანდიური ზმნა არც ისე მდიდარია (ამ მხრივ ანდიური „ჩამორჩება“, კერძოდ, ხუნძურს, რომელსაც, როგორც ცნობილია, აღწერით ფორმათა სიუხვე ახასიათებს), მაგრამ ამგვარი ფორმები — მარტივი (სინთეზური) წარმოების ფორმებთან ერთად — მაინც საკმაოდ გვხვდება.

აღწერით წარმოებას ვიღებთ საუღვლებელი (ძირითადი) ზმნის ფორმებთან მეშველი ზმნის ფორმათა ისეთი შეხამებით, როცა მეშველი ზმნა მოკლებულია დამოუკიდებლობას და საუღვლებელი ზმნის ფორმანტის როლში გვევლინება იმავე ფუნქციით, რაც მარტივი წარმოებისას ფუძეზე. დართულ ფორმანტებს აქვთ.

საუღვლებელ (ძირითად) ზმნას აღწერითი წარმოებისას შეიძლება ჰქონდეს ფორმები: ა) აწმყო კონკრეტული ს. ან ზოგა-

დისა, ბ) მყოფადისა (= მიმღობა აწმ. ზოგ.-მყოფ.), გ) ნამყოს აბსოლუტივისა. თითოეულ მათგანთან მეშველ ზმნად გამოიყენება შესაბამისი ფორმებით ბ-იკუღუ („ყოფნა“) || ბ-იღ-ღუ („დგომა“). ორივე ეს ზმნა გარდაუვალია და კლას-ნიშნინია. დამოუკიდებლად ხმარებისას ისინი მათთვის შესაფერის სინტაქსურსა და მორფოლოგიურ ნორმებს ექვემდებარებიან (როგორც გარდაუვალი ზმნები რეალურ სუბიექტს დაისვამენ სახელობით ბრუნვაში, რომელსაც თავის მხრივ ეთანხმებიან კლასსა და რიცხვში — § 104, 105), მაგრამ მეშველი ზმნის როლში (აღწერითი წარმოებისას) ამ მხრივ მოკლებული არიან დამოუკიდებლობას და საუღვლებელი ზმნის ნორმებს იცავენ, — კერძოდ, მათი ფორმები გრამატიკული კლასისა და რიცხვის მიხედვით დამოკიდებულია იმაზე, გარდაუვალია თუ გარდამავალი საუღვლებელი ზმნა, რომელსაც ისინი დაერთვიან; შდრ.: ა) ვოცაი ვ-უღინნო ვ-უღი „ძმა მოდიოდა“, ვოცაულ ვ-ოღინნო ვ-ოღი „ძმები მოდიოდნენ“ (გრღუგ.)... — მაგრამ: ბ) ვოცაული ლ'უღი ბ-უყაირ ბ-იღი „ძმა შეშას კრიდა“, ვოცაული ლ'უღოლ ბ-აყაირ ბ-ოღი „ძმა შეშებს კრიდა“ (გრღმ.)... თუ მეშველი ზმნა არ იცავს საუღვლებელი ზმნის ნორმებს და დამოუკიდებლობას ჩემულობს, აშკარაა, რომ სათანადო შემთხვევაში საქმე გვაქვს არა აღწერით წარმოებასთან, არამედ უბრალო სინტაქსურ შენაერთთან<sup>1</sup>.

აღწერით წარმოებაში მეშველი ზმნის შესაბამისი ფორმებით გამოიხატება დროული მნიშვნელობა, ძირითადი ზმნის შესაბამისი ფორმებით კი სათანადო დროში მოქმედების ხასიათი: ასპექტი (სრული, უსრული), დინამიკურობა-სტატიკურობა. ძირითადი ზმნის აწმყოს ფორმებიანი აღწერითი წარმოება უსრული (იმპერფექტული) ასპექტისაა და დინამიკური შინაარსისა, ნამყოს აბსოლუტივიანი — სრული (პერფექტული) ასპექტისა და სტატიკური შინაარსისა (იხ. § 107; აგრეთვე აქვე ქვ.)<sup>2</sup>. ამით აიხსნება ძირითადი ზმნის სხვადასხვა ფორმებთან ერთი და იმავე მეშველი ზმნის ხმარება.

ქვემოთ მოგვყავს აღწერითი წარმოების მთავარი (უფრო ხშირად ხმარებული) ფორმები (ანდის თქმიდან).

1. ნამყო უსრული. ძირითადი ზმნის აწმყოს (აწმყო კონკრეტულის ან — უფრო იშვიათად — აწმყო ზოგადის) ფორმასთან მეშველი

<sup>1</sup> ამ საკითხის თაობაზე იხ.: А. Бокарев, Синтаксис авар. яз., გვ. 108—117; „ხუნდ. ენა“, გვ. 329—330.

<sup>2</sup> შდრ. „ხუნდ. ენა“, § 178.

ზმნის ნამყო ძირითადის ფორმის (ბ-ილი || ბ-იკვო) შეხამებით იწარმოება აღწერითი ფორმა, რომელსაც ნამყო უსრულის მნიშვნელობა აქვს: ბეტაირადო ( || ბეტაილო) ბ-ილი ( || ბ-იკვო) „ხნავდა“... ბახომადო ( || ბახინნო) ბ-ილი ( || ბ-იკვო) „კერავდა“...

დინ ოლოჯან ზამან პალტუნირ ვული ბულ'იხა „მე ახალგაზრდობის დროს ვმუშაობდი ბოთლიხში“... ჰელ'აუ ბალირ ვული დინ „ფაბზაფუჩილა“ „იქ ვსწავლობდი მე ფაბზაფუჩში“... მოლლა რასაადინ ბახალლო ვულინო ვუკვო „მოლანასრედინი ბახარში მიდიოდა“... უსმან ვუყოლო ვუკვო გურჯიჯალ'იქუ „ოსმანი მოდიოდა საქართველოდან“...

აღწერითი ნამყო უსრული იმავე მეშველი ზმნით შეიძლება ვაწარმოთ განზრახვითი ფორმისაგანაც, რომელსაც უმეშველზმნოდ აწყო (აწყო კონკრეტული) დროის მნიშვნელობა აქვს: დინ ვულინულქი ვული იმუდი ელთასაუ „მე ვაპირებდი წასვლას, [მაგრამ] მაშამ არ გამიშვა“...

**2. პირობით-შედევობითი** („ნამყოფადარი ნამყო უსრული“). ძირითადი ზმნის მყოფადის ფორმასთან (რომელიც იმავე დროს აწყო ზოგადისა და მყოფადის მიმღობის ფორმაცაა — § 109,4) მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმის (ბ-ილი || ბ-იკვო) შეხამება იძლევა აღწერით წარმოებას, რომელსაც პირობით-შედევობითის მნიშვნელობა აქვს: ბეტაიდიხა ბილი ( || ბიკვო) „მოხნავდა“... ბახინნიხა ბილი ( || ბიკვო) „შეკერავდა“...

სათანადო წინადადებაში (მნიშვნელობით რთულ დაქვემდებარებულში) მასთან დაკავშირებულია მეორე ზმნა (მნიშვნელობით დამოკიდებულ წინადადებაში) პირობით-ნატვრითის ფორმით: ორსი იჩაიდულამდურ (პირობ.-ნატვრ.), დინ კოთუ ბიხიდიხა ბილი (პირობ.-შედევ.) „ფული რომ მოეცა, მე ცხენს ვიყიდდი“... ვუჰუგუ პალტუნნიდურ (პირობ.-ნატვრ.), ბურტა ჰეკა ვუკულიხა ვული (პირობ.-შედევ.) „ბევრი რომ ემუშავნა, მდიდარი კაცი იქნებოდა“...

**3. ნამყო წინარესრული** (ნამყო შედეგობითი). ძირითადი ზმნის ნამყოს აბსოლუტივის ფორმასთან (რომელიც დადებითი ფორმით ნამყო სრულს ანუ აწყო შედეგობითს ემთხვევა, მაგრამ უარყოფითი საკუთარი ფორმა მოეპოვება — § 111) მეშველი ზმნის ნამყო ძირითადის ფორმის (ბ-ილი || ბ-იკვო) შეხამება აწარმოებს აღწერით ფორმას, რომელსაც ნამყო წინარესრულის (ნამყო შედეგობითის) მნიშვნელობა აქვს: ბეტაიდუ ბილი ( || ბიკვო) „მოხნუ-

ლი ჰქონდა“, „მოეხნა“... ბახონდუ ბილი (|| ბიკვო) „შეკერილი ჰქონდა“, „შეიკერა“...

მინ დავლალლო ვულონდუ ვუკვო ძელ'ატუგუ იშუვა ეტი-  
დი ვუყ'ვო „შენ დავლაზე წასული იყავ, დღესვე შინ როგორ მო-  
ხვედი?“... ტანა იშაიბ რაჯქომოლი მაშინ ბულონდუ ბილი ბუ-  
ლ'იხო; ჰელ'აუქუ ბეხუდუბა ბიშობ რიჰი შოფირ ტულუ წაა-  
დიდუ ვუკვო „ზამთარში ჩვენი რაიკომის მანქანა წასულიყო  
ბოთლიხში; იქიდან უკან დაბრუნების დროს შოფერი ძალიან  
(„ცუდად“) დამთვრალიყო“ („დაელია“)...

4. დანარჩენი აღწერითი ფორმები, რომლებიც იშვიათად იხმა-  
რება, მიიღება ძირითადი ზმნის იმავე ფორმებთან მეშველი ზმნის  
ფორმათა ცვლით დრო-კილოთა მიხედვით.

საერთოდ, აღწერითს წარმოებაში მეშველი ზმნა ყველაზე ხში-  
რად მონაწილეობს ნამყო ძირითადის ფორმით (იხ. ზემოთ), იშვია-  
თად ნამყო სრულის (პერფექტის ანუ აწმყო შედეგობითის)  
ფორმითაც (ბილიდუ || ბიკვოდუ).

ანდის თქმაში (და ზემოანდ. თქმათა უმეტესობაში) მეშველი  
ზმნა ი „არის“ (§ 112) ჩვეულებრივ არ მონაწილეობს აღწე-  
რით ფორმებში: იგი თვით კოპულის—კერძოდ, შედგენილი შემას-  
მენლის ზმნური კომპონენტის—როლშიც შეიძლება გამოტოვებულ  
იქნეს (ჰონობ კოთუ 'ი' „ეს ცხენი 'არის“... ჰონობ კოთუ დიბ  
'ი' „ეს ცხენი ჩემი 'არის“...).

ქვანხიდათლის თქმაში ამ მნიშვნელობის მეშველი ზმნა ნამყო  
ძირითადის ფორმასთან შეხამებით გვაძლევს ნამყო სრულის (პერ-  
ფექტის) აღწერით ფორმას: ბეტჰი ჯი (შდრ. ანდ. ბეტჰიდუ)  
„მოხნული აქვს“, „მოუხნავს“... ვუცო ჯი „მოსულია“, „მოსულა“  
(ბისაიხო ვუცო ჯი წაელ „თქვენთან მოსულან სტუმრები“)...  
ვუქო ჯი „მომკვდარა“... ვოტონ ჯი „უთქვამს“... ეგვე მეშველი  
ზმნა შეიძლება დაერთოს აწმყო კონკრეტულის ფორმასაც: ბე-  
ტჰირა ჯი „ხნავს“...

5. უარყოფითი აღწერითი ფორმები იწარმოება მეშველი ზმნის  
შესაბამისი უარყოფით ფორმით (ბეტჰირადო ბილი-საუ „არ ხნავდა“...  
ბეტჰიდუ ბილი-საუ „არ მოეხნა“...) ან ძირითადი ზმნის უარყო-  
ფორმასთან მეშველი ზმნის დადებ. ფორმის შეხამებით (ბუყაი-  
რადლო-საუ ბილი „არ კრიდა“... ბეტჰი-ქიგუ ბილი „არ მოხნა“...).

§ 114. მოძველების მრავალგზისობა. მოქმედების მრავალგზისობას (განმეორება-გახშირებითობას) გამოხატავს რედუპლიცირებული ფუძე, რომელიც დრო-კილოთა ფორმანტების წინ ჩვეულებრივ -შა<sup>1</sup> სუფიქსსაც დაირთავს: კელტე-შა-დუ (-შა-დ ← შა-დ — § 44) „კაწვრა“, „ფხანა“ (შდრ. ერთგზ. კელ-ლუ), კირკი-შა-დუ „კანკალი“, ჰარჰა-შა-დუ „რყევა“, „ნძრევა“, ყინყინ-შა-დუ „რქობა“, „ჩასობა“ (მრავლისა, მრავალგზის), ლ'ურლ'უ-შა-დუ „ბერტყა“, ლ'იბლ'აბ-შა-დუ „ხეხვა“... ქვანხ. ლ'იბლ'ი-შა-უ „ხტომა“ (შდრ. ერთგზ. ლ'იბ-უ), კვარკვა-შა-უ „წერა“ (შდრ. ერთგზ. კვარ-უ), ლ'იბლ'ი-შა-უ „ხერება“, წააბწა-შა-უ „სმა“, ხანხანა-შა-უ „თიბვა“, გაბგა-შა-უ „დახოცვა“... როგორც მაგალითებიდან ჩანს, ბოლოკიდური თანხმოვანი რედუპლიცირებული ფუძის პირველი ნაწილისა მეორე ნაწილში არ მეორდება: იგი დაკარგული უნდა იყოს -შა სუფიქსის წინ (ნაკლებ სავარაუდებელია ამ სუფიქსის მონაცვლეობა ფუძისეულ ბოლოკიდურ თანხმოვნებთან). იშვიათად -შა სუფიქსი არარედუპლიცირებულ ფუძესთანაც გვხვდება: ტიკე-შა-დუ „კაკუნი“, დარკი-შა-დუ „ბრახუნი“, ჩიხაფ-შა-დუ „გამოვლება“ (სითხისა), ჰანკე-შა-დუ „ნძრევა“...

დრო-კილოთა ფორმების წარმოების მხრივ -შა სუფიქსიან ზმნათათვის საერთოა პირველი (აწმყო ზოგადის) წყების ფორმებში თემატური • ხმოვნის არქონა (მისი დაკარგვა ფონეტიკურ ნიადაგზე — § 114) და ნამყო ძირითადში ყოველთვის -ლ დაბოლოების ქონა: ინფ. კელტე-შა-დუ (← კელტე-შა-იდ-უ) „კაწვრა“; „ფხანა“, აწმ. ზოგ. კელტე-შა-დო (← კელტე-შა-იდ-ო), მყოფ. კელტე-შა-დ-იჰა (← კელტე-შა-იდ-იჰა) — ნამ. ძირ. კელტე-შა-ო... ინფ. კუტე-შა-დუ (← კუტე-შა-იდ-უ) „კაკუნი“, აწმ. ზოგ. კუტე-შა-დო (← კუტე-შა-იდ-ო), მყოფ. კუტე-შა-დ-იჰა (← კუტე-შა-იდ-იჰა) — ნამ. ძირ. კუტე-შა-ო...

§ 115. კაუზატივის წარმოება. კაუზატივის საწარმოებელი სუფიქსები ან დის თქმაში განსხვავებულია ამოსავალ ზმნათა უღვლილების ტიპებისა და — თითოეული ტიპის შიგნით — საულვლებელი ერთეულების წყებათა მიხედვით. პირველი უღვლილების ზმნებში გამოიყენება -ლ || -ლ' (-ლ — აწმყო ზოგადის წყების

<sup>1</sup> შდრ. Я. Сулейманов, Автореферат, გვ. 27.



ერთეულებში, -ოლ' — ნამყო ძირითადის წყების ერთეულებში), მეორე უღვლილები ზმნებში — -ონ || -ონ-ლ' (-ონ — აწმყო ზოგადის წყების ერთეულებში, -ონ-ლ' — ნამყო ძირითადის წყების ერთეულებში). ეს სუფიქსები უშუალოდ დაერთვის საუღვლებელი ზმნის ფუძეს, ხოლო ამ სუფიქსებს, თავის მხრივ, შესაბამის საუღვლებელ ერთეულთა დაბოლოებები მოსდევს. აწმყო ზოგადის წყების ფორმათა დაბოლოებების წინ კაუზატივის საწარმოებელ სუფიქსთა თანხმონითი ელემენტები (ლ, ნ) ჩვეულებრივ გაოზმაგებულია (იხ. ქვ.). მაგალითები:

(I უღვლ.) ბეტა-იდ-უ „ხენა“ → კაუზატ.: ინფ. ბეტა-ოლლ-უ-აწმ. ზოგ. ბეტა-ოლლ-ო, მყოფ. ბეტა-ოლლ-იჲა — ნამ. ძირ. ბეტა-ოლლ'-ი, ბრძან. ბეტა-ოლლ'-ო;

ბიხ-იდ-უ „ალბა“; „ყიდვა“ → კაუზატ.: ინფ. ბიხ-ოლლ-უ, აწმ. ზოგ. ბიხ-ოლლ-ო, მყოფ. ბიხ-ოლლ-იჲა — ნამ. ძირ. ბიხ-ოლლ'-ი, ბრძან. ბიხ-ოლლ'-ო;

ჯვარდ-უ „წერა“ → კაუზატ.: ინფ. ჯვარდ-ოლლ-უ, აწმ. ზოგ. ჯვარდ-ოლლ-ო, მყოფ. ჯვარდ-ოლლ-იჲა — ნამ. ძირ. ჯვარდ-ოლლ'-ი, ბრძან. ჯვარდ-ოლლ'-ო...

(II უღვლ.) ბახ-ინნ-უ „კერვა“ → კაუზატ.: ინფ. ბახ-ონნ-უ, აწმ. ზოგ. ბახ-ონნ-ო, მყოფ. ბახ-ონნ-იჲა — ნამ. ძირ. ბახ-ონნლ'-ი, ბრძან. ბახ-ონნლ'-ო;

ბოს-ინნ-უ „მბობა“, „თქმა“ → კაუზატ.: ინფ. ბოს-ონნ-უ, აწმ. ზოგ. ბოს-ონნ-ო, მყოფ. ბოს-ონნ-იჲა — ნამ. ძირ. ბოს-ონნლ'-ი, ბრძან. ბოს-ონნლ'-ო;

არხ-ინნ-უ „გაღება“ → კაუზატ.: ინფ. არხ-ონნ-უ, აწმ. ზოგ. არხ-ონნ-ო, მყოფ. არხ-ონნ-იჲა — ნამ. ძირ. არხ-ონნლ'-ი, ბრძან. არხ-ონნლ'-ო...

კაუზატიურ ზმნებს დრო-კილოთა წარმოების მხრივ შემდეგი თავისებურებები ახასიათებთ: ა) მათთვის უცხობა ნამყო ძირითადისა და ბრძანებითის დაბოლოებათა ის ვარიაციები, რაც არაკაუზატიურ სხვადასხვა ზმნებს ახასიათებთ (კაუზატიური ყველა ზმნა ნამყო ძირითადში შეიძლება დაირთავდეს მხოლოდ -ი დაბოლოებას, ბრძანებითში — -ო დაბოლოებას — იხ. ზემოთ); ბ) დრო-კილოთა პირველი (აწმ. ზოგ.) წყების ერთეულებში არა ჩანს ამ წყების ამოსავალი ფუძის საწარმოებელი სუფიქსი (-იდ || -ინ — გარჩეული უღვლილების ტიპების მიხედვით — § 108,5), რომელსაც არაკაუზატ. ზმნები დაირთა-

ვენ (აღნიშნული წყების—ისევე, როგორც მეორე ანუ ნამყო ძირითადის წყების—ერთეულთა დაბოლოებები დაერთვიან უშუალოდ კაუზატივის საწარმოებელ სუფიქსებს, რომლებიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, თვითონვე არიან გარჩეული წყებათა და უღვლილების ტიპების მიხედვით); გ) პირველი უღვლილების ნამყო სრულის (resp. ნამყოს აბსოლუტივის) ფორმაში ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები ხდება: ამ ფორმის—ღუ დაბოლოების გავლენით ჯერ იკარგება ამოსავალი ფორმის (ნამ. ძირით.) -ი დაბოლოება, ხოლო ამის შემდეგ კაუზატივის საწარმოებელი სუფიქსისეული ლატერალური ლ' თანხმოვანი დაბოლოებისეული ღ-ს უშუალო მეზობლობაში -ღ-თი იცვლება (-ოღ-ღუ ← ოღ'-ღუ ← ოღ'-ი-ღუ): ბეტა-ოღ-ღუ ← ბეტა-ოღ-ღუ ← ბეტა-ოღ'-ღუ ← ბეტა-ოღ'-ი-ღუ „მოახენეენინა-რა“ (დანარჩენი ფორმები იწარმოება საერთო წესის მიხედვით).

პირველი უღვლილების მეორე (ნამ. ძირით.) წყების კაუზატივის ფორმებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მრავლობითობის -ოღ სუფიქსიც რეალური—უახლოესი (ანუ პირდაპირი)—ობიექტის მრავლ. რიცხვის აღსანიშნავად (ასეთ შემთხვევაში ზმნის ფუძეს ჯერ დაერთვის მრავლობითობის -ოღ სუფიქსი, ხოლო ამ უკანასკნელს—კაუზატივის სუფიქსად—ღ'); შდრ.: იმუდი ვოშურო ჰაყაუ რ-იხ-ო'ღ-ი „მამამ ვაეიშვილს სახლი აყიდინა“—იმუდი ვოშურო ჰაყაობილ რ-ოხ-ოღ-ღ'-ი „მამამ ვაეიშვილს სახლები აყიდინა“ (ასევე: მრძან. რ-იხ-ოღ'-ო ჰაყაუ „აყიდინე სახლი!“—რ-ოხ-ოღ-ღ'-ო ჰაყაობილ „აყიდინე სახლები!“ და ა. შ.). მრავლობითობის ეს -ოღ სუფიქსი (რომელიც სახელებშიც გვაქვს—§ 68) ჩვენს ყურადღებას წარმართავს ამავე უღვლილების პირველი (აწმ. ზოგ.) წყ. კაუზატივის ფორმათა საწარმოებელ -ოღ- სუფიქსისაკენ, რომელიც საზიაროა მხოლოდობითსა და მრავლობითში (შდრ.: ჰაყაუ რ-იხ-ოღ-ღ-ო „სახლს აყიდინებს“—ჰაყაობილ რ-ოხ-ოღ-ღ-ო „სახლებს აყიდინებს“ და ა. შ.). შესაძლოა კაუზატივის საწარმოებელი ეს -ოღ სუფიქსი წარმოშობით მრავლობითი რიცხვის ნიშანი იყოს<sup>1</sup>.

ქვანხიდათლის თქმაში კაუზატივის სუფიქსები ორსავე უღვლილების ზმნებში უცვლელია წყებათა მიხედვით: მეორე წყების ერთეულებში იგივე სუფიქსები გამოიყენება, რაც პირველი წყების ერთეულებში (-ოღ, -ონ).

<sup>1</sup> იხ.: ქ. ლომთათიძე, კაუზატივის კატეგორია აფხაზურში, სმამ, ტ. IV, № 1, 1945 (იქვე მითითება ნ. მარის შრომაზე.)

მუნების თქმაშიც კაუზატივის სუფიქსები გარჩეული არ არის წყებათა მიხედვით, მაგრამ აქ სხვა სუფიქსები გამოიყენება: -ოთ—პირველი უღვლილების ზმნებში, -ონ-თ — მეორე უღვლილების ზმნებში (ეს სუფიქსები ფუძეს გაჰყვება ყველა საუღვლებელ ერთეულში: ბეტჲ-უ „ხვნა“ → კაუზატ.: ინფ. ბეტჲ-ოთ-უ და ა. შ. ნამ. ძირ. ბეტჲ-ოთ-ი და ა. შ.; ბახინ-უ „კერვა“ → კაუზატ.: ინფ. ბახ-ონ-თ-უ და ა. შ. ნამ. ძირ. ბახ-ონ-თ-ი და ა. შ.).

კაუზატიურ ზმნასთან იმ პირის სახელი, რომლითაც გაშუამავლებულია მოქმედება (ვისაც ან რასაც აიძულებენ მოქმედების შესრულებას), დაისმის აფექტიურ ბრუნვაში; შდრ.: იმუდი ხურ ბეტჲ-ი „მამამ უანა მოხნა“ (უშუალ.) — იმუდი ვოშუბო ხურ ბეტჲ-ოლ'-ი „მამამ ვაჟიშვილს უანა მოახვნევიანა“ (შუალ.)... ილუდი ქვანო რახ-ონ „დედამ პერანგი შეკრა“ (უშუალ.) — ილუდი ჯოშუბო ქვანო რახ-ონლ'-ი „დედამ ქალიშვილს პერანგი შეაკვრინა“ (შუალ.)...

კაუზატივის მეშვეობით ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) შეიძლება გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავლის წარმოება (ამის შესახებ იხ. § 106).

§ 116. ნასახლარ ზმნათა წარმოება -ლ' სუფიქსით. ამ სუფიქსით ნაწარმოები ნასახლარი ზმნა გამოხატავს — შესაბამისად ამოსავალი ფუძის მნიშვნელობისა — რადმე გარდაქცევას, გახდომას: პირი „წითელი“ → პირი-ლ'-ილუ „წითლად ქცევა“, გაწითლება“ (აწმ. ზოგ. პირი-ლ'-ილო, მყოფ. პირი-ლ'-ილიჯა, ნამ. ძირ. პირი-ლ'-ი და ა. შ.), ბეჭედი „შავი“ → ბეჭედი-ლ'-ილუ „შავად ქცევა“, „გაშავება“, ბეჭუხა „დიდი“ → ბეჭუხა-ლ'-ილუ „დიდად ქცევა“, „გადიდება“, ვოხორ „მოხუცი“ → ვოხორ-ლ'-ილუ „დაბერება“... ილა „დედა“ → ილა-ლ'-ილუ „დედად გახდომა“, იმა „მამა“ → იმა-ლ'-ილუ „მამად გახდომა“, ვოცი „ძმა“ → ვოცი-ლ'-ილუ „ძმად გახდომა“; „დაძმობილება“, ლ'ენ „წყალი“ → ლ'ენ-ლ'-ილუ „წყლად ქცევა“ და ა. შ. (წარმოება პროდუქტიულია).

წარმოშობით ეს სუფიქსი მეშველი ზმნის ფუძე ჩანს: ინფ. \*ლ'-ილუ „გახდომა“, „გარდაქცევა“ (становиться, werden), აწმ. ზოგ. \*ლ'-ილო, მყოფ. \*ლ'-ილიჯა, ნამ. ძირ. \*ლ'-ი, ბრძან. \*ლ'-ი-ბ და ა. შ. (ამჟამად დამოუკიდებლად არ იხმარება)<sup>1</sup>.

<sup>1</sup> მისი მატერიალური და ფუნქციური შესატყვისებია: ხუნძ. -ლ'-იხე (ებელ-დედა“ → ებელ-ლ'-იხე „დედად გახდომა“...), ლაკ., ტაბას. ხ'-უნ, ალულ. ხ'-ას... (N. Trubetzkoy, Nordkaukas. Wortgleichungen, § 80).

ამგვარად ნაწარმოები ნასახელარი ზმნები გარდაუვალია (ამას განსაზღვრავს საწარმოებელი სუფიქსი, რომელიც გარდაუვალი მეშველი ზმნისგანაა მიღებული). მათგან — ისევე, როგორც პირველადი გარდაუვალი ზმნებისაგან — შესაბამისი გარდამავალი ზმნების წარმოება შეიძლება კაუზატივის მეშვეობით (§§ 106, 115); შდრ.: ა) გრდუე-პირი-ლ'-იდუ „გაწითლება“ (პირი-ლ'-ი „გაწითლდა“), ბექუხა-ლ'-იდუ „გადიდება“ (ბექუხა-ლ'-ი „გადიდდა“) და ა. შ.—ბ) გრდმ. პირი-ლ'-ოლლ-უ „გაწითლება“ (პირი-ლ'-ოლ'-ი „გააწითლა“), ბექუხა-ლ'-ოლლ-უ „გადიდება“ (ბექუხა-ლ'-ოლ'-ი „გაადიდა“) და ა. შ. (გრდმ. ზმნის ეს ფორმები კაუზატივის ფორმებია—§ 115). ზოგჯერ გარდამავალი ნასახელარი ზმნის საწარმოებლად იხმარება მეშველი ზმნა იდუ (ნამ. ძირ. იჰი) „კეთება“, რომელიც სათანადო შემთხვევებში დაერთვის იმავე ფუძეს, რასაც -ლ' სუფიქსი გარდაუვალი ნასახელარი ზმნის საწარმოებლად; შდრ.: ბექუხა „დიდი“ →: ა) ბექუხა-ლ'-იდუ (გრდუე-) „გადიდება“ (ბექუხა-ლ'-ი „გადიდდა“, „დიდად იქცა“), ბ) ბექუხა იდუ (გრდმ.) „გადიდება“, ზედმიწ. „დიდად ქმნა“ (ბექუხა იჰი „გაადიდა“, ზედმიწ. „დიდად ქმნა“, „აქცია“)... ამრიგად, ერთი და იმავე სახელისაგან გარდამავალი მეშველი ზმნა (იდუ „კეთება“) აწარმოებს გარდამავალ ნასახელარ ზმნებს, ხოლო გარდაუვალი მეშველი ზმნა (\*ლ'იდუ „გარდაქცევა“, „გახდომა“)—გარდაუვალ ნასახელარ ზმნებს.

### ზმნისაკთი. ნაწილაკი. კავშირი

§ 117. ზმნისაკთის წარმოება. ყოველი ვითარებითი (პირველადი) ზედსართავი სახელი შეიძლება ზმნისაკთის როლშიც მოგვევლინოს; შდრ.: ჩონჩი ჰეკა „კარგი კაცი“—ჩონჩი იდო „კარგად აკეთებს“, ხაეხი კოთუ „სწრაფი ცხენი“—ხაეხი ხ'ვადუნჩი „სწრაფად დადის“, ბალუ ჟოში „ლამაზი გოგონა“—ბალუ ყაპუნჩი „ლამაზად მორთო“ და ა. შ. თვისების აღმნიშვნელი ერთი და იგივე სიტყვა გამოხატავს, როგორც საგნის თვისებას, ისე მოქმედების თვისებასაც.

ხუნძურშიც ასეა, ოღონდ ამ ენაში, როგორც ცნობილია, ზედსართავი სახელი მსახლერელის როლში ჩვეულებრივ გაფორმებულია კლას-ნიშნის შემცველი სუფიქსებით (-ჰვ, -აჰ, -აზ — შესაბამისად სახლერული არსებითი სახელის

გრამატიკ. კლასისა), ხოლო იგივე სახელი ზმნისართის როლში გაუფორმებელია (გამოიყენება ოდენ ფუძე): შდრ.: ლ'შიკ-აე ჩი „კარგი კაცი“ — ლ'შიკ ჰაბულა „კარგად აკეთებს“ ანდიურში კი ვითარებითი ზედსართავი სახელი ამ მხრივ არ გაირჩევა შესაბამისი ვითარებითი ზმნისართისაგან (ორივე იყენებს გაუფორმებელ ფუძეს — იხ. ზემოთ).

ზმნისართის ფუნქციას შეიძლება ასრულებდეს არსებითი სახელის ფუძეც: ზუბუ „დღე“ (სერ ზუბუ „ერთ დღეს“, ჰარ ზუბუ „ყოველ დღე“...), რიჰი „დრო“ (ჰებ რიჰი „ამ დროს“; „მამინ“...).

უფრო ხშირად კი ზმნისართად გამოიყენება ესა თუ ის ფორმა სახელისა (კერძოდ, ადგილობითი ბრუნვის ფორმები) ან ზმნისა (კერძოდ, აბსოლუტივის, ინფინიტივის ფორმები).

იმავე დროს მოიპოვება ისეთი ზმნისართებიც, რომელთაც საკუთარი მაწარმოებლებიც აქვთ (იხ. ქვ.).

#### ა) ვითარებით ზმნისართთა წარმოება

-გუ. ეს სუფიქსი (წარმოშობით ნაწილაკი—§ 120) ჩვეულებრივ იხმარება ფუძის საწარმოებელ სხვადასხვა სუფიქსებთან (ან ნაწილაკებთან) ერთად და სათანადო წარმოებას ზმნისართულ შინაარსს ანიჭებს (ქვემოთ მოგვყავს შესაბამის სუფიქსებთან ერთად): -გა-გუ აღნიშნავს: „მსგავსად“, „ისე, როგორც“, „ვით“ (აწარმოებს სახელისაგან ვითარებით ზმნისართს): უნსო „ხარი“ — უნსო-გა-გუ „ხარის მსგავსად“, „ხარსავით“ (უნსო-გა-გუ ჰალტუნნიარ „ხარსავით მუშაობს“), მილ'ი „მზე“ — მილ'ი-გა-გუ, მინ „შენ“ — მინ-გა-გუ, ჰონო-ბ „ეს“ — ჰონო-ბ-გა-გუ და ა. შ. ზმნისართული -გუ სუფიქსი აქ მოსდევს მსგავსების გამომხატველ -გა სუფიქსს. თუ ამავე სუფიქსთან -გუ-ს შევცვლით -საი სუფიქსით, მივიღებთ შესაბამის მიმართებითს—ზედსართავ სახელს: უნსო-გა-საი „ხარის მსგავსი“... ამრიგად, ერთსა და იმავე ფუძისაგან -გუ აწარმოებს ზმნისართს, -საი — ზედსართავს (§ 88). -თი-გუ აღნიშნავს: „(რისამე) უქონლად“ (აწარმოებს უარყოფითი შინაარსის ვითარებით ზმნისართებს; დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს; ზმნის ფუძესთან მისი შესატყვისია -ჰი-გუ, რომელიც აწარმოებს ნამყოს უარყოფით აბსოლუტივს— იხ. § 111): კოთუ „უცხენი“ — კოთუ-თი-გუ „უცხენოდ“; კოთუ-თი-გუ ვუჟ'ო „უცხენოდ (ე. ი. ქვეითად) მოვიდა“; ასევე: ზამან-თი-გუ „უდროოდ“ (ზამან-თი-გუ ვუჟ'ო „უდროოდ გარდაიცვალა“), ორსი-თი-გუ „უფულოდ“, ნოქვოლლ'უ-თი-გუ „უმეგობროდ“ (ნოქვოლლ'უ-

თი-გუ ვუქჷუ „უმეგობროდ დარჩა“)... აქ ზმნისართული -გუ სუფიქსი მოსდევს უარყოფით -თი სუფიქსს, რომელიც მხოლოდ ამგვარ წარმოებაში დაჩნდება. -ლო-გუ აღნიშნავს: „ერთად“ (comitativus): იმა-ლო-გუ „მამასთან ერთად“ (იმა-ლო-გუ ვ-ულონ „მამასთან ერთად წავიდა“), ჰომოლოლი-ლო-გუ „ამხანაგთან ერთად“, მინ-ნო-გუ (← მინ-ლო-გუ — § 42) „შენთან ერთად“... (მნიშვნელობის გასაძლიერებლად შეიძლება ახლდეს დამოუკიდებელი სიტყვა: სორუ „ერთად“). აქ ზმნისართული სუფიქსი -გუ მოსდევს -ლო („-ც“) ნაწილას.

-დო-ჯი. აწარმოებს ზოგჯერ ვითარებით ზმნისართს ზედსართავი სახელისაგან: ბალუ-დო-ჯი „წყნარად“; „ჩუმად“ (← ბალუ „ლამაზი“): ბალუ-დო-ჯი ვუყ'ო დიხო „წყნარად (ჩუმად) მოვიდა ჩემთან“... სალი-დო-ჯი „ჯანმრთელად“ (← სალი „ჯანმრთელი“)... ეს სუფიქსი რთული ჩანს: -ჯი უნდა იყოს ადგ. ბრ. (IV წყ.) ფორმანტი.

-ჯი-ბ-ა (-ბ- ცვალებადი კლას-ნიშანია). ერთვის ირიბ ბრუნვათა ფუძეს, გამოხატავს მსგავსებას („-ვით“, „-ებრ“): იმა (ირ. ბრ. ფუძე იმ-უ-) „მამა“ — იმუ-ჯი-ბ-ა „მამასავით“ (ვოშო იმუ-ჯი-ვ-ა ჰალტუნნირ „ვაფი მამასავით მუშაობს“), მინ (ირ. ბრ. ფუძე დუ-) „შენ“ — დუ-ჯი-ბ-ა „შენსავით“, „შენებრ“... ამ რთული სუფიქსის პირველი კომპონენტი (-ჯი) ადგ. ბრ. ფორმანტი ჩანს (ამოსავლად ირ. ბრ. ფუძის გამოყენება ამით უნდა აიხსნას), ხოლო მასზე დართული კლას-ნიშანიანი -ბ-ა საკუთრივ ზმნისართული სუფიქსია, რომელიც -ჯი სუფიქსისაგან დამოუკიდებლადაც გვხვდება (იხ. ქვ.). -ჯი-ბ-ა ზმნასაც დაერთვის (ამოსავალია მასდარის ირ. ბრ. ფუძე): ბიკვორ-ო-ჯი-ბ-ა „როგორც იყო (არის), ისე“... ჰიტონ-ო-ჯი-ბ-ა „როგორც რითქვა, ისე“ (იმუდი ჰიტონ-ო-ჯი-ბ-ა იჰო „როგორც მამამ თქვა, ისე გააკეთე!“)<sup>1</sup>...

-დუ. აწარმოებს ნაცვალსახელოვან ვითარებით ზმნისართებს (შესაბამისი ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან): „ისე“, „ისე“ და ა. შ. დაერთვის ჩვენებითი ნაცვალსახელის -ლ'ა- სავრცობიან ირ. ბრუნვათა ფუძეს. ამოსავალ ფუძეზე ამ სუფიქსის დართვისას ხდება გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები (ანალოგიური იმისა, რასაც ადგილი აქვს, მაგალ., ერგატივის წარმოებისას), სა-

<sup>1</sup> ხუნძურში მისი ფარდია -ჯე (დიალექტ. ჯი), რომელიც მხოლოდ ზმნურ ფუძეს დაერთვის და ვითარების გარემოებას გამოხატავს: ვუყუ-ჯე ვუკინა დუნ „როგორც ვარ, ისე ვიქნები მე“ (П. У с т а р, А в е р. я з., გვ. 222).

ხელდობრ: სუფიქსის გავლენით ფუძის საერცობი -ლ'ა კარგავს რა დამაკავშირებელ ხმოვანს, სუფიქსისეული თანხმოვნის უშუალო მეზობლობაში -ლ-ში გადადის: -ლ-ღუ ← -ლ'ა-ღუ ← -ლ'ა-ი-ღუ [← -ლ'ა-ი-ღუ] — § 64,2); ჰო-ლ-ღუ (← \*ჰო-ლ'ა-ი-ღუ) „ასე (ისე, როგორც ეს)“... ჰე-ლ-ღუ (← \*ჰე-ლ'ა-ი-ღუ) „აგრე (ისე, როგორც ეგ)“... ჰეგე-ლ-ღუ (← \*ჰეგე-ლ'ა-ი-ღუ) „ისე (ისე, როგორც ის)“ და ა. შ. (აღნიშნულ ფორმებზე -საი სუფიქსის დართვით იწარმოება შესაბამისი მიმართებითი ზედსართავი სახელი: ჰოლღუ-საი „ასეთი“... ჰელღუ-საი „აგეთი“ და ა. შ.).

-ჯან. ქვანხიდათლის თქმაში აწარმოებს ვითარებით ზმნისართებს. მას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ანდ. -გა-გუ-ს („მსგავსად“): ვუქობ ჰეკა-ჯან (შდრ. ანდ. ჰეკა-გა-გუ) გირდი „მკვდარი კაცივით დაწვა“...

-ჰაღა. მუნიბის თქმაში ვითარებითი ზედსართავი სახელებისაგან აწარმოებს შესაბამის ზმნისართებს: ხეხიი-ჰაღა „სწრაფად“, თუხიი-ჰაღა „ნელა“, შუბ-ჰაღა „კარგად“... -ჰაღა წარმოშობით ჰაღ (არაბ.) „მდგომარეობა“ სიტყვის ადგ. ბრ. ფორმა ჩანს (ჰაღ-ა „მდგომარეობაში“: ხეხიი-ჰაღა „სწრაფად“, ზედმიწ. „სწრაფ-მდგომარეობაში“).

## ბ) ა დ გ ი ლ ი ს ზ მ ნ ი ს ა რ თ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

-ლ'აუ. ყველაზე პროდუქტიული სუფიქსია ადგილის ზმნისართთა საწარმოებლად. შეიძლება დაერთოს ყოველ სახელს და აჩვენოს შესაბამისად ადგილი („იქ, სადაც ვინმე ან რამე იმყოფება“): იმა „მამა“ — იმა-ლ'აუ „იქ, სადაც მამაა“ (დინ ვუკვო იმა-ლ'აუ „მე ვიყავი იქ, სადაც მამაა, — მამასთან“); ასევე: ილა-ლ'აუ „იქ, სადაც დედაა“, იხვობ-ლ'აუ „იქ, სადაც წისქვილია“ და ა. შ. ამავე სუფიქსის მეშვეობით იწარმოება ნაცვალსახელოვანი ადგილის ზმნისართებიც (შესაბამისი ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან): ჰო-ლ'აუ, ჰონო-ლ'აუ „აქ“ (← ჰო-ბ, ჰონო-ბ „ეს“), ჰე-ლ'აუ, ჰენე-ლ'აუ „მანდ“ (← ჰე-ბ, ჰენე-ბ „ეს“), ჰედე-ლ'აუ, ჰუნდო-ლ'აუ და ა. შ. „იქ“ (← ჰედე-ბ, ჰუნდო-ბ და ა. შ. „ის“), ჰეგე-ლ'აუ, ჰუნგო-ლ'აუ და ა. შ. „იქ — დაბლა“ (← ჰეგე-ბ, ჰუნგო-ბ და ა. შ. „ის — დაბლა მყოფი“), ჰელ'ე-ლ'აუ, ჰუნლ'ო-ლ'აუ და ა. შ. „იქ — მაღლა“ (← ჰელ'ე-ბ, ჰუნლ'ო-ბ და ა. შ. „ის — მაღლა მყოფი“). სივრცეში ორიენტაციის მიხედვით (სიახლოვე-სიშორე, დაბალ ადგილას თუ

მაღალ ადგილას) ნაცვალსახელოვანი ადგილის ზმნისართები ისევეა გარჩეული, როგორც შესაბამისი ჩვენებითი ნაცვალსახელები (§ 97).

-ლ'-აუ სუფიქსიანი ადგილის ზმნისართები განარჩევენ მიმართულებითისა (საითენ?) და დაშორებითის (საიდან?) ფორმებსაც. მიმართ. ბრუნვისათვის გამოიყენება სუფიქსი -ლი ← ლი, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს ახდენს ამოსავალ ფორმაში: კვეცავს -ლ'აუ სუფიქსის ბოლოკიდურ ხმოვანს, ხოლო შემდეგ -ლ'-ი-ლი → -ლ-ლი (ისევე, როგორც ეს ხდება, მაგალ., ერგატ. ბრუნვის წარმოებისას [§ 64,2] ან -ლუ სუფიქსით ვითარებითი ზმნისართების წარმოებისას — იხ. აქვე ზემოთ); დაშორებით ბრუნვას აწარმოებს -ქუ.

ადგილ. ჰო-ლ'აუ „აქ“ — მიმართ. ჰო-ლ-ლი ← ჰო-ლ'აუ-დი — დაშორ. ჰო-ლ'აუ-ქუ;

ადგილ. ჰე-ლ'აუ „მანდ“ — მიმართ. ჰე-ლ-ლი ← ჰე-ლ'აუ-დი — დაშორ. ჰე-ლ'აუ-ქუ;

ადგილ. ჰედე-ლ'აუ „იქ“ — მიმართ. ჰედე-ლ-ლი ← ჰედე-ლ'აუ-დი — დაშორ. ჰედე-ლ'აუ-ქუ და ა. შ.

მიმართ. ბრუნვის ფორმები ამ ზმნისართებისა სავსებით ენთხვევა შესაბამის ზენებით ნაცვალსახელთა (II—V კლ.) ე რ გ ა ტ ი ვ ის ფორმებს; შდრ.: ჰო-ლ-ლი ეუყ'ო „აქეთკენ მოვიდა“ — ჰო-ლ-ლი იძი „მან გააკეთა“... ჰე-ლ-ლი ეულონ „იქითკენ წავიდა“ — ჰე-ლ-ლი იძი „მან გააკეთა“... თუმცა, მიმართ. და ერგატ. ნიშნები, მართლაც, შესაძლოა ერთი და იგივე იყოს (-დო— § 76), მაგრამ ფორმათა სრული დამთხვევა შემთხვევითი ფაქტია, რამდენადაც ამოსავალი ფუძეები მაინც განსხვავებულია: მიმართ. ჰო-ლ-ლი ← ჰო-ლ'აუ-დი „აქეთკენ“ (იხ. ზემოთ) — ერგ. ჰო-ლ-ლი ← ჰო-ლ'ი-დი „ამან“ (იხ. § 64.2).

-ბ-ა (-ბ- ცვალებადი კლას-ნიშანია). აწარმოებს მიმართულების გამომხატველ ზმნისართებს, უმთავრესად, ნაცვალსახელოვანი წარმოშობისა: ჰო-ბ-ა „აქეთკენ“ (← ჰო-ბ „ეს“), ჰე-ბ-ა „მანდეთკენ“ (← ჰე-ბ „ეგ“)... შთაბეჭდილება ისეთია, რომ, თითქოს, წარმოებისათვის ამოსავალია შესაბამისი ნაცვალსახელის მზამზარეული (კლას-ნიშანიანი) ფორმა: ჰო-ვ/ა/ბ/რ „ეს“ → ჰო-ვ/ა/ბ/რ-ა „აქეთკენ“<sup>1</sup>... თუ ეს ასეა, მაშინ კლას-ნიშანი ასეთ შემთხვევებში ამოსავალი ფუძის კუთვნილება იქნება, ხოლო საკუთრივ ზმნისართის მაწარ-

<sup>1</sup> შდრ. ანალოგიური წარმოება ხუნძურში: დო-ვ/ა/ბ/რ „ის“ → დო-ვ/ა/ბ/რ-ა „იქ“, ლო-ვ/ა/ბ/რ „ის“ — დაბლა მყოფი → ლო-ვ/ა/ბ/რ-ა „იქ“ — დაბლა“ და ა. შ. ოღონდ ხუნძურში ამგვარ წარმოებას ადგილ. ბრ. მნიშვნელობა აქვს და არა მიმართ. ბრუნვისა (მიმართ ბრუნვაში გვექნება -ე: დო-ვ-ე და ა. შ.).



შოებელი -ა სუფიქსი აღმოჩნდება. ამავე დროს არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კლას-ნიშანი ზნისართში გვაქვს, მაგრამ იგი ამოსავალ ფუძეს სუფიქსად არ ახლავს: ბ-ეხულუ „უქან“ → მიმართ. ბ-ე-ხულუ-ბ-ა... ჰორუ (იხ. ქვ.) „აქეთ მხარეს“ — მიმართ. ჰორ-ბ-ა-‘დი’... იშ-უ „შინ“ — იშ-უ-ბ-ა „შინისაკენ“.

კლას-ნიშნიანი -ბ-ა სუფიქსი გვაქვს მიმართულების გამომხატველ კითხვით ზნისართშიც: „საითკენ?“ (იხ. ქვ.)

-რუ. ეს სუფიქსი გვხვდება ნაცვალსახელოვანი წარმოშობის ორ ზნისართში, რომელიც გარჩეულია I და II პ. მიმართების მიხედვით (შესაბამისად წარმოებისათვის ამოსავალ ჩვენებით ნაცვალსახელთა მნიშვნელობებისა): ჰორ-უ „აქ“, „ჩემთან“ (←ჰორ-ბ „ეს“ — I პ. ახლოს მყოფი) — ჰერ-უ „მანდ“, „შენთან“ (←ჰე-ბ „ეგ“ — II პ. ახლო მყოფი). მიმართ. ბრუნვაში დაერთვის კლას-ნიშნიანი -ბ-ა სუფიქსი, რომელსაც ფაქულტატიურად მეორე -დი სუფიქსიც შეიძლება ახლდეს: ჰორ-ბ-ა-‘დი’ (←ჰორ-უ-ბ-ა-‘დი’) „აქეთკენ“, „ჩემკენ“ — ჰერ-ბ-ა-‘დი’ (←ჰე-რ-უ-ბ-ა-‘დი’) „მანდეთკენ“, „შენკენ“; დაშორებ. ბრ. ფორმა ეწარმოებათ -ქუ სუფიქსის მეშვეობით: ჰორ-რ-უ-ქუ „აქედან“ — ჰერ-რ-უ-ქუ „მანდედან“. შედგენილობით -რუ სუფიქსი რთული ჩანს: შდრ. -უ (იხ. ქვ.).

-უ გვხვდება ადგილის ზნისართებში უფრო ხშირად გაქვევებული სახით: იშ-უ „შინ“ (იშ- ფუძე დამოუკიდებლად ან სხვა სუფიქსით არ დასტურდება)<sup>1</sup>, ბ-ეხულ-უ (ხუნდ. ხად-უ-ბ) „უქან“, სორ-უ (ხუნდ. ცად-ა-ქ) „ერთად“, ლ‘ერ-უ „ახლოს“, ჰინ-უ „შიგნით“, სიედ-უ (ხუნდ. ციე-ბ-ე) „წინ“, ინ-უ „სად?“ (ნაწარმოები ჩანს კითხვითი ნაცვალსახელის ფუძისაგან — იხ. ქვ.). ეგვევ სუფიქსი უნდა გვქონდეს ადგილის სახელებში: ყ‘ვან-უ (შდრ. ხუნდ. განდ-ი-‘ბ’) „ანდი“, ლალ-უ, აქილ-უ (ანდ. ხუტორთა სახელები)... ეგვევ -უ ერთვის ზოგჯერ არსებითი სახელის ფუძესაც: ხურ-უ (შდრ. ხუნდ. ხურ-ი-ბ) „ყანაში“, მიყა-უ „გზაში“, ლადორ-უ „ხევში“, „ღელეში“... იშვიათად III პ. ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძესაც: ჰულ-უ „იქ“ („მასში“), ჰუგ-უ „იქ — დაბლა“ (სხვა ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან წარმოება დამოწმებული არ არის).

დაშორებითი ბრუნვა ყველა მათგანს ეწარმოება -ქუ სუფიქსის მეშვეობით: იშ-უ-ქუ „შინიდან“... სიედ-უ-ქუ „წინიდან“... ყ‘ვან-უ-ქუ „ანდიდან“... ლადორ-უ-ქუ „ხევიდან“... მიმართულებითი

<sup>1</sup> შდრ. ლაკ. შა-ვ-ა „შინ“ (at home): II. У с л а р, Лак. яз., გვ. 390—391.

ბრუნვის ფორმები შეიძლება სხვადასხვანაირად იყოს ნაწარმოები (კლას-ნიშნისანი -ბ-ა სუფიქსით ან -ლი სუფიქსით): იშ-უ „შინ“ — იშ-უ-ბ-ა, ბ-ეხუდ-უ „უკან“ — ბ-ეხუდ-უ-ბ-ა, ჰუდ-უ „იქ“ — ჰუდ-უ-ბ-ა..., მაგრამ: პინ-უ „შიგნით“ — პინ-ნი (← პინ-დი), ლადორ-უ „ხევი-ში“ — ლადორ-დი და ა. შ. -უ წარმოშობით ადგილობრივი ბრ. სუფიქსი ჩანს (§ 75).

### გ) მიზნის ზმნისართთა წარმოება

-რი<sup>1</sup>. გამოხატავს მიზანს. ამ მნიშვნელობით იგი დაერთვის ზმნის ინფინიტივის ფორმას: ილუ-რი „გასაკეთებლად“, ბიხილუ-რი „საყიდლად“, ბახინუ-რი „შესაკერავად“ და ა. შ. ინფინიტივის ფორმამ -რი სუფიქსის გარეშე შეიძლება გამოხატოს მიზანი, მაგრამ ეს სუფიქსი მკვეთრად გახაზავს ამ მნიშვნელობას. ეგევე სუფიქსი დაერთვის სახელის სხვადასხვა ფორმებს (უმთავრესად მიცემითისა და მიმართულებითი ბრ. ფორმებს), სადაც მისი ხმარება ზემოაღნიშნული მნიშვნელობით ფაკულტატიური არაა: ადამ ყა-ქანნილუ ბულ'იხო-რი<sup>1</sup> „ხალხი მოემზადა ბოთლიხისათვის“, ზედ-მიწ. „ბოთლიხისკენ-თვის“ (ე. ი. ბოთლიხში გასამგზავრებლად). ეუსონლ'ი ჰეკა რემლ'ი-რი<sup>1</sup> „დაიჭირავა კაცი ტყეში-თვის“ (ე. ი. ტყეში სამუშაოდ)...

მუნების თქმაში ამ მნიშვნელობით იხმარება -ლ'ი-რი: ბუყაუ-ლ'ირი „დასაქრელად“ (← ინფ. ბუყაუ) და ა. შ.

### დ) დროის ზმნისართთა წარმოება

დროის ზმნისართები წარმოადგენენ შესაბამისი ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვებს (ფუძის სახით ან გაქვეავებული ბრ. ნიშნით): ლ'ალ „დღისით“, ოხოლორო „დღით“, ჰეჰეყ'ილო „სალამოს“, „ღამით“, სუნ (ხუნძ: სონ, დიალექტ. სუნ) „გუშინ“, შეელა „ხვალ“, ეე-ლ'ალ „დღეს“ (შდრ. ლ'ალ — იხ. ზემოთ; ეე- წარმოშობით უკუქც-ჩვენებ. ნაცვალსახელის ფუძე ჩანს [შდრ. § 98]; ეე-ლ'ალ ეტიმოლოგ. „[თვით]-ეს-დღე-“<sup>1</sup>; ეე- აღნიშნული მნიშვნელობით

<sup>1</sup> \* ლ'ალ „დღე-“ სიტყვას, რომელსაც ანდიურში მხოლოდ ზმნისართები ადასტურებენ (ლ'ალ „დღისით“, ეე-ლ'ალ „დღეს“ და, ალბათ, ლ'ა-ტჟე ← \*ლ'ალ-ტჟე „წუხელ“, ეე-ლ'ა-ტჟე ← \*ეე-ლ'ალ-ტჟე „ამალამ“ — იხ. ქვ.), კავშირი უნდა პკონდეს მილ'ი („მზე“) სიტყვასთან — ისევე, როგორც ხუნძ. ყო-ს („დღე“) — ბაყ („მზე“) სიტყვასთან (არნ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბლუარი“, „სამხარი“. იკვ, V, 1953). [არსებით სახელად „დღის“ მნიშვნელობით ანდიურში გვაქვს. სულ: სხვა სიტყვა: ზუ ბ-უ (შდრ. ხუნძ. ხო ბ „ცა“)].

გამოიყოფა სხვა ზმნისართებშიც: *ყე-ლ'ატჷ*, *ყე-რეშინა* — იხ. ქვ.), *ლ'ა-ტჷ* „წუხელ“ (-*ტჷ* ადგ. ბრ.: „ქვეშ“), *ყე-ლ'ა-ტჷ* „ამალამ“, *ლ'ალ-ლა* (← *ლ'ალ-ტ'ა*) „შუადღეს“, „შუადღეზე“ (-*ტ'ა* ადგ. ბრ.: „ზე“), *ყე-რეშინა* „წლეულს“, *ზედმიწ*. „ამ წელ-ში“ (შდრ.: რეშინ „წელიწადი“, რეშინ-ა „წელიწადში“ — VII წყ. ადგ. ბრ.), საობ „შარშან“, ჰი-ლო-ჯა, *ქვანხ*. ჰი-ტ'ო-ლ'ან „გაისს“... ონშია „ერთხელ“, ონშია-ლო „შემდეგ“ (*ზედმიწ*. „ერთხელაც“, „ერთხელ კიდევ“) და ა. შ. გამოიყენება არსებითი სახელის სახ. ბრ. ფუძეც: ზუბუ „დღე“ (სერ ზუბუ „ერთ დღეს“, ჰარ ზუბუ || ზუბუ-დი [ერგ. ბრ.] „ყოველ დღე“), რეშინ „წელიწადი“ (ჰორ რეშინ „ამ წელიწადს“), რიპი „დრო“ (ჰებ რიპი || ჰერ ბიპი<sup>1</sup> „ამ დროს“; „მაშინ“)... უფრო ხშირად დროის (ისევე, როგორც ადგილის) ზმნისართის ფუნქციით ადგილობრითი ბრუნვის ფორმები იხმარება: საედუ ზამანალ-ლა ← ზამანალ-ტ'ა (ხუნძ. ცაებე ზამანალ-ლა) „ძველ (წინანდელ) დროში“ (*ზედმიწ*. „დროზე“), „ძველად“... რეჯბა „გაზაფხულზე“ (*ზედმიწ*. „გაზაფხულში“) ყინა-ა „ზაფხულში“, სიბირა-ა „შემოდგომაზე“ (*ზედმიწ*. „შემოდგომაში“), ტინა-ა „ზამთარში“ (-ა VII წყ. ადგ. ბრ. სუფ.).

დროის ზმნისართებს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი მაწარმოებელიც:

-*მალა*, -*ლლა*. პირველი დამოწმებულია მუნების თქმაში, მეორე — ქვანხიდათლის თქმაში. -*მალა*: ჰე-*მალა* „ამ დროს“ (← ჰე-*ეგ*), ბიგო-*მალა* „როცა მოვიდა“, „მოსვლის დროს“ (← ბიგო *ნამ. ძირ.* „მოვიდა“) და ა. შ. -*ლლა*: ჰენ-*ლლა* „ამ დროს“ (← ჰე-*ეგ*), მოქოლ'ო ბალ'ი-*ლლა* „მოშიების დროს“ (← მოქოლ'ო ბალ'ი *ნამ. ძირ.* „მოშიედა“) და ა. შ. ანდის თქმაში ასეთ შემთხვევებში წარმოება აღწერილია: გამოიყენება დამოუკიდებელი სიტყვა რიპი „დრო“: ჰებ რიპი „ამ დროს“... რიყ'ობ რიპი „მოსვლის“ (*ზედმიწ*. მოსულ) დროს“.

-*ნან*. დამოწმებულია ქვანხიდათლის თქმაში. დაერთვის ზმნის ნამყო ძირითადის ფორმას და აღნიშნავს მოქმედების შესრულებას გარკვეულ დრომდის („სანამ“, „ვიდრე“ -*მდის*): ვუწი-*ნან* იქონ „სანამ (ვიდრე) გაძლა, ქამა (გაძლომამდის ქამა)“... ვოგო-*ნან* „მოსვლამდის“, „სანამ მოვიდა (მოვა)“... ბულ'ი-*ნან* „გათავებამდის“...

<sup>1</sup> ტექსტებში ორივე ვარიანტი დასტურდება.

### ე) ოდენობის ზმნისართთა წარმოება

-ყ-ა წარმოებს ოდენობის ზმნისართებს: ჰოწოგუ-ყ-ა „ათამდის“ „ათის-ოდენა“... უნსო-ყ-ა „ხარის-ოდენა“ (-სიი სუფიქსის დართვით იწარმოება შესაბამისი მიმართებითი ზედსართავი სახელი: უნსო-ყ-ა-სიი „ხარის მსგავსი“, „ხარისოდენა“ — § 88)...

-წუ. გამოხატავს ჯერობას (ზღრ. ხუნძ. -წულ|-წოლ): ქე-წუ „ორ-ჯერ“, ლ'ობ-წუ „სამჯერ“ (-გუ ნაწილაკი რიცხვით სახელებს ამგვარი წარმოების დროს ჩამოშორდება ხოლმე)...

### ვ) კითხვითი ზმნისართები

კითხვითი ზმნისართები ნაწარმოებია კითხვითი ნაცვალსახელებისაგან (მზამზარეული ფორმებისაგან ან ფუძეებისაგან):

ა) ადგილისა: ადგილ. ინ-უ(ლ)<sup>1</sup> „სად?“ — მიმართ. (შესაბამისად კლასებისა) ი-ვ-ა(ლ) ← \*ინ-ვ-ა(ლ), ი-ე-ა(ლ) ← \*ინ-ე-ა(ლ) [ქვანხ. ი-ე-ა-გო (I—II კლ.) ← \*ინ-ე-ა(გო)], ი-მ-ა(ლ) ← \*ინ-ბ-ა(ლ), ი-ნ-ა(ლ) ← \*ინ-რ-ა(ლ) „საითყენ?“ — დაშორ. ინ-უ-ქუ „საიდან?“ ფუძეა ინ- → || ი-ე- → || ი- (ზღრ. § 95, გვ. 202—203), რომელსაც ერთვის ადგ. ბრუნვაში -უ სუფიქსი (§ 75), მიმართ. ბრუნვაში კლასნიშნისანი სუფიქსი: -ვ-ა, -ე-ა, -მ-ა (← ბ-ა), -ნ-ა (← რ-ა), ხოლო დაშორ. ბრუნვა ნაწარმოებია — საერთო წესის თანახმად — ადგ. ბრუნვის ფორმაზე -ქუ სუფიქსის დართვით.

ბ) დროისა: ინ-ნა(ლ) („როდის?“) იმავე ფუძეს იყენებს, რასაც ადგილის კითხვითი ზმნისართი (იხ. ზემოთ). -ნა სუფიქსის რაობაცხადი არ არის [შესაძლოა იგი იყოს ადგ. ბრ. -ლა „-ში“ ფორმანტი, ასიმილირებული ფუძისეულ ნ თანხმოვანთან: ინ-ნა ← ინ-ლა (?), ან -და<sup>2</sup> სუფიქსი: ინ-ნა ← ინ-და (?)].

გ) ვითარებისა: ე-ტაი(ლ) „როგორ?“ ფუძეა ე- (ზღრ. § 95), ხოლო მასზე დართული -ტაი სუფიქსი ადგ. ბრ. (V წყ.) ფორმანტი ჩანს.

დ) მიზეზისა: ე-ბ-ი<sup>1</sup>-ლა(ლ) ← ე-ბ-ი<sup>1</sup>-ტ-ა (ლალ. ი-ბ-ლყა ← ი-ბ-ტ-ა — § 75) „რატომ?“ ნაწარმოებია ე-ბ-ი<sup>1</sup> „რა?“ (§ 96) ნაცვალსახელზე ადგ. ბრ. -ტ-ა (I წყ.) სუფიქსის დართვით. პარალელურად იხმარება ე-დო(ლ) „რატომ?“.

<sup>1</sup> ფრჩხილებში ჩასმულია კითხვითი ნაწილაკი (ერთ-ერთი ვარიანტი), ურობლისოდაც კითხვითი ზმნისართები (ისევე, როგორც კითხვითი ნაცვალსახელები) ჩვეულებრივ არ იხმარება.

<sup>2</sup> ზღრ. ხუნძ. ქი-და „როდის?“.

ე) მიზნისა: ე-ბ-ი'ლუ(ლ) „რისთვის?“ ნაწარმოებია ე-ბ-ი' „რა?“ კითხვით ნაცვალსახელზე -ლუ სუფიქსის დართვით (სავსებით ისევე, როგორც ხუნძურში: შიბ-ბ „რა?“ → შიბ-ბ-ი-ზე „რისთვის?“). -ლუ სუფიქსს, თავის მხრივ, შეიძლება ერთვოდეს -რი'ჟ<sup>1</sup> (იხ. ზემოთ): ე-ბ-ი'-ლუ-რი'ჟ<sup>1</sup> „რისთვის?“.

ვ) ოდენობისა: ე-მ-ი'სუ'ა(ლ), ე-ბ-ი'-სუ'ა(ლ), ე-რ-ი'-სუ'ა(ლ), „რა რაოდენობით?“ „რაოდენ?“ „რაზომ?“ — ნაწარმოებია შესაბამის კითხვით ნაცვალსახელზე (ე-მ-ი' „ვინ?“ ე-ბ-ი', ე-რ-ი' „რა?“ — § 96) ოდენობის -სუ'ა სუფიქსის დართვით.

ზ) ჯერობისა: ჩომ'ი'-წუ „რამდენ-ჯერ?“ ნაწარმოებია ჩომ'ი' („რამდენი?“) სიტყვაზე ჯერობის აღმნიშვნელი -წუ სუფიქსის დართვით.

§ 118. ე. წ. ზმნისართი-თანდებულეზი. ა) ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) მოიპოვება ადგილის აღმნიშვნელი ისეთი ზმნისართები, რომლებიც შეიძლება იხმარებოდეს სახელთან და მოითხოვდეს მისგან გარკვეულ ფორმებს. ასეთ ზმნისართებს უწოდებენ „ზმნისართ-თანდებულეზს“<sup>1</sup> ან ზოგჯერ „თანდებულეზსაც“<sup>2</sup>.

ესენია: საედუ (ქვანხ. სიბ-ბ-ა; შდრ. ხუნძ. ცაე-ბ-ე) „წინ“, ბ-ე-ხუდუ (შდრ. ხუნძ. ხადუ-ბ) „უკან“, ბ-ეწილუ „ირგვლივ“, ბ-ოტჷ „შორის“, \*ჰიტ'ა (ქვანხ., მუნ. ჰიტ'ა, ლაღ., რიკვ. ჰილყა; ანდ. ჰილა, ზილ. ჰიყა — § 75) „ზემოთ“, „ზედ“, ჰიტჷ „ქვეშ“, ჰინუ „შიგნით“ (ისეთი საგნისა, რომელიც შეიცავს შინაგან სიცალიერეს რისამე მოსათავსებლად), ილ'უ „შიგნით“ (ისეთი საგნისა, რომელიც არ შეიცავს სიცალიერეს რისამე მოსათავსებლად), ლ'ერუ „ახლოს“...

წარმოების მიხედვით ისინი ადგილ. ბრ. ამა თუ იმ ფორმას წარმოადგენენ. ასე: ზმნისართი \*ჰიტ-ა „ზემოთ“, „ზედ“ შეიცავს / წყ. ადგ. ბრ. \*ტ'ა „ზე“ სუფიქსს<sup>3</sup> (ჰი-ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუტე ჩანს. — შდრ. ქვ.-), ჰიტჷ „ქვეშ“ ზმნისართში უნდა გვექონდეს V წყ. ადგ. ბრ. ტჷჷ „ქვეშ“ სუფიქსთან საერთო ფორმანტი (-ტჷჷ || -ტჷჷ), ხოლო ი-ლ'უ „შიგნით“ ზმნისართში — VI წყ. ადგ. ბრ. -ლ'ი „ში“ სუფიქსთან საერთო ფორმანტი (-ლ'უ || -ლ'ი)<sup>4</sup>. რაც

<sup>1</sup> Д. Жирков, Авар.-рус. сл., გვ. 180.

<sup>2</sup> П. Усхар, Авар. яз., § 186; А. Дипр, АВД. яз., გვ. 25.

<sup>3</sup> შდრ. ხუნძ. ტ'ა-დ (ხუნძახ. ტა-დ, კარ. კაა-დ, კობ. ყა-დ და ა. შ.) „ზემოთ“.

<sup>4</sup> შდრ. ხუნძ. ლო'რ'-ტჷ „ქვეშ“ და ლო'რ'-ლ' „შიგნით“, „შორის“, რომლებიც წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელის (ლო-) ადგ. ბრ. შესაბამისი ფორმებია (-ტჷ და -ლ' სუფიქსებით ნაწარმოები).

შეეხება დანარჩენებს, მათ საერთო უჩანთ -უ სუფიქსი (§ 75). ყველა ზემოაღნიშნული ზმნისართისაგან შეიძლება ვაწარმოოთ -ქუ სუფიქსის დართვით შესაბამისი ფორმები დაშორ. ბრუნვისა (საედღუ „წინ“ — საედღუ-ქუ, ბ-ეხუდღუ „უკან“ — ბ-ეხუდღუ-ქუ, პიტ'ა „ზემოთ“, „ზედ“ — პიტ'ა-ქუ და ა. შ), ხოლო ზოგი მათგანი განარჩევს მიმართ. ბრუნვის ფორმებსაც (ადგილ. პიტ'ა „ზემოთ“, „ზედ“ — მიმართ. პიტ'ო; ასევე: პინუ „შიგნით“ — პინ-ნი ← პინ-დი, ლ'ერუ „ახლოს“ — ლ'ერ-დი, ბ-ეხუდღუ „უკან“ — ბ-ეხუ-დღუ-ბ-ა-დი'. დანარჩენები მიმართ. ბრ. ფორმებს არ განარჩევენ ადგ. ბრ. ფორმებისაგან).

ეს ზმნისართები მოითხოვენ მათთან ხმარებული სახელებისაგან ადგ. ბრ. სხვადასხვა ფორმებს. ასე, ზმნისართები საედღუ „წინ“, ბ-ეხუდღუ „უკან“, ბ-ევიდღუ „ირგვლივ“, ლ'ერუ „ახლოს“, ბ-ოტჟუ „შორის“, პინუ „შიგნით“ (ე. ი. ისეთები, რომელთაც საერთო აქვთ -უ სუფიქსი) მათთან ხმარებული სახელისაგან მოითხოვენ II წყ. ადგ. ბრუნვას (რომლის ნიშანია -ჰუ „ზე“): ჰაყაუ-ჰუ საედღუ „სახლის (ზედმიწ. სახლზე) წინ“, ჰაყაუ-ჰუ ბ-ეხუდღუ „სახლის უკან“, ჰაყაუ-ჰუ ბ-ევიდღუ „სახლის ირგვლივ“, ჰაყაუ-ჰუ ლ'ერუ „სახლის ახლოს“, ადამ-ჰუ ბ-ოტჟუ „ადამიანთა შორის“, ჰაყაუ-ჰუ პინუ (ან ჰაყაულა [VII წყ.] პინუ) „სახლის [ზედმიწ. სახლში] შიგნით“. ზმნისართი \*პიტ'ა „ზემოთ“, „ზედ“ მოითხოვს I წყ. ადგ. ბრუნვის ფორმას (-\*ტ'ა სუფიქსიანს) — ე. ი. იმავე ფორმას, რაც თვითონვე აქვს: ჰაყაუ-\*ტ'ა \*პიტ'ა „სახლის (ზედმიწ. სახლზე — პორიზონტ. ზედაჰ.) ზემოთ“, ზმნისართი პიტ'აჟუ „ქვეშ“ — V წყ. ადგ. ბრუნვის ფორმას (-ტჟი სუფიქსიანს): ჰაყაუ-ტჟი პიტ'აჟუ „სახლის (ზედმიწ. სახლის-ქვეშ) ქვეშ“, ზმნისართი ი-ლ'უ „შიგნით“ — IV წყ. ადგ. ბრ. ფორმას (ლ'ი სუფიქსიანს): ლ'აენ-ლ'ი ი-ლ'უ „წყლის (ზედმიწ. წყალში) შიგნით“<sup>1</sup>.

როცა იგივე ზმნისართები მიმართ. ბრ. ფორმაშია დასმული, მათთან ხმარებული სახელიც შესაბამის ფორმას იღებს (თუ კი სათანადო წყებაში მიმართ. ბრ. ფორმა საერთოდ გარჩეულია ადგ. ბრ. ფორმისაგან): ადგილ. ჰაყაუ-\*ტ'ა \*პიტ'ა „სახლის (ზედმიწ. სახლზე) ზემოთ“ — მიმართ. ჰაყაუ-\*ტ'ო \*პიტ'ო; ადგილ. ჰაყაუ-ლა პინუ „სახლის (ზედმიწ. სახლში) შიგნით“ — მიმართ. ჰაყაუ-ლა-დი პინ-ნი (← პინ-დი).

ამავე დროს არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მიმართ. ბრუნვაში დასმული ზმნისართი სათანადო სახელს მართავეს აფექტიურ ბრუნ-

<sup>1</sup> ა. დიროს ცდება, როცა წერს, რომ პიტ'აჟუ „ქვეშ“ და ი-ლ'უ „შიგნით“ ზმნისართებთან სახელი ნათესაობით ბრუნვაში დაისმის (შდრ.: А. Д и р у, А и д. ж. ж., გვ. 26—26).

ვაში: კოთუ-ვ-ო (აფექტ. ბრ.) ლ'ერ-დი (მიმართ. ბრ.) ვულონ „ცხენის ახლოს მოვიდა“... ადამი-ვ-ო ვოტი-დი ვუყ'ო „ხალხში (ხალხს შორის) მოვიდა“... ჰაყაუ-ბ-ო ბეხუდუ-ბ-ა-ლდი' ბულონ ხოა „სახლის უკან წავიდა ძალდი“...

დაშორ. ბრუნვაში დასმულ ზმნისართთან სახელი ყოველთვის ადგ. ბრუნვაში რჩება: ჰაყაუ-ჰუ (და არა: დაშორ. ჰაყაუ-ჰუ-ჰუ) საედუ-ჰუ „სახლის წინიდან“, ჰაყაუ-ტ'ა (და არა: დაშორ. ჰაყაუ-ტ'ა-ჰუ) ჰი-ტ'ა-ჰუ „სახლის ზემოდან“ და ა. შ.

ამრიგად, სინტაქსური ურთიერთობა ზმნისართებისა და მათთან ხმარებული სახელებისა, როგორც მართვის, ისე შეთანხმების ხასიათისაა. ზმნისართები საედუ „წინ“, ბ-ეხუდუ „უკან“ და ა. შ. ყოველთვის მართავენ სათანადო სახელს -ჰუ სუფიქსიან (// წყ.) ადგ. ბრუნვაში, ხოლო ზმნისართები \*ჰი-ტ'ა „ზემოთ“, „ზედ“, ჰი-ტ'აუ „ქვეშ“, ი-ლ'უ „შიგნით“—ითანხმებენ იმავე ბრუნვაში, რის ფორმაც თვითონვე მოეპოვებათ. მასთან, შეთანხმებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი შესაბამისი წყების მიმართ. ბრუნვაშიც, ხოლო დაშორ. ბრუნვაში—არა.

ზმნისართის მიერ სახელის მართვა ბრუნვაში მეორეული უნდა იყოს. საფიქრებელია, ძველად სათანადო ბრუნვის მქონე ზმნისართი მხოლოდ ითანხმებდა მასთან ხმარებულ სახელს: მოითხოვდა მისგან იმავე ადგ. (შესაბამისად მიმართ., დაშორ.) ბრ. ფორმას, რაც მას თვითონვე გააჩნდა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა ზმნისართებთან (სხვადასხვა ფორმისა) თანდათან განზოგადებას იწყებს სახელის ერთ-ერთი ფორმა, რაც სათანადო შემთხვევებში შეთანხმების მართვით შეცვლას იძლევა.

ეს პროცესი ანდიურში ჯერ კიდევ დამთავრებული არაა (როგორც ზემოთ ვნახეთ, შეთანხმების ძალა ზოგ ზმნისართს დღემდის შენარჩუნებული აქვს), ხოლო ხუნძურში იგი უკვე დამთავრებულია: აქ აქამამდ ყველა ზმნისართი განურჩევლად იმისა, თუ თვითონ ადგ. ბრუნვის რა ფორმაშია, შეიძლება მხოლოდ მართავდეს მასთან ხმარებულ სახელს I წყ. ადგ. ბრუნვაში (ან ამავე წყ. მიმართ. ბრუნვაში, თუ ზმნისართიც მიმართ. ბრუნვაშია): განკი-და ტად (მიმართ. განკი-დე ტა-დე) „ქვის (ხედმიწ. ქვაზე) ზემოთ“, განკი-და ნა-ჯ (მიმართ. განკი-დე ნა-ჯე) „ქვის უკან“. განკი-და ლორ-ტჱ (მიმართ. განკი-დე ლორტჱ-ე) „ქვის ქვეშ“ და ა. შ.<sup>1</sup> ხუნძურში მართული სახელისათვის განზოგადებულია -და სუფიქსიანი (-„ზე“—საგანის ხედაპირზე) ადგ. ბრუნვა, ხოლო ანდიურში განზოგადებას იწყებს იმავე მნიშვნელობის -ჰუ სუფიქსიანი ადგ. ბრუნვა.

<sup>1</sup> П. Устар, Авар. яз., § 186; „ხუნძ. ენა“, § 186.

ზმნისართის მიერ მართული ან შეთანხმებული სახელი კიდევ უფრო აკონკრეტებს, აზუსტებს იმ ლოკალურ მნიშვნელობებს, რასაც შესაბამისი ზმნისართები გამოხატავენ; შდრ.: საედუ ვულიდუ „წინ დგას“... და — რაც უფრო კონკრეტულია — ჰაყაუ-ჰუ (ან ინქვალ-ჰუ და ა. შ.) საედუ ვულიდუ „სახლის (ან ურმის და ა. შ.) წინ დგას“...<sup>1</sup>

ცალკე აღსანიშნავია ქალო „-თვის“ (მნიშვნელობით უდრის ხუნდ. გოლო-ს) და ხაარდუ „მიმართულებით“, „-კენ“ (= ხუნდ. ხუნ): პირველი მათგანი მართავს სათანადო სახელს -ჯი სუფიქსიან ადგ. ბრუნვაში (ჰელ-ჯი ქალო „ამის-თვის“, დი-ჯი ქალო „ჩემ-თვის“, დუ-ჯი ქალო „შენ-თვის“...), ხოლო მეორე — ამა თუ იმ წყების მიმართ. ბრუნვაში (ჰაყაუ-ხო ხაარდუ „სახლ-თან-კენ მიმართულებით“... ჰაყაუ-ლა-დი ხაარდუ „სახლ-ში-კენ მიმართულებით“... ჰაყაუ-ტ'ო ხაარდუ „სახლს ზედ-კენ მიმართულებით“...

§ 119. გრამატიკული კლასისა და რიცხვის ნიშნები ზმნისართში და მათი ცვლის წესი. კლას-ნიშნის ვითარებითი ზედსართავი სათანადო პრეფიქსულ კლას-ნიშნს ინარჩუნებს ზმნისართის როლშიც. კლას-ნიშანი პრეფიქსად შეიძლება გექონდეს ადგილის ზოგ ზმნისართშიც (ბ-ეხედუ „უკან“, ბ-ოტუე „შიგნით“, ბ-ეჯიდუ „ირგვლივ“) და კლას-ნიშნის სიტყვებისაგან ნაწარმოებ სხვა ზმნისართებში. კლას-ნიშნისანი ზმნისართთა საწარმოებელი სუფიქსებია: -ჯი-ბ-ა, -ბ-ა (პირველი აწარმოებს ვითარებით ზმნისართებს, მეორე მიმართულების გამომხატველ ადგილის ზმნისართებს; მდგომარეობის გამომხატველი ადგილის ზმნისართები სუფიქსურ კლას-ნიშნებს არ დაირთავენ).

კლას-ნიშნის ზმნისართში კლასების აღნიშვნის წესი იგივეა, რაც სათანადო ზმნაში, რომელსაც იგი დაერთვის, — ე. ი.: გარდაუვალ ზმნასთან დაკავშირებულ ზმნისართში აღინიშნება კლასი RS-ისა, გარდამავალ ზმნასთან დაკავშირებულ ზმნისართში — კლასი RO-ისა; შდრ.: ა) გრდუე. ზმნასთან: ვოშო ვ-უჰუგუ' ვ-ოლ'ო „ვეიშვილი ბევრს დადის“, ჟოში აიჰუ'გუ' დ-ელ'ო „ქალიშვილი

<sup>1</sup> ზოგი ავტორი პირიქით ფიქრობს, რომ ასეთ კონსტრუქციებში მნიშვნელობის დეტალიზაციას ზმნისართი იწვევს (შდრ. А. Божарев, Слѣткѣмс агар. яз., გვ. 206).

<sup>2</sup> ხუნდ. -ხ აუნ და ანდ. -ხ აარდუ წარმოშობით ნამყოს აბსოლუტივის ფორმები ჩანს (მაგრამ რა ზმნებისა?).



ბევრს დადის“ და ა. შ. ვოშო ჰო-ვ-ა ვ-უყ'ო „ვატიშვილი აქ მოვიდა“, ზოში ჰო-დ-ა დ-იყ'ო „ქალიშვილი აქ მოვიდა“ და ა. შ.; ბ) გრდმ. ზმნასთან: ვოშუდი ბ-იპ'გუი ბ-უყაილო „ვატიშვილი (ზედმიწ. ვატიშვილმა) ბევრს კრის“; ვოშუდი ჰო-ბ-ა კოთუ ბ-იყ'ო „ვატიშვილმა აქ (ზედმიწ. აქეთკენ) ცხენი მოიყვანა“ და ა. შ. ამრიგად, ზმნის სუბიექტთან ან ობიექტთან სინტაქსურ კავშირს ზმნისართიც ამყარებს, მაგრამ არა უშუალოდ, არამედ ზმნის მეშვეობით. მაშასადამე, ამ ნხრივ, ანდიურში სავსებით იგივე ვითარებაა, რაც ხუნძურიდან არის ცნობილი.

როცა ვითარებითი ზედსართავი სახელი ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება, რიცხვის ნიშნად ზმნისართში იგივე სუფიქსი გვექნება, რაც სათანადო ზედსართავ სახელს აქვს (-ოლ); ზმნისართში რიცხვის აღნიშვნის წესი კი იგივეა, რაც გრამატიკული კლასისა: გარდაუვალ ზმნასთან დაკავშირებულ ზმნისართში აღინიშნება რიცხვი RS-ისა, გარდამავალთან დაკავშირებულში—RO-ისა; შდრ.: ა) გრდუვ.: მხ. რ. ჰედევ ხაეხაი ვუყ'ო „ის სწრაფად მოვიდა“—მრ. რ. ჰედევულ ხაეხა-ოლ ვოყ'ო „ისინი სწრაფად (ზედმიწ. სწრაფნი) მოვიდნენ“; ბ) გრდმ.: მხ. რ. ჰედევში ჰედევ ბატა ვალი „იმან ის ცალკე გაიხმო (დაუცახა)“—მრ. რ. ჰედევში ჰედევულ ბატ-ოლ ვალი „მან ისინი ცალკე გაიხმო“... ასეთ შემთხვევებში ზმნისართი იყენებს შესაბამისი ზედსართავი სახელის მრ. რიცხვის მზამზარეულ ფორმას. დანარჩენ შემთხვევებში ზმნისართი—საკუთარი საშუალებით—რიცხეს არ განარჩევს.

§ 120. ნაწილაკი. ნაწილაკები ანდიურში (ისევე, როგორც ხუნძურში) ენკლიტიკურია.

#### ა) კითხვითი ნაწილაკები

-დე || -ლე<sup>1</sup>. ჩვეულებრივ ზმნას ერთვის (შეიძლება დაერთოს სხვა რომელიმე სიტყვასაც, თუ მასზე ლოგიკური მახვილია ან თუ იგი შემასმენლის როლშია). იხმარება იმ შემთხვევაში, როცა წინადადებაში არ არის კითხვითი სიტყვა. გამოხატავს კითხვას, რომელიც პირდაპირ პასუხს მოითხოვს (მნიშვნელობით უდრის ხუნძ. -იშხ ნაწილაკს). -დე იხმარება ზმნის ნამყოფი ირითადის ფორმასთან (ან შინაარსობლივ მასთან დაკავშირებულ სიტყვებთან), -ლე—აწმყოსა-

<sup>1</sup> А. Дирр, Анд. яз., гв. 65.

